რევაზ კვერენჩხილაძე

მეოცე საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების მესვეურნი



გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი 2012

რედაქტორი სოსო სიგუა

უღრმესი მადლობა საზოგადოება „მემორიალის“ თავმჯდომარეს გურამ სოსელიას ამ წიგნზე მუშაობისას გაწეული უანგარო მხარდაჭერა-დახმარებისა და ფოტო-სურათების მოძიება-დამუშავებისთვის, რჩევა-დარიგებისა და გამხნევებისთვის.

© რ. ჯვერენჩხილაძე, 2012

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-12-482-2

წინათქმა

ვინ იფიქრებდა, რომ თვით ბოლშევიკურ-კომუნისტური დიქტატურის დროს, მიუხედავად დევნა-შევიწროვებისა, დაპატიმრება-გადასახლებისა და სიცოცხლის ფასადაც კი მრავალი ეროვნული საქმის გამკეთებელ ჩვენს მწერლებს და მათ შემოქმედებით ოჯახს დამოუკიდებელ და თავისუფალ საქართველოშიც გამოუჩნდებოდნენ აუგად მომხსენიებელი და მდევნელნი — სიტყვაკაზმული მწერლობით ტკბობისა და ამ განძის მნიშვნელობის გაგების უნარს მოკლებული, ქვეყნის ზოგიერთი მესვეურისა და მათ მაამებელთა, აგრეთვე ამათ აყოლილ, საკუთარ აზრს მოკლებულ პიროვნებათა სახით, რომელთა შეუგნებლობას კარგად ახასიათებს ერთი ამათგანის, თანაც პარლამენტარის, შეხედულება სიტყვის ოსტატებზე — მწერლები პროდუქტს არ ქმნიან და სახელმწიფო მათ რატომ უნდა დაეხმაროსო.

ისე კი, ახალ პირობებში მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა რეორგანიზაციას უნდა შესდგომოდა. თითქოს კიდევაც დაიწყეს, კერძოდ, მრავალრიცხოვანი კავშირი მხოლოდ სიტყვაკაზმული მწერლობის შემქმნელთა (ბელეტრისტთა, პოეტთა და დრამატურგთა) ორგანიზაციამდე უნდა დაეყვანათ, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანეს, პირიქით, გაზრდა დაიწყეს, უკანასკნელ წლებში კი უფორმო მასად აქციეს, თავმჯდომარის ხელფასიანი მოადგილეების რაოდენობაც გაადიდეს...

ერთი სიტყვით, ვერც დროის გამოწვევას გაუმკლავდნენ და ვერც მლანძღველებს გასცეს დასაბუთებული პასუხი.

ამის მიზეზი მარტივია: არათუ ფართო საზოგადოებამ, არამედ მწერლების უმრავლესობამ, მათმა ხელმძღვანელებმაც არ იციან თავიანთი შემოქმედებითი ოჯახის ისტორია:

რა საშვილიშვილო საქმისთვის შეიქმნა „ქართველ მწერალთა კავშირი“;

როდის მოხდა ეს და ვინ იდგა ქართული სამწერლო ორგანიზაციის დაფუძნების სათავეებთან;

ერთმანეთში ურევენ სხვადასხვა დროს განსხვავებული სახელწოდებით არსებულ მწერალთა ორგანიზაციებს, მათ მესვეურებს, ბეჭდვის ორგანოებს, **„პოეზიის დღის“** ზეიმის დაწესების თაოსნებს, ამავე სახელწოდების გაზეთის სხვადასხვა გამომცემლებს, გამოცემის წლებს და შინაარსს;

დაბნეულობაა მწერლების ყრილობათა ათვლაშიც და ა. შ.

თვით „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ (ქსე) თერთმეტ ტომში ვერ იპოვით სტატიას **„საქართველოს მწერალთა კავშირი“** (მით უმეტეს — **„ქართველ მწერალთა კავშირი“**)...

და ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ 1983 წელს გამოქვეყნდა ამ სტრიქონების ავტორის წიგნი **„საქართველოს მწერალთა კავშირი. 1917-1982“**.

თუმცა მაშინ ვინ გათქმევინებდა სრულ სიმართლეს, ვთქვათ, ეროვნული შეგნებისა და მწერლობის დამანგრეველ პროლეტარულ მწერლებსა და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებად დანიშნული ბოლშევიკური პარტიის ნების გამტარებელ კომუნისტ ფუნქციონერებზე.

ყოველივე ამაში სიმართლისა და სიზუსტის შესატანად შეიქმნა და გამოიცა **„XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრება“** („უნივერსალი“, 2008), თუმცა მწერალთა კავშირის ისტორია საერთოდ არ აინტერესებს მის 500-მდე წევრთა უმრავლესობას, ხელმძღვანელობას კი თითი თითზე არ დაუკარებია ამ წიგნის დასაბეჭდად, მისი გამომცემლობაც დაკავებული იყო „მაღალი შტილის“ გამოცემებით — პოეზიის, პროზისა და საბავშვო ნაწარმოებთა ისეთი ანთოლოგების შედგენით, რომლებშიც კაზმული სიტყვის ბევრი ჭეშმარიტი მუშაკი ერთი ლექსის შეტანის ღირსიც არ გახადეს, სამაგიეროდ ხელმძღვანელებმა უხერხულობა არ იგრძნეს მათთვის მრავალი გვერდის დათმობისას, არადა არც

ისე შორეულმა სინდისიერმა წინაპარმა პოეტმა უპირველეს ყოვლისა სწორედ მწერალთა კავშირის მესვეურებს დაუბარა: **შენ გაიხსენე ტკივილი სხვათა, შენი როგორმე გაგახსენდებაო (მორის ფოცხიშვილი)** და თანამედროვე პოეტებიც ამავე მრწამსისა არიან: **„ვწუხვარ საწუხარს სხვისას, მტკივა ტკივილი სხვისი“ (რევაზ ართილაყვა)**.

ახლა თქვენს წინაშეა ზემოხსენებული წიგნის ერთგვარი შემავსებელი ნაშრომი.

რომც ეთქვათ, ამ წიგნსაც არ მივიტანდი მწერალთა კავშირის, უფრო სწორად მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელის დუქნად ქცეულ გამომცემლობაში, რადგან მაშინ სიმართლის თქმაში შებოჭილი აღმოვჩნდებოდი.

ისევე როგორც პირველი წიგნი, ესეც არის ცდა პირუთვნელად გაშუქდეს კომუნისტების ბატონობისას ტაბუდადებული, აგრეთვე, მწერალთა კავშირის დღევანდელი დაკნინების სამწუხარო ამბები.

პოეტს უნდა დავესესხო და მოგახსენოთ: **„ამ წიგნში, მინდვრის ყვავილივით, ჩემი სულია ჩანიშნული“ (ტარიელ ჭანტურია)**.

რა თქმა უნდა, მე ყველაფერს ვერ მოვიცავდი, როგორც ძველმა ლათინებმა ბრძანეს, **„ვქმენ ვით შევძელ, ქმნან უკეთ ძალმოსილებმა“**.

შემოკლებანი

ახკომი — „ახალგაზრდა კომუნისტი“
გამსახკომი — ბეჭდვითი სიტყვისა და გამომცემლობათა სახელმწიფო კომიტეტი
განსახკომი — განათლების სახელმწიფო კომიტეტი
თსუ — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
კპ, კომპარტია — კომუნისტური პარტია
ლს, ლგ, ლხ, სგ — „ლიტერატურული საქართველო“, სხვადასხვა წლებში: „ლიტერატურული გაზეთი“, „ლიტერატურა და ხელოვნება“, „სალიტერატურო გაზეთი“
ლხცსა — ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალური სახელმწიფო არქივი, ს — საიდუმლო.
მუშკორი — მუშა კორესპონდენტი
„ნეპი“ (ნეპმანური) — Новая экономическая политика — ახალი ეკონომიკური პოლიტიკა
პმგ — პასუხისმგებელი
პლენუმი — საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის სხდომა
პრეზიდიუმი — საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმი
პროლემაფი — პროლეტარულ მწერალთა ახალი ფრონტი
საბჭ. — საბჭოთა (მუშაკი, მოღვაწე)
საუდი —საავტორო უფლებათა დაცვა
საქდესი — საქართველოს დეპეშათა სააგენტო
„სრ“ — „საქართველოს რესპუბლიკა“
სსლმ — საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი გიორგი ლეონიძის სახელობისა, ხ — ხელნაწერი
ქსე — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია
ცაკი — ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი
ცკ, ცეკა — ცენტრალური კომიტეტი

სიმართლე მარად უკვდავი არის
ბიბლიური სიბრძნე.
კარგია მხოლოდ სრული სიმართლე,
ნახევარსიმართლე არაფერი არაა.
სტეფან ცვაიგი

თავი I. XX საუკუნის საქართველოს მთავარი სამწერლო ორგანიზაციის – „ქართველ მწერალთა კავშირის“ დაფუძნება (1917), მისი გარდაქმნა „საქართველოს მწერალთა კავშირად“ (1920)

ამ ორგანიზაციის დაფუძნების წინ

ბევრმა უფროსმა თაობელმა, მათ შორის, მწერლებმაც, არ იციან თავიანთი შემოქმედებითი ოჯახის – მწერალთა კავშირის შექმნის ნამდვილი ისტორია და მიზანი. მით უმეტეს, არ იციან ეს შემდგომმა თაობებმა, მაშინ როცა დრომ და ვითარებამ მეტად საპასუხისმგებლო დატვირთვა მიანიჭა ქართველ მწერალთა შემოქმედებითი ორგანიზაციის დაფუძნებას.

ამ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დატვირთვის, გააზრების მიმცემი უპირველეს ყოვლისა ცისფერყანწელი მწერლები აღმოჩნდნენ, „ქართველ მწერალთა კავშირის“ საშვილიშვილო საქმის ხელშესაწყობად ჩამოყალიბებაშიც ერთ-ერთი მოწინავენიც ისინი იყვნენ და მათ შორის პირველად უნდა მოვიხსენიოთ ჩვენი დიდებული პოეტი **ტიციან ტაბიძე**, ის შემოქმედი და მოღვაწე, რომელსაც ბედმა არგუნა წამოეყენებინა მწერალთა კავშირის შექმნის იდეა.

მწერალთა პროფესიული გაერთიანების საჭიროებაზე სხვა ჩვენი საუკეთესო მწერლებიც ფიქრობდნენ და ზრუნავ-

დნენ. ესენი იყვნენ:* **კონსტანტინე გამსახურდია, შალვა დადიანი, პაოლო იაშვილი, პავლე ინგოროყვა, კოტე მაყაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ლეო ქიაჩელი** და სხვ.

მოვლენათა განვითარებამ 1917 წელს წინ სულ სხვა ამოცანები წამოსწია და მწერალთა კავშირის დაფუძნების მიზნის განსაზღვრა დროისა და შექმნილი ვითარების შესაბამისად სწორედ ტიციან ტაბიძეს ერგო. მან დაუყოვნებლივ აულო ალღო შექმნილ გარემოებას, რაც ასე მნიშვნელოვანი იყო იმ პერიოდში, როცა ჩნდებოდა რუსეთის იმპერიიდან თავის დახსნის შესაძლებლობა და სწორედ ესაა ტიციანის დამსახურება.

მაგრამ ვიდრე უშუალოდ ტიციან ტაბიძის იდეის ხორცშესხმას — ქართველი ხალხის ბედის შემობრუნებასთან მწერალთა კავშირის დაფუძნების დაკავშირებას შევეხებოდეთ, ვფიქრობ, საჭიროა ორიოდე სიტყვა ითქვას, თუ რა უძღოდა წინ ამ მოვლენას.

ა) სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული მწერლობის უპირველესმა წარმომადგენლებმა **ილია ჭავჭავაძემ** და **აკაკი წერეთელმა,** თანამებრძოლებთან ერთად, არნახული ძალისხმევით, ეროვნული შეგნებისა და ღირსების, იმედისა და რწმენის ჩანერგვით ფეხზე დააყენეს მეფის რუსეთის მიერ გათელილი, დამცირებული, თითქმის იმედდაკარგული საქართველო.

მაგრამ XX საუკუნის ათიანი წლებისთვის ქართველმა ხალხმა დაკარგა თავისი გამოჩენილი მწერლები, მრავალმხრივი ეროვნული მოღვაწეობით გამორჩეული პიროვნებანი — 1907 წელს ბოლშევიკმა ქართველებმა მოკლეს **ილია.** ამა-

* ავტორი უპირატესობას ანიჭებს ანბანის მიხედვით ჩამოთვლას.

ზე ადრე გაგვშორდნენ **ალექსანდრე ყაზბეგი** და **გიორგი წერეთელი,** 1912 წელს გარდაიცვალა **იაკობ გოგებაშვილი,** 1915-ში — **აკაკი და ვაჟა...**

მათი შემცვლელები კი არ ჩანდნენ...

ერის საუკეთესო შვილები მიხვდნენ, რომ, როგორც ოდნავ მოგვიანებით, 1916 წელს, მაშინ უკვე აღიარებულმა მოღვაწემ, **ექვთიმე თაყაიშვილმა** „კავკასიის სამეფისნაცვლოს ქართველთა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირის“ კრებაზე თქვა: **დადგა „კავშირთა და კოოპერაციათა ხანა“, „ჩვენი დრო კოლექტიური ძალის და კოლექტიური მოქმედების დროა, რაც უნდა ნიჭიერი იყოს თითოეული ადამიანი, ის შეუკავშირებლად, სხვის დაუხმარებლად ფონს ვერ გავა“,** არ მოგვეპოვება ისეთი დაწესებულება, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდეს ერსო.[1]

ამ დროისათვის ჩვენში დაწყებული იყო წუხილი მწერლობის დაქვეითებაზე და, ბუნებრივია, მოინდომეს მწერლობის ხელშესაწყობად საზოგადოების შექმნა.

1908 წლის 3 სექტემბერს გაზეთმა „ამირანმა“ მკითხველებს ახარა: დღემდე ჩვენს მწერლებს საკუთარი ოჯახი არ ჰქონდათ, ახლა კი სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება იქმნებაო და გამოაქვეყნა 1908 წლის 5 ივლისს დამტკიცებული წესდება ამ საზოგადოებისა.

ხალხს იმედი ჩაესახა. დიდი ეროვნული მოღვაწე **არჩილ ჯორჯაძე** რწმენას გამოთქვამდა — მწერლობა აღორძინდებაო, პოეტი **იროდიონ ევდოშვილი** კი მიესალმა ამ წამოწყებას, მისი სიტყვებით, პირველ ნაბიჯს, გადადგმულს დაკნინებული ქართული მწერლობის აღსადგენად, კერძოდ იმას, რომ 1908 წლის 28 სექტემბერს თბილისის თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში გამართულმა მწერალთა საერთო კრებამ შექმნა **„სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება“,** აირჩია მისი საბჭო შემდეგი მწერლების შემადგენლობით: **„ზანგის“** ფსევდონიმით ცნობილი კრიტიკოსი **გრიგოლ**

რცხილაძე (თავმჯდომარე), **კოტე მაყაშვილი** (ხაზინადარი), **სამსონ ყიფიანი** (მდივანი), **შიო არაგვისპირელი** და **იროდიონ ევდოშვილი;** საპატიო წევრი კი – **აკაკი წერეთელი**.

რატომ არ უნდა ჰყოლოდათ საპატიო წევრად **ვაჟა-ფშაველა?!**[2]

საზოგადოების მუშაობა ძირითადად ახალ ნაწარმოებთა კითხვა-განხილვაში გამოიხატებოდა. ამას გარდა მან შესძლო გამოეცა **ბესიკის** (1912) და **იოსებ გრიშაშვილის** (1914) წიგნები და სალიტერატურო კრებულ „გრდემლის“ (რედ. – გრ. რცხილაძე) სამი წიგნი (I და II – 1912, III – 1916).


ეს საზოგადოება, რომელიც უფრო ლიტერატურის მოყვარულთა გაერთიანებას წარმოადგენდა, იმთავითვე ნაკიანი იყო – თავის სამოქმედო ასპარეზად თბილისის გუბერნია და არა მთელი საქართველო მიაჩნდა.

ნუთუ მაშინ ინტელიგენტთა ასეთი ეროვნული ჯგუფიც კი არ იყო მზად მთლიანი საქართველოს სამსახურისთვის, თუ იქნებ (მე უფრო ასე მინდა ვიფიქრო) იმპერიული ცენზურა კარნახობდა სამოქმედო ასპარეზად ეცნოთ გუბერნიებად დაყოფილი და არა მთლიანი საქართველო?

მაგრამ იმას რაღა გამართლება აქვს, 1917 წელსაც კი, „ქართველ მწერალთა კავშირის“ დაფუძნებისას, როცა „სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოებას“ მოუწოდეს – თავისუფლების მოსაპოვებლად საჭირო ხალხის გაერთიანებისთვის მაგალითის მისაცემად შექმნილ საერთო-ეროვნულ მწერალთა კავშირს შეუერთდითო – საზოგადოების ხელმძღვანელობამ მედიდურად რომ განაცხადა: პირიქით, თქვენ შემოგვიერთდითო!

როგორც ვხედავთ, გრ. რცხილაძე არც ამ გადამწყვეტ ჟამს აღმოჩნდა საქართველოს ერთიანობის შეგნების სიმაღლეზე.

ამიტომ **გრ. რცხილაძის** მოხვედრა იმავე 1917 წელს შექმნილ ეროვნულ საბჭოში მხოლოდ მისი ფედერალისტთა პარტიის წევრობით უნდა აიხსნას.



სრულიად საქართველოს სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობის პრეზიდიუმი

შუაში ყრილობის საპატიო თავმჯდომარე მ. ყარაღაში. მის მარჯვნივ: მთავმჯდომარის ამხანაგები—ვ. დალმატოვი, ვ. აბაშიძე, აკ. ცრცილაძე; მდივნები—ალ. ჩხეიძე, ა. ანდრონიკაშვილი; მარცხნივ—თავმჯდომარის ამხანაგები—კ. ალ.-ბეგიშვილი, ილიკო ბარათიშვილი, მდივნები—შალვა დადიანი, სოლ. ბენდელიშვილი, ილიკო ამყოლიშვილი, პავლიაშვილი (ირკუტსკი).

სურათი მოგვაწოდა რუსუდან ჭანტურიშვილმა

ბ) ცისფერყანწელები

გაცილებით მაღალი ხარისხის აღმოჩნდა „სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების“ შექმნიდან (1908) რამდენიმე წლის შემდეგ, 1915 წელს, ქართული კულტურისა და მწერლობის მაშინდელ ცენტრში, ქუთაისში შექმნილი ჯგუფი ქართველი სიმბოლისტი პოეტებისა (ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, კოლაუ ნადირაძე, ტიციან ტაბიძე, სანდრო ცირეკიძე), რომელთა მიერ „კაფე-საჩაიეში გამართული საღამო 1916 წლის 9 მარტს იყო ცისფერყანწელთა პირველი საჯარო გამოსვლა“ (**ლალი ავალიანი**) და რომლებიც 1916 წელს იქ გამოცემული ცოტა უცნაური სახელწოდებიანი ჟურნალის, „ცისფერი ყანწების“ მიხედვით ცნობილი არიან „ცისფერყანწელებად“.

ცოტა მოგვიანებით ზემოხსენებულ ძირითად ბირთვს შეუერთდნენ: ალი არსენიშვილი, შალვა აფხაიძე, რაჟდენ გვეტაძე, შალვა კარმელი (გოგიაშვილი), სერგო კლდიაშვილი, გიორგი ლეონიძე, ნიკოლო მიწიშვილი.

ეს ჯგუფი ჩამოყალიბდა XX საუკუნის საქართველოს უპირველეს პოეტურ სკოლად, რომელმაც მიზნად დაისახა დაშტამპულად ქცეული, დაკნინებული ქართული ლექსის ხარისხის რადიკალურად ამაღლება, **„ევროპის რადიუსით გამართვა“**, რასაც კიდევაც მიაღწია, ერთი მხრივ, აკაკის მიბაძვა-გადამღერებით დაღდასმული ლექსების მთხზველებთან, მეორე მხრივ კი, ბოლშევიკური ხელისუფლების მხარდაჭერილი, ლიტერატურაში მათი დასაყრდენი პროლეტარული მწერლების ულექსო ლექსების შემქმნელებთან და მათი ლიდერების მბრძანებლობასთან ხანგრძლივი ბრძოლისა და ნერვების წეწვა-გლეჯის ფასად.

ცისფერყანწელების ეს ძალისხმევა სანაქებო ნაბიჯი იყო იმდროინდელი მწერლობის, ქართველი ერის შემოქმედებითი ნიჭის შესაფერის სიმაღლეზე ასაყვანად. მართებული გამოდგა ამას მოყოლილი მეორე ნაბიჯიც, გადადგმული საერთო-ეროვ-

ნული სამწერლო ორგანიზაციის შესაქმნელად, რადგან ყანწელები მაინც ერთი ჯგუფი იყო, ბრწყინვალე პოეტური სკოლა, მაგრამ მაინც ჩვენი მწერლობის ერთი ნაწილი. ამ ნაბიჯმა კიდევ უფრო გაზარდა ცისფერყანწელთა მნიშვნელობა XX საუკუნის პოეზიაში, საერთოდ ქართულ მწერლობაში.



ვფიქრობ, დროდადრო, სასურველი იქნება მწერლური ცხოვრების დასახასიათებლად, თხრობის მდინარეში მოგონებათა პატარ-პატარა კუნძულების ჩასმა.

ამჯერად ეს რუბრიკა მოკლედ დახასიათებულ ცისფერყანწელთა და, რა თქმა უნდა, მათთან ნაგულისხმევი დამოუკიდებელ პოეტურ მწვერვალად აღმართული გალაკტიონის, ღვაწლის შესაფასებელი ამ სიტყვებით უნდა დავიწყოთ:

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„დროა, ერთხელ და სამუდამოდ იქნას აღიარებული ის უბრალო ფაქტი, რომ XX საუკუნის დასაწყისში ქართულ პოეზიაში მოხდა ნამდვილი გადატრიალება, რომლის შედეგადაც იგი აყვანილ იქნა განვითარების ახალ საფეხურზე“.

გურამ ასათიანი, შენიშვნები ქართული პოეტიკის შესახებ, 1955 წ.

* * *

* * *

მწერლები მწვავედ გრძნობდნენ პროფესიული კავშირის შექმნის საჭიროებას. ჯერ კიდევ 1912 წელს გაზეთ „თემში“ (№69) **გრიგოლ რობაქიძე** წუხდა – მწერლობაში შტამპი გამეფდა, საჭიროა განხილვების მოწყობა. ამჟამად ასეთი განხილვების მომწყობ ორგანოდ მიმაჩნია მწერალთა კრება, სადაც სხვადასხვა სამწერლო საკითხებზე მსჯელობა შეიძლებაო.

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, 1917 წლისთვის ამ პროფესიულ საჭიროებას საერთო-საქვეყნო მნიშნელობის საკითხიც დაემატა მწერალთა გაერთიანების შესაქმნელად. სწორედ ამას გაუსვა ხაზი მოგვიანებით, 1922 წელს **„გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალმა“ (№3): „საქართველოს მწერლებმა საჭიროდ დაინახეს ერთ ორგანიზაციაში მჭიდროდ შეკავშირება და საზოგადო ასპარეზზე ძლიერი ორგანიზაციული მოქმედება მწერლობის სფეროში“.**

დიახ, 1910-იან წლებში გრძელდებოდა წუხილი მწერლობის დაქვეითების გამო, ამასობაში 1917 წლის 27 თებერვალს (ძვ. სტ.) რუსეთში მეფის ხელისუფლება დაემხო, გაიმარჯვა თებერვლის რევოლუციამ, რასაც ქართველი ხალხი და მისი მწერლობა იმედით შეეგება – იქნებ იმპერიიდან თავი დავიხსნათო.

ჩინებული ეროვნული მოღვაწე **კოტე აფხაზი** იმ დღეებში შექმნილ საქართველოს ეროვნულ საბჭოში, 1918 წ. 26 მარტს მე-11 დახურულ სხდომაზე ამბობდა:

„იქნებ ომმა, ან რევოლუციამ მოგვანიჭოს სრული თავისუფლება და თავისუფლად ამოვისუნთქოთ... ჩვენი პირი უნდა დასავლეთისაკენ იყოს მიქცეული, ჩვენი პირი შავი ზღვისკენ უნდა იყოს მიქცეული და ჩვენ უნდა შევქმნათ უნიტარული სახელმწიფო“.[3]

ყურადღება მიაქციეთ — ჩვენი პირი დასავლეთისკენ უნდა იყოს მიქცეული! უნიტარული სახელმწიფო შევქმნათო!

საქართველოს უძღებმა შვილებმა სტალინმა და ორჯონიკიძემ, მათმა მიმდევარმა ორგულმა და უგუნურმა სხვა ქართველებმა უნიტარული სახელმწიფოს შექმნის ნაცვლად ყოველნაირად წაახალისეს არა ქართულ-ეროვნული, არა ქართულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების მქონე ჯგუფები, ხელი შეუწყვეს ჩვენი ქვეყნის სავალალო და დამცირებულ მდგომარეობამდე მიყვანას, რისთვისაც საუკუნო შეჩვენება დაიმსახურეს.

მაგრამ შეჩვენება რა შელავათია, როცა საქართველოს ბედი სასწორზე შეაგდეს და დღესაც საკმაოდ გვყავს ჩვენი ქვეყნის დამღუპველთა მადლიერი ბრიყვები და ორგულები.

კოტე აფხაზისთანა შორსმჭვრეტელი მოღვაწენი სხვებიც გვყავდნენ და მათ შორის ერთ-ერთი პირველები ჩვენი მწერლებიც იყვნენ, რომლებიც მიხვდნენ, რომ ჩნდებოდა იმპერიიდან თავის დახსნის შესაძლებლობა.

კერძოდ, ასეთი იყო იმ დროს აღიარებული ოსტატის, ცისფერყანწელთაგან თავიანთ სულიერ მამად მიჩნეული **გრიგოლ რობაქიძის** აზრი:

„იწყება მსოფლიო ომი. ქართველ ერში ოცნება იღვიძებს: ვინ იცის, ხალხთა შეხლა-შემოხლა ისე დატრიალდეს, რომ საქართველოს განთავისუფლება ერგუნოს. რევოლუცია არღვევს რუსეთის იმპერიას და ქართველ მამულიშვილთა ოცნებას განამდვილების პირი უჩანს. ღრმავდება შეგნება ქართველისა — როგორც ქართველის“.[4]

და საერთოდ, ჩვენი მწერლობა ხომ მუდამ ქართველთა გაერთიანების, მისი ერთად შეკავშირების შთამაგონებლად, შემწედ და დარაჯად იდგა. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში დიდ **გალაკტიონს**, როდესაც ამბობდა: **„და საქართველო**

თუ გადარჩა და გადარჩა ის როგორც ერი, აქ პოეზია იყო მისი შემჭიდროება“.

1917 წელს სწორედ ამ უდიდესმა საზრუნავმა დაჩრდილა მწერლობის პროფესიულ საკითხებზე ფიქრი და პირველ რიგში დააყენა ქვეყნის ბედი.

მაშინ ცისფერყანწელთა ერთ-ერთ ლიდერს, 22 წლის ტიციან ტაბიძეს გააზრებული ჰქონდა და კარგად ესმოდა, რომ თავისუფლების მოსაპოვებლად საჭირო იყო ხალხის ერთიანობა და სწორედ ამ ერთიანობის მაგალითის მისაცემად მიზანშეწონილად მიიჩნია მწერლების ერთ სამწერლო ორგანიზაციაში გაერთიანება — ასეთი იყო მთავარი აზრი თანამოკალმეებისადმი მიმართული მისი „ღია ბარათისა“, რომელიც რუსეთში მომხდარი თებერვლის რევოლუციიდან ერთი თვის თავზე, 1917 წლის 6 აპრილს გამოაქვეყნა გაზეთ „საქართველოში“:

„მამულიშვილნო და მოქალაქენო!..

დღევანდელი დღე და ორივე ეს სიტყვა გვავალებს, სხვა დროს არ გვქონია საშუალება არც შეერთებისათვის და არც ხმის ამოღებისათვის.

დღეს ეს შესაძლებელიცაა და აუცილებელიც.

ომის გამოცხადებისას ქვეყანა მოიარა გერმანელ მწერალთა და მეცნიერთა ქედმაღალმა მოწოდებამ. მოპირდაპირეთაც უპასუხეს თავიანთი ღირსების შეგნებით.

ერის სული მწერლობაში ლაპარაკობს.

არავის არ აქვს მეტი უფლება ერის სახელით გამოსვლის, ეს მწერლების საღმრთო მოვალეობაა.

თქვენ,

ვისაც გაწვალებთ საქართველოზე ფიქრი,

ვინც იტანჯოდით მისი სიწმინდის შესანახად

და გიყვარდათ საქართველო უფროის ყველაფრისა, რაც წარმავალია და არამარადი, თქვენ ხალხი დაგიჯერებთ, რადგან თქვენი უწინაც სჯეროდა.

ეს ნდობა არის ერთადერთი და უდიდესი საჩუქარი უანგარობისა და სიწმინდისათვის ქართველი ხალხისაგან.

დღევანდელმა სასტიკმა ომმა გამოაჩინა, რომ არ არის სიტყვა უფრო წმინდა და ძვირფასი, როგორც სიტყვა „სამშობლო“.

კეთილშობილი საფრანგეთი, რომლის დეკადანსზე ასე უყვარდათ ამდენ ხანს ლაპარაკი, ეხლაც ემაგალითა მისგან უკვე დავალებულ კაცობრიობას. სამასზე მეტმა ყველაზე ნიჭიერმა პოეტმა, მწერლებმა და მხატვრებმა დასდვეს თავიანთი სიცოცხლე საფრანგეთისათვის არასის და სხვა თხრილებში. საფრანგეთი უკვე შეეჩვია იმ აზრს, რომ ორმოცდაათი წელი მისი მწერლობა ამის გამო იქნება გამწვევ კრიზისში.

მონობაში დაბადებულ და აღზრდილ ქართველებს გვეძლევა დღეს საშუალება გავიმეოროთ წინათქმა, რომლითაც მემატიანე იწყებს „ქართლის ცხოვრებას“ და რომელსაც გრძელ ისტორიულ ცხოვრებაში ამართლებდა ქართველი ერი:

— არავის ვეყმოთ, არცა ვემონოთ გარეშე ღვთისა დამბადებლისა...

თავისუფალი და ბედნიერი საქართველო — ჩვენ შეგვაერთებს.

დღეს, როცა ქალაქიდან ქალაქად, სოფლიდან სოფლად დადიან ალბათ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები და ერის ნებისყოფას ანელებენ კერძო ჯგუფურ თუ სხვა მოთხოვნათა შერევით, საჭიროა მათ წინ უსწრებდეს ქართველ მწერლების შეერთებული ხმა, რომელშიც ყოველ ჯგუფობაზე მაღლა მდგარი ქართული აზრი გამოითქმება.

დღეს, როცა ხალხში რიგდება ალბათ უთვალავი ფურცლები და მოწოდებები, საჭიროა იყოს მოწოდება ქართული მწერლობის, მოყვარული გულით და ნიჭიერი ხელით დაწერილი ეს მოწოდება მონახავს ხალხის გულს.

ბევრია კიდევ სხვა, რაც მოითხოვს შეერთებას და ქართველ მწერალთა ლიგის დაარსებას, ეს ალბათ კრებაზე გამოჩნდება.

„სიტყვაკაზმული“ და „ქართველ მხატვართა“ საზოგადოებანი და თუ ისინი არა, კერძო საინიციატივო ჯგუფი მწერლების იკისრებენ ამ საქმის დაწყებას.

დიდია მოვალეობა, რომ იყოს იჭვი ამის უარყოფის...“*

ერთი სიტყვით, რუსეთში იმპერატორის დამხობით გაჩენილმა იმპერიიდან თავის დახსნის იმედმა ქართველ მწერლებსაც შეასხა ფრთები და, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, პირველი ნაბიჯის გადადგმა იმ სამწერლო სკოლის წარმომადგენლებმა მოიწადინეს, რომლებზეც ამბობდნენ: მათ მხოლოდ პოეზია პოეზიისთვის აინტერესებთო. აი, ეს მწერლები, ცისფერყანწელები, მეორე რიგში გადასწიეს რა თავიანთი პროფესიული მწერლურ-შემოქმედებითი პრინციპები, ხალხის ერთიანობის ინტერესებისთვის ერთ სამწერლო ოჯახში გაერთიანდნენ **აკადემიურ მწერლებთან,** რომლებთანაც ბევრი სადაო ჰქონდათ წმინდა ესთეტიკური თვალსაზრისით.

აი, რა თქვა ამის თაობაზე **ტიციან ტაბიძემ** მოგვიანებით, 1923 წელს „რუბიკონის“ მე-13 ნომერში:

„იმ დროსაც ქართული მწერლობა დაყოფილი იყო ბევრ ჯგუფებად, ყველაზე მემარცხენე ჯგუფი „ცისფერი ყანწები“-ს სრულიად უარყოფდა კონსერვატიულ მწერლობას, მაგრამ ორგანიზაციული მიზნით ეროვნული ინტერესების დაცვისათვის ეს ჯგუფი მოხვდა მწერალთა კავშირის ორგანიზატორთა შუაგულში და კავშირის დაარსების დღიდანვე იცავს ამ პრინციპებს“.

---

* შემდეგში ფართო საზოგადოებას მხოლოდ გასული ასწლეულის ბოლოს და XXI საუკუნეში მიეცა ამ „ღია ბარათის“გაცნობის საშუალება – „ლს“, 1990, 3. IV; ჟ. „ივერიელნი“, 2007, №5. პუბლიკაციები რ. კვერენჩხილაძისა.

ასეთი კეთილშობილი იდეისთვის მწერალთა გაერთიანების თაოსნად გამოვიდა **ტიციან ტაბიძე** და დღეს რატომ უნდა დაგვეწყო მწერალთა კავშირის დამდაბლება?

მით უმეტეს, რომ 1917 წელს შექმნილი **„ქართველ მწერალთა კავშირი“** პირველი ასეთი ორგანიზაცია იყო მთელ მაშინდელ რუსეთის იმპერიაში!

ეს მაშინვე იცოდა **ტიციან ტაბიძემ.** აი, მისი სიტყვები „რუბიკონში“ (1923):

„უნდა ითქვას, რომ მაშინ რუსეთშიც არ არსებობდა მწერალთა კავშირი, იქ თითქმის ნახევარი წლის შემდეგ მოხდა მისი ორგანიზაცია“.

ვაზუსტებ: 1918 წელს რუსეთში შეიქმნა არა საერთო-მთლიანი მწერალთა ორგანიზაცია, არამედ მხოლოდ „რუს პოეტთა კავშირი“.

თანაც დავუმატებ: „ქართველ მწერალთა კავშირი“ ერთ-ერთი პირველი ასეთი ორგანიზაცია იყო ევროპაში.

და რატომ უნდა გვეთქვა უარი ასეთ ძველ და კარგ ტრადიციაზე?

რა თქმა უნდა, საჭირო იყო რეფორმის ჩატარება, მწერალთა კავშირის სტრუქტურაში, საქმიანობაში ბევრი რამის შეცვლა, მაგრამ ამისთვის განა აუცილებელი იყო უკუსაგდებთან ერთად იმ კარგისთვისაც გვეკრა ხელი, დაგვემცირებინა, რაც ადრე გაკეთებულა?!

ნუთუ იმის გამო, რომ ესა თუ ის ხელმძღვანელი არ მოსწონთ, მიიჩნევენ, რომ არ დგას იმ სიმაღლეზე, რაც ჩვენს მწერლობას ეკადრება, — ყველაფერი საუკეთესო წყალში უნდა გადავყაროთ, რაც თვით „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირსა“ და მის წევრებს შეუქმნიათ კომუნისტების ბატონობის წლებში?!

მოკლედ შეგახსენებთ იმ დროში გაკეთებულ ზოგიერთ ეროვნულ საქმეს:

ამ კავშირის ერთ-ერთი ღირსეული წევრი იყო ბელეტრისტი **ნიკო ლორთქიფანიძე,** რომელიც კარგა ხნით ადრე გვაფრთხილებდა: მოვუაროთ ჩვენს მთავარ განძს — **იყიდება საქართველოო!**

ეს ტკივილი მას და მის მოძმე თანამოკალმეებს უფრო გაუმწვავდათ საბჭოთა წლებში გაყიდულ ჩვენ სამშობლოში...

მართალია, 1921 წლიდან გასაბჭოებულ საქართველოში ბოლშევიკებმა უხეშად დაიწყეს მწერალთა კავშირის თავიანთ მორჩილ ორგანიზაციად გადაკეთება; ისიც მართალია, კომუნისტურმა რეჟიმმა ბოლოს და ბოლოს მწერალთა ორგანიზაცია თითქმის მთლიანად თავის ლიტერატურულ დეპარტამენტად აქცია, მისი ხელმძღვანელობა საჭოჭმანო და სამარცხვინო საქმეებით გასვარა, მაგრამ, ბევრ სიგლახესთან ერთად თვით „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა“ უფრო მეტი ეროვნული საქმე აკეთა, პროლეტმწერლურ მდარე და ნიჭიერი მწერლების მიერ იძულებით შექმნილ შემგუებლურ ნაწარმოებებთან ერთად სწორედ იმ წლებში შეიქმნა XX საუკუნის ქართული მწერლობის ბევრი საუკეთესო ნაწარმოები:

იოსებ გრიშაშვილის მგზნებარე პირდაპირობით დაწერილი (1921) მრისხანე ლექსი „ახალ ხელისუფლებას“ (იგივე „რუსული ჩექმა“) და მეცნიერის, ესეისტისა და მთარგმნელის **ერეკლე ტატიშვილის** კატეგორიული სიტყვები: **„მონობა“?! რა საფიქრებელია! სიკვდილი სჯობიან!“**

საბჭოური წყობილების მოტანილი ცხოვრების მანკიერებათა ამსახველი, კრიტიკის მიერ „ქართლის ჭირად“ სახელდებული რომანი-გაფრთხილება **მიხეილ ჯავახიშვილისა** „ჯაყოს ხიზნები“, იმ საფრთხის გამომხატველი ნაწარმოები, რამაც მწერალს იმ დროს უბის წიგნაკში ჩააწერინა; „მე **ვშიშობ საქართველოს შიშით**“ (აგრეთვე ავტორისთვის ბოლშევიკების რისხვის დამტეხი მოთხრობა „დამპატიჟე“), **შალვა დადიანის** „უბედური რუსი“ და **პოლიკარპე კაკაბაძის** შედევრი „ყვარყვარე თუთაბერი“;

კონსტანტინე გამსახურდიას „მთვარის მოტაცება“, „დიდოსტატის მარჯვენა“, „დავით აღმაშენებელი“;

პავლე ინგოროყვას ტიტანური შრომის ნაყოფი „გიორგი მერჩულე“;

გალაკტიონ ტაბიძის, პაოლო იაშვილისა და **ტიციან ტაბიძის,** მოგვიანებით კი **ლადო ასათიანის, ანა კალანდაძისა** და **მუხრან მაჭავარიანის** ქართული სულით და ტკივილით გაჟღენთილი ლექსები;

იმ უბედურმა დრომ არ შეიწირა საქართველოს თავისუფლებისთვის შეთქმულთა ძმები **კოტე ხიმშიაშვილი** და **გიორგი ძიგვაშვილი**?!

განა იმ წლებში არ შეიქმნა:

ცხოვრების შემფერხებელ საბჭოთა ჯებირებთან, ბურუსთან და მეჩეჩებთან მებრძოლი რომანები **ოთარ ჩხეიძისა;**

ჭაბუა ამირეჯიბის საუკუნის რომანი „დათა თუთაშხია“ და **ოთარ ჭილაძის** დიდებული და საამაყო რომანები;

მამხილებელი რომანები „ოქროს თევზი“ **არჩილ სულაკაურისა** და „მეშვიდე ცა“ **გურამ ფანჯიკიძისა;**

განა იმ წლებში არ დაიწერა ჩვენი მწერლობის დამამშვენებელი სხვა არაერთი ნაწარმოები: **კოლაუ ნადირაძის** „25 თებერვალი“, **კიტა ბუაჩიძის** მრისხანე „შავი წიგნი“ და „Такое длинное, длинное письмо Виктору Астафъеву», **ოტია იოსელიანის** „სანამ ურემი გადაბრუნდება“?!;

ტერენტი გრანელიც ხომ სამშობლოს ბედზე სწუხდა: **„მე მაფიქრებს საქართველოს ბედი და განვიცდი ჩემ სამშობლოს ტკივილს“.**

განა საბჭოურ-კომუნისტური რეჟიმის მკაცრ წლებში არ მოღვაწეობდნენ ცხოვრებაშიც და შემოქმედებაშიც პატიოსანი ერისკაცები **ლევან გოთუა** და **რევაზ თაბუკაშვილი, ჯანსულ ღვინჯილია** და **გურამ გეგეშიძე, გურამ დოჩანაშვილი** და **გიორგი ხორგუაშვილი, ჯემალ ქარჩხაძე** და **თამაზ ბიბილური**?!

განა ყველა ქართველის სატკივარი არ გამოხატა პოეტმა **მურმან ლებანიძემ,** როდესაც ამოიოხრა — **ოდესმე დიდი ყოფილა საქართველოო?!!** დარჩენილი მშობლიური მიწა-წყლის წართმევა-წაგლეჯის, კიდევ უფრო შეკვეცა-შემცირების შიშმა კი ააყვირა: **„მეშინია, ეს სამოთხე, ეს წალკოტი სხვა არავინ მოვიდეს და დაიკავოს“**... მანვე არ მიგვითითა იმ სხვაზე — აფხაზეთზე ამ კაცს თვალი უჭირავსო?!

თურმე აყვირება კი არა, აკივლება, აბღავლება იყო საჭირო!

ჩვენ და ჩვენი ხელისუფალნი კი არა და არ გავფრთხილდით, თუმცა სხვებმაც არაერთხელ მიგვითითეს იმ ეროვნულ სატკივარზე, რაც კომუნისტებს არ აწუხებდათ.

ჯანსულ ჩარკვიანმაც ხომ გვაფრთხილა და გვაფრთხილა: **„ვაი თუ ადგეს ქართველი გლეხი და სოფელს ზურგში ჩასცეს მახვილი. ატირებული დასტოვოს ვაზი, ატირებული დასტოვოს სახლი, ზვარს ამჯობინოს ქალაქში დახლი“?!**

აკი აგვიხდა ეს ყველაფერი!..

განა 60-იან წლებში ქართველებმა (**ირაკლი აბაშიძე, ბესო ჟღენტი, გია მარგველაშვილი, გიორგი ლომიძე, გიორგი ციციშვილი**) უკან არ დააბრუნეს **„აგაევშჩინად“** წოდებულ, საბჭოთა კავშირის ლიდერის **ნიკიტა ხრუშჩოვის** მხარდაჭერილ მოძრაობას — რუსულად წერაზე და ეროვნულ მწერლობათა ნაცვლად ერთიან **„საბჭოთა მწერლობის“** შექმნაზე გადასვლას, ეროვნებათა ნაცვლად **„საბჭოთა ხალხად“** ასიმილირებას?!

ნოდარ წულეისკირსა და **აკაკი ბაქრაძესთან** ერთად მწერლები **ნელი გაბრიჩიძე, ნოდარ დუმბაძე (თავმჯდომარეობდა მწერალთა კრებას), ჯუმბერ თითმერია, მუხრან მაჭავარიანი, იზა ორჯონიკიძე, ჯანსულ ჩარკვიანი, ნოდარ ჯალალონია, რევაზ ჯაფარიძე** არ იყვნენ, 1978 წელს, სტუდენტებთან ერთად კონსტიტუციაში ქართულისთვის სახელმწიფო ენის სტატუსის წართმევა რომ არ დაანებეს საბჭოთა იმპერიას, რისთვისაც

მადლობას გვწირავდნენ სხვა საბჭოთა რესპუბლიკის მწერლები?! შეუძლებელია ეს არ დააფასო!...

და საერთოდ ყველა „დიდი“ თუ „პატარა“ ქართველი პოეტის მთავარი საფიქრალი სამშობლოს ბედი იყო. აი რა ფიქრი აწვალებდა **მიქელ პატარიძეს** (გახსოვთ კი?):

ო, რად მინდოდა ამ ქვეყნის მზერა,
ან მზე, ან მთვარე, დღე წარმავალი
თუ საქართველო და ბედისწერა
იყო ცრემლი და სისხლი მრავალი

ან

როგორ გვაფრთხილებდა ნაზი ხმით **ანა კალანდაძე:**

პატივმოყვარობით იყო განდგომა,
გამდგართა შურით — საქვეყნო მარცხი

ბევრმა წაუყრუა ამ შეგონებას... მათთვის გუგუნებდა **„ძეი ქუხილისა“ მუხრან მაჭავარიანი:**

„სუყველაფერზე თავის კანტურით—
ენაც დავკარგეთ კნინღა ქართული“

განა სამშობლოს დასაცავად მაშინდელი ახალგაზრდობის მზაობა არ გამოხატა **ტარიელ ჭანტურიამ** ლოზუნგად - ქცეული ამ სიტყვებით:

საქართველოსთვის, საქართველოსთვის,
საქართველოსთვის, ბიჭებო სწორდით!

ფილოსოფოსსა და პოეტს, **ზურაბ კაკაბაძესაც** არ ასვენებდა **„მკერდგაგლეჯილი სუნთქვა დროისა“**, იმ დროისა, როცა „არ გეპატიება იყო უკეთესი, ცხოვრებას უყვარს გათანაბრება, ... შენ შენი სიმაღლე არ გეპატიება“;

ემზარ კვიტაიშვილიც ხომ მოგვიწოდებდა: **„შეუტიე, მიტევება ბილწის არ ეგების!“**

ზურაბ ლორთქიფანიძის საწუხარიც სამშობლოს ბედი იყო:

შენზე ოცნებას ვერ დავამთავრებ,
ამ პატარა სულს მე ისე დავლევ“

ორი მშვენიერი პოეტი ქალის სადარდებელიც ხომ ესაა:

„მტრისას, ქართლი დღეში როა,
თუმც განგაშის არ რეკს ზარი
(მანანა ჩიტიშვილი)
რა უცნაური ჟამი დამდგარა,
ხედავ, ცოცხალი კაციც მკვდარია
(მარიამ წიკლაური)

ეს უწამლავს სიცოცხლეს ვანო ჩხიკვაძესაც:

„გული გაბზარული როგორ გავამრთელო,
როცა დაჩოქილი მოთქვამს საქართველო

გიზო თავაძესაც ეს აფიქრებს და ახელებს:

მტერს და მოყვარეს ცნობა კი უნდა,
თუ ომში შეხვალ, ფარით ან ფარზე...
„მოკეთემ“ ჩვენ სისხლს ჯამი მიუდგა,
რის მეზობელი? — არის იუდა!
თუ ყველამ ერთად არ ვიყვირეთ და დავრჩით ბნელში,
იმასაც ვნახავთ, რა სამშობლო შეგვრჩება ხელში!

ჩვენი უგნურობის დარდმა დააოსა ნოდარ ადეიშვილი:

შიგნიდან გამტყდარ ციხეებს
თურმე რას დავიფარავდით

ილია ბარამიძეც გვაფრთხილებდა:

მომავალი მისხალ-მისხალ ავკარგისთვის მოგიზღავს,
მერე ნახავ, ვისი მთის ხარ, ანუ ვისი ტომის ხარ.

გენო კალანდიაც იმიტომ გვარცხვენს დაძაბუნებისთვის, იქნებ თავმოყვარეობა გაგვიღვიძოს:

ო, ჟანგიანო მახვილო ჩემო,
აღარ ხარ ძველი სახელის ღირსი

განა გულზე ცეცხლმოკიდებული ჯანო ჯანელიძე იმისთვის არ მოგვიწოდებს — ბჭობას და ტრაბახს მოვრჩეთ, ხე-

ლი საქმეს მივყოთ — არ გადავშენდეთ, ჩვენი ქვეყანა არ დავკარგოთო?!

რისი ბჭობა და რისი მისნობა,
უნდა ვიბრძოლოთ ღამით და დღისით,
რომ დავრჩეთ ქვეყნად მარადისობად
და საქართველოც არ გახდეს სხვისი

ეს ხომ მთელი ქართველობის საგოდებელია:

ო, საქართველოვ! გაუძელი შენ რამდენ ღალატს,
ღალატს მტრისას და ღალატს მოკეთის.
რა მოაშუშებს ფოილოსთან, ზაქათალასთან,
გაგრასთან ახლო, ანდა სარფთან
შენს ფრთებს მოკვეთილს?

(დავით ასკურავა)

და კიდევ, რომელი ერთი ჩამოვთვალო!..

ერთი სიტყვით, საქართველოს ერთგულ შვილთა, მათ შორის, ჩვენი მწერლების **„ძვალი ხრა და სული ცვითა ავმა ჟამმა“**, როგორც ეს ასე ხატოვნად გვითხრა ერთ-ერთმა მათგანმა, პოეტმა **ლია ბედოშვილმა.**

მაგრამ, სამწუხაროდ, გულიდან ამოხეთქილმა ამ საოცარმა, გულის ფიცარზე დასაჭდევმა სიტყვებმა ვერც გული გაუღო და ვერც გონება გაუხსნა იმ პარლამენტარივით მოაზროვნე, არც თუ ცოტა ქართველს, რომელმაც, ვიმეორებ, ასე ბრძანა საქვეყნოდ: მწერლებს ფული რატომ უნდა გამოვუყოთ, როდესაც პროდუქციას არ ქმნიანო.

შესაბრალისია ის, ვის გულსაც მალამოსავით არ ედება მრავალთაგან ის მცირედი ზემოთ მოყვანილი ორსტრიქონიანი „პროდუქცია“ და ვისაც სამშობლოზე წუხილის კეთილშობილი გრძნობა აკლია...

აღარაფერს ვამბობ იმის მოთხოვნაზე — მწერალთა კავშირი დაიშალოსო.

მათ შეუძლიათ თქვან: მწერალთა კავშირში შესვლა არ გვსურსო, მისი სახელწოდება შესაცვლელიაო, ეს კავშირი გარდასაქმნელია, ესა თუ ის ხელმძღვანელი სათანადო სიმაღლეზე არ დგასო, არსებობის უფლება აქვს სხვა სამწერლო გაერთიანებებს, მწერალთა სასახლით მარტო მწერალთა კავშირი არ უნდა სარგებლობდესო და ა. შ. მაგრამ დაიშალოსო, გაუქმდესო — ანტიკონსტიტუციურია, ხოლო როცა ამას (დასაშლელიაო) ისინი ამტკიცებენ, ვინც მწერალთა კავშირმა დააფრთიანა, რაღაც როლი შეასრულა მისი მწერლად ჩამოყალიბებაში, — ეს მთლად მოსაწონი არაა.

არც ისაა საქები, არ იცოდნენ იმ სამწერლო ორგანიზაციის შექმნის კეთილშობილური მიზანი, რისი ცოდნაც ასაკის გამოც მოეთხოვებოდათ და იმის გამოც, რომ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში შედიოდნენ და თავად განუცდიათ, ეს ორგანიზაცია რა ზეწოლას იტანდა კომუნისტური ხელისუფლებისგან და ისიც თავად დაუნახავთ — მიუხედავად ყველაფრისა ბევრი ჭეშმარიტი მწერალი რა ეროვნულ საქმეს აკეთებდა.

ახლა დროა ისევ ქართველ მწერალთა პირველ შემოქმედებით ორგანიზაციას დავუბრუნდეთ, მის მესვეურებს მივხედოთ.

1. ქართველ მწერალთა პირველი ყრილობა (1917.8-15.X), „ქართველ მწერალთა კავშირის“ დაფუძნება (1917-1920), მისი მესვეურები და მოღვაწეობა:

„ქართველ მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარე (1917-1920) კოტე მაყაშვილი (1875-1927)



ისევე როგორც **კოტე აფხაზი, გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე** და სხვა შორსმჭვრეტელი ქართველები, პოეტი **კოტე მაყაშვილიც** რევოლუციაში ხედავდა იმპერიიდან თავის დახსნის საშუალებას. ამიტომ იყო, რომ როგორც **აკაკი წერეთელი** 1905 წლის რევოლუციას, კოტე მაყაშვილიც 1917 წლის რუსეთის თებერვლის ბურჟუაზიულ რევოლუციას ამ იმედით შეეგება და ამ სასოებით შესძახა ლექსად: „**ახლა ანდა არასოდეს**!“

სწორედ ამიტომ კოტე მაყაშვილმა 1917 წელს, იმპერატორ ნიკოლოზ მეორის გადაყენების შედეგად იმპერიიდან საქართველოს თავის დახსნის შესაძლებლობის გაჩენისას, მხურვალედ დაუჭირა მხარი **ტიციან ტაბიძის** წინადადებას — თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ასე აუცილებელ ხალხის ერთიანობას მწერლებმა მაგალითი ერთ სამწერლო ორგანიზაციაში გაერთიანებით მიეცეთო.

კოტე მაყაშვილის, როგორც საბანკო საქმის უზადო მოღვაწის რეპუტაციას და „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების“ ხელმძღვანელობაში მიღებულ გამოცდილებას ემატებოდა მისი ბრწყინვალე თავადიშვილური წარმომავლობა, ადამიანური სიწმინდისა და პატიოსნების განმა-

სახიერებლობა, ცხოვრებასა და პოეზიაში სპეტაკი იდეალების მიმდევრობისათვის „ქართული პოეზიის დონ კიხოტად“ აღიარებულობა, ჩვენში სონეტების დამამკვიდრებლის სახელი, ქართველ კომპოზიტორთა სარომანსო ლექსებისა და ფილოსოფიური სიღრმემიცემული სატირული ნაწარმოების „ეშმაკი საქართველოში“ ავტორობა.

ყველაფერი ამის გამო კოტე მაყაშვილი იქცა სხვადასხვა ლიტერატურული ჯგუფებისთვის მისაღებ მოღვაწედ და სწორედ ის აირჩიეს ქართველ მწერალთა პირველი შემოქმედებითი ორგანიზაციის დამფუძნებელი ყრილობის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარედ.

კომისიაში შედიოდნენ: **კონსტანტინე აბაშისპირელი-გამსახურდია (მდივანი), შალვა დადიანი, პაოლო იაშვილი, დავით ლიხელი-სულიაშვილი, ვარლამ რუხაძე, ლეო ქიაჩელი.**

როგორც მკვლევარ **ზეინაბ ლომჯარიას** მოპოვებული მასალიდან ჩანს, „ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების“ საბჭოსა და ზემოხსენებული კომისიისგან შემდგარ მწერალთა ყრილობის მოსამზადებელ ბიუროს 1917 წლის 17 ივნისს გაზეთ „სახალხო ფურცელში“ გამოუცხადებია: კვირას, 9 ივლისს მწერალთა ყრილობას ვიწვევთო.[5]

ერთ თვეზე ნაკლებ დროში ყრილობის მომზადება ვერ მოესწრებოდა. ისე კი ყოველმხრივ ჩანდა, რომ **კოტე მაყაშვილი** იმთავითვე მოიაზრებოდა ქართველ მწერალთა შემოქმედებითი ორგანიზაციის მთავარ ხელმძღვანელად.

ამდენად, ბუნებრივი იყო, როდესაც რამდენიმე თვის მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, 1917 წლის 8-15 ოქტომბერს მიმდინარე ქართველ მწერალთა პირველი ფორუმის საპატიო თავმჯდომარეებად დასახელებულ მხცოვან მწერლებთან **ვასილ ბარნოვთან, ეკატერინე გაბაშვილთან, დავით კლდიაშვილთან, სოფრომ მგალობლიშვილთან, დუტუ მეგრელთან (ხოშტარია), მელანიასთან (ნიკოლოზ ნათიძე)** და **ნიკო ნიკოლაძესთან** ერთად ამ ყრილობის პრაქტიკულად

წარმმართველ თავმჯდომარედ აირჩიეს **კოტე მაყაშვილი,** ყრილობის გახსნის პატივიც მას ერგო და მანვე წარმოთქვა შესავალი სიტყვა, რომელშიც ამაღელვებლად გადმოსცა საქართველოს მძიმე წარსული:

მე-19 საუკუნეში მეფის რუსეთმა მთლად მოგვათავა. ახლა რუსეთში ტირანია დაემხო, ჩვენც ამოვისუნთქეთ, საჭიროა შევკავშირდეთ ერთ ოჯახად და ჩვენს საქმეებს მოვუაროთო;

მძიმე პირობების გამო პროფესიონალი მწერლები არ გვყავდა, ლუკმა პურისთვის იძულებული იყვნენ ეშრომათო. **„ხელოვნება კი, ვით რელიგია, მოითხოვს თავდადებულ ქურუმებს. თავის საკურთხეველთან, სადაც იშლება და ირკვევა მშვენიერების საიდუმლოება, იგი იწვევს მხოლოდ იმათ, ვინც მთლად ეკუთვნის მას... ჩვენ კი შემთხვევით მწირველნი ვართ... ხელოვნებას ვემსახურებით მოცალეობის ჟამს და ამიტომაც ნამდვილ ქურუმობას ვერ ვუწევთ მას. გარდა ამისა ჩვენში ვერ მოიკიდა ფეხი ვერც მუდმივმა მხატვრულმა ორგანომ, სადაც შესაძლებელი ყოფილიყო მთლიანად თხზულებათა დაბეჭდვა, მწერალთა ნაწარმოებები იფანტება მრავალ გაზეთში, სადაც ახალ ამბავთა, სხვადასხვა წერილთა, განცხადებათა გვერდით იკითხება... ერთის და იმავე ხალისით!.. ჰკარგავს თავის შნოს და ლაზათს და ხანდახან დაქუცმაცებული გაზეთის რამდენიმე ნომერში მოქცეული სრულიად იღუპება!“**

ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ 1917 წლის ოქტომბერში შეიქმნა **„ქართველ მწერალთა კავშირი“*** და მთელს მაშინდელ რუსეთის იმპერიაში პირველი და ევროპაში ერთერთი პირველი, ქართველ მწერალთა შემოქმედებითი ორგანი-

---

* ბოლშევიკებს რომ ეგონათ საქართველოს მწერალთა კავშირი მათი საბულველი მენშევიკების საქართველოში შეიქმნაო, ეს კი არ არის გასაკვირი, საოცარი ისაა, ბევრ ვინმეს, მ. შ. მწერლებსაც, ჰგონიათ მათი ორგანიზაცია დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921) დაფუძნდა.

ზაციის ხელმძღვანელობის პატივი წილად ხვდა თბილისის კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1895) პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ და აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტებზე განსწავლულ, 1903 წლიდან დიდ **ილიასთან** სათავადაზნაურო ბანკში ჯერ დამფასებლად, 1915 წლიდან კი დირექტორად მომუშავე, 1902 წლიდან სამწერლო ასპარეზზე გამოსულსა და აღიარებამოპოვებულ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს, 1908 წ. 28 სექტემბერს შექმნილი „სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების“ საბჭოს წევრს, აკადემიური მწერლობის ძირითადი ბირთვის წარმომადგენელს, 1917 წ. 22 ნოემბერს საქართველოს ეროვნულ საბჭოში არჩეულ **კონსტანტინე (კოტე) მაყაშვილს.**

პირველი დამფუძნებელი ყრილობის დასასრულს ამ ფორუმის თავმჯდომარემ, კოტე **მაყაშვილმაც** სწორედ გაერთიანების აუცილებლობაზე მიაქცია მწერალთა ყურადღება:

„ვერიდნეთ დანაწილების, დაქსაქსულობის შხამს! ნუ შევუშინდებით ჩვენში არსებულ ლიტერატურულ მიმართულებათა სხვადასხვაობას. ჩვენ ყველანი ძიების ხანაში ვართ. ვეძებთ ჭეშმარიტების და მშვენიერების მწვერვალებს. მიზანი ერთი გვაქვს, მხოლოდ მივდივართ საძებრად სხვადასხვა გზით. ეს მიზანი გვაერთიანებს ჩვენ“.[6]

ხალხისადმი ყრილობის მიმართვაც ქართველების მთავარ საზრუნავს უსვამდა ხაზს — ეს იყო თავისუფლების მოპოვების მოწოდება:

„სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა მხურვალე სალმით მოგმართავს შენ, ქართველო ერო და მოგიწოდებს იხსნა შენი თავი ხანგრძლივი ტყვეობისაგან, გააცოცხლო შენი ენა, აღადგინო შენი უფლება, რაინდობა და კეთილშობილი სიამაყე და ჩვენც მოგვცე საშუალება ღირსეულად შევასრულოთ ჩვენი წმინდა მოვალეობა შენსა და უსაყვარლეს სამშობლოს წინაშე“.[7]

ყრილობის მიერ არჩეულ პირველ 11-კაციან საბჭოში **კოტე მაყაშვილს** მხარს უმშვენებდნენ: **კონსტანტინე აბაშისპირელი-გამსახურდია, სამსონ დადიანი, შალვა დადიანი** (კავშირის პირველი წესდების შემდგენელი), **პაოლო იაშვილი, პავლე ინგოროყვა, დავით ლიხელი-სულიაშვილი, აკაკი პაპავა, გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე** (კავშირის შექმნის იდეის წამომყენებელი) და **ლეო ქიაჩელი.**

ამ საბჭომ 1917 წლის 22 ოქტომბერს თავმჯდომარედ აირჩია (დაამტკიცა) **კოტე მაყაშვილი.**

მაშინ ხომ აფასებდნენ და აღიარებდნენ მას, შემდგომი თაობებიც პატივისცემით მოიხსენიებდნენ!

მამუკა ცეცხლაძე — „ჩაუყენეს ამ კავშირს სათავეში ყველაზე, ყველაზე, ყველაზე პატიოსანი, ყველაზე, ყველაზე, ყველაზე უფრო მოუსყიდველი მწერალი კოტე მაყაშვილი“.[7ა]

ფიზიკური და სულიერი მომხიბლველობით აღსავსე ეს ადამიანი მისთვის ჩვეული კეთილშობილებით, სიდარბაისლითა და გულისხმიერებით უანგაროდ იღვწოდა, დროსა და ენერგიას არ ზოგავდა, რათა ერთმანეთთან შეეკავშირებინა ქართველი მწერლები, ლიტერატურული მრწამსის გამო მწერალთა კავშირის შექმნის დროს ერთიმეორესთან რამდენადმე დაპირისპირებული სამწერლო ჯგუფები.

კოტე მაყაშვილი ამ კავშირის უცვლელი თავმჯდომარე იყო მთელი მისი არსებობის განმავლობაში (1917-1926), არჩევიდან იმ დრომდე, როცა 1926 წლის თებერვალში, ბოლშევიკური ხელისუფლების დასაყრდენი, ნაკლებნიჭიერი პროლეტარული მწერლობის დიქტატს დამორჩილებული **„სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი“** შექმნეს.

„სრულიად“-ს ბოლშევიკებმა ხაზი იმიტომ გაუსვეს, რომ მათი აზრით, „ქართველ მწერალთა კავშირი“ (1920-დან „საქართველოს მწერალთა კავშირი“) მთელი საქართველოს მწერლებს არ მოიცავდაო — პროლეტარულმა მწერლებმა და ფუტურისტებმა კლასობრივი პრინციპის გამო მასში შესვლა

არ ისურვეს (სხვათა შორის, ამით იმ მწერალთა კავშირს არაფერი დაუკარგავს).

1917 წელს შექმნილი მწერალთა კავშირი რომ სრულიად საქართველოს მოიცავდა, ამას ადასტურებს დამფუძნებელ ყრილობაზე მიწვეულთა სია (იხ. ამ წიგნის დამატება), რომელშიც თბილისელთა გარდა ქუთაისელ მწერლებსაც იპოვით (**სოფრომ გლახაშვილი-ტარუაშვილი, დომენტი თომაშვილი-ოყრეშიძე, იასონ ნიკოლაიშვილი, დია ჩიანელი-დავით ჩხეიძე**) და ბათუმელებსაც (**მემედ აბაშიძე, ჰაიდარ აბაშიძე**).

კოტე მაყაშვილი დიდ ენერგიასა და დროს ხარჯავდა როგორც მწერალთა კავშირის თავმჯდომარე და მასთან ერთად გასაბჭოებულ საქართველოში, 1921 წლის მარტში შექმნილი „ხელოვანთა კავშირის“ მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე (1921-1927). ეს კარგად ჩანს მისი მოხსენებიდან ამ კომიტეტის საქმიანობაზე 1922-1923 წლებში:

„სრ. საქ. ხელოვანთა კულტურულ კავშირის მთავარი კომიტეტის და ხელოვნების სასახლის მდგომარეობა საანგარიშო წელთა განმავლობაში იმისთანა გამოურკვეველი და მერყევი იყო, რომ მათ სისტემატურ და ყოველმხრივ ნაყოფიერ მუშაობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. 1921 წ. განმავლობაში მთავარმა კომიტეტმა მოიგერია რამდენიმე ათეული ორდერი სხვადასხვა დაწესებულებების მიერ აღებული ხელოვნების სასახლეზე. შემდეგი ორი წლის განმავლობაში თითქმის კვირა არ გასულა ისე, რომ ყოველთვის უსაფუძვლო და უნიადაგო ხელოვანთა კავშირის მოქმედების ან მისი არსებობის შესახებ ყალბის ინფორმაციით გამოწვეული რაიმე მუქარა თავს არ დასტეხოდა კომიტეტს, ეს გარემოება ჰქმნიდა ნერვიულ ატმოსფეროს“.[8]

1926 წელს, თებერვალში, თავმჯდომარეობიდან გათავისუფლებისას, **პაოლო იაშვილის** წინადადებით ყრილობამ მადლობა გადაუხადა და ოვაცია გაუმართა **კოტე მაყაშვილს**

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის პოსტზე ხანგრძლივი, ნაყოფიერი და სინდისიერი მოღვაწეობისათვის.

„საქართველოს მწერალთა კავშირი კოტე მაყაშვილის ქმნილება იყო. მას სწირავდა ფიქრებსა და გრძნობებს, გვეველინებოდა მის მხსნელად ყველაზე მძიმე წუთებში. მისი ხელმძღვანელობისა და საოცარი ტაქტის წყალობით მწერალთა კავშირი იქცა მსხვილ საზოგადოებრივ-კულტურულ დაწესებულებად, რომელსაც ყურს უგდებდნენ ლიტერატურის ფარგლებს გარეთაც“ (ნიკოლო მიწიშვილი).

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

1838 წელს ონორე ბალზაკის წინადადებით დაარსდა საფრანგეთის ლიტერატორთა საზოგადოება.

ერთი წლის შემდეგ ო. ბალზაკი აირჩიეს ამ საზოგადოების პრეზიდენტად.

სხვადასხვა დროს ამ საზოგადოების პრეზიდენტები იყვნენ: ვიქტორ ჰიუგო, ემილ ზოლა, ფრანსუა მორიაკი, ივ კაზო...


ემსახურებოდა მწერალთა უფლებების დაცვისა და ყოფაცხოვრების გაუმჯობესების საქმეს (ჩვენებური ლიტფონდისა და საუდის ფუნქციები).

სტრუქტურაც შესაბამისი აქვს: იურიდიული, ფინანსური და ფისკალური კომიტეტები.

1977 წელს საზოგადოება აერთიანებდა 7 ათასამდე წევრს, იცავს ფრანგულ ენასა და კულტურას

(გრიგოლ აბაშიძე, 15 დღე პარიზში, „ლს“, 1977, №№39,40)

* * *



ლეო ქიაჩელი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, იაკობ ნიკოლაძე (ზის),
ვარლამ რუხაძე
(მოაჯირზე დაყრდნობილი), კოტე მაყაშვილი. მწერალთა სასახლის ბაღი, 1923.

* * *

ბოლშევიკურ-კომუნისტური რეჟიმი ცდილობდა ქართველი ხალხის მეხსიერებიდან ამოეგდო 1917 წელს **კ. მაყაშვილის** თავმჯდომარეობით შექმნილი „საქართველოს მწერალთა კავშირი“, მცდარად მიაჩნდა რა ის დამოუკიდებელ საქართველოში (1918-1921) შექმნილად და სწორად თვლიდა რა მას თავისუფალი და დამოუკიდებელი, მისთვის საძულველი ე. წ. მენშევიკური საქართველოს მოტრფიალე მწერლების კავშირად.

მართლაც, ეტყობა, ამის გამო იყო, რომ, ვიმეორებ, „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ (ქსე) თერთმეტ ძირითად ტომში საერთოდ ვერ იპოვით სტატიას „ქართველ მწერალთა კავშირი“ („საქართველოს მწერალთა კავშირი“), დამატებით ტომში კი („საქართველოს სსრ“) მხოლოდ ისაა ნათქვამი (იროდიონ ქავჟარაძის სტატია „მწერალთა კავშირი საქართველოს სსრ-ისა“), – „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი“ 1932 წელს შეიქმნაო.

ეს თავისთავად სწორია, მაგრამ საქართველოში წინა, 15-წლიანი, განსაკუთრებით **კ. მაყაშვილის** მწერალთა კავშირის (1917-1926) არსებობა ხალხს დაუმალეს.

მართალია, ც. თოფურიძის სტატიაში „მაყაშვილი კოტე“ ნახსენებია: იგი „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარე იყო 1926 წლამდეო, მაგრამ როდიდან? ამას აქაც აუარეს გვერდი.

ამასთან, მთლად ზუსტი თუ ვიქნებით, **კ. მაყაშვილის** თავმჯდომარეობით არსებულ ორგანიზაციას ერქვა „ქართველ მწერალთა კავშირი“, 1920 წლიდან – „საქართველოს მწერალთა კავშირი“, ხოლო „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი“ სწორედ ზემოხსენებული ორგანიზაციის გაუქმებისა და მისი თავმჯდომარის **კ. მაყაშვილის** გაშვების დღეს შეიქმნა 1926 წელს **ს. თოდრიას** თავმჯდომარეობით.

სიმართლის მიჩქმალვა მოსალოდნელი იყო კომუნისტური ხელისუფლებისაგან, იგი ხომ ყოველივე ეროვნულის დამალვას ცდილობდა, მაგრამ ისეთ ავტორიტეტულ გამოცემას, როგორიცაა ენციკლოპედია, მიუხედავად ცენზურის ზეწოლისა, მსგავსი არაობიექტურობისათვის თავი უნდა აეცილებინა, მით უმეტეს, რომ მისი მთავარი რედაქტორი მრავალ წელს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ ნამოღვაწარი პოეტი იყო.

„ქართველ მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარის ამხანაგი (1917-1920)

შალვა დადიანი (1874-1959)



გამოჩენილმა მწერალმა, მსახიობმა და რეჟისორმა **შალვა დადიანმა** დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს მწერალთა კავშირის შექმნაში – მას მიანდვეს პირველი, დამფუძნებელი წესდების შედგენა.

რატომ მაინცდამაინც მას სთხოვეს ასეთი მნიშვნელოვანი საბუთის შექმნა?

იმიტომ, რომ მას უკვე მიღებული ჰქონდა გამოცდილება მსგავსი შემოქმედებითი ორგანიზაციის შექმნაში, როგორც 1893 წლიდან მსახიობად ნამოღვაწარს, 1912 წელს პირველი „მოგზაურთა დასის“ შემქმნელს და საქართველოში მსახიობთა პირველი პროფესიული ორგანიზაციის ჩამომყალიბებელს.

20-წლიანი სამსახიობო, სარეჟისორო მოღვაწეობის მქონე **შალვა დადიანს,** ბუნებრივია დაებადებოდა მსახიობთა ერთ შემოქმედებით ოჯახად გაერთიანების იდეა.

აი, როგორ იხსენებდა ამას ეს მსახიობი და მწერალი:

„... მე აზრად მომივიდა, რომ თბილისში მოგვეწყო ქართველ არტისტების და საერთოდ ჩვენს თეატრში მომუშავე ადამიანების ყრილობა.

ამისათვის წერილი დავბეჭდე მაშინდელ გაზეთ „ცნობის ფურცელში“. ამას სხვა მწერლები და არტისტები გამოეხმაურნენ და იმ ზაფხულს, მგონი, 1914-1915 წ. წ. შესდგა კიდეც ეს ყრილობა თბილისში. ყრილობის თავმჯდომარედ ავირჩიეთ ჩვენი დიდებული მწერალი აკაკი. პრეზიდიუმშიც აგრეთვე იყო არჩეული ჩვენი საზოგადო მოღვაწეები და თვალსაჩინო არტისტები, ყრილობამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მთელ საქართველოში, რადგანაც ეს იყო პირველი ყრილობა არათუ რომელიმე ოფიციალურ დაწესებულებებისა, არამედ შეკრება თეატრალური ხელოვნების გარშემო, იყო წაკითხული რამდენიმე მეტად საგულისხმო მოხსენება და აგრეთვე გაიმართა მეტად წესიერი, თითქმის აკადემიური პაექრობა ორატორებისა. სხვა ღონისძიებათა შორის ყრილობამ დაადგინა, რომ შექმნილიყო საქართველოს მსახიობთა პროფესიული კავშირი. დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ეს კავშირიც დაარსდა და ის მუშაობდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე“.[9]

აქ აუცილებლად უნდა ჩავურთო, რომ, ისე როგორც 1917 წელს შექმნილ საქართველოს მწერალთა კავშირზე, ვერც მსახიობთა პირველი ყრილობის მოწვევასა და მსახიობთა კავშირის შექმნაზე ვერ ნახავთ სტატიას ისეთ ავტორიტეტულ გამოცემაში, როგორიცაა „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“.

ბუნებრივია, მწერლების ყრილობაზე განხილული და შესწორებებით გაუმჯობესებული მწერალთა კავშირის დამფუძნებელი წესდების დამტკიცების შემდეგ მისი მთავარი შემდგენელი მწერალთა კავშირის პირველ, დამფუძნებელ თერთმეტკაციან საბჭოში შეეყვანათ და ამ საბჭოს 1917

წლის 22 ოქტომბერს „ქართველ მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარის ამხანაგად (მოადგილედ) აერჩიათ.

ცხადია, ცდება **იპოლიტე ვართაგავა,** როდესაც თავის მოგონებებში ამბობს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ მე ამირჩიესო.

ამ დროისათვის **შალვა დადიანს** „ქუჯის“ ფსევდონიმით გამოცემული ჰქონდა ლექსების წიგნი „ნაპერწკალი“ (1892), სახელგანთქმულ მსახიობობასა და რეჟისორობასთან ერთად იყო აღიარებული დრამატურგი — დაწერილი ჰქონდა პიესები: „მღვიმეში“ (1905), „როს ნადიმობდნენ“ (1907), „გუშინდელნი“ (1917), დაწყებული ჰქონდა პირველი და დიდი სახელის მომტანი რომანის „უბედური რუსის“ წერა (1916-1926), რისთვისაც საბჭოთა ხელისუფლებამ ბევრჯერ ჯვარს აცვა, რომანისთვის სახელწოდების შეცვლა („გიორგი რუსი“, „იური ბოგოლუბსკი“) არ აკმარა, 1952 წელს საქართველოს კპ XV ყრილობაზე პარტიის ცკ-ის პირველმა მდივანმა **აკაკი მგელაძემ („პატარა სტალინმა“)** ბრალი რუსების უპატივცემულობაში დასდო:

„სერიოზული პოლიტიკური შეცდომა იყო ქართულ და რუსულ ენებზე ხელახლა გამოცემა შალვა დადიანის მანკიერი რომანისა „გიორგი რუსი“, რომელიც დამახინჯებით, მრუდე სარკეში ასახავს რუსი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვან მეგობრობას, განმტკიცებულს უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ერთად დაღვრილი სისხლით“.

შალვა დადიანი „ქართველ მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა მწერალთა მეორე ყრილობამდე (1920, 4-6. IV).

ის შემდგომშიც ღირსეულ მოღვაწეობას ეწეოდა: 1921-24 წლებში გასაბჭოებული საქართველოს განათლების კომისარიატის სამმართველოში სათეატრო განყოფილებას განაგებდა, 1924-26 წლებში ქართული კულტურის სახლის დი-

რექტორი იყო მოსკოვში, 1927 წელს ხელს აწერს უპარტიო მწერლების განცხადებას მწერალთა კავშირისადმი — ახალი ლიტერატურული ჯგუფის **„არიფიონის“** შექმნის თაობაზე **ვასო გორგაძესთან, იოსებ ტატიშვილთან, პეტრე ქავთარაძესთან, გერონტი ქიქოძესთან, სანდრო შანშიაშვილთან, კონსტანტინე ჭიჭინაძესთან** და **მიხეილ ჯავახიშვილთან** ერთად, 1928 წელს **შ. დადიანი** წერს კომედიას, რომელმაც საქართველოს კომკავშირის X ყრილობაზე (1930.27.XII) რესპუბლიკის კომპარტიის ცეკას მდივნის **სერგო მამულიას** ეს მწარე სიტყვები გამოიწვია:

„რას ნიშნავს პასკვილური კომედიის „კაკალ გულში“ — დადგმა, რომელიც კლასიკური მტრის სარკაზმით დასცინის დაწინაურებას და საბჭოთა აპარატს. ამ კომედიაში თვითკრიტიკის ნიღაბქვეშ მეშჩანები და ობივატელები ხითხითებენ. აქ ფრთას შლიან მათი მტრული განწყობილებანი“.

არც 1931 წელს დაწერილი ტრაგედია „თეთნულდი“ მოუწონეს მწერალს, მაგრამ მისი თეატრალური მოღვაწეობის ჩაფარცხვას მოერიდნენ... 1934 წელს მიენიჭა „საქართველოს სახალხო არტისტის“ წოდება,[9ა] ამავე წელს, როგორც ქართველ მწერალთა დელეგატი, სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის მწერალთა ორგანიზაციის დამფუძნებელ ყრილობაზე მოსკოვში.

კომუნისტურმა წნეხმა კი თავისი საქმე მაინც გააკეთა — **შალვა დადიანი** იძულებული შეიქმნა ლენინ-სტალინის განმადიდებელი დრამა „ნაპერწკლიდან“ დაეწერა. ნიშანდობლივია, რომ ეს ავადსახსენებელ 1937 წელს მოხდა...

ამის გამოძახილია ეს ფუნაგორია: **„გენაცვალე „კაკალ გულში“, „ნაპერწკლიდან“ გაჩენილში“** (აპოლონ წულაძე, 1939,31,I).


ცხადია, ესეც იყო ერთ-ერთი მიზეზი, რომ ეს ბრწყინვალე თავადი არჩეული იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს ორი მოწვევის დეპუტატად (1937, 1946 წ. წ.).

1954 წელს გამოდის მისი რომანი „გვირგვილიანების ოჯახი“.

როგორც გამოცდილი დრამატურგი, ის დამსახურებულად აირჩიეს 1935 წელს მწერალთა კავშირში შექმნილი დრამატურგთა სექციის პირველ თავმჯდომარედ, ხოლო როგორც ღვაწლმოსილი თეატრალური მოღვაწე, 1950-1959 წლებში იყო თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე, სიცოცხლის მიწურულს კი დაგვიტოვა მოგონებათა ძვირფასი წიგნი „რაც გამახსენდა“ (1959).

შალვა დადიანის ნაწარმოებები 1921-53 წლებში 108 ათას ეგზემპლარად გამოიცა საქართველოში, უცხო ენაზე კი – 450 ათასი ტირაჟით.

გამოჩენილი თეატრალური მოღვაწე, ზემოხსენებული ქართული მწერლობის დამამშვენებელი ნაწარმოებების, აგრეთვე პოპულარული სასიმღერო ლექსების („მხოლოდ შენ ერთს“, „დავრდომილი სნეული“) ავტორი, დიდებული მოხუცი ქართველმა ხალხმა მთაწმინდაზე აამაღლა.



შალვა დადიანი,
ფოტო მიხეილ კვირიკაშვილისა.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

პოეტ სეზმან ერთაწმინდელის შესახებ, ზოგიერთ დღევანდელთა გასაგონად:

„მის პატარა წიგნაკს აწერია პოეტი-არწივი.

ვინ არ იცის, რომ არწივი ფრინველთა მეფეა.

თვითონ არწივმაც იცის ეს. მაგრამ მას იმდენი თავმდაბლობა შესწევდა, რომ თვითონ არ დაირქვა ეს სახელი, არამედ იცადა, სანამ ადამიანი დაარქმევდა.

ერთაწმინდელმა კი არავის არ უცადა, აიღო და თვითონ დაირქვა სახელი მეტად დიდი, მეტად საპატიო, მეტად პასუხსაგები და სახიფათო.

ფსევდონიმის არჩევაშიც ერთგვარი რიდია საჭირო“

ივანე გომართელი, სალიტერატურო შენიშვნები, „ცისარტყელა“, 1920. №6. გვ.73

* * *

2. „ქართველ მწერალთა კავშირის“ გარდაქმნა „საქართველოს მწერალთა კავშირად“ (1920-1926), მისი მესვეურები და მოღვაწეობა

ქართველ მწერალთა მეორე ყრილობამ (1920.4-6.IV), რომელიც იმითაცაა გამორჩეული, რომ **პაოლო იაშვილის** წინადადებით დააფუძნა მანამდე არსად არარსებული დღესასწაული „**პოეზიის დღე**“, მისი აღნიშვნა ყოველი წლის 7 მაისს და ამავე სახელწოდების ერთდროული გაზეთის გამოცემა — მიიღო ორგანიზაციული გადაწყვეტილებანი: მწერალთა კავშირს სახელი შეუცვალა, უწოდა **„საქართველოს მწერალთა კავშირი“** და თავმჯდომარეს რწმუნება გაუგრძელა, ხოლო ყრილობის შექმნილმა საბჭომ 9 აპრილს აირჩია თავმჯდომარის ორი მოადგილე (ამხანაგი).

„საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარის ამხანაგი (1920-1921)
აკაკი პაპავა (1890-1964)



1920 წლის ყრილობაზე შექმნილმა საბჭომ 9 აპრილს საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგად აირჩია დღეს ბევრისთვის უცნობი ღირსეული ადამიანი და ბელეტრისტი **აკაკი პაპავა**, რომელიც ჯერ კიდევ 1917 წელს დამფუძნებელმა ყრილობამ მწერალთა კავშირის პირველ 11-კაციან საბჭოში შეიყვანა.

მოგვიანებით, ემიგრაციაში იგი იხსენებდა: **„იმ მძიმე დროში კ. მაყაშვილი, „თავისუფალ მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარე, ოჯახური უბედურების და ეროვნული ტრაგედიის გამო (ბრძოლების დროს თბილისთან მოჰკლეს მისი ასული), დიდ მწუხარებაში განზე გადგა, ნერვებმა ვერ გაუძლეს და მწერალთა კავშირის მთელი მუშაობა მე დამაწვა, როგორც მეორე თავმჯდომარეს“.**[10]

რას წარმოადგენდა ის იმ დროს?

ჯერ სოციალ-რევოლუციონერთა (ესერთა), შემდეგ – ფედერალისტთა პარტიის წევრი **აკაკი პაპავა** იყო ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ერთგული მუშაკი, მისი თავგამოდებული დამცველი და აღორძინების მსურველი. აი, რას წერდა იგი 1917 წელს **იოსებ გრიშაშვილის** ალმანახ „ლეილაში“:

„... რა პატივს ჰყრიდა ნაზი ბულბული“, თუნდაც მისი გალია ოქროსი ყოფილიყო... გალია ხომ თუჯის ბორკილებისაგან დაელობათ, ვინ გაამტყუნებს ამ ბულბულს, რომ მარტო „დამიხსენით! ამაფრინეთ!“ იძახოს? თუნდ არამუსიკალურადაც.

ჩვენც ამას ვითხოვდით ქართული მწერლობისაგან — გალიიდან თავის დახსნა გვინდოდა მეტად.

და იმათაც, ვისაც დიდი ბუნება ჰქონდა, გასწირეს თავი და „თავისუფლების“ სიმღერით ამოიწურენ...

პოეზია, თანდათან, პრინციპთა კონკრეტიზაციას ემსახურებოდა, ლოზუნგებს სჭედდა მტრის დასაკოდად, მას განსაზღვრული მიზანი უფრო იტაცებდა, მინამ უმეშვეო განცდა ხელოვანისა.

პროპაგანდა მაღალ აზრებისა და ხელოვნება სინონიმებად იქცნენ: მეორემ ბევრი დაჰკარგა, პირველმა საკმაოდ ისარგებლა.

პიროვნება წაიშალა, ინდივიდუალური ხელოვნება გაჰქრა და პოეზიაში ჯგუფობრიობამ დაიმკვიდრა.

... ბოლოს სურათი სანუგეშოდ იცვლება: დიფერენციაცია ნორმალურად ვითარდება — პოეზიას პუბლიცისტიკიდან ეძევებიან და ხელოვნება საკუთარ ბუდეს იჩენს.

ახლა ვისხამთ ფრთებს, თვალს ვახელთ და ძნელია ბევრის მოთხოვნა.

მაგრამ ერთი აშკარაა, ძველი მანერის მწერალს ვერ მივიღებთ, მშრალი რიტორიკა წუთითაც ვერ გვატყვევებს...“

ახლა კი ვნახოთ, როგორ ახასიათებდა აკაკი პაპავას პავლე ინგოროყვას „კავკასიონი“ (1924 წ.):

„აკაკი პაპავა ნოველებსაც წერს და რომანებსაც, კრიტიკოსიც არის და დრამატურგი, საქართველოს ისტორიის მკვლევარიც და პოლიტიკური მოღვაწეც, მისი სამწერლო მოღვაწეობა ისეთი ფართო და მრავალმხრივია, რომ დიდი შესწავლა და მოხერხებული კალმოსნის ხელი სჭირდება“.

იგი იწყებს წერილების ბეჭდვას ქართულ ლიტერატურასა და თეატრზე (გაზ. „კოლხიდა“, 1993, №76; „ერი“, 1913, №47; „სახალხო ფურცელი“, 1916, №470-დან; „სახალხო საქმე“, 1920, №792-დან).

აკაკი პაპავას ესკიზს „მკრთალ სხივთა ძნა“ 1917 წელს დამსახურებული ჰქონდა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ყოველწლიური პრემია თავად ნ. ერისთავისა, 1918 წელს კი **კ. გამსახურდიას** ჟურნ. „პრომეთეში“ (№2-3) გამოქვეყნდა აკაკის რომანი „სოლლეიდორ“ (ოქროს მზე; იყო თბილისში ასეთი სახელწოდების ყვავილების მაღაზიაც **მიხეილ მამულაშვილისა,** სადაც ხშირად თავს იყრიდნენ მწერლები).[11]

ბუნებრივია, ასეთმა მწერალმა დაინტერესებული მონაწილეობა მიიღო „ქართველ მწერალთა კავშირის“ შექმნაში 1917 წელს და ისიც სამართლიანია, რომ ის შეიყვანეს ამ კავშირის პირველ თერთმეტკაციან საბჭოში.

1919 წელს აკაკი პაპავა შედიოდა **„სახელოვნო ცენტრში“**, 1921 წელს კი — მსგავს, მაგრამ უკვე საბჭოური განათლების სახალხო კომისარიატთან (განსახკომთან) დაარსებულ **„სახელოვნო კომიტეტში“** (თავმჯდომარე — **გრ. რობაქიძე**) ლიტერატურის განყოფილებას განაგებდა, რომლისგანაც, როგორც **პავლე ინგოროყვამ** ბრძანა, ჩამოყალიბდა გამომცემლობა **„ქართული წიგნი“**.[12]

1920 წელს გამოდის ა. პაპავას მოთხრობების კრებული.

აკაკი პაპავას ლიტერატურული წერილების („ფიქრები მშობლიურ ხელოვნებაზე“ „სახალხო ფურცელში“) საწუხარი იყო XX საუკუნის პირველი მეოთხედის ქართული მწერლობის ოსტატობის დაქვეითება და უმთავრესად წვრილ-წვრილი მოთხრობების, მინიატურებისა და ესკიზების მოძალება:

„ეხ, რარიგ გვწყურია რომანი, ჩვენი ცხოვრების სარკე, მისი ძარღვისცემა, მაგრამ... არ არის მწერალი, რომ მშრალი ენა გაგვისველოს, ცოტა გვასვას და წყურვილში ვიხოცებით, წყურვილი გვკლავს“.

აკაკი პაპავა თავადაც ვერ ასცდა იმ ეპოქის ქართული მწერლობის დამახასიათებელ ესკიზურობასა და მინიატურულობას.

ემიგრაციაში წასულმა საგულისხმო მოგონებები დაგვიტოვა გასაბჭოების პირველ წლებზე:

„განათლების კომისარიატი ბრიხნიჩოვის და ბოგდატიევის მეთაურობით სასტიკად გვიტევდა და ჩვენი კავშირი კომუნისტების სათარეშოდ უნდოდათ გაეხადათ. დატრიალდა ეულის მეთაურობით მათი სექტორი.

მაგრამ მტკიცედ, შეკრული დაუხვდა მათ მთელი ქართული მწერლობა და მებრძოლი საქართველო“.[13]

ა. პაპავა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ამხანაგად (ანუ მოადგილედ) მოღვაწეობდა 1920-1921 წლებში, 1921 წლის 9 აპრილს გამართულ საბჭოს სხდომამდე.

ერთხანს, მიუხედავად ემიგრაციაში ყოფნისა, „მნათობი“ ბეჭდავდა მის ნაწარმოებებს, რის გამოც პროლეტმწერალთა ლიდერმა **ბენიტო ბუაჩიძემ** ჟურნალის რედაქციას უსაყვედურა (გამგეობის სხდომა, 1929წ. ნოემბერი).

ა. პაპავას (მეუღლესთან, **თამარ პაპავასთან** თანაავტორობით), ეკუთვნის ბუენოს აირესში 1956 წელს გამოცემული საყურადღებო გამოკვლევა „მარიამ, უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი“.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — მუსიკა დიმიტრი არაყიშვილისა, პირველად შესრულებული იქნა 1921 წ. „პოეზიის დღეს“.

გალაკტიონ ტაბიძე, დღიურები, ჩანაწერები, ტ. 12, გვ. 376.

* * *

„საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარის ამხანაგი (1920-1921) ტიციან ტაბიძე (1895-1937)



მწერალთა მეორე ყრილობაზე (1920. 4-6, IV) შექმნილმა საბჭომ რამდენიმე დღის შემდეგ, 9 აპრილს კავშირის თავმჯდომარის კიდევ ერთ მოადგილედ აირჩია „ქართველ მწერალთა კავშირის“ შექმნის მოთავე, ამ ორგანიზაციის დაფუძნების სათავესთან მდგომი, მისი 11-კაციანი პირველი საბჭოს წევრი, „ცისფერყანწელთა“ წარმომადგენელი, **„ყანწელთა ნამდვილ მეთაურად ქცეული“**, **„მეფე და ბავშვი“** (პაოლო იაშვილი), **„გულზე მიბნეული მიხაკით, პოეტური ღერბით, მისი ალამით“** (გიორგი ლეონიძე) მკერდდამშვენებული **„თბილისის პოეტური მერი“** (პავლე ანტოკოლსკი), **ტიციან ტაბიძე**.*

ტიციანი თავის მოგონებაში (გაზ. „რუბიკონი“, 1923. №14), ეხებოდა რა 1920 წ. აგვისტოს, წერდა: ამ დროს საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი ვიყავიო.

იმ აგვისტოს დღეებში ბათუმში მყოფმა ტიციანმა თავისი, როგორც პოეტის და მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის ავტორიტეტით დახვრეტას გადაარჩინა რუსეთის აგენტად მიჩნეული ცნობილი რუსი პოეტი **ოსიპ მანდელშტამი**. მაგრამ, როდესაც ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ო. მანდელშტამმა აგდებულად მოიხსენია

---

* („ტიტე ტაბიძე... იმხანად მოსკოვის უნივერსიტეტში სწავლობდა. თბილისში რომ დაბრუნდა, ტიციან ტაბიძედ მოინათლა“ – ნინო ტაბიძე, „ტიციანი და მისი მეგობრები“, თბ., 1985).

საქართველო, ტიციანმა მას მკაცრი პასუხი გასცა წერილში „მოგზაური ჭონტოლი“.[14]

ანკი როგორ მოითმენდა თავისი ძვირფასი სამშობლოს შეურაცხყოფას?! ის ხომ ჯერ კიდევ შემოქმედებითი გზის დასაწყისში – „ლექსის მაწონის შედედების“ შედგომისას, 1914 წელს აცხადებდა საქართველოს ბედით დაინტერესებულობას:

საქართველოთი ვინ არ დამწვარა,
ან ვინ არ სტირის საქართველოზე.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეობის დროს **ტიციან ტაბიძე** გაზ. „ბარრიკადის“ რედაქტორი იყო (1920-1922), ხოლო 1921 წლის მარტში შეიყვანეს ახალშექმნილი „ხელოვანთა კავშირის“ მთავარ კომიტეტში.

ტიციანი (ისევე, როგორც **აკაკი პაპავა**) თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა 1921 წლის 9 აპრილამდე, როდესაც საბჭომ ისევ გაუგრძელა მოადგილის მანდატი.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია

მწერალთა კავშირის საბჭოს 1921 წლის 9 აპრილის სხდომამდე, როდესაც **აკაკი პაპავას** თავმჯდომარის მოადგილეობა შეუწყვიტეს, ხოლო **ტიციან ტაბიძეს** გაუგრძელეს – ამ მწერლებს, მათ თანამოკალმეებსაც და თანამოქალაქეებსაც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის სიმწარის განცდასთან ერთად საბჭოთა ხელისუფლებისა და ლიტერატურაში მის დასაყრდენ, მისივე წაქეზებით – ნამდვილ მწერლობას თქვენ ქმნითო – გასულდიდებულ-გაყოყოჩებულ, გრაფომანობის ავადმყოფობით შეპყრობილ პროლეტარულ მწერლებთან შეხვედრის ელდის გადატანა მოუწევთ.

1921 წელს საქართველოს ხელისუფლებაში წითელი რუსეთის ხიშტებით მოსულმა ბოლშევიკებმა, ისევე როგორც ლენინის რუსეთში, ჩვენს ქვეყანაშიც ბევრ სხვა ფასეულობასთან ერთად წინაპართა მიერ შექმნილი მწერლობაც უარ-

ყვეს, ლიტერატურაში დაეყრდნენ და მორალურად, იურიდიულად თუ მატერიალურად მხარი დაუჭირეს პროლეტარიატის წრიდან გამოსული ახალგაზრდების **მწერლობაში გაწვევას,** თან მათ შთააგონეს ნამდვილად ღირებული მხატვრული ლიტერატურა, პროლეტარიატისთვის გამოსადეგი მწერლობა თქვენ უნდა შექმნათო და მათ დააწყებინეს სხვა, არაპროლეტარული წარმოშობის მწერლების საბჭოთა თემების დამუშავებაზე გადაყვანა, მათი რევოლუციის **„თანამგზავრ“, „მოკავშირე“,** ბოლოს კი **„საბჭოთა მწერლებად“** გარდაქმნა.

აქედან დაწყებული, მიუხედავად დაქადნებისა — **„არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენ დამწყები ვართ კაცობრიობის ისტორიაში ოდესმე არსებულ მწერლობათა შორის ყველაზე ძლიერი, ყველაზე უდიდესი მწერლობის“ (ბენიტო ბუაჩიძე)** — პროლეტარული მწერლები ათი წლის განმავლობაში ღირებულს ვერაფერს შექმნიან, მაგრამ დასახული მიზნის მეორე ნაწილს უხეში პირდაპირობით შეასრულებენ: ჭეშმარიტ მწერლებს ზოგს აიძულებენ საბჭოთა თემატიკაზე, ან მწერლობის ისტორიის კვლევაზე, ანდა თარგმნაზე გადავიდნენ, სხვებს მწერლობას საერთოდ ჩამოაცილებენ, ყველას კი სიცოცხლესაც ჩაუშხამებენ და პოეტურ შთაგონებასაც მოუწამლავენ...

ამ მწერლების ორგანიზაციული გაერთიანება 1921 წლის მიწურულს, დეკემბერში მოხდა.

პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას (ხან რომ კავშირს ეძახდნენ) ადრე ხელმძღვანელობდნენ პროლეტარულ მწერალთა პირველი თაობის პოეტები **სილიბისტრო თოდრია** (1921), **სანდრო ეული—ქურიძე** (1922-1924) და **ნოე ზომლეთელი-ქურიძე** (1925-1926)*. 1926-1931 წლებში პროლეტარულ მწერლებს უძღვებოდა კრიტიკოსი **ბენიტო (მირიან) ბუაჩიძე,** შემდეგ: **პანტელეიმონ ჩხიკვაძე** (1931), **შალვა რადიანი** (1931-1932).

---

* ზოგს ისინი ძმები ჰგონია, მაგრამ სანდრო ქიშვარდის ძე იყო, ნოე კი — ალმასხანისა.

* * *

ახლა ისევ მთავარ სამწერლო ორგანიზაციას დავუბრუნდეთ.

1921 წლის მარტის დასაწყისში კომუნისტურმა ხელისუფლებამ მწერალთა კავშირს და „ხელოვანთა კავშირის“ მთავარ კომიტეტს სარგებლობაში გადასცა, მკვლევარ **ზეინაბ ლომჯარიას** მიერ „საისტორიო მოამბეში“ (1993-94 წ. №65-66) მოპოვებული ცნობის მიხედვით, **დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის** დებისგან ცნობილი მრეწველისა და საზოგადო მოღვაწის, **აკაკი ხოშტარიას** მიერ 1919 წელს შეძენილი **დავით სარაჯიშვილისეული** სასახლე.[15]

ზემოხსენებული „ხელოვანთა კავშირი“ სწორედ იმ დღეებში შეიქმნა გასაბჭოებულ საქართველოში და მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობასთან ერთად **კ. მაყაშვილი,** ახალშექმნილი „ხელოვანთა კავშირის“ მთავარი კომიტეტის თავმჯდომარედაც აირჩიეს.

მაგრამ გასაბჭოებისას რუსეთის მე-11 არმიასთან ბრძოლებში ქალიშვილის, მოწყალების დის **მაროს** დაღუპვით კოტე მაყაშვილი დეპრესიაში იყო ჩავარდნილი.

ასეთ ვითარებაში მისი მდგომარეობის შესამსუბუქებლად, მწერალთა კავშირის საქმეებიდან რამდენადმე გასათავისუფლებლად, 1921 წლის 9 აპრილს მწერალთა კავშირის საბჭომ კავშირის ოპერატიულად გასაძღოლად ახალი პრეზიდიუმი შექმნა: **ალექსანდრე აბაშელი** (პრეზიდიუმის თავმჯდომარე), **ტიციან ტაბიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი** (თავმჯდომარის ამხანაგები) (ლბცსა, 8-1-9).

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ, რა თქმა უნდა, **კ. მაყაშვილი** რჩებოდა, ეს პრეზიდიუმი კი მწერალთა კავშირს უძღვებოდა იმავე 1921 წლის 9-12 ოქტომბერს გამართულ მესამე ყრილობამდე.



ირაკლი ოჩიაური ლურჯა ცხენები

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელები საბჭოთა პერიოდში (1921.9.IV - 1921.9-12.X.):


საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე (1921.9.IV - 1921.9-12.X) ალექსანდრე აბაშელი (ისაკ ჩოჩია) (1884-1954)

აკადემიური მწერლობის ძირითადი ბირთვის წარმომადგენელი, დახვეწილი პოეტი, ეროვნულ ნიადაგზე მყარად მდგარი პატრიოტი, დამოუკიდებელი საქართველოს ერთგული მოქალაქე და სპეტაკი ადამიანი **ალექსანდრე აბაშელი** ღირსეულად უძღვებოდა მწერალთა კავშირს, მესამე ყრილობაზეც (1921. 9-12.X) ის წარსდგა საანგარიშო მოხსენებით, როგორც მწერალთა კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.


მოვა დრო და მას 1923 წელს ერთხელ კიდევ აირჩევენ მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ.





მწერალთა სასახლე. ხედი ბაღიდან.



მწერალთა სასახლე. ბიბლიოთეკის სამკითხველო (ყოფილი სასადილო) დარბაზი.







სურათები მოგვაწოდა მარიამ ჩაჩიბაიამ.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე (1921.9.IV-1921.9-12.X) ტიციან ტაბიძე



ტ. ტაბიძეზე, როგორც 1920 წლის აპრილში, მწერალთა მე-2 ყრილობაზე შექმნილი საბჭოს მიერ არჩეულ მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ამხანაგზე, უკვე ვისაუბრეთ.

ახლა, 1921 წლის 9 აპრილიდან მან ისევ განაგრძო ამ თანამდებობაზე მოღვაწეობა...

ამ ხანებში ბოლშევიკური რუსეთის მიერ, **სტალინისა** და **სერგო ორჯონიკიძის** დაჟინებით, დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობით თავზარდაცემული ტიციანი 1921 წელს დაწერილ და 1922 წელს ჟურნალ „მეოცნებე ნიამორებში“ (№7) დაბეჭდილ ლექსში „ცხენი ანგელოსით“ კაცსა და ღმერთს შესჩიოდა:

აქ რომ სტიროდა ამირანი, ვინ გააპარა?
აქ რომ სტიროდა რუსთაველი, ვინ გააჩუმა?
აქ რომ იბრძოდა სააკაძე, ვინ დააკავა?
სწორი ხერხემალი — დროშის ტარი ქიმერიელთა,
სწორი ხერხემალი — დროშის ტარი თეთრი გიორგის
ვინ გადატეხა?

მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე (1921.9.IV–1921.9-12.X)

ვახტანგ კოტეტიშვილი (1893-1938)



1921 წლის 9 აპრილს საბჭომ პრეზიდიუმის თავმჯდომარის ალ. აბაშელის მოადგილედ აირჩია კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე, აკადემიური მწერლების ძირითადი ბირთვის წარმომადგენელი, საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოტრფიალე **ვახტანგ კოტეტიშვილი.**

ამ თანამდებობაზე მანაც მწერალთა მესამე ყრილობამდე (1921 წ.) იმუშავა.

აი, როგორი იყო ვ. კოტეტიშვილის მოქალაქეობრივი მრწამსი მისი მოადგილეობისას, დამოუკიდებელ საქართველოში თუ გასაბჭოების პირველ თვეებში, როდესაც პირველი მსოფლიო ომიდან რუსეთის გამოთიშვის გამო თურქეთის ფრონტიდან მოსკოვისკენ დაძრული ეშელონებიდან ბევრი რუსი ჯარისკაცი, აგრეთვე, ბოლშევიკების სისასტიკეს გამორიდებული რუსები თუ სხვა ეროვნების ადამიანები საქართველოში აპირებდნენ დალექვას, როდესაც არსებობდა საქართველოს დამოუკიდებლობის და თავისუფლების დაკარგვის საფრთხე:

„გაბსოვდეთ, რომ ყოველი ლტოლვილის საქართველოში დასახლება იქნება იმ ეროვნული შუღლის დათესვა, რომელიც დღევანდელ პირობებში ადვილად ჰხარობს და მალე მოსამკელად მივიღებთ „ინტერნაციონალის“ ყვავილებს კი არა, ეროვნული ანტაგონიზმის ეკლებს“;

„თუ დღევანდლამდე ჩვენი ფორმულა იყო: „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდესო“, დღეს ჩვენი თავისუფლების დაცვის ფორმულა ასეთია: ჩვენს თავს ჩვენვე უნდა ვუპატრონოთ;

... ჯერ კიდევ ბევრჯერ შეეცდებიან ტკბილი სიტყვით თუ იარაღით ჩვენს ჩათრევას რუსეთის მორევში, მაგრამ საქართველო მუდამ გამარჯვებული იქნება.

ამაოდ სცდილობენ. მეოცე საუკუნე ერთა განთავისუფლების საუკუნეა და ამ პროცესს ვერ შეაჩერებს ვერც შავი და ვერც წითელი იმპერიალიზმი".

შემდეგაც, როცა ეს უბედურება მოხდა, ვ. კოტეტიშვილს არა და არ ეთმობოდა წართმეული დამოუკიდებლობა, იმავე გაზ. „სოციალისტ-ფედერალისტში" წერდა:

„საქართველოს მშრომელი ხალხი აიტანს შიმშილს, სიცივეს, შავ ჭირს, თვით სიკვდილის წინაშეც კი არ შედრკება, მაგრამ თავისი ქვეყნის თავისუფლებას და დამოუკიდებლობას არ დასთმობს არასოდეს".

ასევე უერთგულა მწერალთა კავშირს, 1921 წლის მარტიდან ორად გახლეჩილი მწერალთა კავშირის გაერთიანებისათვისაც დიდად იზრუნა და გაერთიანების ოქმზე ხელიც მოაწერა 1923 წელს.

შემდგომ წლებში წარმატებით მოღვაწეობდა ლიტერატურათმცოდნეობასა და ლიტერატურის ისტორიაში, ეროვნული მწერლობის კომუნისტურ-საბჭოურ გზაზე დასაყენებელი მწერალთა ორგანიზაციის შესაქმნელ 1926 წლის ყრილობაზე კი ვ. **კოტეტიშვილმა** განაცხადა:

„გვინდა ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო იმ უნდობლობას, რომელიც საქმიანობის საშუალებას არ გვაძლევს".[16]

რა თქმა უნდა, ხელისუფლების წარმომადგენლებს არ მოეწონათ – მუშაობის საშუალება მოგვეცითო. ეს ყრილობა ხომ ეროვნულ მწერლებს მხოლოდ საბჭოურ-კომუნისტური საქმიანობის გზას უტოვებდა და გეზის მისაცემ ხელმძღვანელად ნაკლებ ნიჭიერ მწერლებს უნიშნავდა..

როგორც მამაზე შექმნილ **წიგნში ვახუშტი კოტეტიშვილი** გადმოგვცემს, **„საქართველოში შექმნილმა მდგომარეობამ**

ვახტანგი აიძულა შეშვებოდა ყოველგვარ საზოგადოებრივ მოღვაწეობას და მთლიანად მეცნიერულ-შემოქმედებით და პედაგოგიურ საქმიანობაში ჩაფლულიყო. იგი თანდათანობით ჩამოშორდა მწერალთა, მხატვართა, მთიელთა და სხვა კავშირებს, ხელოვნების მთავარ კომიტეტსა თუ სხვა სამთავრობო ორგანიზაციებს, ვინაიდან იქ ყოფნა იმას ნიშნავდა, რომ საჯარო კრებებზე სხვებთან ერთად უნდა დაგეგმო და გელანძღა ე.წ. „ხალხის მტრები“.

მაგრამ, **პაოლო იაშვილის** მამის მიერ შვილისთვის ნათქვამი სიტყვით რომ გამოვხატოთ, ვახტანგი ისევ მეტის-მეტად ხმაურობდა. ამას ვახუშტიც ადასტურებს:

„პარტიულ-კომკავშირელთა ჯიბრზე და მათი გულების გასახეთქად თეთრად გახამებული პერანგის საყელოზე ისევ ტრიუმფალურად ფრიალებს ვახტანგის შავი ბაფთა. მის სულში კვლავ ეტოქებიან აპოლონი და დიონისე, მუზა და „დუენდე“. მის ძარღვებში კვლავ ვნებიანად დაიკლაკნება „სისხლის მდინარის ნეპტუნი თავის შემზარავი სამკაპით“ (რ.მ. რილკე). ვახტანგი მაინც ძველებური ვახტანგია — გეოლოგიურ-კოსმოსური ენერგიის ჰომომორფული განსახიერება“.

საზოგადოებამ ისიც უნდა იცოდეს, როცა დიდი ისტორიკოსი **ივანე ჯავახიშვილი** და დიდი პაპირუსოლოგი **გრიგოლ წერეთელი** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გამოაძევეს, **ვახტანგ კოტეტიშვილის**, როგორც საქართველოს მუზეუმის დირექტორის მოადგილის, თაოსნობით ის და მისი თანამშრომლები, ვისაც რამდენი შეეძლო, გაუმჟღავნებლად, თანხას დებდნენ სამსახურიდან დათხოვნილი პროფესორების ყოველთვიური ხელფასისთვის, ხოლო ამ უკანასკნელთ უხერხულობა რომ არ ეგრძნოთ, მათ მუზეუმის მთავარ კონსულტანტებად გაფორმების საბუთიც კი გადასცეს.[17]

ვახტანგმა საბჭოურ დროში პირველად შექმნა XIX ს. ქართული ლიტერატურის ისტორიის სამტომეული: I — 1925, II — 1926, III — 1927; 1920 წლიდან თბილისის სა-

ხელმწიფო უნივერსიტეტში შემოიღო პოეტიკის კურსი, დიდი ამაგი დასდო ქართულ ფოლკლორს (1926 წლიდან თსუში კითხულობდა ფოლკლორის კურსს). არც ქართულ ხელოვნებას აკლებდა ყურადღებას — სამხატვრო აკადემიის დამთავრებიდან (1928) იქვე კითხულობდა ქანდაკების თეორიასა და ისტორიას, ძერწავდა ქანდაკებებს. 1924-29 წლებში იყო მხატვართა საზოგადოების თავმჯდომარე.

რა თქმა უნდა, ვინ დაინდობდა კომუნისტების მოძულეს, თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოზე მეოცნებეს.

ვინ აკმარებდა გაკრიტიკებას, დატუქსვას, ხელმძღვანელად უცოდინარი მეცნიერის დასმასთან შეუგუებლობას...

და საშინელ დღეში ჩაგდების, სასტიკი წამების შემდეგ კიდევაც დახვრიტეს 1938 წელს.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„ჩვენ ვიცით მაგალითები, როცა ერი პოლიტიკურ ფრონტზე მარცხდება, იგი კულტურულ ფრონტზე მიაბჯენს ყველა თავის სასიცოცხლო ძალებს. დღეს ჩვენში გააფთრებული მუშაობა უნდა იყოს საქართველოში, კულტურული საალყო წესები უნდა იყოს გამოცხადებული და კულტურული დიქტატურა. ჩვენთვის დღეს პირდაპირ არსებობის საკითხია ქართული კულტურის ფრონტის გაძლიერება“

კონსტანტინე გამსახურდია
„სოციალ-ფედერალისტი“,61921. №70

* * *

„საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილეები საბჭოთა პერიოდში გამართული მწერალთა მესამე ყრილობიდან (1921. 9-12, X)* კავშირის საბჭოს 1922 წლის 29 დეკემბრის სხდომამდე:

„საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილე (1921-1922)
იოსებ გრიშაშვილი (1889-1965)



აკადემიური მწერლების ძირითადი ბირთვის წევრი, სატრფიალო ლექსების წერით სიყვარულის მომღერალ პოეტად აღიარებული მგოსანი და მკვლევარი (წიგნი „საიათნოვა“, 1918), ალმანახ „ლეილას“ გამომცემელ-რედაქტორი (I-1917; II-1920; III-1924) **იოსებ გრიშაშვილი** მწერალთა მესამე ყრილობის (1921. 12. X) მიერ შექმნილმა საბჭომ 1921 წლის 23 ოქტომბერს აირჩია „საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილედ.[18]

ამ დროისთვის ის იყო პოპულარული მგოსანი, **„ქართული სიტყვის მხატვარი და ხუროთმოძღვარი“ (ივანე გომართელი)**. მაგრამ ყველას რომ ეგონა ი. გრიშაშვილი მხო-

---

* ა) აქიდან დაწყებული 1954 წლამდე ყრილობები იმართებოდა მწერლებისთვის 1921 წლის თებერვლის მიწურულს გადაცემულ სასახლეში (ივანე მაჩაბლის ქ. 13).

ბ)როცა მითითებულია ყრილობათა, გამგეობისა და პრეზიდიუმის სხდომების გამართვის თარიღი, იგულისხმება, რომ ამ მასალათა მოძიება შესაძლებელია ლიტერატურისა და ხელოვნების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ლხცსა), მწერალთა კავშირის ფონდში – 8, რომელიც, სხვათა შორის, დაამუშავა ქალბატონმა **დოდო ბარამიძემ**.

ლოდ ლექსის ჩამოქნას გადაყოლილი პოეტია (**„ფიცულობს ლექსის თვრამეტ სამყაროს და დაუბეჭდავ რითმების კონას“ – მარიჯანი,** 1921), ქალის სილამაზის, ეროტიული გრძნობების მომღერალიაო, – გამოირკვა, რომ მას ეროვნული ტკივილიც საკმაოდ აწუხებდა: ის 1912 წელს დაწერილი იმ ლექსის ავტორი იყო, 1921 წლის თებერვლის ტრაგედიის შემდეგ ოდნავ გადაკეთებულად რომ მღეროდა ხალხი: **„სიზმრად ვნახე – საქართველო სისხლის ზღვაში ბანაობდა და დროშა კი დაფლეთილი კოჭრის მთაზე ქანაობდა“;**

იოსები ის პატრიოტი იყო, 1914-ში სამშობლოს რომ შეჰღალადებდა – **ოღონდ აღსდეგ, მომავალს ერთად მივესალმოთო,** ის გულნატკენი ქართველი იყო, 1915-ში ეს სიტყვები რომ აღმოხდა: **„ვის შეუძლია ცილი დამწამოს, ვის შეუძლია მითხრას ართქმული, რომ არ მიყვარდეს ჩემი სამშობლო, ჩემი ერი და ჩემი მამული“,** ის საქართველოს ერთგული ჯარისკაცი იყო, 1917 წელს ღვაწლმოსილი მსახიობის **ვალერიან გუნიას** იუბილეზე ეს მრისხანე სიტყვები რომ წაიკითხა:

მაგრამ ჩვენ კი ფიცს ვდებთ.. ფიცს, ფიცს,
რომ არავის მივცემთ ნებას –
საქართველოს, ქართველების
ჩაწიხლვას და დაკნინებას.

ხოლო საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ერთიმეორის მიყოლებით წერს პატრიოტულ ლექსებს, მათ შორის დამოუკიდებლობის სიხარულის გამომხატველ „საქართველოს ზადიკს“, 1918 წელს საქვეყნოდ გაცხადებულ სიტყვებს: **„მეც არ მასვენებს საქართველოს დარდი და ბოლმა“**, 1919 წელს ბათუმის დაკარგვის შიშით ამოთქმულს – „ბათუმისათვის“:

... და უნდათ რომ საქართველო
– ეს პატარა ნატვრის თვალი
კვლავ გაბადონ სხვისი მონა

მორჩილი და შენამკრთალი.
არასოდეს! ვიდრე ზეცა
არ შეწყვიტავს მზის ჩანჩქერებს,
ვიდრე მტკვარი თავის ტალღებს
არ მოსპობს და შეაჩერებს,
ვიდრე ერთი ქართველიც კი
სამშობლოსთვის ასე ზრუნავს,
არ მოკვდება საქართველო,
მაინც ბრუნავს... მაინც ბრუნავს.

იოსები ფედერალისტთა პარტიის წევრი იყო. გასაბჭოების დღეებში დამპყრობელთა ზიზღსა და სიძულვილში ბევრი ვერ შეედრებოდა წყეული 1921 წლის ავადმოსაგონარი 25 თებერვლის კვალდაკვალ დაწერილ ლექსს „ახალ ხელისუფლებას“ (იგივე „ქართველ ბოლშევიკებს“, „რუსული ჩექმა“), რისთვისაც მეტეხის ციხეში გამოამწყვდიეს.

შალვა დადიანი იგონებდა: („რაც გამახსენდა“): **„ზოგიერთი ჩვენი მწერალი და მათ შორის გრიშაშვილიც დაატუსაღეს. კოტე (მაყაშვილი, რ. კ.) გაემართა მთავრობისაკენ და მეც თან წამიყვანა.**

... დიდი ზრდილობით მიგვიღო ცინცაძემ (კოტე ცინცაძე — საქართველოს „ჩეკას“ უფროსი, რ. კ.), ძალიან თავაზიანად მოგვისმინა და როდესაც ავუხსენით, რომ დატუსაღებულებს არავითარი პოლიტიკური დიდი დანაშაული არ მიუძღოდათ, მაშინ გვკითხა, ვინ უთავდებებს იმათ, რომ თუნდაც ასეთ არა დიდ დანაშაულს აღარ ჩაიდენენო, მაშინ კოტემ დიდის რიხით განუცხადა, რომ თავმდები მე და შალვა ვართო. ამაზე ცინცაძეს გაეცინა, შემოგვხედა და გვითხრა: „თქვენ კი გენდობითო?“ ამაზე დავინახე, რომ მაყაშვილი გაფითრდა, მე კი გამელიმა, მაგრამ ... უთუოდ ეს ღრეჭა უფრო იყო, ვიდრე ღიმილი, მაგრამ თავისუფლად ამოვისუნთქეთ კოტემ და მე მაშინ, როდესაც ცინცაძემ ჩვენი თანდასწრებით ტელეფონით უბრძანა, რომ ტუსაღები გაენთავისუფლებინათ“.

გასაბჭოებიდანვე, როცა 1921 წელს („კომუნისტი“, №84) **ნოე ზომლეთელმა** პასკვილური ლექსით აბუჩად აიგდო, საკმაოდ ნარეკლიანი აღმოჩნდა **ი. გრიშაშვილის** შემოქმედებითი გზა, პროლეტმწერალთა მემარცხენე ფრთა ბინძურ სიტყვებს არ იშურებდა მის სალანძღავად (***ფრიდონ ნაროუშვილი:*** *„დღეს იმის ლექსებს კრიტიკოსები ებრძვიან როგორც პროსტიტუციას“*), ვიდრე ჩვეული ოსტატობით დაწერილი რამდენიმე სახოტბო ლექსით გული არ მოულბო ადგილობრივ (ლ. ბერია) თუ საკავშირო (ი. სტალინი) ბელადებს...

ნუ ჩაიქირქილებთ!... თავს გამოუტყდით – უფრო ივაჟკაცებდით, იმ ბელადების კი არა, ჯალათების ხელში?!..

იოსებ გრიშაშვილი 1922 წლის მიწურულს, 29 დეკემბერს, ამ თანამდებობაზე ხელახლა დატოვების შემდეგ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა 1923 წლის აპრილში გამართულ მწერალთა მეოთხე ყრილობამდე.

„საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილე (1921-1922)
ლეო ქიაჩელი (ლეონ შენგელაია) (1884-1963)



ლეო ქიაჩელს უკვე ცხოვრებისა და მოღვაწეობის სოლიდური გზა ჰქონდა გავლილი, ვიდრე 1917 წელს „ქართველ მწერალთა კავშირის“ შექმნაში მიიღებდა მონაწილეობას:

1905-06 წ.წ. რევოლუციაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებული და 1907წ. ქუთაისის ციხიდან გაქცეული ერთხანს (1908-12წწ.) კომერციულ ინსტიტუტში, შემდეგ კი შვეიცარიაში ჟე-

ნევის უნივერსიტეტში სწავლობდა, სწორედ იქ, 1915 წელს დაწერა თავისი პირველი რომანი „ტარიელ გოლუა“ საქართველოს 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის ამბებზე, რისთვისაც 1917 წ. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავად ნ. ერისთავის სახელობის ყოველწლიური პრემია მიანიჭეს.

ერთი სიტყვით, 1909 წლიდან სამწერლო ასპარეზზე გამოსული, 1917 წლისთვის უკვე ცნობილი მწერალი იყო, როდესაც ჯერ ქართველი მწერლების შემოქმედებითი ორგანიზაციის დამფუძნებელი ყრილობის მოსამზადებელ კომისიაში შეიყვანეს, იმავე წელს ოქტომბერში კი ახალშექმნილი „ქართველ მწერალთა კავშირის“ პირველ, დამფუძნებელ, 11-კაციან საბჭოში აკადემიურ მწერალთა ერთ-ერთ წარმომადგენლად შევიდა, ხოლო მწერალთა მესამე ყრილობაზე (1921. 9-12. X) შექმნილმა საბჭომ 1921 წ. 23 ოქტომბერს **იოსებ გრიშაშვილთან** ერთად „საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარის, **კოტე მაყაშვილის** მოადგილედ აირჩია.[19]

თავმჯდომარის მოადგილეობასთან ერთად **ლ. ქიაჩელი** 1923 წელს რედაქტორობდა მწერალთა კავშირის გაზეთ „ლომისს“.

ლ. ქიაჩელი მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა 1922 წ. 29 დეკემბრამდე.

შალვა დადიანი (შარმან დოულე) თავის „ანბანთქებაში“ (ანუ საანბანო ჭეშმარიტებანი) მისი თანამოკალმე ამ დახვეწილი ოსტატისაგან მეტ ნაყოფიერებას ნატრობდა: **„ქიაჩელი ლეო – მეიშვიათე რომ არ იყოს, ვაჰ რა კარგი იქნებოდა“.**

შემდეგ წლებში მან ქართულ მწერლობას შესძინა რომანები: **„სისხლი“** (1926-27), 1936 წელს დაწერილი და 1941 წელს ახალდაწესებული სტალინური პრემიით დაჯილდოებული **„გვადი ბიგვა“** და მეორე მსოფლიო ომში დაკარგული შვილის ტკივილჩაყოლებული **„მთის კაცი“ (1948),**

აგრეთვე, კრიტიკოს **ნოდარ ჩხეიძის** შეფასებით, სრულქმნილი ნოველები:

„გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ „ალმასგირ კიბულან“, „ჰაკი აძბა“ და „თავადის ქალი მაია“ სამი შედევრია მოთხრობის ისტორიაში. სამივე მოთხრობა დიდი კულტურის, გემოვნებისა და მოულოდნელად ძლიერი ტემპერამენტის დადასტურებაა“.[20]

ლეო ქიაჩელი იყო დელეგატი (სათათბირო ხმით) 1934 წ. მოსკოვში ჩატარებული საკავშირო ყრილობისა.

ნიკა აგიაშვილი იხსენებდა:

„ლეო ქიაჩელი ყოველთვის დინჯად იჯდა კრებებსა და სხდომებზე... კამათში გამოსულიც დინჯი და აუღელვებელი იყო. მაგრამ ხანდახან, როცა არ მოეწონებოდა რომელიმე ახალგაზრდა ორატორის, ანდა თავისივე მეგობარი მწერლის ტონი ან რაიმე უშნო გამოხდომა, წონასწორობას არ კარგავდა, მაგრამ სათვალიდან გადმოხედავდა აუდიტორიას და ჩაიდუდუნებდა: „Все темнее и темнее становиться мир“ (სულ უფრო ბნელდება და ბნელდება ქვეყანა).[21]

საქართველოში ლ. ქიაჩელის რომანები და მოთხრობები 1921-53 წლებში 230 ათასი ცალი გამოვიდა ქართულად, ხოლო უცხოეთში — 700 ათასზე მეტი. მათი ავტორი კი მთაწმინდაზე განისვენებს...

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ჰქონდა „წესი უგანათლებულეს თავადის გრიგოლ დადიანის პრემიის მიცემისა“ (გაზ. „ამირანი“, 1908.3.IX. №148).

1900-1910-იან წლებში არსებობდა ამ საზოგადოების სამი პრემია:

1. **გრიგოლ დადიანის** ორი პრემია 400-400 მანეთის ოდენობით (3.000 მანეთის პროცენტებიდან) — გაიცემოდა 3 წელიწადში ერთხელ;

2. **ნიკოლოზ ერისთავის** პრემია (10.000 მანეთის პროცენტებიდან) — გაიცემოდა წელიწადში ერთხელ (სწორედ ეს პრემია მიანიჭეს **ლეო ქიაჩელს**);

3. **ნიკო ღოღობერიძის** ორი პრემია 300-300 მანეთის ოდენობით (11.306 მანეთის პროცენტიდან). გაიცემოდა წელიწადში ერთხელ.

პრემიები ენიჭებოდათ ქართული ენის, ისტორიის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიისა და ლიტერატურის თხზულებებისათვის („სახალხო საქმე“. 1917).

* * *

აქ უნდა შევჩერდეთ ერთ გაუთვალისწინებელ ნაბიჯზე, რაც გამოიხატა ახალი სამწერლო დაჯგუფების შექმნასა და ამით გამოწვეულ კიდევ ერთი ლიტერატურული მრწამსის გამოკვეთაში.

„ახალი მწერლობის კავშირი“

აუცილებელია ორიოდე სიტყვა ითქვას მწერალთა კავშირის გათიშვაზე, მართალია მოკლევადიან, მაგრამ მაინც, განსაკუთრებით იმ დროისთვის, არასასურველ გახლეჩაზე:

გასაბჭოების წელსვე, 1921 წლის ოქტომბერში გამართული მწერალთა მესამე ყრილობის შედეგად შექმნილ საბჭოსა და პრეზიდიუმში ვერ მოხვდა ძველი საბჭოსა და პრეზიდიუმის ზოგიერთი წევრი (მაგალითად, პრეზიდიუმს მიღმა დარჩა პ. იაშვილი). მიზეზად დასახელდა ბულალტერიის წარმოებაში სარევიზიო კომისიის მიერ გამოვლენილი ხარვეზები.

მაგრამ ეს იქნებ იმიტომაც მოხდა, რომ აკადემიური მწერლები ცოტა უკმაყოფილო იყვნენ — ცისფერყანწელები ახალ ხელისუფლებასთან სათანამშრომლო ნაბიჯებს დგამენო.

მეორე ჯგუფი კი ამტკიცებდა: ზოგიერთებმა მოინდომეს მწერალთა ყრილობის მუშაობისთვის პოლიტიკური ხასიათი მიეცათ, ამიტომ წმინდა ესთეტიკური ორიენტაციის მქონე ერთი ჯგუფი მწერალთა კავშირს გამოეთიშაო.

ეს განცხადება დაუბეჭდავთ რუსულ „თეატრალურ ბიულეტენში“.

ამან მწერალთა კავშირის საბჭოს წევრთა გულისწყრომა გამოიწვია:

„რას ნიშნავს ეს დღევანდელ პირობებში, თუ არა და დასმენას? რატომ ქართულ პრესაში არ გაუშვეს ასეთი შენიშვნა განდგომილებმა? მათ კარგად იციან, რომ ქართულ პრესაში ეს რომ დაეწერათ, ყოველი რიგიანი ქართველი შესაფერ მსჯავრს დასდებდა ასეთ ინსინუაციას“.[22]

განდგომილებმა 1921 წ. 23 ოქტომბერს მწერალთა სასახლეში გამართეს ყრილობა, დააფუძნეს **„ახალი მწერლობის კავშირი“**, აირჩიეს მისი საბჭო (**ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, პავლე ინგოროყვა, ვახტანგ კოტეტიშვილი, გრიგოლ რობაქიძე, ტიციან ტაბიძე, გერონტი ქიქოძე,**

კონსტანტინე ჭიჭინაძე და პრეზიდიუმი (**პაოლო იაშვილი, პავლე ინგოროყვა, ვახტანგ კოტეტიშვილი, ტიციან ტაბიძე**).

„ახალი მწერლობის კავშირის“ თავმჯდომარედ აირჩიეს **გრიგოლ რობაქიძე**.

„ახალი მწერლობის კავშირმა“ გამოსცა ჟ. „ღვაწმარი“ (1923., მხოლოდ ერთი ნომერი), გაზ. „რუბიკონი“ (1923, 16 ნომერი), ერთდროული „პოეზიის დღე“ (1922 და 1923, 6 მაისს).

აკადემიური მწერლები

„საქართველოს მწერალთა კავშირისაგან“ „ახალი მწერლობის კავშირის“ გამოყოფის შემდგომ (1921, ოქტ.) მკვეთრად გამოიკვეთა არსებობა აკადემიური მწერალთა ჯგუფისა, რომელსაც „ძველი მწერლობის კავშირსაც“ უწოდებდნენ (რაც მათ გაღიზიანებას იწვევდა).

ჯგუფის გაფორმება კი მოხდა 1925 წლის 27 ნოემბერს, როცა გაიმართა მათი დამფუძნებელი კრება.

აკადემიურ მწერალთა ჯგუფის ძირითად პირთვს შეადგენენ: **ალექსანდრე აბაშელი, კონსტანტინე გამსახურდია, იოსებ გრიშაშვილი, სოლომონ თავაძე, პავლე ინგოროყვა, ვახტანგ კოტეტიშვილი, კოტე მაყაშვილი, ვარლამ რუხაძე და არისტო ჭუმბაძე.**

ეს მწერლები და მათთან ერთად **მარიჯანი** და **ქრისტეფორე რაჭველიშვილი** შედიოდნენ ჯგუფის გამგეობაში.

აკადემიური ჯგუფის წევრთა შემოქმედებაში განსაკუთრებით დიდი ადგილი ეჭირა ეროვნულ მოტივს. სახელწოდებაც ტრადიციული ფორმისა და თემების ერთგულების გამო მიიღო.

1926 წელს სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობაზე თავმჯდომარეობიდან გადარჩევის შემდეგ **კოტე მაყაშვილი** აირჩიეს აკადემიური მწერლობის ჯგუფის (ასოციაციის) თავმჯდომარედ.

ჯგუფის პრეზიდიუმში შედიოდნენ: **ა. აბაშელი, კ. გამსახურდია, ი. გრიშაშვილი, პ. ინგოროყვა** და **ა. ჭუმბაძე.**

1929 წელს „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის“ საბჭოს მოთხოვნით **ალ. აბაშელმა** გამგეობის სახელით აკადემიურ მწერალთა ჯგუფის დაშლა გამოაცხადა.

* * *

დავუბრუნდეთ „საქართველოს მწერალთა კავშირს“ **კ. მაყაშვილის** თავმჯდომარეობით.

„საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილეები ამ ორგანიზაციის საბჭოს 1922 წლის 29 დეკემბრის სხდომიდან მწერალთა მეოთხე ყრილობამდე (1923.12-13.IV):

მეორე ყრილობის (1920 წ.) დადგენილებით ყრილობები ყოველწლიურად უნდა ჩატარებულიყო.

რადგანაც 1922 წელს ყრილობის მოწვევა არ მოხერხდა (მწერალთა კავშირი ორად იყო გაყოფილი, ორივე მხარე მის გაერთიანებაზე ზრუნავდა და ასეთ ვითარებაში მოერიდნენ ყრილობის მოწვევას), წლის მიწურულს (29. XII) კავშირის საბჭომ ჩაატარა არჩევნები.

შედეგად თავმჯდომარესთან ერთად კავშირის ხელმძღვანელობას ეწეოდა ორი მოადგილე:

ა) იოსებ გრიშაშვილი

1922 წლის მიწურულს (29.XII) საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭომ ამ კავშირის თავმჯდომარის მოადგილეობის რწმუნება გაუგრძელა პოეტ **იოსებ გრიშაშვილს.**

ბ) სოლომონ თავაძე – „ობოლი მუშა“ (1890-1960).



ვინაიდან **ლეო ქიაჩელმა** და **სოლომონ თავაძემ** თანაბარი ხმები მიიღეს, განაწყენებულმა **ლ. ქიაჩელმა** თანამდებობაზე უარი თქვა – **„ის ოლიმპიელი იყო, თავშეკავებული, ურთიერთობაში მანძილის, წინდახედულობისა და მოწიწების მომთხოვნი“**, როგორც მას ახასიათებდა **ნოდარ ჩხეიძე.**[23]

ამრიგად „საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარის კოტე მაყაშვილის მოადგილეობა, ხელახლა დატოვებულ **იოსებ გრიშაშვილთან** ერთად, ერგო **სოლომონ თავაძეს.** სოციალ-დემოკრატთა ლიდერებისგან განსხვავებით ამ პარტიის წევრი სოლომონ თავაძე რუსეთიდან სამშობლოს დასნის იმედს შეჰხაროდა:

საგანთიადო ქარიშხლის ფრთებია,
შედრკა, დაემხო ქვეყანა ძველი
და შორს ღრუბლებში გამოჩნდა მკრთალათ
ნათელ მომავლის სხივთა კანდელი

(ერთობა“, 1918. 18 თებერვალი. №40)

თავისუფლების მოპოვების შემდეგ ს. თავაძე იყო დამოუკიდებელი საქართველოსა და მისი დამცველი სახალხო გვარდიის მეხოტბე,[24] სამშობლო ქვეყნის უბედო ბედით გულდამწვარი ქართველი (**„ღმერთო! მშველელი დღეს არვინ მივის და ტანჯვის სერზე ჯვარს ვერ ავიტან, როცა სამშობლო მოსჩანს ლანდივით ამ შავი ღამის ცივ მწვერვალიდან!“**.)[25], აკადემიურ მწერალთა ჯგუფის ძირითადი ბირთვის წევრი, ლექსების კრებულისა („მომავალი“, 1918) და პირველი მოთხრობის „საპატიმროს დღიურიდან“ (1921) ავტორი.

ეს სტროფებიც იმ წლებშია დაბეჭდილი:

დუშმანო! სულში ნუ იხედები,
ნუ ფიქრობ – დასტკბე ჩემი გოდებით,
იქ კვლავ ქედმაღლობს რწმენის ქედები
და ვარ მტვირთველი სხვა მოწოდების!
რკალიდან **„ბოლო სიტყვა“,**

ჩვენ გვეძახოდა ხმა შორეული,
როგორც ოცნების ნაზი ღიმილი
და დაგვრჩა მხოლოდ ღამე წყეული,
გედების გლოვა და სიმძიმილი
ლექსიდან – **„21 წლის გარდაცვალებაზე“.**

ეს ლექსები შემდგომ მიჩქმალული იყო და როდესაც აღმოვაჩინე, მეტი პატივისცემით გავიმსჭვალე პატრიოტი პოეტის **სოლომონ თავაძის** მიმართ.

ს. თავაძე და **ი. გრიშაშვილი** მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე მოღვაწეობდნენ მწერალთა მეოთხე ყრილობამდე (1923, 12-13. IV).

ს. თავაძე, როგორც პოეტი, ცნობილი იყო ფსევდონიმით **„ობოლი მუშა“**, რომელსაც სწორედ იმ ხანებში, 1923 წელს, გამოეთხოვა ლექსით: **„ამიერიდან, ვით ორეული, წინ გაგაქანებს გვარი – თავაძე“.**[25ა]

ს. თავაძის პროზაული ნაწარმოებებიდან შეიძლება აღინიშნოს რევოლუციური ბრძოლების ამსახველი „გზა მეწამული“ (1930), „მზია ლაური“ (1931), მეორე მსოფლიო ომის თემაზე შექმნილი რომანები „მაისის განთიადი“ (1941-1946), „დაუვიწყარნი“ (1953-1954), აგრეთვე „ქართული ფოლადი“ (1953). რომლის გაუთავებელმა ბეჭდვამ **გრიგოლ აბაშიძის** ეს ფუნაგორია გამოიწვია: **„ახლა კი დროა სოლომონ, რომა მშვიდობა ნახოს საქართველომა, თავი ანებე ფოლადზე რომანს“.**

ს. თავაძეს ეკუთვნის **ჯეკ ლონდონის** „მარტინ იდენის“ თარგმანი.

მუშაობდა ჟურნალ „კავკასიონის“ რედაქციაში.[26]

„საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილე მწერალთა მეოთხე ყრილობიდან (1923, 12-13, IV)

მეხუთე ყრილობამდე (1923. 27-28.X)

ნიკო შიუკაშვილი (1870-1938)



მწერალთა მეოთხე ყრილობის (1923. 12-13. IV) მიერ შექმნილმა საბჭომ 1923 წლის 15 აპრილს თავმჯდომარის მოადგილეების **იოსებ გრიშაშვილისა** და **სოლომონ თავაძის** ნაცვლად აირჩია ერთი მოადგილე — დრამატურგი, ავტორი მრავალი პიესისა („სულელი“ — 1908, „გამხმარი ფოთოლი“, „მეგობრები“, „ციცინათელა“, „სიმახინჯე“) **ნიკო შიუკაშვილი**, რომელმაც ამ თანამდებობაზე იმუშავა იმავე 1923 წელს, 27-28 ოქტომბერს გამართულ მეხუთე ყრილობამდე.

მის ამ 6 თვიან მოღვაწეობაზე სხვას ვერაფერს გეტყვით...

შემდეგში **ნ. შიუკაშვილმა** ახლებურ თემას აუწყო ფეხი და შექმნა პიესები „ამერიკელი ძია“ (1926) და „ამერიკელი ძიას გასაბჭოება“ (1927), 1932 წელს კი საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გახდა.

* * *

საქართველოს მწერალთა კავშირი გრძნობდა — ახალ პირობებში განსაკუთრებით დაუშვებელი იყო ღალატი იმ მიზნისა (ხალხის ერთიანობისთვის მაგალითის მიცემა), რის-

თვისაც ძირითადად შეიქმნა მწერალთა შემოქმედებითი ორგანიზაცია.

ეს გათიშულობა იმთავითვე აწუხებდა ორივე მხარეს, ადრიდანვე ეძებდნენ გაერთიანების გზებს.

მწერალთა კავშირის საბჭომ 1923 წლის 8 ივნისს შექმნა კომისია (**კოტე მაყაშვილი, იოსებ გრიშაშვილი, სოლომონ თავაძე, არჩილ ჯაჯანაშვილი**), რომელსაც დაავალა „ახალი მწერლობის კავშირთან“ მოლაპარაკების წარმოება გაერთიანების თაობაზე.

და 1923 წლის 27-28 ოქტომბერს გამართულ მეხუთე ყრილობაზე მოხდა გაერთიანება, რასაც მიემხრო მწერალთა დიდი უმრავლესობა. გაერთიანების ოქმს ყრილობამდე სამი დღით ადრე, 24 ოქტომბერს ხელი მოაწერეს „საქართველოს მწერალთა კავშირიდან“: **ი. გრიშაშვილმა, კ. მაყაშვილმა, ლ. ქიაჩელმა;** „ახალი მწერლობის კავშირიდან“: **პ. იაშვილმა, პ. ინგოროყვამ, ვ. კოტეტიშვილმა.**

თავმჯდომარის მოადგილე და საბჭოს მდივანი „საქართველოს მწერალთა კავშირის“ მეხუთე (გამაერთიანებელ) ყრილობიდან (1923. 27-28. X) „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის“ შექმნამდე (1926):

„საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილე (1923-1926)
ალექსანდრე აბაშელი (1884-1954)



„საქართველოს მწერალთა კავშირის“ და მისგან გამოყოფილი „ახალი მწერლობის კავშირის“ გამაერთიანებელ მეხუთე ყრილობაზე (1923. 27-28. X) შექმნილმა საბჭომ **ნიკო შიუკაშვილის** მაგივრად 1923 წლის 29 ოქტომბერს „საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარის **კოტე მაყაშვილის** მოადგილედ აირჩია რუსულ („ზაკავკაზიე“- 1909, „ნოვაია რეჩ“-1910-დან) და ქართულ („თემი“-1913; „დილა“) გაზეთებში მოღვაწეობით კარგი ჟურნალისტურ-რედაქტორული გამოცდილება მიღებული, მოსკოვის შინიავსკის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე განსწავლული (1913-1914), აკადემიურ მწერალთა ჯგუფის ძირითადი ბირთვის წარმომადგენელი, მაშინ უკვე ცნობილი პოეტი **ალექსანდრე აბაშელი**.

ამ დროისთვის იგი იყო ავტორი პოეტური კრებულებისა „მზის სიცილი“ (1913) და „ანთებული ხეივანი“ (1923), „ხომალდის“ ფაქტიური რედაქტორი (1921-1922), 1921 წლის მარტის დასაწყისში შექმნილი „ხელოვანთა კავშირის“ მთავარი კომიტეტის წევრი და მისი სალიტერატურო სექციის გამგე, შეურიგებელი როგორც მეფის რუსეთთან (1905 წლის რევოლუციაში მონაწილეობისთვის 1906 წელს ნაპატიმრალ-გადანასახლები), ასევე საბჭოეთთან (**„... და ერის ტანჯვის გამომსახველი იზრდება გულში ორი მწვერვალი ერთი ნაღველის ორი სახელი — კრწანისის ველი და თებერ-**

ვალი"; „დამიხშეს ფიქრთა სურნელება და მომიშხამეს, ანთებულ გულში ჩამისვენეს ქრისტეს ბარძიმი" („ხომალდი", 1922) და პროლეტმწერლური შემოქმედებითი უილაჯობით პოეზიის დაკნინებასთან (**„შარავანდედი ეკარგება პოეტის სახელს, ვაიმე, ჰქრება პოეზიის წმინდა სანთელი"** – 1921; **„ლექსი დააღრჩო წვრილმა ამბებმა, ამონაწერმა გაზეთებიდან"** – „წერილი ნოე ჩხიკვაძეს", 1926; **„გაზომეთ სიტყვა, ჯობს ქადილი მორიდებული, ვის უნდა ლექსში ანაყვირი „აღმშენებლობა", თუკი თვით ლექსი ბანალობის ლაფში ეფლობა და თავს აბეზრებს მკითხველს ურიცხვ შორისდებულით"** – 1929).

ალ. აბაშელი თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა **კ. მაყაშვილის** კავშირის გაუქმებამდე – 1926 წლის 21-24 თებერვალს ჩატარებულ სრულიად საქართველოს მწერალთა (პროლეტმწერლებიანად და ფუტურისტ-მემარცხენეებიანად) პირველ (საერთო ათვლით – VI) ყრილობამდე.

* * *

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის **კოტე მაყაშვილის** ამხანაგებად ანუ მოადგილეებად არჩეული პოეტები **„ობოლი მუშა"**, იგივე **სოლომონ თავაძე** და **ალექსანდრე აბაშელი** ე.წ. „დემოკრატიულ-რევოლუციური სკოლის წარმომადგენლები იყვნენ.

ამ სკოლაში შედიოდნენ:


იროდიონ ევდოშვილი (მეთაური), **ნოე ჩხიკვაძე, ვარლამ რუხაძე, დუტუ მეგრელი, ია ეკალაძე, იოსებ გედევანიშვილი, დიმიტრი თომაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, ალექსანდრე აბაშელი, ბეგლარ ახოსპირელი, შიო მღვიმელი, სიკო ფაშალიშვილი, ხარიტონ ვარდოშვილი, სოლომონ თავაძე.**

„დემოკრატიული სკოლის“ პოეტები საქართველოს დემოკრატიული წყობილების მომღერლები იყვნენ.

ყველაზე ძლიერი ამ სკოლიდან **ალექსანდრე აბაშელი** ყველაზე დიდხანს იდგა მემარჯვენეთა ფლანგზე, მისტიროდა წარსულს.

კონსტანტინე გამსახურდია, გაათამაშა რა ალ. აბაშელის ლექსში გამოყენებული, საბჭოთა ნაპირის მოპირდაპირე მხარედ ნაგულისხმევი, „შორეული ნაპირი“, წერილში „Orbis Literarum“, („პოეზიის დღე“, 1922.7.V. №3) ამბობდა:

მწერლობიდან აბაშელი, ვარდოშვილი, ობოლი მუშა, ქიაჩელი, დ. შენგელაია სრულიად მოწინააღმდეგე „შორეული ნაპირისაკენ“ მიდიანო.



რაჟდენ გვეტაძე, ნიკოლო მიწიშვილი, შალვა კარმელი, ხარიტონ ვარდოშვილი
სურათი მოგვაწოდა ნიკოლო მიწიშვილის ვაჟიშვილმა ილიამ მიწიშვილმა

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„მწერლობაში გაწვეული უნდა იქნენ ის პროლეტარები, რომელნიც პრაქტიკაში ანხორციელებენ ბოლშევიკური ჩაქუჩის და ბოლშევიკური კალმის კავშირს“.

„სალიტერატურო გაზეთი“, 1931

რაზე წერდნენ ბოლშევიკური ხელისუფლებისა და პროლეტმწერალთა ლიდერების მითითებით:

„ირაკლი აბაშიძის პირველი დაბეჭდილი ლექსის სათაური იყო „მეეზოვე“, გიორგი კაჭახიძისა – „ვატმანი“, ბორის ჩხეიძის ერთ-ერთ პირველ მოთხრობას „ტრაქტორის ხასიათი“ ერქვა, ალექსანდრე გომიაშვილი ცდილობდა თავის ლექსებში დაეხატა ახალი ხევის სახე და აესახა ანდეზიტის კარიერებში მომუშავეების ცხოვრება“

ნიკა აგიაშვილი,
„ლს“, 1968. 25.X

გულით კი სხვა რამის დაწერა სურდათ, გული სხვა სატკივრით ეკუმშებოდათ:

„ჯაყოს“ 1924 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ვწერდი და ვგრძნობდი, რომ ჩემს გულს ცეცხლი ედებოდა, ხოლო სული იმ დროს სისხლში მქონდა ამოვლებული. „ჯაყო“ გმინვაა ჩემი სულის“.

მიხეილ ჯავახიშვილი, უბის წიგნაკიდან, 1925 წ.

* * *

* * *

ვიდრე თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულ **ალექსანდრე აბაშელთან** ერთად მწერალთა კავშირის საბჭოს მდივნად **იოსებ გრიშაშვილის** მიწვევაზე დავიწყებდე საუბარს, ორივესთან დაკავშირებით, **ირაკლი აბაშიძის** ანგარიშგასაწევი შეფასების მოშველიებით, რამდენიმე სიტყვას მოგახსენებთ მწერლების იმდროინდელ (XX ს. 20-30-იანი წლები) „პოლიტიზაციაზე". **„ანუ, როგორც დღეს მას აგრეთვე გულმოსულად და ნაჩქარევად მაინც „მწერლობის მოთვინიერებასაც" უწოდებენ":**


„დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ პირველ წლებში ამ ორი გაავებული, მეტად შეურიგებელი, გაბედული პოეტის როლს ჩვენი პოეზიის პოლიტიზაციის" საქმეში,* სულ მალე საბჭოთა სინამდვილისაკენ მათ შემობრუნებას. გრიგოლ რობაქიძე დიდი ხნის შემდეგ, თავის წერილს უცხოეთიდან – „მიმართვა ქართველ მწერლებს" – ასე იწყებს: „საქართველოს მწერლებო, გეხსომებათ, გრიშაშვილმა ერთ შაირში ლავრენტი ბერიას ხოტბა შეასხა. ხოტბაში იქამდე მივიდა, რომ ესეც წასცდა, გაუგონარი რამ: „უბრძანე მტკვარს, უკან იწყებს დინებასო" – მტკვარი თავის დენას განაგრძობს, მბრძანებელი კი იმ სოფლისკენ გაისტუმრეს ისე, რომ ამ სოფლად ხსენებაც იქნა მისი აღმოფხვრილი, გრიშაშვილი ალბათ თითებს იკვნეტს ახლა და ამბობს: რამ დამაწერინა ეს უხამსი რამო! გეტყვით: დააწერინა იმ სისტემით გაშლილმა ატმოსფერომ".[27]

როგორც იგივე **ირ. აბაშიძე** იქვე მოწმობს, პარტიული ხელმძღვანელობის ამ გულისამრევ ხოტბა-დიდებაში ჩარეული ჩვენი სხვა სახელოვანი პოეტებიც აღმოჩნდნენ:

---

* იგულისხმება ალ. აბაშელი და ი. გრიშაშვილი

„ყველა მწერლის პარტიულ, მორალურ მოვალეობად იქნა აღქმული იმჟამად ე.წ. „სტალინის თემა“, საქართველოში ამ საქმეს გულწრფელად უმეთაურეს „ცისფერყანწელებმა“, ვიდრე ე.წ. პროლეტკულტმა, უკვე ავტორიტეტდაკარგულმა მწერლებმა“.



სხედან: ვასილ ბარნოვი, გიორგი ლეონიძე, იაკობ ნიკოლაძე, თამარ აბაკელია. დგანან: ილია ზდანევიჩი, ვალერიან გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე. „ბახტრიონის“ რედაქცია. სურათი მოგვაწოდა გიორგი ლეონიძის შვილიშვილმა ისტორიკოსმა გიორგი ქავთარაძემ.

„საქართველოს მწერალთა კავშირის“ საბჭოს მდივანი (1923-1926) იოსებ გრიშაშვილი (1889-1965).



ზემოხსენებულმა მწერალთა საბჭომ 1923 წ. 29 ოქტომბერს, ადრე (1921. 23. X – 1923. 15. IV) თავმჯდომარის მოადგილედ ნამოღვაწარი პოეტი, ამჯერად საბჭოს მდივნად აირჩია. ისიც ამ თანამდებობაზე **კ. მაყაშვილის** კავშირის გაუქმებამდე (1926წ. თებერვალი) მუშაობდა.

იოსებ გრიშაშვილმა დიდად იზრუნა ორად გაყოფილი მწერალთა კავშირის მალე გასამთლიანებლად. ის იმათ შორის იყო, ვინც 1923 წლის ოქტომბრის ყრილობის წინ ხელი მოაწერა გაერთიანების ოქმს.

გულს ძველებურად უღრნიდა სამშობლოს ბედზე ფიქრი, რამაც ძალუმად ამოხეთქა 1921 წლის თებერვალში, დამოუკიდებლობის დაცვისას ქალიშვილის დამკარგავი კოტე მაყაშვილისადმი მიძღვნილ ლექსში:

და ორი წელი დაგვრჩა იგავად,
ახლა სხვა დროა და სხვა ტაროსი,
გულიდან გრძნობაც კვლავ აღიგავა,
როგორც საფლავი შენი მაროსი.

მდივნად არჩევამდე, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილის რანგში, პოეტმა ჩვეულებისამებრ წაღვერში გაატარა აგვისტო-სექტემბერი და სწორედ იქ შექმნა ლექსები, რომელსაც მხოლოდ სანდოზე სანდო მეგობრებს თუ წააკითხებდა, თორემ ავი თვალისგან საგულდაგულოდ ჩქმალავდა.

სწორედ ამას გულისხმობდა ერთის სათაური — „წერილები ბოთლში“. მართლაც, წითელ საქართველოში ვინ მოუთმენდა ამ სტრიქონებს:

ძმაო, მოგვედო სენი წითელა,
ყველას აუწყე, ყველას უთხარი
აწმყომ სიცოცხლე გადაგვითელა —
გაუფურჩქნავი, დაუკუთხავი;

საშინელია ეს დროთა სიგრძე,
ლამის ლოდინი მოკვდეს უშვილოდ,
სადა ხარ! ჩვენი ტანჯვა თუ იგრძენ —
უნდა სამშობლოს ჩქარა ვუშველოთ;

... ყელში ამომდეს მეც აპეური;
...არ მინდა ერი სხვა ერს მოებას;
დღეს გორგასლანის სატახტო ქალაქს
მხოლოდ სახელი შერჩა თავისი,
ყველა მივიღეთ ძმებად და დებად,
ვინც გვასახელა საზიზღარ ქცევით.
1923. აგვისტო

ცოტა ხნის შემდეგ, იქვე, წაღვერში დაიწერა ორი ასეთივე ლექსი:

თეთრი პური
(თავისუფლების შიმშილი)
ავად ვიყავი... სიცხეებთან მომიხდა შებმა,
ავად ვიყავი... მნახეს ძველმა ამხანაგებმა,
ავად ვიყავი... და ვწუხდი, რომ ვკვდებოდი ისე,
თავისუფლებას ვერ ვეღირსე!

ამ დროს მოვიდა პარტიული მუშაკი ერთი,
როგორც ავადმყოფს, მომიტანა მან პური თეთრი

ახ, რად მინდოდა მისი პური, ნაპენტი თეთრად,
თავისუფლება მე მშიოდა იმ პურზე მეტად.
1932 წ. 15 სექტემბერი

პოემიდან „აღამაჰმადხან“

აღამაჰმადხან სხვაზე ნაკლებად
არ იყო ფლიდი, ვერაგი მქისე,
ერთხელ მოვიდა ჩვენს ასაკლებად,
მოგვსრა... და უკან გაბრუნდა ისევ

ო, ნეტავი თქვენ, ვინც აღარა ხართ
და ჩვენი ყოფის არ ხართ მნახველი,
ვინც დაიხვრიტეთ წყებად, მხარდამხარ
გარეწარების ბინძური ხელით

წევხართ და გფარავთ მიწის ბარაქა,
გხრავენ ჭიები, გხრავენ მღილები,
ჩვენ კი რანი ვართ, ვინც დავრჩით აქა,
ჩვენ სულიერად დახვრეტილები?
1932, 17 სექტემბერი.

შემდეგში ის იძულებული გახდა გამოთხოვებოდა ძველ გზას, 1934 წელს აირჩიეს მოსკოვის მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის დელეგატად (სათათბირო ხმით). „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემის“ (1927) და ძველ და ახალ თბილისზე დაწერილი კოლორიტული ლექსების ავტორი გახდა პოეტი-აკადემიკოსი (1946), სტალინური პრემიის ლაურეატი (1949), თბილსაბჭოს დეპუტატი (1957) და საქართველოს სახალხო პოეტი (1959).

საყოველთაოდ ცნობილია იოსების დამოკიდებულება წიგნებისადმი. **„ძველი თბილისის ბოჰემად“** წოდებული **ი. გრიშაშ-**

ვილი თავის ბინაში, სარფუხში მუდამ წიგნებით დატვირთული ბრუნდებოდა, რომელთა ყიდვა-შეგროვება და ტარება დიდ სიამოვნებას ანიჭებდა.

ასე შექმნა მან თავისი განსაცვიფრებლად მდიდარი ბიბლიოთეკა.

და, აი, თბილისის დედაქალაქად გამოცხადების 1500 წლისთავზე მშობლიურმა ქალაქმა თავისი თავისებურებით გამორჩეულ მოქალაქეს სანატრელი საჩუქარი უძღვნა:

„თბილისის საქალაქო საბჭომ ხარფუხში ააგო ახალი შენობა გრიშაშვილის ბიბლიოთეკისათვის.

პოეტის სიცოცხლეში ეს ბიბლიოთეკა მთლიანად მის განკარგულებაში იქნება, შემდეგ კი, მისივე სურვილის თანახმად, იგი გადაეცემა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას, რომელიც ამავე შენობაში დასტოვებს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკას, როგორც თავისი ბიბლიოთეკის ფილიალს“.*[28]

იოსებ გრიშაშვილის ლექსები და გამოკვლევები ქართულად 1921-53 წლებში 204 ათასი ტირაჟით გამოიცა, რუსულად კი მარტო ერთი წიგნი – 300 ათასი ცალი.

ყველაფერი ამისა და სასიმღერო ლექსების („ჩემი აღმართი“, „გენაცვალე“, „ნარინჯიანო“...) შემქმნელი პოეტი და საზოგადო მოღვაწე მთაწმინდაზე განისვენებს.

---

* უკანასკნელ წლებში ერთ დალოცვილ ქველმოქმედს (მას მაინცდამაინც არ უყვარდა მისი მეცენატობის გამხელა, მაგრამ ბოლო დროს გამჟღავნდა და მეც სიამოვნებით გიმხელთ – ბიძინა ივანიშვილს) საუკეთესოდ აღუდგენია ამ ბიბლიოთეკის გვარიანად შელანძღული შენობა. ასეთ საშვილიშვილო საქმეთა მომვლელებს მადლიერი ერი „სახალხო გმირებს“ უწოდებს (ნოდარ გრიგალაშვილი) და მათ მარად დიდებით მოიხსენიებს.



სხედან სანდრო ცირეკიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, დგას ნიკოლო მიწიშვილი

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„ზოგი პოეტი (გ. ტაბიძე, ჟურული და სხვა) წითელ ლექსებს სწერს, მერე ჩუმათ სტამბაში ათეთრებს, სკანდალი ხდება, რაღაც აწვება შიგნიდან. სხვა რამის თქმა უნდოდათ, წვალობენ, იტანჯებიან“

მიხეილ ჯავახიშვილი,
1927 წ. უბის წიგნაკიდან, გვ. 193

* * *

* დამტკიცებულ ფოტოზე ოფიციალური პირების ნაწილი.

ფოტოზე ნაჩვენებია ბათუმის ოლქის საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლები, ოლქკომის პირველი მდივანი ა. ორახელაშვილი, ოლქის საბჭოთა აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ი. ლეონიძე, ოლქის საბჭოთა მილიციის უფროსი ა. ბერიძე და სხვები.

* ფოტოსურათი გადაღებულია 1919 წლის შემოდგომაზე ბათუმში.

ამრიგად, „ქართველ მწერალთა კავშირის“ (1920 წლიდან — „საქართველოს მწერალთა კავშირის“) ნამდვილად თვით მწერლების მიერ არჩეული მესვეურები იყვნენ 1917-1926 წლებში:

თავმჯდომარე
კოტე მაყაშვილი — 1917. 22. X — 1926. 24. II

თავმჯდომარის ამხანაგები (მოადგილეები)
შალვა დადიანი — 1917. 22. X — 1920. 4-6. IV
ტიციან ტაბიძე — 1920. 9. IV — 1921. 23. X
აკაკი პაპავა — 1920. 9. IV — 1921. 9. IV
ვახტანგ კოტეტიშვილი — 1921. 9. IV — 1921. 9-12. X
იოსებ გრიშაშვილი — 1921. 23. X — 1923. 15. IV
ლეო ქიაჩელი — 1921. 23. X — 1922. 29. XII
სოლომონ თავაძე — 1922. 29. XII — 1923. 15. IV
ნიკო შიუკაშვილი — 1923. 15. IV — 1923. 29. X
ალექსანდრე აბაშელი — 1921. 9. IV — 1921. 9-12. X (პრეზიდიუმის თავმჯდომარე); 1923. 29. X–1926.24.II

საბჭოს მდივანი
იოსებ გრიშაშვილი — 1923. 29. X — 1926. 24. II

გასაბჭოების პირველი წლების განწყობილება

1921-1926 წლებში ქართველი ხალხის უმეტესობის, ინტელიგენციის, მწერლების, კერძოდ **ალექსანდრე აბაშელისა** და მისი მეგობრების განწყობილების უკეთესად გაგებაში დაგვეხმარება პოეტის ქალიშვილის **მედეა აბაშელის** ეს მოგონება:

„იყო ალბათ 1926, ან 27 წელი. თითქოს გადაიარა 1924 წლის კოშმარმა. მამაჩემს უკვე ჰქონდა დაწერილი (და შემდეგ სულ აკრძალული) ლექსი:

და ერის ტანჯვის გამომსახველი
იზრდება გულში ორი მწვერვალი
ერთი ნაღველის ორი სახელი
კრწანისის ველი და თებერვალი.

და კიდევ:

ეხლა ქუხილი არ ისტამბება,
ხარი არ ყვირის მაღალ მთებიდან,
ლექსი დააღრჩო წვრილმა ამბებმა
ამონაწერმა გაზეთებიდან.

მამის ფსიქოლოგიური განწყობილება ნათლად ჩანს ამ ლექსებიდან. ბუნებრივია, ასეთივე განწყობილებისანი იყვნენ მამაჩემის უახლოესი მეგობრები კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, ვახტანგ კოტეტიშვილი.

ისინი შრომობდნენ, ხვდებოდნენ ადამიანებს, მონაწილეობდნენ აუცილებელ ღონისძიებებში, იცინოდნენ კიდეც და სუფრასაც უსხდნენ, მაგრამ განცდილი უბედურების და დაფარული პროტესტის გრძნობა არ სტოვებდა არცერთ მათგანს.

და, აი, კარგად მახსოვს, ეს ყველაფერი შემდეგ დეტალურად აღვიდგინე, ჩვენთან მოვიდა ბატონი ვახტანგ კოტეტიშვილი.

დედამ ჩაი გაუწყო, ისაუბრეს და მერე ბატონი ვახტანგი და მამაჩემი კაბინეტში შევიდნენ. დიდხანს საუბრობდნენ. ხანდახან ბატონი ვახტანგი ხმას აუწევდა, თითქოს რაღაცას უმტკიცებდა მამაჩემს და მამა ეწინააღმდეგებოდა. ბოლოს ყველაფერი დაწყნარდა. რამდენიმე ხანში ბატონი ვახტანგი გამოვიდა ოთახიდან გაღიმებული, დამახასიათებელი ლაღი მოძრაობით გამოეთხოვა დედას.

მეორე დღეს მობრძანდნენ ბატონები კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა და ვახტანგ კოტეტიშვილი. არავითარი სუფრაზე მიპატიჟება არ მიიღეს და მამის კაბინეტიდან ისევ გაისმა ხმაურიანი ლაპარაკი, ხანდახან რაღაც თავშეკავებული სიცილი. ისევ გამოირჩეოდა ბატონი ვახტანგის ხმა, ისევ დაწყნარდა ყველაფერი. მერე დიდხანს ჩუმად საუბრობდნენ. გამოვიდნენ, მომეჩვენა, რომ დაღლილები იყვნენ.

„კატია, შემოგვხედე, ხომ ვართ ვაჟკაცები, ხომ მოგვიხდება შავი ჩოხები!“ – გაულიმა დედას ბატონმა ვახტანგმა (ასე მხოლოდ მას შეეძლო ღიმილი).

„რა თქმა უნდა მოგიხდებათ“.


და მერე ეს ოთხი ვაჟკაცი გამგზავრებულა სახელოსნოში, რომელიც სადღაც, დღევანდელი ლესელიძის ქუჩაზე მდებარეობდა და ერთი კვირის თავზე შავ ჩოხებში გამოწკეპილები გამოცხადებულან რუსთაველის პროსპექტზე ფოტოგრაფ ჟვანიასთან. ეს ფოტოსურათი დღეს მთელ საქართველოშია ცნობილი. მაგრამ როგორც კი მოლანდეს ისინი ქუჩაში ხან ერთად, ხან ცალ-ცალკე, მაშინვე ატყდა ერთი ამბავი პრესაში და არაკეთილმოსურნეთა შორის – რას დარდობენო, რას გლოვობენო, სისინებდნენ.

ყველამ იცოდა, რასაც გლოვობდნენ. საშიში გახდა ჩოხებში სიარული და ისინი იძულებული შეიქნენ ორი კვირის თავზე სამოქალაქო ტანისამოსი ჩაეცვათ. მაგრამ დღესაც ეს ფოტოსურათი დარდისა და ვაჟკაცური პროტესტის ნიშანს ატარებს.

უახლოესი შედეგი ასეთი იყო. ოთხივენი საშინლად დაამუშავეს მწერალთა კავშირში და პრესაშიც დაიწერა. ვიღაცამ იხუმრა კიდეც (მამას თოვლივით თეთრი წვერი ჰქონდა და შავი ულვაში), საშას იმიტომ აქვს შავი ულვაში, რომ ბოლშევიკებთან პირშავად არისო. ცოტა ხანში გამსახურდია სოლოვკებში აღმოჩნდა. დაკავშირებული იყო ეს შავ ჩოხასთან თუ კიდევ სხვა მიზეზი გამოუნახეს, არ ვიცი.

ეს ის დროა, როცა გულაგი ჯერ კიდევ ოდნავ სასუნთქს უტოვებდა პატიმრებს. მამას მოუვიდა რამდენიმე წერილი. იყო ფოტოგრაფიაც. არ ვიცი, სად გაქრა. არცერთ წერილში არ წუწუნებდა, სხვანაირად ვერც წარმოიდგენ გამსახურდიას. მხოლოდ უფულობას უჩივის — პაპიროსს ვერ ვყიდულობო. მამამ რამდენიმეჯერ გაუგზავნა ცოტა ფული, მაგრამ ცხადი იყო, რომ ბატონ კონსტანტინეს ძალიან უჭირდა და საჭირო იყო სასწრაფო ღონისძიება. მამამ გადაწყვიტა „უმაღლეს ჩინთან“ მისვლა. იქ მიიღეს. „გამსახურდია დიდი მწერალია, საქართველოს სიამაყეა, თქვენ შეგიძლიათ მას უშველოთ, უკიდურეს შემთხვევაში მომეცით უფლება ფული შევუგროვო მწერლებს შორის და გავუგზავნო“. „თქვენ ან პროვოკატორი ხართ, ან ბავშვი“, — იყო პასუხი. „ყოველ შემთხვევაში ჩემთან არ ყოფილხართ, არც არაფერი ვიცი“.

მამა პასუხმა დააკმაყოფილა. ფული შეგროვდა და გაეგზავნა გამსახურდიას. მალე იგი კიდეც გაათავისუფლეს“.[29]



ვახტანგ კოტეტიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე აბაშელი.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„პროლეტმწერლები დაბადებითვე საჭურისები არიან და ჩვენს დადუმებასაც ლამობენ. თუ დროზე არ გვეშველა, ქართული მწერლობა ხუთიოდე წელიწადში სულ დაიღუპება“.

მიხეილ ჯავახიშვილი, 1929/30 წ.
უბის წიგნაკიდან, გვ. 253

* * *



1921 წლის მარტიდან მწერალთა სასახლეში განლაგებული იყო ხელოვანთა კავშირის მთავარი კომიტეტი და მასში შემავალი კავშირების ხელმძღვანელობა. სხედან: ვარლამ რუხაძე, ტიციან ტაბიძე, კოტე მაყაშვილი, აკაკი ფალავა, კოტე ფოცხვერაშვილი; დგანან: ლეო ქიაჩელი, ვახტანგ კოტეტიშვილი, ირაკლი ტოფაძე, ილია აბაშიძე, ვეჩე კვიჭია. მწერალთა სასახლის ბალი.



ქრისტეფორე რაჭველიშვილი, დავით სულიაშვილი, კოტე მაყაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, ბარონ ბიბინეიშვილი.



2 – გიორგი ლეონიძე, 3 – ტიციან ტაბიძე, 5 – ვალერიან გუნია, 6 – ნიკოლო მიწიშვილი, 7 – ვასტანგ კოტეტიშვილი (სიღრმეში), 11 – შალვა დადიანი, 12 – კოტე მარჯანიშვილი (სიღრმეში), 13 – პაოლო იაშვილი, 14 – ალექსანდრე აბაშელი, შალვა კარმელი (გოგიაშვილი), მარჯვნივ ბოლოში – კონსტანტინე გამსახურდია. მწერალთა სასახლის ბაღი, 1920-23.

* * *

კოტე მაყაშვილის მწერალთა კავშირში, გაუქმების წინ, 245 მწერალი ირიცხებოდა. იქ არ შედიოდნენ პროლეტარული მწერლები და ფუტურისტები.

ფუტურისტ-მემარცხენე ფრონტელები

მოკლედ ამ უკანასკნელ ჯგუფზეც უნდა ითქვას, რადგან 1926 წელს გამართულ სრულიად საქართველოს მწერალთა ყრილობაზე ფუტურისტებიც იქნებიან წარმოდგენილი.

ფუტურისტებმა 1922 წლის 23 აპრილს თბილისის კონსერვატორიაში გამართეს საღამო, ხოლო 7 მაისს პოეზიის დღესთან დაკავშირებით გამოსცეს მანიფესტი **„საქართველო – ფენიქსი“**, რომელსაც ხელს აწერდნენ **ნიკოლოზ ჩაჩავა, აკაკი ბელიაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, პავლე ნოზაძე, ბესო ჟღენტი, დავით გაჩეჩილაძე, ალექსანდრე გაბესკირია, მზია ერისთავი და გრიგოლ ორაგველიძე.**

1923 წლის 16 თებერვალს ამათ შეუერთდა 1922 წელს ქუთაისში დამოუკიდებლად შექმნილი და თბილისში გადმოსული ფუტურისტთა ჯგუფი: **ბიძინა აბულაძე, შალვა ალხაზიშვილი, ჟანგო (ივანე) ღოღობერიძე, ნიკოლოზ შენგელაია.**

ერთ ჯგუფში გაერთიანებულებმა თავის თავს უცნაური სახელი „H_2SO_4-ის სკოლა“ უწოდეს და 1924 წლის 25 მაისს ასეთივე სახელწოდების ჟურნალი გამოსცეს.

ისინი ქადაგებდნენ ქართველი ხალხის განსაკუთრებულობას, არ სცნობდნენ წარსულის ლიტერატურულ მემკვიდრეობას... უცნაური გამომწვევი მოქმედებით ცდილობდნენ ყურადღების მიქცევას... წერდნენ გაუგებარ ლექსებს...


20-იანი წლების მეორე ნახევარში ისინი **ვლადიმერ მაიაკოვსკის** „ლევი ფრონტ“-ის გავლენით მეპარცხენე ფრონტელებად იქცნენ – კომუნისტური მშენებლობის პრინციპებზე ვდგებითო.

ფუტურისტებს მეთაურობდა **სიმონ ჩიქოვანი.**

1927-29 წლებში მემარცხენე ფრონტელთა ასოციაციის პმგ მდივანი იყო **ბესო ჟღენტი.**



მწერალთა სასახლე. ხედი სხდომათა (ყოფილი სამეჯლისო) დარბაზიდან.



აკაკი ბელიაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, ნიკოლოზ ჩაჩავა

თავი II. „საქართველოს მწერალთა კავშირის“ გარდაქმნა „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირად“ (1926-1928), მისი მესვეურები და მოღვაწეობა

იმის დაბრალებით გაბრიყვებულ, შემოქმედებით ნიჭს მოკლებულ პროლეტარულ მწერლებს – ნამდვილ მხატვრულ ლიტერატურას თქვენ ქმნითო – ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ 1921 წლიდან ავიწროვებინა და ამწარებინა ეროვნულ ნიადაგზე მდგარი თავისუფალი შემოქმედების ერთგული „ცისფერყანწელები“ და აკადემიური მწერლები.

ამის შემდეგ გასცა კოტე მაყაშვილის თავმჯდომარეობით არსებული მწერალთა კავშირის (1917-1926) გაუქმებისა და მისი მორჩილი მწერალთა ორგანიზაციის შექმნის განკარგულება:

„საქ. კპ ცკ-ის პრეზიდიუმის დადგენილება მწერალთა ყრილობის (1926) შესახებ

1. მოწვეულ იქნას 26 თებერვალს;

2. ყრილობის დღის წესრიგში შევიდეს შემდეგი საკითხები:

ა) სსრკ საგარეო და საშინაო პოლიტიკა და საქართველოს მწერლების ამოცანები;

ბ) სახელმწიფო გამომცემლობა – მომხს. ამხ. მიწიშვილი;

გ) ხელოვანთა სასახლის შესახებ – კ. მაყაშვილი;

დ) ხელოვნების საქმეთა მთავარი კომიტეტის შესახებ – ი. გედევანიშვილი;*

ე) არჩევნები საქართველოს მწერალთა კავშირის;

ვ) ხელოვანთა სასახლის გამგეობის არჩევნები.

---

* ამ კომიტეტის თავმჯდომარე, ამავე დროს ოპერის თეატრის დირექტორი (1924-1926); ადრე საქართველოს ეროვნული საბჭოს (1917) და დამფუძნებელი კრების (1919) წევრი ფედერალისტთა პარტიიდან

შეიქმნას პარტკომისია მიხ. ოკუჯავას, კახიანის, კანდელაკის შემადგენლობით“.[1]

ყრილობა ზემოხსენებულ მწერალ **იოსებ გედევანიშვილს** გაახსნევინეს.

სრულიად საქართველოს მწერალთა „პირველმა“ (საერთო ათვლით – VI), ხაზგასმულად გასაბჭოების მეხუთე წლისთავზე მოწვეულმა ყრილობამ (1926. 21-24. II) გააუქმა 1917 წელს შექმნილი „საქართველოს მწერალთა კავშირი“, არაფრად ჩათვალა მის მიერ ჩატარებული ხუთი ყრილობა, შემოიღო ყრილობათა ახალი ათვლა და შექმნა **„სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი“.**

ამ ახალ კავშირს „სრულიად“ იმიტომ უწოდეს, რომ მასში **კ. მაყაშვილის** ნამდვილად თავისუფალი მწერალთა კავშირის წევრებთან ერთად (აკადემიური მწერლები – 44 დელეგატი, ცისფერყანწელები – 25) შეიყვანეს პროლეტარული მწერლები (25) და მემარცხენე ფრონტელებად ანუ „ლეფელებად“ (Левый Фронт) გარდაქმნილი ფუტურისტებიც(5).

ეს ბოლო ორი დაჯგუფება, კლასობრივი პრინციპებიდან გამომდინარე, არ შედიოდა 1917 წელს დაფუძნებულ სამწერლო ორგანიზაციაში, რადგან ამ უკანასკნელს შეადგენდნენ, ერთი მხრივ, ზემოხსენებულთა საპირისპირო ეროვნულ ნიადაგზე მდგომი, ტრადიციული ფორმისა და თემების ერთგული (აქედან სახელწოდება) აკადემიური მწერლების ჯგუფი, ანუ **კ. გამსახურდიას** სიტყვებით რომ ვთქვათ (პრეზიდიუმის სხდომა, 1937.30.V), **„თავდაცვითი კავშირი ზოგი რაპპელებისა** (რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის წევრების, რ.კ.) **და ზოგი სხვადასხვა ლიტერატურული დაჯგუფების წინააღმდეგ“** და, მეორე მხრივ, ცისფერყანწელები, რომლებიც საზოგადოების თვალში პოეტურ განახლებაზე, ქართული ლექსის **„ევროპული რადიუსით გამართვაზე“** ზრუნვის ძალზე წინ წამოწევით თავიანთი ეროვნული პოზი-

ციის ოდნავ დაჩრდილვის გამო მიჩნეული იყვნენ რამდენადმე გაუგებარ ჯგუფად.

მწერალთა 1926 წლის ყრილობიდან დაიწყო ქართველ მწერალთა ფორუმებზე კომპარტიისა და ხელისუფლების ლიდერების დასწრება.

ამ ყრილობაზე საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი) თავმჯდომარემ, ქართველი ბოლშევიკების ლიდერმა **ფილიპე მახარაძემ** ასე განსაზღვრა მწერალთა ახალი კავშირის მიზანი:

„ჩვენი მთავრობა მხარს უჭერს ყველა მიმდინარეობას მწერლობაში, ოღონდ კი რევოლუციის მხარეზე იდგნენ, ამასთან არცერთ მიმდინარეობას არ შეიძლება ჰქონდეს ჰეგემონობა“.[2]

ეს დაპირება გასაბჭოების გზაზე დამდგარი „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის“ გამოცემულ „პოეზიის დღეშიც“ (1927, 5,V) გაიმეორეს:

„კავშირის სტრუქტურა აშენებულია ფედერაციულ ნიადაგზე. ახალ კავშირში შედიან ყველა ლიტერატურული ჯგუფები და არა აქვს ადგილი შინაგან გამთიშველ პოლიტიკას, ყოველი დიდი საკითხი, რომელიც დაესახება მთლიანად ქართულ მწერლობას, ამ ახალ საბჭოში წყდება“.

სინამდვილეში კი კავშირში გაბატონდნენ პროლეტარული მწერლები და მემარცხენე ფრონტელებად გარდაქმნილი ფუტურისტები.

* * *

1926-დან 1988 წლამდე საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო (გამგეობა) ვითომ ირჩევდა, სინამდვილეში აფორმებდა კომპარტიის ხელმძღვანელობის მიერ ნაკარნახევ თავმჯდომარეების, მოადგილეებისა და მდივნების „არჩევას“.

„სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარე (1926-1928)
სილიბისტრო თოდრია (1880-1936)



კომუნისტურმა ხელისუფლებამ „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარედ შეარჩია პროფესიონალი რევოლუციონერი, არალეგალური ბოლშევიკური ლიტერატურის გამავრცელებელი, თბილისის რევოლუციური კომიტეტის პირველი თავმჯდომარე (1921 თებერვალი), სოცუზრუნველყოფის კომისარი (1921 წ. მარტიდან), ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი) მდივანი, ლიტერატორი, არცთუ ნიჭიერი მწერალი-სატირიკოსი, პროლეტარულ მწერალთა პირველი თაობის წარმომადგენელი, პროლეტმწერალთა ასოციაციის ერთ-ერთი დამაარსებელი და ხელმძღვანელი, 1921 წელს შექმნილი „ხელოვანთა კავშირის“ მთავარი კომიტეტის წევრი **სილიბისტრო თოდრია.**

ანტირელიგიური პროპაგანდის გამწვევი (გაზ. „ულმერთოს“ რედაქტორი) ამ მოღვაწის მკრეხელური რწმენა ასე იყო გადმოცემული მის მხატვრულად მდარე პოემაში „დაბადება ანუ ბიბლია“ (წ. I – 1930, წ. II – 1931): **„ღმერთსავით მავნე კიდევ პიროვნება ქვეყნად მეორე არ იპოვება“**.

აი, ეს დამსახურებული ბოლშევიკი საქართველოს მწერალთა „პირველმა“ (საერთო ათვლით – VI) ყრილობამ 1926 წლის 24 თებერვალს, საქართველოს გასაბჭოების ხუთი წლისთავზე აირჩია ახალშექმნილი „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარედ.

ს. თოდრია ხელისუფლების პოლიტიკას მწერალთა კავშირშიც ისევე ბოლშევიკურად ატარებდა, როგორც მოღვაწეობის სხვა სფეროში.

ბოლშევიკური ხელისუფლების მიერ ყოველივე ქართულის, ეროვნულის უარყოფაში ს. თოდრიას წვლილის ერთ მაგალითს ასე იხსენებდა ემიგრანტი მოღვაწე **ილია კუჭუხიძე (მინდია ლაშაური)** მიუნხენში, 1985 წელს:

„ოპერაში დადგეს არაყიშვილის „თქმულება შოთა რუსთაველზე". საზოგადოებრიობამ იგი გულთბილად მიიღო, მაგრამ პრესამ განგაში ატეხა, „კომუნისტის" ფურცლებზე გამოვიდა სილია თოდრიას ლანძღვით აღსავსე რეცენზია. „ოპერა ნაციონალისტურიაო". ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ თამარის გამოჩენას ლაშქარი ხვდებოდა ქართული დროშებითა და სიმღერით: „ქართველო ხელი ხმალს იკარ..." ალბათ სილია თოდრიას, როგორც „რაპპ"-ის ერთ-ერთ იდეოლოგს, სურდა თამარს ქართული ლაშქარი მარქსის დროშის ფრიალით და „ინტერნაციონალის" სიმღერით შეხვედროდა. ეს ოპერაც აკრძალეს".[3]

ს. თოდრია თავმჯდომარის თანამდებობაზე მუშაობდა „სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის" „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციად" რეორგანიზაციამდე (1928) და, როგორც ვნახავთ, შემდგომშიც, ზემოხსენებული „ფედერაციის" ხელმძღვანელობის დროსაც, ცდას არ აკლებდა აკადემიური მწერლებისა და ცისფერყანწელების საბჭოთა თემების დამუშავებაზე გადაყვანას, პირადად თავის მწერლობაში ყოველივე ძველის დაგმობას და მდაბიური საღლაბუცო ლექსების წერას („ელამი სარკე" – 1927; „ყბადასაღები-წყალწასაღები ამბავი" – 1929; „ცის და ბარის რამე-რუმე" – 1930; „ქართლის ცხოვრება იუმორისტულ ლექსათ თქმული" –1933; „ძველი და ახალი აღთქმანი" – 1935; სათარგმნელადაც ასეთივე ნაწარმოებების შერჩევას (რუსი პროლეტმწერლის **დემიან ბედნის** „ახალი აღთქმა").

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„დღევანდელი ქართული მწერლობა, ხელოვნება და მეცნიერებაც, მეტად მცირე გამონაკლისის გარდა, მოსკოვის ნაბუშარია...“

მიხეილ ჯავახიშვილი, უბის წიგნაკიდან, 1924

* * *

„სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილე (1926-1928) გრიგოლ რობაქიძე (1880-1962)

„მგოსნის სულში ერი ცოცხალ
არსად უნდა ფეთქდეს“
გრიგოლ რობაქიძე
„ოქროს ვერძი“, 1913 №3



1926 წლის 21-24 თებერვალს გამართულმა მწერალთა ყრილობამ 24 თებერვალს XX საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთი განმაახლებელი, **„ახალი ქართული პოეზიის ფალანგაში ყველაზე ხნოვანი, მაგრამ შთაგონების აღვსილობით ყველაზე ახალგაზრდა პოეტი ამ თაობის“** (**პავლე ინგოროყვა**, „რუბიკონი“, 1923. №5), „ცისფერყანწელების“ სულიერ მამად მიჩნეული (რაჟდენ გვეტაძე – **„ხარ უსათუოდ პოეზიის თეთრი გიორგი, „ცისფერ ყანწების“ ოქროს ღერბი და სიამაყე“ – 1923; გრიგოლ რობაქიძე – „მე ვიყა-**

ვი „ყანწელებთან“ მხოლოდ როგორც მეგობარი, უფროსი, დამხმარე და წამხალისებელი“ – „ბედი ქართლისა“), თავის დროზე „ქართველ მწერალთა კავშირის“ შექმნის სათავეებთან მდგომი (1917), ამ კავშირის პირველი, დამფუძნებელი, 11-კაციანი საბჭოს წევრად არჩეული, 1921 წლის მარტში შექმნილი „ხელოვანთა კავშირის“ მთავარი კომიტეტის წევრი, „ახალი მწერლობის კავშირის“ (1921-1923) თავმჯდომარედ ნამოღვაწარი **გრიგოლ რობაქიძე** აირჩია „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარის, პარტიული ფუნქციონერის, არცთუ ნიჭიერი, ღმერთის ბინძური სიტყვებით მგმობელი პროლეტარული მწერლის **სილიბისტრო თოდრიას** მოადგილედ (აი, ბედის დაცინვა!).

გრიგოლი დიდი გზნებით შეეგება საქართველოს დამოუკიდებლობას, დიდ იმედებს ამყარებდა ქვეყნის ხელმძღვანელზე, ეს იმედები კარგად ჩანდა 1920 წელს გაზეთ „ბარრიკადში“ გამოქვეყნებული წერილის „ნოე ჟორდანია“ ამ სიტყვებში: „მასში მოსჩანს კეთილშობილი რასსა“, „ჟორდანია რასსული ტიპია საქართველოსი, რუსთაველის ტარიელი, რაინდია ყოვლის გადამლახველი, მაგრამ მიუხედავად ამისა, გულჩვილია მეტად“.

ვაი რომ გულჩვილობასთან ერთად სხვა ნაკლმაც, განსაკუთრებით ეროვნული გრძნობის არქონამ გრიგოლთან ერთად ბევრ სხვა ქართველსაც გაუცრუა იმედები!..

ამ ზედმეტმა ქებამ პოეტ **კატო მიქელაძის*** გაღიზიანება და მწვავე ლექსი გამოიწვია:

ჟორდანიას რას ელაქუცები, დღეს დაინახე, რომ ის არის ქვეყნის მმართველი? იცი სად უნდა ხოხვა გველურიო...

დიაკვნის შვილო, თავადობ, დენდობ,

---

* ეს კ. მიქელაძე 1925 წელს მწერალთა კავშირიდან გარიცხეს. გარდაიცვალა 1942 წ. საფლავამდე მიუცილებია ოთხ კაცს: **ირინე და ნიკოლო იუშკოვებს, მარიამ გარიყულსა და ანდრო თევზაძეს.**

გნათესაობენ მხოლოდ ყადები,
შენ უანგაროვ, არვის დაინდობ,
გადაგიშლია „ბარრიკადები“[4]

დამოუკიდებლობის წართმევის შემდეგ გრ. რობაქიძემ, ისევე როგორც სხვა გონიერმა ქართველებმა, კულტურის ფრონტზე განაგრძო ეროვნული ინტერესების დაცვა.

ეს ხალხი ხომ ჩვენი კულტურის, ლიტერატურის, თეატრის განვითარებაში ხედავდა საქართველოს გადარჩენა-აღორძინების ერთ-ერთ საიმედო გზას. აკი გრიგოლი ამბობდა: **„ჭეშმარიტად ვაჟა-ფშაველა მისტიური ნიშანია საქართველოს მეათეჯერ გაახალგაზრდავების“.**

ვაჟას სიდიადე პირველად ხომ სწორედ გრიგოლ რობაქიძემ აგრძნობინა ქართველ საზოგადოებას თავისი ბრწყინვალე ლექციებით:

„ვაჟას შემოქმედებაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა გრ. რობაქიძე. საზოგადოებამ, პრესამ მისი სიტყვა იმ ლამაზი და ამაღლებული საღამოს გვირგვინად მიიჩნია. ეს იყო ღრმად მოაზროვნე ახალგაზრდა შემოქმედის მიერ ისეთი წვდომა ვაჟას შემოქმედებისა, ისეთი თვალით დანახვა და სხვებისთვისაც დანახვება, რაც დღეს საყოველთაოდ აღიარებულია, მანამდე კი არავინ უწყოდა, მაგრამ ეს ყველაფერი რობაქიძისეულად ორიგინალურად და ლამაზად იყო ნათქვამი“.

(გიგი ხორნაული, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, თბ., 2003, გვ. 384)

ლაიპციგის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტსა (1908) და ტარტუს უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (1916) განათლებამიღებულ **გრ. რობაქიძეს** დიდი ღვაწლი მიუძღვის ჩვენი მწერლობის მთავარი იარაღის – ენის განვითარებაში, მან თავის დროზე თავისი საოცარი საჯარო ლექციებით დაამტკიცა თითქმის საშინაოდ ქცეული ქართული ენის შესაძლებლობანი.

თავად მწერალსაც მოვუსმინოთ:

„ვქმნიდი და ვქმნი ახალ სიტყვებს ქართულის შუაგულითგან. მათი ჩამოთვლა შორს წამიყვანდა — იმდენია! რაოდენიმეს ვახსენებ მაინც: „ჭედი“, „ათვისება“, „არქმევა“, „ცალკეული“, „შორეთი“, „თაური“, „ასახვა“, „ნაქმი“, „ქმედითი“, „შეცნეული“, „ზმანეული“, „ტეხილი“, „მთვარეული“, „მზეოსანი“, „თაურმდგენი“, „ცეცხლეული“, „ნათელმფენი“, „წვართი“, „ცნაურება“, „გონი“ და მრავალი სხვა. ჩამოთვლილთაგან მრავალი შესულია და დამკვიდრებულია ქართულში. „ასანთი“ რაა — ისიც არ იყო, „ხმაური“ რაა — ისიც არ იყო!“

ბევრი სხვა სამწერლო პრობლემის მოგვარებისთვის ზრუნვასთან ერთად გრიგოლ რობაქიძე ეროვნული საქმეების სადარაჯოზე ადგა.

ამაზე გვიამბო ემიგრანტმა მოღვაწემ აკაკი პაპავამ:

„განათლების კომისარიატი, ბრიხნიჩოვის და ბოგდატიევის მეთაურობით სასტიკად გვიტევდა და ჩვენი კავშირი კომუნისტური მწერლების სათარეშოდ უნდოდათ გაეხადათ, დატრიალდა ეულის მეთაურობით მათი სექტორი.

მაგრამ მტკიცედ, შეკრული დაუხვდა მათ მთელი მწერლობა და მებრძოლი საქართველო.

და აი, აქ სიმტკიცე გამოიჩინეს გრიგოლ რობაქიძემ და მისმა მეგობრებმა პ. იაშვილმა, ტ. ტაბიძემ, ნ. მიწიშვილმა, ვ. გაფრინდაშვილმა და სხვებმა, რომელთაც „შემრიგებლური“, ცოტა უცნაური და ჩვენთვის მიუღებელი პოზიცია დაიჭირეს და თავიდანვე თანამშრომლობის გეზი აიღეს.

ყველა ამათ გრიგოლის მეთაურობით ჩააგონეს ხელისუფლებას, რომ მწერალთა სიმაგრის აღება მეტად ძნელი საქმე იყო და ბევრ რამეში დათმობა სჯობდა... და ორახელაშვილი-ელიავა-მდივნის ურჩობა მოსტეხეს“.[5]

გრიგოლ რობაქიძე სანდრო ახმეტელთან ერთად იქცა ახალი ქართული თეატრის თეორეტიკოსად.

როდესაც 1922 წელს ბოლშევიკების ხელისუფლებამ ქართველების სწრაფად ასიმილირებაზე მეოცნებეთა გასახარებლად ქართული თეატრის დახურვის საკითხი დააყენა იმ მოტივით, რომ ქართველი რეჟისორები, მსახიობები არ გვყავს, ქართული პიესები არ გვაქვსო, ამას ქართულ მწერლობასთან ერთად (რომლის აზრს გამოხატავდა მისი ერთერთი საუკეთესო წარმომადგენელი გრიგოლ რობაქიძე) წინ აღუდგა თითქოსდა გარუსებული **კონსტანტინე მარჯანოვი.**

გრიგოლი დაუყოვნებლივ შეუდგა ჩვენი თეატრის ქართული პიესებით უზრუნველყოფაზე ზრუნვას:

მსახიობი **აკაკი ვასაძე** იხსენებდა:

„დიდის გემოვნებით ევროპულად ჩაცმული, სუფთად პირგაპარსული, შინაგანი არტისტიზმით აღსავსე გრიგოლ რობაქიძე თავშეკავებული ვაჟკაცური კილოთი გვიკითხავს თავის პირველ პიესას „ლონდა“.[6]

ქართულ მითოლოგიაზე აგებული, წარმართობის დროინდელი კოლხეთის ცხოვრების ამსახველი, მამულისთვის თავდადების მქადაგებელი „ლონდა“ მწერალმა პირველი ცოლის, ნინო დომენსკაიასგან შეძენილ, ნაადრევად გარდაცვლილ შვილს — **ალიკას** უძღვნა.

თავად გრიგოლიც იხსენებდა:

„ლამარა წავიკითხე რუსთაველის სახელობის თეატრში რეჟისორთა და მსახიობთა წინაშე 1924 წელს, შემოდგომის მიწურულში. დადგეს 1926 წელს იანვრის 29. დრამას პირდაპირ საარაკო გამარჯვება ერგუნა“.[7]

გრ. რობაქიძეს მიაჩნდა, რომ ქართული დრამა უნდა ამაღლებულიყო ეთნოგრაფიულ ჩარჩოებზე („ქართული დრამა ეთნოგრაფიის ფარგლებშია: ჭუთაისის „იმერით“ და ტფილისის „მოქალაქით“ ამოიწურება“).

ქართული მწერლობისა და თეატრის ამ განმაახლებელს წვლილი ჩვენი კინემატოგრაფიის ჩამოყალიბებაშიც მიუძღვის, როგორც მისი სალიტერატურო ნაწილის გამგეს.

და მაინც ის უპირველესად მწერალი გახლდათ და აქ მის დამსახურებათა სიას ემატება ჩვენს მწერლობაში მოძალებულ აღმოსავლურ სულთან და სალექსო ფორმებთან შებრძოლება (რაშიც მან ცისფერყანწელებიც აიყოლია).

გარდა ზემოხსენებული პიესებისა ამ დროისათვის გრიგოლ რობაქიძეს დაწერილ-გამოქვეყნებული ჰქონდა „მნათობში“: „მალშტრემი“ (1925. №2), აგრეთვე რომანი „გველის პერანგი“ (1925.№10, 11-12; 1926. №1,2).

სწორედ ამ დამსახურებათა გამო ერგო საქართველოს მწერალთა ორგანიზაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელად არჩევა.

გრ. რობაქიძემ „სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილედ იმსახურა 1928 წლის მარტამდე — ზემოხსენებული კავშირის „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციად“ რეორგანიზაციამდე (და შემდგომაც — „ფედერაციაში“).

გრიგოლ რობაქიძის ღვაწლის შესაფასებლად სიტყვა მივცეთ გვიანდელ თაობათა მწერლებს:

არჩილ სულაკაური:

„საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული ოცდაათიან წლებამდე მისმა მოღვაწეობამ საგრძნობი კვალი დააჩნია ქართული ენის, ლიტერატურისა და ესეისტიკის განვითარების საქმეს“.

ანდრო ბუაჩიძე:

„გრ. რობაქიძე იყო კაცი, რომელმაც პირველად გააცნო ქართულ კულტურულ საზოგადოებას ფრიდრიხ ნიცშეს ნააზრევი. რობაქიძის ლექციებს დიდძალი ხალხი ესწრებოდა — იმხანად სურვილიც დიდი იყო სიახლეთა წვდომისა. გრიგოლ რობაქიძეს პატივს სცემდნენ ნიკოლაი ბერდიაევი, ანდრეი ბელი, ზინაიდა გიპიუსი. მან კარგად იცოდა სიმბოლიზმის თეორიაც და თუ „ცისფერყანწელებმა“ ქართული ლექსის ძირეული რეფორმა განახორციელეს, ამ კაცსაც ღირსეული წვლილი მიუძღვის“[8]

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

იოსებ მეგრელიძე გადმოგვცემს **მიხეილ ჯავახიშვილის** მოგონებას:

„1924 წელს „მნათობში“ დაიბეჭდა ერთი ქალის მოგონებები ივანე მაჩაბელზე. „მნათობის“ თანამშრომელი პოლიკარპე კაკაბაძე მიუვარდა რედაქტორს ვალია ბახტაძეს – მოგონებაში აკაკი წერეთლის უპატივცემულობაა, ავტორიტეტებს მოკრძალებით უნდა მოვეპყრათო.

ვალიამ უპასუხა: ჩვენ ძველ ავტორიტეტებს ახალი, პროლეტარული ავტორიტეტებით ვცვლითო...

შეყვენ ამაზე, იდავეს, ვალიამ პოლიკარპეს სამსახურიდან გათავისუფლება დაუპირა, მაგრამ ორივეს თანაკლასელი, ჟურნალის მდივანი მოსე გოგიბერიძე ჩადგა შუაში და პოლიკარპე ჟურნალში დარჩა, შემდეგ ვალია მას „ყვარყვარეს“ არ უბეჭდავდა, მაგრამ მოსემ დააბეჭდვინაო“.

„მნათობი“, 1984, №10. გვ. 135


* * *

„სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილე (1926-1928). ალექსანდრე აბაშელი.

მწერალთა იმავე ყრილობამ 1926 წლის 24 თებერვალს სილიბისტრო თოდრიას კიდევ ერთ მოადგილედ აირჩია ადრე (1923-1926) **კოტე მაყაშვილის** მოადგილედ ნამოღვაწარი, აკადემიური მწერლობის წარმომადგენელი, ნათელი პიროვნება და პოეტი **ალექსანდრე აბაშელი.**

ის ამ თანამდებობაზე მსახურობდა მწერალთა კავშირის ფედერაციად რეორგანიზაციამდე (1928) და ამით დამთავრდა მისი მოღვაწეობა მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში.

ალ. აბაშელი ძნელად და გვიან "შეურიგდა" საბჭოთა წყობილებას... 1934 წელს აირჩიეს ახალშექმნილი საქლიტფონდის გამგეობის წევრად, შეჰყავთ შოთა რუსთაველის სახელობის ჯილდოს მიმნიჭებელ მუდმივ კომისიაში, მუშაობას იწყებს „ზარია ვოსტოკაში", სადაც 1937-1946 წლებში ამ გამომცემლობის მთავარი რედაქტორის მოადგილემ, დიდი წვლილი შეიტანა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას თხზულებათა რუსულ აკადემიურ გამოცემათა განხორციელებაში. ერთგულად ემსახურება ქართულ პოეზიას, მისმა ლექსებმა შეადგინა კრებულები „გაბზარული სარკე"(1929) „მზე და სამშობლო" (1939), ერთტომეული (1955) ორტომეული (I-1958, II-1960). ავტორია ფანტასტიკური რომანისა „ქალი სარკეში". მწერალთა კავშირში სანიმუშო ლიტერატურულ კონსულტანტობასაც ეწეოდა...



ნიკო ლორთქიფანიძე, შალვა დადიანი.

1926 წლის ყრილობაზე შექმნილი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ არჩეული მდივნები:

„სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის“ საბჭოს მდივანი (1926-1927)
ჟანგო (ივანე) ღოღობერიძე (1905-1937)



1926 წლის 21-24 თებერვალს გამართული ყრილობის მიერ შექმნილი საბჭოს პრეზიდიუმმა 1926 წლის 22 მარტს ყოფილი ფუტურისტი **ჟანგო ღოღობერიძე** „სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის“ მდივნად აირჩია.

მალე, ამავე წლის 26 ივლისს პრეზიდიუმის დადგენილების (1926. 13. VII) საფუძველზე, საქართველოს განათლების კომისარიატს გაეგზავნა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის **სილიბისტრო თოდრიას** და პრეზიდიუმის წევრების **გრიგოლ რობაქიძის, ალექსანდრე აბაშელის, ნიკოლო მიწიშვილისა** და **პავლე ინგოროყვას** ხელმოწერილი შუამდგომლობა – გთხოვთ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი და პასუხისმგებელი მდივანი ჟანგო ღოღობერიძე სასწავლებლად საზღვარგარეთ გაგზავნოთო.[9]

მართლაც, 1927 წელს საფრანგეთში გაუშვეს. იქიდან 1932 წელს დაბრუნებული მოსკოვში ცხოვრობდა. იქ წამოეწია საშიში დრო, როდესაც საზღვარგარეთ ნამყოფს, დასავლური თავისუფლების მნახველს ყველას ეჭვის თვალით უყურებდნენ და **ჟანგოც** დახვრიტეს **პალიკო ნოზაძესთან*** ერთად უკლონისტების საქმესთან დაკავშირებითო.

საქართველოს შინსახკომიდან მოსკოვს, პოლიტბიუროში დასამტკიცებლად გაგზავნილ, 1937 წლის 10 აგვისტოთი და-

---

* პავლე ნოზაძე, მწერალი, ვიქტორ ნოზაძის ძმა

თარიღებულ დასახვრეტთა სიას, რომელშიც ჟანგო ირიცხებოდა, **ხელს აწერს სტალინი** და პოლიტბიუროს სხვა წევრები. სხვათა შორის, ამ სიაში შეყვანილი იყვნენ აგრეთვე მწერლები: **მემედ აბაშიძე, ვახტანგ გარიკი-ვაჩნაძე** და **მოსე გვასალია,** ცხადია, მათზეც გავრცელდა სტალინის „წყალობა“ (უფრო დაწვრილებით, ჩეკა-შინსახკომის მასალების მოხმობით, აქ ჩამოთვლილთა, აგრეთვე **ნ. მიწიშვილის, მ. ჯავახიშვილის, ტ. ტაბიძის, ვ. კოტეტიშვილის, ქ. რაჭველიშვილისა** და სხვათა დახვრეტა-გადასახლების შესახებ იხ. რ. კვერენჩხილაძე, „წამების გზა“, წ. I–1999, წ.II–2005 და „საბუთები ღაღადებენ“, 2007, II შევსებულ-გადამუშავ. გამოც. – 2011)

ზემოხსენებულ და სხვა სიებში არ ჩანს **პალიკო ნოზაძე,** მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი არ დაუხვრეტიათ.

ეს სიები მოსკოვის საზოგადოება „მემორიალმა“ განათავსა ინტერნეტში, ამავე დროს შეგიძლიათ ნახოთ **ავთანდილ ქურხულის** წიგნის „... და რომ გახსოვდეს“ (თბ. 2004) დანართში.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„მაშინ ძნელი იყო ცხოვრება: გირვანქა შავ პურს ხელს მოუჭერდი და ჭიქა წყალს გამოწურავდი. მაგრამ ვცდილობდით, ვიბრძოდით, ვკამათობდით, ვცემდით ხელნაწერ ჟურნალებს „წინსვლის ემბლემას“, „პირველ სხივს“, ვაყალიბებდით დრამატულ დასს „წითელ მოგზაურს“, ვაწყობდით „აუქციონებს“ და ფული საბავშვო სახლისთვის შეგვქონდა, უპატრონო ბავშვებს ვაცმევდით და ვაჭმევდით, ჩვენ თვითონ ჩაუცმელნი“.

ალეკო შენგელია, პირველი სიყვარულივით დაუვიწყარი... „ლს“. 1968 25.X.

* * *

„სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის“ საბჭოს მდივანი (1927-1928)
კონსტანტინე ლორთქიფანიძე (1904-1986)



ზემოხსენებულმა პრეზიდიუმმა 1927 წელს, ოქტომბერში, **ჟანგო ღოღობერიძის** ნაცვლად, პროლეტარულ მწერალთა მეორე თაობისა და კომკავშირელი მწერლების პირველი თაობის ეს წარმომადგენელი აირჩია „სრ. საქართველოს მწერალთა კავშირის“ მდივნად.

ამრიგად, ზემოხსენებული კავშირის ხელმძღვანელობაში პროლეტარულმა მწერლებმა მიიღეს ორი ადგილი: თავმჯდომარისა (**ს. თოდრია**) და მდივნისა (**კ. ლორთქიფანიძე**).

ამ დროისთვის **კ. ლორთქიფანიძეს,** რომელმაც პირველი ლექსი (1928 წ.) კომკავშირის თავკაცს ბორის ძნელაძეს უძღვნა, მსგავს თემებზე გამოცემული ჰქონდა სამი თხელი კრებული: „მეორე თემა“, „კომკავშირი“ და „სტენკა რაზინი“ (ყველა – 1928 წ.).

როგორი იყო ამ ხანებში **კ. ლორთქიფანიძის** ლიტერატურულ-მოქალაქეობრივი მრწამსი? ანტიადამიანური და ანტიეროვნული! საბუთები? ინებეთ:

„მე ბოლშევიკის გარდა სხვა ვინმე
არ მიმაჩნია ადამიანად“;

„არ მეშინია უცხოეთში ბედის მოღუნვის,
ტკივილს ვერ მომგვრის მე სამშობლო მიწის სიშორე,
სანამდე ელავს გაბასრული ხმალი კომუნის,
მე ჩემს სამშობლოს ქვეყანაზე ყველგან ვიშოვი“.

ჩვენ კი გვწამდა და გვჯეროდა, როგორც ჩვენი დიდებული მწერლობა, კერძოდ მისი ერთ-ერთი ქურუმი **რაფიელ**

ერისთავი გულსა და გონებაში გვინერგავდა – **„როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“**.

ანდა, აი ამ სამშობლოს უარმყოფელი პოეტის კიდევ ერთი ლექსი „რამდენიმე სიტყვა ესენინს და სხვებს“ („ქართული მწერლობა“, 1926, №4-5), რომელშიც ამ რუსი პოეტის თვითმკვლელობას სულიგნობა უწოდა: „განა ჩვენი ცხოვრება ისე ჩლუნგი რამეა“, რომ თავი მოიკალიო?

60-70-იან წლებში, როცა **ს. ესენინის** სახელი გაბრწყინდა, **კ. ლორთქიფანიძემ** ეს წამგებიანი ლექსი გადააკეთა – შენმა თვითმკვლელობამ გული გვატკინა, გული რად მოგვიკალიო და 20-იან წლებში დაწერილად გამოაცხადა.[10]

მაგრამ ხალხს ვერ მოატყუებ! აკი ამხილა **აკაკი ბაქრაძემ...**

ესეც **კ. ლორთქიფანიძის** ნათქვამია: ატენის კოლმეურნეობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „გველის პერანგიო“.

ბოლოს – კაცთმოძულეობითა და სისხლისმსმელობით შთაგონებული ლექსი – ქება-დიდება იმ სატვირთო ავტომობილისა, რომლითაც შინსახკომს ხალხი დასახვრეტად გადაჰყავდა...

ყოველგვარი არაადამიანურობისა და სისასტიკის ჩამდენი იყო შინსახკომი, მაგრამ არა მგონია მას დაეკვეთოს – მაინცდამაინც ამ სატვირთო ავტომობილზე დაგვიწერე ლექსიო...

ასევე ყოველგვარ უსინდისობაზე წამსვლელი იყო საბჭოური კომპარტია, მაგრამ მაინც, ვფიქრობ, არც იმას მოუვიდოდა თავში – ამ მანქანას საქებარი ლექსი დაუწერეო...

ასეთ რამეს შეიძლება გასავალი ჰქონოდა ერთხანს, მაგრამ მას და მისთანებს ხომ უნდა ეფიქრათ (არც ზოგიერთ თანამედროვეს აწყენს ამაზე დაფიქრება) – როცა რეჟიმი მოირყეოდა, ანდა კიდევ უკეთესი – დაემხობოდა, მაშინ აუცილებლად გაუხსენებდნენ.

საოცარი კი ისაა, რომ რეჟიმის სიძლიერის ჟამსაც გაუხსენეს და ამას ჩვენ ვნახავთ 1937 წელთან, **კ. ლორთქიფა-**

ნიძის კიდევ ერთხელ, ამჯერადაც მოკლე ხნით, გამდივნებისას და ისევ სკანდალურად გაშვების დროს – მადლობა ღმერთს, ყველაფერი შემოგვინახა სტენოგრამამ!

სწორედ ასეთი რამეების გამო გაუვარდა ცუდი სახელი:

„... ამათგან ანტიქართული მოტივებით თავი ისახელა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, რომელსაც ჩუმად გვარის შემარცხვენელს ეძახდნენ“ – წერდა ემიგრანტი მოღვაწე **მინდია ლაშური (ილია კუჭუხიძე)** წერილში „თებერვალი და ქართული კულტურა“.[11]

კ. ლორთქიფანიძემ ამ თანამდებობაზე იმუშავა ხუთი თვე, 1928 წლის მარტამდე – კავშირის „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციად“ რეორგანიზაციამდე. როგორც მოგახსენეთ, მას კიდევ შევხვდებით და ასევე „ისახელებს“ თავს.


ამრიგად, „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის“ მესვეურები იყვნენ

საბჭოს თავმჯდომარე
სილიბისტრო თოდრია – 1926.24.II – 1928.14.III


თავმჯდომარის მოადგილეები:
გრიგოლ რობაქიძე – 1926.24.II–1928.14.III
ალექსანდრე აბაშელი – 1926.24.II–1928.14.III

მდივნები


ჟანგო ღოღობერიძე – 1926.22.III–1927.27.IV
კონსტანტინე ლორთქიფანიძე –1927.ოქტომბერი.–1928.8.III




სხედან: ალექსანდრე ქუთათელი, ირაკლი აბაშიძე, კონსტანტინე გამსახურდია, დემნა შენგელაია, ალიო მირცხულავა.
დგანან: მიხეილ მრევლიშვილი, გიორგი მერკვილაძე, სერვი ჭილაია, გრიგოლ აბაშიძე, ოთარ ჭელიძე, ალეკო შენგელია.



გიორგი ციციშვილი, სიმონ ყაუხჩიშვილი, ვახტანგ ჭელიძე



სხედან: სიმონ ჩიქოვანი, შალვა რადიანი, არისტო ჭუმბაძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, ტიციან ტაბიძე, რაჟდენ გვეტაძე, გიორგი ლეონიძე. დგანან: ვარლამ რუხაძე, დემნა შენგელაია, ბესო ჟღენტი, ალექსანდრე სულავა, გრიგოლ ცეცხლაძე, აკაკი გაწერელია, ვალერიან გაფრინდაშვილი. ზამთარი, მწერალთა სასახლე, წყაროსთან.



ვალერიან
გაფრინდაშვილი,
გალაკტიონ ტაბიძე,
გიორგი ქუჩიშვილი.
ამიერკავკასიის ხალხთა
მეგობრობის კონგრესი,
ბაქო, 1929

თავი III. „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის“ გარდაქმნა „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციად“, მისი მესვეურები და მოღვაწეობა (1928, მარტი — 1932, მაისი)

სილიბისტრო თოდრიას თავმჯდომარეობით არსებულ მწერალთა კავშირში ორი წლის განმავლობაში (1926-1928) ლიტერატურაში კომუნისტური ხაზის ერთგულად გამტარებელმა პროლეტარულმა მწერლებმა დაუზოგავი კრიტიკით იმდენად დათრგუნეს და საბჭოთა თემატიკის დამუშავებაზე იძულებით გადაიყვანეს კალმის ოსტატები, რომ ისინი საბჭოთა მწერლებად ჩათვალეს (ამ ამბავში კომუნისტურმა საქართველომ გაუსწრო, აჯობა საბჭოთა კავშირის ყველა სხვა რესპუბლიკას!). ეს კიდევაც აისახა საქართველოს მწერალთა მეორე (საერთო ათვლით – VII) ყრილობაზე, 1928 წლის 6-14 მარტს, პროლეტმწერლებისთვის მეტი ავტონომიურობის მისანიჭებლად ფედერაციულ საწყისებზე რეორგანიზებული კავშირის სახელწოდებაში – **„საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია“**.

მაგრამ არა მარტო სახელწოდებაში!

ყრილობის დელეგატთა შეცვლილ თანაფარდობაში კარგად ჩანდა პროლეტარულ მწერალთა რიცხობრივ-წარმომადგენლობითი ზრდა, რაც აუცილებლად მათ უფლებრივ გაძლიერებასაც იწვევდა: 1928 წლის ყრილობაზე ყველაზე მეტი დელეგატი – 55 ჰყავდა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას (ნაცვლად 25-სა წინა, 1926 წლის ყრილობაზე), აკადემიურ მწერლებს – 36 (ნაცვლად 44-ისა), „ცისფერყანწელებს“ –12 (ნაცვლად 25-ისა).

ყრილობაზე **ს. თოდრიამ** ასე განაცხადა: ჯგუფობრიობა ერთბაშად არ ისპობა. ეს მოხდება შემოქმედებითი შეჯიბრების, დარწმუნების გზით. მანამდე კი ფედერაცია უფრო შეე-

ფერება სახელად ამ ორგანიზაციას, რადგან მასში ლიტერატურული დაჯგუფებანი ავტონომიურად შედიანო.

შემოქმედებითი შეჯიბრებით, დარწმუნების გზითო – მშვენიერი სიტყვებია, მაგრამ ამის მაგივრად სამწერლო ჯგუფებზე შეტევა ყრილობაზევე დაიწყო...

„საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის“ თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები, პასუხისმგებელი მდივანი, პირველი მდივნები და მდივნები იყვნენ:

ყრილობის არჩეული „ფედერაციის“ თავმჯდომარე (1928-1932)

სილიბისტრო თოდრია

1928 წელს მწერალთა ყრილობაზე (6-14 მარტი) 14 მარტს სამწერლო ორგანიზაციის მთავარ ხელმძღვანელად, ახლა უკვე „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის“ თავმჯდომარედ ისევ **სილიბისტრო თოდრია** აირჩიეს. აქედან დაწყებული ფედერაციის გაუქმებამდე, 1932 წლის 16 მაისამდე ს. თოდრია განაგრძობდა პროლეტმწერლების ხელმძღვანელობას ჭეშმარიტი მწერლების საბჭოთა მწერლებად რაც შეიძლება უფრო მეტად მოსაქცევად. ამ სამსახურის გაწევისთვის კომუნისტურმა ხელისუფლებამ ეს ღვთისმგმობელი კაცი მთაწმინდის პანთეონში დაასაფლავა!

„ფედერაციის“ თავმჯდომარის მოადგილე (1928-1930)
გრიგოლ რობაქიძე



კვლავ გაეწია ანგარიში გრიგოლ რობაქიძის ავტორიტეტს.

„მას, მართლაც ჰქონდა მტკიცე ნერვები, დიდი ნებისყოფა, დიდი ერუდიცია, გამორჩეული გარეგნობა, ორატორული ნიჭი, აზროვნების ძალა, რომლის საფუძვლად ჰეროიკას, მითოსს, ქართული სიტყვის და სისხლის მისტერიას იგულვებდა“ (სოსო სიგუა).[1]

და ის 1928 წლის 6-14 მარტს გამართული ყრილობის შექმნილმა საბჭომ 18 მარტს ისევ აირჩია ახლა უკვე „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის“ თავმჯდომარის მოადგილედ (17 ხმა, შვიდმა თავი შეიკავა). ამიერიდან ძირითადად **გრიგოლ რობაქიძე** უძღვებოდა პრეზიდიუმის სხდომებს საბჭოს 1930 წლის 15 ნოემბრის სხდომამდე, როცა ის გაათავისუფლეს.

გრ. რობაქიძის ხელფასი შეადგენდა 150 მანეთს.[2]

„მნათობში“ იბეჭდებოდა მისი მოთხრობა „უდეგა“ (1929. №5-6,7).

ამ დროისთვის ეროვნულ სატკივარზე წერისთვის **გრიგოლ რობაქიძის** წინააღმდეგ ოფიციალური და პროლეტმწერლური კრიტიკის ბრძოლამ უმაღლეს წერტილს მიაღწია.

გრიგოლი მათ არ ეპუებოდა!

როცა პროლეტმწერლები პროვოკატორულად ეკითხებოდნენ: რასიზმი როგორ გესმითო, გრიგოლი ხაზგასმით უპასუხებდა: მხოლოდ როგორც ადამიანთა შორის არსებულ ჯიშთა განსხვავება. იდეოლოგიური მომენტი ჩემს აზრში საძებარი არაა, სწორად დაიმახსოვრეთო!

მათთვის ისიც უთქვამს: თქვენ უნიჭო აგიტატორები ხართო!

ამას პროლეტმწერალთა მეტი გააფთრება მოჰყვებოდა...

ამის გამო იყო, რომ მას აღმოხდა: **„მოდი და იცხოვრე საქართველოში. ეს არის ხელოვანის თვითმკვლელობა“.**

როგორც პოეტი **თამაზ ჩხენკელი** გადმოგვცემს, ერთხელ **სიმონ ჩიქოვანს** გაუხსენებია **რაჟდენ გვეტაძესთან** თავშეყრილი ახალგაზრდა მწერლებისათვის **გრიგოლის** ნათქვამი: **„ახლა ვიყავი ბერიასთან, პირდაპირ იქიდან მოვდივარ და უნდა გითხრათ, რომ ვერ გავუძელი მისი თვალების გამხვერეტ მზერასო, ეს კაცი დალუპავს საქართველოს!..“.**[3]

საბჭოთა მწერლების ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილედ ვიღა გააჩერებდა. იძულებული შეიქნა, 1931 წლის მიწურულს მოსკოვში მყოფი, 1932 წლის დასაწყისში გერმანიაში მესამედ გამგზავრებული, საბოლოოდ იქ დარჩენილიყო. მისი სიტყვებია: **„საბჭოეთი დავტოვე იდეოლოგიური მოსაზრებით“.**

ამასვე ადასტურებს მისი სიტყვები ბერძენი მწერლის **ნიკოს კაზანძაკისისადმი** 1952 წლის 17 დეკემბერს ჟენევიდან მიწერილი ბარათიდან:

„ორ წელიწადზე მეტხანს ვცდილობდი გამომეგლიჯა თანხმობა გასამგზავრებლად.. ბოლოს მივიღე იგი ჩემი დრამის „ლამარას“ წყალობით.[4]

საზღვარგარეთ წასულმა ყურად იღო კეთილისმყოფელთა გაფრთხილება და იქ დარჩა, თორემ 1937 წელს მას არ დაინდობდნენ.

მით უმეტეს, აღარ ჩამოესვლებოდა, როცა იქ გამოსცა ჩეკას განუკითხაობის ამსახველი ნაწარმოებები.

აინტერესებდათ — რა ენაზე წერდა მწერალი საზღვარგარეთ?

ეს რომ ასე იყო, ამაზე მიუთითებს გრ. რობაქიძის პასუხი რესტორნის ფოიეში შეხვედრილი, **„ვახტანგ ურდოე-**

ლის“ ფსევდონიმით ცნობილი ქართველი ემიგრანტი მწერლის **ტერენტი ყიფიანის** შეკითხვაზე: ვწერ ქართულად, რადგან ქართულად ვაზროვნებო.

რა გასაკვირია, რომ ოფიციალურმა კრიტიკამ საბოლოოდ გაწირა — „კომუნისტში“ იბეჭდება, **ირაკლი აბაშიძის** სიტყვებით რომ ვთქვათ, **„გრიგოლ მუშიშვილის (ხოფერია) წერილი „გველის პერანგოსანი“ — უხეში პასკვილი, რომელშიც გრიგოლ რობაქიძე ფაშისტად გამოაცხადა“, კაციჭამია შოვინიზმის პროპაგანდისტი უწოდა.**[5]

წაართვეს პიესა, რომელსაც ცოტა ხნის წინ კომპარტიის ერთი მდივანი (**სერგო მამულია**) **გრ. რობაქიძის** ნაწარმოებად თვლიდა („დადგმა არსებითად რეაქციონური პიესისა, როგორიც არის რობაქიძის „ლამარა“ — „ახკომი“, 1931.1.I) მეორემ, **ლ. ბერიამ** კი ვაჟა-ფშაველას მიაკუთვნა.

ამ უსამართლობამ ნ. მიწიშვილისთვის წერილი მიაწერინა, რაც პროვოკაციად ჩათვალეს. წერილში მოხსენიებული **ნ. მიწიშვილი, პ. იაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი და ტ. ტაბიძე** იძულებული გახდნენ თანამოკალმე პრესაშიც დაეგმოთ და პრეზიდიუმის იმ სხდომაზეც (1935, აპრილი), რომელმაც დაადგინა:

გრიგოლ რობაქიძე „... გამოცხადებული იქნას სამშობლოს მოღალატედ და ჩამოერთვას მოქალაქეობა“.[6]

მაშინ ხომ ბოლშევიკ კომუნისტებისა და ლიტერატურაში მათი დასაყრდენი პროლეტარული მწერლების ლოზუნგი ასეთი იყო **„ვინც დღეს ჩვენთან არ არის, ის ჩვენ წინააღმდეგაა“** („დამკვრელი გაზეთი“, 1930.18.V).

1935 წლის 3 აგვისტოს დადგენილების შემდეგ, მალე, 2 სექტემბერს „კომუნისტში“ დაბეჭდილ წერილში „რუსთაველის თეატრი გარდაქმნას აგვიანებს“ ნათქვამი იყო: „აქ ლამარა და თეთნულდი (შ. დადიანის, რ. კ.) გამოხატავენ თეატრის ქანაობას ნაციონალიზმისკენ“.

ამას ის მოყვა, რომ თეატრში „ლამარას“ დადგმის მაკეტებზე რობაქიძის გვარი მოშალეს და „ვაჟა-ფშაველა“ დააწერეს.

ასეთი იყო საბჭოთა კომუნისტების „სამართალი“, ქვეყნის მოღალატეობა ბრალდებოდა კაცს, რომელიც შეუვალ პრინციპულობას იჩენდა ეროვნული ინტერესების დაცვაში. ცნობილია, რომ შვილის სიკვდილის შემდეგ, როცა მეორე მეუღლესთან, ელენე ფიალკინასთან შვილი არ ეყოლა, მეუღლის დისწული ალინკა იშვილა, მაგრამ როგორც კი ეს შვილობილი გრიგოლის სალოცავ ქართველთა ღირსებას უღირსად შეეხო, მამობილმა უმალ ურყევი გადაწყვეტილება მიიღო:

„ისე ცუდად მოიხსენია ჩემმა შვილობილმა ქართველები, რომ ყოველგვარი უფლება შვილობისა ჩამოვართვი“.

სამშობლოდან შორს მყოფი გრიგოლ რობაქიძე მწვავედ განიცდიდა ჩეკისტურ მარწუხებში მოქცეული მშობელი ქვეყნის უბედურებას. ამას ის ადასტურებს, რომ საზღვარგარეთ დაწერა „ჩაკლული სული“ (1932, იენა) – გასაბჭოებით მოტანილი წითელი ტერორის დაუნდობლობაზე (რომელიც **ივანე ამირხანაშვილის** მიხედვით **„ემიგრანტული რომანის ერთადერთ ღირსეულ ნიმუშად უნდა ჩაითვალოს“**) და „მცველნი გრაალისა“ (1934) – ქვეყანას თავს დატეხილი უბედურებისგან საქართველოს დასაცავად ავჯანყებულ და თავგანწირულ რაინდებზე.

ამას ზემოხსენებული ნიკოს კაზანძაკისისადმი მიწერილი ბარათის ეს ადგილებიც ადასტურებს:

„ტერორმა დაქსაქსა ჩემი ახალი მეგობრები. პაოლო იაშვილმა, მზის პოეტმა და მზის ადამიანმა, ამავე დროს ჩემმა ძმამ და მეგობარმა, საბჭოეთის სატანური ატმოსფეროს ზეწოლის შედეგად თავი მოიკლა 1937 წელს“.

„... თქვენ იცნობდით ჩემს მეორე ძმასაც და მეგობარს პოეტ ტიციან ტაბიძეს, ის იმავე წელს თურქმენეთში გადაა-

სახლეს (?), არ ვიცი ცოცხალია თუ არა. რომანისტი მიხეილ ჯავახიშვილი, რომელთანაც ვმეგობრობდი, ისიც დახვრიტეს. დახვრიტეს აგრეთვე ჩემი სხვა მეგობარიც, პოეტი ნიკო მიწიშვილი, იმ გამარჯვებული თეატრის რეჟისორიც — სანდრო ახმეტელი".

საბჭოეთში დიდი განრისხება გამოიწვია გრიგოლ რობაქიძის ბიოგრაფიულმა რომანებმა „ადოლფ ჰიტლერი" (1934) და „ბენიტო მუსოლინი" (1939)...

მაგრამ, მადლობა ღმერთს, მას ვერ მისწვდა ჩეკისტების მსახვრალი ხელი.

„ფედერაციის" მდივნები:

ა) ალიო მაშაშვილი (მირცხულავა) (1903-1971)

ალიო მაშაშვილმა 1921 წლიდან დაიწყო ლექსების ბეჭდვა და ამავე დროს საქართველოს კომკავშირის ცკ-ში მუშაობდა, 1924 წლიდან მოსკოვში სრულყო განათლება, მოგვიანებით პოეტი იხსენებდა: „1924 წლის იანვრიდან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცეკას მივლინებითა და სტიპენდიით (მეძლეოდა 10 მანეთი ჩერვონეცით), გავემგზავრე მოსკოვს, ვალერი ბრიუსოვის სახელობის უმაღლეს სამხატვრო-სალიტერატურო ინსტიტუტში სასწავლებლად. პოეტი ვალერი ბრიუსოვი იყო ამ ინსტიტუტის რექტორი და ლექტორიც (პოეტიკაში)."[7]

1922 წელს ალიომ გამოაქვეყნა ქართულ საბჭოურ პოეზიაში პირველი ლირიკული პოემა, ინტერნაციონალიზმის პათოსით გამსჭვალული „სისხლიანი დღეები";

როგორც პროლეტარულ მწერალთა მეორე, ხოლო კომკავშირელ მწერალთა პირველი თაობის წარმომადგენელი, 25 წლის ახალგაზრდა 1928 წ. 18 მარტს ახალშექმნილი „სა-

ქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის“ საბჭომ თავის მდივნად დააწინაურა.

ამ თანამდებობაზე ალიო მუშაობდა ოთხ თვეს, ფედერაციის საბჭოს პრეზიდიუმის 1928 წლის 2 ივლისის სხდომამდე, როცა პროლეტმწერალთა ასოციაციის გამგეობამ ჩათვალა – **ალიო მაშაშვილი** ფედერაციაში ასოციაციის ხაზს სუსტად ატარებსო და მის მაგივრად ფედერაციის მდივნის თანამდებობაზე რეკომენდაცია გაუწია მეორე პროლეტმწერალს – **შალვა რადიანს.**

ჩანს, ალიომ პროლეტმწერლური სიმკაცრე ვერ გამოიჩინა სხვა დაჯგუფებათა მწერლების საბჭოურ პოზიციებზე გადაყვანის საქმეში.

ბ) შალვა რადიანი (შეწირული) (1904-1977)

ფედერაციის საბჭოს მიერ 1928 წლის 2 ივლისს **ალიო მაშაშვილის** მაგივრად მდივნის თანამდებობაზე არჩეული, ისევ პროლეტმწერალთა მეორე თაობის ეს წარმომადგენელი, კრიტიკოსი, ლიტერატურისმცოდნე **შალვა რადიანი** ცოტა უფრო ხანგრძლივად, ფედერაციის საბჭოს 1930 წლის 15 ნოემბრის სხდომამდე უძღვებოდა დაკისრებულ მოვალეობას.

არც **შ. რადიანის** მდივნობაზე უთქვამთ უღირსად იქცეოდაო...

„ფედერაციის“ პასუხისმგებელი მდივნები:

ს. თოდრიას თავმჯდომარეობის დროს მწერალთა ფედერაციის ხელმძღვანელობაში პროლეტმწერლებს ისედაც მთავარი ადგილი ეჭირათ, მაგრამ ახლა თანამდებობის სახელწოდებითაც – პასუხისმგებელი – გაუსვეს ხაზი მათ უფროსობას.

ა) პანტელეიმონ ჩხიკვაძე (1903-1940)

პროლეტმწერალთა ეს 27 წლის წარმომადგენელი, პროზაიკოსი, ფედერაციის პასუხისმგებელ მდივნად აირჩიეს ფედერაციის საბჭოს ზემოხსენებულ 1930 წლის 15 ნოემბრის სხდომაზე. მაგრამ ერთ თვეში, 1930 წლის 13 დეკემბერს გაათავისუფლა ფედერაციის პრეზიდიუმმა.

საერთოდ ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი იყო დულილი და ძიება, რაც ხელმძღვანელობის ხშირ ცვლაშიც გამოიხატებოდა.

ბ) შალვა რადიანი.



ფედერაციის პრეზიდიუმმა 1930 წლის 13 დეკემბერს **პ. ჩხიკვაძის** გათავისუფლებასთან ერთად, ამჯერადაც პასუხისმგებელ მდივნად, ისევ პროლეტარული მწერალი, ფედერაციის ხელმძღვანელობაში მდივნობის პრაქტიკაგავლილი (1928-30) და ამავე დროს ჟ. „პროლეტარული მწერლობის“ (1930), „მნათობის“ რედაქტორად მომუშავე (1930-31) **შ. რადიანი** დააბრუნა. ამ თანამდებობაზე მან იმუშავა 1931 წლის 14

სექტემბრამდე, როცა ის პროლეტმწერლების ასოციაციის პასუხისმგებელ მდივნად გადაიყვანეს. ერთ დროს იყო აგრეთვე ამიერკავკასიის პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პმგ მდივანი.

1931 წელს შალვა სათავეში ჩაუყენეს ფედერაციის დიდი წმენდის კომისიას, 1937 წელს კი მოხსენებით „ილიას მსოფლმხედველობა“ გამოვიდა **ი. ჭავჭავაძის** დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ იუბილეზე.

მალე **შალვა რადიანი,** ასოციაციაში **ჩვეულებრივ მდივნად დატოვებასთან** ერთად, 1931 წლის 1-ლი ნოემბრიდან ახალდაარსებული „სალიტერატურო გაზეთის“ რედაქტორად დანიშნეს, სადაც მუშაობდა 1931-32 და 1937-43 წლებში, შუალედში ჟურნალების „საბჭოთა მწერლობის“ (1932-33), „ჩვენი თაობის“ (1937) რედაქტორი და სახელგამის დირექტორის მოადგილე (1934-37) იყო.

ხელმძღვანელობდა აგრეთვე ჟურნალებს „პროლეტარულ მწერლობას“, „პიონერს“, „დროშას“.

1937 წელს, **მიხეილ ჯავახიშვილის** დაპატიმრების შემდეგ მისი ოჯახი შეავიწროვეს — ბინაში **შალვა რადიანი** შეუსახლეს (მადლობა ღმერთს, მთლად არ ჩამოართვეს). ჯავახიშვილის ოჯახის საოხად ბატონი შალვა სინდისიერად ექცეოდა ხალხის მტრად გამოცხადებულის ოჯახს, რაც მაშინ სულაც არ იყო უსაფრთხო საქმე!..

თქმა არ უნდა, ამაზე ჯობს ვალაპარაკოთ **მიხეილ ჯავახიშვილის** ქალიშვილი, ქალბატონი **რუსუდანი:**

„ჩვენ ბინაში შემოასახლეს კრიტიკოსი შალვა რადიანი და მისი მეულლე ქეთევან ირემაძე. მათთვის მიუციათ ჩვენი ბინა. შემდეგ ქ-ნმა ქეთევანმა უამბო დედას, რომ მწერალთა კავშირში ერთი ამბავი ამტყდარა, ბევრ მწერალს სდომებია ჩვენი ბინა, მაგრამ ჩვენ მოგვცეს, როგორც ახალშეუღლებულებს და უბინაოებს. შალვა ფიქრობდა, ჩვენი აქ ყოფნით ხელი შეეწყო თქვენი ოჯახისთვისო.

დროთა განმავლობაში შალვა რადიანისთვის შეუთავაზებიათ, თუ გინდათ, ამათ გავასახლებთ და ამ მეოთხე ოთახსაც თქვენ მოგცემთო. მაგრამ რადიანებს უარი უთქვამთ: ჩვენ ესეც გვყოფნისო.

რადიანები დიდი მოწიწებით შემოვიდნენ ჩვენ ბინაში. მათთან ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა, როგორც ერთი ოჯახი, ისე ვცხოვრობდით. ოთახების კარი არ იკეტებოდა, თავისუფლად შევდიოდით მათთან. ჩვენ ნამდვილად გაგვიმართლდა. ძალიან კარგი ადამიანები აღმოჩნდნენ. ბ-ნი შალვა რამდენადაც მკაცრი კრიტიკოსი იყო, იმდენად გულისხმიერი და ლმობიერი, კულტურული ადამიანი აღმოჩნდა. აკი მამას „არსენა მარაბდელი“ უჩუქებია ბ-ნი შალვასთვის ასეთი წარწერით „უმკაცრეს კრიტიკოსს და ლმობიერ ადამიანს“.

მაგრამ ჩვენ სამარცხვინო ამბებიც მოგვისმენია, ერთი მათგანი ასეთია: პოლიტიკურ ნიადაგზე დაპატიმრებული **ზინა დონაძის** მამა გრიგოლ დონაძე შვილიშვილების სარჩენად იძულებული გამხდარა თავისი დიდი ბინა მომცროზე გადაეცვალა.

ამ დიდ ბინაში აჩქარებით გადასულა ერთი ჩვენი მწერალი, შეთანხმების თანახმად მას ვალი სიმინდით უნდა გადაეხადა (ომის დროის გაჭირვება ყოფილა). მაგრამ როცა გ. დონაძეს ვალი მოუთხოვია, მოვალეს უტიფრად უთქვამს — უკვე გადაგიხადე, სიმინდი ხომ მოგეციო და ეს თან მოყვანილ ორ ცრუმოწმეს დაუდასტურებინა.

გამოხდა ხანი, ერთხელ გ. დონაძეს ერთ-ერთი ცრუმოწმე ქალაქში შეხვედრია — ორ ქალბატონს შორის ჩამდგარი ამაყად მოაბიჯებდა, დონაძეს თითი მიუშვერია და უყვირია: ცრუმოწმე, ცრუმოწმე!...

ის ცრუმოწმე თურმე თავს ასე იმართლებდა: მითხრა — გადავუხადეო და მეც დავუჯერეო.

ეს გაუმეორებია ერთ-ერთ წვეულებაში, რომელსაც ჩვენი სახელოვანი რეჟისორი **გიგა ლორთქიფანიძეც** ესწრებოდა.

თურმე მას გრიგოლ დონაძე ბიძად ეკუთვნოდა და იმ ცრუმორწმისთვის თავისი ჯოხი კაი მაგრად უთავაზებია...

ახლა ისევ ჩვენს ბატონ შალვას დავუბრუნდეთ.

მოგვიანებით (1949-56) **შალვა რადიანი** ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორია, საიდანაც „ლიტერატურნაია გაზეტას“ კრიტიკის კვალდაკვალ გაათავისუფლეს.

იგი 1945 წელს მეცნიერების დოქტორი გახდა, იყო პროფესორი (1944), მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1965), ავტორია მრავალი წიგნისა: „ლიტერატურული პორტრეტები“ (1931, 1932, 1934, 1956), „ახალი ქართული ლიტერატურა“ (წ. I-II, 1949-50, 1954), „მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა“; „ლიტერატურული მემკვიდრეობა“ (წ. I-II – 1947), „ქართველი მწერლები“ (1963).

ისიც დადებითად ახასიათებს ამ ლიტერატორს, რომ მისი კრიტიკული წერილები 20-30-იან წლებში უკიდურესობებიდან დაზღვეული იყო.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„პოეტების“ სახარაზო სახელოსნო – პროლემაფია. მუშკორები ვერ შექმნიან პროლეტარულ კულტურას... ყველა მხალი და დომხალი არ შეიძლება მივიღოთ პროლეტარულ პოეზიად“.

ვანლერ დაისელი (პუბლიკაცია ნინო ხოფერიასი – „ლიტერატურის მატიანე“, 1992. გვ. 226)

* * *

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„სახალისო იყო გაზეთში მუშაობა. ჩვენი რედაქცია ჰგავდა ერთ პატარა ოჯახს, სადაც თითოეული მუშაკის ცხოვრება და საქმიანობა მეტად მჭიდროდ იყო დაკავშირებული მეორესთან. დილიდანვე ივსებოდა რედაქცია თანამშრომლებით, პოეტებით, რაიონებიდან ჩამოსული კორესპონდენტებით... იწყებოდა ინტენსიური საქმიანობა. შემდეგ, თუმცა გვინდოდა შინ წასვლა, მაგრამ მაინც ვერ ვშორდებოდით ერთმანეთს და მუშაობა გრძელდებოდა სტამბაში ნაშუაღამევამდე. განსაკუთრებით ეს ხდებოდა მაშინ, როცა გამოდიოდა ჩვენს რედაქციასთან არსებული ახალგაზრდა კომკავშირელ მწერალთა წრის ორკვირეული ფურცელი. მაშინ ახალგაზრდა ვიყავით და ჩვენთვის ახალი, მოულოდნელი და ამაღელვებელი იყო ყველაფერი, და ახალგაზრდობა ყველაფრით იზღუდავდა თავს, ყველაფერს იკლებდა მომავლისათვის, ხვალინდელი დღისათვის... ახალგაზრდული აღფრთოვანება და ჭაბუკური აღტკინება ძლევდა ყოველივეს, პირტიტველა ენთუზიასტები არ ფიქრობდნენ კარიერაზე, ჰონორარსა და გასამრჯელოზე, და დღე-დღეზე ელოდნენ, როცა მთელ მსოფლიოში დაიგრიალებდა რევოლუცია...“

ნიკა აგიაშვილი. „ლს“. 1968, №43

* * *

1930 წლის 15 ნოემბერს ფედერაციის საბჭომ თავმჯდომარესთან (ს. თოდრია) შექმნა სამდივნო, რომელშიც პასუხისმგებელ მდივნებად, პირველ მდივნებად, რა თქმა უნდა, პროლეტარულ მწერალთა წარმომადგენლები იყვნენ, ხოლო მდივნებად — სხვა ლიტერატურულ გაერთიანებათა წევრები.

კერძოდ, 1930 წლის 15 ნოემბერს შექმნილ „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის“ სამდივნოში შედიოდნენ:

„ფედერაციის“ პირველი მდივნები:

ა) სიმონ წვერავა (1905-1982)



პროლეტმწერლის **შალვა რადიანის** ნაცვლად, მაგრამ, ამ ჯგუფის უფლებების კიდევ ერთხელ საზგასასმელად, პირველი მდივნის სახელწოდებით, პროლეტმწერლების ასოციაციამ ფედერაციის პრეზიდიუმის 1931 წლის 14 სექტემბრის სხდომაზე ისევ თავიანთი წარმომადგენელი **სიმონ წვერავა** წარადგინა, მაგრამ ძალინ მალე, ოთხ თვეში (1932. 13.1) გაათავისუფლა.

ერთ-ერთი პროლეტმწერლის აღიარება:

„ერთ დროს ჩვენ მწერალთა ფედერაციის მდივნად წამოვაყენეთ ამხანაგი, რომელსაც არა ჰქონდა ლიტერატურული ავტორიტეტი. ჩავიდინეთ ეს იმიტომ, რომ ეს ამხანაგი, ჩვენის ფიქრით, იქნებოდა ჩვენ განკარგულებათა ყურმოჭრილი შემსრულებელი და „ორთოდოქსული“ გამტარებელი“.

ეს და პროლეტმწერალთა მემარცხენე ხელმძღვანელების, მისი დამქაშების, აგრეთვე საკუთარი სხვა სიგლახეები, რაც სტენოგრამებმა შემოგვინახა, **კონსტანტინე ლორთქიფანიძემ** აღიარა 1937 წლის 5-11 მაისს ჩატარებულ გამგეობის მრავალდღიან სხდომაზე, როცა თავის გადასარჩენად ყველაფერი თავის უახლოეს მეგობრებს, კერძოდ, პროლეტმწერალთა ლიდერს **ბენიტო ბუაჩიძეს** გადააბრალა და არც სხვა ჯგუფების მწერლები დაინდო.[8]

პროლეტმწერალთა ხელმძღვანელობის წინადადებით 1931 წელს შექმნილ „ფედერაციის“ წმენდის კომისიას სათავეში, როგორც პირველი მდივანი, **ს. წვერავა** ჩაუყენეს.

როცა ამ კომისიის მიერ „ფედერაციიდან“ გარიცხულმა **პ. ინგოროყვამ** თავი იმართლა,[9] ს. წვერავამ ხოტბა შეასხა პროლეტმწერლების მიერ სხვა დაჯგუფებათა მწერლების მიმართ მწვავე, ლანძღვამდე მისული კრიტიკისა და ადმინისტრირების მეთოდის გამოყენებას: კარგი ვქენით, პ. ინგოროყვა რომ გავრიცხეთ, ამან თავისი შეცდომები შეაგნებინა. დათვურ სამსახურს უწევდნენ ისინი, ვინც იცავდაო.

ასეთი პროლეტმწერლური უხიაგი კრიტიკით დაზარალებულმა **დემნა შენგელაიამ** 1932 წლის მიწურულს გამართულ საბჭოს სხდომაზე თქვა: **„ამან მაიძულა სხვაგან წავსულიყავი, ინჟინრობა ვისწავლე, მერე ვითხოვე სამუშაო. ს. წვერავამ ქედმაღლურად მითხრა: ჩვენ კორექტორის ადგილი გვაქვს, წადი თუ გინდაო“.**

შემდგომ მრავალი წლის განმავლობაში მწერალთა კავშირში, როგორც ეს ფუნაგორია მოწმობს, **„რაპელებისგან მიმომზვერავად დარჩენილია სიმონ წვერავა“**.

ბ) პანტელეიმონ ჩხიკვაძე.



ავტორიტეტის გასაზრდელად **ს. წვერავას** თანამდებობას პირველი მდივანი უწოდეს, მაგრამ ავტორიტეტს მარტო თანამდებობის სახელწოდების შეცვლა ვერ აამაღლებს. ამას პროლეტმწერალთა ბატონობის იმ წლებშიც მიხვდნენ და ოთხი თვის შემდეგ, 1932 წლის 13 იანვარს პრეზიდიუმმა ამ თანამდებობაზე დააბრუნა პროლეტმწერლური პროზის ერთ-ერთი მთავარი იმედი, ამისთვის „სალიტერატურო გაზეთში“ (1933. №4). **„გუგულის“ (ბუხნიკაშვილი)** შარჟებში

ასე გაკენწლული მწერალი: **„პანტელეიმონ ჩხიკვაძე — ფელეტონში ბალზაკი“.**

იმის მიუხედავად, რომ მას, როგორც პროლეტმწერალთა წარმომადგენელს, „ფედერაციაში“ თავმჯდომარესთან პირველი მდივნის თანამდებობა ეჭირა, პროლეტმწერალთა ასოციაციისა და „ფედერაციის“ დაშლის შემდეგ ზოგიერთივით თანამდებობრივ და პროლეტმწერლურ უპირატესობებს კი არ ჩაებღაუჭა, პირიქით პროლეტმწერალთა ორგანიზაციის ნაკლოვანებები ამხილა:

„ასოციაციის არსებობის უკანასკნელ ეტაპზე თავი იჩინა და გაძლიერდა ჯგუფობრიობა, ხელმძღვანელობა თვითონ გადაიქცა ვიწრო ჯგუფად, რომელიც ადმინისტრაციული ღონისძიებებით, კარჩაკეტილობით, „ძმაბიჭურობით“ ყოვლად მიუღებელი ფორმებით ერეკებოდა მწერლობის რიგებიდან, როგორც პროლეტარულ, ისე საბჭოთა მწერლობის სხვადასხვა ფენების საუკეთესო წარმომადგენლებს.

ასე იყო რაპპში, ასე იყო საქართველოს სინამდვილეშიც.

დღეს ყველას თვალში ხვდება, რომ ასოციაციის ჯგუფური ხელმძღვანელობის ლოცვა-კურთხევით „დაწინაურებული“ და თვით ეს „ძალადმაცხონე“ „ხელმძღვანელობის“ ერთი ნაწილი როგორ გაქრნენ მწერლობის ფრონტის ხელმძღვანელობიდან და წარმოიდგინეთ, მწერლობიდანაც“.

პ. ჩხიკვაძე საკავშირო მწერალთა პირველი ყრილობის (მოსკოვი, 1934) დელეგატი იყო გადამწყვეტი ხმის უფლებით.

რაც შეეხება მის პიროვნებას, მასზე არაფერი ცუდი არ მსმენია.

პ. ჩხიკვაძე სამდივნოს ხელმძღვანელობდა ფედერაციის დაშლამდე — 1932 წლის 16 მაისამდე.

სამწუხაროდ მძიმე ავადმყოფობამ (ტუბერკულოზი) ადრე მოუსწრაფა სიცოცხლე.

„ფედერაციის“ მდივნები:

1930 წლის 15 ნოემბერს „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის“ საბჭოს მიერ შექმნილ სამდივნოში, 1930-1932 წლებში, **ს. თოდრიას** თავმჯდომარეობის, **შ. რადიანის** პასუხისმგებელი მდივნობისა და **ს. წვერავასა** და **პ. ჩხიკვაძის** პირველი მდივნობის დროს მდივნებად შედიოდნენ:

ა) ალიო მაშაშვილი (მირცხულავა)

პროლეტმწერალთა ეს წარმომადგენელი, მართალია, ცოტა ხნით (1928. 18. III – 1928. 15. XI), მაგრამ „ფედერაციის“ მდივნად უკვე ნამუშევარი, ფედერაციის საბჭომ 1930 წლის 15 ნოემბერს ხელახლა აირჩია ამავე თანამდებობაზე.

ამჯერად **ალიო მაშაშვილმა** „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის“ მდივნად იმუშავა ფედერაციის დაშლამდე – 1932. 16. V.

ალიო ბუმერანგს (ეს იყო პირველი ფსევდონიმი – კრებული „მერეხი“, 1924 წ.) ფედერაციის ხელმძღვანელობაში ყოფნაც ავალებდა პროლეტმწერლურ გამოსვლებსა და ლექსების წერას (აი, ზოგიერთი ადგილი ამ თხზულებებიდან: **„მისი პარნასი არის კომუნა, ლენინის შუბლი და ეშაფოტი!“**, მეორე მაგალითი – ასე ახასიათებდა ჩვენი ქვეყნის მოღალატე **ფ. მახარაძეს: „გაუმარჯოს შენს საქციელს, თაიგულო ქართველ ხალხის“**; ასევე საქებარ ლექსს უწერდა მეორე ბობოლა ბოლშევიკს – **მიხა ცხაკაიას**. 25 თებერვალზე კი ბრძანებდა: ქართველი ხალხის სიხარული მეტად დიდიაო.).

ამის მიუხედავად მასში მაინც ეროვნული გრძნობის ფეთქვა შეიმჩნეოდა: აი, როგორ მიმართავდა **„ზოგიერთ პროლეტარულ პოეტებს“: „რევოლუცია – აიღო საგნათ, ამის გარშემო ბოდავს რაღაცას, მაგრამ ნამდვილად ის ვერ დასა-**

ხა და ცეცხლის ნაცვლად აბოლებს ნაცარს. ... ქართულ ცხოვრებას აძრობენ ხალათს და ტანთ აცვამენ სხვა ხალხის აზრებს, თქვენ პოეტებო თუ სწერთ ქართულად, თუ გსურთ რეკავდეს სიტყვა ქართული, სწერეთ ლექსები წელგამართულად, სწერეთ ლექსები წელგამართული ... მაგრამ იცოდეთ ამ ქართულ მიწას სხვის ნაფიქრალში ნულარ დამალავთ! საკუთარ სახეს ვინც კი დაიცავს, ის მსოფლიოში შევა თამამად!"

ამ სტრიქონებისთვის ალიო ჯვარს აცვეს კოლექტიურ წერილში, რომელსაც ხელს აწერდნენ პროლეტარული მწერლები (ნიკა აგიაშვილი, დიმიტრი ბენაშვილი, გუგული ბუხნიკაშვილი, გიორგი ლომიძე, გიორგი (ჟორჟიკა) მდივანი, ფრიდონ ნაროუშვილი, გიორგი ნატროშვილი, პლატონ ქიქოძე, შალვა შავგულიძე, პანტელეიმონ ჩხიკვაძე, ივანე ჯაფარიძე) – ილია ჭავჭავაძესავით მსჯელობსო:

„ილია მოითხოვდა ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოდესო, პროლეტარული პოეტი მაშაშვილი კი მოითხოვს არ ჩავიცვათ „სხვა ხალხის აზრები", მოითხოვს ეროვნული „საკუთარი სახის" დაცვას".

„განა მაშაშვილს არ ეკუთვნის დამპალი შოვინისტური სტრიქონები".

აი, მაგალითი ბუაჩიძის ფედერალისტურ რეციდივების პოეტური გადამღერებისა მაშაშვილის მიერ, რომელიც მოცემულია პოემა „მე და ბარათაშვილში":

საუკუნეზე დიდხანს ივლიან,
ვინც ხალხის გულში დადგა კარავი
ცოცხლობს აკაკი, ვაჟა, ილია
წარსულის ფერფლით დაუფარავი".[10]

ბ) ტიციან ტაბიძე.



ტიციან ტაბიძე, ნიტა ტაბიძე.

ფედერაციის საბჭომ 1930 წლის 15 ნოემბერს სამდივნოში ცისფერყანწელთა წრიდან შეიყვანა აღრე (1920-1921 წლებში) კოტე მაყაშვილის მოადგილედ ნამოღვაწარი **ტიციან ტაბიძე.**

ამ დროისათვის მის შემოქმედებით ბიოგრაფიას შემატებული ჰქონდა:

1921 წელს მწერალთა კავშირიდან გამოყოფილი „ახალი მწერლობის კავშირის“ პრეზიდიუმის წევრობა და, რაც, ალბათ, უფრო მთავარია, ამ კავშირების გაერთიანებაზე ზრუნვა, გაერთიანების ოქმზე ხელის მოწერა 1923 წლის ოქტომბერში;

„პოეზიის აკადემიის“ პროგრამით მოხსენებით გამოსვლა, ესეების ბეჭდვა, ჯერ კიდევ 1922 წელს „ბახტრიონში“ (№6) ვაჟას ამაღლებაზე ზრუნვა: **„გავიმეორებ, რაც დამიწერია კიდეც ადრე, რომ ვაჟა-ფშაველა უნდა ამოვიდეს დიდუბის ჭაობიდან და ავიდეს მთაწმინდაზე, რადგან მთაწმინდა ისე არავის არ ეკადრება, როგორც ამ მართლა წმინდა მთას“;**

ვაჟა და ფიროსმანი — „ეს ორი ვეშაპებია, რომელთაც შეუძლია დაეყრდნოს კიდევ რამდენიმე საუკუნე საქართველო“;

ცხოვრების არასასიკეთოდ შეცვლით გამოწვეული წუხილიც მის სწორ პოზიციაზე მეტყველებდა (**„ყველაფერი წინ მიდის პოეზიის გარდა — იწყება ლექსის უკუღმა ელექტროფიკაცია“** — „უკმური კვირა“, 1924);

ეს შეკითხვაც უკვე დასმული ჰქონდა (პასუხიც თავშივე იყო გაცემული): **და ვეკითხები ამ დაბურულ სკვითების**

ღამეს: რა იქნა ჩვენი ჭაბუკობა და გატაცება? ვინ გადაფისა ასე გული მშრალი ბალღამით და არ გვაცალა შთაგონების დავაჟკაცება?“ („ილაიალი“).[11]

და ბოლოს, გამოთქმული ჰქონდა მოძმე პოეტის **სერგეი ესენინის** თვითმკვლელობით (თუ – მკვლელობით?) გაჩენილი ეჭვიც – ვაი თუ ღრმა ღელეში ჩვენი თავებიც სადმე დაგორდესო (1926)...

ფედერაციის მდივნობისას საბჭოს სხდომაზე 1930 წ. წამოაყენა მთაწმინდაზე დაკრძალულ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა ერთიანი მუზეუმის შექმნის წინადადება.[12]

1931 წელს ტიციანი, როგორც ცისფერყანწელთა წარმომადგენელი, შეიყვანეს ფედერაციის დიდი წმენდის კომისიაში და ის იძულებული შეიქმნა ხელი მოეწერა ხელისუფლებისა და პროლეტმწერალთა ხელმძღვანელობის კარნახით **პავლე ინგოროყვას, კონსტანტინე გამსახურდიას, გერონტი ქიქოძის, იოსებ იმედაშვილის, შალვა შარაშიძის** („თაგუნა“) და სხვათა გარიცხვის ოქმზე.

ფედერაციის მდივნად **ტიციან ტაბიძემ** იმუშავა 1932 წლის 16 მაისამდე, როცა პროლეტმწერლური ორგანიზაციების დაშლის თაობაზე სსრკ კომპარტიის დადგენილების თანახმად გაუქმდა პროლეტმწერალთა მბრძანებლობაში მოქცეული „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია“.

1934 წელს მოსკოვში მონაწილეობს და სიტყვით გამოდის მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე.

ერთხანს აკადემიურმა მწერლებმაც და ცისფერყანწელებმაც თავისუფლად ამოისუნთქეს. **ტიციან ტაბიძე** თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატადაც კი აირჩიეს 1935 წელს...

მაგრამ მალე მათ თავი ისევ გაახსენა ადრე გაელვებულმა შიშმა: **„ხოლო ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია, ჩვენც სადმე მალე ჩაგვაძალებენ“.**

და მაინც ჩავლილი ეგონათ ის სიმწარე, რომელიც ტიციანმა თვით 1937 წლის 5-6 მაისს გამართულ გამგეობის პლენარულ სხდომაზე გაიხსენა:

„ჩვენ გვახსოვს ის დრო, როცა ხმის ამოღება არ შეიძლებოდა, როცა ქიქოძე-ნაროუშვილის* აშკარა თავგასულობა იყო გამეფებული. ჩვენი ორგანიზაციის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ამ მოვლენებს თავის დროზე ახადა ნიღაბი და ზოგიერთი ჩვენთაგანი არც ტოროშელიძის უხეშ მბრძანებლობას შეურიგდა“.

მაგრამ სულ მალე აღარ გასჭრა შეურიგებლობამ, აღარ აკმარეს ნერვების წეწვა, დატუქსვა, ლაფში ამოსვრა (რომლის ერთი მაგალითია — **გიორგი ნატროშვილის წერილი,** (პოლიტიკური გახრწნის ჭაობში, „ლს“, 1937. 30. IX)...

საყოველთაო თვალთვალისა და დევნის დროში კომპარტია და შინსახკომი ყველაფერში ჯაშუშობასა და მოღალატეობას ხედავდა.

ასე დაინახეს ჯაშუშური კავშირი პოეტის ნაცნობობა-ურთიერთობაში მეორე პოეტთან. ამაზე თვით ტ. ტაბიძემ ილაპარაკა დაკითხვაზე:

„1917 წელს მე, ტიციან ტაბიძემ, მაშინ მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა, გავიცანი ბალტრუშაიტისი, როგორც პოეტი. 1924 წელს მოსკოვში ვიყავი ბალტრუშაიტისთან, რომელიც მაშინ სსრკ-ში ლიტვის ელჩი იყო. ვსაუბრობდით რომ მას გადაეთარგმნა რუსთაველი. არავითარ ჯაშუშურ საქმიანობას მე მასთან არ ვეწეოდი“.[13]

რა თქმა უნდა, არ დაუჯერეს.

ასეთივე რისხვა მოჰყვა ცნობილი ფრანგი მწერლის რამდენიმე დღიან მეგზურობას და მისთვის პაოლო იაშვილთან ერთად მასპინძლობის გაწევას:

---

* იგულისხმება პლატონ ქიქოძე.

როცა **ანდრე ჟიდმა** 1936 წლის 15-19 აგვისტოს საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე გამოცემულ წიგნში კრიტიკულად მოიხსენია ის, რაც ჩვენს ქალაქებში არ მოსწონებია, ტ. ტაბიძეს საფრანგეთის ჯაშუშობა დააბრალეს...

შინსახკომში კი უკვე იდო ამონაწერი **ლიდა გასვიანის** 1937 წლის 3 აპრილის დაკითხვის ოქმიდან:

„პირადად ჩემთვის, როგორც სახელგამის დირექტორის მოადგილისათვის, ცნობილია, რომ პ. აღნიაშვილის განკარგულებით გამოიცა ტ. ტაბიძის ლექსების კრებული, რომელშიც მოთავსებულია ემიგრაციაში წასული ფაშისტი მწერლის რობაქიძისადმი მიძღვნილი ლექსი და მეორე ლექსი, რომელშიც შექებულია კონტრევოლუციონერი ტროცკისტი ბესო ლომინაძე და ლადო დუმბაძე.[14]

არადა ტიციანის იმ ლექსში (ახალი მცხეთა, „დროშა“, 1924. №24 – ეს თუ იგულისხმებოდა) ჩვენი ძველი დედაქალაქი ბოლშევიკური ხელმძღვანელებისგან აღორძინებულადაა მოხსენიებული – „ლადო დუმბაძის, სუხიშვილის მცხეთა“.

ის ადგილიც – „ვინ დახრის დროშას მაღალ ტარიანს, როცა ის მოაქვს პროლეტარიატს“ – ამ ლექსის დაბოლოებაა, პატრიოტებმა ხელისუფლების მაამებლობად რომ ჩაუთვალეს პოეტს.

იმ დროის ავბედითობას, ტრაგიკულობას სულის შემაძრწუნებლად ასურათებს პოეტის მეუღლის მაშინდელი სიტყვები, რაც შინსახკომში უმალ მიუტანია იმ ახლობელს თუ ნაცნობს, ვისაც **ნინო ტაბიძე** შესჩიოდა:

„...ტ. ტაბიძის ცოლი შემტყობინებელს შესჩიოდა, რომ ასევე იყო პაოლო იაშვილი, ექვსი თვის განმავლობაში დადიოდა განცხადებით ხან ბერიასთან, ხან სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოში, სადაც მას ყველა აწამებდა და

ისეთ მდგომარეობამდე მიიყვანეს, რომ თავი მოიკლა. ასევე შეიძლება დაემართოს ტიციანს, მთელი ღამეები არ გვძინავს, ყურს ვუგდებთ ყოველ გაფაჩუნებას, ასეთ მდგომარეობაში ყოფნა მეტი აღარ შეიძლება, ჯობს დააპატიმრონ“.[15]

ამ შეტყობინებაზე დაუყოვნებლივ გაჩნდა **ბერიას** მარჯვენა ხელის, **ბახჩო ჭობულოვის** რეზოლუცია: **ახლავე დააპატიმრეთო** („Арестуйте Т.Табидзе и сейчас-же“) — შეეშინდათ თავის მოკვლა არ მოასწროსო და ნაშუაღამევს, ე.ი. 8 ოქტომბერს დააპატიმრეს.

საქართველოს შინსახკომის მიერ 1937 წლის 22 ნოემბრით დათარიღებული, მოსკოვს, პოლიტბიუროში დასამტკიცებლად და **სტალინის** ხელმოსაწერად გაგზავნილ დასახვრეტთა სიაში შესაყვანად **ტიციან ტაბიძეც** გაიმეტეს. მასთან ერთად იყვნენ აგრეთვე **ვახტანგ კოტეტიშვილი, სერგო ამაღლობელი, ერიკ ბედია** და თვით მწერალთა კავშირში, პრეზიდიუმის სხდომაზე ტიციანისა და მისი მეგობრების სასტიკად დამმუშავებელი **დავით დემეტრაძე** (რომელსაც, როგორც საბჭოურ-კომუნისტურ რეჟიმს ჩვეოდა, ზედ წააკლეს ტყუპისცალი ძმა **კონსტანტინე** იმ მიზნით, რომ თავიდან აეცილებინათ ყოველგვარი გაუგებრობა: ხმა გავარდნილა — დავითი გამოუშვიათო — ტყუპისცალი დავითი ეგონათ).

ტიციან ტაბიძეს კი, ისევე როგორც უღვთოდ განწირულ კიდევ რამდენიმე ღირსეულ ქართველ მოღვაწეს, გვიან, მაგრამ სამართლიანად ეღირსა... სიმბოლური საფლავი მთაწმინდაზე.

ეს სამადლო საქმეა, მაგრამ საზოგადოების დიდ ნაწილს მიაჩნდა, რომ ჩამოსათვლელიც მეტი იყო და უფრო სამართლიანიც იქნებოდა გვარებჩამოუთვლელი სიმბოლური საფლავის მოწყობა, რომელთანაც სხვა ჭირისუფალსაც შეეძლებოდა უდანაშაულოდ რეპრესირებული თავისიანიც ეგლოვა.

გ) სიმონ ჩიქოვანი (1902-1966)

ფედერაციის საბჭომ (1930.15.XI) სამდივნოში ადრე ფუტურისტი, ახლა კი მემარცხენე ფრონტელთა წარმომადგენელი პოეტი **სიმონ ჩიქოვანიც** შეიყვანა და ისიც ფედერაციის დაშლამდე (1932.16.V) ასრულებდა მწერალთა ფედერაციის მდივნის მოვალეობას.

რას წარმოადგენდა იგი იმ დროისათვის?

ჯერ კიდევ ქუთაისის რეალურ სასწავლებელში სწავლობდა (დაამთავრა 1920 წ.), როდესაც **აკაკი ბელიაშვილთან** და **კოლია (ნიკოლოზ) ჩაჩავასთან** ერთად დააარსა გამომცემლობა „აკ-სიმ-კოლი“ (აკაკი-სიმონ-კოლია).

თბილისში გადმოსული, გასაბჭოების პირველ წლებში მწერალთა სასახლეში, ეზოში შესასვლელი გალერეის თავზე არსებულ პატარა ოთახში ცხოვრობდა, იქ მოიყვანა ცოლი.

მწერლობაში ისე იქცეოდა როგორც შეეფერებოდა მემარცხენე პოზიციაზე მდგომს.

სამწუხაროა, მაგრამ დაბეჭდილს ვერ დამალავ, თანაც ჭკვიანი ხალხი გვაფრთხილებს **„კარგია მხოლოდ სრული სიმართლე, ნახევარსიმართლე არაფერი არაა“** (სტეფან ცვაიგი), ამ წლებში სიმონ ჩიქოვანს ნალანძღავი ჰყავდა „ცისფერყანწელები“, **ვლადიმერ მაიაკოვსკის** უთხრა: ვერაფერი პოეტები არიანო, „H_2SO_4“-ში მათ „მასხრული სკოლა“ უწოდა, **პაოლო იაშვილს** კი — „მმაჩის ბიუროს დამაარსებელი პოეზიაში“.

ლირიკის წინააღმდეგ მიმართულ პროლეტმწერლების კამპანიას ერთი ხმა სიმონ ჩიქოვანმაც შეაწია: **„დავარტყათ თავში ლირიკას ჩექმა და დავადინოთ ცისფერი სისხლი“.**

გავა დრო და, როგორც **ზაზა აბზიანიძემ** შენიშნა, პოეტი მიხვდება რომ მცდარ გზას ადგას:

„სიმონ ჩიქოვანმა ერთ-ერთმა პირველმა იგრძნო რომ ორთოდოქსული მემარცხენეობა ადამიანის პოეზიიდან განდევნით იმუქრებოდა, ასეთ შემთხვევაში პოეზია თვითონვე ამ-

ბობდა უარს მოქალაქეობრივი იდეალის წარმოსახვაზე, რადგან მეშჩანურ, ნეპმანურ წარმოდგენას ადამიანზე იგი წარუმატებლად დაუპირისპირებდა ლირიკას პიროვნების გარეშე. ს. ჩიქოვანი მართალი იყო იმაშიც, რომ ქართული მემარცხენეების პრობლემებს რუსული „ლეფელობის“ („Левый Фронт“) **მომავალს უკავშირებდა“.**[16]

პიროვნების ტრაგედია იყო, რომ კომუნისტური ტირანია აიძულებდა ის ეთქვა, რაც მას არ სწამდა.

სიმონისთვის ეს იყო ყელსზევით ნათქვამი. ეტყობა, ასეთ გამოსვლებს გულისხმობდა, როცა მოგვიანებით თქვა: **„პირველი ცეცხლის დახარჯვას ვნანობ“**. მისი ნამდვილი ბუნება და შესაძლებლობანი საუცხოო პოეტისა, გამორჩეული ლიტერატურის თეორეტიკოსისა, სამწერლო-ლიტერატურული ცხოვრების ორგანიზატორისა და მწერალთა ახალი თაობების აღმზრდელისა შემდეგ წლებში გამოანათებს...

დ) არისტო ჯუმბაძე (1880-1971)



მწერალთა ფედერაციის საბჭომ (1930.15.XI) აკადემიური მწერლების წრიდან სამდივნოში შეიყვანა ამ დაშლილი ასოციაციის ძირითადი ბირთვის წევრი, 1905 წელს სამწერლო ასპარეზზე გამოსული პროზაიკოსი, საფრანგეთში, სორბონაში განათლებამიღებული (1912), „ქართული სიტყვაკაზმული მწერლების საზოგადოების“ მდივნად (1914-15), სტოქჰოლმსა და ანკარაში დამოუკიდებელი საქართველოს წარმომადგენლად (1919-1921) ნამოღვაწარი **არისტო ჯუმბაძე,** ადრე 1911 წელს ქუთაისში გაზ. „კოლხიდას“ დამაარსე-

ბელი, რედაქტორ-გამომცემელი და 1914 წელს გაზ. „სახალხო ფურცლის“ რედაქტორი.

1931 წ. შეიყვანეს ფედერაციის წმენდის კომისიაში, როგორც აკადემიურ მწერალთა წარმომადგენელი.

არისტო ჭუმბაძემაც ფედერაციის დაშლამდე (1932. 16. V) იმუშავა მდივნად, შემდეგში კი, მიხვდა რა, იმის დაბეჭდვას არ დაანებებდნენ, რაც გულით სწადდა, თავისი ნიჭი, დრო და ენერგია (ისე, როგორც პავლე ინგოროყვამ, მიხეილ ზანდუკელმა, ვახტანგ კოტეტიშვილმა — ლიტერატურის ისტორიის კვლევისაკენ) ერთი მხრივ, თარგმანისაკენ მიმართა და წარმატებასაც მიაღწია (მ. შოლოხოვის „გატეხილი ყამირი“, გ. ფლობერის „მადამ ბოვარი“, „სენტიმენტალური აღზრდა“), მეორე მხრივ, ჩინებული სტილისტობა გასწია „საქდესში“ (1935-1943, 1950-1956) და „კომუნისტში“ (1944-1949) მუშაობისას.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„1921-22 წ. ორჯერ ავწერე და მაგრა დავკეტე მისი (აკაკი ხოშტარიას, რ.კ.) სახლის ქონება (მწერ. კავ-ის და განათლ. კომ-ის მინდობილობით)“

მიხეილ ჯავახიშვილის პირადი წერილიდან, ნონა კუპრეიშვილის პუბლიკაცია — „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1990. №2

* * *

ამრიგად, „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის“ მესვეურები იყვნენ:

საბჭოს თავმჯდომარე

სილიბისტრო თოდრია – 1928.14.III– 1932.16.V, „ფედერაციის“ დაშლამდე

მოადგილე

გრიგოლ რობაქიძე – 1928.14.III–1930.15.XI

თავმჯდომარესა და მოადგილესთან ერთად მუშაობდნენ:

მდივნები

ალიო მაშაშვილი – 1928.18.III–1928.11.VII

შალვა რადიანი – 1928.11.VII–1930.15.XI

გრ. რობაქიძის შემდეგ „მოადგილის“ თანამდებობა უქმდება, მისი ფუნქციების შემსრულებელს დაერქვა „პასუხისმგებელი მდივანი“:

პმგ მდივნები

პანტელეიმონ ჩხიკვაძე – 1930.15.XI–1930.13.XII

შალვა რადიანი – 1930.13.XII–1931.14.IX

1931.14.IX-დან „პმგ მდივანს“ დაერქვა „I მდივანი“:

პირველი მდივნები

სიმონ წვერავა – 1931.14.IX–1931.19.XII

პანტელეიმონ ჩხიკვაძე – 1932.13.I–1932.16.V „ფედერაციის“ დაშლამდე

1930. 15. XI-დან ზემოხსენებულ თავმჯდომარესა, პმგ მდივნებთან და პირველ მდივნებთან ერთად სამდივნოში შედიოდნენ:

მდივნები

ალიო მაშაშვილი – 1930.15.XI–1932.16.V

ტიციან ტაბიძე – 1930.15.XI–1932.16.V

სიმონ ჩიქოვანი – 1930.15.XI–1932.16.V

არისტო ჭუმბაძე – 1930.15.XI–1932.16.V

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციასთან არსებული ლიტერატურული წრე

„ამ წრეში წაიკითხეს პირველად: ალიო მირცხულავამ — ბევრი თავისი ახალი ლექსი და პოემა „განგაში“, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ — მოთხრობა „პირველი დედა“ და „ძირს სიმინდის რესპუბლიკის“ პირველი თავები, ელიზბარ ზედგინიძემ და პანტელეიმონ ჩხიკვაძემ — ახალი მოთხრობები, კარლო კალაძემ — პოემა „უჩარდიონი“....


ნ. აგიაშვილი, „ლს“, 1968. №43

* * *

* * *

როგორც ვხედავთ, 1926 წლიდან იწყება საქართველოს მწერალთა ორგანიზაციის მთავარ ხელმძღვანელებად კომუნისტური პარტიის ფუნქციონერთა დანიშვნა, კერძოდ, მკითხველმა უკვე იცის, „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირისა“ (1926-1928) და „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის“ (1928-1932) თავმჯდომარე იყო **სილიბისტრო თოდრია,** 1932 წელს შექმნილი „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ თავმჯდომარეები იქნებიან **მალაქია ტოროშელიძე** (1932-1935), **აკაკი თათარიშვილი** (1935-1937), თავმჯდომარის თანამდებობის გაუქმების შემდეგ კი მწერალთა კავშირში პირველ პირად იქცევა პასუხისმგებელი მდივანი — **კანდიდ ჩარკვიანი** (1937-1938).

მათზე საუბარი წინ არის.



I რიგი: არისტო ჭუმბაძე. იოსებ გრიშაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო ეული, გრიგოლ რობაქიძე, ნიკოლო მიწიშვილი, პაოლო იაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

II რიგი: მარტინი, გიორგი კრეიტანი, არაზი, დემნა შენგელაია, ბესო ყიფიანი, კარლო კალაძე, იონა ვაკელი, ბენიტო ბუაჩიძე, შაქრო ნავთლუღელი, ვანო წულუკიძე...

III რიგი: სიმონ ჩიქოვანი, პეტრე სამსონიძე, სანდრო შანშიაშვილი, შალვა რაღიანი, ვალერიან გაფრინდაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი.

ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის კონგრესი. ბაქო. 1929

თავი IV. „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის“ გარდაქმნა „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირად“ (1932-1988), მისი მესვეურები და მოღვაწეობა

როდესაც პროლეტმწერლებს თავიანთი შავი საქმეები გააკეთებინეს, კომპარტიამ 1932 წლის აპრილის დადგენილებით მათი (და სხვა) სამწერლო ორგანიზაციები გააუქმა.

მოგვიანებით ისინი უმოწყალოდ გაწირეს, მათი ლიდერი (**ბენიტო ბუაჩიძე**) და ლიდერობის მუდმივი მაძიებელი (**პლატონ ჭიქოძე**) დახვრიტეს, სხვა, მეტისმეტად მემარცხენული დაუნდობლობით შეპყრობილი პროლეტმწერლებიც დასაჯეს...

მაგრამ მანამდე, 1934 წლისთვის ერთიანი სსრკ მწერალთა კავშირის შექმნა გადაწყვიტეს.

საქართველოში კი მწერალთა ორგანიზაციას ისეთი დიდი ხნის ისტორია ჰქონდა, 1934 წლამდე რომ დაეცადათ და საკავშირო მწერალთა კავშირის შექმნის კვალობაზე ჩამოეყალიბებინათ საბჭოური მწერალთა ორგანიზაცია (როგორც ეს სხვა რესპუბლიკებში მოხდა), ჩვენი მწერალთა კავშირის არსებობის უწყვეტი ჯაჭვი გაწყდებოდა და ორგანიზაციას დაშლის ბზარები შეეპარებოდა.

მაგრამ მარტო ეს არ უნდა ყოფილიყო აჩქარების მიზეზი. იმაში, რომ ჩვენთან, პროლეტმწერლური ორგანიზაციების დაშლისთანავე, 1932 წელსვე შეიქმნა „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი“ , ვფიქრობ, უხილავად, **ლ. ბერიას** მეშვეობით, გამოიხატა **ი. სტალინის** სურვილი – ამ ახალშექმნილ ორგანიზაციაში ხელმძღვანელად დანიშნულიყო მისი ნდობით აღჭურვილი პიროვნება, რომელსაც დაევალებოდა 1934 წლისათვის განზრახული მწერალთა საკავშირო ყრილობისთვის ქართველთა მრავალსაუკუნოვანი და მდიდარი

სამწერლო გზის სრულყოფილად წარმომჩენი მოხსენების დაწერის ორგანიზება, მოხსენებისა, რომელიც დასავლეთს აჩვენებდა რა უძველესი და უმდიდრესი კულტურის მქონე ქვეყნის შვილი იყო საბჭოთა კავშირის მმართველი **იოსებ სტალინი.**

ბელადის ეს სურვილი იქიდან მომდინარეობდა, რომ **ლენინის** შემდეგ საბჭოთა კავშირის ლიდერად დამკვიდრებული სტალინის პიროვნებასა და წარმომავლობაზე ცნობების არმქონე დასავლეთი წუხდა: რომელი უჩინარი ტომის შვილია უზარმაზარი წითელი იმპერიის მმართველიო.

თავმოყვარეობა შელახულმა **სტალინმა** ზემოხსენებული გზით მოინდომა პასუხი გაეცა გამაღიზიანებელ, დამამცირებელ კითხვებზე.

და ყველაფერი ეს მოსკოვში, მწერალთა საკავშირო ფორუმზე მთელი მსოფლიოს გამოჩენილი მწერლების, ჟურნალისტების, მიმომხილველების თანდასწრებით უნდა გახმაურებულიყო.

ამ გარემოებითვე იყო ნაკარნახევი ისიც, რომ იმას, ვინც განზრახული ჰყავდათ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ, კიდევ ერთი საკითხი უნდა მოეგვარებინა — მას, როგორც იმავდროულად მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის ხელმძღვანელს, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისეთი ისტორიის შექმნისთვის უნდა გაეწია მეთაურობა, რომელშიც სათანადოდ უნდა გამოჩენილიყო სტალინის პოლიტიკური ლიდერობა.

ეს კაცი გახლდათ ძველი ბოლშევიკი **მალაქია ტოროშელიძე,** სტალინის ამხანაგი თბილისის სასულიერო სემინარიიდან...

ასეთ ვითარებაში საქართველოში განაგრძეს სამწერლო ჯგუფების რეფორმის გატარება.

საკავშირო კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 23 აპრილის დადგენილების გათვალისწინებით საქარ-

თველოში ადრე არსებული ორგანიზაციების, მათ შორის, „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის“, აგრეთვე, ჩვენი კლასიკოსებისა თუ თანამედროვე მწერლების აბუჩად ამგდები, მლანძღველი პროლეტარულ მწერალთა ასოციაციისა და მემარცხენე ფრონტელების გაერთიანებათა დაშლისთანავე, 16 მაისს, მწერლების მონაწილეობით, მაგრამ, რა თქმა უნდა, საქართველოს კომპარტიის ცეკას კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების გამგის **კარლო ორაგველიძის** თავმჯდომარეობით შეიქმნა **„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“** საორგანიზაციო ბიურო.

1932 წლის 27 ივნისს, საღამოს, მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის ქ. 13) პროლეტმწერალ **პანტელეიმონ ჩხიკვაძის** მოკლე შესავალი სიტყვით გახსნილმა მწერალთა საგანგებო, პირველმა (ახლაც ახალი ათვლით აღნიშნულმა, საერთო ათვლით კი — მერვე) ყრილობამ კომპარტიის ცეკას მდივნის **გიორგი ყურულაშვილის (ყურულოვის)** მოხსენებისა და კამათის შემდეგ დააფუძნა **„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი“**.

ყრილობის მიერ შექმნილი „საარჩევნო-შემთანხმებლური კომისიის“ სახელით **არისტო ჭუმბაძემ** განაცხადა: ჩვენმა ყრილობამ დიდად მნიშვნელოვანი დადგენილებები მიიღო, რასაც ისეთი სახსრები, ისეთი საქმიანობა უნდა, რომ მარტო მწერლები ვერ მოერევიანო. ამიტომ „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ თავმჯდომარის თანამდებობაზე დაასახელა ბოლშევიკების ერთ-ერთი გამოჩენილი მოღვაწე **მალაქია ტოროშელიძე.**

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ საბჭოს (შემდეგში – გამგეობის)

ა) თავმჯდომარეები (1932-1937 წ. წ. შეთავსებით)

თავმჯდომარის თანამდებობის გაუქმების შემდეგ – მთავარ ხელმძღვანელებად **პასუხისმგებელი მდივნები** (1937-1939)


ბ) თავმჯდომარის მოადგილეები

ამ თანამდებობათა გაუქმების შემდეგ – მთავარ ხელმძღვანელებად **პირველი მდივნები**

გ) გამგეობის მდივნები

საქართველოს საბჭოთა მწერლების პირველ (საერთო ათვლით – მერვე) ყრილობაზე (1932.27-29.VI) შექმნილი საბჭოს მიერ პირველ სხდომაზე (1932.1.VII) არჩეული თავმჯდომარე, მისი ორი მოადგილე (შემდეგში შეიცვალა) და საბჭოს მდივანი:

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ თავმჯდომარე (1932-1935)
მალაქია ტოროშელიძე (1880-1937)



1932 წლის 27-29 ივნისს გამართულ საქართველოს საბჭოთა მწერლების პირველ (საერთო ათვლით – მერვე) ყრილობაზე შექმნილმა საბჭომ 1-ლ ივლისს ახალშექმნილი „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ თავმჯდომარედ „აირჩია“, რა თქმა უნდა, კომპარტიის ხელმძღვანელობის რჩევით, თბილისის სასულიერო სემინარიასა და ევროპულ უნივერსიტეტში გა-

ნათლებამიღებული, რევოლუციური მოძრაობის აქტიური მონაწილე, პარტიული და საბჭოთა ფუნქციონერი, ჟურნალისტი, 1922 წელს გაზ. „კომუნისტის“ რედაქტორად, 1928-30 წლებში კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად ნამოღვაწარი **მალაქია ტოროშელიძე.**

მალაქია მწერალთა კავშირში მუშაობდა შეთავსებით (1931-დან საქართველოს სსრ საგეგმო კომისიის თავმჯდომარე, 1934-1935 წლებში კი მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დირექტორი იყო), რედაქტორობდა (1934-35) ჟურნ. „ახალგაზრდა მწერალს“.

როგორც უკვე ითქვა, იგი მწერალთა კავშირში მოიყვანეს წინასწარგანზრახული საქმეების მოსაგვარებლად, რომელთაგან მთავარი იყო 1934 წლის მწერალთა საკავშირო ყრილობისთვის მოხსენების მომზადება.

სწორედ ამის გამო მოსკოვში მოწყობილ შეხვედრაზე სტალინს თავისი სემინარიელი ამხანაგის, მალაქიასათვის უკითხავს — ეს მოხსენება როგორ გესახებაო.

მალაქიამ, ამ განსწავლულმა, მაგრამ ბოლშევიკურად მოაზროვნე ადამიანმა უპასუხა: როგორც სოციალისტურმა რევოლუციამ საბჭოეთის ყველა ერსა და ეროვნებას მწერლობა და კულტურა მისცა და აუყვავაო და ა. შ.

როგორც იმ დროის მოწმენი: **ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე ბარამიძე, ბესარიონ ჟღენტი და გერონტი ქიქოძე** გადმოგვცემენ, **სტალინს** გაკვირვებია — ყრილობას არაფერს ეტყვით იმაზე, რისთვისაც ქართველ ერს კულტურის დარგში ოქტომბრის რევოლუციამდე მიუღწევია? ქვეყანას უნდა გავაცნოთ, ქართველმა ერმა 7-8 საუკუნის წინ რა საუნჯე შექმნა, კერძოდ რუსთაველი!! გააცანით ნ. ბარათაშვილი, უთხარით აი, როგორი დიდი პოეტი წარმოშვა საქართველომ XIX საუკუნის დამდეგს, როცა ის თვითმპყრობელობის დამონებული კოლონია იყო. დაწვრილებით ილაპარაკეთ ილიაზე. საქართველოში თურმე რაღაც უაზრო და ყოვლად ყალბი

თვალსაზრისი გავრცელებულა, თითქოს ილია თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის იდეოლოგი, მათი ინტერესების დამცველი იყო. საჭიროა სათანადოდ ითქვას აკაკისა და ვაჟა-ზეო.[1]

აი, ასე დააკვალიანა **სტალინმა მ. ტოროშელიძე**, რის შედეგადაც **ირ. აბაშიძის** ვერსიით **პ. ინგოროყვამ, გ. ქიქოძემ, ბ. ჟღენტმა, შ. რადიანმა, დ. დემეტრაძემ,** თვით მ. **ტოროშელიძემ,** სხვა ცნობით **მ. ზანდუკელმაც,** დაწერეს ის ცნობილი მოხსენება.

ამასთან ერთად მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ყოველი ღონე უნდა ეხმარა მწერლების გადასაყვანად კომუნისტებისთვის ერთადერთ მისაღებ სწორ მიმართულებად მიჩნეულ საბჭოურ სამწერლო გზაზე.

ამის მისაღწევად ჩაგონების, დატუქსვის, დასჯა-რეპრესირების სხვადასხვა ზომებს მიმართავდნენ.

ხშირად სვამენ კითხვას: ვის მიუძღვის ბრალი 1937-38 წლებში ჩვენი საუკეთესო მწერლების, მოღვაწეების გაუბედურებაში?

ალბათ სწორი იქნება ვთქვათ: უპირველეს ყოვლისა კაცთმოძულე ლენინის, მისი წითელი ტერორის გულქვა გამგრძელებელს, საბჭოთა კავშირის ერთპიროვნულ მმართველს, **იოსებ სტალინს,** მის პოლიტიკურ ნებას, შემდეგ, ამ ნების დაუნდობლად აღმასრულებელს, საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველ მდივანს, **ლავრენტი ბერიას,** ცოტ-ცოტა მწერალთა კავშირის მაშინდელ ყველა მთავარ ხელმძღვანელს და მათ ყველაზე აქტიურ თანაშემწეებს...

ყველაფერი იწყებოდა სამწერლო ცხოვრებაში უხეში ჩარევით.

აი, ამონარიდი 1937 წელს დაბეჭდილი ლიტერატორის, **რაჟდენ კალაძის** დაკითხვის ოქმიდან (1936.7.XII):

„1932 წ. ბოლოს თუ 1933 წ. დასაწყისში მე წერილობით მივმართე საქართველოს კპ ცკ-ის მდივანს ბერიას და ვთხოვე ნება დაერთო გამომექვეყნებინა ჩემი მოგონებები მეფის იატაკქვეშეთში სტალინის მუშაობაზე. ბერიამ მარქსენგელს-ლენინის ინსტიტუტის დირექტორს მალაქია ტოროშელიძეს დაავალა შეემოწმებინა ჩემი ხელნაწერი და ამის შესახებ დასკვნა წარმოედგინა. ტოროშელიძემ გადაათვალიერა ეს ხელნაწერი და ყოვლად უსაფუძვლოდ ჩააცივდა ჩემს მიერ ნახსენებ ზედმეტ სახელს, რომლითაც ლადო კეცხოველი 1899 წელს იხსენიებდა სტალინს („საწყალი ბიჭი“) და წინადადება მომცა ამომეღო ეს ადგილი. ამის შემდეგ ტოროშელიძემ დამიწყო ჩაგონება და დარწმუნება, რომ საერთოდ არაა საჭირო სტალინზე წერა, ვინაიდან როგორც მან თქვა: „კარგად დაწერ, დაგადანაშაულებენ, რომ გაბედე და დაგარტყამენ, ხოლო მოკრძალებულად დაწერ და მაინც დაგარტყამენ და ბელადის დაუფასებლობაში დაგადანაშაულებენ“.[2]

გაეცანით მწერლის შემოქმედებით მუშაობაში უხეში ჩარევის კიდევ რამდენიმე მაგალითს:

მალაქია ტოროშელიძემ 1933 წ. ივნისში საბჭოს სხდომაზე, ერთი მხრივ, დადებითად შეაფასა მიხეილ ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი“, მეორე მხრივ, მაინც თანამედროვეობას გაურბისო, ნიკო ლორთქიფანიძეც წარსულში იყურებაო, ნიჭიერ თანამგზავრ პოეტებს პაოლო იაშვილს, ტიციან ტაბიძეს, ნიკოლო მიწიშვილს „წმინდა ლირიკის“ აღორძინების ცდები აქვთო.

მიხეილ ჯავახიშვილი მ. ტოროშელიძეზე: „ვაგონში მე, ჟღენტს და იაშვილს თავის მოხსენებას გვიკითხავდა, რომელიც ყრილობაზე მიჰქონდა. მე სამიოდე შენიშვნა მივეცი. ერთი მათგანი იმ აზრსაც ეხებოდა, საცა ნათქვამი იყო თითქოს ილია ჭავჭავაძე ბატონყმობის სისტემას არ ებრძოდაო. ამან ცხარე კამათი გამოიწვია. მე იძულებული ვიყავი ჩემს კუპეში გავსულიყავი.

მწერალთა საზოგადო სხდომაზე ვითხოვე, რომ იმ კომისიის მუშაობიდან გავეთავისუფლებინე, რომელსაც მწერალთა გადარჩევა ჰქონდა მინდობილი, პასუხად ტოროშელიძემ ისე უხეშად შემომიტია, რომ მე ამგვარ კილოს ჩემს საშინაო მოსამსახურესაც კი არ ვაკადრებ.

... ტოროშელიძემ მთხოვა ფხაკაძის პოემა წამეკითხა. როდესაც მე ამ პოემაში ის დიდი ნიჭი ვერ აღმოვაჩინე, რომელიც ტოროშელიძეს ეპოვნა, მან საყვედურებით ამავსო და კარგა ხანს ამრეზილი იყო ჩემზედა“ (1937 წ. 5 ივნისის დისკუსია).

კ. გამსახურდიას მოსაზრებას („სიტყვა და საქმეში“) – ტალანტი ხელისუფლებას უნდა ებრძოდესო – მ. ტოროშელიძემ ბოლშევიკური ბრალდებით უპასახა: „განა ყველა ხელისუფლებას! განა გამსახურდიამ არ იცოდა, რომ სწერდა მას, რასაც მე ვამბობ, გერმანიის ფაშისტებს კი არ აგინებს, არამედ ჩვენ გვაგინებს“.[3]

ახალგაზრდა პოეტ გიორგი შატბერაშვილსაც ძალზე მკაცრად მოექცა ორი ლექსის გამო: „ავტორი მზის ამოსვლას და განთიადს მხოლოდ აწი მოელის და ის, რაც უკვე არსებობს, ნამდვილ შუაღამედ მიაჩნია... აშკარაა, ავტორს შეგნებულად თუ შეუგნებლად (უფრო შეგნებულად, ვიდრე შეუგნებლად) თავისი თავი ჩაუბამს კლასობრივი მტრის სამსახურში“ (1935 წ.).

ისეთ განათლებულ კაცს, როგორიც მ. ტოროშელიძე იყო, კომუნისტური დოგმები აიძულებდა, აქაო და შრომადღეებზე წერსო, ყოვლად უნიჭო პროლეტარული „პოეტი“ ნიკოლოზ ფხაკაძე ექო, მაშინ, როცა მისდამი რწმუნებულ კავშირში გალაკტიონი და გიორგი ლეონიძე, პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი თუ ალექსანდრე აბაშელი და სხვა არაერთი ლექსის ნამდვილი ოსტატი ირიცხებოდა!

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„აგერ ორი წელიწადია ჩემი წიგნი აღარ გამოსულა, წელიწადზე მეტია, თითქმის აღარაფერი დამიწერია და ამდენივე ხანია სამსახურში აღარ ვარ. როგორ ვცხოვრობ — მე თვითონ არ ვიცი, ჩემი ცხოვრებაც გახევდა და მეც გავხევდი“.

მიხეილ ჯავახიშვილი, შალვა სოსლანისადმი მიწერილი ბარათიდან , „ლიტ. მატიანე“, 1988, №7-8

* * *

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილეები:

ა) თავმჯდომარის მოადგილე (1932-1933)
ნიკოლო მიწიშვილი (1896-1937)



1912 წელს სამწერლო ასპარეზზე გამოსვლიდან **„სამშობლოს ჯვარზე პოეზიით მილურსმული“** ცისფერყანწელი პოეტი **ნიკოლო მიწიშვილი** 1932 წელს დაფუძნებული „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ საბჭომ ამ წლის პირველ ივლისს, თავის პირველ სხდომაზე კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია.

მანამდე მან, სოციალ-რევოლუციონერთა (ესერთა) პარტიის წევრმა, ეტყობა, რევოლუციაში

იმპერიიდან საქართველოს თავის დაბსნის იმედი დაინახა და ქუთაისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების რუსულ გაზეთ „ჯარისკაცის ხმას“ (1917) ჩაუდგა სათავეში.

შემდეგ 1921-22 წლებში, თბილისში, ასევე რუსულ გაზეთ „ფიგაროს“ რედაქტორობდა და იმ წლებში იქ განსაკუთრებით მომრავლებულ რუსულენოვან საზოგადოებას ქართულ კულტურას, „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურულ ცხოვრებას აცნობდა.

1921 წელს 25 წლის ნიკოლო მიწიშვილი „ახალი მწერლობის კავშირის“ საბჭოს წევრია...

და, აი, ეს ახალგაზრდა კაცი 1922 წელს პარიზში მიემგზავრება.

იქნებ მას რაღაც იმედი მისცა ქართველი ბოლშევიკების ქადილმა – საქართველოს დამოუკიდებლობას ჩვენც უზრუნველვყოფთო?..

იქნებ სწორედ ემიგრანტებისათვის ამის სათქმელად წავიდა?..

იქნებ ამ რწმენამ მიიყვანა იქამდე, რომ ემიგრანტებს ურჩევდა: საქართველოში დაბრუნდით, სამშობლოს ემსახურეთო...

მეორე მხრივ, ნიკოლო ალბათ იმასაც ხედავდა – რუსი ბოლშევიკები ჩვენი ქვეყნიდან თავისით არ წავლენ, საქართველო კი თავისი ძალებით მათ განდევნას ვერ შესძლებს, ხოლო დასავლეთის დახმარების იმედი არარეალურიაო...

ალბათ ამის გამო იყო, რომ პარიზში მიმავალი **ნიკოლო მიწიშვილი** უკვე სტამბოლში ხმამაღლა გამოთქვამდა ამ თავის მოსაზრებას (იხ. მისი მხატვრული ნარკვევი „ეპოპეა, ქართული ქრონიკა რევოლუციის დროიდან“, 1928) და ეს ხელს უწყობდა ასეთი აზრის გავრცელებას: ნიკოლო გაბოლშევიკებულაო.

იქნებ ამან მიიყვანა საბჭოთა საელჩოს მიერ დაფინანსებულ გაზეთ „ახალი საქართველოში“ სათანამშრომლოდ?

როგორც თავად წერს, პარიზში ინტერპარტიული ჯგუფისთვის უთქვამს: „თქვენ იცით, რომ მე ბოლშევიკი არა ვარ, მაგრამ ბოლშევიკები მაგრად არიან და მათი დამხობის იმედით ცხოვრებას არავის ვურჩევ...“

ჩანს, ნიკოლოს, ისევე როგორც სხვა შორსმჭვრეტელ ქართველებს (სპირიდონ კედია, მიხეილ ჯავახიშვილი...) მიაჩნდა – როცა დამოუკიდებლობა გვქონდა, ვერ მოვუარეთ და ახლა, მისი დაკარგვიდან ამდენი წლის შემდეგ, გვარიანად გაძლიერებულ წითელ რუსეთთან იარაღით შებრძოლება გამარჯვებას ვერ მოგვიტანს, კომუნისტურ ხელისუფლებას კი საუკეთესო ქართველების მოსპობის საბაბს მივცემთო.

მაგრამ ნიკოლოს გაფრთხილება ემიგრანტებმა კომუნისტურ პროპაგანდად მიიღეს.

ნიკოლო კი ჯერ კიდევ 1922 წლის 30 აგვისტოს სტამბოლიდან გამოგზავნილ „ფიქრებში საქართველოზე“ აცხადებდა:

იმ დროს, როცა **„ბევრი ქართველი ტკბილად ემსახურება საბჭოთა ხალხს... ასეთი ხალხი და ამგვარი „ტიპები“ ყველაზე მეტად გვიყვიროდნენ ჩვენ და წრიპინებდნენ... რომ ჩვენ არ გვიყვარს სამშობლო, რომ არ ვართ პატრიოტები“.**

მეორე მხრივ, ერთი საუბრისას ნიკოლოს ისიც წამოცდენია – ჩვენი ხალხის საუკუნებრივი ბრძოლა თავისუფლებისთვის საბოლოოდ 1921 წელს გამარჯვებით დამთავრდაო.

ცხადია, ეს ემიგრანტებსაც გააღიზიანებდა და საფრანგეთის ხელისუფლებასაც, ამის გამო ნიკოლოს ემიგრანტებთან გვარიანი უთანხმოება მოსვლია, ხოლო ფრანგებმა „სანტეს“ ციხეში ჩასვეს...

საქართველოში დაბრუნებულ ნიკოლოს თანდათან გაუცრუვდა ქართველი ბოლშევიკების იმედი, მიხვდა, რომ დაკარგული იყო სამშობლოს დამოუკიდებლობა, თავისუფლება, რომ ამაოდ ენდო, ფუჭი გამოდგა იმედი – ქართველი ბოლშევიკები საქართველოს დამოუკიდებლობას უზრუნველყოფენ,

ეროვნულ ინტერესებს დაიცავენო, ნახა: მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, საკუთარი ხალხისთვის გაწეული სამსახური რომ ეგონა, ბოლშევიკები თავისთვის იყენებდნენ და ეს თავისი პიროვნების გაორებად მიიჩნია, ხოლო გაორებული კაცის ბედი რომ არასახარბიელო იყო, ამაში ჰაჯი მურატის ხვედრით დარწმუნებულმა, თავის თავსაც უთხრა და სხვებიც გააფრთხილა:

მაგრამ თუ იბრძვი – სამუდამოდ უნდა იცოდე:
გაორებული კაცის ბედი თავდება მარცხით

(ჰაჯი მურატის მოჭრილი თავი, 1935)

და სევდამორეულმა ნიკოლომაც, კ. გამსახურდიასა და სხვა შორსმჭვრეტელ მოღვაწეებსავით ჩათვალა – პოლიტიკურ ასპარეზზე დამარცხებულმა ერმა მთელი ძალები მშობლიური ენისა და კულტურის გადასარჩენად უნდა მიმართოსო და მთელი არსებით გადაეშვა მწერლობის სამსახურში.

დაბრუნებისთანავე სახელმწიფო გამომცემლობის მხატვრული ლიტერატურის განყოფილების გამგედ დანიშნეს და ახალდაარსებული ჟურნალ „ქართული მწერლობის“ რედაქტორობაც მიანდვეს (1926-1928).

შეიძლება ეს ხელისუფლების მხრიდან მადლობის თქმა იყო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ნიკოლო ამ თანამდებობაზე ერთგულად ემსახურა მშობლიურ მწერლობას.

ეს **„თხელი, მომცრო ტანის, მაგრამ ცოცხალი, გონიერი, გულისხმიერი“** (შალვა რადიანი, „ლს“, 1967, №4) ადამიანი ნაყოფიერად იღვწოდა სახელგამში მწერლების მისაზიდად, წიგნის შინაარსის გასამდიდრებლად და გამოცემის კულტურის ასამაღლებლად.

ასევე ერთგულად ემსახურებოდა იგი ქართულ მწერლობას, როგორც რედაქტორი.

ჯერ კიდევ 1933 წელს „სალიტერატურო გაზეთში“ (№18) **ნ. მიწიშვილი** შეეხო პრობლემას „საკავშირო ყრილობა და ნაციონალური მწერლობის საკითხები“. იგი მოითხოვ-

და ეროვნული ლიტერატურის საკითხის დასმას და განხილვას მომავალი 1934 წლის ყრილობის (მოსკოვში) პლენარულ სხდომაზე და არა ყრილობის კომისიების თათბირებზე, როგორც ეს განზრახული იყო.

ეს მოთხოვნა უთუოდ **სტალინის** ზემოხსენებული სურვილიდან მიმდინარეობდა: დასავლეთელი ჟურნალისტების მტკიცების საპასუხოდ — რუსეთის იმპერიას რომელიღაც უჩინარი ტომის შვილი მართავსო — საკავშირო ყრილობაზე უნდა გაჟღერებულიყო ქართული დელეგაციის მოხსენება, რომელშიც წარმოჩნდებოდა სტალინის მშობელი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი კულტურა და მწერლობა, — ამასთან ეს მოხსენება აუცილებლად უნდა გახმიანებულიყო მოსკოვის ყრილობის სწორედ პლენარულ სხდომაზე, რომელსაც დაესწრებოდნენ მსოფლიოს სახელგანთქმული მწერლები, ჟურნალისტები და მიმომხილველები.

ნიკოლო მიწიშვილის ზემოთ ნახსენები წინადადება მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომაზეც საკავშირო მწერალთა კავშირის ორგკომიტეტის რუსული დელეგაციის თანდასწრებით გამოითქვა და კიდევაც დამტკიცდა. ნიკოლო მოსკოვში საკავშირო ყრილობაზეც გამოვიდა სიტყვით.

საყოველთაოდ ცნობილია, რა გამოხმაურება გამოიწვია ჩვენი 15-საუკუნოვანი მწერლობის შესახებ დაწერილმა და მოსკოვის ყრილობაზე წაკითხულმა მოხსენებამ...

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილედ **ნიკოლო მიწიშვილმა** იმუშავა 1933 წლის 5 ოქტომბრამდე, შემდეგ ერთხანს სხვა თანამდებობაზე მოუწია ყოფნა — 1934 წელს შექმნილი სსრკ ლიტერატურული ფონდის საქართველოს განყოფილების ანუ „საქლიტფონდის“ გამგეობის თავმჯდომარის **(სანდრო ეული)** მოადგილე და ლიტფონდის დირექტორია, 1935 წელს — მწერალთა კავშირის რუსთაველის საიუბილეო კომიტეტის წევრი, მაგ-

რამ რუსთაველისა და მისი პოემის იუბილეს ვეღარ მოესწრება...

უკვე ნახსენებმა იმედგაცრუებამ **ნ. მიწიშვილში** ისე იმძლავრა, რომ საქართველოს მომავალი ეჭვქვეშ დააყენა. ეს ეჭვი ჯერ კიდევ 1922 წელს გაანდო ქაღალდს თავისი წერილით „ფიქრები საქართველოზე“.

მიუხედავად ბევრი რჩევისა – ნუ გამოაქვეყნებო, მაინც დაბეჭდა 1926 წელს თავისი რედაქტორობით გამომავალ ჟურნალ „ქართულ მწერლობაში“.

„ხერხემალს ქართული იდეისა მე ვერ ვპოულობ და ვერც აზრს საქართველოს წარსულში“.

„საქართველო პასიური მოვლენაა“ და ა. შ.

ამას **გრიგოლ რობაქიძემ** „თვითმკვლელობის დასკვნა“ უწოდა (საქართველოს ხერხემალი, 1927, იანვარი“).

სხვა თანამოკალმეებშიც სასტიკი რეაქცია გამოიწვია. ბოლოს ისევ და ისევ ამ გულგატეხილობამ **ს. შანშიაშვილის** ოჯახში 1936 წლის შემოდგომაზე გამართულ წვეულებაზე **ნ. მიწიშვილი** ბერიას ხმამაღლა გინებამდე მიიყვანა (ამაზე დაწვრილებით იხ. სტენოგრამა **რ. კვერენჩხილაძის** წიგნში „XX ს. საქართველოს ლიტერატურული ცხოვრება, მთავარ მოვლენათა ქრონიკა“, 2008, გვ. 119).

ეს ამბავი ხელადვე მიუვიდა ბერიას – იმ დროისთვის ხომ დამახასიათებელია – სუფრასთან აუცილებლად იჯდა ვილაც დამსმენი...

თქმა არ უნდა, ნიკოლომ იცოდა, რომ ეს თავის გაწირვას ნიშნავდა. იცოდა, მაგრამ ბერიაზე შურის საძიებლად და თავისი ღირსების დასაცავად გააკეთა!...

რაღა გასაკვირია, რომ 1937 წელს მოსკოვში **სტალინი** ხელს მოაწერს **ბერიას** წარდგენილ 26 ივნისით დათარიღებულ დასახვრეტთა სიას, რომელშიც **დავით ონიაშვილთან, გიორგი ყურულოვთან** და სხვებთან ერთად **ნიკოლო მიწიშვილიც** შედიოდა.



სხედან: ლადო ასათიანი, ანიკო ვაჩნაძე, ალექსანდრე საჯაია. დგანან: ნიკა ავიაშვილი, ლეო კვაჭაძე, მირზა გელოვანი, ლადო ავალიანი, რევაზ მარგიანი.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

ნიკოლო მიწიშვილის გამოსვლა:

„ეს პროზაული მოხსენება მოკლედ უნდა დავამთავრო იმ პრაქტიკულ ამოცანათა ჩამოთვლით, რომელთა განხორციელება დასახული გვაქვს მომავალი წლის განმავლობაში. ესაა:

1. საბინაო მშენებლობის დაწყება და მწერალთა საბინაო მდგომარეობის საბოლოო გამორკვევა.
2. ქვიშხეთის აგარაკის რემონტი.
3. საკუთარი აგარაკის შეძენა ქობულეთში.
4. უფასო სანატორიული ექიმობის უზრუნველყოფა მწერალთა გარკვეული რაოდენობისათვის.
5. სალიტერატურო ფონდის შექმნა.
6. ამბულატორიის გახსნა მწერალთათვის.
7. დამსახურებული და ცნობილი მწერლების განსაკუთრებულ კმაყოფაზე გადაყვანა.
8. ტიპური ხელშეკრულების შემუშავება და საავტორო უფლების ახალი კანონის გატარება.
9. მწერლების მუშებთან გათანაბრება ბინის ქირის მხრივ და ბინის ფართობის შეუზღუდველობის უზრუნველყოფა.
10. მწერალთა საშემოსავლო გადასახადზე შელავათის დაწესება.
11. საკავშირო ორგკომიტეტთან საჭირო ურთიერთობის დამყარება მატერიალური სახსრების მისაღებად.

აი, ამხანაგებო, ძალიან მოკლედ ის მოსაზრებანი ჩემს მოხსენებაში დასმული საკითხების შესახებ, რომელთა ირგვლივ გამოთქმული თქვენი აზრი საშუალებას მოგვცემს უფრო დავაზუსტოთ კავშირის მუშაობა ამ დარგში და უფრო ნაყოფიერი გავხადოთ იგი“.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის საბჭოს პლენუმი. 1932.26.XII. სტენოგრამა. ლხცსა, 8-1-269-ფ. 34-56

ბ) თავმჯდომარის მოადგილე (1932-1933)
სანდრო ეული (ქურიძე) (1890-1965)



„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ თავმჯდომარის კიდევ ერთ მოადგილედ კავშირის საბჭომ 1932 წლის 1-ლი ივლისის სხდომაზე აირჩია პროლეტარულ მწერალთა ძველი თაობის წარმომადგენელი, 1920 წელს გაზ. „კომუნისტის“ რედაქტორად ნამყოფი, საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ორგანიზაციის ერთ-ერთი შემქმნელი და ხელმძღვანელი **სანდრო ეული**, რომელიც მწერლობაში „რევოლუციის საყვირით“ შემოვიდა (ასე ერქვა მის პირველ წიგნს, 1921 წ.) და როგორც ის, ასევე მისი თაობის პროლეტმწერლები, საყვირით მოწოდებას ვერ გასცილდნენ, ქარხანას მხოლოდ გარედან ხატავდნენ, მაგრამ, როგორც ახალი თაობის პროლეტმწერლებმა უკიჟინეს, ქარხნის შიგნით ჩახედვას და იქ მყოფი მუშების შრომის, ფიქრებისა და განცდების ასახვას ვერ ახერხებდნენ.

ამის მიუხედავად, პროლეტმწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელობიდან მალე ჩამოცილების შემდეგ, „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ ხელმძღვანელობაში შეიყვანეს, თანაც მოგვიანებით ერთდროულად გამგეობის მდივანიც იყო და პარტბიუროს მდივანიც, კარგა ხანს, თვით 1937 წლის მძაფრი და დრამატული მრავალდღიანი პრეზიდიუმის სხდომების ბოლომდე მიყვანას ხელმძღვანელობდა **დავით დემეტრაძესთან** ერთად და, თუ პოეზიაში თავს დიდად ვერ იჩენდა, თუ სოციალისტურ რევოლუციას ერთგულობდა, შვილებს „ოქტომბერი“ დავარქვათო, „ლექსი ბრძოლისა და ძველი ქვეყნის აოხრებისთვის“ უნდოდა და თავმომწონედ აცხადებდა: „და ჩვენი ლექსი დატენილი გვქონდა ვაზნებით“,

„ლექსი გვქონდა და გვაქვს მტრისთვის შხამივით მწარე“, ეს ჩვენი ლექსი ახალი ყოფის ადამიანებს ზრდისო („პროლეტ. მწერლობა“, 1931) – ამ ორ მრისხანე თანამდებობაზე ადამიანობის შენარჩუნებასაც ახერხებდა.

სანდრო ეულის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შემდეგ პროლეტარულ მწერლებს „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირში“ მათი ინტერესების დამცველი ორი წარმომადგენელი ჰყავდათ (თავმჯდომარე – **მ. ტოროშელიძე** და მისი მოადგილე – **სანდრო ეული**).

გასაკვირი არაა, ეს რომ ასე მოხდა, რადგან კომუნისტურმა ხელისუფლებამ პროლეტარული მწერლები ლიტერატურაში თავის დასაყრდენ ძალად გაიხადა და მათ ყოველნაირად მხარს უჭერდა საბჭოთა მწერლობის ჩამოყალიბებისათვის წარმოებულ ბრძოლაში.

სანდრო ეული თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა 1933 წლის 8 აპრილის პრეზიდიუმის სხდომამდე, როდესაც, ალბათ, ეძებდნენ რა მოადგილის თანამდებობაზე უფრო შესაფერის კანდიდატს, ის შემოქმედებით მივლინებაში გაუშვეს.

ს. ეული მრავალ წელს იყო „ნიანგის“ რედაქტორი (1923-1930; 1936-44) და საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი.

გ) თავმჯდომარის მოადგილე (1933)
პავლე საყვარელიძე (1885-1937)



„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ საბჭომ (1933. 8. IV) შემოქმედებით მივლინებაში გაშვებული **ს. ეულის** ნაცვლად თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია ძველი ბოლშევიკი, ნაკატორღალი, საბჭოთა საქართველოში ძველ კატორღელთა საზოგადოების ხელმძღვანელი, 1924-25 წლებში გაზ. „მუშის“ („მიწის მუშის“, „ახალი სოფლის“) რედაქტორად ნამოღვაწარი, ბრწყინვალე სტილისტებთან **გერონტი ქიქოძესთან, ილია აგლაძესთან, მიხეილ საყვარელიძესა** და **ვასო ეგნატაშვილთან** ერთად ასეთივე კარგ სტილისტად ცნობილი (მისი რედაქტორობისას გაზეთის ენა დაიხვეწა და შესაფერის სიმაღლეზე დადგა), რევოლუციური მოძრაობის თემაზე დაწერილი სქელტანიანი რომანების („დაფანტული ფურცლები“ – 1930, „ეკლიან გზაზე“ – 1931, „ქვა და რკინა“ – 1932) ავტორი **პავლე საყვარელიძე.**

მან ამ თანამდებობაზე იმუშავა ექვსი თვე – 1933 წლის 5 ოქტომბრის პრეზიდიუმის სხდომამდე.

1934 წ. მონაწილეობა მიიღო მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის (მოსკოვი) მუშაობაში, როგორც გადამწყვეტი ხმის მქონე დელეგატმა.

შემდეგ 1935-37 წ. წ. **პ. საყვარელიძემ** იკისრა ხელმძღვანელობა „საქლიტფონდისა“ და მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ფედერაციისა“, სადაც მას მოჰყვა დიდი ქონება ლიკვიდირებული „ყოფილ კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოებისა“: საქართველოს ცაკ-ის 1935 წლის დადგენი-

ლებით ამ საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის გამომცემლობა „პოლიტკატორღელი“ და სტამბა (გ. პლეხანოვის გამზ. 181) **პავლე საყვარელიძის** თაოსნობით გადაეცა მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ფედერაციას“.

შემდეგ ამერიკაში მივლინებულმა **პავლე საყვარელიძემ** საბეჭდი მანქანაც ჩამოიტანა მწერალთა კავშირის გამომცემლობისათვის.

ილია ჭავჭავაძის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავ რესპუბლიკურ კომისიაშიც შეიყვანეს...

მაგრამ 1937 წელს არაფერმა უშველა — სწორედ გამომცემლობა „ფედერაციის“ სამუშაო კაბინეტიდან წაიყვანეს, როგორც აღმოჩნდა, დასახვრეტად...

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„დღეს რუსეთში და ჩვენშიც საკუთარი აზრი დიდი ფუფუნებაა. კომუნისტებთან შედარებით მე ნამდვილი მეფე ვარ, მეფე. მაგრამ რა ძვირად მიზის ეს უხილავი გვირგვინი! ფრთხილად, მეგობრებო, არ მოიხადოთ, თორემ სიკვდილი გირჩევნიათ“.

მიხეილ ჯავახიშვილი,
1935 წ. უბის წიგნაკიდან, გვ. 305

* * *

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ მდივნები:
ა) ბესარიონ (ბესო) ჟღენტი (1903-1976)



1932 წლის ყრილობაზე შექმნილმა საბჭომ თავის პირველ სხდომაზე პირველ ივლისს „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ თავმჯდომარე **მალაქია ტოროშელიძესა** და მის ორ მოადგილესთან **(ნ. მიწიშვილი, ს. ეული)** ერთად კავშირის ხელმძღვანელობაში, როგორც მდივანი, შეიყვანა 1927-1929 წლებში მემარცხენე ფრონტელთა ერთ-ერთი ლიდერი **ბესო ჟღენტი**, ადრე, ფუტურისტობის დროს, ქუთაისში ისეთი ექსცენტრულობით გამორჩეული, როგორც მოგვიანებით თავად იხსენებდა: **„მე და ჩაჩავა ბულვარის პირდაპირ ერთი დიდი სახლის სახურავზე ავედით, კოსტუმები უკუღმა ჩავიცვით და ლექსების კითხვა დავიწყეთ“.**[4]

აქედან მოკიდებული ის კიდევ რამდენჯერმე აირჩიეს საბჭოს (გამგეობის) მდივნად.

თუ ადრე **ბესო ჟღენტი**, როგორც ფუტურისტი და შემდეგ მემარცხენე ფრონტელი, „ცისფერყანწელებს“ „პლაგიატის“ ნიადაგზე გაერთიანებულ „ლიტერატურულ ლექს, შმორს“ უწოდებდა („ლიტერატურა და სხვა“), ახლა, როგორც კრიტიკოსსა და „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ მდივანს, უკვე სოციალისტურ რეალიზმად მონათლული მწერლობის ინტერესების დაცვას თხოვდნენ.

ამის შესრულებასთან ერთად, ბესო ჭეშმარიტი მხატვრული ღირებულებებისთვის მხარდაჭერასაც ახერხებდა.

1934 წლის 19-23 აპრილს მიმდინარე დისკუსიაზე „პოეზიის ფრონტი საქართველოში“ **ბესო ჟღენტმა** მოხსენე-

ბაში აღნიშნა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ოფიციალური კრიტიკის მოტანილი ზიანი: ჟანრების იერარქიის დამყარება, ლირიკის განდევნა, მხატვრული ფორმის შესახებ მსჯელობის მონათვლა ფორმალიზმად...

მონაწილეობდა მწერალთა საკავშირო პირველ ყრილობაზე (1934) წასაკითხი მოხსენების დაწერაში, იყო ყრილობის დელეგატი გადამწყვეტი ხმით.

ბ) ნიკოლო მიწიშვილი.

მას შემდეგ, რაც მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა 1933 წლის 5 ოქტომბერს თავმჯდომარის მოადგილეობიდან გაათავისუფლა **ნიკოლო მიწიშვილი** და **პავლე საყვარელიძე,** იმავე სხდომაზე მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან (მალაქია ტოროშელიძე) და მდივანთან (ბესო ჟღენტი) ერთად მუშაობა გააგრძელა მდივნად გადაყვანილმა **ნ. მიწიშვილმა.**

გ) პანტელეიმონ ჩხიკვაძე.

ამ ახალ სამდივნოში დააბრუნეს ადრე მწერალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში ნამუშევარი მწერალი, „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ მდივანი **პ. ჩხიკვაძე** (ადრე, 1930.15.XI–1930.13.XII – პმგ მდივანი; 1932.13.I –1932.16.V – პირველი მდივანი „ფედერაციისა“).

ინდუსტრიულ თემაზე შექმნილი ერთ-ერთი პირველი რომანების („სართულები“ და „ამხანაგი ბუთხუზი“) ამ ავტორს სიკვდილი საკოლმეურნეო თემაზე რომანის („ახალი ხმელეთი“) წერისას წამოეწია...

* * *

1932 წლიდან მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში შედიოდნენ: მალაქია ტოროშელიძე (თავმჯდომარე), სანდრო ეული, ნიკოლო მიწიშვილი (მოადგილეები); პროლეტარული

მწერლებიდან (ს. ეულთან ერთად): გიორგი (გუგული) ბუხნიკაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, დავით დემეტრაძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ალიო მაშაშვილი (მირცხულავა), შალვა რადიანი, გიორგი ყურულაშვილი, პანტელეიმონ ჩხიკვაძე; აკადემიური მწერლებიდან ლეო ქიაჩელი; ცისფერყანწელებიდან: ტიციან ტაბიძე; მემარცხენე ფრონტელებიდან (ყოფილი ფუტურისტები): სიმონ ჩიქოვანი (ბ. ჟღენტთან ერთად).

ლბცსა, 8-1-682-2

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„მე, მწერალი, დღეს სასაფლაოზე ვცხოვრობ, ირგვლივ — ვაება და კაეშანია, თუ სხვებთან ერთად ვიგლოვე — თავში ჩამირახუნებენ, თუ ავტლიკინდი — სირცხვილით დავიწვები. ვარ მდუმარე და დარდიანი“.

„დღევანდელ ქართველ მწერლებს რწმენა აკლია და კრიზისის სათავეც სწორედ აქ არის. რასაც ამბობს, არა სჯერა და რაცა სჯერა, ვერ სწერს. როცა სატირალი აქვს, იცინის და სადაც ეცინება, სტირის. ამიტომ არის მისი პათოსი ყალბი და მჩატე. მოჰგლიჯეთ პირიდან ბოქლომი და ნახეთ: ისე ატირდება, რომ მისი ცოდვით ქვაც კი დადნება და ისეთ ლოცვას იტყვის, რომ ღვთისმშობელსაც გააცოცხლებს“.

მიხეილ ჯავახიშვილი, უბის წიგნაკიდან

* * *

ზემოთ ვახსენეთ დისკუსია. აქ ურიგო არ იქნება, იმდროინდელ დისკუსიებზე უფრო სრული წარმოდგენის შესაქმნელად, გავეცნოთ იმ მწვავე პაექრობათა დამსწრე, მაშინ ახალგაზრდა, ორი მწერლის ჩანახატს:

სერგი ჭილაია – „იმჟამად მწერალთა სასახლე ქუხდა და ბორგავდა, დარბაზი ორად იყო გაყოფილი, ერთ მხარეზე იყვნენ რევოლუციის პოეტები, პროლეტარული მწერლები და ყველა ის მწერლებიც, ვინც რევოლუციას ემხრობოდა და იღებდა, მეორე მხარეს – ისინი, ვინც ეჭვის თვალით უყურებდა მთელ ამ მოძრაობას და დუმილს ხშირად მტრობაში რომ უთვლიდნენ, და ისინიც, ვინც საჯაროდ გამოდიოდა რევოლუციური საქართველოს კრიტიკითა და უარყოფით. კამათი და დავა იყო არა მარტო მწერალთა სასახლეში, არამედ უნივერსიტეტის აუდიტორიებში სტუდენტები იმდენივე ჯგუფად იყვნენ დაყოფილი, რამდენი ჯგუფიც მწერლობაში იყო“.[5]

ერემია ქარელიშვილი – ნიკო ლორთქიფანიძე „მწერალთა კავშირში გამართულ ლონისძიებებს არასოდეს დააკლდებოდა, ზუსტად დანიშნულ დროზე მოვიდოდა, ყველას თავაზიანად მიესალმებოდა და თავის „ამორჩეულ ადგილისაკენ“ გასწევდა..

ეს სკამი მუდამ ცარიელი იყო, ყველამ იცოდა, რომ ნიკოსი იყო. ასეთივე ამოჩემებული სკამი ჰქონდა კ. გამსახურდიას. ორივე სკამი უზურგო იყო. აქეთ-იქიდან დაბალი ხელის დასაყრდენი ჰქონდა. გამსახურდიასი მარჯვნივ, როიალთან იდგა, ნიკოსი – მარცხნივ სალონში გასასვლელ კართან.

კ. გამსახურდია სადისკუსიოდ შემართული იყო მუდამ, ნ. ლორთქიფანიძე – წყნარი, თუ მოსწონდა გამოსვლა, სახეზე ღიმი გადაეკვრებოდა, თუ არა – თავისთვის რაღაცას ჩაიდუდუნებდა“.[6]

ახლა კი გავეცნოთ 1933 წლის 5 ოქტომბერს შექმნილ სამდივნოში თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის გაუქმების შემდეგ **პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობაზე** გამოჩენილ ახალ პიროვნებას – **დავით დემეტრაძეს.**

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ პასუხისმგებელი მდივანი (1933-1937) დავით დემეტრაძე (1890-1937)



მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის ზემოხსენებულ სხდომაზე (1933.5.X) კომპარტიის კიდევ ერთი თვალი და ყური, კრიტიკოსი და ჟურნალისტი, **დავით დემეტრაძე** აირჩიეს კავშირის პასუხისმგებელ მდივნად – იმავდროულად იყო გაზ. „კომუნისტში“ კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის განყოფილების გამგე (ფაქტიურად იქ საქმეს მე ვაკეთებდიო – ამბობდა მწერალი **მოსე გვასალია**).

აქედან მოყოლებული ის არჩეული იყო მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის (მოსკოვი, 1934) დელეგატად გადამწყვეტი ხმის უფლებით, **მალაქია ტოროშელიძეს** და მის შემდეგ მოსულ კიდევ ერთ თავმჯდომარეს, **აკაკი თათარიშვილს** გამოიცვლის, „სალიტერატურო გაზეთს“ (1932-34), „ჩვენ თაობას“ (1935-36) და „მნათობს“ (1937) ურედაქტორებს, 1937 წელს პრეზიდიუმის რამდენიმე მრავალდღიან, ჩვენი საუკეთესო მწერლების სასტიკად გამკიცხავ, ხალხის მტრებად გამომცხადებელ, **პაოლო იაშ-**

---

* თუმცა ოჯახური პირობების გამო ვერ წასულა (იხ. ნ. მიწიშვილის განცხადება ბერიასადმი, „საარქივო მოამბე“, №10. 2011).

ვილის თვითმკვლელობამდე მიმყვან სხდომებს უხელმძღვანელებს, მწერლებს ღიად მოუწოდებს – თანამოკალმეები დაასმინეთო („**მაშინ არ გაამხილეთ არცერთმა, რაც თქვენს სახლში მოხდა, ამხანაგო სანდრო, ეს შანშიაშვილის, ლეონიძის, ტაბიძის დანაშაულია. შანშიაშვილი ვალდებული იყო თუ არა ეს ამბავი მწერალთა კავშირისათვის ეცნობებინა? ეს ჩვენი კავშირის ტრადიციაა, პარტიულებმა უნდა თქვან ყველაფერი**"), ბოლოს **ილია ჭავჭავაძის** დაბადების 100 წლისთავისა და **რუსთაველის** პირველი დიდი იუბილეს მწერალთა კავშირის კომისიისა და საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკი) წევრს 1937 წ. 26 სექტემბერს პრეზიდიუმი, დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე, პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობისგან გაათავისუფლებს, ხოლო უმადური კომუნისტური ხელისუფლება უსინდისოდ დახვრეტს... (ამის თაობაზე – **ტიციან ტაბიძესთან**).

* * *

ამ ახალი სამდივნოს წევრები ყველა მუშაობდა პრეზიდიუმის 1934 წლის 5 აპრილის სხდომამდე, რომელზეც სამდივნო გააუქმეს და მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან **(მ. ტოროშელიძე)** და პასუხისმგებელ მდივნად ისევ დატოვებულ **დავით დემეტრაძესთან** (ამიერიდან ხშირად ის უძღვებოდა პრეზიდიუმის სხდომებს) **პასუხისმგებელი მდივნის მოადგილის** შექმნილ თანამდებობაზე **ნიკოლო მიწიშვილის** არჩევასთან ერთად შეიქმნა შემოქმედებითი სექციები.

ეტყობა, ამ რეორგანიზაციამაც არ გაამართლა – **ნიკოლო მიწიშვილს** ამ თანამდებობაზე ხუთი თვეც არ უმუშავია – პრეზიდიუმმა* 1934 წლის 19 სექტემბერს გააუქმა მისი

---

* მდივნების არჩევა (სინამდვილეში დანიშვნა რომ იყო) კავშირის საბჭოს (გამგეობის) პრეროგატივა უნდა ყოფილიყო.

თანამდებობა, პასუხისმგებელი მდივნის (**დ. დემეტრაძის**) თანამდებობას სახელწოდება შეუცვალა — **დავით დემეტრაძეს პირველი მდივანი** უწოდა, მდივნად ისევ დატოვებულ **ბესო ჟღენტთან** ერთად კი სამდივნოში შევიდნენ ადრე (1932.1.VII–1933.8.IV), შემოქმედებით მივლინებაში გაშვებამდე, კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ ნამუშევარი **სანდრო ეული** და ერთი ახალი მდივანი — პოეტი **ვალერიან გაფრინდაშვილი**.

* * *

კიდევ ორიოდე სიტყვა სამდივნოდან გამოყვანილი **ნიკოლო მიწიშვილის** შემდგომ ბედზე. იმ წლებში ის იმით იყო შეწუხებული, რომ ცრუ გამოდგა ქართველი ბოლშევიკების ქადილი (საქართველოს დამოუკიდებლობას ჩვენც უზრუნველვყოფთო), რომელიც მან ირწმუნა და რომლის გამო საბჭოეთში დაბრუნების პროპაგანდა გასწია პარიზის ქართულ ემიგრაციაში. ყველაფერმა ამან პოეტი სასოწარკვეთამდე მიიყვანა.

1936 წელს **სანდრო შანშიაშვილის** ოჯახში ჩემი გინებისათვის დავხვრიტეო, ამას ვერ იტყოდა **ბერია**. სამაგიეროდ დააბრალეს ჯაშუშობა — ამისთვის ნოყიერი ნიადაგი გამოდგა მისი პარიზში ყოფნა, დასწამეს ხალხის მტრობა, არც ბოლშევიკების შავი საქმეების მოწმის კარგად ყოფნა გაეხარდებოდათ... და რა დამართეს, უკვე მოგახსენეთ.

* * *

ნიკოლოზ მიწიშვილის სახელთანაა დაკავშირებული მწერალთა კავშირის აპარატში ისეთი კოლორიტული პიროვნების, ერთსა და იმავე დროს მწერლისა და შემოქმედებითი ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ხელშემწყობი სრულფასოვანი მუშაკის მოყვანა და მისი მოღვაწეობის ნახევარი საუ-

კუნის განმავლობაში გაგრძელება, როგორიც იყო **ირონდიონ ქავჟარაძე.**

მწერალთა კავშირის (ისევე როგორც საზოგადოდ ყველა) ხელმძღვანელთა საქმიანობის წარმატებას ბევრწილად განაპირობებს თანამშრომელთა, თანაშემწეთა, ე.წ. ტექნიკური პერსონალის ცოდნა, პროფესიონალიზმი და საქმისადმი ერთგულება.

ამიტომ საჭიროდ მივიჩნევ, იმის მიუხედავად, რომ წინა წიგნში („ქრონიკაში") ბევრი მათგანი ვახსენე, ზოგიერთზე აქაც ვისაუბრო.

ერთ-ერთი ასეთი თანამშრომელი გახლდათ სწორედ **ირონდიონ ქავჟარაძე,** რომელიც 1934 წლიდან პრაქტიკულად ხელმძღვანელობდა მწერალთა კავშირის თანამშრომლებს. იგი სიტყვაკაზმული მწერლობის სამსახურს აპირებდა, მოთხრობებს წერდა, წიგნადაც გამოსცა, მაგრამ მიხვდა — ცენზურა არ გამახარებსო (იქნებ თავისი, როგორც ბელეტრისტის, შესაძლებლობანიც აწონ-დაწონა) და მთარგმნელობისთვის შეემზადა, ფრანგული ენა შეისწავლა და წარმატებებსაც მიაღწია.

ამას მისთვის ხელი არ შეუშლია აპარატის გაძღოლაში — ამიერიდან მწერალთა კავშირიდან გასულ წერილებს, მიმართვებს, სამდივნოსა და პრეზიდიუმის ოქმებს, საიუბილეო მისალმებებსა თუ ნეკროლოგებს ირონდიონი ადგენდა და ამას ის ყოველთვის სანიმუშოდ, დინჯად და აუღელვებლად აკეთებდა...

ხელშესახები დამადასტურებელი მასალა არ მაქვს, მაგრამ ისე ჩანს, კოტე მაყაშვილის დროს მწერალთა კავშირს **ირონდიონ ქავჟარაძისნაირ** სამსახურს პოეტი **ვარლამ რუხაძე** უწევდა. იგი თვალშისაცემად ხშირად, თანაც წინა რიგში ჩანს ფიტოსურათებზე მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებთან თუ მათ საპატიო სტუმრებთან.

საქართველოს გასაბჭოებიდანვე, როდესაც მწერალთა კავშირს სარგებლობაში გადაეცა დიდი მეწარმისა და მეცენატის **დავით სარაჯიშვილის,** შემდეგში ასევე ცნობილი მეწარმისა და ქველმოქმედის **აკაკი ხოშტარიას** მიერ შეძენილი სასახლე, ამ დიდებული შენობის გამგედ (კომენდანტად) დაინიშნა ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში „თომაზ ბორელის“ ფსევდონიმით ცნობილი **პლატონ კეშელავა,** კაცი სამართლიანი და პრინციპული, ის იქვე ცხოვრობდა და კბილით (იარაღითაც) იცავდა სასახლეს მისი დასაკუთრების მრავალი მსურველისა და მოძალადისაგან (ხოლო ამ სასახლეზე რამდენ ვინმეს ეჭირა თვალი, ამის თაობაზე საბუთი კოტე მაყაშვილმა დაგვიტოვა).

პლატონი ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1939 წლამდე, ვიდრე უთანხმოება არ მოუვიდა იმ ხანებში მწერალთა კავშირის ხელმძღვანელთან, ირაკლი აბაშიძესთან.

მალე პლატონ კეშელავას ყვარელში ილია ჭავჭავაძის სახლი ჩააბარეს და მის სახელსა და მოღვაწეობას დაუკავშირდა ამ სახლის სანიმუშო სახლ-მუზეუმად გადაქცევა.

მწერალთა სასახლეში კი, პლატონის ბინაში იზრდებოდა, კარგა ხანს ცხოვრობდა და ცნობილ მხატვრად აქ ჩამოყალიბდა ამ სასახლის პირველი გამგის ვაჟი **გიგი კეშელავა.**

ახლა ისევ **იროდიონ ქავჟარაძის** დროინდელ მწერალთა სასახლეს დავუბრუნდეთ. მასთან ერთად, მასავით ხანგრძლივად მწერალთა კავშირში მუშაობდა იქ იროდიონზე ადრე, ქალიშვილობაში მისული უერთგულესი მუშაკი **ნინო კლდიაშვილი.** საქმეთა მმართველის მომცრო, განჯინებიან ოთახში განლაგებული არქივის ეს გამგე, მწერლებზე, მწერლობაზე უსაზღვროდ შეყვარებული ეს ქალბატონი საბეჭდ მანქანაზეც უკაკუნებდა...

ბარემ აქვე უნდა ითქვას, ნინო კლდიაშვილის შემდგომი არქივარიუსებიდან თავი კეთილად დაგვამახსოვრა **მზექალა**

ლალიაშვილმა, სალისიანმა, გარეგნობითაც და ურთიერთობაშიც ლამაზმა ქალბატონმა. სამწუხაროდ იგი ავადმყოფობამ ჩამოგვაცილა...

30-იან წლებში მწერალთა კავშირის აპარატს აძლიერებს ქართულ და რუსულ ენებზე ერთ-ერთი საუკეთესო მბეჭდავ-მემანქანე **ნადია გოგიჩაძე.** აქვე უნდა ვახსენოთ მოგვიანებით შემომატებული კიდევ ერთი ასევე საპატივცემულო ქალბატონი, მბეჭდავ-მემანქანე **ბაბი ღოღობერიძე.**

ვინ იცის ქართველ მწერალთა რამდენი საუკეთესო ლექსი, მოთხრობა, რომანი და პიესა დაუბეჭდავთ ამ ქალბატონებს.

საქმეთა მმართველისა და მბეჭდავ-მემანქანეთა იმ პატარა, ქუჩის მხარეს აივანზე გასასვლელ ოთახში კედელზე ეკიდა ორი მშვენიერი ძველი სურათი: „ურემი გადის ფონში“ და „აქლემების ქარავანი უდაბნოში“. ერთხელ ქალბატონი ბაბი შემეხვეწა: იქნებ ეს სურათი — აქლემებზე მიმითითა — სხვაგან გადაიტანო — საშინელ სევდას მგვრისო...

უთქმელადაც მიხვდებით — ეს თხოვნა ადვილად შესრულდა. ეს სურათები ბოლო დრომდე ბუღალტერიის ოთახში ეკიდა.

იქნებ თქვათ, უბრალო საქმეაო, მაგრამ არაფრით არ შეიძლება ერთი რიგითი მუშაკი არ გავიხსენო. ბევრი დამლაგებელი გამოუცვლია მწერალთა სასახლეს, მათ შორის **ანეტა ჯინჭარაძე** გამორჩეული გახლდათ თავისი ერთგულებით, მას მწერლები ძმებად მიაჩნდა, აკი **პაოლო იაშვილმა** რომ თავი მოიკლა, პირველი მასთან ანეტა მიჭრილა და უკივლია: ვაიმე, ძმაო პაოლო, ეს რა ჰქენიო!...

აქ ეს ვიკმაროთ, ზოგიერთ სხვა თანამშრომელზე მოგვიანებით მოგახსენებთ.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„1934 წ. 15 ოქტომბერი. დღეს დავასაფლავეთ დიდი პოეტი ტერენტი გრანელი. გამოვასვენეთ არამიანცის №1 საავადმყოფოდან. ნაკლებ მონაწილეობას ღებულობდა ქართველი საზოგადოება და ქართველი მწერლები.

საცხედრესთან მივიდნენ და გასვენებას დაესწრნენ: გაფრინდაშვილი ვალერიან, ქავჟარაძე იროდიონ, შანიძე ალექსანდრე, გაწერელია აკაკი, კობიძე დავით, აგარელი გობრონ, წერეთელი ალექსანდრე, კეშელავა პლატონ (თომაზ ბორელი), გორგაძე ვასო, გაბესკირია ვიქტორ, ქელბაქიანი აპოლონ (გენო), იმედაშვილი გაიოზ, ტერენტის დაჲ (სახელი არ მაქვს ჩაწერილი რომელი იყო), გ. ტაბიძე.

კუბოს სახურავი მიგვქონდა მე და აკაკი გაწერელიას, დავასაფლავეთ პეტრე-პავლეს ეკლესიის მახლობლად, დასავლეთ მხარეს“

ალიო შანიძის დღიურიდან

* * *

ახლა წარმოგიდგენთ 1934 წლის 19 სექტემბერს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მიერ რეორგანიზებულ სამდივნოში I მდივნად დაწინაურებულ დ. დემეტრაძესთან და მდივნად დატოვებულ ბ. ჟღენტთან ერთად, მდივნად დაბრუნებულ და მეორეს — მდივნად ახალ, პირველად შეყვანილ წევრს.

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ მდივანი (1934-1939) სანდრო ეული (ქურიძე) (1890-1965).

როგორც უკვე აღინიშნა, 1934 წლის 19 სექტემბერს I მდივნად დაწინაურებულ დ. დემეტრაძესა და მდივნად დატოვებულ ბ. ჟღენტთან ერთად სამდივნოში, ამჯერად მდივნად დააბრუნეს კავშირის თავმჯდომარის მოადგილეობის დროს (1933) შემოქმედებით მივლინებაში გაშვებული **სანდრო ეული.**

ამავე წელს ის აირჩიეს ახალშექმნილი საქლიტფონდის გამგეობის თავმჯდომარედ, მასვე შეუთავსეს მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციის ბიუროს მდივნობა.

ს. ეული მწერალთა კავშირში მუშაობდა 1939 წლამდე.

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ მდივანი (1934-1939) ვალერიან გაფრინდაშვილი (1889-1941)



1934 წლის 19 სექტემბერს პრეზიდიუმმა ხელახლა სახეშეცვლილ სამდივნოში მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან (მ. ტოროშელიძე), პირველ მდივნად წოდებულ **დავით დემეტრაძესთან**, ძველ მდივნებთან **ბესო ჟღენტთან** და მდივნად ისევ დაბრუნებულ **სანდრო ეულთან** ერთად მდივნად აირჩია ცისფერყანწელთა ერთ-ერთი ლიდერი, ყველაზე ტიპიური წარმომადგენელი სიმბოლიზმისა, **„ვ. გაფრინდაშვილი — პოეზიის დიდი ცერემონიმაისტერი“ (სანდრო ცირეკიძე,** „რუბიკონი“, 1923, №12), რედაქტორი ცისფერყანწელთა ჟურნ. „მეოცნებე ნიამორებისა“ (1919-1924. ქუთაისი, თბილისი), ავტორი 1919 წელს გამო-

ცემული ლექსების პირველი კრებულის „დაისებისა“, **„მომღერალი სონეტის და ალისფერ დაისის“ (სანდრო შანშიაშვილი,** „ვალერიან გაფრინდაშვილს“, 1925), ოსტატი ესეებისა...

საშიშ დროში პატარა ხიფათით გადარჩა: როგორც გამგეობის მდივანს უსაყვედურეს – როგორ დაუშვი, რომ **კ. ჭიჭინაძის** მოხსენებისას საჯაროდ ითქვა რუსული ენის შეურაცხმყოფელი სიტყვები **ადამ მიცკევიჩისაო.**

სხვა მხრივ, ეტყობა, ჩათვალეს ლექსის ოსტატობაზეა გადაგებული, პოლიტიკასთან და ჯგუფობრიობასთან შორს დგასო.

1937 წელს **რუსთაველის** პირველ დიდ იუბილეზე მოხსენებით („რუსთაველი და თანადროულობა“) გამოსვლა მიანდვეს.

ვ. გაფრინდაშვილმა მდივნის თანამდებობაზე იმუშავა ხუთი წელი – 1939 წელს ჩატარებულ მწერალთა ყრილობამდე, იგი იყო მწერალთა კავშირის მთარგმნელობითი სექციის თავმჯდომარე, მთარგმნელობითი ლიტერატურის გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ მხატვრული ლიტერატურის განყოფილების გამგე...

სამწუხაროდ ადრე, ორმოცდათორმეტი წლისა გარდაიცვალა.

* * *

1935 წლის 13 მარტს გამართულ პრეზიდიუმის სხდომაზე კავშირის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლეს შეთავსებით მომუშავე **მალაქია ტოროშელიძე.**

ეს გათავისუფლება, როგორც შემდეგ გაირკვევა, კარგის მომასწავებელი არ იყო. **სტალინის** სურვილითა და **ბერიას** უშუალო მითითებით, შეთავსებით, ახალშექმნილი „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ თავმჯდომარედ არჩეულ (ფაქტობრივად – დანიშნულ) **მალაქია ტოროშელიძეს,** როგორც სანდო და განათლებულ ლიტერატორს, რომ დაეკმაყოფილებინათ უცხოეთის დაინტერესება – რომელი უჩინარი ტომის წარმომადგენელია, ლენინის შემდეგ საბჭოეთის

იმპერიას რომ მართავსო, — სტალინის წარმომავლობის, მისი სამშობლოს სიძველისა და დიდი კულტურის დასამტკიცებლად უკარნახეს მწერალთა საკავშირო ყრილობისთვის ჩვენი მრავალსაუკუნოვანი მდიდარი მწერლობისა და კულტურის წარმომჩენი მოხსენების დაწერის ორგანიზება.

კარნახი კი მართლაც ესაჭიროებოდა, რადგან ქართულ მწერლობაზე საუბარს დააბლოებით ისე აპირებდა, როგორც ოქტომბრის რევოლუციის (გადატრიალების) შემდეგ და შედეგად წარმოშობილ ჩუქჩებისა და იაკუტების მწერლობაზე.

ი. სტალინის სუბიექტური ნების მიხედვით დაწერილი, მაგრამ ობიექტურად დიდი ქართული საქმის გამკეთებელი მოხსენების მთელი მსოფლიოს გასაოცნად ძალზე შთამბეჭდავად გახმიანებამ სიკეთე მოგვიტანა, მაგრამ ამ საქმის მოგვარების მოწმის არსებობა **სტალინს** მაინცდამაინც არ სიამოვნებდა.

მით უმეტეს, რომ **მ. ტოროშელიძეს** კიდევ ერთი საჭოჭმანო საქმე გააჩარხვინეს.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორად დანიშნული (1934-1935) **მ. ტოროშელიძის** საერთო ხელმძღვანელობით, მისი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორობის დროს იქ დოცენტად მომუშავე, 1935 წლიდან საქართველოს კომპარტიის ცეკას აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგედ გადაყვანილი **ერიკ ბედიას** 30-კაციან ჯგუფს (მეცნიერ-მუშაკები, ასპირანტები) აგროვებინეს მუშების მოგონებები, რომელთა უმრავლესობა ხელახლა ისე გადააწერინეს, რომ სტალინი აუცილებლად იმთავითვე ამიერკავკასიის რევოლუციური მოძრაობის ლიდერად წარმოჩენილიყო.

ამ მოგონებათა გამოყენებით **ე. ბედიას** დაწერილი ნაშრომი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხებისათვის“ წიგნად **ბერიას** ავტორობით გამოვიდა (უხერხულია ასეთ ნაშრომს ხელს რესპუბლიკის კომპარტიის ცეკას პირველი მდივანი არ აწერდესო).

ასეთი საქმის მოწმეები მით უფრო აშფოთებდა როგორც **სტალინს,** ისე **ბერიას** და **მ. ტოროშელიძეც** მოსპეს და **ერიკ ბედიაც** თავისი თანაშემწეებიანად...

როგორც ძველი ბერძენი დრამატურგი **ესქილე** ბრძანებს, „ეს ხომ ტირანთა, მტარვალთა სენია მარადიული, რომ თავის სანდო მეგობარს შეხედოს უნდო ეჭვითა".

მალაქია შოთა რუსთაველის პირველ დიდ რესპუბლიკურ საიუბილეო კომიტეტში შეიყვანეს, მაგრამ იუბილეს ვეღარ მოესწრო... **სტალინმა** აუღელვებლად მოაწერა ხელი საქართველოდან 1937 წლის 31 მაისის თარიღით გაგზავნილ დასახვრეტთა სიას, რომელშიც შედიოდა მისი სემინარიელი ამხანაგი **მალაქია ტოროშელიძე** (აგრეთვე მწერალთა კავშირთან დაკავშირებული პარტიული მუშაკი **კოტე გორდელაძე,** სახელგამის დირექტორის მოადგილე **ლიდა გასვიანი,** რეჟისორი **სანდრო ახმეტელი,** ინჟინერი **ვლადიმერ ჯიქია** და მწერლები: **ბარონ ბიბინეიშვილი, სევასტი თალაკვაძე, რაჟდენ კალაძე, ბაჭუა კუპრაშვილი**).

სხვათა შორის, ამ სიებში ბევრი თქვენგანი დახვრეტილი მამა-პაპის, ახლობლის გვარს იპოვის...

* * *

ხალხის მტრად გამოცხადებულისთვის თანამდებობის პირს, იქნებ ძალიანაც არ უნდოდა, მაგრამ იმის შიშით — მისი თანამზრახველობა არ დამწამონო, წიხლი უნდა მიეყოლებინა. ასე მოიქცა **დავით დემეტრაძე** 1937 წლის 16-19 მარტს მიმდინარე მწერალთა ერთ-ერთ კრებაზე და **მალაქია ტოროშელიძეზე** თქვა:

„ამ გარეწარმა მწერალთა ყრილობაზე ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთი წევრი აიძულა მხარი დაეჭირა ბუხარინის მიერ პოეზიის არასწორ შეფასებას".

შალვა აფხაიძემ და **სანდრო ეულმაც** გამცემად და მოღალატედ მოიხსენიეს, **პავლე საყვარელიძემ** კი იყვირა: აქამდე სად იყავით, ახლა რომ ლაპარაკობთო.[7]

მის შემდეგ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ მოსული **აკაკი თათარიშვილიც** ჯგუფობრიობაში დასდებს ბრალს **მ. ტოროშელიძეს** (1937.5-11 მაისი. საბჭოს სხდომა): 1934 წლის მწერალთა საკავშირო ყრილობაზე წაკითხული მოხსენების მის მიერ დაწერილ თავში **ილია ჭავჭავაძეზე** მცდარი შეხედულება მაინც გაატარაო, ლიტერატურაში უნიჭოებს მფარველობდა, მაგალითად, მიღწევად გამოაცხადა პროლეტმწერლის **ნიკოლოზ ფხაკაძის** ლიტერატურული სუროგატი — პოემა „შრომადღეებიო“...

ტყუილად არ ამბობს ანდაზა „აკიდებულ ვირსაო ყველანი წაჰკვრენ წიხლსაო“.

* * *

სანიმუშოდ მომყავს **მალაქია ტოროშელიძის** თავმჯდომარეობით არსებულ სამდივნოში ფუნქციების განაწილება:

მალაქია ტოროშელიძე (მუშაობდა უხელფასოდ) — საერთო ხელმძღვანელობა; დრამატურგიის, სამხედრო—თავდაცვითი და საბავშვო სექციების ზედამხედველობა.

დავით დემეტრაძე (1934.19.IX–1937 — პირველი მდივანი) — კავშირის მთელი მუშაობის ხელმძღვანელობა პრესისა და გამომცემლობის ხაზით, კავშირი პოლიტიკურ პრესასთან, ენციკლოპედიისათვის მასალების მიწოდების, ქართულიდან სხვა ენებზე და სხვა ენებიდან ქართულზე თარგმნის ორგანიზება.

ბესო ჟღენტი (1934-1937, მდივანი) — ლიტერატურული მუშაობის ხელმძღვანელობა, დისკუსიების ორგანიზება, ნაციონალურ უმცირესობათა სექციების, მწერალთა კავშირის საქმეთა მმართველობისა და აპარატის ზედამხედველობა.

ნიკოლო მიწიშვილი (1933-37, მდივანი) — ლიტერატურული კაბინეტების, მწერალთა კავშირის განყოფილებების, მუშათა სალიტერატურო წრეებისა და ახალგაზრდა მწერლებთან მუშაობის მეურვეობა.



გალაკტიონ ტაბიძე, შალვა რადიანი, ქეთევან ირემაძე. 1936.
სურათი მოგვაწოდა შალვა რადიანის მეულღლემ მერი რადიანმა.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:



„გაუხარელი დღეები არი, გაუხარელი ამინდები სდგას“.
ნიკო სამადაშვილი.

* * *

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ თავმჯდომარე (1935-1937)
აკაკი თათარიშვილი (1897-1938)



1935 წელს, 13 მარტს პრეზიდიუმის მიერ თავმჯდომარეობიდან განთავისუფლებული, შეთავსებით მომუშავე **მალაქია ტოროშელიძის** მაგივრად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის თავმჯდომარედ (ისევ შეთავსებით) პარტიამ მოავლინა სახელმწიფო მოღვაწე, ფინანსთა (1933-34) და განათლების (1934-36) სახკომი **აკაკი თათარიშვილი.**

მას თავმჯდომარეობასთან ერთად მიანდვეს „მნათობისა“ და „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორობა 1936-37 წ. წ.

აკაკი თათარიშვილთან ერთად თავთავიანთ თანამდებობებზე დარჩნენ: პირველი მდივანი **დავით დემეტრაძე** და მდივნები **ბესო ჟღენტი, სანდრო ეული, ვალერიან გაფრინდაშვილი.**

აკაკი თათარიშვილმა, ამ დიდად განათლებულმა ადამიანმა, ალბათ თავის გადარჩენის მიზნით, მწერალთა კავშირის გამგეობის პლენარულ სხდომაზე, იმ საშინელ 1937 წელს (5-11. V), მწერლებს კომუნისტური ზნეობრივი (სინამდვილეში — უზნეობის) ნორმების დაცვისაკენ მოუწოდა (ისიც შესაძლებელია, თავმჯდომარეს ეს შეფასება თანაშემწემ, მაგალითად, მდარე სტილის მქონე პროლეტარულმა მწერალმა დაუწერა): **„პოეტების სექცია ჯერ კიდევ ვერ იქცა იმ შემოქმედებით ლაბორატორიად, სადაც გაშლილი უნდა იყოს ყოველდღიური მუშაობა დიდი სტალინის პოლიტიკური პოეზიისათვის ნიშნის ქვეშ... ძირითადი ამოცანა პოეტური სექ-**

ციისა ის არის, რომ უხელმძღვანელოს პოეტებს თვით ნაწარმოების შექმნის პროცესში, რომ პოეტის მუშაობა დაყენებულ იქნეს კოლექტიური კონტროლის ქვეშ".

ესე იგი სექცია სულში უნდა ჩაუძვრეს შემოქმედს და ის დააწერინოს, რაც გვესაჭიროებაო, პოეტებზე კოლექტიური კონტროლი ე. ი. დამსმენობა დავაწესოთო!..

ასე იცავდა ლიტერატურაში კომპარტიის ინტერესებს.

მიუხედავად პარტიისადმი ასეთი ერთგულებისა თავი მაინც ვერ გადაირჩინა.

დანიშვნიდან (1935.13.III) ორი წლის შემდეგ, 1937 წლის 14 აპრილს პრეზიდიუმმა, ცხადია, ზემდგომი პარტიული ორგანოების მითითების თანახმად, გააუქმა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობა და **„სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში მეტად გადატვირთვის გამო", აკაკი თათარიშვილი** (მისი თხოვნის თანახმადო) გაათავისუფლა მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობიდან.

ყველამ იცოდა, ასეთი ფორმულირების მიღმა ხშირად სულ სხვა რამის დამალვას ცდილობდნენ.

მართლაც, ერთხანს სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსად მუშაობდა (1937).

მაგრამ, მალე დააპატიმრეს, ხოლო **სტალინმა** ხელი მოაწერა 1937 წლის 15 სექტემბრით დათარიღებულ იმ სიას, რომელშიც შეყვანილი იყო დასახვრეტად განწირული **აკაკი თათარიშვილი** (და მასთან ერთად **მიხეილ ჯავახიშვილი, გერცელ ბაზოვი, ბენიტო ბუაჩიძე**...).

***

პრეზიდიუმის 1937 წლის 14 აპრილის სხდომაზე თავმჯდომარის თანამდებობის გაუქმებისა და სამსახურიდან **აკაკი თათარიშვილის** გათავისუფლების შემდეგ (რასაც მისი დახვრეტა მოჰყვა), თავიანთ თანამდებობებზე დარჩნენ: პასუ-

ხისმგებელი მდივანი **დავით დემეტრაძე** და მდივნები **ბესო ჟღენტი, სანდრო ეული, ვალერიან გაფრინდაშვილი.** მათ მიუმატეს კიდევ ერთი მდივანი.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე.

ადრე, ს. **თოდრიას** თავმჯდომარეობით არსებულ მწერალთა კავშირში 1927 წ. ოქტომბრიდან მხოლოდ რამდენიმე თვე, 1928 წ. მარტამდე ნამუშევარი, მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე (მოსკოვი, 1934) გადამწყვეტი ხმის უფლების მქონე დელეგატად გაგზავნის ღირსად ჩათვლილი ეს პროლეტმწერალი ისევ დააწინაურეს „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ მდივნად და ისევე როგორც მაშინ, მალე გაუშვეს...

ამჯერად თავად დაგვიტოვა „კაიკაცობის“ გამო მისი დათხოვნის საბუთები:

პრეზიდიუმის შიშისა და ძრწოლის მომგვრელ მრავალდღიან (1937.27-30.V) გაფართოებულ სხდომაზე **კ. ლორთქიფანიძემ** თავის გადასარჩენად პარტიის კარნახით პროლეტმწერლების ნაკეთები ყველა შავი საქმე მათ ლიდერს, თავის უახლოეს მეგობარს **ბენიტო ბუაჩიძეს** დააბრალა — ყველაფერს ის წყვეტდაო და დასაღუპად განწირული ბენიტოს ისეთი საჩოთირო ნაბიჯები გაშიფრა, რომელთა წყალობით თვითონ წინაურდებოდა, რომელთა დაგეგმვაში თავადაც მონაწილეობდა, როგორიც იყო მაგალითად, მწერლობაში მუშა მწერლების გაწვევა:

„... არ იფიქროთ, რომ მუშათა გაწვევა გამოწვეული იყო მხოლოდ და მხოლოდ იმით, რომ ეს ხალხი მაინცდამაინც მწერლები უნდა ყოფილიყვნენ, არამედ ამას ედო საფუძვლად ის, რომ მუშათა გაწვევა მოგონილი იყო როგორც რუსეთში, ისე აქ იმისათვის, რომ ჩვენ უფრო მეტი ბრძოლა გვეწარმოებინა უპარტიო მწერლებთან“;

ანდა, ასევე თავის დაძვრენის განზრახვით, კადრების შერჩევის მექანიზმსაც ახადა ფარდა:

„როგორ ხდებოდა საქართველოს პროლეტარულ მწერლების ასოციაციაში კადრების შერჩევა? რასაკვირველია ძმა-ბიჭობის მიხედვით. მაგალითად, ჩვენ ფედერაციის მდივნად წამოვაყენეთ სიმონ წვერავა ... არც ავტორიტეტით, არც საზოგადოებრივ-ლიტერატურული ღირებულებით სიმონ წვერავა ამ ადგილს არ შეეფერებოდა. მე ამას ვლაპარაკობ არა იმიტომ, რომ დავჩრდილო ამხ. სიმონ წვერავა, არამედ იმიტომ, რომ ამას მოითხოვს სამართლიანობა. რატომ ხდებოდა ეს? ეს ხდებოდა იმისთვის, რომ უფრო ყურმოჭრილი, ორტოდოქსალური გამტარებელი უნდოდათ რაპპ-ის ხელმძღვანელობისა“.*

კ. ლორთქიფანიძის საქციელმა – ამაში მე არ ვმონაწილეობდიო – თვით პროლეტმწერლები აღაშფოთა: პეტრე სამსონიძემ (ქუთათელაძე) წამოიძახა – დირექტივა შენიც იქნებოდაო“, ხოლო რაჟდენ გვეტაძემ ვრცელი სიტყვით გამოხატა თავისი გულისწყრომა და საშინელი ლექსიც გაუხსენა (1937.30.V):

„ლორთქიფანიძემ თავის გამოსვლაში აიფარა უცოდველი ნიღაბი და თვალთმაქცურად მთელი ჭუჭყი შეახოცა თავის ამხანაგებს ბუაჩიძეს, ლუარსამიძეს, მელაძეს, სულავას† და სხვებს, მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცით და ეს ბოლოსდაბოლოს უნდა ითქვას, რომ ბუაჩიძის წარმოდგენა თითქმის შეუძლებელია ლორთქიფანიძის გარეშე, რომ ლორთქიფანიძე იყო რაპპ-ის ბოროტი სული და ის ხშირად თავზე ახვევდა თავის ზრახვებს არა მარტო ბუაჩიძეს, არამედ მთელ რაპპსაც...

ლორთქიფანიძე არა მარტო უპარტიო მწერლებს გესლავდა, არამედ თავის ამხანაგებსაც არ ინდობდა, ამავე გზით

---

* РАПП_Российская ассоциация пролетарских писателей _ რუსეთის პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია

† ვალერიან ლუარსამიძე (სამაგლიშვილი, 1903-1937), კარლო მელაძე (?-1937), ალექსანდრე (ალკა) სულავა (1904-1942)

არაერთხელ მოუწადინებია პროლეტარული ლიტერატურის მიღწევად გამოეცხადებია ისეთი უმსგავსო და ანტიპარტიული ლექსი, როგორიცაა მისი „საბარგო ავტომობილი“.

კომუნისტები და მათი შინსახკომი ყველაფერზე წამსვლელები იყვნენ, მაგრამ ნუთუ მათ უკარნახეს პოეტს მაინცდამაინც ეს მანქანა შეაქებო, თუ აქ ის შემთხვევაა, როდესაც ყველაფერი ავტორის სინდისზეა?!

როცა ერთ-ერთ ასეთივე სხდომაზე გასარიცხად, ე. ი. დასაპატიმრებლად განწირულ მწერლებს **კ. ლორთქიფანიძე** ხან რას აბრალებდა და ხან — რას და მას თვით სხდომის გამძღოლმა **დავით დემეტრაძემ** უსაყვედურა: ადრე უნდა გეთქვა, რომ ესა და ეს მწერალი ჯგუფს ადგენდაო, — თავის გადასარჩენად ყველაფერზე წამსვლელმა **კ. ლორთქიფანიძემ** ბავშვივით წამოიძახა: აწი მაშინვე ვიტყვი ასეთ ამბებსო.

ამას ისიც დაემატა, რომ 1937 წლის 30 მაისის სხდომაზე **კ. ლორთქიფანიძემ** გაღიზიანებით თქვა **კონსტანტინე გამსახურდიაზე**: მან სუროგატი უწოდა ჩემს ნაწარმოებებს... „მთვარის მოტაცებასა“ და „გოეთეს რომანში“ უფრო მეტია დუბლიორობა და სუროგატობა“.

შემდეგ გარკვეულა, რომ კ. ლორთქიფანიძეს **ილო მოსაშვილმა** და კიდევ რომელიღაც მწერალმა მიუტანეს სიტყვა: **კ. გამსახურდია** სუროგატებში შენ გგულისხმობდაო და მეორედ გამოსვლისას **კ. ლორთქიფანიძემ** უკან დაიხია: ჩემი გამოსვლის ის ნაწილი, რაც **კ. გამსახურდიას** რომანებს ეხებოდა, უკან მიმაქვს. ეს იმ გაფუჭებული, გაოხრებული ატმოსფეროს ბრალია, რომელიც ჯერ კიდევ არის მწერალთა კავშირში — მითხრეს შენ გგულისხმობდაო.

„ლიტერატურულ საქართველოში“ (1937, №13) ამის თაობაზე ასეთი კომენტარი გამოქვეყნდა: კ. ლორთქიფანიძეს უთქვამს: რაკი ჩემი რომანი სუროგატად არ მიაჩნია, არც მე ვთვლი მის ნაწარმოებებს კომპილაციადო. კ. ლორთქიფანიძის მხრივ ეს იყო საკითხისადმი აშკარა უპრინციპო მიდგომაო.

დ. დემეტრაძემაც ასე ჩათვალა: „დავუშვათ კ. გამსახურდიამ ეს თქვა არა თქვენზე, არამედ ქიაჩელის ან აფხაიძის შესახებ, მაშინ რას იტყვით, სწორი ყოფილა კ. გამსახურდია? როგორ შეიძლება, თქვენ ხელმძღვანელი ხართ მწერალთა კავშირისა და ამბობთ, თუ მე არ მგულისხმობ, ვიბრუნებ ჩემს სიტყვებსო“.[7ა]

პრეზიდიუმის 9 ივნისის სხდომაზე **ს. ეულის** წინადადებით წერტილი დაესვა ამ ამბავს: **„გუშინდელი გამოსვლის გამო, ვითომ აქ ვინმეს უნდა ლორთქიფანიძის დაბნევა, პარტიული ჯგუფის წინადადებაა კ. ლორთქიფანიძე გამოყვანილ იქნეს სამდივნოდან“.**

როგორც ხედავთ კონსტანტინემ ხელმძღვანელობაში მხოლოდ რამდენიმე თვე (1937.14.IV–9.VI) გაძლო...

ამას ხელი არ შეუშლია **კ. ლორთქიფანიძისათვის** შემდეგში ყოფილიყო კომუნისტური ხელისუფლების ნებიერი: რედაქტორობდა ჟურნალებს („ლიტერატურნაია გრუზია“ – 1957-1962; „ცისკარი“ – 1962-65; „ცისარტყელა“ – 1968-73; „საუნჯე“ – 1974-77; „განთიადი“ – 1978-86), ხელმძღვანელობდა გამომცემლობას („ნაკადული“, 1966-73); უბოძეს სოციალისტური შრომის გმირობა (1985), რუსთაველის (1971), „ხუთწლედის მატიანის“ (1977, 1980) პრემიები, იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს ოთხი მოწვევის დეპუტატი (1971, 1975, 1980, 1984).

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

ოტია იოსელიანი:

„გავიხსენოთ ორი კარგად დაწერილი რომანი: კონსტანტინე ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“ და ლეო ქიაჩელის „გვადი ბიგვა“. ორივე სოფელზე და საკოლმეურნეო წყობაზეა დაწერილი, ორივე ჩვენთან ხდება — საქართველოში, მაგრამ ერთი მაინც რატომ მგონია მართალი და მეორე — არა“...

ბეჟან ნამიჭეიშვილი, ბუბრისპირა საუბრები, გვ. 87

* * *

ისევე როგორც განწირული **მალაქია ტოროშელიძე** მოიძულა, **დავით დემეტრაძემ** კომუნისტური პრინციპულობით (და, ნუ გავკიცხავთ თუ თავის გადარჩენის აზრიც შეურია კომუნისტურ „სიწმინდეებს“) **აკაკი თათარიშვილიც** არ დაინდო და პრეზიდიუმის ერთ-ერთ სხდომაზე თქვა: „მწერალთა კავშირში თვეში ერთხელ შემოივლიდა, „მნათობის“ რედაქტორიც იყო და „ლიტ. საქართველოსიც“, არსად არაფერს აკეთებდა“.

ეს მოხდა იმ დღეს, 22 ივლისს, როცა ასეთი ამბებით, გაუთავებელი დაკითხვებითა და თავის მართლებით მოწამლული **პაოლო იაშვილი** გამოვიდა სხდომის დარბაზიდან და მწერალთა სასახლის მეორე სართულზე თავი მოიკლა...

მაგრამ მშობლიურმა კომპარტიამ ქართველი მწერლების არც ამ მწყემსს (დავით დემეტრაძე) დაუფასა თავგამოდება:

1937 წლის 26 სექტემბერს პრეზიდიუმმა პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობიდან **დავით დემეტრაძეც** გაათავისუფლა. ეს ცუდის მანიშნებელი იყო. მართლაც, დავითი 17

ოქტომბერს კავშირიდანაც გარიცხეს, დააპატიმრეს და კიდევაც დახვრიტეს.

რა დააშავა **დავით დემეტრაძემ** 1937 წლის 14 აპრილიდან (როცა თავმჯდომარის თანამდებობა გაუქმდა და მწერალთა კავშირის მთავარი ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლად დავითი დარჩა) 1937 წ. 26 სექტემბრამდე — პასუხისმგებელ მდივნად ანუ მთავარ ხელმძღვანელად **კანდიდ ჩარკვიანის** მოსვლამდე, ე. ი. ექვსნახევარი თვის განმავლობაში?

ამ რამდენიმე თვეში მწერალთა კავშირში ჩატარდა პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომები, რომლებზეც მწერლებს დამამცირებელ დაკითხვებს უწყობდნენ, აიძულებდნენ თავი ემართლებინათ, რასაც არა და არ უჯერებდნენ, არაფრად აგდებდნენ და რის შედეგადაც თავი მოაკვლევინეს **პაოლო იაშვილს**, მანამდე გარიცხეს **ნიკოლო მიწისვილი**, მას მიაყოლეს **მიხეილ ჯავახიშვილი, მემედ აბაშიძე, ბენიტო ბუაჩიძე, სერგო ამაღლობელი, ალექსანდრე დუდუჩავა..!**

მათ გარიცხვას დახვრეტა მოჰყვებოდა...

მაგრამ ნუთუ ამას თავისი თაოსნობით აკეთებდა **დავით დემეტრაძე?..**

შეიძლება მან გადააჭარბა დამუშავება-დაკითხვაში, მაგრამ დაპატიმრება-დახვრეტის გადაწყვეტილებას ხომ სხვები იღებდნენ!..

მაშ, რისთვის გაწირეს **დავით დემეტრაძე?**

იქნებ იმისთვის, რომ კომპარტიის საქმე ძალიან ერთგულად აკეთა? ჯერ იყო და კომუნისტური სიფხიზლე გამოიჩინა — ის ხომ მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო! ერთი ამბავი ატეხა 1934 წელს ახალგაზრდა პოეტის **გიორგი შატბერაშვილის** ორი ლექსის გამო, რომლებშიც ქვეყნის დაქცევა დაინახა (დაკარგული იმედები), და რასაც **მალაქია ტოროშელიძისა** და წითელი პროფესორის **კარლო ორაგველიძის** (ნამდვილი ანტისაბჭოთა

კულაკურ-ფაშისტური ხასიათის ლექსები), ასეთივე ხასიათის წერილებს პოეტის შუა აზიაში გადასახლება მოჰყვა.[8]

მით უმეტეს თავის თავისთვის უნდა გადაემეტებინა 1937 წელს (როცა გუშინდელი კომუნისტი ფუნქციონერებიც კი მიჰყავდათ ყოველ ღამეს), ეჭვი რომ არ შეეტანათ კომპარტიისადმი მის ერთგულებაში — **სანდრო შანშიაშვილთან** გამართული ქეიფისას **ნიკოლო მიწიშვილის** მიერ **ლ. ბერიას** გინების საქმეს რომ იხილავდნენ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე (1937. 8. VI), მწერლებს სასტიკად მოსთხოვა აღიარება, განსაკუთრებით კი მასპინძელს: **„შანშიაშვილი ვალდებული იყო თუ არა ეს ამბავი მწერალთა კავშირისათვის ეცნობებინა? ეს ჩვენი კავშირის ტრადიციაა, პარტიულებმა უნდა თქვან ყველაფერი“**.

გასაკვირია, **დ. დემეტრაძემ** საჯაროდ როგორ მოითხოვა დამსმენობა. ამით მან გააძყლავნა კომუნისტების ნამდვილი ბუნება. ცხადია, ესეც ხელს შეუწყობდა პარტიის მაკომპრომეტირებლად გამოეცხადებინათ.

მაგრამ უფრო საოცარია **პ. იაშვილის** გამოხმაურება დ. დემეტრაძის მოთხოვნაზე.

ეს მოთხოვნა იმდენად უზნეო იყო, რომ ბრალდებებითა და დაკითხვებით გაწამებულმა პაოლომ ვერ მოითმინა და, თუმცა წყნარად ჩაილაპარაკა, მაგრამ სტენოგრაფისტის მახვილ სმენას არ გამოეპარა მისი ნათქვამი:

„ასეთი ტრადიცია იყო კავშირში, მართალია, ვის მიქონდა ასეთი ამბები, პარტიულის გარდა?“.[9]

ამაგის დაუფასებლობა ხომ გვარიანად ახასიათებდა კომუნისტებს!

და **დავით დემეტრაძესაც** ასე უსინდისოდ მოექცნენ.

იქნებ იმის გამო, რომ უნდოდათ მარტო მისთვის გადაებრალებინათ საუკეთესო მწერლების გაკიცხვა, დაგმობა, გარიცხვა-დაპატიმრება, გადასახლება-დახვრეტა?!

ან მოიცილეს როგორც კომუნისტური ხელისუფლების მიერ მწერალთა კავშირში უბედურების მომტანი პოლიტიკის გატარების მოწმე?

ანდა ერთად აღებული ყველაფერი ამისთვის?



ᲮᲔᲚᲝᲮᲣᲜᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

სხდომა (მარჯვნიდან) საქ. მწერალთა კავშირის პრეზ. მაღალი ილ. ტაბიძე, განათლების სახ. კომისარი და მწერ. კავშირის თავმჯდომე ილ. ა. ელიოზიშვილი, ილ. ანდ. ლოლაშვილი, ალექსანდრე ფარეულიძე და მ. დადიანი.
ფოტოზე (მარჯვნიდან) ილ. ანდ. ლოლაშვილი, ალექსანდრე ფარეულიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილ. ტაბიძე, ხელმოწერილი.

* * *

რამდენიმე დამატებითი სიტყვა **სანდრო ეულზე**: იგი 1934 წელს მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე სიტყვითაც კი გამოვიდა, იმავე წლის 19 სექტემბერს მდივანი გახდა (მუშაობდა 1939, 29.IX-მდე). შეგახსენებთ, რომ ის ფრიად საშიშ 30-იან წლებში ერთდროულად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მდივანიც იყო და პარტბიუროს მდივანიც, 1937 წელს მწე-

რალთა კავშირის პრეზიდიუმის ძალზე მკაცრად მიმდინარე გაფართოებულ, მრავალდღიან სხდომებს **დავით დემეტრაძესთან** ერთად უძღვებოდა.

ამის მიუხედავად მან შეძლო სინდისისა და ადამიანურობის შენარჩუნება. იმ დროის მომსწრე მწერლებს ჩემთვის უთქვამთ: **ს. ეულმა კოლაუ ნადირაძეს** უთხრა: გაბეზღებენ, განცხადება აგერ მიდევსო. ამ დროს ტელეფონს დაურეკავს, ეულს ინსტიქტურად (ან იქნებ განგებ) ყურმილი ხელმოწერაზე დაფარებული ხელით აუღია და კოლაუს დამბეზღებლის გვარი ამოუკითხავს...

იყო სხვა რაღაც მსგავსი წვრილმანები, რაც მეტყველებდა მისი სინდისიერების იმდენად გამოვლინებაზე, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო კომუნისტური დაუნდობლობის გარემოცვაში.

1937-ის სისხლისმსმელობის ჩავლის, საბჭოთა კავშირის მმართველის მიერ ყოველგვარი ოპოზიციის (და ასეთად ჩავლილი უამრავი სხვა ხალხის) მოსპობის შემდეგ, თავისი თავის სამართლიან ბელადად მოჩვენებისთვის, სტალინი, სპორტული ტერმინით რომ ვთქვათ, ერთგვარი წუთშესვენების აღებით, ყველაფრის შინსახკომის ხელმძღვანელების იაგოდასა და ეჟოვისთვის დაბრალებით ძველი ყაიდის ხელმძღვანელებს ნელ-ნელა ეთხოვებოდნენ.

ჩანს, ს. ეულიც თანდათან ჩამოჰყავდათ მწერალთა კავშირის სცენიდან — ჩანდა და არ ჩანს, რა მოხდა, ხომ არ გააქრეს?..

აი, ამ ეჭვებმა წარმოშვა ეს ფუნაგორია:

სასახლის ცისფერ დარბაზში
აღარ ზის აწ ეულია,
ამბობენ: ან ავად არი,
ანა და „აწეულია“.

***

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ პასუხისმგებელი მდივანი – მთავარი ხელმძღვანელი (1937-1938) კანდიდ ჩარკვიანი (1907-1994)



დავით დემეტრაძის განთავისუფლებასთან ერთად პრეზიდიუმმა იმავე დღეს, 1937 წ. 26 სექტემბერს, მწერალთა კავშირის მთავარ ხელმძღვანელად ქცეული „პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობის შემსრულებლად“ (შეთავსებით) დაამტკიცა პარტიული მოღვაწე, საქართველოს კპ ცკ-ის კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილების გამგე (მალე, 1938 წ. 10 თებერვლიდან – საქ. კპ ცკ-ის მე-3 მდივანი) **კანდიდ ჩარკვიანი,** რომელიც გარკვეულ დღეებში 2-3 საათს მუშაობდა მწერალთა კავშირში.

მასთან ერთად მუშაობას განაგრძობდნენ მდივნები: **სანდრო ეული** (ეტყობა, უფრო როგორც პარტბიუროს მდივანი) და **ვალერიან გაფრინდაშვილი** (**დ. დემეტრაძესთან** ერთად პრეზიდიუმიდან და სამდივნოდან **ბ. ჟღენტიც** გამოიყვანეს).

კანდიდი მწერლებს ჯერ კიდევ 1932 წელს დაუახლოვდა, როცა ის გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორად დანიშნეს და მასთან რედაქციაში მუშაობდნენ **კოლაუ ნადირაძე** (მთარგმნელად), **ნიკა აგიაშვილი** (პმგ მდივნად), **გიორგი ჯიბლაძე, გიორგი ლომიძე, ალიო ადამია, ერემია ქარელიშვილი** (ჟურნალისტებად).

ვინ დარჩა მის დროს მწერალთა კავშირიდან გასარიცხი? ყველაზე ცნობილი მწერლებიდან – **ტიციან ტაბიძე.**

მიუხედავად იმისა, რომ **კანდიდ ჩარკვიანს** პარტიის ცკ-ში საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა, **ტიციან ტაბიძის** გა-

წირვა მის დონეზე ვერ გადაწყდებოდა, ამას დასტურს უფრო ზევით აძლევდნენ...

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის **ლ. ბერიას** მაგიდაზე დადებულ, მის მიერ გაწვრთნილი შინსახკომის მიერ მომზადებულ, ტიციანის დახვრეტის აუცილებლობის „დამადასტურებელ“ მასალებს ლავრენტი თავისი (ე. ი. ცეკას) უწყების ერთ-ერთ ნდობით აღჭურვილ პირს, მწერალთა კავშირის პასუხისმგებელ მდივანს, კანდიდ ჩარკვიანსაც გააცნობდა ალბათ, მაგრამ თვით ბერიაც უფრო ზევიდან მიღებული თანხმობით იზღვევდა თავს.

ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, შეუძლია ნახოს უკვე ნახსენები, მოსკოვის საზოგადოება „მემორიალის“ მიერ ინტერნეტში განთავსებული 1937-38 წლების დასახვრეტთა დიდი სიები, რომლებსაც რესპუბლიკათა შინსახკომები მოსკოვს, პოლიტბიუროს უგზავნიდნენ დასამტკიცებლად. საქართველოს შინსახკომის სიებში, რომლებსაც **სტალინი** (და მისი გარემოცვა) ადებს რეზოლუციას – „დიახ“ („თანახმა ვარ“), თქვენ ნახავთ ჩვენი საუკეთესო მოღვაწეების გვარებს: **მემედ აბაშიძეს, სანდრო ახმეტელს, გერცელ ბააზოვს, ვახტანგ კოტეტიშვილს, ევგენი მიქელაძეს, ნიკოლო მიწიშვილს, ქრისტეფორე რაჭველიშვილს, ტიციან ტაბიძეს, დიმიტრი** (დიტო) **შევარდნაძეს, გრიგოლ წერეთელს, მიხეილ ჯავახიშვილს**...

მაგრამ კანდიდს შემდეგაც, საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველი მდივნობისას მოუწია მწერლობის ბედში სერიოზული ჩარევა – მის სახელს დაუკავშირდა **ვაჟა-ფშაველას** მნიშვნელობის დაქვეითების ცდა.

თუმცა იმ ცდის წამომწყები, როგორც **კანდიდ ჩარკვიანი** იხსენებდა, **ი. სტალინი** იყო: მას 1950 წ. ოქტომბერში, აფხაზეთში, ციყნაროზე დასვენებისას, კიდევ ერთხელ გადაუკითხავს ვაჟა და უთქვამს – დიდი ტალანტია, მაგრამ მთაში ჩაიკეტა, მსოფლმხედველობა ჩამორჩენილი აქვს, ენა – კუთხურიო...[10]

შემდეგ კიდევ ერთხელ შეუხსენებია კ. ჩარკვიანისთვის ეს ამბავი.

ამასვე ეხმაურება მწერალ ლევან ასათიანის ჩანაწერი უბის წიგნაკიდან:

„ამ ორი წლის წინ, გაგრაში ყოფნისას, ბელადმა მოითხოვა ვაჟა-ფშაველას თხზულებანი. ის იქ ხელახლა გაეცნო ვაჟას შემოქმედებას, მთლიანად წაიკითხა მისი ლექსები და პოემები. მას უთქვამს: აქამდე უფრო მეტი წარმოდგენისა ვიყავი ვაჟაზეო. ბელადს წაუკითხავს გერონტი ქიქოძის ორივე წინასიტყვაობა, ვაჟა-ფშაველას თხზულებებზე დართული, ერთი 1928 წლის გამოცემაზე, მეორე გვიანდელი, პირველ წინასიტყვაობაში გერონტი პირველყოფილ, პრიმიტიულ და ჩამორჩენილ ადამიანად სახავს ვაჟა-ფშაველას, მეორე წინასიტყვაობაში კი ამ აზრს აღარ იზიარებს და კულტურულად და თანამედროვე აზროვნების დონეზე მყოფად მიიჩნევს პოეტს.

ბელადს შეუნიშნავს, რომ ქიქოძე იმ თავის პირველ წინასიტყვაობაში უფრო მართებულ აზრს გამოთქვამს ვაჟას შესახებო, ვიდრე შემდეგ წერილში. ვაჟა საერთოდ ჩამორჩენილი მსოფლმხედველობის მწერალი იყოო.

ბელადის ეს აზრი გაატარა კ. ჩარკვიანმა პარტიის თბილისის მე-20 საქალაქო კონფერენციაზე 1951 წელს თავის მოხსენებაში. სტალინს კ. ჩარკვიანთან საუბრის დროს უთქვამს, რომ აკაკი წერეთელსა და ვაჟას შორის კამათში (ენის შესახებ) მართალი იყო აკაკიო“...[11]

რა გასაკვირია, მწერალთა კავშირში კ. ჩარკვიანის ხელმძღვანელობის სტილი წმინდა პარტიული რომ ყოფილიყო. მხოლოდ სტენოგრამისთვის მაინც არ უნდა ენდო ასეთი სწორხაზოვანი მოთხოვნა:

„ვინც ჩვენი რევოლუციური წარსულის შესახებ მხატვრული ნაწარმოების დაწერას მოინდომებს, მან სახელმძღვანელოდ უნდა გაიხადოს ამხ. ლ. ბერიას მოხსენება „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკით-

ხისთვის", რომელშიც მოცემულია ჩვენი რევოლუციური მუშაობის, გარდაბდილი ბრძოლების სწორი ანალიზი".[12]

კ. ჩარკვიანი მწერალთა კავშირის მთავარი ხელმძღვანელის მოვალეობას ერთ წელიწადს, 1938 წლის 31 აგვისტომდე ასრულებდა.

***

1936 წელს დაწყებული დაძაბულობის მატების კვალდაკვალ, როგორც უკვე მოგახსენეთ, **ბესო ჟღენტსაც** შემოსწყრნენ და მიუხედავად იმისა, რომ იმ სასტიკ დროში, როცა სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, იგი იძულებული იყო მკაცრად შეესრულებინა სოციალისტური რეალიზმის დამცველი კრიტიკოსის როლი, მერე რომ მთელ სიცოცხლეს სინდისის ქენჯნით უწამლავდა, — ისიც გაათავისუფლეს მდივნობიდან, პრეზიდიუმიდანაც გამოიყვანეს — ხალხის მტრებთან ახლო ურთიერთობა არ აღიარა, ამ სხდომაზეც არადამაკმაყოფილებლად გამოვიდაო...

ერთი სიტყვით, განწირული ჩანდა დასაპატიმრებლად, ან იქნებ უარესისთვისაც.

ბატონი **გიზო ზარნაძე** შემომეშველა: 1937 წელია. მწერლებთან მისულ ბერიას მოუნდომებია გამოსვლაში სიტყვის ოსტატთა სტალინური დახასიათების ჩართვა — მწერალი სულის... სულისო.. და შეფერხებულა.

ადამიანთა სულის ინჟინერიაო — დარბაზიდან შეშველებია ბესო ჟღენტი.

შენ კი სუფთა სული არ გაქვსო — მადლობის მაგივრად შეულრენია ბერიას.

სახლში დაბრუნებულ ბესოს დედამისისთვის უთქვამს: სამი კვირით უნდა გადავიკარგო, ავ თვალებს გავერიდებიო...

დედამ ბლის ჯვარი ჩამოჰკიდა — ეს დაგიცავს ავი თვალისგანო. შვილი კი გაამხნევა, მაგრამ თავად მას გული

გადაუქანდებოდა, ნაბიჯების ხმა რომ მათი ბინის კარებთან შეწყდებოდა. მით უმეტეს, რომ ცოტა ხნის შემდეგ ყოველდღე აკითხავდნენ — ბესოს იბარებენო.

სანამდი დაიმალებოდა?... ბოლოს — მოხდეს რაც მოსახდენიაო...

თურმე იმ წლის ბოლოს, რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით, თბილისში გასამართავ სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის საზეიმო პლენუმში მონაწილე მწერლებისა და უცხოელი სტუმრების მისასალმებელი სიტყვის დასაწერად და წარმოსათქმელად ეძებდნენ ბესოს. ორატორობაში ხომ მას ბადალი თითქმის არ ჰყავდა.

ბესომ თავისუფლად ამოისუნთქა, იმედი მიეცა — მგონი გადავრჩიო!.. ეს ამბავი კარგად ჯდება ბესოს მაშინდელ მდგომარეობაში — თუმცა საშინელი საშიშროების წინაშე იძულებული შეიქნა სინდისის სატანჯავად და მწარე მონანიების ფასად თავი გაეწირა, დავალებული საძრახისი წერილი დაებეჭდა **მიხეილ ჯავახიშვილზე** (მოღალატური სიტყვა და საქმე, „ლს“, 1937. №19)..

არადა, ეტყობა გადაწყვეტილი ჰქონდათ მისი, როგორც მოწმის, მოცილება.

უთოუდ მის პირად საქმეში შეტანილ იმ საყვედურსაც გაუხსენებდნენ, რაც მან **ვ. გაფრინდაშვილთან** ერთად მიიღო — თქვენ როგორც მდივანმა, როგორ დაუშვით, კ. ჭიჭინაძემ მოხსენებაში საჯაროდ რომ ახსენა **ადამ მიცკევიჩის** უარყოფითი აზრები რუსული ენის შესახებო.

საბედნიეროდ, მისი როგორც კრიტიკოსისა და ორატორის ნიჭს გვერდი ვერ აუარეს — 1937 წელს ჯერ **ილია ჭავჭავაძის** 100 წლისთავის დიდ იუბილეზე მიანდვეს მოხსენება „ილია, როგორც რეალიზმის ფუძემდებელი“.

უფრო მთავარი კი ის გახლდათ, და ამას უნდა დავუბრუნდეთ, რომ 1937 წლის ბოლოს „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის 750 წლისთავის აღსანიშნავი პირველი დიდი იუბილე

იყო ჩასატარებელი (რამდენ მწერალს, მათ შორის, საიუბილეო კომისიის წევრებს, არ ეწერა მოსწრებოდა ამ იუბილეს!), რუსეთიდან, მოკავშირე რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთიდან ჩამოსული სტუმრების მიმსალმებლის ძიებაში არჩევანი **ბესო ჟღენტის** ორატორულ ნიჭზე შეაჩერეს და ამან, ამ სიტყვის შესანიშნავად წარმოთქმამაც (რა თქმა უნდა, ზეპირად და რუსულად) გადაარჩინა ეს კოლორიტული პიროვნება და კრიტიკოსი.

ირაკლი აბაშიძე: „მხოლოდ წინა დღით, მხოლოდ საიუბილეო-საზეიმო საღამოს წინა დღით გააფრთხილეს იგი, რომ ძირითადი სიტყვა ამ ზეიმზე მას ეკუთვნოდა... ეს გამოცდაც მან ჩინებულად ჩააბარა“.

ბესო ჟღენტი: „ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამომიძახეს და რუსთაველის საიუბილეო საღამოზე მოხსენებით გამოსვლა დამავალეს, მე დამიცვა დედის გულთან ერთად რუსთაველმა“.

1956 წლის 30 სექტემბერს გამართულ მწერალთა კავშირის გამგეობის სტალინის კულტის დამგმობ სხდომაზე წარმოთქმული ბ. ჟღენტის სიტყვა იმ საშინელი, არასაკადრის ქმედებათა მაიძულებელი წლების დასურათებასთან ერთად მონანიებაც და თავის მართლებაც იყო:

„ვინც აქ ცოცხალი ქართველი მწერალი ზიხართ, ყველას კარგად გახსოვთ ის მწარე დღეები, როდესაც ჩვენი რიგებიდან გამოყავდათ და სასაკლაოზე მიყავდათ ჩვენი სახელოვანი და საყვარელი მწერლები. ჩვენ ყველას გვახსოვს, როდესაც აქ, ერთ-ერთ სხდომაზე ამ დარბაზში* თავი მოიკლა ჩვენმა გამოჩენილმა მწერალმა პაოლო იაშვილმა. ჩვენ შემთხვევით ვართ გადარჩენილი.

ყველას გახსოვთ, როცა ბერია გვიბარებდა და ერთად შეკრებილთ გვეუბნებოდა — თქვენ ყველანი მოღალატეები

---

* უნდა ეთქვა — ამ სასახლეში. რ.კ.

ხართო, თქვენ მოსყიდულები ხართო, აბა რომელიმემ გაბედეთ და თქვით, რომ პატიოსანი ვართო? ჩვენ ვერ ვბედავდით, რომ გვეთქვა, რომ არ ვიყავით მოღალატეები და სამშობლოს გამყიდველები. ეს იყო საშინელი ტერორისა და აბუჩად აგდების დღეები. ჩვენ მაშინ ბევრი იმ დასახელებულ სიებში და „ლიმიტებში“ ვიყავით და შემთხვევით ვართ გადარჩენილნი.

ვინც იმ თაობის მწერალი ხართ, გემახსოვრებათ, რომ სანამ ბერია არ მოვიდა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობაში, ჩვენ არაფერი საშიში არ გვქონდა, ჩვენ არასოდეს გვიფიქრია, რომ ორახელაშვილი, ან ღოღობერიძე დაგვაპატიმრებდა, ჩვენ მათთან ამხანაგურად, მეგობრულად ვიყავით, ოჯახში მივდიოდით, ისინი ჩვენთან მოდიოდნენ, ჩვენს კამათში მონაწილეობდნენ. თქვენ ყველას გახსოვთ ამ დარბაზში როგორ ვეკამათებოდით ფილიპე მახარაძეს, კახიანს, მამულიას, მაგრამ როდესაც მოვიდა ბერია, მას შემდეგ შეიქმნა საშინელი ტერორი, აბუჩად აგდება მთელი ჩვენი მწერლობის, ზოგი მოსპეს ფიზიკურად, ზოგი მორალურად და წლების განმავლობაში შეხუთეს ჩვენი აზროვნება და შემოქმედება“.[13]

შემდეგში, 1937 წლის რეპრესიებს თავდაღწეული ბესო, 1958 წლიდან გარდაცვალებამდე (1976) მწერალთა კავშირში მოღვაწეობდა და დროშად აფრიალებული სოციალისტური რეალიზმის დაცვასთან ერთად ლენინის ციტატების ოსტატურად მოშველიებით ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, ქართულ ენასა და ქართულ მწერლობას იცავდა.

ზოგიერთი, დღეს გამამაცებული მოღვაწე, ყოველივე ამას მხედველობაში რომ არ მიიღებს და ისე, ხელს გაიშვერს – ამან ხალხი ჩაყარაო, იმათ გასაგონად უნდა ვთქვა:

სიმართლე უნდა ითქვას, მაგრამ მაშინდელი ვითარება და გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ!...

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„საოცარი კავშირი დამყარდა მაშინ თეატრსა და მწერლობას შორის. მწერლები საოცარი გულითადობით იღვწოდნენ... ერთი უღელი დავიდგით ყველამ, ქართული კულტურისა და ხელოვნების მსახურების უღელი“.

აკაკი ვასაძე, ქართული უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, „ლს“. 1987, №40.

* * *



ჩვენთაობელები (1939 წელი)

სხედან – ალექსანდრე საჯაია, რევაზ მარგიანი, ლადო ბალიაური, კოტე ჯიმშიაშვილი, ნიკო ტატიშვილი, ვლადიმერ ჭუბლაია; **დგანან** – გიორგი ქიგუაშვილი, ლადო სულაბერიძე, გაბრიელ ჯაბუშანური, იოსებ ნონეშვილი, ანდრო თევზაძე.

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ პასუხისმგებელი მდივანი (მთავარი ხელმძღვანელი) (1938-1939)

ალიო მაშაშვილი (მირცხულავა) (1903-1971)



ლ. ბერიას მოსკოვში შინაგან საქმეთა სახკომის მოადგილედ დანიშვნასთან დაკავშირებით, მისი რეკომენდაციით საქართველოს კპ ცეკას პირველ მდივნად 1938 წ. 31 აგვისტოს დაინიშნა ცოტა ხნის წინ (1938.10.II) კომპარტიის ცეკას მე-3 მდივნად დაწინაურებული **კანდიდ ჩარკვიანი.**

ამის გამო მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობიდან გათავისუფლებული **კანდიდ ჩარკვიანის** წინადადებით პრეზიდიუმის იმავე სხდომაზე 1938 წ. 31 აგვისტოს გადაწყდა მწერალთა კავშირის მთავარი ხელმძღვანელობა მიენდოთ პროლეტმწერალთა ასოციაციასა და კომკავშირში აღზრდილი, „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციაში“ 1928 და 1930-32 წლებში მდივნად ნამუშევარი, საბჭოთა თემატიკაზე წერით გამორჩეული (**სანდრო ახმეტელის** მიერ რუსთაველის თეატრში დადგმული საკოლმეურნეო თემაზე შექმნილი პიესა „განგაშის“ – 1931; პოემა „ენგურის“ – 1934-36 ავტორი) პოეტი **ალიო მაშაშვილი,** რომელიც ამ დროს ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი იყო (1937-1946).

მასთან ერთად მდივნებად ისევ დარჩნენ: **სანდრო ეული** და **ვალერიან გაფრინდაშვილი.**

ალიო მაშაშვილმა ამ თანამდებობაზე იმუშავა 1939 წლის 25-29 სექტემბერს გამართულ მწერალთა ყრილობამდე.

ამ ფორუმზე საანგარიშო მოხსენებაში, სხვათა შორის, ალიომ ისიც თქვა – ამ წლებში მწერალთა კავშირი რეაქციული მწერლებისაგან გაიწმინდაო, მაგრამ ეს კი ქნა, გვარები არ დაასახელა.

გამომსვლელებმა გვარიანი ხარვეზები გამოუნახეს ალიო მაშაშვილს. **სანდრო ეულმა** თქვა: **„მე სავსებით ვეთანხმები ამხანაგებს, რომლებიც ამბობენ, რომ კავშირის ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობა არ იდგა თავის სიმაღლეზე. მე და ალიო ყველა საკითხში შეთანხმებული არ ვიყავით, ჩემი აზრით მოხსენება თვითკრიტიკული უნდა ყოფილიყო“;**

ბესო ჟღენტი – კოლეგიალური მუშაობა არ იყოო; **დემნა შენგელაიამ** აღნიშნა ალიოს ყოყოჩობა.

პარტიის ცეკას მდივანი იდეოლოგიის დარგში **ილია თავაძე** პარტიის სასურველი ხელმძღვანელის მდგომარეობის შემსუბუქებას შეეცადა: „ალიო მაშაშვილი რომ ვერ მუშაობდა კარგად, შეიძლება იმ რთული პირობების ბრალია, რომელიც ალბათ მას მწერალთა კავშირის მუშაობაში ჰქონდა“.

მაგრამ ალიოს ისეთი ოპოზიცია აღმოაჩნდა, რომ იგი ყრილობამ გამგეობაშიც კი არ აირჩია? ამან **ილია თავაძეც** შეაცბუნა და ყრილობაზე დამსწრე საკავშირო მწერალთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი **ალექსანდრე ფადეევიც** გააოცა.

რატომ შემოსწყრნენ? იქნებ როგორც ხელმძღვანელს თავის პოეტურ ნიჭსა და ღირსებაზე ოდნავ გადაჭარბებული წარმოდგენა უშლიდა ხელს? იქნებ მისი ხელმძღვანელობის სტილი არ მოსწონდათ?

არ ვიცი, სამაგიეროდ ვიცი, რომ მანამდეც, პროლეტმწერალთა ასოციაციის თუ საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის ხელმძღვანელობაში, ბოლოს კი „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ პასუხისმგებელ მდივნად მუშაობისას და შემდეგაც, მიუხედავად ამისა, რა სამსახურს უწევდა კომპარტიას, საიდუმლოს შემნახველი, შინსახ-

კომის ავი ყურადღებისაგან რამდენიმე მწერლის დამფარველი ადამიანის სახელიც ჰქონდა.

მომისმენია, როგორ ყვებოდნენ მწერლები ერთ ასეთ შემთხვევაზე: საუბრობდა სამი მწერალი. ერთმა **სტალინზე** აუგი თქვა, მეორემ ეს ცკ-ში მიიტანა. დაიბარეს მესამე – ალიო. მან თქვა: ვესწრებოდი ამ საუბარს, იმ კაცმა **სტალინი** აქოო...

მამუკა ცეცხლაძესაც გაუგია ამ პოეტის რიგიანი კაცობის ამბავი:

„ომის დროს რამდენიმე მწერალს, „ოფიციოზს“, „სანდოებს“ ერთი უსაზიზღრესი დავალება მისცა ჩეკამ – ალიო მირცხულავამ ისტერიკა დაიმართა ცეკას კორიდორში – მწერლები ვართ ჩვენ, ასეთ რაღაცას როგორ და რატომ გვავალებენო და, ცეკას მდივნის მისაღებამდე ვიდრე მიაღწევდა, დაფქვა ყველაფერი, რა და როგორ იყო საქმე. ალიოს, „რევოლუციის პოეტს“, აპატიეს ეს – „ნერვებმა უმტყუნაო“ – არც ეს იყო მთლად უწყინარი განაჩენი... მაგრამ ხომ გააკეთა იმ კაცმა თავისი საქმე? ბევრმა მწერალმა უშველა მაშინ თავის თავს ალიოს ამ თავგანწირვის შედეგად“.[14]

პროლეტმწერალთა მეორე, ხოლო კომკავშირელთა პირველი თაობის ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ პოეტს, პროლეტმწერალთა მემარცხენე ფრთისგან განსხვავებით ჩვენი ეროვნული სახის დასაცავად მომართული შემოქმედის სახელი დარჩა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო იმ რთულ და მკაცრ დროში, 20-30-იან წლებშიც და მოგვიანებითაც, როდესაც გაბედულად შესძახა: „არ გამაგონო დაფა-ზურნის ხმა...“

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობიდან წასვლის შემდეგ ალიომ 1946 წლამდე განაგრძო „მნათობის“ რედაქტორობა.

1947 წლიდან **ალიო მაშაშვილი** მოღვაწეობას აგრძელებს როგორც **ალიო მირცხულავა.**

მართალია, ალიო გამოეთხოვა სიმპათიურ ფსევდონიმს, რომელმაც ის ცნობილი გახადა როგორც პოეტი, მაგრამ არც რედაქტორობაზე და არც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაზე ოცნება არ დაუთმია.

მალე ვნახავთ, რომ ის მწერალთა კავშირის მთავარ ხელმძღვანელად დაბრუნებას მოინდომებს. მართალია, ეს არ გამოუვა, მაგრამ „მნათობის" რედაქტორად დაბრუნებას ახერხებს, თუმცა არც ისე დიდი ხნით, მხოლოდ 1953-55 წლებში.

შემდეგ ჟურნ. „დროშის" მთავარი რედაქტორიც გახდება, ესაა რომ, აქაც ცოტა ხანს (1960-1961) დაჰყოფს... ხელმძღვანელობდა საქლიტფონდსა და წიგნის პალატას.

ერთადერთი და პოეტისთვის მთავარი — ლექსების წერა ვერავინ შეუზღუდა, გარდა მუხთალი სიკვდილისა...

***

საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის შემადგენლობა 1937 წლის სექტემბრიდან 1939 წლის სექტემბრის ყრილობამდე:

კანდიდ ჩარკვიანი (მთავარი ხელძღვანელი — პმგ მდივანი), **სანდრო ეული, ვალერიან გაფრინდაშვილი** (მდივნები), ძველი პრეზიდიუმიდან დარჩენილები: პროლეტმწერლები — **გიორგი** (გუგული) **ბუხნიკაშვილი, რაჟდენ გვეტაძე, ალიო მაშაშვილი, შალვა რადიანი, პანტელეიმონ ჩხიკვაძე;** ყოფ. მემარცხენე ფრონტელი — **სიმონ ჩიქოვანი;** ახალშეყვანილნი: პროლეტმწერლები — **ელიზბარ ზედგინიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე;** აგრეთვე **დემნა შენგელაია.**

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ პასუხისმგებელი მდივანი (ერთპიროვნული მთავარი ხელმძღვანელი, 1939-1944)

ირაკლი აბაშიძე (1909-1992)



1939 წლის 29 სექტემბერს გამართული მწერალთა ყრილობის მიერ 1938 წ. 31 აგვისტოდან მწერალთა კავშირის პმგ მდივნად ნამუშევარი და ამ ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებით გამოსული **ალიო მაშაშვილის** გამგეობაში აურჩევლობის გამო უხერხულობაში ჩავარდნილ და დაბნეულ რესპუბლიკის ხელმძღვანელობას მხსნელად მოევლინა ყრილობაზე დამსწრე სსრკ მწერალთა კავშირის გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი **ალექსანდრე ფადეევი.**

მას და **ირაკლი აბაშიძეს** 1938 წელს ყირიმში, მწერალთა კავშირის შემოქმედებით სახლში ერთად გაუტარებიათ მთელი თვე, იქ ირაკლისთან საუბრებს კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია ამ ცნობილ რუს მწერალზე.

როდესაც ჩიხში მოქცეულმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ **ალ. ფადეევს** რჩევა ჰკითხა, მან საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელის კანდიდატად უყოყმანოდ დაასახელა **ირაკლი აბაშიძე.**

ამას ისიც ემატებოდა ირ. აბაშიძის სასარგებლოდ, რომ ამ დროისთვის მას ორი პოეტური კრებულით („რამდენიმე ლექსი“, 1931; „ახალი ლექსები“, 1937) მოპოვებული ჰქონდა ნიჭიერი პოეტის სახელი, 1933 წელს ჟურნალ „დილას“, მოგვიანებით კი უკვე ორი წელი იყო (1938-1939), რაც რედაქტორობდა ახალგაზრდულ ჟურნალ „ჩვენ თაობას“...

ეს იყო ახალგაზრდა კაცი, რომელმაც მძიმედ გადაიტანა ცოტა ხნის წინანდელი ელდა – საუკეთესო თანამოკალმეების დაღუპვა:

„პაოლომ რომ მწერალთა კავშირში თავი მოიკლა, ახალგაზრდა ირაკლი აბაშიძეს ამაზე სთხოვდნენ პასუხს – დაგინახეს, ყმაწვილო როგორ მოგადგა ცრემლი თვალებზეო, სიმონ ჩიქოვანი ცეკაში დარბოდა ამ საქმეზე – არ არის მართალი, მეც იქ ვიყავი, არ უტირიაო. მოთვინიერებული იყო, არა?“ (მამუკა ცეცხლაძე).[15]

და, აი, 30 წლის პოეტი, თსუ ლიტერატურული ფაკულტეტდამთავრებული (1931) **ირაკლი აბაშიძე** იმდენად საიმედო პოეტურ ძალად იყო მიჩნეული, რომ 1934 წელს აირჩიეს მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის დელეგატად სათათბირო ხმის უფლებით, აგრეთვე იმავე წელს, საქლიტფონდის გამგეობის წევრად დაწინაურებული, გამგეობამ 1939 წ. 29 სექტემბერს დაამტკიცა საქართველოს მწერალთა კავშირის პმგ მდივნად.

აქედან დაწყებული, 1937-38 წლების ზაფრაგამოყოლილი 1939-1940 წლების შემდეგ, თითქმის მთელი გერმანია – საბჭოეთის ომის განმავლობაში ხელმძღვანელობდა მწერალთა კავშირის საქმიანობას, მის გარდაქმნას საომარი მდგომარეობის შესაბამისად, მწერალთა ბრიგადების შექმნას პრესასთან, რადიოსთან სათანამშრომლოდ, ჰოსპიტლებში, არშიაში გასაწვევ პუნქტებში, აქაურ ჯარის ნაწილებში თუ მოქმედ არმიებში მისავლინებლად, არმიათა და დივიზიათა გაზეთებში სამუშაოდ, მწერლების იარაღით ბრძოლისათვის მოსამზადებლად თავად მისი, ირ. აბაშიძის მონაწილეობით, ამავე დროს, მწერლობის ომის დროის შესატყვისად შემოსაბრუნებლად, ამ საქმეში თავისი პრაქტიკული საქმიანობითაც (1942 წელს, იანვარში, ომისაგან დალეწილი გზებით მოსკოვში გამგზავრება, მოქმედ არმიებში გასვლა მრავალგზის...) და თავისი შემოქმედებითაც წვლილის შესატანად...[16]

და მართლაც, იმ ომის დროს მწერლობაში თუკი ვინმემ თავი გამოიჩინა, ერთ-ერთი უპირველესი **ირაკლი აბაშიძე** იყო. სხვას რომ თავი დავანებოთ, მისი ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“ (1942) ხელადვე სიმღერად აიტაცა მთელმა საქართველომ.

და ამ დროს ეს ახალგაზრდა კაცი მწერალთა კავშირის ერთპიროვნული ხელმძღვანელი იყო, თუ არ ჩავთვლით პრეზიდიუმსა და გამგეობას.

მიუხედავად ამისა, ირ. აბაშიძეს აკრიტიკებდნენ: ჯერ კიდევ 1940 წელს (7-8. II) გამგეობის სხდომაზე **ბესო ჟღენტი** ამბობდა: პრეზიდიუმი თვითკმაყოფილებას იჩენს, მწერლების შემოქმედებითი აქტივიზაციით და აპარატის გადემოკრატიულებით მეტის გაკეთება შეეძლო. მწერლების ერთ ნაწილს არ სურს სერიოზული განხილვის საგანი გახდეს მათი ნაწარმოებები. იშვიათად იმართება დისკუსია, მრავალი ნაწარმოები შეუფასებელი რჩებაო („ლს“, 1940, №6).

ეტყობა, **ი. აბაშიძეს** 1940 წელს (3.IX–2.X) მწერალთა საქალაქო თათბირზე გამოთქმული ეს შენიშვნაც დაუმახსოვრეს: **კ. გამსახურდია გმირის პირით ამბობს – დაკვეთით არაფერი კარგი არ იქმნებაო. კრიტიკამ არ თქვა თავის დროზე, ამიტომ ვეუბნები: თავისუფალი ფანტაზიით არაფერი არ იქმნება, რაც შექმნილა, დაკვეთით შეიქმნა.**

ისიც საგულნაკლულოდ დაურჩათ, რომ იმავე თათბირზე ცოტა უხერხული შენიშვნა მისცა **ალიო მაშაშვილს** (როცა ამ უკანასკნელმა იკითხა – სიყვარულზე ლექსის წერა აკრძალულიაო?): **„ჩვენი საბჭოთა პოეტები უნდა იბრძოდნენ აქტიური იდეებისათვის, ჩვენ არ გვაქვს უფლება გოგოებს დავუჩოქოთ“.**[17]

ეს მისგან, პოეტისა და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელისგან იყო გასაკვირი, თორემ კომპარტიის ცკ-ის მდივანს **ილია თავაძეს** პარტიული იდეოლოგია კარნახობდა ეთქვა: **„ჩვენი მწერლები მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციაზე სდგას, ამ ფაქტმა მრავალ მწერალს სწორი გეზი მისცა, დაეწერა აღფრთოვანებული, გულწრფელი ლექსი, პოემა, მოთხრობები,**

რომანი და პიესები ლენინზე, სტალინზე, ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანებზე“.

კომუნისტური იდეოლოგია ასე ღუპავდა მწერლობას, ასე იყრებოდა წყალში ნიჭი, დრო და ენერგია.

იმანაც ბევრი გაალიზიანა, რომ 1943 წელს ტუბერკულოზით გათანგულ **ლადო ასათიანს** წიგნი დაუჭრეს, ეს ასე მოხდა:

1942 წლის მიწურულს (10-11.XII) გამგეობის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად 12 დეკემბერს შიდა ცენზურისათვის შექმნილმა სარედაქციო კომისიამ **ლეო ქიაჩელის** (თავმჯდომარე), **აკაკი გაწერელიას, გიორგი ლეონიძის, ბესო ჟღენტის, გერონტი ქიქოძის, ალექსანდრე ჭუთათელისა** და **დემნა შენგელაიას** შემადგენლობით, რომლის დასტურის გარეშე მწერალთა კავშირის გამომცემლობა „საბჭოთა მწერალში“ წიგნი ვერ გამოვიდოდა, ლადო ასათიანის წიგნის „წინაპრების“ **გამოცემის ნება დართო.**

სხვა გადაწყვეტილების მიღება არც იყო მოსალოდნელი ამ კომისიის მაღალი მხატვრული გემოვნების მქონე წევრებისგან!

მაგრამ საბოლოო სიტყვა პრეზიდიუმს ეკუთვნოდა და მან 1943 წლის 5 იანვარს მისი 9 წევრიდან მხოლოდ ოთხის თანდასწრებით (**ირ. აბაშიძე, შ. რადიანი, ლ. ქიაჩელი, ს. ჩიქოვანი**) დაადგინა: წიგნი არ გამოიცესო.

ნუთუ პრეზიდიუმის წევრმა და ამავე დროს იმ სარედაქციო კომისიის თავმჯდომარემ, რომელმაც წიგნის გამოცემის ნება დართო, **ლეო ქიაჩელმა** უკან წაიღო თავისი გადაწყვეტილება?

ასე იყო თუ ისე, დაბეჭდილი წიგნი დაჭრეს.

ობიექტური არ ვიქნებით თუ იმასაც არ გავითვალისწინებთ, რომ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელს არ შეეძლო რეაგირების გარეშე დაეტოვებინა საბჭოეთის ინტერესების ფხიზლად დამცველი ზოგიერთი მწერლის, მათ შორის, (როგორც ჩემთვის უთქვამთ სანდო მწერლებს, კერძოდ, ინფორმაციის მოწოდებაში პირიან ადამიანს **ერემია ქარელიშვილს**) კ.

ლორთქიფანიძის სხვების გასაგონად რამდენჯერმე გამოთქმული გაფრთხილება: **ირაკლი, გაიგე, ლადო ასათიანი რა წიგნს ბეჭდავსო? ქვეყანა იქცევა, რა დროს წინაპრების ქებააო!**

სწორედ ასეთი სიგნალების გამო შეიქმნა შიდა ცენზურა.

საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის ასეთი ხარვეზები განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვეს ომის დროს. ამაზე იყო მსჯელობა გამგეობის სხდომაზე 1944 წლის 20-24 მარტს.

გ. ქიქოძე: „ჩვენს ლიტერატურულ ოჯახს გადახალისება სჭირდება, უფრო მოქმედი და ნიჭიერი ელემენტების წინ წამოწევა, უფრო ორგანული დაკავშირება ჩვენი ხალხის პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან";

დ. შენგელაია: „იმის გამო, რომ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ ვერ შექმნა საღი ატმოსფერო პრინციპული კრიტიკისათვის, ფეხი მოიკიდა წუნმა და ხალტურამ მხატვრული შემოქმედების თითქმის ყველა ჟანრში, ფეხი მოიკიდა მეტად რთული პრობლემების უაღრესად იოლი და ზერელე გადაწყვეტის პრაქტიკამ ჩვენს ისტორიულ რომანებსა და დრამებში.

...მწერალთა პრეზიდიუმი თავს ვერ მოიწონებს იმით, რომ იგი ხელს უწყობდა მწერალთა მასის იდეურ-თეორიულ ამაღლებას, მისი აზროვნების აქტივიზაციას, ინტელექტუალურად მის ისე მომზადებას, რომ იგი სათანადოდ შეიარაღებული შეხვედროდა იმ ამოცანებს, რომლებიც მწერლობის წინაშე დააყენა დიდმა სამამულო ომმა, კერძოდ, კავკასიის დაცვისათვის ბრძოლამ, რომლითაც წყდებოდა ქართველი ხალხის ყოფნა — არყოფნის საკითხი".

კ. გამსახურდიაც ხელმძღვანელობის შეცვლის საჭიროებას ხედავდა.

... და ზემოხსენებულ სხდომაზე კიდევაც შეცვალეს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი.

ორიოდე წლის შემდეგ, როდესაც **ალიო მაშაშვილი,** როგორც პოეტი, „უიდეო" ნაწარმოებებისთვის, ხოლო როგორც

„მნათობის“ რედაქტორი, ასეთივე „უიდეო“ ნაწარმოებების დაბეჭდვისთვის საქართველოს საბჭოთა მწერლების მესამე (საერთო ათვლით – X) ყრილობაზე (1946.7.IX) მწერალთა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა **გიორგი ჯიბლაძემ** სასტიკად გააკრიტიკა და ამის შედეგად რედაქტორობიდან მოხსნეს, – მის ნაცვლად 1946 წელს მწერალთა ამ უპირველესი ჟურნალის რედაქტორად ორი წლის წინ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლებული **ირაკლი აბაშიძე** დანიშნეს.

ეს თანამდებობა კარგი ბიძგის მიმნიჭებლად იქცა „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ ხელმძღვანელად ირაკლის ხელახლა მოსასვლელად 1953 წელს.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

ლიტერატურის მოყვარულებისა და დამწყები მწერლებისთვის არსებობდა ლიტერატურული წრეები:

ტრამვაელებთან, სტალინის სახელობის კლუბთან, ელერზესთან ანუ ელმავალსარემონტო ქარხანასთან (ხელმძღვანელი – **გრიგოლ ცეცხლაძე**), მეტყევეებთან (**ალი არსენიშვილი**), აბრეშუმის ფაბრიკასთან (**ირაკლი აბაშიძე**)


(გალაკტიონის ჩანაწერების მიხედვით, ტ. 12, გვ. 335)

1959 წელს აღინიშნა ილია ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლთან ლიტერატურული წრის დაარსების 20 წლისთავი.

(„ლგ“, 1959, №47)


სახელგანთქმული წრეები იყო გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციასთან, მასწავლებელთა სახლთან, განსაკუთრებით – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან – ახალგაზრდა მწერალთა წრე (პირველი ხელმძღვანელი – **ბესო ჟღენტი**).

* * *



მწერალთა კავშირის 1939-1944 წლების პრეზიდიუმის წევრები: სხედან: სანდრო ეული, შალვა დადიანი, ირაკლი აბაშიძე, ლეო ქიაჩელი. დგანან: შალვა რადიანი, ილო მოსაშვილი, სიმონ ჩიქოვანი.

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ თავმჯდომარე (1944-1951) სიმონ ჩიქოვანი (1903-1966)



1944 წელს (20–24.III) გამგეობამ **ირაკლი აბაშიძის** პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობიდან გათავისუფლებასთან ერთად აღადგინა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობა და ამ საპასუხისმგებლო ადგილზე პოეტი **სიმონ ჩიქოვანი** აირჩია.

მის ადრეულ შემოქმედებით გზაზე მოკლედ უკვე ვისაუბრეთ 1930-32 წლებში სიმონის მწერალთა ფედერაციის მდივნად დაწინაურებასთან დაკავშირებით.

მემარცხენულ უკიდურესობათა წაქეზების დროს დაშვებულ დასანან შეცდომებს ს. ჩიქოვანმა ერთხანს პროლეტმწერალთა ორგანიზაციის დაშლის შემდეგაც ვერ დააღწია თავი.

1932 წლის 25-31 დეკემბერს მიმდინარე გამგეობის სხდომაზე სიმონი ჯერ კიდევ აგრძელებდა თავის ადრინდელ დაპირისპირებულობას ცისფერყანწელებთან:

„ცისფერყანწელები, როგორც ბურჟუაზიის დეკადანსის მწერლობა, არ შეიძლება იყვნენ დღევანდელობისთვის გამოსადეგი ოსტატები“;

„დაცინვის, ჭორების, ხასიათის გაფუჭების, ლიტერატურული მოვლენების ჯგუფურად შეფასების ნიშნები საქართველოში ყველაზე მეტად ჰქონდა „ცისფერყანწელებს“. ისინი სუფრაზე წარმოთქმული სიტყვებით და სადღეგრძელოებით აფასებდნენ ქართულ მწერლობას. რუსეთში ფანტასტიუ-

რი ამბები იწერებოდა სუფრიდან მიღებული შთაბეჭდილებებით. ანდრეი ბელის წიგნი ამის საუკეთესო ილუსტრაციაა, ამ წიგნში დარიალთან კაცი სდგას ყანწით და დარიალიდან ბათუმამდე ყანწების ხეივანია გამართული. ასეთი ჯგუფობრიობის წინააღმდეგ არანაკლები ბრძოლაა საჭირო, ვიდრე პროლეტმწერალთა შიგნით არსებული ჯგუფების წინააღმდეგ".

იყო დრო, როცა **ს. ჩიქოვანი** სხვებთან ერთად ცისფერყანწელებს უკიჟინებდა: რუს მწერლებთან მეგობრობითა და პურმარილობით თქვენი მწერლობა რუსეთში მოხერხებულად გაგაქვთო. შემდეგ კი თვითონ დაუმეგობრდა **ბ. პასტერნაკს** (და ბევრ სხვას) და მიიჩნია: პურ-მარილი გარეგანი და წარმავალია (თუმცა უჭმელ-უსმელად ცხოვრება კაცობრიობამ ჯერ ვერ ისწავლა!), ხოლო მეგობრობასა და ურთიერთობას ორივე მხარისათვის შემოქმედებითი წარმატებების მოტანა შეუძლიაო.

შემდეგ თავის ამ ადრინდელ შეცდომებს თავად სიმონმა „სიჭაბუკის ბორძიკი" უწოდა.

ქართველ და რუს მწერალთა მეგობრობასთან დაკავშირებით აქ ისიც უნდა ითქვას, რომ მეგობრობა ჭირშიც უნდა გრძელდებოდეს.

რუსეთის მიერ **ჩვენი დამოუკიდებლობის ხელყოფისას ჩვენი გუშინდელი მეგობარი რუსი მწერლების დუმილმა გვაფიქრებინა — რუს მწერლებს, იქნებ გამონაკლისების გარდა, ისევე როგორც წინა საუკუნეებში, ჩვენთან მეგობრობა წარმოედგინათ მხოლოდ რუსეთის იმპერიაში მოქცეულ, ხვალზეგ გასარუსებლად განწირულ საქართველოს შვილებთან, ერთი სიტყვით, ბატონის მეგობრობად ყმასთან.**

ახლა ისევ **სიმონ ჩიქოვანს** დავუბრუნდეთ.

იგი თანდათან ავტორიტეტს იხვეჭდა როგორც შემოქმედი და მოღვაწე. უკვე 1934 წელს ირჩევენ მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობის დელეგატად გადამწვეტი

ხმის უფლებით, 31 წლის ახალგაზრდა შეჰყავთ რუსთაველის სახელობის ჯილდოს მიმნიჭებელ მუდმივ კომისიაში, ხოლო 1937-ში — **რუსთაველის** რესპუბლიკურ საიუბილეო კომიტეტში. ამავე წელს, 29 მაისს **ი. ჭავჭავაძის** დაბადების 100 წლისთავის იუბილეზე მიანდვეს მოხსენება „ილიას პოეტური მემკვიდრეობა“.

მაგრამ ხელისუფლება სამაგიერო სამსახურსაც თხოვდა: მას, როგორც მწერალთა კავშირის მდივანს, საყვედური გამოუცხადეს — რატომ მოხდა, რომ თქვენი თანდასწრებით კ. ჭიჭინაძემ მოხსენებაში რუსული ენის შესახებ **ადამ მიცკევიჩის** ცუდი შეფასება გაახმიანაო.

1936 წელს ფორმალიზმისა და ნატურალიზმის წინააღმდეგ მიძღვნილ დისკუსიაზე ის გააკრიტიკეს, **გიორგი ჯიბლაძემ** ცოტა უხეშად მიმართა: **„შენ ლაპარაკობ, რომ აღმავალ კლასს აქვს თავისი რომანტიზმი და თითქოს ჰაინე იყო აღმავალი კლასის პოეტი. ეს არის სასტიკი მიქარვა“.**

ვფიქრობ ეს ბოლო სიტყვა არ შეეფერებოდა მწერლის ლექსიკას.

მოგვიანებით სიმონის თავმჯდომარეობისას მასთან პასუხისმგებელ მდივნად არჩეული (უფრო დანიშნული) **გ. ჯიბლაძისთვის** სიმონს, რამდენადაც ჩანს, ეს არ გაუხსენებია და თუ გ. ჯიბლაძეს მალე მწერლები აუჯანყდებიან და გააშავებენ, ეს მისი პარტიული სიმკაცრის და ცოტა ქედმაღლობის გამო მოხდება.

მალე სიმონის არსში იწყება სასიკეთო ცვლილებები.

1937 წლის 30 მაისის პრეზიდიუმის მკაცრ სხდომაზე სიმონი უკვე იცავს გასარიცხავად მიზანში ამოღებულ **პაოლო იაშვილს**: მისი გამოსვლა დღეს გულწრფელი იყო და თავის შეცდომას დაძლევსო.

მაშინ ასეთი გამოსვლა არცთუ უსაფრთხო იყო.

მაგრამ პაოლოს (და მ. ჯავახიშვილს, ტ. ტაბიძეს...) ვერაფერმა უშველა...

როცა ახალგაზრდა **ირ. აბაშიძეს** ავად გაუხსენეს — პაოლომ რომ თავი მოიკლა, თვალზე ცრემლი დაგინახესო, — ს. ჩიქოვანს ცეკაში დაუცავს: არ უტირიაო.

არადა იმ საშინელ დროს თავად მას დაუზოგავი მტრები ჰყავდა — როგორც მკვლევარი **ნონა კუპრეიშვილი** აცხადებს (მოგონებები სიმონ ჩიქოვანზე), ერთ-ერთ თანამოკალმეს უთქვამს: ახლაც თუ არ დაიჭირეს სიმონ ჩიქოვანი, ნამდვილად გავგიჟდებიო.

ათეული წლების მერე გამჟღავნდება, რომ სიმონს მთელი ცხოვრება გულში უტარებია ამ საუკეთესო თანამოკალმეთა უღმერთოდ დაღუპვის ტკივილი — ხმამაღლა ვინ დაანებებდა ამის თქმას:

კალოზე ქარმა გაფანტა ნამჯა,
მომტაცა სიყრმის წმინდა იმედი,
ორი ჭრილობა სხეულში ჩამრჩა,
ოცდაოთხი და ოცდაჩვიდმეტი.

ორი ჭრილობა გულით დამქონდა,
ნისლმა შებურა შუბლი რამდენი,
ჩემს ძველ ეზოში ქარი დაქროდა,
ბევრჯერ ჩამიქრო თაფლის სანთელი

ვერ გავამრთელე ორი ნახმლევი,
თქმას მე ვარჩიე სიტყვაძვირობა,
ცხოვრების აღმართს ბევრჯერ ავყევი,
ვერ მოვიშუშე ორი ჭრილობა...[18]

რეპრესიების სისასტიკე სიმონს და მის ოჯახს უშუალოდაც შეეხო: მასთან 5 წლის ასაკიდან იზრდებოდა მისი უერთგულესი მეუღლის მარიკას ძმის, 1937 წელს დახვრეტილი **ზურაბ ელიავას** და 5 წლით გადასახლებული მისი მეუღლის **თინათინ ქუთათელაძის** ვაჟი ნიკა. სამშობლოს მო-

ღალატეებად მიჩნეული მშობლების გამო ნიკას პრობლემები რომ არ შექმნოდა, ბატონმა სიმონმა ის თავის გვარზე გადაიყვანა.

1939 წლის ყრილობაზე ს. ჩიქოვანმა მწერლებისადმი ფრთხილ მიდგომაზე ილაპარაკა:

„კრიტიკოსებისთვის უდიდესი სიფრთხილე და სიფაქიზეა საჭირო. იგი ეხება იმ ტკივილებს თუ აღტაცებას, რომელიც შემოქმედს დიდი განცდებისა და შემოქმედებითი მუშაობის შემდეგ თავის მხატვრულ სახეებში გაუმჟღავნებია. უნდა მოგახსენოთ, ეს დიდ გამბედაობასაც მოითხოვს და იგი დიდად საპასუხისმგებლო საქმეა“.

თავმჯდომარეობის დროისთვის სიმონ ჩიქოვანს ჩამოყალიბებული ჰქონდა სამოქმედო პროგრამა, რომელიც სულ მალე, აპრილის თათბირზე წარუდგინა მწერლებს:

„მწერალთა კავშირი უნდა გადაიქცეს იმ კერად, სადაც უნდა ხდებოდეს მწერალთა შემოქმედებითი ინდივიდუალობის გამოვლინება, სადაც უნდა იქმნებოდეს საზოგადოებრივი აზრი მხატვრულ ნაწარმოებზე. მწერლის ინდივიდუალობის გამოვლინება, მისი თითოეული ნაწარმოების შეფასება არ უნდა დარჩეს მარტო კრიტიკოსების საქმედ, მხატვრულ კრიტიკას ხელი უნდა მოჰკიდონ ჩვენმა პოეტებმა, ჩვენმა პროზაიკოსებმა და სხვა ჟანრის მწერლებმა. ერთიმეორის შესწავლა ხელს შეუწყობს ჩვენს შემოქმედებით ზრდასაც, გააძლიერებს აზროვნების უნარს, აამაღლებს კვალიფიკაციას“.

მართლაც, როგორც არჩილ სულაკაური იხსენებდა, **„როდესაც სიმონ ჩიქოვანი მწერალთა კავშირს თავმჯდომარეობდა, იქ ნამდვილი ლიტერატურული ცხოვრება დუღდა, მწერალთა კავშირი ჭეშმარიტად ქართული სულიერი კულტურის ცენტრად იყო ქცეული“.**

ს. ჩიქოვანის განსწავლულობამ, თეორიულმა მომზადებულობამ, დისკუსიებზე მისმა შთამბეჭდავმა გამოსვლებმაც ღრმა კვალი დააჩნია მის თანამედროვეებს:

არჩილ სულაკაური: „როდესაც სიმონ ჩიქოვანის ერუდიციას ყველა, ვინც ახლო იცნობდა, განსაკუთრებით გამოყოფს, როგორც ჩანს, სხვა კატეგორიის ცოდნასთან გვაქვს საქმე. სიმონ ჩიქოვანის ერუდიცია, განათლება, ცოდნა, მართლაც განსხვავებული ჩანდა, უფრო ზუსტად, სხვა ხარისხისა იყო, რადგან ინდივიდუალური, პიროვნული ნიჭით იყო აღბეჭდილი. მას არა მარტო შესწავლილი ჰქონდა საგანი ან მოვლენა, არამედ ამ საგანსა და მოვლენაზე საკუთარი, სხვებისაგან განსხვავებული აზრიც ჰქონდა შემუშავებული“ (სიმონ ჩიქოვანის გახსენება).

თავმჯდომარეობას ჰქონდა კიდევ ერთი მხარე — მწერლებთან ურთიერთობა. სიმონი ამ მხრივაც გამორჩეული აღმოჩნდა, მას ამ მხრივაც ემადლიერებოდნენ:

ლადო ავალიანიც მადლიერებით იხსენებდა: „*როდესაც სიმონ ჩიქოვანის, როგორც თავმჯომარის, ნაბვა დამჭირვებია, არცერთი შემთხვევა არ მახსოვს, ტექნიკურ მდივანს ეთქვას: ბატონ სიმონს არა სცალია, ესა და ეს დიდი კაცი ყავს სტუმრად, ან სასწრაფოდ გამოიძახეს და მოხსენებას წერსო — ნურავის შემოუშვებო და მრავალი ასეთი ტყუილი და მართალი მიზეზი, რაც ზოგიერთი სხვა მდივნებისა და თავმჯდომარეებისაგან პირდაპირ დაკანონებული იყო და რაც ისე უცერემონიოდ სთიშავდა მწერლობას მისი ხელმძღვანელობისაგან*“.[19]

მისი პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მუხლი იყო მწერლობის ახალ თაობაზე ზრუნვა:

ანა კალანდაძე (რომელსაც მიაჩნდა, რომ სიმონი იყო „თხემით ტერფამდე რაინდი!“): „განუყოფელია ერთმანეთისაგან ეს ორი სიტყვა — სიმონ ჩიქოვანი და ახალგაზრდობა“; „ლეგენდასავით მოვიდა ჩვენამდე ლადო ასათიანისადმი სიმონ ჩიქოვანის ზრუნვისა და ყურადღების ამბავი“.

როდესაც გერმანელთა ტყვეობაში მოხვედრისთვის ახალგაზრდა პოეტი **ლადო სულაბერიძე** 1947 წელს დააპა-

ტიმრეს და ბრალდებად სამშობლოს ღალატი წაუყენეს, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ კარგი დახასიათებით სცადა პირველი პოეტური კრებულის ავტორის დახსნა ან მდგომარეობის შემსუბუქება.

მართალია, ამან საქმეს ვერ უშველა, მაგრამ ეს მაშინ დიდი გაბედვა იყო.

ს. ჩიქოვანის თავმჯდომარეობისას 1945 წელს ჩატარდა **ნიკოლოზ ბარათაშვილის** პირველი დიდი იუბილე — აღინიშნა გარდაცვალების 100 წლისთავი.

და მაინც მოწინააღმდეგეებიც ჰყავდა, ასე მაგალითად, მორიგ, „საბჭოთა მწერლების“ მესამე (საერთო ათვლით — X) ყრილობაზე 1946 წლის 7 სექტემბერს, რომელზეც მწერლებმა ჩააგდეს პარტიული ხელმძღვანელობის მოწონებული, **კოლაუ ნადირაძის, ალიო მაშაშვილისა** და **გიორგი შატბერაშვილის** „უიდეო“ ნაწარმოებების დამგმობი რეზოლუცია, 35-კაციან გამგეობაში არ აირჩიეს **სიმონ ჩიქოვანი** (მწერლებში, სამწუხაროდ, სხვა დროსაც გაუმარჯვია მცდარ, წამგებიან აზრს). მასთან ერთად ბ. ჟღენტიც და გ. ჯიბლაძეც არ მოახვედრეს გამგეობაში, რაც ფუნაგორისტებმა ხელად გაკენწლეს: **„არჩევნები გათავდა, სამი კაცი გაშავდა“**. მხოლოდ გამგეობის რიცხვის გაზრდით მოხერხდა გამგეობაში, შესაბამისად, პრეზიდიუმსა და ხელმძღვანელობაში სიმონის მოხვედრა.

ნაკლოვანებათა როგორი პრინციპული მამხილებელნი იქნებოდნენ ფუნაგორისტები, არჩევნების წესების ერთგვარი დარღვევა რომ არ გაეპამპულებიათ და კიდევაც გაამასხარავეს: **„არა უშავს, იკოს, იკოს, არ ვაშავებთ სიმონიკოს!...“**

ამ შემთხვევაში კომუნისტურმა ხელმძღვანელობამ სწორად მიიჩნია **სიმონ ჩიქოვანის** თავმჯდომარედ დარჩენა.

სიმონის შემდგომმა მოღვაწეობამ დაამტკიცა, რომ იმ დროს სწორედ ის იყო ყველაზე უფრო ღირსეული წინამძღოლი ქართველი მწერლებისა.

1946 წელს **ს. ჩიქოვანს** სტალინური პრემია მიანიჭეს პოემისთვის „სიმღერა დავით გურამიშვილზე“ და ლექსებისათვის „ვინა სთქვა“, „ქართლის საღამოები“, „გორი“, „გამარჯვების დღესასწაული“.

1947 წელს საქართველოს სსრ, ხოლო 1950 წელს სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ირჩევენ.

1947-48 წლებში, რა თქმა უნდა, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის სიმონ ჩიქოვანის მხარდაჭერით დაწყებული პროზაზე დიდი ზრუნვის პროგრამით (**„ის ხალხი, რომელსაც დიდი მხატვრული პროზა არ გააჩნია, დიდ ეროვნულ მწერლობას ვერ შექმნის“**), „ლიტერატურა და ხელოვნებაში“ პირველად დაიბეჭდა დიდტანიანი მოთხრობები: **თინა დონჟაშვილის** „ვერ მიგატოვებ“, **მიხეილ მრევლიშვილის** „ხარატაანთ კერა“ და **რაჟდენ გვეტაძის** „ცხოვრება იწყება თავიდან.“

ხოლო როდესაც **ი. სტალინს** მოეჩვენა, რომ **ვაჟა-ფშაველას** პოეტური ენა საფრთხეს უქმნიდა ქართული სალიტერატურო ენის მაგისტრალურ ხაზს და საქართველოს კპ ცეკას პირველმა მდივანმა ეს საკითხი მთელი ქართველი ხალხის სამსჯავროზე გამოიტანა, ჩათვალეს რომ სიმონმა პარტიას მხარი სათანადოდ ვერ დაუჭირა, **ს. ჩიქოვანი,** როგორც საბჭოეთში ლიტერატურის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, უყოყმანოდ უნდა დათანხმებოდა ბელადის აზრს. მაგრამ როგორც პოეტს არ შეეძლო ბრმად მიეღო პარტიული ხაზი.

ამის გამო პარტიის ცკ-ის წარმომადგენელმა **გიორგი ჯიბლაძემ** მწვავედ გააკრიტიკა (ეს ეტყობა ძველმა წყენამაც განაპირობა — 1946 წლის ყრილობაზე გამგეობაში ჩემი მოუხვედრელობისას რატომ არ დამიცავო).

თანაც, როგორც ამბობდნენ, საჭიროდ მიიჩნიეს თავმჯდომარედ აღმოსავლეთ საქართველოს წარმომადგენელი აერჩიათ...

თითქოს სტალინს უკითხავს: რატომ არის, რომ მწერალთა კავშირის თავმჯომარეები უმეტესად დასავლეთ საქა-

რთველოელები არიანო, ალბათ მიაჩნდა, რომ აღმოსავლელები უფრო დაიცავენ ქართული ენის სიწმინდესო.

ისიც იმის გამო იყო, რომ პირველი გიმნაზიის წინ, ილიას გვერდით აკაკის დგომა რომ არ ემეტებოდათ ვიღაცებს!

აი, რა შორსმჭვრეტელები ვიყავით — ჩვენი კუთხეების ქართველობაში ეჭვი შეგვქონდა, სხვა ტომელები კი ხაფანგებს რომ გვიგებდნენ, იმას ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით!!!

ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ გამგეობამ (1951 წ.22-23 თებერვალს) **სიმონ ჩიქოვანი** გაათავისუფლა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოვალეობისგან.

გაივლის 6-ოდე წელიწადი და **სტალინის** კულტის დამგმობ გამგეობის სხდომაზე (1956 წ.30.12) **ბ. ჟღენტი** ფარდას ახდის ვაჟა-ფშაველას გადაფასების მცდელობას:

„...იქამდესაც კი მივედით, ტერორიზებული იყო აზრი, რომ ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთმა მდივანმა დაწერა: ვაჟა-ფშაველა, ეს გენიალური პოეტი საქართველოსი, უნდა უარვყოთ, აზროვნებით ჩამორჩენილი იყო და ენა არ უვარგოდაო. გვითხრეს გადააგდეთო და ჩვენ არ გვქონდა უფლება ქართველი ხალხის ეს უდიდესი გენია დაგვეცვა და გვეთქვა, რომ ეს არ არის მართალი. იყო ხმები - ჩარკვიანს მიღებული აქვს დირექტივები ზემოდან, მაგრამ ვინ მისცა ეს დირექტივები და როგორი იყო, არავინ იცოდა.

და როგორც კი იქ გაბედეს კანტი-კუნტად ეთქვათ ამის საწინააღმდეგო რაიმე, რომ ჩვენი ამხანაგი რუსი მწერლები გვეუბნებიან: რას შვრებით, ვის უარყოფთ, ვინ გყავთ ამაზე კარგი... დაგვიბარეს ცეკაში და ტყავი გაგვაძრეს, რომ მანდ ვიღაცები ვაჟას დაცვას ბედავენო“.[20]

შემდეგ 1955 წელს **ს. ჩიქოვანი** „მნათობის“ რედაქტორად დანიშნეს და იქაც წარმატებული აღმოჩნდა მისი მოღვაწეობა. ამას ბევრი მწერალი ადასტურებს:

ოთარ ჩხეიძე: „მოვიდა თუ არა სიმონ ჩიქოვანი „მნათობის“ რედაქტორადა, მოვიდა და არც არაფერი შეუცვლია, სულ არაფერი, არცა თანამშრომლები!.. ოღონდ ჟურნალი გარდაქმნა მაშინვე, გარდაქმნა, მოვიდა თუ არა, მოვიდა და მოჰყვნენ შემოფანტული მწერლები, მოჰყვა გაცხოველებული სჯა-ბაასი ლიტერატურაზე, მხატვრობაზე, მუსიკაზე, თეატრზე, ხალხზე, ჩვენს ხალხზე, სჯა-ბაასი წრფელი, მღელვარე, ბინდიც რომ მოუსწრებდათ და აღარც ახსოვდათ საათები სამსახურის.

... სიახლე „ცისკრისაც“ ახარებდა „მნათობის“ რედაქტორსა, სიამოვნებით ეგებებოდა იქ თავგამოჩენილ ახალგაზრდებს და ეკამათებოდა „ცისკრის“ ოპონენტებსაც მეტად სათანადო სულაკაურს თავის უბის წიგნაკში ჩაუწერია:

„მე ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, რომ ჟურნალ „მნათობში“ მიხდებოდა მუშაობა იმ წლებშიც, როდესაც მას სათავეში ედგა სიმონ ჩიქოვანი.

საქვეყნოდ ცნობილია, რომ ბატონი სიმონი იყო ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი ბრწყინვალე რედაქტორი და ქართული ლიტერატურის ორგანიზატორი, ჩემთვის და ჩემი მეგობრებისათვის სიმონ ჩიქოვანთან მუშაობა იყო ნამდვილი სულიერი უნივერსიტეტი.

„...ჯერ კაბინეტში შესულები არ ვიყავით, რომ უკვე იწყებდა რაიმე მნიშვნელოვანი ამბის ან წინა ღამით წაკითხული წიგნის ანალიზსა და შთაბეჭდილებების გაზიარებას“.

ემზარ კვიტაიშვილიც ადასტურებს, რომ სიმონი იყო მოძღვარი:

„ს. ჩიქოვანის ასეთივე თაყვანისმცემლები და უმცროსი მეგობრები იყვნენ რევაზ ჯაფარიძე, შოთა ნიშნიანიძე და გია მარგველაშვილი. დაუვიწყარ გურამ ასათიანს, ჩემი თანდასწრებით, არაერთხელ უთქვამს: სიმონ ჩიქოვანი ჩემ სულიერ მამად მიმაჩნიაო.“[21]

ახლა თავად **გურამ ასათიანსაც** მოვუსმინოთ:

„განსაკუთრებული როლი ითამაშა ქართული სალიტერატურო კრიტიკის განახლების მომზადებაში სიმონ ჩიქოვანმა, როგორც პოეტმა, ლიტერატორმა და „მნათობის“ რედაქტორმა. 50-იანი წლების მეორე ნახევარში ეს ჟურნალი იქცა ოსტატების თავისებურ სკოლად მთელი რიგი ახალგაზრდა მწერლებისათვის, რომელთა ნაწილმა შემდეგ „ცისკარს“ მიაშურა“.[22]

სამწუხაროდ აქაც არ დააცალეს გარჯილობა.

ამბობდნენ — მოიცილეს როგორც კონკურენტი აკადემიკოსობის მიღებაშიო...

ერთ-ერთი პრეტენდენტი იყო. ამ ამბით გახარებული ყოფილა — ერთხმად მიჭერენ მხარსო, მაგრამ ორ კვირაში გამოუჩხრიკეს „მნათობში“ **ოთარ ჩხეიძის** რომან „მეჩეჩის“ დაბეჭდვა; იმავე **გიორგი ჯიბლაძემ** მკითხველისთვის „მნათობში“ 1958-59წ.წ. წარდგენილი, თავისი მოგზაურობათა შთაბეჭდილებების მრავალი შეცდომისა და ლაფსუსის აღმნიშვნელი **მ. ქვლივიძისა** და **ე. პარხომენკოს** ფელეტონის „იზვესტიაში“ გამოქვეყნება სიმონ ჩიქოვანის წაქეზებულად ჩათვალა.

აკადემიკოს **ნიკო ბერძენიშვილის** წერილთან („საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისთვის“) დაკავშირებითაც უჩივლიათ პარტიის ცეკაში...

ბოლოს, 1960 წელს დაგმეს **გიორგი ქავთარაძის** „ჯარისკაცის ჩანაწერებიდან“ ნაწყვეტის დაბეჭდვა, — აქაოდა, როგორ შეიძლებოდა ჰიტლერელ გერმანელს ადამიანობის ნასახი ჰქონოდაო!..

არჩილ სულაკაურმა მიამბო: ეს ნაწყვეტი დასაბეჭდად ს. ჩიქოვანს არ ჩაუშვია, მაშინ მოსკოვში იყოო...

სხვათა შორის, ოთარ ჩხეიძის ახალი რომანი „ცთომილნიც“ აწყობილი ყოფილა დასაბეჭდად. ესეც შეცდომად ჩაუთვალეს და როცა სიმონი მოხსნეს, ანაწყობი ჩაშალეს.

შესაძლებელი იყო კიდევ ერთი „ცოდვაც“ მიმატებოდა ს. ჩიქოვანს, **ერემია ქარელიშვილს** პარტიული სიფრთხილე რომ არ გამოეჩინა: არჩილ სულაკაურმა 1957 წელს მწერალთა გაზეთის რედაქციაში მიიტანა ინფორმაცია „მნათობის“ ახალი ნომრის შესახებ, თან ჟურნალიც ხელში ეჭირა. ერემიამ ჟურნალი გამოართვა, პირდაპირ საჭირო ადგილას გადაშალა და იყვირა — ეს რა გიქნიათო.

ამ ნომერში იბეჭდებოდა **კონსტანტინე გამსახურდიას** წერილი ილია ჭავჭავაძის საიუბილეოდ. თურმე წერილიდან ერთი საჩოთირო ადგილი ამოეღოთ (ეს სცოდნია ე. ქარელიშვილს), მაგრამ კონსტანტინე სტამბაში მისულა და ისევ ჩაუსვამს ის ადგილი: არ შეიძლება ქრისტეს საფლავის წინ იუდა ესვენოსო (იგულისხმებოდა ილიას წინ დამარხული ფ. მახარაძე).

ერთი ამბავი აუტეხია ერემიას. არჩილმა იქიდანვე დაურეკა რედაქტორს — მერე ხელახლა დაბეჭდეს და აწებეს გვერდები...

ამასთან ცნობილია, რომ ს. ჩიქოვანი ბევრს ჯაბნიდა მწერლობისა და მხატვრობის ცოდნით, საერთოდ ჭკვიანი კაცი იყო და მასთან საუბრისას ბევრი მწერალი იჩრდილებოდა. ერთხელ ამით გაღიზიანებულ რომელიღაც მწერალს სიმონის მეგობრის **ა. სულაკაურისთვისაც** კი უთქვამს: თუ ძმა ხარ, უთხარი რა გააჭირვა საქმე, სუფრაზეც არ ისვენებსო...

ყველაფერმა ამან გამოიწვია **ს. ჩიქოვანის** საყვარელი საქმიდან, წარმატებული რედაქტორობიდან ჩამოცილების გაუმართლებელი გადაწყვეტილება... მაგრამ ის მაინც ვერ შესძლეს, რომ 1960 წელს არ აერჩიათ 1958 წელს შექმნილი ევროპის მწერალთა ასოციაციის წევრად.

მასთან წესების გარეშე ბრძოლამ უთუოდ ხელი შეუწყო მისი ჯანმრთელობის ნაადრევად გაუარესებას.

ამის მიუხედავად, უკანასკნელ წლებში, დაბრმავებულიც არ ემორჩილებოდა ბედისა თუ ადამიანების სიმუხთლეს.

მხოლოდ 64 წლისა იყო, როცა სული ლექსების წერაში დალია...

ს. ჩიქოვანის თავმჯდომარეობისა და რედაქტორობის რამდენადმე დრამატიზმით დაღდასმული ამბით მოგვრილი სევდის გასაქარვებლად საუბარს ვამთავრებ **ნიკა აგიაშვილის** სკივრიდან მოხმობილი სალაღობო სტრიქონებით:

„სიმონ ჩიქოვანის თავმჯდომარეობის დროს მწერალთა კავშირში მუშაობდნენ მწერლები თვით სიმონ ჩიქოვანი, სიმონ წვერავა, სიმონ მთვარაძე და ბუღალტერი სიმონ კახიანი.

მაშინდელ მწერალთა კავშირს კარლო კალაძემ „სიმონეთი" დაარქვა, აგერ მივდივარ სიმონეთშიო" („პოეზია", 1982).

***

მწერლური ცხოვრებიდან:

„პირველ გამოცემაში (1936.რ.კ.) „ყვარყვარე თეთაბერი" მთავრდებოდა სიტყვებით: „გული არ გაიტეხო, ყვარყვარე, დაიღუპა ის, ვინც სირცხვილით სოროში ჩაძვრა, მე კიდევ ავცოცდები".

მაგარმ შემდეგ გამოცემებში (1941, 1954) დასასრული ასეთი გახდა:

„გათავდა შენი ჩალიჩი, ყვარყვარე თუთაბერო, ამათ ხელში შენი ამინდი არ დადგება".

სტალინის სიკვდილის შემდეგ აღადგინეს ორიგინალური დასასრული".

მანანა კაკაბაძე, „ასავალ-დასავალი", 2009. №38.

ასე არაერთ რომანსა და პიესას დაემართა...

***

***

როცა 1952 წლის აგვისტოში, ჩვენი დიდებული პოეტის **გიორგი ლეონიძის** თავმჯდომარეობისას, მწერალთა კავშირში მუშაობა დავიწყე, ერთ-ერთი იმათგანი, ვისთანაც მჭიდრო ურთიერთობა მქონდა სწორედ ზემოხსენებული ბუღალტერი, საერთოდ განათლებული, მწერლობის დამფასებელი კაცი **სიმონ კახიანი** გახლდათ. მახსოვს კარგი მეგობრობა აკავშირებდა თბილისის ოპერის თეატრის ისტორიის შემქნელ **შალვა კაშმაძესთან,** ხშირად ერთად იყვნენ...

სიმონ კახიანის გარდაცვალების შემდეგ მოსულ ბუღალტერს **გალაქტიონ კოკელაძესაც** არ აკლდა საერთო განათლებულობა, მწერლობის მნიშვნელობაც გვარიანად ესმოდა და ეს პატიობდა მის ჭამა-სმის ცოტა გადაჭარბებულ მოყვარულობას...

ამ ფონზე საქმე უკან წავიდა, როდესაც ახალმოსულმა ბუღალტერმა თავმჯდომარეს უთხრა: ხელმოსაწერია **ტიატრის** ანგარიშებიო და ააყვირა — ეს ქალი მომაცილეთო...

ბარემ, იმასაც ვიტყვი, რომ გალაქტიონ კოკელაძესთან ერთად, როგორც მეორე ბუღალტერი, კარგა ხანს მუშაობდა **ზაირა მამასახლისი** და კოლორიტული პიროვნება, გურული კაცი **ალიოშა კვაჭაძე,** რომლის შემდეგ მწერალთა კავშირს ამ სამსახურს დიდხანს უწევდა მწერალ **ნოდარ ხუნდაძის** ქალიშვილი **ნონა ხუნდაძე.** ბუღალტერიიდან თავი დაგვამახსოვრა აგრეთვე **ნაზი გოგიაშვილმა,** მერე რომ პრემიების სახელმწიფო კომიტეტში მოღვაწეობდა.

ბუნებრივი იქნება თუ აქ სიტყვას ჩამოვაგდებ ზოგიერთ სხვა თანამშრომლებზეც, რომლებსაც თავიანთ მუშაობაში ეყრდნობოდნენ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელები, ლიტერატურის კონსულტანტები.

ესენი იყვნენ მწერალთა ბიბლიოთეკის თანამშრომლები, 30-იანი წლებიდან აქ მომუშავე **გუია ბერულავა** (გამგე ნახევარ შტატზე, ძირითადად საჯარო ბიბლიოთეკის მეთოდის-

ტი) და **თამარ ფოფხაძე** (ბიბლიოგრაფი). ორივეს, გაუთხოვრად დარჩენილებს, ეშმაკის ფეხი ფუნაგორისტები ასე აქილიკებდნენ: არც თამარას, არც გუიას... ქმრები არ უნახავთო. რუსულადაც კი აუგორეს ფუნაგორია...

თანამშრომელთა გაუთხოვრობა ბედად გაჰყვა ჩვენს ბიბლიოთეკას, მის შემდეგი თაობის თანამშრომლებს, **დოდო (თამარ) ჩიკვაიძეს** (ბიბლიოგრაფი) და **ლაურა დათიაშვილს** (ბიბლიოთეკარი, 2005-დან – გამგე), რომლებმაც მთელი შეგნებული ცხოვრება წიგნების, ბიბლიოთეკისა და მწერლების სამსახურსა და მეგობრობა-სიყვარულში გალიეს.

ბიბლიოთეკის თემა ხუმრობანარევი თხრობით უნდა გავაგრძელო:

მე, როგორც ამ ბიბლიოთეკის გამგეს (1960-2005) ალბათ სამსახურებრივ გულგრილობაში უნდა ჩამეთვალოს, რომ ვერ ვიზრუნე ჩემი თანამშრომლების გათხოვებაზე...

მაგრამ ბედისგან ამ ერთგვარ დაჩაგრულობას, როგორც თავად თვლიან, დოდოსა და ლაურას ქართველი მწერლებისთვის გაწეული სამსახური, ჩვენი ქვეყნის დიდებული განძის – მათი წიგნების მოვლა-პატრონობა უქარწყლებდა, XX საუკუნის ჩვენს საუკეთესო მწერლებთან ურთიერთობა, ბევრ მათგანთან ახლობლობა, მათთან სულიერ ნათესაობად ქცეული დამოკიდებულობა უბათილებდა, ისეთი ურთიერთდამოკიდებულება, როდესაც ბევრი მწერალი თავის ჭირსა და ლხინს უახლოესი ადამიანებივით ამ ბიბლიოთეკარებს უმხელდა და ესენიც ცდილობდნენ მალამოდ დადებოდნენ მათ ტკივილსა და საწუხარს.

ამ სტრიქონების ავტორსაც ახსოვს – ერთხელ პოეტმა **ზურაბ ლორთქიფანიძემ** მას თავისი ისეთი ოჯახური უსიამოვნებანი გაუმხილა, რომ მაშინ განცდილი უხერხულობა ახლაც თავს ახსენებს ხოლმე...

თუ ისევ ნახევრადხუმრობით გავაგრძელებთ, ნაყოფი არ გამოიღო ისეთმა რჩევა-დარიგებამაც, რასაც ჩვენს თანამშრომელ ქალებს აძლევდა მათი უფროსი, მწერალთა კლუბის

გამგე პოეტი **ლადო სულაბერიძე,** თანამშრომლებთან ურთიერთობაში რბილი და მუდამ კეთილგანწყობილი კაცი.

ახლა ეს ქალბატონები ხშირად იხსენებენ ლადოს რჩევას – ბედს ეწიეთო.... შვილები გააჩინეთო...


დაწესებულება-ორგანიზაციების მუშაობაში დიდი მნიშვნელობა აქვს თანამშრომელთა, უფროს-უმცროსთა შორის კეთილგანწყობილ, სამართლიან ურთიერთობას.

ამ მხრივ **ლადო სულაბერიძესავით** კორექტული და თავმდაბალი უფროსის სახელი დარჩათ მწერალთა კლუბის ადრინდელ გამგეებს, პოეტებს **ნიკოლოზ ჩაჩავასა** და **თეიმურაზ ჯანგულაშვილს,** აგრეთვე **გივი გოგიჩაიშვილს.**

მაგრამ რა მოიგო ისეთმა უფროსმა (მ. ასათიანი), რომელიც ბიბლიოთეკის გახსნას 9 საათისთვის მოითხოვდა (რა მოარბენინებდა ოჯახიდან?!), როცა მწერალთა კავშირში მუშაობა 10-დან იწყებოდა, ანდა თანამშრომლის მიერ საუბარში გამოყენებული მიმართვის – „ჩემო ძმაო“ – პასუხად მკვახედ და ქედმაღლურად მიახლიდა: ვინაა შენი ძმაო?!



ნიკა ჩიქოვანი, მარიკა ელიავა-ჩიქოვანი, სიმონ ჩიქოვანი, მიხეილ ქვლივიძე, ალექსანდრე ქუთათელი, მერი ლორთქიფანიძე-ქუთათელი. მოსკოვი.



სხედან: შალვა ამისულაშვილი, ალექსანდრე გომიაშვილი, გიორგი შატბერაშვილი, ხუტა ბერულავა. დგანან: ბორის ჩხეიძე, გიორგი ქავთარაძე, ლადო სულაბერიძე.

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ მდივნები ს. ჩიქოვანის თავმჯდომარეობის დროს 1944-1951 წლებში:

I. გიორგი ჯიბლაძე (1913-1989)



ირაკლი აბაშიძე, როგორც მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი, 1939-1944 წლებში მარტო, მდივნების გარეშე ხელმძღვანელობდა სამწერლო ოჯახს, 1944 წლის 24 მარტს კი გამგეობამ თავმჯდომარის ინსტიტუტის აღდგენასთან და ამ თანამდებობაზე **სიმონ ჩიქოვანის** არჩევასთან ერთად პასუხისმგებელი მდივნის თანამდებობაც შემოიღო და ამ მოვალე-

ობის შესრულება 31 წლის **გიორგი ჯიბლაძეს** მიანდო.

ამ დრომდე **გ. ჯიბლაძე** 1935 წლიდან მეტად ნაყოფიერ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა როგორც კრიტიკოსი და ლიტერატურათმცოდნე, მაგრამ საბჭოური კრიტიკის უხეშობაც გვარიანად ახასიათებდა. ასე მაგალითად, 1936 წელს დისკუსიაზე **ს. ჩიქოვანს** ერთ-ერთ მოსაზრებაზე მკაცრად მიახალა: ეს არის სასტიკი მიქარვაო.

1945 წელს უკვე პასუხისმგებელი მდივნობისას, **კ. გამსახურდიას** ვრცელ წერილს „თანამედროვე რომანისთვის“ („ლს“, 1945, აპრილ-ივნისი) გ. ჯიბლაძე გამოეხმაურა წერილით „ანტრაქტების ფილოსოფია“ („კომუნისტი“, 1945, №147), რომლის სათაურშივე იგრძნობოდა შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება მწერლისადმი, თანაც რატომ მაინცდამაინც ოფიციალურ და არა სამწერლო გაზეთში დაბეჭდა ეს დირექტივის მსგავსი დატუქსვა? თავგამოდებულმა კრიტიკოსმა საკადრისი პასუხიც მიიღო (იხ. კ. გამსახურდიას წერილი მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს, ლხცსა, 8-1-197-61).

ცოტა ხანში იმავე **კ. გამსახურდიას** 1946 წელს გამოცემულ წიგნს – „ნოველები“ კვლავ ოდნავ აგდებულტონიანი წერილით „ნოველები თუ ანაქრონიზმები“ („მნათობი“, 1946, №9-10) გამოეხმაურა **გ. ჯიბლაძე.**

ეტყობა, ეს მწერლებს მაინცდამაინც არ მოსწონდათ, ამას ეს ფუნაგორიაც ამტკიცებს: *რას ერჩოდით, დამჯდარიყო მისთვის ეტლის კოფოზე – სასახლეში მოგვიყვანეთ, გაგვიეფიზკოფოზეთ.*

ამას ისიც დაემატა, რომ „საბჭოთა მწერლების“ მესამე (საერთო ათვლით - X) ყრილობაზე (1946, 7.09) მწერალთა კავშირის პასუხისმგებელმა მდივანმა **გ. ჯიბლაძემ** თავი გამოიდო „უიდეო“ ნაწარმოებებისთვის **კოლაუ ნადირაძის, ალიო მაშაშვილისა** და **გიორგი შატბერაშვილის** დამგმობი, პარტიული ხელმძღვანელობის, კერძოდ, საქართველოს კომ-

პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის (იდეურ დარგში) **პეტრე შარიას** მოწონებული რეზოლუციის დასაცავად.

მართალია, ამას თანამდებობა ავალებდა, მაგრამ ისე უნდა ეკეთებინა, რომ პარტიის მიკერძოება არ გაეთქვა. მან კი პირდაპირ გაამჟღავნა პარტიის საიდუმლოება: **„თქვენ იცით, რომ სასტიკი ბრძანება სწარმოებს ხელმძღვანელ ორგანოებისა და ჩვენ არ შეგვიძლია ეს უყურადღებოდ დავტოვოთ“.**

ეს სასტიკი ბრძანება, რომელიც პარტიიდან „სწარმოებდა“, იყო გამოძახილი საკავშირო კომპარტიის ცეკას 1946 წლის 14 აგვისტოს „დადგენილებისა ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ“, რასაც აქაც, გინდოდა თუ არ გინდოდა, უნდა მოჰყოლოდა მწერლების ისე დანიავება, როგორც რუსეთში მოეპყრნენ **ანა ახმატოვას, მიხეილ ზოშჩენკოს** და სხვ. გ. ჯიბლაძე აქაც პარტიული ხაზის მხარდამჭერთა პირველ რიგებში აღმოჩნდა — იმ წელს ქართულ პოეზიაში ამობრწყინებულ ანა კალანდაძეზე თქვა: მისი ლექსები წიგნებიდან არის მოსულიო.

მაგრამ ქართველმა მწერლებმა ურჩობა გამოიჩინეს და პარტიის მიერ მოწონებული რეზოლუცია არ მიიღეს, ხოლო ახალ 35-კაციან გამგეობაში არ აირჩიეს არც თავმჯდომარე **სიმონ ჩიქოვანი** (რომელსაც თანამდებობა ავალებდა პარტიული პოზიციისათვის ანგარიში გაეწია), არც კრიტიკოსი **ბესო ჟღენტი** და არც პმგ მდივანი **გიორგი ჯიბლაძე.**

პარტიის გაჭირვების ტალკვესის **კონსტანტინე ლორთქიფანიძის** წინადადებით გამგეობის წევრთა რაოდენობა 37-მდე გაზარდეს, ამით **ს. ჩიქოვანი** და **ბ. ჟღენტი** გამგეობაში მოხვდნენ, **გ. ჯიბლაძე** კი (რომელმაც ყველაზე მეტი შავი ხმა მიიღო), მიუხედავად იმისა, რომ პარტიას ძალიან სურდა, გამგეობაში აღარ მოახვედრეს. **პ. შარიამ** კიდევაც გამოამჟღავნა ეს სურვილი: **„ცკ-ს ეს არჩევნები არასწორად მიაჩნია, ის ხალხი არ აირჩიეთ, ვისაც ცკ ენდობა. ის თანახმაა გამგეობის გადი-**

დებაზე, მაგრამ წყვილი არ შეიძლება და შევჩერდეთ 37-ზე, თუმცა ცკ-ს წყინს, რომ გ. ჯიბლაძე არ გადის".[23]

... და ეს უკანასკნელი ცეკას აპარატში სამუშაოდ წაიყვანა, აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგედ დანიშნა.

რამდენიმე წლის შემდეგ, საქართველოს კპ XX კონფერენციაზე (1951,10.01) **ვაჟა-ფშაველას** დამუშავების კვალდაკვალ გამართულ მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე (1951,22-23.02) **გ. ჯიბლაძემ,** მაშინ პარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა (1950-53), ვფიქრობ, ბევრწილად ძველი წყენის გამო – 1946 წლის ყრილობაზე პმგ მდივნად რატომ არ შემინარჩუნაო – მწვავედ გააკრიტიკა **ს. ჩიქოვანი;** ხაზი გაუსვა სიმონის ენობრივ ჩავარდნებს. პარტ-კონფერენციაზე კრიტიკა მის ერთ-ორ ლექსს კი არ გულისხმობდა, არამედ მთელ მის შემოქმედებასო, გ. ჯიბლაძის აზრით გამგეობის ამ სხდომაზე ს. ჩიქოვანის „მოხსენება უმთავრესად იყო თეორიული კამათი ძველ მწერლებთან, რომლებიც გარდაცვლილები არიან და კამათსაც ვერ გამართავენ. ზოგადი შენიშვნები გამსახურდიას, ლეონიძის, გრიშაშვილის, კალაძის, შანშიაშვილის შემოქმედებაზე, მეტი არაფერი. სუსტი იყო კრიტიკა, სულ არაფერი თქმულა ამოცანებისა და ღონისძიებათა შესახებ".

ამას, როგორც ვიცით, მოჰყვა **ს. ჩიქოვანის** გათავისუფლება, **გ. ჯიბლაძის** სახელმწიფოებრივ-პარტიული კარიერა კი შემდგომ წლებშიც წარმატებული შეიქმნა: 1953-1960 საქართველოს განათლების მინისტრი, 1960-61 წ.წ. კომპარტიის ცეკას მდივანი, 1963-80 წ.წ. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი იყო. 1960 წელს აკადემიკოსი გახდა. 1951-1984 წლებში რვაჯერ (!) აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად...

როგორც ფუნაგორიების წიგნი იუწყება, პ. კაკაბაძეს უთქვამს: **„როცა გ.ჯ. მსახურად გამოგვიგზავნა მთავრობამ, ვერ შევიშნეთ, არ ვინებეთ, ახლა ბატონად გაგვიხადეს და გვიხარია, ანასუნ ჩვენ საქმეს"**

2. ალექსანდრე გომიაშვილი (1911-1997)



„საბჭოთა მწერლების“ მესამე (საერთო ათვლით – X) ყრილობაზე 1946 წ. 7 სექტემბერს შექმნილმა გამგეობამ თავის პირველ სხდომაზე (01.09) პასუხისმგებელ მდივნად **გ. ჯიბლაძის** ნაცვლად აირჩია ფრონტგამოვლილი პოეტი **ალექსანდრე გომიაშვილი**. ის ამ თანამდებობაზე ყოფნისას ერთხანს (1949-50) მწერალთა კავშირის პარტბიუროს მდივანიც იყო.

სამწერლო ოჯახის ერთ-ერთ ხელმძღვანელად ალ. გომიაშვილი 1950 წ. 7 ივნისის პრეზიდიუმის სხდომამდე მუშაობდა.

შემდეგში ის კარგა ხანს (1951-1963) ხელმძღვანელობდა „საქართველოს ლიტერატურულ ფონდს“ (საქლიტფონდი), გამომცემლობა „განათლებას“ (1965-1967), „წიგნის პალატას“ (1971-1987).

ლიტფონდის დირექტორობის დროს მის დამსახურებად ჩაითვალა თბილისში, იაკობ გოგებაშვილის ქუჩაზე ლიტფონდის სახსრებით მწერალთა პირველი საცხოვრებელი სახლის აშენება. სწორედ ამას გულისხმობდა **ვახტანგ გორგანელის** ეს სალაღობო სტრიქონები: „რაკი ასეა – წამოხტა გომიაშვილი ალექსი – ახალ სახლს თუ არ აგიგებთ, აღარ შემხედოთ თვალებში“.

და კიდევ ალ. გომიაშვილის ერთი დამსახურება, გადმოცემული თვით მის მიერ პრეზიდიუმის სხდომაზე (1990.12.02):

„ადრე უნდოდათ დარიალჰესის აშენება – სადგური ჩრდილოეთ ოსეთში, გვირაბი კლდეში, წყალსაცავი – ყაზბეგის რაიონში... დაიტბორებოდა, მერე იტყოდნენ: ცალ-ცალკე როგორ შეიძლებაო და გააერთიანებდნენ...

ჩვენ ჩავერთეთ, საქართველოს მწერალთა კავშირი, ქართველი მწერლები და მათ შორის, მე, გამოვიყენეთ რუსი მწერლების ავტორიტეტი, პუშკინი, ტოლსტოი, ლერმონტო-

ვი და სხვები, ვინც ყოფილან საქართველოში. ატყდა ერთი ამბავი „ლიტერატურნაია გაზეტაში“, ჩაერია რუსეთის საკავშირო მწერალთა კავშირი, იქიდან ჩამოვიდნენ. მე თვითონ ვიყავი ამხანაგ ჯავახიშვილთან და მაშინ ეს აიკრძალა, „ამას ყველაფერს მეთაურობდა ოსი გენერალი პლიევი“.

ყოველთვის ასეთი სიფხიზლე რომ გამოგვეჩინა და ასე მონდომებით მოგვეგერიებინა იმპეირიისა და მისი დასაყრდენი ჩვენი „კეთილი“ მეზობლების მუხანათი ჯგუფების მზაკვრული გეგმები, დღევანდელ „დატბორილ“ მდგომარეობაში არ აღმოვჩნდებოდით.

ალ. გომიაშვილმა ახალგაზრდობაში გვარიანი ხარკი გადაუხადა პარტიულ პოეზიას, მერე რომ გახსენება არ სიამოვნებდა...

შემოქმედთა რიგებში მუდამ იყვნენ და არიან ეპიგრამების, ჩვენებურად ფუნაგორიების — სატირულ-იუმორისტულად დამცინავ-გამქილიკებელი მოკლე ლექსების შექმნის ნიჭიერი ოსტატები, ენაკვიმატი პოეტები. ერთ-ერთმა მათგანმა, აქაოდა ათეული წლებია პოეტურ ნაწარმოებებს აღარ ქმნისო, ა. გომიაშვილს „ულექსო ალექსი“ შეარქვა.

ალ. გომიაშვილი სიტყვების ამ თამაშზე აგებამ მოაქცია კალამბურში, თორემ ზოგიერთ სხვაზეც შეიძლებოდა ამის თქმა. ისე კი, ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პოეზია უფრო ახალგაზრდობის წლებში ზეობს, აკი უთქვამს პოეტს — სიჭაბუკე და ლექსი ერთიაო.

ენამწარე ფუნაგორისტებმა არც ალ. გომიაშვილის მდივნობიდან გაშვება დატოვეს გაუქილიკებლად: **„მოგვიხსნეს ვოჟი ალექსი, ანიჩქას გაუხარია,* აწინა ვიღა გვამღერებს ტიალა დარიალაო?.. არ გაატანეს „პობედა“, წავიდა ცარიალაო“.**

მისი თარგმნილი უკრაინელი პოეტის ა. მალიშკოს პოემა „პრომეთეოსი“ დღესაც შეაქვთ კრებულებში.

---

* მწერალთა სასახლის ერგული დამლაგებელი

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„როცა გიორგი ჯიბლაძე საკანდიდატო დისერტაციას იცავდა თბილისის უნივერსიტეტში, დიმიტრი მგელაძემ გააკრიტიკა სადისერტაციო ნაშრომის ზოგიერთი ადგილი და თქვა: ასეთი ნაშრომით კემბრიჯის უნივერსიტეტში, ან ოქსფორდში, დისერტაციის დაცვის უფლებას არავის მისცემდნენო.

გიორგი ახვლედიანმა უთხრა: ჩემო დიმიტრი, ოქსფორდისა და კემბრიჯის უნივერსიტეტში არც მე და შენ ვიქნებოდით პროფესორები, ეს ჩვენი ნორჩი უნივერსიტეტია, სადაც ჩვენი ქვეყნის მუშებისა და გლეხების შვილები სწავლობენო.

იმ დროს იქ ვიყავი და ეს ჩემი ყურით მოვისმინე“

ნიკა ავიაშვილი

* * *

3. ოთარ ჩხეიძე (1920-2007)



40-იანი წლების მეორე ნახევარში მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობისა და მთელი ქართული მწერლობის მთავარ საზრუნავად იქცა ერთგვარად ჩამორჩენილი პროზის განვითარებისათვის ხელის შეწყობა.

რადგან მწერალთა კავშირის ხელმძღვანელები ორივე პოეტი იყო (თავმჯდომარე – **სიმონ ჩიქოვანი** და პასუხისმგებელი მდივანი – **ალექსანდრე გომიაშვილი**), პრეზიდიუმმა 1950 წლის 7 ივნისს საჭიროდ მიიჩნია ხელმძღვანელობაში ერთ-ერთი პროზაიკოსი ყოფილიყო (ისევ პრეზიდიუმი წყვეტს გამგეობის გადასაჭრელ საკითხს).

პრეზიდიუმის წევრებმა ამ თანამდებობაზე არჩევის ღირსად ჩათვალეს ამ დროისათვის ბელეტრისტიკაში საკმაო წარმატებებს მიღწეული და კიდევ უფრო მეტი იმედების მომცემი ახალგაზრდა (30 წლისა) **ოთარ ჩხეიძე** და პასუხისმგებელი მდივნობა სწორედ მას მიანდვეს ალექსანდრე გომიაშვილის ნაცვლად.

ამ დროისათვის ოთარი ლექციებს კითხულობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში. მალე იქ უცხო ენებისა და ლიტერატურის კათედრის გამგე გახდა. ამასთან ერთად ალმანახ „ლიახვის“ ხელმძღვანელობაც იტვირთა...

ხოლო როგორც მწერალთა კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, **ოთარ ჩხეიძე**, ალბათ ახალგაზრდობისა და გამოუცდელობის გამო, მეტად მკაცრი მდივანი გამოდგა.

რა თქმა უნდა, წესრიგი ყველგან და ყველაფერში საჭიროა, მაგრამ ოთარი თურმე ოდნავ აჭარბებდა, როგორც ოთარის მდივნობისას დამლაგებლად მომუშავე **ანეტა ჯინჭარაძისგან** მომისმენია, ოთარს ზარით მდივანი ქალი გამოუძახია, ის იმ წუთში იქ არ აღმოჩენილა და კარი შეუღია პალტომოხურულ დამლაგებელს (ზამთარში მუდამ ციოდა სასახლეში). ოთარს მაგიდაზე ხელი დაურტყამს — რა არის ეს, როგორ გამოიყურებიო... დამლაგებელს გაულიმია და უთქვამს: ბევრი თავმჯდომარე და მდივანი მინახავს აქედან წასული, მე კი ისევ აქა ვარო...

მწერალთა კავშირის წევრებსაც დაუდასტურებიათ — ხუთი წუთით დაგვიანებისათვის ზომაზე მეტ სიმკაცრეს იჩენდაო.

ნინო თოფჩიშვილი (თავმჯდომარის მაშინდელი მდივანი): ერთხელ ოთარ ჩხეიძესთან შესული ლეო ქიაჩელი მალე შეცბუნებული გამოვიდა, თავმჯდომარეს, სიმონ ჩიქოვანს შესჩივლა, ოთარი მკაცრად მომეპყროო.

ნანა კანდელაკი: ლეო ქიაჩელის ბავშვებთან ახლო ვიყავი, ხშირად დავდიოდი მათთან. ერთხელ სიტყვამ მოიტანა და ბატონმა ლეომ მითხრა: ჭიანჭველასთვის არ დამიდგამს ფეხი,

მაგრამ ერთი ცოდვა მაინც მაწევს: ოთარ ჩხეიძესთან შესვლა მომიხდა. რაღაცა არ მომიწონა, მაგრამ სხვა ამბავია, ამას როგორ გამოხატავ – გამიწყრა, მაგიდაზე მუშტი დამირტყა... იმდენად შეურაცხყოფილად ვიგრძენი თავი, ცეკაში წაველი – ეს ვინ მოგვიყვანეთ-მეთქი... და ჩვენი ოთარი მოხსნესო...

და, აი, არ გასულა ერთი კვირა და მეორე სართულის ვესტიბიულში, ნინო თოფჩიშვილთან და კიდევ რომელიღაც თანამშრომელთან მდგომი დამლაგებლისთვის უთქვამს მძიმე-მძიმედ კიბეებზე ამოსულ ოთარს:

– რა ჩქარა აგიხდა შენი ნათქვამი – ახლა ცეკადან მოვდივარ, მომხსნესო...

დიახ, არჩევიდან (1950.07.06) ცხრა თვის თავზე 1951 წ. 22-23 თებერვალს ჩატარებულ გამგეობის სხდომაზე გააფორმეს ოთარ ჩხეიძის განთავისუფლება.

ამ სხდომაზე ვერ **სიმონ ჩიქოვანი** გაათავისუფლეს. მის მაგივრად გიორგი ლეონიძეს ირჩევდნენ და პარტიის ცეკას მდივანმა როსტომ შადურმა ამას დაუკავშირა ოთარ ჩხეიძის გაშვება: თავისი გამოცდილებით დიდ დახმარებას ვერ გაუწევს გიორგი ლეონიძეს, ამიტომ მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ამხ. **ო. ჩხეიძე** განთავისუფლდეს პასუხისმგებელი მდივნის მოვალეობისგანო.

ამის შემდეგ ო. ჩხეიძემ შექმნა ერთმანეთთან დაკავშირებული სამი თაობის ადამიანთა ბედის ამსახველი რომანების დიდი სერია – XX ს. ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ვრცელი ეპოპეა, რომელიც უმწვავესი პრობლემების წამოჭრით, ქართული კულტურის მტრებთან დაპირისპირებით, თავისუფლებისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის (მაგალითად, 1924 წლის ამბების) აღწერით, თანამედროვეთა შემგუებლობასა და მანკიერებასთან შეურიგებლობით თანამემამულეებს აფხიზლებდა, ხოლო პარტიულ ხელმძღვანელებს აღიზიანებდა.

ოთარ ჩხეიძის 1996 წლის რადიომონოლოგზე დაყრდნობით შეიძლება თვალი გავადევნოთ საბჭოეთში მწერლუ-

რი ცხოვრების სიძნელისა და შებოჭილობისგან თავის დახსნისათვის ძალისხმევას:

მდივნობიდან რომ გაათავისუფლეს, გულის მოსაგებად მრავალთვიანი შემოქმედებითი მივლინებით სოფელში გაუშვეს — საკოლმეურნეო ცხოვრების საკითხზე რომანი დაწერეო.

დაწერა, მაგრამ სამოთხის ნაცვლად კოლექტიური მეურნეობის უთაობა, უგვანობა და სიგლახეები გამოუვიდა;

იყო დრო მოთხრობების წიგნი ჩაუშალეს, იძულებული გახდა ლიტერატურულ-პუბლიცისტური წერილები, ესეები ეწერა და ებეჭდა...

ასე მივიდა შეფარვით, სიმბოლოებით წერამდე, მაგალითად, 20-იანი წლების ამსახველ „ბორიაყში“ სადღაც ისეთ ადგილას ჩართო და მიჩქმალა გენუის კონფერენციაზე წაკითხული წერილი, რედაქტორის ყურადღება რომ არ მიექცია.

ანდა „გამოცხადებაში“ 1956 წლის 9 მარტის სისხლისღვრაზე ერთ პერსონაჟს რომ ათქმევინა: რას სწირავთ თავს, რატომ ღვრით სისხლს, შეინახეთ ეს სისხლი, კიდევ დაგჭირდებათო, ამით მკითხველს გულისხმაში აგდებდა — საქართველოს ძნელი დღეები კიდევ დაუდგებაო. აკი ეს სისხლი აფხაზეთსა და ცხინვალში დაიღვარა...

რომანისტმა არც ის დამალა — შეფარვით, სიმბოლოებით წერამ ჩემი რომანები ცოტა ბუნდოვანი გახადაო.

ასე ეძებდა საკუთარ სტილს, ამ განძის — სტილის მფლობელთაგან **გრიგოლ რობაქიძე** იძულებული გახდა ემიგრაციაში გადახვეწილიყო, საქართველოში მარტო **კონსტანტინე გამსახურდია** დარჩა, სხვებს სტილს რედაქტორები უსწორებდნენო.

ჩემი რომანების დასაწყისში მართლაც იგრძნობოდა სტილის სიმძიმე, სიღრმეში რომ შევლენ, როგორც მეუბნებიან, მკითხველები აფასებენ პრობლემების წამოჭრასო.

რომანისტმა ისიც აღნიშნა, ვინაიდან რომანებს არ უბეჭდავდნენ, არსებობისთვის ლექციების კითხვა უხდებოდა,

ამის გამო რომანებს არდადეგებზე ვწერდი, რომანიდან რომანამდე რომანზე ვფიქრობდი, მოთხრობებსა და ლიტერატურულ-პუბლიცისტურ წერილებს ვბეჭდავდიო...

ხანდახან ხელისუფლებისა და სოციალისტური რეალიზმის მოთხოვნების გათვალისწინებით დაბეჭდილი (ზოგჯერ იძულებით დაწერილი) რეცენზიათა ავტორების მიერ გაქილიკებისგან გამოწვეული განაწყენებაც ამწვავებდა საქმეს.

ასე, მაგალითად, 1955 წელს გაზ. „კომუნისტში“ (15.12, №294) იბეჭდება **ბ. ჟლენტის** მკაცრი წერილი რომან „ბურუსზე“, რომელიც იმ წელს გამოქვეყნდა „მნათობში“ (№7,8,9).

ამ სიმკაცრეს ხელი იმანაც შეუწყო, რომ ბესომ ოთარის ერთ-ერთი რომანის პერსონაჟში გაშარჟებული თავისი თავი შეიცნო.

სოციალისტური რეალიზმის ჩარჩოებიდან თავის ოდნავ გამოყოფასთან შეურიგებლობა და საზოგადოების ჩრდილოვან მხარეთა ჩვენების შეუწყნარებლობა კარგად ჩანს როგორც კრიტიკოსის წერილის სათაურიდან („იდეურად მანკიერი, მხატვრულად მდარე ნაწარმოებები“), ისე მისი ტექსტიდან:

„ბურუსი“ მართლაც ბურუსით მოცული, ბუნდოვანი და ქაოსური სურათია, რომელზეც საბჭოთა სინამდვილე ისეა ასახული, რომ არ მოჩანს არცერთი ნათელი შტრიხი, საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების არცერთი დამახასიათებელი დადებითი ნიშანთვისება, არცერთი ნამდვილად საბჭოთა ადამიანი თავისი კეთილშობილური აზრებითა და გრძნობებით, მაღალი მისწრაფებებითა და საქმეებით.“

„რომანში გამოყვანილი მანკიერი ადამიანების ხროვა მოქმედებს საოცრად იზოლირებულად, საბჭოთა საზოგადოების განვითარების პროცესისგან მოწყვეტილად და გამოთიშულად. ამიტომაც რომანი ცალმხრივსა და, მაშასადამე, ყალბ წარმოდგენას იძლევა საბჭოთა სინამდვილეზე, ჩვენს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობილებაზე.“

„ჟურნალ „მნათობის“ სარედაქციო კოლეგიამ შეცდომა დაუშვა, რომ გამოაქვეყნა ასეთი იდეურად მანკიერი, მხატვრულად მდარე ნაწარმოები.“

ბ. ჟღენტი ასევე მკაცრად მოექცა ოთარის წინა რომანს „ჯებირს“ (1953), ხოლო კიდევ ერთ რომანს „მეჩეჩს“ საქართველოს მწერალთა 1959 წლის ყრილობაზეც გაუკრიტიკებენ და ყველაფერს ამას ს. ჩიქოვანის „მნათობის“ რედაქტორობიდან მოხსნის ერთ-ერთ საბაბადაც გამოიყენებენ.

ზემოხსენებული წერილით წაქეზებულმა რესპუბლიკის პარტიულმა ხელმძღვანელმაც მწვავედ მოსცხო ბელეტრისტს („კომუნისტი“, 1956,20.01).

ინტრიგაში ზოგიერთი მწერალიც ჩაითრიეს.

ო. ჩხეიძე – „კ. კალაძისაგან არ მოველოდი ჩემს წინააღმდეგ გამოსვლას (ჩემს ქვევრთან ბევრჯერ უქეიფია), არადა ყველას გადააჭარბა: დაჩიავებულ ქართველებს გვიხატავსო.

კარლოს ეს ამაგი არ დამვიწყებია და სატირულად გამოუხატე „აღმართ-დაღმართში“.

კარლო თავს იმართლებდა: პირობა დამიდეს – გამოხვალ და დასცხებ, – გაგიყვანთ პრეზიდიუმში, არ გამოხვალ და არ გაგიყვანთო – უთქვამს ვ. ჭელიძისათვის.[24]

მაგრამ ოთარ ჩხეიძეს როგორც დიდი პრობლემების მწერალს, მომხრეებიც და კეთილმსურველებიც არ აკლდნენ, მაგალითად, 1958 წ. 1-2 ოქტომბრის დისკუსიაზე „მეჩეჩს“, როგორც თვით ავტორმა ბრძანა, **„იცავდნენ სიმონ ჩიქოვანი, აკაკი ბელიაშვილი, გიორგი მარგველაშვილი, რევაზ ჯაფარიძე.“**

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ოთარ ჩხეიძეს რომანების სტილს უწუნებდნენ და ეს 1958 წლის ზემოხსენებულ დისკუსიაზეც აღნიშნეს იმავე ბესო ჟღენტმა, გიორგი მარგველაშვილმა, აგრეთვე გრიგოლ აბაშიძემ და არც 1981

წლის ყრილობაზე მოუწონეს დემნა შენგელაიამ, შოთა ძიძიგურმა, რევაზ ჯაფარიძემ. პოეტი ზაურ ბოლქვაძე კი ამ სალაღობო სტრიქონებით გამოეხმაურა: „ეტრფის „ა“-ს ემფატიკურსა – დღეში ათასსაც დახარჯავს, ვთხოვთა ნათელსა ოთარსა ნაწარმოებსა ახალსა!“

ამის მიუხედავად შემდეგი თაობის მწერლებმაც დააფასეს ოთარ ჩხეიძის რომანების ღირსება:

თამაზ ბიბილური: „ო. ჩხეიძის რომანები „ბურუსი“, „მეჩეჩი“, „ბორიაყი“ თავის დროზე გმირობას უდრიდა“.[25]

ო. ჩხეიძემ ორჯერ (1983, 1991) მიიღო მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემია, წარმატებებს მიაღწია დრამატურგიასა და ლიტერატურათმცოდნეობაშიც და კიდევ ერთი საქმიანობით გაითქვა სახელი:

1949 წლიდან გორში, პედინსტიტუტში ლექციების ჩატარებასთან ერთად იქაურ ლიტერატურულ გაერთიანებასაც უძღვებოდა და გამოცემის ნებართვის, ქაღალდის ლიმიტის გამოყოფის არარსებობის მიუხედავად, ალმანახის გამოცემა მოახერხა და ყოველგვარი დანიშნის გარეშე, საზოგადოებრივ საწყისებზე რედაქტორობდა „ცისკარს“ (1957 წლიდან, ამავე სახელწოდების რესპუბლიკური ჟურნალის დაარსების გამო, „მერანის“ სახელწოდებით გამოდიოდა, მას შემდეგ კი, რაც ეს სახელწოდებაც წაართვეს – მწერალთა კავშირის გამომცემლობას „მერანი“ უწოდეს – 1963 წლიდან „ლიახვი“ დაერქვა).

ვახტანგ ჭელიძე: ლიტერატურული საღამოები ოთარ ჩხეიძის ინიციატივით სისტემატურად იმართებოდა გორში – სწორედ მან აღადგინა მეცხრამეტე საუკუნეში დამკვიდრებული და შემდეგ დავიწყებული ლიტერატურული ცხოვრება ამ დიდებულ ქალაქში.[26]

* * *

ოთარ ჩხეიძესთან დაკავშირებით ვახსენეთ – ცოტა გადაჭარბებული მკაცრი ხელმძღვანელობა გამოიჩინაო.

ახალგაზრდობით და გამოუცდელობით მოუვიდა გადამეტება, თორემ მწერალთა კავშირსა და მის აპარატში როგორ არ იყო ნაკლოვანებები, ხოლო მათზე თუ ვსაუბრობთ, მხოლოდ ერთი მიზნით – რომ აღარ განმეორდეს.

ბატონი ოთარის დროინდელი არაა, მაგრამ საერთო სატკივარია ის ორიოდე მაგალითი, რომლებსაც ახლა მოგახსენებთ:

ისეთი თანამშრომელიც გვყოლია, რომელიც უკადრისობდა თავისი მოვალეობის შესრულებას – აქაოდა მწერალთა კავშირის წევრი, უფრო მეტიც, ათი რომანის ავტორი ვარო...

წინა („ქრონიკა") და ამ წიგნს თუ რამე დააკლდა, ან უზუსტობა გაიპარა, ბევრწილად ასეთი თანამშრომლის „დამსახურება" იქნება, რომელმაც ავტორს ჯერ მწერალთა პირადი საქმეებით სარგებლობა ამადლა, შემდეგ კი – სხვების თანდასწრებით და შეურაცხმყოფელად საერთოდ უარი უთხრა...

ამ თანამშრომელმა (ნანა კანდელაკმა) რა უხერხულობაში ჩააგდო ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ამაზე „ქრონიკაში" მოგახსენეთ.

ამ უკიდურესობას ენატანიანობა რომ ემატებოდა და ამას ზოგიერთნი ყურს უგდებდნენ, ასეთი შემთხვევებიც ყოფილა...

შეადარეთ ამას პოეტ **თამაზ ჩხენკელის** მიერ მოყვანილი მაგალითი:

„ნაკადულში" დანიშვნის პირველსავე დღეს არჩილმა (ა. სულაკაური, რ.კ.) კრებაზე მოიწვია თანამშრომლები. სხდომათა ისტორიაში ეს იყო ალბათ ყველაზე ხანმოკლე სხდომა. დირექტორმა ბრძანა: გათავისუფლებთ ენის მოტანისაგან. არცერთ დაბეზღებას არ მოვისმენო და ... კრება დახურულად გამოაცხადა".[27]

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:



მ. ფალავანდიშვილის ძმა, მირანდა ფალავანდიშვილი – გამსახურდია, ალექსანდრე აბაშელი, ქრისტეფორე რაჭველიშვილი (თეთრ პერანგში), კონსტანტინე გამსახურდია.

* * *

„1951-53 წლებში იმ ვაკხანალიის მეოხებით, რომელიც გამართული იყო პრესაში ჩემს წინააღმდეგ, გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ დამირღვია ხელშეკრულება „ვაზის ყვავილობაზე“, სასწრაფოდ დაბეჭდეს „დიდოსტატის მარჯვენა“, იმის ჰონორარი თავად აიღეს. იძულებული გავხდი სახელგამისთვის გადამეცა ხსენებული რომანი. დამიტოვეს 15 ათასამდე ვალი.

ამ ხუთი წლის მანძილზე არც ერთი სტრიქონი არ დაბეჭდილა ჩემი „საბჭოთა მწერალში“

კონსტანტინე გამსახურდია, ლბცსა, 8-1-1921-57

* * *

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ თავმჯდომარე (1951-1953)

გიორგი ლეონიძე (1900-1966)



აქა-იქ გაიგონებდით სამდურავს: საქართველოს მწერალთა კავშირის თითქმის მთელი არსებობის განმავლობაში მისი ხელმძღვანელები დასავლეთ საქართველოდან გამოსული, „ტუნელიდან გამომძვრალი“ მწერლები არიანო. ეს, რა დასამალია, ცოტა აღიზიანებდა აღმოსავლელს (თითქოს დასავლელი მწერალი ქართველი არ იყო!).

ეს ფუნაგორიაც ამაზე უნდა მიუთითებდეს: **მუდამ წყალობს აღმოსავლეთს, დასავლეთზე გამწყრალია.**

მოგვიანებით გურიაში გამართული საოცრად გულთბილი შეხვედრის შემდეგ, დილით, პირის დასაბანად გამოსული ძვირფასი სტუმრის მოსამსახურებლად, პირსახოცითა და წყლით სავსე დოქით ხელდამშვენებულ მასპინძლის მომხიბლავი ქალიშვილისთვის **გიორგი ლეონიძეს** უთქვამს (სიზუსტეს ვერ დავიჩემებ):

— როგორ მოხდა, რომ ამ მშვენიერ კუთხეს დიდი პოეტი არ ჰყავსო.

ქალიშვილს მოხდენილი პასუხი შეუგებებია:

— როგორ! აბა ვისია ილია და აკაკი?! განა თქვენ არ ხართ ჩვენი დიდი პოეტი?!

მაშინ საბოლოოდ დარწმუნდა ბატონი გიორგი, რომ „ტუნელს“ იქითაც ისეთივე საქართველოა, როგორც „ტუნელს“ აქეთო...

თუმცა ხმამაღლა არ ამბობდნენ, ზემოთქმულს მაინც გაეწია ანგარიში და მწერალთა კავშირის გამგეობამ 1951 წლის 22-23 თებერვალს სიმონ ჩიქოვანის გათავისუფლებასთან ერთად „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ თავმჯდომარედ აირჩია პოეტი **გიორგი ლეონიძე**, ჯერ კიდევ სიყმაწვილეში დიდი ვაჟა-ფშაველას მიერ გზადალოცვილი შემოქმედი:

სიჭაბუკის დროს პირველად,
როს ვახილებდი თვალებსა
და ვუცქეროდი მტირალი
სამშობლოს განაწვალებსა –
ვეძებდი აქეთ-იქითა
ქვეყნის დამხმარე ძალებსა,
არავინ უჩნდა დარაჯად
ამ ჩვენს დაჩაგრულს მხარესა,
ვტიროდი უფრო ძალიან,
ცრემლებს ვაფრქვევდი მწარესა...
დღეს, ვხედავ, გაჰმრავლებიან
მშობელ ქვეყანას შვილები,
მტერს არ მისცემენ სათელად
თავის სამშობლოს გმირები,
მირჩება წყლული გულისა,
ვყუჩდები ანატირები.

„განათლება“, 1915. №8-9

ცხადია, ასეთ თანამდებობაზე არჩევისას გაითვალისწინეს გიორგი ლეონიძის ყმაწვილობიდანვე ქართული მწერლობის ერთგული მუშაკობა: ერთ-ერთი საუკეთესო ქართული პოეტური ორდენის „ცისფერყანწელთა“ წევრობა, საქართველოს ისტორიასთან დამაკავშირებლობა – **„შენ ოცნებით თა-**

მარისკენ წახვედი“, „სიძველით დამთვრალი პოეტი“ — ასე მიმართავდა პ. იაშვილი ლექსში „გიორგი ლეონიძეს“ და ესსეში „ყანწელები 1942 წელში“ (იხ. ლალი ავალიანის პუბლიკაცია „ლს“, 2003, №8), მხედველობაში მიიღებდნენ 1916 წელს სანდრო შანშიაშვილთან ერთად თბილისში გამოცემული სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნ. „საფირონის“ რედაქტორობას, კოტე მაყაშვილის მწერალთა კავშირის „ლიტერატურულ ხუთშაბათობათა“ (შემდეგ შაბათობათა), აგრეთვე ესთეტიკისა და პოეზიის აკადემიის საღამოების ხშირ მომხსენებლობას („ყანწელების გერალდიკა“, „ქართული მესიანიზმი“, „პოეტების გენეალოგია“, „სულხან-საბა“...); გაზ „ბახტრიონის“ რედაქტორობას (1920-1923).

საზოგადოებას უნდა ხსომებოდა აგრეთვე მისი სწორ ეროვნულ პოზიციაზე დგომა — **„ინტერნაციონალი კულტურა მძვინვარე ვეშაპივით მოექანება, მას დამოუკიდებელი კულტურა აბრაზებს, ნაცია — ალფა და ომეგა კულტურისა — უარყოფილია“** — ასე წერდა 1920 წლის 3 ოქტომბერს ახალგაზრდა გ. ლეონიძე გაზ. „ინტერნაციონალისტში“.

მით უმეტეს დიდი სახელი მოიპოვა თავისი ბრწყინვალე პოეზიით: 1941 წელს ახალდაარსებული სტალინური პრემია მიანიჭეს პოემისათვის „ბავშვობა და ყრმობა“, შემდეგ კიდევ ორჯერ დაიმსახურა ეს პრემია, 1949 წელს — კინოფილმ „ჯუღლაის ფარის“ სცენარისთვის და 1951-ში — პოემებისთვის „ფორთოხალა“ და „ბერშოულა“.

ამ ბერშოულას შესახებ საინტერესო ჩანაწერია ლევან ასათიანის უბის წიგნაკში:

„გაზ. „კომუნისტის“ ახალი წლის ნომერში დაბეჭდილია გიორგი ლეონიძის პატარა პოემა „ბერშოულა“.

ამბობენ ავტორს ჰონორარად შვიდასი ათასი მანეთი მიულიაო. მწერლები ხუმრობენ: უფრო სწორი იქნებოდა, რომ გოგლას თავისი პოემისთვის სათაური „ბევრშოულა“ დაერქმიაო.

გოგლა ლეონიძე: „ბერშოულას ჰონორარი ჯერაც არ მიმილია, არც თუ ისეთი დიდია ეს ჰონორარი, ვინმეს გაუკვირდეს. მწერლები ხომ ხუმრობენ ჩემზე „ბევრშოულაო“, უფრო სწორი იქნებოდა ეთქვათ ჩემზე, რომ მე „ვერშოულა“ ვარ“.

ახლა კი გავაგრძელოთ საუბარი გიორგი ლეონიძის დამსახურებაზე:

რა თქმა უნდა, ანგარიში გაეწია მისთვის პოეტ-აკადემიკოსის წოდების მიკუთვნებას (1944), ოცი წლის განმავლობაში (1931-1951) თბილისის ლიტერატურული მუზეუმის დირექტორად მოღვაწეობას, ამ მუზეუმის კრებულ „ლიტერატურის მატიანეს“ რედაქტორობას 1940-1950 წლებში.

სწორედ მუზეუმიდან მოვიდა იგი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობაზე.

მას რომ მუზეუმი არ ეთმობოდა, ამას იმდროინდელ მოვლენებთან უშუალოდ დაკავშირებული, გიორგისთან ერთად, მის ხელშესაწყობად მწერალთა კავშირის მდივნად მოყვანილი სერგი ჭილაია ადასტურებს:

„მართლაც, შედგა თუ არა მწერალთა პლენუმი და შევუდექით თუ არა მწერალთა კავშირში მუშაობას, მეორე დღესვე კომიტეტმა საკითხი დააყენა ლეონიძის საქართველოს ლიტერატურული მუზეუმის დირექტორის თანამდებობიდან განთავისუფლების თაობაზე. გოგლას ენანებოდა მუზეუმის დატოვება. მთელი სამი თვე იბრძოლა, მაგრამ კომიტეტმა მიაღწია მიზანს. აწყენინეს, გული ატკინეს პოეტს. ეს უთუოდ შეცდომა იყო, მუზეუმმა ამით ბევრი წააგო. საქმე ის იყო, რომ გიორგი ლეონიძემ ხუთი თითივით იცოდა საქართველოს წარსული და უზომოდ ხარობდა, როცა რაიმე ნივთიერ საბუთს იპოვნიდა საქართველოს წარსულის შესახებ. ყოველ საბუთს, ყოველ ხელნაწერს ელოლიავებოდა, უფრთხილდებოდა და საგულდაგულოდ ინახავდა სეიფებსა და წიგნსაცავებში. დასანანი იყო ასეთი პატრიოტი კაცის ჩამოცილება მისივე შექმნილი მუზეუმისაგან“ („ლს“, 1984, №18).

მუზეუმს ხელიდან რომ არ გაეშვა ორბელიანთა და სარაჯიშვილთა ნაქონი უნიკალური სუფრა, რომელზეც ამ ოჯახის სალონში გამართულ წვეულებებში მიწვეულ XIX საუკუნის გამოჩენილ ქართველთა ხელმოწერა იყო, დაწესებულზე მეტი თანხა გადაიხადა.

ეს ჩაუთვალეს ცოდვად და ამის გამო აუხირდა კულტსაგანმანათლებლო კომიტეტის ხელმძღვანელი.

გასაბჭოებისას გ. ლეონიძეს ძველი მადლი მოჰყვა, მაგრამ ახალმა დრომ ახალი უღმერთობა დაახვედრა (**„ძველი მადლი, ახალი უღმერთობა“ – პაოლო იაშვილი,** „გიორგი ლეონიძეს“, 1919):

კრიჭაში ჩაუდგნენ პროლეტარული მწერლები, რომელთა უნიჭოებას პოეტი ასე გამოეხმაურა: **„ბევრი მუქთად ატრიალებს სიტყვის სანაყელსა“**, რადგან **„გულს ნახმევი არა ჰქონდა და სიტყვას კი ფესვი“** („თბილისელ პოეტებს“, 1929).

1937 წელს დაუხვრიტეს ძმა;

სწორედ ამ ძმის სახელი, ლევანი უკვდავყო გერმანია – საბჭოეთის ომის დროს დაწერილ ერთ-ერთ საუკეთესო, სევდიან სიმღერად გახმიანებულ ლექსში „არ დაიდარდო, დედაო“.*

შემდეგაც არ ასვენებდა ოფიციალური კრიტიკა. აი, რა თქვა 1939 წლის ყრილობაზე საქართველოს კომპარტიის ცკ-ის მდივანმა **ილია თავაძემ** გიორგი ლეონიძის ამ სტრიქონებზე – „რა საჭიროა ლექსისთვის ტაში, ყველა ხევსური, ვიცი, დანტეა“:

„სხვა რომ არ იყოს, ეს არის მსოფლიო ლიტერატურის უდიდესი კლასიკოსის გაბიაბრუება, რაც ზიანის მეტს არაფერს მოუტანს მკითხველს.“

---

* ლევან ნიკოლოზის ძე ლეონიძე დახვრიტეს 1937 წელს (იხ. სტალინის ხელმოწერილი დასახვრეტთა სიები ა. ქურხულის წიგნის „... და რომ გახსოვდეს“ (თბ. 2001) დამატებაში – გვ. 399.

იმ მკითხველს კი, რომელზეც ასე ზრუნავდა ეს პარტიული ფუნქციონერი, დანტეს აგდებად არასოდეს ჩაუთვლია ზემოხსენებული პოეტური სტრიქონები;

არც ზოგიერთი ლიტერატურათმცოდნე და კრიტიკოსი ინდობდა: სასტიკად გააკრიტიკეს მისი პოემა „სამგორი“ („სიმბოლიზმის ნამსხვრევები“ – ასე ჰქვია **გიორგი ჯიბლაძის** წერილს).

და მაინც უაღრესად პოპულარული იყო და არის გიორგი ლეონიძე. **„იგი ყოველთვის ხალხით გარშემორტყმული გამოჩნდებოდა“ (არჩილ სულაკაური,** უბის წიგნაკი), იმიტომ რომ ის სულით ხორცამდე პოეტი იყო, აკი 1921 წელს თქვა მასზე **სანდრო შანშიაშვილმა: „შენ გაჟღენთილი ხარ პოეზიით, ვით ლოთი ღვინით.“**

როცა გიორგის თავმჯდომარედ დანიშვნის საკითხი წყდებოდა, ის კარგად დაახასიათეს **გრიგოლ აბაშიძემ, ლევან ასათიანმა, შალვა რადიანმა.**

საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივნად დანიშნული **აკაკი მგელაძე** კეთილგანწყობილად შეხვდა მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ გიორგი ლეონიძის არჩევას. მას რუსულად წაეკითხა (ის უფრო რუსულად იყო აღზრდილი) და მოსწონებოდა „ბავშვობა და ყრმობა“.

მალე ა. მგელაძე **ალიოშა მირცხულავამ** შეცვალა. როგორც **სერგი ჭილაიამ** 1988 წელს მიამბო, მირცხულავას უთქვამს: ლეონიძე ცუდი მუშაობისთვის უნდა გავუშვაო.

ს. ჭილაიას მიუგია: თუ ამ მიზეზით გაათავისუფლებთ, მეც უნდა გამიშვათ, თუ არადა მდივნად დატოვეთო (ე.წ. მეგრელების საქმის დროს ჩემზე ეთქვა კარგი მუშაკიაო, გადამარჩინა და როგორ შემეძლო ეხლა არ დამეცვაო).

ეს მართლაც ასე მოხდა: 1953 წლის 22 ივნისს გამგეობამ გ. ლეონიძე თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლა და გამგეობის მდივნად გადაიყვანა.

მაგრამ, ეტყობა, სხვა აზრიც ტრიალებდა გიორგი ლეონიძის თავმჯდომარეობიდან გაშვებაში სერგი ჭილაიას როლის შესახებ. ეს ჩანს იმ პატარა ფუნაგორიიდან, რომელიც გალაკტიონს ჩაუწერია:

ბობღანა გოგლა დაათრო
ჭინჭრაქა ჭილაიამა,
შავი ულვაშის ცმაცუნით
გამოუთხარა „იამა“
იმას წიხლი ჰკრა ირაკლიმ,
გადააგდო და იამა,
ესე ამბავი გავლექსე
მარგველაშვილმა გიამა

თავმჯდომარე იყო თუ მდივანი, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითი და მთელი მისი მოღვაწეობა ადასტურებს, გიორგისთვის მთავარი იყო ეროვნული ინტერესების დაცვა.

ასე, მაგალითად, იგრძნო რა ეროვნულ მწერლობათა შევიწროების, „საბჭოთა მწერლობის“ სახელით შენიღბული რუსულ ენაზე წერის პროპაგანდის გაძლიერების ტენდენცია, **გ. ლეონიძემ** (ისე როგორც **ი. აბაშიძემ**) სსრკ მწერალთა მეორე ყრილობის (1954) ტრიბუნიდან განაცხადა:

„სამწუხაროდ მ. შოლოხოვმა არაფერი თქვა ნაციონალურ ლიტერატურათა შესახებ“; „აქამდე რუსული კრიტიკა შედარებით ცოტას ლაპარაკობდა ჩვენი ნაციონალური პოეტების შემოქმედებაზე“.

1957 წლის მიწურულს (06.12) გ. ლეონიძე მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლეს ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორად დანიშვნის გამო (სადაც გარდაცვალებამდე, 1966 წლამდე მოღვაწეობდა), მაგრამ ის სულითა და გულით მწერლობასთან, სამწერლო ოჯახთან დარჩა. ეს ჰქონდა მხედველობაში ვახტანგ გორგანელს, ამ საახალწლო სალაღობო სტრიქონს რომ წერდა: **„ჭუდს ინსტიტუტში დავტოვებ, მე კი მწერლებთან ვიქნები“.**

1959 წელს გიორგი ლეონიძეს საქართველოს სახალხო პოეტის საპატიო წოდება მიანიჭეს. პოეტისადმი პატივისცემა იმაშიც გამოიხატა, რომ ის ოთხჯერ აირჩიეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად (1951, 1955, 1959 და 1963 წლებში).

1960 წელს შეიყვანეს ევროპის მწერალთა ასოციაციაში.

ბოლო წლებში წერს მშვენიერ წიგნს „ნატვრის ხე“.

მიუხედავად დიდების მიღწევისა, სამშობლოს ბედი, მისი მომავალი ადარდებდა, როგორც მაშინ, როცა დამოუკიდებლობამოპოვებულ საქართველოს ასე აფრთხილებდა: **„... წვიმების დროა და ეს წვიმები სისხლისა იქნება. „ტერორი დადის წითელი ჩოხით“....** (1918 წ. გაზ. „საქართველო“).

ამ საფრთხის რეალობად ქცევის უშუალოდ მოახლოების წინაც იყვირა და იბღავლა: **„ინტერნაციონალი კულტურა გველეშაპივით მოექანება, ...ნაცია — ალფა და ომეგა კულტურისა — უარყოფილია!“** („ნაციონალისტი“, 1920. 3.X).

ახლაც საკუთარ და უმეტეს ქართველთა სულისკვეთება გამოხატა თავისი გმირის პირით „ნატვრის ხიდან“:

„ემთხვიენით ქართულ მიწას! აკოცეთ წარსულის ნაშთებს!...

მესხეთი... ჩემი გვარიც იქიდან არის, იქიდან ვართ წამოსულები! სამცხე, აჭარა, შავშეთი, ტაო-კლარჯეთი, ერუშეთი, სრულიად ჭანეთი — საქართველოს ნატამალი! კურთხეული მხარე! არ დაივიწყოთ, საქართველოს მოჭრილი ძუძუ, ჩვენი აკვანი! ქართული სალამით ამოდის იქ მზე, იქ გამოიგონეს ქართველებმა პირველი ფოლადი, იქ დაარტყა პირველად ურო თუბალაურმა!

აწ მტვრად აღგვილან იგი ბალი და იგი ღონე!

....ვაი მამულო, ნაჭირნახულევო, იავარქმნილო, ვაი ძნელბედო, ვაი მამულო გამესამედებულო!

იმარხება საქართველო, იმარხება ქრისტეს კუნძული!

აღსდეგ დედა საქართველოვ! ქაღალდზე მეოცნებეთა დრო წავიდა! საქმეა საჭირო, საქმე!

ქუდზე კაცი! ქუდზე კაცი გამოვიდეს და დავიხსნათ მამული!"

მაგრამ ჩვენ ვერ ვივარგეთ!...თავი შევირცხვინეთ, იმ წინაპართა, მათ შორის, გიორგი ლეონიძის წინაშე, რომელთა შესახებ იგივე ბატონი გიორგი ბრძანებდა:

„ჩვენ რომ ლაჩარი წინაპარი გვყოლოდა და სილაჩრით ჩვენი მამული დაეთმოთ, მტერს გაჰქცეოდნენ, ვინ იცის, ახლა სად ვისხდებოდით ქართველები?"

სამწუხაროდ, სიცოცხლეში არ დადგა გიორგი ლეონიძის ჯერი და მხოლოდ სიკვდილის შემდეგ, 1969 წელს მიაკუთვნეს რუსთაველის პრემია.

ჩემმა თანამშრომელმა, მწერალთა ბიბლიოთეკის უძველესმა მუშაკმა **დოდო (თამარ) ჩიკვაიძემ** მიამბო: მდივნობისას გიორგი ლეონიძე ყოველ თვეში 20-20 მანეთს აძლევდა სიონის მათხოვრებს მარიამსა და ძია ნიკოს (კოჭლი ნიკო). ამ ფულს მე მიტოვებდა, მაკითხავდნენ, წაღება თუ დაუგვიანდებოდათ, ბატონი გიორგი წუხდაო.

1921-53 წლებში გიორგი ლეონიძის ნაწარმოებები ქართულ ენაზე 102 ათასი, ხოლო სხვა ენებზე 900 ათასზე მეტი ტირაჟით გამოვიდა.

იმის მიუხედავად, რომ ცოტა გრძელია, არ შემიძლია არ მოვიყვანო რომან „პირისპირის" ავტორის **ალექსანდრე ჭუთათელის** აზრი ამ დიდებულ პოეტზე:

„გიორგი ლეონიძე წუთისოფლის მოყვარული ჭეშმარიტად ქართველი კაცი იყო. მას თავისი სამშობლო, მშობლიური ხალხი, მისი წარსული, აწმყო და მომავალი, საქართველოს ლამაზი ბუნება უყვარდა, ისე ძალიან უყვარდა რომ გული უკვდებოდა.

გიორგი ლეონიძე ხალხის ენას, ცოცხალი ხალხური პოეზიის წყაროს ეწაფებოდა, იქიდან ჰკრეფდა თვალმარგალიტებს, ათავისებდა, იყენებდა და ჰქმნიდა საკუთარ პოეტურ სახეებს. იგი ქართული ენის მესაიდუმლე გახდა... იგი განუმეორებელ საგალობლებს უძღვნიდა საქართველოს.

მას შვენოდა მშობლიური თავისი ხალხისა და ქვეყნის წინაშე მთელი ომახიანი ხმით ემღერა, ესაუბრა. ეს მისთვის ბუნებრივი, უშუალო რამ იყო. ამის გამო მიენიჭა მას საქართველოს სახალხო პოეტის სახელი“

ამ დიდ ქართველზე საუბარს მეორე დიდი მოღვაწის კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებით ვამთავრებ: „გიორგი ლეონიძე იყო და მუდამ იქნება კეთილშობილების, რაინდობის, პატრიოტიზმის მედაფე და მეხოტბე“.



გალაკტიონი.

ფოტო — მიხეილ კვირიკაშვილისა.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართველი მწერლისთვის ყველაზე დიდი სიკეთე, ყველაზე დიდი და კეთილი ზრახვა სამშობლოს საკეთილდღეოდ ზრუნვა იყო.

სამოციანელებმა ნამდვილი ომი წამოიწყეს ამ მიზნით. იგი დღესაც გრძელდება. ყველა ცოცხალი ქართველი მწერალი ამ ასწლიანი ომის გამგრძელებელია“.

გურამ ასათიანი

* * *

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ მდივანი (1951-1973)

სერგი ჭილაია (1912-1993)



მწერალთა კავშირის ახალ თავმჯდომარესთან **გიორგი ლეონიძესთან** ერთად გამგეობის 1951 წლის 23 თებერვლის დადგენილებით მწერალთა ორგანიზაციას, **ოთარ ჩხეიძის** მაგივრად, ახალი პასუხისმგებელი მდივანიც **სერგი ჭილაიაც** მოევლინა, თანაც როგორც შემდეგ აღმოჩნდა, იქ დიდი ხნით, 22 წლით დამკვიდრდა.

მისი არჩევისას ის კარგად დაახასიათეს პოეტებმა **შალვა აფხაიძემ** და **ვიქტორ გაბესკირიამ**. სერგი იყო პარტიულ სამუშაოზე წრთობაგამოვლილი

(1944-1951 წლებში იყო კომპარტიის ცეკას მუშაკი, მეცნიერებათა აკადემიის პარტორგანიზაციის ხელმძღვანელი).

გალაკტიონმა ხომ კარგად იცოდა – ვითომ არჩეულ ხელმძღვანელებს, პარტია ნიშნავდა. სწორედ ამით გაღიზიანებულს ჩაუწერია: **„რაკი დაგვისვეს წინ ჭილაია, უნდა ავიღოთ ჭინჭილაია“**

მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ სერგი იყო ქართული მწერლობის პრობლემების კარგი მცოდნე კრიტიკოსი. მას მწერალი ყოველთვის ნახავდა თავის სამუშაო კაბინეტში, აღმოსავლურად გაწყობილ ოთახში. გამონაკლისი იყო ლექციების ჩასატარებლად უნივერსიტეტში წასვლა, საიდანაც უკან ბრუნდებოდა.

მის კაბინეტში ხშირად იმართებოდა საუბარი ქართული მწერლობის საჭირბოროტო საკითხებზე...

მწერალთა კავშირში მუშაობის პირველსავე წლებში სერგი ჭილაიამ შექმნა „ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარების გზები“, მაგრამ სულ ძალე, 1953 წელს გამოცემულ, სტალინისა და ბერიას ციტატებითა და სოციალისტური რეალიზმის დოგმებით გაჯერებულ ამ წიგნს გადამუშავება მოუწია, ისევე როგორც ცოტა ხნის წინ მოუხდა დიამეტრალურად შეეცვალა მისი ასეთი შეხედულება ილია ჭავჭავაძეზე:

„მაშინ, როდესაც ილია დინჯად იჯდა და სწერდა „ოთარაანთ ქვრივს“, ადგენდა კლასთა შერიგების თეორიას და ოცნებობდა „ჩატეხილი“ ხიდის „გამთელებაზე“ თავისი კლასობრივი პოზიციების შენარჩუნებისთვის, თავისი კლასის გადარჩენისთვის, ამ დროს ეგნატე მშრომელთა მძიმე ხვედრით „უკულმართად“ მოწყობილ ცხოვრებისგან განაწამები, სოფლის, ხალხის მასწავლებელი ისლით დახურულ ქოხში ოდნავ მბჟუტავ ჭრაქის სინათლეზე თავის საყვარელ გმირებს, ძალაძეებს, მცირეშვილებს, უიშვილებს და მუნჯაძეებს აქანდაკებდა და მასში აქსოვდა თავის იდეას, ნათელი გონე-

ბით უთითებდა გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლაზე, მშრომელთა განთავისუფლებას ბრძოლაში — რევოლუციაში ხედავდა და აქეთკენ მოუწოდებდა თავის გმირებს".

„როდესაც ბანკის დირექტორი (ილია) აზნაურების და თავადების გაერთიანებულ სხდომაზე არკვევდა, თუ როგორ შეიძლება შეინარჩუნოს მიწა თავადაზნაურობამ, მაშინ მშრომელთა საყვარელი მწერალი, ეგნატე, ჯურღმულებში იჯდა და მშრომელთა განთავისუფლების საქმეს პრაქტიკულად აწყობდა, რევოლუციონური მოძრაობის ორგანიზაციისთვის ზრუნავდა".[28]

ახლა დავუბრუნდეთ ბატონ სერგის მწერალთა მესვეურად მოსვლას.

როგორც **ნიკა აგიაშვილის** სკივრი იუწყება, კარლო კალაძეს სერგი ჭილაიას მდივნობის გამო მწერალთა კავშირისათვის „საჭილაო" შეურქმევია, — საჭილაოდან მოვდივარო — იტყოდა თურმე.

ჯერ კიდევ 1959 წლის ყრილობაზე მდივნად ხელახლა დატოვებულ სერგიზე **ვეფხია გაფრინდაულს** (კარლო კალაძე) უთქვამს: **„კრიტიკულად მიდის წლები, მაინც არა ვხუნდები, მდივნად მოველ ყრილობაზე, კვლავ მდივანი ვბრუნდები."**

რას იფიქრებდა მაშინ ამ სალაღობო სტრიქონების ავტორი, სერგის კიდევ სამ ყრილობაზე აირჩევდნენ მდივნად და **ზაურ ბოლქვაძე** „გამუდმებულ მდივანს" შეარქმევდა.

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში მოღვაწეობის განმავლობაში 1960 წელს **სერგი ჭილაია** ევროპის მწერალთა ასოციაციის წევრად აირჩიეს, მეცნიერების დოქტორი გახდა (1962), 1968 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის გამგეა, 1971 წელს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიაკუთვნეს..

სერგი ჭილაიაზე კიდევ გვექნება საუბარი მწერალთა კავშირის ხელმძღვანელად ირაკლი აბაშიძის განმეორებით მოსვლის და ელგუჯა მაღრაძის მდივნობაზე საუბრის დროს.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„ახალგაზრდულ ჟურნალს დაარსებიდანვე ბევრი ბოროტი მტერი და ავისმოსურნე გამოუჩნდა და ისინი ყოველგვარი უკადრისი ხერხებით ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მუშაობაში, რედაქციის თანამშრომლებისთვის სიცოცხლე გაემწარებინათ“.

გაბტანგ ჭელიძე, „ცისკრის“ პირველი მთ. რედაქტორი 1957-1962 – ჟურნალის მე-40 წლისთვის მიძღვნილი ნომერი 1997.

„სულ პირველი ნომერი „ცისკრისა“, იმ ახალგაზრდული ჟურნალისა, რომელიც ომამდელი „ჩვენი თაობის“ აღდგენად იყო ჩაფიქრებული და რომლის დაფუძნებასაც 1957 წლამდე არა და არ დაადგა საშველი... აიკრძალა და მის ნაცვლად სხვა გამოვიდა.

... ის ეგზემპლარი რამდენიმე კაცს გარდა არავის უხილავს... უკვე ყდა იძლეოდა იმის საფუძველს, რომ განგაშის ზარი დაერისხებინათ: გაკრული, არასტანდარტული ხელწერით შესრულებული სახელწოდება – „ცისკარი“, არატრადიციული, არაფოტოგრაფიული ჩანახატი უნივერსიტეტის შენობისა ... ალექსანდრე ბანძელაძისა..

...ახლა შინაარსი?

... რაც ყველაზე საგანგაშოა, აშკარად შეიმჩნევა სხვადასხვა დარგის ინტელიგენტთა (მწერლები, ლიტერატურისმცოდნეები, ფილოსოფოსები, კინომცოდნენი, მხატვრები...) ერთობ საეჭვო თავმოყრა და შეკავშირება: ორი რეპრესირებული მწერალი. არასტანდარტულად მოაზროვნე ახალგაზრდა პროზაიკოსები, პოეტები, კრიტიკოსები, ფილოსოფოსები, ფორმალისტური გადახრებისთვის არაერთგზის მხილებული მხატვრები, იდეოლოგიურად მიუღებელი, ლამის აკრძა-

ლული რუსი პოეტი, ხოლო ამათ უკან – მათნაირების მთელი დასი...

ჩემი ფიქრით, უმთავრესი სწორედ ის იყო:

არასტანდარტულად მოაზროვნე ინტელიგენტთა თავმოყრა და შეკავშირება, რასაც სოციალისტური სამშობლოსათვის ერთობ სახიფათო შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა. ამიტომ სადღაც, თვალშეუდგამი პარტიული იერარქიის რომელილაც საფეხურზე გადაწყდა: ამ ხალხს ახლავე თუ არ ვასწავლეთ ჭკუა, მერე გვიან იქნებაო.

საბაბად გამოყენებული იქნა საეჭვოდ დიდად განსწავლული და საეჭვოდ არასტანდარტული ფილოსოფოსის ზურაბ კაკაბაძის წერილი „საუბარი ხელოვნების ზოგიერთ საკითხზე“...

ავის მოსურნენი უკვე საკმაოდ ჰყავდნენ „ცისკარს“, ჯერაც სამზეოზე გამოუსვლელ ჟურნალს... ამდენად არასტანდარტულად მოაზროვნე ხალხის თავმოყრა იდეოლოგიურ საფრთხეს გვიმზადებსო უეჭველად.

... რედკოლეგიის წევრებს გააცნეს ნოდარ დუმბაძისა და ედიშერ ყიფიანის იუმორისტული მოთხრობა „ფართოდ დავნერგოთ ტექნიკა ლიტერატურაში“.

ტრიბუნასთან დადგმული მანქანიდან ისმის რეპლიკა, ცნობილი კრიტიკოსის სახელი და მასზე ნათქვამი „თავი თივით გატენილი აქვსო!“


„ცნობილი კრიტიკოსი გამძვინვარებული ბობოქრობდა და სხვათაც აგულიანებდა. გამოგვიძახეს და ფიცხელი განკარგულება მოგვცეს: კაკაბაძის წერილი ამოიღეთ და ჟურნალის ყდაც შეცვალეთო!

... ამგვარი სტატიის გამო ლამის იყო მიახურეს ჯერაც სამზეოზე გამოუსვლელი ჟურნალი“.

რევაზ თვარაძე, „ცისკრის“ პირველ დღეებში

* * *

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ პირველი მდივანი (1953-1964); თავმჯდომარე (1964-1967) ირაკლი აბაშიძე (1909-1992)



მწერალთა კავშირის ხელმძღვანელად **გ. ლეონიძის** მოსვლიდან ორი წლის შემდეგ, 1953 წლის 22 ივნისს, გამგეობამ მის განთავისუფლებასთან ერთად თავმჯდომარეობაც გააუქმა და მწერალთა კავშირის მთავარი ხელმძღვანელის თანამდებობას პირველი მდივანი უწოდა.

გ. ლეონიძე უპირველესად მაინც პოეტი იყო, თანაც ღვთიური მადლით ცხებული და, ალბათ ცოდვა იყო მწერალთა მრავალრიცხოვანი არმიის პროფესიულ-შემოქმედებითი (ბეჭდვა, გამოცემა...) თუ მათი საყოფაცხოვრებო საწუხარის მოგვარების ჯვარზე გაკვრა ისეთი შემოქმედისა, რომლის გული და გონება მთლიანად პოეტურ ქმნილებებზე ფიქრით იყო მოცული.

ცოდვა იყო იმ შემთხვევაშიც, თუ მას ეყოლებოდა ყველა ამ პრობლემის მოგვარებაში კარგად გარკვეული ისეთი თანაშემწე, როგორიც **ს. ჭილაია** იყო, რადგანაც ყველა მწერალი და სხვა მთხოვნელი სწორედ მწერალთა ორგანიზაციის პირველი და მთავარი ხელმძღვანელისგან ელის თავისი საკითხის გადაჭრას.

თანაც ყველას არ ეხერხება ერთმანეთთან შეათავსოს შემოქმედებითი მოღვაწეობა და ორგანიზატორული მუშაობა, ყველას არ შეუძლია თავისი ძვირფასი შემოქმედებითი დრო

და ენერგია დაუთმოს პრაქტიკულ-პროზაული ყოველდღიური საქმის მოგვარებას.

ალბათ ყველაფერი ამის გამო მოხდა, რომ გიორგი ლეონიძემ ერთხელ ასეთი უხერხული გადაწყვეტილება მიიღო: 1952 წელს მისი წინადადებით მწერალთა კავშირის პრეზიდიუმში შეიყვანა ახალგაზრდა მწერალი **ვანო ურჯუმელაშვილი**, რომელიც ამ დაწინაურებამდე ორი დღით ადრე გახადეს მწერალთა კავშირის წევრი...

ს. ჭილაიას ნაამბობიდან: როცა დადგა საკითხი გიორგი ლეონიძის შემდეგ ვინ უნდა ყოფილიყო თავმჯდომარე (უნდოდათ კომკავშირის აღზრდილი), საქართველოს კპ ცკ-ის მდივანს **ალიოშა მირცხულავას** სერგისთვის შეუჩივლია: ჩემი ბიძაშვილი ალიო შემიჩნდა — დამნიშნეო.

სერგის უთქვამს: დაგწამებენ — მხარს მეგრელებს უჭერსო. პარტიული ხელმძღვანელი თავადაც გრძნობდა, რომ ეს არ ივარგებდა (ახალდაჯილდოებულ და იუბილეგადახდილ ალიოს, ცხადია, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში დაბრუნების პრეტენზია ექნებოდა).

როდესაც უკითხავთ კავშირის ხელმძღვანელად ვინ ივარგებსო, ირაკლი აბაშიძეო — უპასუხია სერგი ჭილაიას.

ამ დროს ცკ-ის პირველი მდივნის მოსაცდელში **ირაკლი აბაშიძესთან** ერთად, როგორც შესაძლო ხელმძღვანელები, გამოძახებული ყოფილან **ილო მოსაშვილი** და **კონსტანტინე ლორთქიფანიძე**...

მაგრამ გაკეთდა სწორი არჩევანი — 1953 წლის 22 ივნისიდან მწერალთა კავშირის **პირველ მდივნად**, თანაც კარგა ხნით, მწერალთა შემოქმედებითი ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში მეორედ მოვიდა პოეტი **ირაკლი აბაშიძე** (გამგეობის დადგენილებით 1964 წლის 24 დეკემბრიდან მას **თავმჯდომარე** ეწოდა).

ამ ხანგრძლივად მოსვლასთან (1967 წლამდე) დაკავშირებით უნდა გავიხსენო ერთი ამბავი: 1963 წელს საქართვე-

ლოში მეორედ ჩამოსულ ამერიკელ მწერალ **ჯონ სტეინბეკს** ირაკლი აბაშიძისათვის უთქვამს: „ეს საიდუმლო ვერანაირად ვერ ამიხსნია – 10 წელიწადი როგორ სძლებ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედო (იხ. ვახტანგ ჭელიძის მოგონება, „ლს“, 1996, №24).

არადა, ამის შემდეგ ირაკლი კიდევ ოთხი წელი თავმჯდომარეობდა!

დიახ, მეორედ მოევლინა, რადგან, შეგახსენებთ, პირველად ის მწერალთა კავშირს, სულ ახალგაზრდა, 1939-1944 წლებში ხელმძღვანელობდა, შემდეგ მწერალთა კავშირის უპირველეს ჟურნალ „მნათობს“ ურედაქტორა 1946-1953 წლებში და იქიდან მწერალთა კავშირს დაუბრუნდა როგორც პირველი მდივანი.

ირაკლი აბაშიძესთან, როგორც მწერალთა შემოქმედებითი ოჯახის ხელმძღვანელთან, დაკავშირებულია უშუალოდ მისი თაოსნობით და მონაწილეობით გამართული რამდენიმე საყურადღებო ღონისძიება:

პირველი დიდი და კეთილი საქმე, რაც **ირაკლი აბაშიძემ** გააკეთა, იყო საქართველოს კპ ცკ-ის ახალდანიშნულ პირველ მდივანთან **ვასილ მჟავანაძესთან** იმთავითვე კეთილგანწყობილი ურთიერთობის გამოყენებით 1937 წელს უღმერთოდ გამეტებული ჩვენი სამი საუკეთესო მწერლის **მიხეილ ჯავახიშვილის, ტიციან ტაბიძისა** და **პაოლო იაშვილის** საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი პირველი რეაბილიტაციის მიღება, რომლის საბუთებმა სწორედ რომ დროზე მოუსწრო თბილისში მწერლების მეოთხე (საერთო ათვლით –XI) ყრილობის (1954.30.06-03.07) გახსნას, წინა დღეს მიიღეს და ამ ფორუმზე გამოცხადდა (აქვე უნდა ჩავურთოთ, რომ მწერალთა კავშირის 14-წლიანი ხელმძღვანელობიდან ირაკლის გაშვებაც იმავე ვასილ მჟავანაძესთან და მის გარემოცვასთან

ურთიერთობის გაფუჭებას მოჰყვა, რაზე საუბარიც ელგუჯა მაღრაძის მდივნობისას გვექნება);

იმავე 1954 წელს „ლიტერატურნაია გაზეტაში“ **ი. სტალინის** გარდაცვალების შემდეგ **ირაკლი აბაშიძემ** პირველად ახსენა 1937 წლის მსხვერპლთა გვარები, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა;[28ა]

ამავე წლის ბოლოს (15-26.XII), სსრკ მწერალთა კავშირის დამფუძნებელი (პირველი) ყრილობიდან ოცი წლის შემდეგ გამართულ საბჭოეთის მწერალთა მეორე ყრილობის ხელმძღვანელებს მოსთხოვა: ეროვნული მწერლობის ისტორიისთვის ჩაბარების ნაცვლად **„ჩვენმა ყრილობამ, წარმოადგენს რა საბჭოთა ლიტერატურის საყოველთაო სახალხო დათვალიერებას, უნდა გვიჩვენოს რა განძი შეაქვს ყოველ ცალკე სოციალისტურ ერს სულიერ ღირებულებათა ჩვენს საერთო საგანძურში“**;

ირაკლი აბაშიძის მოთავეობით (პრეზიდიუმის დადგენილება, 1955.23.03) 1955 წლის 23 მაისს თბილისში, ოპერის თეატრში ჩატარდა ჩრდილოეთ კავკასიელი და ქართველი ხალხების მწერალთა დიდებული ლიტერატურული საღამო, რამაც ამ მწერლებში მადლიერება და კმაყოფილება გამოიწვია (სამწუხაროდ, მეორე ასეთი საღამო, რომლის მზადება ჩვენი მხრიდან წლების განმავლობაში მიმდინარეობდა, ვეღარ გაიმართა – საბჭოური იმპერიისა და კომუნისტური იდეოლოგიის გამტარებელი საკავშირო მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებს არ მოეწონათ მათი გვერდის ავლით ჩატარებული ეს ღონისძიება, რაშიც კავკასიის ხალხთა შემაშფოთებელი კონსოლიდაცია დაინახეს);

გამოსვლა დაიწყო მწერალთა კავშირის უმნიშვნელოვანესმა ჟურნალებმა „ცისკარმა“ და „ლიტერატურნაია გრუზიამ“ (ორივე 1957 წლიდან);

ბრძოლა გამოეცხადა **აგაევშჩინას** – ენების, ერებისა და მათი მწერლობების რუსულ ენასთან და რუსეთთან ასიმილი-

რების იდეოლოგიას. ამ ბრძოლაშიც **ირ. აბაშიძე** პირადად მონაწილეობდა;

1960 წ. ირაკლი აირჩიეს ევროპის მწერალთა ასოციაციის წევრად;

1961 წელს პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთგვარი თავისუფლების დაშვების დროს, **ირაკლი აბაშიძის** თაოსნობით აღდგა 1920 წელს ჩვენი ცისფერყანწელების, კერძოდ მათი ერთ-ერთი ლიდერის **პაოლო იაშვილის** წინადადებით დაწესებული (შემდეგ ქართველი ბოლშევიკების მიერ აღკვეთილი) დღესასწაული და ერთდროული გაზეთი **„პოეზიის დღე“.**

ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია არ ვთქვა შემდეგი: როცა კომუნისტების მიერ აკრძალული „პოეზიის დღის“ აღდგენა მოინდომეს, მწერლებმა რუსების მაგალითი მოიშველიეს, თითქოს არა მარტო ჩვენში, არამედ მსოფლიოში პირველებმა ქართველმა პოეტებმა არ დააწესეს ეს დღესასწაული და ერთდროული გაზეთი „პოეზიის დღე“. ამას ქვია მამის სული დავიწყებოდათ და მამინაცვალს ფიცულობდნენო, ანდა თურაშაულის პატრონი ტყეში დაეძებს პანტასო;

1965 წლის 25 ივლისს მწერალთა კავშირისა და მისი თავმჯდომარის ირაკლი აბაშიძის ხელმძღვანელობით გაიმართა ვაჟა-ფშაველას დიდი და დიდებული იუბილე – დაბადების 100 წლისთავი;

რუსთაველის მეორე დიდი იუბილეს მომზადებასა და ჩატარებასაც ირაკლი აბაშიძე ხელმძღვანელობდა, რუსთაველის პრემიის დაწესებაც მისი თაოსნობით მოხდა და ეს პრემიაც ერთ-ერთმა პირველმა მიიღო (1965).

1966 წლიდან ირაკლი აბაშიძე ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემის საქმეს აგვარებს და ხელმძღვანელობს, როგორც მთავარი რედაქტორი. ამ დროს ის კარგა ხნის წინ (1960) არჩეული იყო პოეტ-აკადემიკოსად, 1970-1976 წლებში იყო მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენ-

ტი, უფრო გვიან სოციალისტური შრომის გმირი (1979) და თბილისის საპატიო მოქალაქე (1980) გახდა.

ამ წლებშიც აქტიურ პოეტურ შემოქმედებას ეწეოდა, რისთვისაც კიდევაც აფასებდნენ. სამჯერ მოიპოვა პრემია: მწერალთა კავშირის ყოველწლიური (1978, 1980) და „ხუთწლედის მატიანისა“ (1982), რასაც 1986 წელს, დაემატა ყოველი პოეტისთვის ასე სანატრელი გალაკტიონ ტაბიძის პრემია.

ერთხელ ბატონი ირაკლი გვარიან უხერხულობაში ჩააგდეს. ეს მაშინ მოხდა, როდესაც გამოაქვეყნეს ბროშურა „ირაკლი აბაშიძე საქართველოს საისტორიო საზოგადოებაში“, რამაც გამოიწვია **ჯანსულ ღვინჯილიას** წერილი „ჩვენი დუმილის პასუხად“ („ცისკარი“, 1983. №9), მიმართული იმ დროის საქართველოში საკმაოდ გავრცელებული, არასასურველ ზღვრამდე მისული კომპლიმენტარულობის წინააღმდეგ.

როდესაც ამ არაჯანსაღ მოვლენასთან შებრძოლების ნაცვლად ზოგიერთებმა ეს ბროშურა მხოლოდ ირაკლის პიროვნების შელახვად მიიჩნიეს, თანაც სხვა არაკეთილსინდისიერი საქმეებისთვის გამოყენება სცადეს, ამას ერთ-ერთ სხდომაზე წინ აღუდგნენ ჩვენი მწერლები:

ჯანსულ ღვინჯილია — „... მე მაწუხებს არა ის, რომ პირადად მე დამესხნენ თავს. იმ ბროშურას არ გაუვლია „მთავლიტი“ და ამის გამოქექვას აპირებენ, უნდათ მეცნიერებს დაესხან თავს და ა. შ. არ მინდა ეს მოხდეს...“

თამაზ ჭილაძე — „ეს წერილი საჭირო იყო, მაგრამ კამათი არ უნდა გაგრძელდეს, არ უნდა იქცეს ხელმოცარული ხალხის არენად“.

შოთა ნიშნიანიძე — ამასვე ამბობს

ჯანსულ ჩარკვიანი — „... უნდა ითქვას, რომ ეს პირადად ირაკლის წინააღმდეგ არაა მიმართული...“

ნოდარ დუმბაძე (მწერალთა კავშირის თავმჯდომარე) — **„ტენდენცია აბსოლუტურად სწორია. იქნებ არ იყო საჭირო**

ირ. აბაშიძით დაეწყო, მაგრამ ეს იყო წიგნი და ამიტომ მოხდა...“

და თუ ეს გავიხსენე, უფრო თანამედროვეთა საყურადღებოდ, ახლაც ვიცი მინიმუმ ერთი საზოგადოება, სადაც გამეფებულია მაამებლობა, წრესგადასული ქება-დიდება...

ბოლოს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ირაკლი აბაშიძე ოთხ-ოთხი მოწვევის დეპუტატი იყო სსრკ (1954-1966) და საქართველოს უმაღლესი საბჭოებისა (1971-1984).

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებისთვის თავსატეხად იქცეოდა ხოლმე ავტორებისგან ნაჩუქარი წიგნები, რადგან მათში თითო-ოროლა ბრწყინვალე, ოდნავ უფრო ბევრ კარგ თხზულებებთან ერთად გაცილებით მეტი იყო საშუალო ნიჭისა და სინჯის, კიდევ უფრო ჭარბობდა დაბალი დონის თუ გრაფომანების წიგნები, რომლებსაც თავმჯდომარესა და მდივნებს იმ იმედით უძღვნიდნენ – იქნებ არ დაგვივიწყონ და მოხსენებებსა თუ წერილებში ორიოდე სიტყვით გვახსენონ, ბოლოს და ბოლოს ჩამონათვალში მოგვახვედრონ ანდა პრეზიდიუმში თუ არა, გამგეობაში შეგვიყვანონ, თუ ღმერთი გაწყრა, სარევიზიო ან რომელიმე კომისიაში მაინც არ გამოგვტოვონ, რაღაც პრემია შეგვახვედრონ, ჯანი გავარდეს, წიგნის გამოცემის გეგმაში, ბინის, ავტომანქანის თუ ავეჯის განაწილების სიებში შეგვიტანონო...

ბოლოს იმდენი წიგნი უგროვდებოდათ, კაბინეტში ყველა უჯრა გაივსებოდა, სახლშიც ტევა აღარ იყო...

და დგებოდა გაცხრილვის დრო. ბევრჯერ ჩამოუგზავნიათ ჩვენს ბიბლიოთეკაში ასეთი, დანანებით, მაგრამ მაინც მოსაცილებლად გამეტებული წიგნები, თანაც თხოვნა მოუყოლებიათ: არ დაგვღუპოთ, წარწერები ისე ამოჭერით, არავინ ნახოსო. ჩვენც სინდისის ქენჯნის გარეშე ვასრულებდით ამ დავალებას, რადგანაც მიგვაჩნდა, რომ აქ წაუკითხავად გდებას ჯობდა ქალაქისა თუ სოფლის ბიბლიოთეკებისათვის გადაგვეცა, სადაც მკითხველის გამოჩენის მეტი ალბათობა იყო.

ასეთი, მოსაშორებლად გასამეტებელი წიგნების გადარჩევის ერთი შემთხვევა დაკავშირებულია ირაკლი აბაშიძის თავმჯდომარეობასთან.

ერთხელ მან მწერალთა ბიბლიოთეკის თანამშრომელს დოდო ჩიკვაიძეს თხოვა: იქნებ ბინაში წიგნები დამილაგო, თორემ რაც მესაჭიროება, იმას ვერ ვპოულობო.

და აი, ირაკლი ახარისხებს, ცხრილავს, დოდო კი ანბანზე ალაგებს და სიას ადგენს.

თურმე მოსაცილებელი წიგნების დიდი გროვა დახვავდა. ამ დროს ირაკლის სტუმრებია ერთი, მასთან გაშინაურებული მწერალი, რომელიც ჯერ კიდევ ქუთაისიდან იცნობდა და ირაკლის თავის მეგობრად ეძალებოდა.

სტუმარმა დაზვინულ წიგნებს ანგარიშმიუცემლად გადაავლო თვალი და უცებ მაინცდამაინც ირაკლისთვის ნაჩუქარი საკუთარი წიგნი შერჩა ხელში.

— ირაკლი, ეს რა არის, ასე აგდებ ნაჩუქარ წიგნებს?.. — უკითხავს მამია ასათიანს.

როგორც ასეთ შემთხვევაში უხერხულობაში ჩავარდნილ ხელმძღვანელთა უმეტესობა იქცევა, ირაკლიმაც ბრალეულობის მთელი სიმძიმე თანამშრომელზე გადაიტანა:

— დოდო, ეს როგორ მოგვივიდა?!

დოდო შეცბა, შეჩერდა და თუმცა რაჭველია, მაინც გვარიანი ადრე მოეგო გონს:

— ბატონო ირაკლი, ორი ასეთი წიგნი შემხვდა, ამიტომაც ერთი გადავდეო...

ირაკლი ხელად ჩაებღაუჭა მაშველ რგოლად გადაგდებულ მეორე წიგნის არსებობის ვერსიას:

— ჰო, ჰო, ორი, ორი იყო...

ასე დაკმაყოფილდა ავტორის პატივმოყვარეობაც, ირაკლის უხერხულობიდან თავის დახსნის სურვილიც და დოდო ჩიკვაიძის ცდაც — ორჭოფული მდგომარეობიდან გამოეყვანა მწერალთა თავმჯდომარე.

სადილობისას, თავად უხერხული მდგომარეობიდან ღირსეულად გამოსვლის ოსტატს (ტყუილად იყო ხონელი?!), ირაკლის არ შეიძლებოდა არ აღენიშნა დოდოს მოხერხებულობა. აკი უთქვამს: რანაირი რაჭველი ხარ, ასე უცებ როგორ მოიგონე ორი ერთნაირი წიგნის არსებობაო...

ირ. აბაშიძის, როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, მოღვაწეობა კი 1967 წელს, ხელმეორედ არჩევიდან 14 წლის შემდეგ დამთავრდა (ამას თუ ადრინდელი ხელმძღვანელობის 4 წელს მივუმატებთ, გამოვა 18 წელი).



ირაკლი აბაშიძე

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

უნიჭოების, გრაფომანთა და მოხერხებულთა წიგნები ირაკლის დროსაც იბეჭდებოდა („გამოვიდა წიგნები სახელგანთქმულ ციგნების“ – ლადო ასათიანი), მერე და მერე კი ცენზურისგან თავდახსნილი, მაგრამ შინაგანი ცენზურის არმქონე ფულიანების უგვანი და უგერგილო წიგნები მოსკდა და მოზღვავდა.

ამან, ბუნებრივია, პოეტები გააღიზიანა:

„რა ვუყო, რომელ თაროზე შევდო
ერთად შეყრილი – ამდენი ფსევდო,
გადალუქული ყდა და სუპერი,
მოდექ, სუყველას სული უბერე,
ბრწყინავს ვარაყი თავსართის, ყუის,
გასვლია ვადა, ულმერთოდ ტყუის“

ეშხარ კვიტაიშვილი, *კვირადღე ანუ ბიბლიოთეკის გადახარისხება, 1975.*

ძვირფასი ყდების იმატა ფასმა,
მკვდრადშობილ ტექსტს კი – რაც მართალია,
როგორ „კუბოშიც“ არ უნდა ჩასვა,
ვერ გააცოცხლებ, მკვდარი მკვდარია

ვანო ჩხიკვაძე, *წიგნის მაღაზია, „ჩვენი მწერლობა“, 2011. №12*

* * *

1 ივნისი 1961 წ. ვარშავაში 50 ქალაქის წარმომადგენელთა საერთაშორისო კონფერენციის მონაწილეები.

*ფოტოზე ვხედავთ: ქალაქ ბრესტის – ბელორუსიის, ქალაქ ბრნოს – ჩეხოსლოვაკიის, ქალაქ ვოლგოგრადის – რუსეთის, ქალაქ ვროცლავის – პოლონეთის, ქალაქ ვოლოგდის – რუსეთის, ქალაქ ვოლგოგრადის – რუს

* * *

ვიდრე **ირაკლი აბაშიძესთან** ერთად მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში მოსული მდივნების მოღვაწეობას შევეხებოდეთ, უნდა მოვიხსენიოთ ის თანამშრომლები, რომლებსაც თავიანთ მუშაობაში თავმჯდომარე და მდივნები ყველაზე მეტად ეყრდნობოდნენ.

ესენი იყვნენ ლიტერატურის კონსულტანტები.

რა თქმა უნდა, სხვა შემთხვევაში, თითოეულს მეტი ყურადღების დათმობა ეკუთვნის, მაგრამ აქ, კაზმული სიტყვის ამ ოსტატთა დასახელებით უნდა დავკმაყოფილდეთ.

ამრიგად, მწერალთა კავშირში ლიტერატურის კონსულტანტებად მოღვაწეობდნენ: **ალექსანდრე აბაშელი, შალვა აფხაიძე, გივი გეგეჭკორი, ლავროსი კალანდაძე, ემზარ კვიტაიშვილი, მარიჯანი, გიორგი შატბერაშვილი, შოთა ნიშნიანიძე...**

ირაკლი აბაშიძესა და სერგი ჭილაიასთან ერთად მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნებად მოღვაწეობდნენ:

ა) გიორგი ლეონიძე

თავმჯდომარეობიდან მდივნად გადაყვანილი ეს გამოჩენილი პოეტი და საზოგადო მოღვაწე ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1957 წლის 6 დეკემბრამდე, როცა პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორად დანიშვნასთან დაკავშირებით.

ბ) ბესო ჟღენტი

ცოტა ხანში, 1958 წლის 29 აპრილს, გამგეობამ გ. ლეონიძის გამოთავისუფლებულ ადგილზე გამგეობის მდივნად აირჩია კრიტიკოსი ბესარიონ (ბესო) ჟღენტი, ადრე (1933.05.10 –1934.05.04 და 1934.19.09–1938.31.08) „სა-

ქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ გამგეობის მდივნად ნამოღვაწარი.

მდივნად არჩევამდე ბესო 1947 წლიდან ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობდა. მართალია, ის ინსტიტუტიდან განთავისუფლდა, მაგრამ დარჩა იქაური სამეცნიერო საბჭოს წევრად, აგრეთვე ქართული ლიტერატურის ისტორიის ექვსტომეულის ერთ-ერთ შემდგენლად.

ინსტიტუტის ახალ დირექტორს **გ. ლეონიძეს** ძალზე ეძნელებოდა ამ გამოცდილი მუშაკის გაშვება, სულ ცდილობდა დაებრუნებინა და ეს მართლაც მოხერხდა 1964 წლის 10 ნოემბრიდან — ბესო მდივნობასთან ერთად ინსტიტუტში საბჭოთა ლიტერატურის განყოფილების ხელმძღვანელობას შეუდგა.

მწერალთა კავშირში ბესოს ბევრ სხვა რამესთან ერთად საქლიტფონდის მეურვეობაც დაევალა — იგი ლიტფონდის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს.

მდივნად ხელახლა მოსვლამდე ბ. ჟღენტის მოღვაწეობიდან აუცილებლად გასახსენებელია რამდენიმე ეპიზოდი:

როგორც ზემოთაც ითქვა, თანახმად მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებისა თბილისის ოპერის თეატრში 1953 წლის 23 მაისს მოეწყო ჩრდილოეთ კავკასიელი და ქართველი მწერლების დიდი ლიტერატურული საღამო.

დანარჩენს მოგვითხრობს იმ საღამოს მთავარი ორგანიზატორი, შესავალი სიტყვით სხდომის გამხსნელი და წარმმართველი **ირაკლი აბაშიძე:**

„საჭიროებამ გვიკარნახა საერთო მოხსენება, და ეს აუცილებლობა სწორედ ლიტერატურული საღამოს დასაწყისში ვიგრძენით. ბესარიონ ჟღენტმა მთხოვა საღამოს მონაწილე სტუმართა გვარები, მეც ჩამოვუთვალე... და მომხსენებელი ავიდა ტრიბუნაზე, მისმა მოხსენებამ დიდი კმაყოფილება გამოიწვია დამსწრე საზოგადოებაში. განსაკუთრებით კმაყოფილნი დარჩნენ სტუმრები. ყოველი მათგანის შემოქმედებაზე გამოთქვა მომხსენებელმა თავისი აზრი, ყველა მათგანი დაა-

ფასა და შეაქო. გაკვირვებული შესცქეროდნენ ისინი მომხსენებელს და მთელი გულისყურით უსმენდნენ, უსმენდნენ მათთვის მეტად საამო სიტყვებს".[29]

ერთი სიტყვით ბესოს ორატორული ნიჭი გაჭირვების ტალკვესი იყო. ამიტომაც იყო, რომ ყველა კრებაზე, განხილვაზე, დისკუსიაზე ის გამოჰყავდათ. ეს ფუნაგორიაც სწორედ ამან გამოიწვია

ჩვენში ასეთი წესია —
სერგო შეადგენს ჯერ სიას,
ვინ ვისზე უკეთესია.
სიტყვას მისცემენ ბესიას,*
მერე იწყებენ სესიას

ამას ის გამოსვლებიც ადასტურებდა, რაზეც საუბარს ახლა გავაგრძელებთ.

ჯერ კიდევ 1952 წელს 16-19 აპრილს გამართულ თათბირზე ბესომ მხოლოდ დრამატურგიის დაბალ მხატვრულობაზე კი არ ისაუბრა (აქ მას მხატვრულ გემოვნებას ვერ დაუწუნებდი), არამედ ხმამაღლა შეებრძოლა ლიტერატურაში გაბატონებულ უკონფლიქტობას, რასაც ვინ არ იცის, რომ ხელს კომუნისტური ცენზურა უწყობდა:

„ჩვენი დრამატურგიის ნაწარმოებები სუსტია იმიტომ, რომ მათში არ სჩქეფს ცხოვრების მაჯისცემა, ავტორები ღრმად არ იცნობენ ჩვენს სინამდვილეს. ამიტომ, იმის მაგივრად, რომ თვით ცხოვრებაში მონახონ კონფლიქტები, ჰქმნიან ხელოვნურ კოლიზიებს, ყალბ სიუჟეტებს, უხეირო სქემებს" („ლს", 1952, №17,19).

ბესო ებრძოდა ზოგიერთ მწერალთა კრიტიკის შეუვალობას, კრიტიკის კომპლიმენტარულობას, მიაჩნდა, რომ კრიტიკის ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩენილიყო წიგნები და ლიტერატურული მოვლენები.

---

* ფუნაგორიაში მოხსენიებული სერგო — ჭილაია არის, ბესია — ბესო ჟღენტი

ამავე დროს ამ თანამდებობაზე ბესო ჟღენტს არ შეეძლო უგულებელეყო სოციალისტური რეალიზმის პრინციპები და დოგმები.

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ჯებირებით და მეჩეჩებით გადაღობილი, ბურუსში გახვეული საბჭოური ცხოვრების ამსახველი ო. ჩხეიძის რომანების მიმართ ბ. ჟღენტის განსაკუთრებით მკაცრ დამოკიდებულებაზე.

მაგრამ დავუფიქრდეთ, კომუნისტების მძლავრობის ეპოქაში რა უნდა ექნა საბჭოთა კრიტიკოსს?

იძულებული იყო დაეგმო საბჭოური ცხოვრების საამურობაში ეჭვის შეტანა!

იდეოლოგიურ წნეხს ზოგჯერ პირადი წყენაც ემატებოდა — ო. ჩხეიძემ ერთ-ერთ ნაწარმოებში გვარიანი გამჭვირვალედ დასცინა ბესოს და, ბუნებრივია, ამ უკანასკნელმა ეს არ მოითმინა...

საბჭოური იდეოლოგია ასევე აიძულებდა მკაცრად შეხვედროდა სოციალისტური რეალიზმის ჩარჩოებიდან ამოვარდნას.

ამის გამო იყო, რომ ახალდაარსებული „ცისკრის“ პირველი ნომრის განხილვაზე **ბ. ჟღენტმა** განაცხადა:

„ლევან გოთუას მოთხრობა ისტორიულ წარსულს ეხება, იგი ნეიტრალურია. მოთხრობა „ნელი ტანგო“ ცინიზმს წარმოადგენს — ადამიანი დაიღუპა, ახალგაზრდები ამის მოწმენი არიან, საღამოს კი ისინი ტანგოს ცეკვით ერთობიან.“*

ბოლშევიკური ხელისუფლებისა და ლიტერატურაში მისი დასაყრდენი პროლეტმწერლების მემარცხენე ხელმძღვანელობის გავლენამ ზოგი რამ ბ. ჟღენტს მისი ბუნების საწინააღმდეგო დააწერინა და გააკეთებინა, მაგრამ, განათლებით იურისტს, თვით ლენინის ციტატების მოშველიებით, ქართული მწერლობის ეროვნულობის, ჩვენი ენისა და საერთოდ

---

* „ნელი ტანგო“ — გურამ რჩეულიშვილის მოთხრობა

ქართული საქმის დასაცავად ბევრი სასარგებლო საქმეც გაუკეთებია...

როგორც კი პოლიტიკური წნეხის ოდნავ მოშვებამ საშუალება მისცა, **ბ. ჟღენტმა** 1956 წლის 30 სექტემბერს სტალინის კულტის დაგმობის გამგეობის სხდომაზე, საბჭოთა ეპოქის ქების ფარად აფარებით, ქართული ენის დაცვა საკმაოდ მკვახედ შეახსენა შემგუებლურად განწყობილ ქართველებს:

„... რას გავს ის, რომ კომპოზიტორთა ყრილობაზე, მხატვართა შეკრებაზე ქართულად ხმას არავინ იღებს (ტაში) და იქმნება ისეთი საშიშროება, რომ ქართული ენა გადაიქცევა ოჯახური ურთიერთობის გამომხატველ ენად. ამას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევურიგდებით. ამიტომ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ერმა ათასი წლების განმავლობაში სისხლით დაიცვა და მოიტანა ჩვენს ნათელ საბჭოთა ეპოქამდე ენა, რომელიც ხალხმა ბნელ, მონურ ეპოქებს გადაარჩინა და დღემდე მოიტანა, ნუთუ ახლა, როდესაც ჩვენმა რევოლუციამ ენა და მწერლობა მისცა ისეთ ხალხებს, რომლებსაც ანბანი არ გააჩნიათ, ასეთ ეპოქაში ჩვენ ძველისძველი დიდებული ენა დავკარგოთ? (ტაში). ამას ამხანაგებო, ვერასოდეს მწერლობა ვერ შეურიგდება“.[30]

საყოველთაოდ ცნობილია **ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეებთან, გიორგი მარგველაშვილთან, გიორგი ლომიძესა** და **გიორგი ციციშვილთან** ერთად მისი ბრძოლა **„აგაევშჩინის“** – მწერლების რუსულ ენაზე გადასვლის, მცირერიცხოვანი ერებისა და მწერლობების რუსულთან ასიმილირების დამჩქარებელი მოძრაობის წინააღმდეგ, ამ საკითხზე მისი გამოსვლები კრებებზე თუ პრესაში, საქართველოში თუ მოსკოვში, მ. გორკის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში გამართულ საკავშირო თათბირებზე.

1967 წელს უკრაინის მწერალთა მეხუთე ყრილობაზე წარმოთქმულ მისალმებაში **ბ. ჟღენტმა** სწორედ მრავალეროვნული ლიტერატურების არსებობის უფლებას გაუსვა ხაზი:

„უკრაინულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობანი შესანიშნავი ნიმუშია და მაგალითია ურთიერთ დაახლოებისა და შემოქმედებითი თანამეგობრობის, რომელიც განაპირობებს ჩვენი სოციალისტური ლიტერატურის მრავალეროვნულ ხასიათს და რომელსაც ჩვენ საბჭოთა ხალხების ლიტერატურათა ურთიერთზემოქმედებასა და ურთიერთგამდიდრებას ვუწოდებთ“.

მაგრამ იმდენად უბედური დრო იყო, რომ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციამ მთლად ზუსტად ვერ გაბედა ამ სიტყვის დაბეჭდვა (1967 №10).

ცალკე მოხსენიების ღირსია ბესოს ნიჭის კიდევ ერთი გამოხატულება:

1969 წლის იანვარში ქართული ლიტერატურის დეკადაზე უკრაინაში, კიევის თეატრში ჩვენმა კრიტიკოსმა საათნახევრიანი სიტყვა თქვა უკრაინულ ენაზე და ერთხელ კიდევ განაცვიფრა მსმენელები თავისი ნიჭიერებით.

ასევე მოიქცა იგი უკრაინის მწერალთა IV ყრილობაზე (1971 წ.), აგრეთვე „უკრაინული ლიტერატურის დეკადაზე საქართველოში“ და **ლესია უკრაინკას** დღესასწაულზე „ლესიაობაზე“.

საბჭოთა კავშირისა და საბჭოთა რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოები წარმოადგენდნენ „კომუნისტებისა და უპარტიოთა ბლოკს“. სწორედ ამ უპარტიოებიდან იყო ბესო ჟღენტი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ორი მოწვევის (1963, 1967) დეპუტატი და იქაც ქართული საქმის დამცველად გამოდიოდა.

1960წ. ის აირჩიეს ევროპის მწერალთა ასოციაციის წევრად.

არ შეიძლება არ ითქვას თანამშრომელთა დახმარების ერთერთ ადრეულ მაგალითზე, რაც დაკავშირებულია ბესო ჟღენტთან.

ბესოს ხმა გადამწყვეტი აღმოჩნდა, როცა პავლოვის (ახლა ალ. ყაზბეგის) გამზირზე კომპოზიტორთა სახლში ბინა არგუნეს **ელენე (ლენა) ჩიკვაიძეს**, როგორც თანამშრო-

მელს მწერალთა კავშირთან არსებული „საუდისა“, სადაც ის მისთვის დამახასიათებელი სინდისიერებით ემსახურებოდა კომპოზიტორთა საავტორო უფლებების დაცვას.

ბესოს მოთხოვნა მით უმეტეს პრინციპული იყო, რომ ლენასთან ერთად, უმჯობესდებოდა მწერალთა ლიტერატურული გაზეთისა და მწერალთა ბიბლიოთეკის ერთგული თანამშრომლების, მისი დედისა და დის, მბეჭდავ-მემანქანე **დაროსა** და ბიბლიოგრაფ **დოდო (თამარ) ჩიკვაიძეების** საბინაო პირობები.

საზოგადოდ აღიარებულია **ბესო ჟღენტის** წვლილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში „ახალგაზრდა მწერალთა წრის“ დაარსებაში.

ნოდარ დუმბაძე – „მე და ჩემს მეგობრებს გუშინდელ დღესავით გვახსოვს, როგორ შემოაღო ჩვენი წრის აუდიტორიის კარი ბატონმა ბესომ 1946 წელს, როგორ მოგვესალმა ყველას ხელის ჩამორთმევით. მერე დადგა და ოთხი საათის განმავლობაში გველაპარაკა იმის შესახებ, თუ რა არის მწერლობა, ბევრი გვეხვეწა- გვეწერა ისე, როგორც წერდნენ ბარათაშვილი, ილია, აკაკი და ვაჟა. ბოლოს თვალი რომ გადაგვავლო და მაინცდამაინც საიმედო ხალხად ვერ მიგვიჩნია, რუსთაველზე თავი შეიკავა, დაიხურა ქუდი და წავიდა.

... ეს იყო პერიოდი, როდესაც ერთი კილოგრამი შავი პური შავ ბაზარზე ასი მანეთი ღირდა და ამ წრეს ბატონი ბესო ყოველგვარი ანგარების გარეშე უსასყიდლოდ ხელმძღვანელობდა და ემსახურებოდა, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი და მამულიშვილი“.[31]

ძნელია ჩამოთვალო ყველა ის სასარგებლო საქმე, რის გაკეთებას ზოგჯერ უკან დახევის, არაპოპულარული ნაბიჯის გადადგმის ფასადაც აკეთებდა ეს ბრწყინვალე ორატორი და სიტყვაკაზმული ლიტერატურის უტყუარი შემფასებელი (გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კომუნისტური რეჟიმის დიქტატი, ან დაცინვით შელახული თავმოყვარეობა აიძულებდა ობიექტურობისთვის ელალატა).

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომის ოქმი №14
1955.30.VI

მოისმინეს — ოთხი აკადემიკოსი მწერლის — გიორგი ლეონიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, გალაკტიონ ტაბიძისა და იოსებ გრიშაშვილის განცხადება — მეცნიერებათა აკადემიაში პავლე ინგოროყვას არჩევის თაობაზე.

ეს განცხადება წაიკითხა გიორგი ლეონიძემ. სიტყვებით გამოვიდნენ:

ლეო ქიაჩელი — ინგოროყვა „არის ფენომენალური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. გაოცებას იწვევს, რომ ერთმა კაცმა ამდენი შესანიშნავი ნაშრომის შექმნა შეძლო“.

გრ. აბაშიძე — „ივანე ჯავახიშვილის და ნიკო მარის შემდეგ ფილოლოგიაში მომუშავეებს რომ გადავხედავთ, ჩვენთვის ნათელი გახდება, რომ პავლე ინგოროყვა ამ დარგის ბრწყინვალე მუშაკია. იგი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად უფრო ადრე უნდა ყოფილიყო არჩეული“.

კარლო კალაძე — „იგი არის თავდადებული მკვლევარი, შესანიშნავი მწერალი და სტილისტი“.

ბესო ჟღენტი — „დაუშვებელია, რომ ისეთი ღრმა ერუდიციის მკვლევარი, როგორიც პ. ინგოროყვაა, არ მუშაობდეს მეცნიერებათა აკადემიაში.

იგი ავტორია იმ მოხსენებისა, რომელიც გაკეთებულ იქნა მწერალთა საკავშირო პირველ ყრილობაზე. მას ეკუთვნის მოხსენების ის ნაწილი, რომელიც ჩვენს მრავალსაუკუნოვან კლასიკურ მწერლობას ეხება“.

ირაკლი აბაშიძე — „პავლე ინგოროყვა არის იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული მკვლევარი და მწერალი. მან თავისი მრავალრიცხოვანი შრომებით უეჭველად დაიმსახურა, რომ

იგი არჩეული იქნას საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად“.

წინადადებას მხარი დაუჭირეს ალ. გომიაშვილმა, ი. ნონეშვილმა.

დაადგინეს – პავლე ინგოროყვას კანდიდატურა წარდგენილი იქნეს მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად არჩევისათვის.

ლბცსა, 8-1-1748, ფურც. 28-30

აქვეა კ. გამსახურდიას წერილი – მხარს ვუჭერ პ. ინგოროყვას კანდიდატურასო (ფურც. 32-36) და ზემოხსენებული ოთხი მწერლის განცხადება (ფურც. 37-47)

ორი თვის შემდეგ, 1955 წლის 8 სექტემბერს იმავე პრეზიდიუმმა (ოქმი №16) **უკან წაიღო თავისი შუამდგომლობა** – შევცდით, „მერჩულე“ წაკითხული არ გვქონდა, თურმე მასში შეცდომებია და უკან გამოვითხოვთ ჩვენ წარდგინებასო – განაცხადეს გ. ლეონიძემ, გ. ტაბიძემ. მხარი დაუჭირეს კ. კალაძემ, გრ. აბაშიძემ, ბ. ჟღენტმა.

ლბცსა, 8-1-1748, ფურც. 74-75

აი, ასეთმა უკან დახევებმა დაგვაკარგვინა აფხაზეთი!!!

* * *



ლიდა სტკვილია, ქეთევან ჭილაშვილი, ცირა ქიტიაშვილი, კლავდია დევდარიანი, ზინა სილოძრიშვილი, ნაზი კილასონია, რევაზ კვერენჩხილაძე, დიდი კადაჭკორია, გიგი ქავთარაძე, დოდო ჩიქვაიძე. მწერალთა სასახლე. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი.



სხედან: ნინო დოლიძე, ვენერა ურუშაძე, მარიკა ანი, ნატა ჩხეიძე; დგანან: ქეთევან ქუჩუკაშვილი, მედეა კახიძე, ნანა კანდელაკი, მაგლო ოთმაძე, ქეთევან ელიასბერდაშვილი, კლავდია დევდარიანი. მწერალთა სასახლე

სურათები მოგვაწოდა მწერალ კლავდია დევდარიანის ქალიშვილმა ია კოროშინაძემ



გივი გეგეჭკორი, თამაზ ჩხენკელი, დავით წერედიანი. ბათუმი, 1998 წ.



ლია სტურუა, თამაზ ჩხენკელი, დავით წერედიანი. ლიტერატურული კაფე ,,ქარავანი“, 2007 წ.
სურათები მოგვაწოდეს წერედიანებმა: მანანა ღარიბაშვილმა და დავით წერედიანმა..



მარცხნიდან, დგანან: მეგონა კაკაშვილი, ედემ კვირტია, იპოლიტე გაშხურდია. ჩაშუხლულები: რენე კალანდია, არჩილ ფირცხალავა, ზუგდიდი. 1961 წ.



გიორგი კალანდაძე, ნიკა აგიაშვილი.

გ) „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ მდივანი (1964-1980) იოსებ ნონეშვილი (1918-1980)



1964 წლის მიწურულს, 24 დეკემბერს, მწერალთა კავშირის გამგეობამ ისევ აღადგინა მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარის თანამდებობა – პირველი მდივანი **ირაკლი აბაშიძე** იქცა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ.

რადგანაც **ბესო ჟღენტმა** ლიტერატურის ინსტიტუტში დაიწყო მუშაობა და მწერალთა კავშირში ნახევარ შტატზე დარჩა, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას საშუალება მიეცა გამგეობის მდივნად დაეწინაურებინა შედარებით ახალი თაობის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული წარმომადგენელი **იოსებ ნონეშვილი,** რომელიც მწერალთა კავშირის პრობლემებთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, როგორც პარტბიუროს მდივანი (1950-56) და ჟურნალ „დილას“ რედაქტორობის შემდეგ (1952-1963), წინა წელს „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორად დანიშნული (1963-1967).

მანამდე, პოეტურ ასპარეზზე 1938 წელს გამოსულმა იოსებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრა (1942), გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციაში ლიტმუშაკად იმუშავა (1941-43), არმიაში სამსახური გამოიარა (1943-46), ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციაში პასუხისმგებელი მდივნობა გასწია (1946-58)...

თავისი ლამაზი ლექსებით პოპულარობის მიღწევის შემდეგ, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში მოღვაწეო-

ბის განმავლობაში მშვიდობის დაცვის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს (1972).

გარდა მშვენიერი ლექსებისა და მათი ლამაზად და ოსტატურად კითხვისა იოსებმა საზოგადოებას თავი კეთილად იმითაც დაამახსოვრა, რომ მუდამ მზად იყო რაიმეში დახმარებოდა მწერლებსაც და სხვა პროფესიის ხალხსაც.

ეს კარგად იცოდნენ მისმა თანამოკალმეებმა:

„იოსებ ნონეშვილი გულისხმიერია, მოყვასთა გულშემატკივარი, გულისხმიერების გამოსავლინებლად არც თხოვნა სჭირდება, არც გადაკვრით თქმა, არც საყვედური...“ (ელგუჯა მალრაძე).

იოსების გულისხმიერების მოწმე მწერალთა კავშირის თანამშრომლებიც ვიყავით:

თუკი მწერალთა კავშირის უხუცესი თანამშრომელი, საქმეთა მმართველი, მწერალი, მთარგმნელი **იროდიონ ქავჯარაძე** (და მასთან ერთად – მე) იმ დროს გამოვიდოდა სასახლიდან, როცა იოსები წასასვლელად ემზადებოდა, ეს უკანასკნელი იროდიონს (მასთან ერთად მეც) აუცილებლად მიგვიპატიჟებდა თავის მანქანაში: დაბრძანდით, სახლამდე მიგიყვანთო... რალაც არ მახსოვს, რომ სხვა მძივნები ასე მოქცეულიყვნენ...

იოსებს მინდობილი ჰქონდა უცხოელ მწერლებთან ურთიერთობა, საქართველოს გარეთ ჩვენი მწერალთა კავშირის წარმომადგენლობა. ამის გამო ბევრ ქვეყანაში უწევდა მოგზაურობა.

ზოგი ამბობდა: ამდენი მოგზაურობა, ხოტბა და ტაში ლექსის ძველებურად წერაში ხელს უშლისო. ამისათვის **ოთარ მამფორიამ** თავის მამფორიზმშიც გაკენწლა: **„არც ხოტბა არ დამკლებია, არც ტაშის ვარ უნახავი, ძველ ლექსს ისე წაგიკითხავ, გეგონება სულ ახალი.“**

მაგრამ ამ მოგზაურობათა დროს იოსები სასარგებლო საქმეებსაც აკეთებდა, ქართული მწერლობის პროპაგანდასაც ეწეოდა და კულტურულ ურთიერთობებსაც ამყარებდა.

აი, მაგალითად, როგორ იყენებდა საერთაშორისო ტრიბუნებს მცირერიცხოვანი ძველი და კულტურული ერების ღირსების დასაცავად:

1978 წელს ათენში მწერალთა საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელმაც განიხილა საკითხი „მცირე ხალხების ლიტერატურის პრობლემები და მათი როლი თანამედროვე მსოფლიოში", ი. ნონეშვილმა განაცხადა: **„არ ვცნობ ტერმინ „მცირეს", მის ნაცვლად „მცირერიცხოვანი" უნდა ვიხმაროთ"** („ლს", 1978,№21).

ამ მოჭარბებულმა მოგზაურობებმა **ვეფხვია გაფრინდაულის (კ. კალაძე)** ეს სალაღობო სტრიქონებიც გამოიწვია: **„ინდოეთს, პრაღას, ბეირუთს ჩემი სიმღერა ხმაურობს, დღეს ვფიქრობ, რომელ ქვეყანას წავიდე სამოგზაუროდ".**

ამავე დროს იოსებმა უცხოელი მწერლების მასპინძლობაც ღირსეული იცოდა — ყოველთვის მზად ჰქონდა **თავისი ჰონორარით** შეძენილი საჩუქრად გასაცემი სუვენირები და წიგნები.

სამწუხაროდ, ამ სიცოცხლის მოყვარულ პოეტსა და ადამიანს გული ატკინეს, ოცნება მოუწამლეს — ჯერ იყო და, გააუქმეს სახალხო პოეტის წოდება, რომლის ღირსადაც ის თავს მოიაზრებდა. ზოგიერთის აზრით ის არც თუ უსაფუძვლოდ ელოდა ამ წოდებას: **„დიახ, იყავი მართლაც სახალხო, მართლაც ხალხური მადლით ცხებული"** — ასე დაწერს **ნიკა აგიაშვილი** იოსების გარდაცვალების წლისთავზე („ლს", 1981,№9).

იოსების სახალხოობას **ელგუჯა მაღრაძეც** აღიარებდა პოეტის 60 წლისთავზე:

„... ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხე-კუნჭულში იგი განუზომლად უყვართ და პატივს სცემენ. ამ სიყვარულსა და პა-

ტივისცემას მას წერილობითაც უცხადებენ და ზეპირადაც. ამიტომაა, რომ იგი ჭუჩაში განურჩეველად ყველას ესალმება. იგი ძალზე პოპულარული პოეტი გახლავთ.“

თავადაც გულწრფელი იყო, როცა თავის თავზე ამბობდა:

ეცადნენ და ვერ გამხადეს ბოროტი,
ეცადნენ და ვერ გამხადეს ფლიდი,
წუთისოფელს კაცად შერჩე ბოლომდი
ესეც თურმე გმირობაა დიდი.

თუმცა ვიმეორებ, იმასაც ამბობდნენ, — ამ პოპულარობამ, ტაშისცემამ, ტრიბუნის, კათედრის სიყვარულმა მისი ლექსის ხარისხზე იმოქმედა — მშვენიერი ლექსების წერას უკლოო... მაგრამ იმის ღირსი მაინც არ იყო, გული მოეკლათ.

მეორედ მაშინ დაწყდა გული, როცა პრემიების კომიტეტის სხდომაზე (1979.19.02) ზოგიერთმა წევრმა, მათ შორის მწერლებმა, მისთვის არ გაიმეტეს ხმა, ცინიკურად არ მიაკუთნეს რუსთაველის პრემია. ამ ცინიკურობაში დაგარწმუნებთ ეს ამონარიდი სტენოგრამიდან:

„კომიტეტის წევრთა რაოდენობა — 45, ესწრებოდა — 33. ლიტერატურის დარგში წარმოდგენილი იყო ორი კანდიდატურა.

თავმჯდომარე (გრიგოლ აბაშიძე) — მეორე არის ლიტერატურაში. აქაც არის აზრი, რომ ამ შემთხვევაში აჭარის წარმომადგენელზე შეიძლება დამატებითი პრემია იყოს. გადაწყვეტილია ავტონომიური რესპუბლიკისათვის იყოს დროდადრო ცალკე პრემია. ხალვაშის შემთხვევაში აქაც არის საშუალება ორი პრემია იქნეს გაცემული.

მე დავასახელებ გვარებს და დავადასტუროთ ვტოვებთ თუ არა შემდეგი კენჭისყრისათვის ლიტერატურის დარგში: ნონეშვილი (ერთხმად), ფრ. ხალვაში (ერთხმად).

ფარული კენჭისყრით ი. ნონეშვილმა მიიღო 25 ხმა (13 წინააღმდეგი), ფრ. ხალვაშმა – 36 (წინააღმდეგი 2). გამსვლელი ქულა იყო 28.“

როგორც კი ეს ამბავი გახდა ცნობილი, მწერალთა კავშირის საქმეთა მმართველ **იროდიონ ქავჟარაძესთან** ერთად შევედით იოსების კაბინეტში (მაშინ მწერალთა სასახლის რემონტის გამო მხატვრის სახლში ვიყავით გადასული რუსთაველზე) და იოსები ვანუგეშეთ, მოვეფერეთ. პირადად მე ვუთხარი: ბ-ნო იოსებ, პრემიით თუ უპრემიოდ თქვენ მართლაც სახალხო პოეტი ხართ, გულს ნუ იტკენთ ამ გადაწყვეტილების გამო-მეთქი...

ამდენი წყენა რომ არა, იქნებ გამკლავებოდა სიკვდილს... ჩვენ ეს ვერ მივხვდით, სხვამ, რუსმა პოეტმა **ევგენი ევტუშენკომ** გვითხრა: **„მისი დაკრძალვისას გულწრფელად ტიროდნენ ისინიც, ვისაც იქნებ გულზე არ ეხატა, ვინაიდან დაავიწყდათ უბრალო ჭეშმარიტება, რომ თვით ყველაზე სიცოცხლით სავსე ადამიანებიც კი მოკვდავნი არიან“** („ლს“, 1981, №51).

და როგორც ხშირად ხდება, სიკვდილის შემდეგ, 1981 წელს აღირსეს იოსებ ნონეშვილის პოეზიასა და სახელს რუსთაველის პრემია.

კიდევ კარგი, სიცოცხლეში, 1979 წელს გალაკტიონ ტაბიძის პრემიით გაახარეს.

ჯერ კიდევ 1960 წელს იოსები აირჩიეს ევროპის მწერალთა ასოციაციის წევრად.

რაც შეეხება ხელისუფლებას, ჯერ თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატობისაკენ, ხოლო შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევის (1967, 1975, 1980) დეპუტატობისაკენ გაუხსნეს გზა.

... და ყველაფერი ეს იმ ლექსებით დაიმსახურა იოსებ ნონეშვილმა, რომლებიც დღესაც სიამოვნებას გვანიჭებს („ჩუქურთმისმჭრელის ეპიტაფია“, „შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდა“, „კახეთი“, „შენ არა გაქვს მეფის გვარი“,



„შემოდგომა თბილისში“, „საუბარი ნაძვებთან“...), დღესაც გვაჟრჟოლებს, როცა სიმღერებად ვისმენთ იოსების ქმნილებებს („ვამიგონია მთვარიან ღამეს“, მუნასიბები, „უსახელო ყვავილი“, „ყელსაბამი“, „ქუთაისური“...)

მწერლური ცხოვრებიდან:

„ფედინი – საუბრობს მხოლოდ რუს მწერლებზე – ტოლსტოიზე, გორკიზე, მაიაკოვსკიზე, ხანდახან ევროპელებზე, ხოლო არცერთი სიტყვა არ უთქვამს არარუს საბჭოთა მწერლებზე – თუმცა მრავალნაციონალური საბჭოთა ლიტერატურა უნდა გულისხმობდეს არარუს მწერალსაც და მის ნაწარმოებს.

სოციალისტური ლიტერატურა და რუსული ლიტერატურა მისთვის ერთი და იგივეა.

ნაციონალური ლიტერატურა, ესა თუ ის ნაციონალური ენა მას საჭიროდ მიაჩნია (დროებით) იმისთვის, რომ არარუს ხალხს ლენინის იდეები უქადაგოს.“

ალექსანდრე ქუთათელი, საკავშირო ყრილობის (1966) მოკლე რეზიუმე

* * *

დ) „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ მდივანი (1967)

ელგუჯა მაღრაძე (1927-1999)



გამგეობის თავმჯდომარეს **ირაკლი აბაშიძესა** და მდივან **სერგი ჭილაიას** შორის მომხდარი ერთგვარი დაპირისპირების გამო 1967 წელს სერგი საავადმყოფოში მოხვდა...

მახსოვს, თავისი განაწყენება სერგი ჭილაიამ როგორ გამოხატა პრეზიდიუმის იმ სხდომაზე (1982.21.01), რომელსაც მე, როგორც ოქმის შემდგენელი, ვესწრებოდი: რუსთაველის 750 წლისთავის აღნიშვნის მზადებისას სტალინმა რომ იკითხა ქართველებო, ვინ არის თქვენი გენიოსიო – წერილი პავლე ინგოროყვას დააწერინეს...

რუსთაველის 800 წლისთავზეც რუსთაველის პრემიაზე მოითხოვეს ტიხონოვის წერილი, – ჩამოიტანეს, მოიტანეს შევჩენკოს პრემიის ქაღალდიც (აქ სერგი, ეტყობა, საიუბილეო სამზადისში თავის ღვაწლზე საუბრობს). კომისიაში შევედით თითქოს პავლე ინგოროყვაც, მეც. გამოქვეყნდა სია, არც ინგოროყვა იყო, არც მეო...

სერგი ჭილაიას საავადმყოფოში წოლისას ირ. აბაშიძემ მის შემცვლელ მდივნად ხელად მოიყვანა **ელგუჯა მაღრაძე,** მანამდე „ნიანგის“ რედაქტორად (1957-1959), გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მხატვრული ლიტერატურის განყოფილების გამგედ (1959-1960), მთავარ რედაქტორად (1961-1963) და დირექტორად (1964-1967) მუშაობით თავგამოჩენილი მთარგმნელი და ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

ეს მოხდა გამგეობის სხდომაზე 1967 წლის 19 ივნისს.

ირაკლის ჩააწვეთეს: ხუტას (რომელთანაც იმ ხანებში, მოსკოვში მწერალთა საკავშირო ყრილობაზე შელაპარაკება მოუხდა) ბ. ჟღენტი და ს. ჭილაია აქეზებდნენო...

და როდესაც სერგი საავადმყოფოში მოხვდა, იფიქრეს – ეს ირაკლისთან უსიამოვნო ლაპარაკმა გამოიწვიაო.

მართალია, სერგი ამას უარყოფდა, მაგრამ ირაკლის არ დაბრალდესო, მისმა მომხრეებმა სხვა ვერსია გაავრცელეს – სერგისთან ხუტას ვიზიტად ყოფნის ორი დამსწრე მწერლიდან ერთ-ერთს ათქმევინეს: ხუტა სერგიმ წააქეზაო.

სხვათა შორის, ხუტამ სერგის ავადმყოფობის ნამდვილი მიზეზიც გამიმხილა: შემთხვევით ნაცნობი ექიმი-თერაპევტი შემხვდა და მკითხა: სერგი ქალებთან როგორააო. გიჟია-მეთქი. ჰოდა, გადარჩა, ამის ბრალია მისი ავადმყოფობაო...

მაგრამ დავუბრუნდეთ ყველა უბედურებათა ნამდვილ მიზეზს – მითქმა-მოთქმას, ჭორებს.

ეტყობა, ირაკლიმ მაინც იეჭვა: ხუტა ბესომ და სერგიმ წააქეზაო.

ზოგიერთი თვლიდა – ამის გამო ირაკლის მათი გაშვება უნდოდა, თვითონაც წავიდოდა, პირველ მდივნად დატოვებდა ე. მაღრაძესო, რომელიც, როგორც უკვე ვთქვი, სერგის საავადმყოფოში დაწოლისთანავე მოიყვანა მის ადგილზე.

ბესომ საავადმყოფოში მიაკითხა სერგის: გამოდი, თორემ ორივეს გაგვაგდებენო.

ამავე დროს კომპარტიის ცკ-ს ერთ მაღალჩინოსანსაც უნახავს ს. ჭილაია და უთქვამს: მალე გამოდი და მჟავანაძეს უთხარი, რომ ინფარქტი ირაკლის გამო დაგემართაო.

მაგრამ სერგიმ მითხრა: ეს ასე არ იყოო. ამის თქმას არც ვიკადრებდი, ისე კი ჩემი ავადმყოფობის დროს ახალი მდივანი არ უნდა მოეყვანაო.

იმ დროისთვის **ირ. აბაშიძისა** და საქართველოს კომპარტიის პირველი მდივნის **ვასილ მჟავანაძის** მეგობრობაში მცირე

ბზარი იყო გაჩენილი – ვილაც-ვილაცებს ენა მიჰქონდათ ამ უკანასკნელთან: ირაკლი შენზე ასე და ასე ლაპარაკობსო...

როცა სერგი საავადმყოფოდან გამოვიდა, მჟავანაძემ ის და ირაკლი მიიწვია... პარტიულ ხელმძღვანელს უთქვამს საავადმყოფოში გულის შეტევით დაწოლილი კაცის შემცვლელის ხელადვე დანიშვნა მთლად ლამაზი არ არისო...

ირაკლიმ დაიწყო საქმის გამოსწორება – ე. მაღრაძეს შესთავაზეს „მნათობის" რედაქტორობა. ელგუჯამ ჯერ იუარა. მაშინ მე გამიშვითო, უთქვამს სერგის, მაგრამ ირაკლი არ დაეთანხმა.

ვ. მჟავანაძეს სერგისთვის უკითხავს: ირაკლი მართლა ასე მეძახისო (ალბათ იფიქრა – სერგი განაწყენებულია და გამიმხელსო).

სერგიმ უპასუხა: არ გამიგია, რომ ეთქვას, პირიქით სულ თამადად იყო თქვენთანო (მართლაც არ გამიგიაო – მითხრა სერგიმ).

ისე ს. ჭილაიას რომ ეკადრა, გაფუჭებული იყო ირაკლის საქმე.

ამაზე იმიტომ ვისაუბრე (თუმცა ვჭოჭმანობდი), რომ ორივე ღირსეულად გამოიყურება. ირაკლი თუ პირველად განაწყენდა, მეჭორეების ბრალია (რომელთა გვარების დასახელებას მოვერიდე), შემდეგ კი, როგორც დაინახეთ, არ გაუშვა, ისევ მწერალთა კავშირის მდივნად დატოვა...

მაშინ ელგუჯას მწერალთა კავშირში ცოტა ხანს მოუწია მუშაობა. იმ თვისებებიდან, რითაც მან თავი დამამახსოვრა, მთავარი სამართლიანობა იყო.

ისიც მახსოვს და, ალბათ, მკითხველსაც უნდა შევახსენო – მართალია ცოტა ხნით, მაგრამ მაინც რა ღელვა შეიქმნა, როდესაც ელგუჯამ თავისი ხანმოკლე მდივნობის დროს, გვარიანი მკაცრად დაგმო, რატომღაც რუსულ გაზეთში („მოლოდეჟ გრუზიი") გამოქვეყნებული, **პოლიკარპე კაკაბაძის**

ნიჰილისტური შეხედულება XX საუკუნის დასაწყისის ქართულ ლიტერატურაზე.

სულ მალე, იმავე 1967 წლის 17 ნოემბერს გამგეობა იძულებული შეიქნა ელგუჯა მაღრაძე მდივნობიდან გაეთავისუფლებინა. ეს, რა თქმა უნდა, მოხდა იმ ულამაზო საქციელის გამოსასწორებლად.

მასთან ბოდიში იმით მოიხადეს, რომ ის მწერალთა კავშირის უპირველესი ჟურნალის, „მნათობის“ რედაქტორად დანიშნეს, სადაც ექვს წელს (1968-1973) იმუშავა და ისევ „საბჭოთა საქართველოს“ დაუბრუნდა (1973-1978).

1978 წლიდან ის გამომცემლობათა სახელმწიფო კომიტეტს (გამსახკომს) ხელმძღვანელობდა.

სადაც კი მოღვაწეობდა, პრინციპულობას იჩენდა, მუდამ ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე იდგა. „მნათობში“ მისი რედაქტორობის დროს დაიბეჭდა რევაზ ჯაფარიძის — წერილი ისტორიის გამყალბებელ ვიღაც ვერმიშევის „ამირსპასალარზე“, რაც მაშინ გვარიან გამბედაობას მოითხოვდა და რამაც წერილის ავტორსაც და რედაქტორსაც პარტიულ ხელმძღვანელთა რისხვა დაატეხა თავზე.

მოგვიანებით, 1995 წელს ელგუჯა მაღრაძე კვლავ მწერალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელობაში გამოჩნდება.

გამგეობის ზემოხსენებულ სხდომაზე, 1967 წლის 17 ნოემბერს **ირაკლი აბაშიძე** მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლეს.

ვ. მჟავანაძის გაღიზიანებაზე არანაკლებ (თუ მეტად არა) მისი გარემოცვის უფლებების შელახვას თვლიან ხელმძღვანელობიდან ირაკლის გაშვების მიზეზად (ისე მუდმივ ხელმძღვანელად ხომ არ უნდა ქცეულიყო?!).

აი, როგორ იგონებს **ფრიდონ ხალვაში** ხელმძღვანელობიდან გაშვებისთანავე **სსრკ მწერალთა კავშირის მდივნად** მოსკოვში გადაყვანილ ირაკლისთან შეხვედრას:

„დამსვა თავისთან ახლო და გული გამიხსნა, საშინლად ნაწყენი იყო ქართულ ცეკაზე, არათუ ნაწყენი – გაჯავრებული. ღმერთმა ნუ ქნას, მე საქართველოდან წავიდე, ახლა ამ წასვლით დავსაჯო მინდა ისინიო“.

თბილისში ჩამოსული ფრიდონისათვის კი კომპარტიის ცკ-ის მდივანს **დეკი სტურუას** უთქვამს ირაკლისთან დაკავშირებით:

„აუტანელი, ყოვლად მოუთმენელი მდგომარეობა შეგვიქმნა ბოლო ხანებში, მასთან იდეოლოგიის მეორე ცენტრი და მართვის მეორე ორგანო ჩამოყალიბდა, ცეკას უკითხავად მასთან წყდებოდა კადრების საკითხები და თითქმის სხვა ყველაფერი... აი, ვნახოთ... ჩვენ ვიმსჯელებთ. ის უნდა დავიბრუნოთ“.[32]

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

აი როგორი იყო კომუნისტურ-პარტიულ მოხსენებათა მომზადების პრაქტიკა:


60-იანი წლების დასაწყისში ერთ-ერთ თათბირზე საქართველოს კომპარტიის ცეკას პირველმა მდივანმა **ვასილ მჟავანაძემ** პოეტ **იპოლიტე შავლოხაშვილს** უსაყვედურა: ჩვენს სოფლებს რომ ერჩი – ჩამოვალ და თებრონეს კოკას გავუტეხო, იმ სოფელში რატომ კომბაინები, წყალგაყვანილობა და სხვა სიკეთე ვერ დაინახეო?!

ეტყობა, მომხსენებელს შესვენებაზე გააგებინეს: ამ ახალგაზრდა პოეტმა, რომელიც ცოტა ხნის წინ ტრაგიკულად დაიღუპა, ხალხურ ლექსებში ნახსენები თებრონეს კოკა გაათამაშაო...


გულწრფელად შეწუხებულ **მჟავანაძეს** საბოლოო სიტყვაში გაუმხელია: **მოხსენება ჩემი დაწერილი არ გეგონოთ, განყოფილებაში მომიმზადესო...**

რეზო ჭეიშვილის მიხედვით,
„მწერლური ცხოვრება“, 2005. №1

* * *



პავლე ინგოროყვა, ალექსანდრე ქუთათელი,
პოლიკარპე კაკაბაძე, გრიგოლ აბაშიძე.



თეიმურაზ ჯანგულაშვილი, ზურაბ ლორთქიფანიძე,
ოთარ ჩხეიძე.

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ თავმჯდომარე (1967-1981)

გრიგოლ აბაშიძე (1914-1994)



საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვასილ მჟავანაძესა და ირაკლი აბაშიძეს შორის, სიტყვის მიმტანთა წყალობით, ურთიერთობათა რამდენადმე გაციებამ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის შეცვლას შეუწყო ხელი (თუმცა მუდამ ირაკლი ხომ არ იქნებოდა!).

გამგეობამ 1967 წლის 17 ნოემბერს თანამდებობიდან გაათავისუფლა ირაკლი აბაშიძე – ის ისეთ დიდ საქმეს ხელმძღვანელობს, როგორიცაა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის (ქსე) გამოცემა, რომლის მთავარი რედაქტორია და ორი დიდი უწყების გაძღოლა გაუძნელდებაო.

ამავე სხდომაზე ისევ გააუქმეს თავმჯდომარის შტატი, აღადგინეს პირველი მდივნის თანამდებობა და ეს მოვალეობა დააკისრეს 1936 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტდამთავრებულ, 1934 წლიდან სამწერლო ასპარეზზე გამოსულ (I პოეტური კრებული – 1937 წ.) ეროვნულ-პატრიოტული გრძნობით გამსჭვალული ლექსების შემქმნელ, სტალინური პრემიით დაჯილდოებულ (1951), „XIII საუკუნის ქართული ქრონიკის“ – ისტორიული რომანების ტრილოგიის „ლაშარელასა“ (1957), „დიდი ღამის“ (1963) და „ცოტნეს“ (1975), თანადროულობის მოთხრობებისა და რომანის („ყორნალი“), კლასიკური პოემების (მათ შორის საუკეთესო არის „ზარზმის ზმანება“), პიე-

სების ავტორს, ჟურნალების „ნიანგის“ (1944-50), ახალდაარსებული „დროშის“ (1951-60) და „მნათობის“ (1960-67) რედაქტორად ნამოღვაწარ **გრიგოლ აბაშიძეს.**

1960 წელს ის გახდა ევროპის მწერალთა ასოციაციის წევრი.

ამ წარმატებათა მიღწევამდე რთული და სახიფათო გზები განვლო:

1937 წელს პოლიტიკურ ნიადაგზე რეპრესირებული მამის შვილი, მოსალოდნელი ხიფათის თავიდან აცილების მიზნით, მოსკოვში გადაიხვეწა და რამდენიმე წელი იქ გაატარა, როგორც კინოინსტიტუტის მსმენელმა.

თუ რამდენად რეალური იყო ეს საფრთხე, ამას ადასტურებს შინსახკომის სეიფში შენახული, ნაწამები პატიმრისგან გამოგლეჯილი, გრიგოლის საწინააღმდეგო ჩვენება;

შემდეგ იყო და გასული საუკუნის 30-იანი წლების მსგავსად აუხირდნენ ამ სტრიქონებისთვის:

როცა სამშობლო იყო სვიანი,
როცა ცხოვრება ჰქონდა სვიანი,
ჩვენს დროშას ერქვა დავითიანი,
ჩვენს დროშას ერქვა გორგასლიანი.

როგორ, ჩვენს დროში საქართველო სვიანი აღარააო?! საბჭოთა დროშის ქვეშ ცხოვრება ბედნიერი არ არისო?!

გულის კარნახის ნაცვლად იდეოლოგიური წნეხით დაღდასმული ლექსების ციკლმა „ლენინი სამგორში“ კი, იმის მიუხედავად სტალინური პრემია მიიღო (1950), მკითხველებში უკმაყოფილება გამოიწვია და რომ გავიგოთ როგორი დრო და როგორი იძულება იყო, მოვუსმინოთ მწერლის შვილს **ჩინოს** (დავითი):

„მაშინ ის ძალზე ახალგაზრდა იყო და რწმენაც ნამდვილად ჰქონდა, რომ რაღაც ახალი გრანდიოზული შენდებოდა, რომელსაც ახალგაზრდები ქმნიდნენ. თვითონ უთქვამს ჩემთვის ამის შესახებ... საერთოდ ასეთი პარადოქსები დამა-

ხასიათებელია იმ ეპოქისათვის, ამას ასე მარტივად ვერ ავხსნით... ერთხელ ლიტერატურულ წრეში განიხილეს რომელიღაც ლექსი სტალინზე და ჩათვალეს, რომ იგი კონტრრევოლუციური იყო. მერე დაინტერესდნენ ნიჭიერი თუ არის პოეტიო, ბოლოს ლექსი ახალგაზრდულ შეცდომად ჩაუთვალეს და რადგან ჭიათურიდან იყო, დაავალეს დაეწერა პოემა სტალინის ჭიათურაში მოღვაწეობის თემაზე. მაშინ დაწერა „შავი ქალაქის გაზაფხული“, სხვათა შორის, მოუწონეს, თუმცა გრიგოლმა გადაწყვიტა თბილისიდან წასულიყო – აქ წარსულს, წარმომავლობას სულ გამიხსენებენო. წავიდა მოსკოვში, საკავშირო კინემატოგრაფიის ინსტიტუტში სასცენარო ფაკულტეტზე სწავლობდა, რეპრესიების ყველაზე დიდი ტალღა იქ გადაიტანა („ჩვენი მწერლობა“, 2001. 3-10.08).

ახლა კი კვლავ იმ დროში გადმოვიდეთ, როდესაც გრიგოლი მწერალთა ორგანიზაციის მესვეური იყო.

გრ. აბაშიძის პირველი მდივნობისა (1967-73) და თავმჯდომარეობის (1973-1981) დროინდელი მოღვაწეობიდან აღსანიშნავი ზოგიერთი მნიშვნელოვანი მოვლენა გახლავთ:

1968 – გაიმართა **ნიკოლოზ ბარათაშვილის** დიდი იუბილე – პოეტის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავად (10.IX); მწერალთა სასახლეში გაიხსნა მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ქართველ მწერალთა მემორიალური დაფა;

1971 წელს მწერალთა საკავშირო ყრილობაზე **გრ. აბაშიძემ** ჩვენს გარუსებაზე მეცნებეთა გასაგონად განაცხადა: **„თითოეული საბჭოთა ხალხი ამაყობს თავის ენითა და ლიტერატურით. ჩვენც, ქართველებსაც თავი მოგვაქვს ჩვენი უძველესი ენით, რომელსაც წინაპრები თვლიდნენ ეროვნული თვითმყოფადობის ნიშნად, ჩვენი ხალხი 15 საუკუნის მანძილზე განუწყვეტლივ ქმნიდა თავის დიდ ლიტერატურას“** („ლს“, 1971, №28).

1972 – დისკუსიაზეც ასიმილაციის წინააღმდეგ გამოვიდა; ამავე წელს სსრკ-ის შექმნის 50 წლისთავზეც სა-

გულისხმო სათაურიანი წერილით „ერთსულოვნება და მრავალფეროვნება“ („ლს“, 1972, №52) ქართველი ხალხის ეროვნული თვითმყოფადობის დაცვის სურვილი გამოთქვა;

ხელი შეუწყო ჟურნალ „კრიტიკის“ გამოსვლას;

1974 – მწერალთა კავშირმა დააწესა **გალაკტიონის** პრემია; გრ. აბაშიძეს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირობა;

1975 – გამოსვლას იწყებს ჟურნალი „განთიადი“; მწერალმა თავის ისტორიულ რომანებს მიუმატა „ცოტნე“;

1976 – გრ. აბაშიძე, ისევე როგორც მეტნაკლებად მწერალთა კავშირის სხვა ხელმძღვანელები, ზრუნავდა ჩვენი მწერლობის ახალი ცვლის გამოზრდაზე, ახალი ნიჭის ხელშეწყობაზე.

მაგრამ ისიც ბუნებრივია, როდესაც „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“ კომპარტიის დადგენილება გამოქვეყნდა, გრ. აბაშიძემ მწერლობის იოლ საქმედ მიმჩნევი ახალგაზრდობის გასაგონად განაცხადა:

„დღევანდელ ჩვენს ქართულ მწერლობას რომ ვაკვირდებით, ერთი სამწუხარო მოვლენა აღინიშნება: ოციანი თუ ოცდაათიანი წლების ქართველი მწერლები გაცილებით ფართოდ და ღრმად იყვნენ განათლებულნი, ვიდრე მათი მომდევნო თაობები“.

1977. 01.06 – **გრ. აბაშიძის** თავმჯდომარეობას ჩრდილად დაჰყვა მწერალთა კავშირიდან **ზვიად გამსახურდიას** გარიცხვა;

1978 – გრ. აბაშიძემ პრინციპული პოზიცია დაიჭირა ქართული ენის სახელმწიფოებრიობის დაცვისას სხვა ღირსეულ მწერლებთან ერთად, კერძოდ (ანბანზე), **აკაკი ბაქრაძესთან, თინა დონჟაშვილთან, ჯუმბერ თითმერიასთან, მურმან ლებანიძესთან, ელგუჯა მაღრაძესთან, მუხრან მაჭავარიანთან, იზა ორჯონიკიძესთან, ჯანსულ ჩარკვიანთან, ნოდარ წულეის-**

კირთან, თამაზ ჭილაძესთან, ნოდარ ჯალაღონიასა და რევაზ ჯაფარიძესთან ერთად;

1979 – გრ. აბაშიძე მწერალ-აკადემიკოსად აირჩიეს...

რაც არ უნდა ნაყოფიერი იყოს ვინმეს მოღვაწეობა, არჩევითობას აქვს თავისი საზღვარი – გრ. აბაშიძემ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელად გვარიანი დიდხანს, 14 წელიწადი დაჰყო და, ბუნებრივია, დადგა დრო, სხვასაც მისცემოდა საშუალება ხელმძღვანელის უღელი გაეწია...

და, აი, 1981 წელს ყრილობის მიერ არჩეული გამგეობის პირველი სხდომის (31.03) გახსნისას, გრიგოლისათვის მაინც მოულოდნელად, კომპარტიის ლიდერმა **ედუარდ შევარდნაძემ** მადლობა გადაუხადა მას და წარმატება უსურვა პრემიების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეობის ასპარეზზე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს გრ. აბაშიძის შემდგომი მოღვაწეობის რამდენიმე მაგალითი:

1986 – მწერალთა ყრილობაზე გამოსვლიდან:

„ჩვენი ხალხის დღევანდელ ყოფაში იმაზე საგანგაშო არაფერია, ქართველობა რომ არ მრავლდება... თუ დროზე არ ეშველა ამ საქმეს, ჩვენ თავს თვითონვე გავუმზადებთ იმ გადაშენებას, რასაც თემურ ლენგმა და შაჰ აბასმა ვერ მიაღწიეს ცეცხლითა და მახვილით.“

ეს უსათუოდ იყო გრიგოლისთვის, როგორც მწერალთა კავშირის მესვეურისთვის, **კიტა ბუაჩიძის** მიერ გაგზავნილი ხელნაწერი „შავი წიგნის“ წაკითხვით აღძრული შეშფოთება.

ასეთ გამონათქვამებს, ასეთ პუბლიცისტურ წერილებს ქართველთა კიდევ ერთი მოჭირნახულე, ამა სოფლის ძლიერთათვის სიმართლის პირში მთქმელი **ოტია იოსელიანი** ასე მჭახედ გამოეხმაურებოდა ხოლმე: –არის ვინმე ამის გამგონე?!

თავისი მოღვაწეობის მანძილზე გრიგოლ აბაშიძე არჩეული იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ორი (1963,

1967), ხოლო საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ოთხი (1970, 1974, 1979, 1984) მოწვევის დეპუტატად.

1985 წელს მას ივანე მაჩაბლის პრემია მიეკუთვნა პ. რონსარის ლექსების თარგმანისათვის (და, ცხადია, იგულისხმებოდა ამ დარგში მოპოვებული ადრინდელი მიღწევებიც).

გრ. აბაშიძე წუხდა ყველა იმ ფაქტისა და მოვლენის გამო, რაც ჩრდილს აყენებდა ჩვენს ქვეყანას:

„ყველა ჩვენი კლასიკოსის დღე დაწესდა და ყველამ სექტემბერ-ოქტომბერში მოიყარა თავი.

ამ გარემოებამ, ცოტა არ იყოს, ფასი დაუკარგა ლიტერატურულ დღესასწაულებს და თავად რუსთაველის დღეც გაუფერულდა“ („ლს“, 1987, №14).

გრ. აბაშიძის ლექსებითა და ისტორიული რომანებით ნალოლიავები სამშობლოს ბოლო წლების სავალალო მდგომარეობამ დააჩქარა პოეტის ლტოლვა არყოფნისაკენ, რაც სწორედ ამ სათაურიანი ლექსით და წიგნით გამოიხატა 1994 წელს და რისთვისაც რუსთაველის პრემია მიაკუთვნეს (სამწუხაროდ, გარდაცვალების შემდეგ).

ასე შეიქმნა, „შედევრი 80 წლის ასაკში“ (მ. ლებანიძე) – ეს მწარე სიტყვები:

„სხვა ყველაფერი წყალს წაუღია,
თუ საქართველო აღარ იქნება“
„...მე აღარ მინდა სიცოცხლე ჩემი,
როცა შვილები იხოცებიან“.
მრისხანება დაატეხა თავზე დამპყრობლებს:
სულ სხვის მიწაზე გეჭირათ თვალი
და შიშს სთესავდით ხიშტით, შეტევით,
თუმც უნაპირო გაქვთ მიწა-წყალი,
მაინც არ გყოფნით და ვერ ეტევით
კმარა! სისხლიან ხელს ნუღარ იწვდით,
შველას, მშვიდობას ყველგან ითხოვენ...

და თქვენც გაძლებით ბოლოს იმ მიწით,
მიწით, რომელიც შეგჭამთ თვითონვე!

ბოლოს, ეს ღირსეული ადამიანი, მწერალი და მოღვაწე იმ მწარე სიტყვებით გამოგვემშვიდობა, რაც ჩვენი ქვეყნის ბევრ ერთგულ შვილს აღმოხდენია სიკვდილის წინ: **„მეც სამარეში ისე ჩავდივარ სამშობლოს საშველს ვერ მოვესწარი!“**

ასე გულნატკენი წავიდა ჩვენგან ეს სახელმოხვეჭილი ქართველი.

სამწუხაროდ, ხანდახან ხდებოდა ინტერესთა დაჯახება, რაც საერთო საქმეს ვნებდა. ასეთი დაპირისპირების ერთ გამოვლინებას შევესწარი, როდესაც პრეზიდიუმის სხდომის ოქმის დაწერა მიხდებოდა, კერძოდ, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გრიგოლ აბაშიძე მთარგმნელთა კოლეგიის თავმჯდომარეს ოთარ ნოდიას თხოვდა: ბოლოსდაბოლოს, მწერალთა კავშირთან არსებული ხომ ხართ, რა მოხდება რომ წელიწადში ერთხელ თქვენი წლიური გეგმა გაგვაცნოთო.

— არა, ჩვენ დამოუკიდებელი ორგანიზაცია ვართო — მტკიცედ იმეორებდა ოთარი.

ასე გაგრძელებულმა კინკლაობამ უკან დასწია საერთო საქმე — მაგალითად, გამოუცემელი დარჩა ენციკლოპედიური ტიპის ცნობარის „ქართული მწერლობის“ II ტ. — მე-20 საუკუნის ქართველი მწერლები (Iტ. — V — XIXს. მწერლები).

ასეთივე უსიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა მწერალთა კავშირის მცდელობამ — მას მიკუთვნებოდა ე.წ. „სმირნოვების სახლი“, რაც წარუმატებლად დამთავრდა.

„კავკასიურ სახლთან“ ამ დაპირისპირების გამო მწერალთა კავშირიდან გავიდნენ გიორგი ბაქანიძე, ზურაბ კიკნაძე, ვახუშტი კოტეტიშვილი და მიხეილ ქვლივიძე.

ასეთ დასანან მოვლენათა რიცხვს ეკუთვნის დაპირისპირება, რომლის ერთ მხარეს იდგნენ მწერალთა კავშირი, გა-

ზეთი „ლიტერატურული საქართველო“ და მეორე მხარეს ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოება“, ოთარ და როსტომ ჩხეიძეები, ლევან ბერძენიშვილი (ოთარ ჩხეიძე, გაზ. „საქართველო“. 1990. 13. V და 3. VI; მისივე „დროის განაჩენი“, „ლს“, 1996.4.X; აგრეთვე ჟურნ. „აფრა“, №5-6; იკა ქადაგაძე, „ოტარიდი“, გაზ. „შაიდი დღე“, 2000, №59).

„სმირნოვების სახლის“ მოსაპოვებლად გამართულ ცოტა არასაკადრის დავაში ხომ იმდენი ნერვები, დრო და ენერგია დაიხარჯა, ამაყე დროს როცა კარლო კალაძემ მწერალთა კავშირს შეუთვალა (მათ შორის, ჩემი პირითაც) – მინდა ჩემი ბინა ანდერძით გადმოგცეთო, – ძივიდნენ დაათვალიერეს და გასარემონტებელია, ამის ფული არ გვაქვსო!...

წარმოიდგინეთ, ის ბინა რომ გვქონოდა, მწერალთა სასახლიდან გამოძევების შემდეგ მწერალთა კავშირს ისევ მაჩაბლის ქუჩაზე ხომ ექნებოდა იმაზე უფრო ღირსეული შტაბ-ბინა, ვიდრე ყოფილი ბერიას სახლის მინაშენი ჯურღმულებია?!



რევაზ კვერენჩხილაძე, დოდო ჩიკვაიძე, მზექალა ლალიაშვილი, ლამარა გვაზავა-სანაძე
რუსთაველის მოედანი, 1971 წელი.

* * *

1967 წლიდან, პირველ მდივნად არჩეულ **გრ. აბაშიძესთან** ერთად მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებად მოღვაწეობა გააგრძელეს გამგეობის მდივნებმა **ს. ჭილაიამ, ბ. ჟღენტმა და ი. ნონეშვილმა.**

ამასთან 70-იანი წლების დასაწყისისათვის ანგარიშგასაწევი გახდნენ თანდათან მომძლავრებული 60-იანელები.

ვინაიდან წინა თაობის მწერლებს ხელმძღვანელობა არ ეთმობოდათ, მწერლები კი ცვლილებებს ითხოვდნენ და ეს მათი სურვილი სწორედ ფორუმზე გაცხადდა **მურმან ლებანიძის** სიტყვებში: **„ლიტერატურული აზრის, ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლებისა და პროგრესისათვის აუცილებელია მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის დროული შეცვლა-განახლება“** –ეს ხელმძღვანელობა და მათი პარტიული პატრონებიც ეცადნენ გამოსავალი ეპოვათ, მაგრამ არაგონივრულ გზას დაადგნენ – 1971 წლის 28-29 აპრილს გამართული ყრილობის არჩეულ გამგეობაზე (29.04). **გრ აბაშიძესთან** და ხელმძღვანელობაში ისევ დარჩენილ მდივნებთან – **სერგი ჭილაიასთან, ბესო ჟღენტთან და იოსებ ნონეშვილთან** ერთად, მწერლების მოჭარბებული პრეტენზიებისა და ამბიციების დასაკმაყოფილებლად გამოსავალი იმაში იპოვეს, რომ უჩვეულოდ გაბერეს სამდივნო – მასში დამატებით შეიყვანეს რვა მდივანი: **ნოდარ გურეშიძე, რევაზ ჯაფარიძე, მუხრან მაჭავარიანი, ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ ჭილაძე და ავტონომიურ წარმონაქმნთა წარმომადგენელნი ფრიდონ ხალვაში, ივანე თარბა, გაფეზი (თედორე გაგლოითი),** რომლებზეც ახლა მოგახსენებთ მოკლედ.

„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ მდივნები:

1. ნოდარ გურეშიძე (1927-2004)



ახალარჩეულ პირველ მდივანთან (გრიგოლ აბაშიძე) და თავიანთ ადგილებზე დატოვებულ გამგეობის ძველ მდივნებთან (სერგი ჭილაია, ბესო ჟღენტი, იოსებ ნონეშვილი) გამგეობამ 1971 წლის 29 აპრილს მდივნად აირჩია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტდამთავრებული (1950), 1946 წლიდან სამწერლო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსული (პირველი პოეტური კრებული „ჩემი გაზაფხული“, 1955), 15 წელიწადს „ლიტერატურული საქართველოს“ განყოფილების გამგედ (1952-1967), ცოტა ხანს (1967) კ. მარჯანიშვილის თეატრის დირექტორად ნამუშევარი პოეტი **ნოდარ გურეშიძე.**

1966-1967 წლებში ის მწერალთა კავშირის პარტბიუროს მდივანი იყო.

ამ ახალ, არჩევით თანამდებობაზე მას მიენდო ორგანიზაციული საკითხები და ძველ მდივნებთან ერთად მწერალთა კავშირის შტატში ახლებიდან (რევაზ ჯაფარიძე, მუხრან მაჭავარიანი, ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ ჭილაძე, ფრიდონ ხალვაში, ივანე თარბა, თედორე გაგლოითი) მხოლოდ ის შედიოდა.

ამ თანამდებობაზე ნ. გურეშიძე წყნარად და თავმდაბლად მუშაობდა 1973 წლამდე, ვიდრე აქედან საქართველოს მინისტრთა საბჭოს უფროსს რეფერენტად არ გადაიყვანეს.

შემდეგ საქლიტფონდის დირექტორად, ბოლოს კი საავტორო უფლებათა დაცვის სააგენტოს უფროსად მუშაობდა.

იმის მიუხედავად,. რომ ჩვენი მეგობარი სიკვდილმა წაგვართვა, ის მაინც ჩვენთან რჩება: მისი „შარა-შარა, შუკა-შუკა“ იმერეთის ჰიმნად იქცა, ხოლო **„სვანეთია თუ ხევსურეთია, კახეთია თუ იმერეთია, ეს სულერთია, ეს სულერთია, ჩვენი სამშობლო ჩვენი ღმერთია“** – საქართველოს ერთიანობის საგალობლად დაგვიტოვა!


ამაზე მეტს კი ზოგიერთი ცოცხალი ქართველი ვერ უკეთებს თავის სამშობლოს.

ნოდარ გურეშიძემ ორჯერ დაიმსახურა პრემია: 1984 წელს – „ხუთწლედის მატიანისა“, 1988-ში კი – მწერალთა კავშირის ყოველწლიური.

* * *

ორგმდივნად **ნ. გურეშიძის** მოყვანით, როგორც ჩანდა, უკვე მაშინ იყო ჩაფიქრებული **ს. ჭილაიას** შეცვლა, რომელიც უკვე საკმაოდ ხანგრძლივად, 16 წლის განმავლობაში მუშაობდა მწერალთა კავშირის მდივნად, ორი თავმჯდომარე (გ. ლეონიძე, ირ. აბაშიძე) გამოიცვალა, მაგრამ... ის ამის შემდეგაც, მესამე თავმჯდომარესთანაც (გრ. აბაშიძე) კარგა ხანს დარჩა ხელმძღვანელობაში.

2. რევაზ ჯაფარიძე (1923-1999)



იმავე გამგეობამ მდივნად აირჩია საშუალო თაობის პროზაიკოსი და კინოსცენარისტი, პუბლიცისტი და კრიტიკოსი **რევაზ ჯაფარიძე**.

არჩევის მეორე დღეს მწერალთა სასახლეში ადრიანად მოსული რ. ჯაფარიძე თავის კაბინეტს ეძებდა, მას სერგი ჭილაიას აღმოსავლურ კაბინეტში უთქვამს: ამ ოთახში უნდა დავჯდეო, საქმე კომპარტიის ცეკას მდივნის (იდეოლოგიის დარგში) გოგიჩაიშვილის მოსაგვარებელი გახდა: აქ მხოლოდ ხელფასიანმა მდივნებმა უნდა იმუშაონო. დანარჩენები უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ მწერალთა კავშირის მდივნის სახელით და იმ თანამდებობით და სავარძლებით, რაც მათ ჰქონდათ როგორც განყოფილებათა პმგ მდივნებს და რედაქტორებს. მათ შორის რეზო ჯაფარიძე იყო უკაბინეტო.

რ. ჯაფარიძე ცნობილი იყო სიმართლის აჩქარებულად, ჯიქურ თქმით.

ამ აჩქარებამ ერთხელ უღალატა: მწერალთა ყრილობაზე (1966) მოინდომა სხვებისათვის დაესწრო და ხმამაღლა მოითხოვა **გრიგოლ რობაქიძის** რეაბილიტირება, მაშინ როცა ეს იქნებ უხმაუროდ, დიპლომატიური არხებით უფრო მოგვარებულიყო. ამ აჩქარებით კი კომუნისტების უკურეაქცია გამოიწვია — რუსული გაზეთისათვის **ვლადიმერ მაჭავარიანს** დააწერინეს მწვავე წერილი.

მაგრამ სიმართლის თქმა უმეტესად საქმეს ემსახურებოდა. მაგალითად, მდივნობის დროს, 1972 წელს გამგეობის სხდომაზე რევაზ ჯაფარიძემ პირდაპირ განაცხადა: **„როგორც**

უმცროსმა ამხანაგმა და კოლეგამ, არ შეშინებია ი. აბაშიძეს არ ვურჩიო, დაუშალოს ზოგიერთ კრიტიკოსს ამ პანეგირიკული წერილების წერა, ვინაიდან მსგავსი წერილები მას და მის პოეტურ სახელს მხოლოდ ჩრდილს აყენებენ“.

შემდგომშიც არაერთხელ დაუცავს საერთო-ეროვნული თუ ქართული მწერლობის ინტერესები. კერძოდ, 1976 წელს მწერალთა ყრილობაზე მწვავე საყვედური უთხრა:

ა)საქართველოს განათლების მინისტრს **თამარ ლაშქარაშვილს** (მხოლოდ მოგვიანებით 1988წ. დაიბეჭდა „თბილისში“, № 141) – „უჩიტელსკაია გაზეტაში“ (1976, 10.01) უფროსი ძმის ქების დასამსახურებლად დაბეჭდილი პატაკისათვის: ზუგდიდის სკოლა-ინტერნატში უკვე მე-5 კლასიდან ისტორიის, გეოგრაფიის, ფიზკულტურის გაკვეთილები რუსულ ენაზე ტარდებაო;

ბ) თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას (რექტორი **დავით ჩხიკვიშვილი**) – განზრახვისათვის („თბილისის უნივერსიტეტი“, 1976, 06.02), რაც ასე ჰქონდათ ჩამოყალიბებული: **„პრაქტიკაში დაინერგება რიგი დისციპლინების წაკითხვა რუსულ ენაზე, რისთვისაც განზრახულია წამყვანი სპეციალისტების მოწვევა;**

გ) სსრკ განათლების მინისტრს **ელიუტინს** – ბრძანებისთვის, რომლის თანახმად უმაღლესი სკოლის ყველა სახელმძღვანელო რუსულ ენაზე უნდა დაიწეროს და გამოქვეყნდეს, თუ არა და, სათანადო რეცენზირების შემდეგ საკავშირო უწყებამ უნდა გასცეს ეროვნულ, ე.ი. არარუსულ ენაზე მისი გამოცემის უფლება. ამ ბრძანების ძალით წარმოებიდან უკვე ამოღებული იყო ქართველი მეცნიერების მიერ შედგენილი ბევრი ორიგინალური სახელმძღვანელო;

დ) ზემდგომ ინსტანციებს – იმ დადგენილებისათვის, რომლის მიხედვით **„დისერტაციები და მის დაცვასთან დაკავშირებული დოკუმენტები მხოლოდ რუსულად უნდა ყოფილიყო შედგენილი.“**

რევაზ ჯაფარიძემ, რომელიც XX საუკუნის მეორე ნახევრიდან სოციალისტური რეალიზმით დაშტამპული საწარმოო რომანების ნაცვლად ქართულ ბელეტრისტიკაში განახლების, ადამიანისა და მისი ცხოვრების ავ-კარგის, ადამიანური ფიქრებისა და გრძნობების წარმოჩენის ერთ-ერთი დამწყებია, შემდეგ წლებში ფრიად ნაყოფიერად იმუშავა, რისი მთავარი შედეგია ოთხწიგნიანი რომანი „მძიმე ჯვარი“.

მაგრამ ავტორს ერთი დასანანი შეცდომა მოუვიდა — პრემიაზე წარდგენის მოახლოებული ვადის გამო აჩქარდა, მაშინ როცა საკმაო დრო, იქნებ ერთი—ორი წელიც კი უნდა დაეთმო ამ რომანის უამრავი თავების ერთმანეთთან შეჯერებისთვის, რათა, ვთქვათ, ერთ თავში ასეთ ამბავს გადმოსცემდა, გმირს ასეთ სახელს არქმევდა, სხვა თავებში ყველაფერი ეს სხვანაირად, სხვა სახელით, გმირების ერთმანეთთან სხვანაირი ურთიერთკავშირით წარმოჩენილი არ გამოსვლოდა.

ერთი სიტყვით, აჩქარდა, რუსთაველის პრემია კი მიიღო (1983), მაგრამ — უამრავი უზუსტობა და შეცდომა მკითხველთა და კრიტიკოსთა გასარკვევად არ უნდა დაეტოვებინა (იხ. თ. წივწივაძე, „მძიმე ჯვარი“ და „ჯვარცმული მკითხველი“, ჟურნ. „კრიტიკა“, 1984, №4).

სიცოცხლის ბოლოსკენ, 1993 წელს რევაზ ჯაფარიძის კიდევ ერთმა რომანმა „გზა გოლგოთისაკენ“ მოიპოვა ჯილდო — საქართველოს სახელმწიფო პრემია.

ორჯერ (1974, 1981) მიიღო მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემია.

* * *

1971 წლის 29 აპრილს გამგეობაზე გრ. აბაშიძესთან ერთად არჩეული შემდეგი სამი მდივანი სამოციანელთა წარმომადგენლები იყვნენ. სამივემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეში გაიარა პოეტური წვრთნა. ესენი იყვნენ:

3. მუხრან მაჭავარიანი (1929-2010)



ეროვნული გრძნობებით დამუხტული ლექსების, მათ შორის „საბას“ ავტორი, ჯერ ჟურნალ „პიონერს“ ხელმძღვანელობდა (1963-64), შემდეგ, „დილას“ რედაქტორად დანიშნული (1967-1982) **მუხრან მაჭავარიანი,** ამ ჟურნალის რედაქციის კაბინეტში იჯდა და კავშირის ხელმძღვანელობაში არჩეული, დროდადრო სამდივნოს სხდომებში იღებდა მონაწილეობას.

გამგეობის მდივნად მუშაობდა 1973 წ. 3 ოქტომბრამდე. შემდეგში მუხრან მაჭავარიანი 1988 წელს დაბრუნდება მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში, ამჯერად უკვე მწერალთა საერთო კრების მიერ არჩეულ თავმჯდომარედ.



ჯანსულ ჩარკვიანი, ტელედიქტორი, პოეტი ირმა გურიელი, გურამ ფანჯიკიძე. სატელევიზიო გადაცემა 1976.03.09. სურათი მოგვაწოდა ირმა გურიელმა.

4. ჯანსულ ჩარკვიანი (დ. 1931)



„დილას“ რედაქტორობის შემდეგ (1963-1967) 1967 წელს პოემისათვის „მუყღვერ მზე მიდის“ საქართველოს კომკავშირის პრემიით დაჯილდოებული ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტი, სწორედ ამ წელს ქართული მწერლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ჟურნალის „ცისკრის“ რედაქტორად დანიშნული **ჯანსულ ჩარკვიანი** თორმეტ წელს (1967-1978) ჟურნალსაც გაბედულად ხელმძღვანელობდა და ერთხანს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნის მოვალეობასაც სათანადოდ ასრულებდა.

რაც მთავარია, ეს ორი თანამდებობა ოდნავად არ უშლიდა ხელს მის პოეტურ მოღვაწეობას.

ჯ. ჩარკვიანი „ცისკრის“ დამატება „ნობათის“ პირველი რედაქტორიც იყო (1976-1977).

ამჯერად გამგეობის მდივნად 1971 წლის 29 აპრილიდან 1973 წლის 3 ოქტომბრამდე მუშაობდა. შემდეგში ისევ დაბრუნდება მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში, უკვე შტატიან მდივნად 1977 წლის 1-ლი დეკემბრიდან 1988 წლის მწერალთა საერთო კრებამდე.

ცხადია, ამაზე საუბარი კიდევ გვექნება.

5. თამაზ ჭილაძე (დ. 1931)



1971 წლის 29 აპრილს გამგეობის მიერ არჩეული, თავისი შემოქმედებით მაშინ უკვე გამორჩეული პოეტი და ბელეტრისტიკაში წარმატებით გადასული (რომანი „აჰა, მიიწურა ზამთარი“, 1967) თამაზ ჭილაძე გამგეობის მდივნის თანამდებობაზე მუშაობდა 1973 წლის 3 ოქტომბრამდე. შემდეგში ის ისევ მოვიდა მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში: 1981წ. ყრილობაზე შექმნილმა გამგეობამ – აირჩია მდივნად და ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1988 წ. 26 ოქტომბრის საერთო კრებამდე, რაზეც კიდევ გვექნება საუბარი უფრო დაწვრილებით.

როცა 60-იანი წლების დასაწყისში ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა – ლიტერატურაში მამათა და შვილთა ბრძოლა იწყებაო, 1968 წელს ახალმა თაობამ თავისი ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენლის თამაზ ჭილაძის პირით თავის კანონიერ პრეტენზიებზე უარი არ თქვა, მაგრამ თაობათა დაპირისპირება და ჭიდილი ხაზგასმით უარყო:

„ახალგაზრდებს მხოლოდ ლიტერატურული პრეტენზიები გვაქვს, რაც არავითარ შემთხვევაში არ გულისხმობს ვინმეს უარყოფას ან დამცირებას“.

გასაკვირი არ იყო, რომ ახალი თაობის ეს სერიოზული წარმომადგენელი, რომელმაც მომდევნო წლებში კიდევ უფრო განიმტკიცა ჭეშმარიტი შემოქმედის სახელი, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში მიიწვიეს.

ხელმძღვანელის სავარძელი უფრო ამჟღავნებს ადამიანის ნამდვილ ბუნებას, მით უფრო სასიამოვნოა ფრიდონ ხალვაშის ასეთი შეფასება:

„მწერალთა კავშირის მდივნად როცა იყო, უფრო ხშირად ვხვდებოდი თამაზ ჭილაძეს.

იშვიათად შევხვედრივარ საბჭოთა სკოლაგამოვლილებში ასეთ რბილ, თბილ, ინტელიგენტურად ანკარა ხასიათებს, იგი უფრო ძველსკოლაგამოვლილებში, მაგალითად გერონტი ქიქოძესთან, ალექსანდრე აბაშელთან, კონსტანტინე ჭიჭინაძესთან, თვით კოლია ნადირაძესთანაც კი მიგრძვნია“ („ომრი“, გვ. 220-221)

1971 წლის 29 აპრილს მწერალთა კავშირის გამგეობაზე მდივნების კიდევ სამ ადგილზე აირჩიეს ავტონომიებში არსებული მწერალთა კავშირის განყოფილებათა ხელმძღვანელები:

6. ფრიდონ ხალვაში (1925-2010)



ფრიდონი სამდივნოში წარმოადგენდა საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილებას, როგორც მისი პასუხისმგებელი მდივანი.

„XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაში“ (2008) მოყვანილი მაქვს ორი სხვადასხვა მწერლის მოწმობა იმაზე თუ გარკვეული ძალები, უფრო ნომენკლატურას, თანამდებობას ჩაბღაუჭებულნი (არ მინდა უარესზე ვიფიქრო), როგორ აპირებდნენ აჭარის ავტონომიურობის გა-

მოყენებით მოეხერხებინათ სამწერლო ორგანიზაციის სტატუსის შეცვლა – „საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების“ ნაცვლად „აჭარის მწერალთა კავშირის“ შექმნა.

მაშინ გაიმარჯვა ერთიანი საქართველოს მომხრეთა აზრმა. ახლა საშუალება გვეძლევა უფრო ნათლად გავერკვეთ, ვის რა პოზიცია ეჭირა მაშინ. ამაში უნდა ვენდოთ **ფრიდონ ხალვაშის** აღსარებას:

მოსკოვში, ლიტერატურის ინსტიტუტის მსმენელ ფრიდონს, იქ ჩასულ კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივნად პირველად დანიშნული აჭარის მკვიდრი **დავით მამულაძე** დაპატიჟებს და სიტყვას გადაუკრავს: შეიძლება მწერალთა კავშირის გაძღოლაც დაგევალოს, როგორ წარმოგიდგენია, როგორი გზით უნდა ვითარდებოდეს სამწერლო კავშირი აჭარაში?

ამაზე ფრიდონს ასეთი პასუხი გაუცია:

„მწერლობა ისეთი რამეა, პატივცემულო, ვერც ბიუროს დადგენილებით, ვერც რაიმე სხვა ხელოვნური ბერკეტებით ვერ გაშლი, ვერ წარმართავ. ა, მე ახლა აქ ამას მასწავლიან, რომ მწერლობას მარტო სასწავლებელში ვერ ისწავლი. ამიტომ ნიჭიერს დროზე შემჩნევა-დანახვა-აღმოჩენა და პატრონობა ჭირდება. მე მგონია, პატივცემულო დავით, ავტონომიურობა სხვა ყველაფერში შეიძლება, ლიტერატურული შემოქმედება კი ჩვენს კუთხეში ყოველგვარი ავტონომიურობისაგან უნდა გავათავისუფლოთ. აქ ხომ ქართული მწერლობის ორგანიზაციაა და არა აჭარულის“

აგაშენა ღმერთმა, მაგის მოსმენა ძალიან მინდოდა შენგანო – უთქვამს დავით მამულაძეს („ომრი“, გვ. 106-107)

შემდეგ (1986.17.05 – 1988.26.10) ფრიდონს ისევ ვიხილავთ სამდივნოში.

7. ივანე თარბა (1921-1994)

სამდივნოში შეიყვანეს როგორც პასუხისმგებელი მდივანი, შემდგომ თავმჯდომარე საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილებისა (შემდეგში რომ სეპარატისტულად განწყობილმა აფსუებმა აფხაზეთის მწერალთა კავშირი უწოდეს).

ივანე თარბას ეკუთვნის რომანი „ცნობილი კაცი“ (1967), იგი იყო დიმიტრი გულიას (1971 რომანისთვის „მზე ჩვენთან იღვიძებს“) და „ხუთწლედის მატიანის“ პრემიების ლაურეატი (ლექსებისთვის).

8. გაფეზი (თედორე გაგლოითი)

გაფეზს სამდივნოში ადგილი ერგო როგორც საქართველოს მწერალთა კავშირის ე.წ. სამხრეთ ოსეთის განყოფილების პასუხისმგებელ მდივანს. მას 1981 წელს მიეკუთვნა კოსტა ხეთაგუროვის პრემია.

* * *

სამდივნოს ასეთი მრავალრიცხოვნობა (თავმჯდომარე, სამი ძველი და რვა ახალი მდივანი, სულ თორმეტი) მწერლებისა და მთელი საზოგადოების დაცინვის საგანიც კი გახდა.

ისე კი, უსამართლობა იყო უძველესი, ყველაზე მეტი და მნიშვნელოვანი მწერლებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამამდიდრებელი ქუთაისის განყოფილების ხელმძღვანელი მხოლოდ იმიტომ არ მოხვედრილიყო სამდივნოში, რომ ის ავტონომიას არ წარმოადგენდა.

ამ მრავალრიცხოვანმა სამდივნომ იმუშავა 1973 წლის 3 ოქტომბრის გამგეობის სხდომამდე.



გაბრიელ ჯაბუშანური, გიორგი გიგაური. 1963.



გიორგი ქავთარაძე, ელიზბარ ზედგინიძე, რევაზ კვერენჩხილაძე (სილრმეში), ამირან აბშილავა, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე. მწერალთა სასახლე.



მედეა ზუბადალაშვილი, ელენე ჩიკვაიძე, ლილი წეროძე. დგანან: ვახტანგ გორგანელი, ელიზბარ მაისურაძე. „ლიტერატურული საქართველოს" რედაქცია. მწერალთა სასახლე, 1956.



რევაზ კვერენჩხილაძე, იტალიელი ქართველოლოგი ლუიჯი მაგაროტო. მწერალთა ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„ყოველგვარი დიქტატურა ებრძვის მოაზროვნეს – იმას, ვისაც ბრბოდ ვერ აქცევს და დაყრუებულ-დაბრმავებულს ხელის გაშვერის მიმართულებით ვერ გადენის. მაგრამ, დიქტატორთა სამწუხაროდ, ამათი მთლიანად განადგურება არ ხერხდება. გადმობირება კი სუსტის შეიძლება. ძლიერი ინდივიდია, თავისი პრინციპებისა და მსოფლმხედველობის ერთგული. ის, თვითონაც, რომ არ უნდა, თავისი ცხოვრების საზარალოდაც კი აკეთებს იმას, რაც სწამს და ზოგჯერ თავსაც კი სწირავს რწმენის გადასარჩენად. ამათთან ბრძოლა უზენაეს დიქტატორებსაც კი უჭირდათ. ჩარლი ჩაპლინს ამერიკაშიც კი დაუნიშნა ტერორი ჰიტლერმა და ჩაპლინი ფილმ „დიქტატორს“ გაძლიერებული დაცვის ქვეშ იღებდა და მაინც გადაიღო. ჩვენთან რობაქიძემ საზღვარგარეთ ფეხად გაასწრო, აქ ტიციანს, პაოლოს, მიხეილსა და სხვებს ხოცავენ. გალაკტიონი წერს: „მხარი მხარს, მხარი მხარს, კოლექტივო მხარი მხარს“ და ამისთანებს, რომ ტყვია აიცილოს. კონსტანტინე წერს ტრილოგიის პირველ წიგნს – „ბელადი“და „ირწმუნება“: „თუ დამცალდა, უკვდავი ძეგლი უნდა ავუგო მეფეთა-მეფე სტალინს“; ზედ „ვაზის ყვავილობაც“ მიაყოლა, რაკი „ბელადი“-თ, თურმე, მაინდამაინც აღტაცებული არ დარჩენილა, რაკი იცის, ჯავახიშვილმა „ჯაყოს ხიზნები“, „დამპატიჟე“ და ამისთანები „ქალის ტვირთით“ ვერ გამოისყიდა, პოლიკარპე „კოლმეურნის ქორწინება“-ს ადრამატურგებს, რომ ყვარყვარეებმა არ იმსხვერპლონ“.

ოტია იოსელიანი

* * *

* * *

1973 წლის 3 ოქტომბერს მწერალთა კავშირის გამგეობამ მწერალთა შემოქმედებით ორგანიზაციაში 22 წლის განმავლობაში (1951-1973) მდივნად ნამოღვაწარ **სერგი ჭილაიასთან** ერთად 1971 წლის 29 აპრილს ამავე თანამდებობაზე არჩეული რვა მწერალიც შეცვალა და თავმჯდომარესთან **(გრიგოლ აბაშიძე)** და ორ ძველ მდივანთან ერთად **(ბესო ჟღენტი, იოსებ ნონეშვილი)** გამოაჩინა ახალი სახეები: ისევ სამოციანელთა თაობის ორი წარმომადგენელი — **თენგიზ ბუაჩიძე** და **ნოდარ დუმბაძე**.

საქართველოს მწერალთა კავშირის* პირველი მდივანი (1973-1977) თენგიზ ბუაჩიძე (1926-1994)



1973 წლის 3 ოქტომბერს გამგეობამ (უკვე მერამდენედ) აღადგინა თავმჯდომარის თანამდებობა და პირველი მდივანი **გრიგოლ აბაშიძე** იქცა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ, პირველი მდივნის თანამდებობაზე კი აირჩია კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე და პროზაიკოსი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1970) **თენგიზ ბუაჩიძე**.

თ. ბუაჩიძე იყო დამოუკიდებელი და პრინციპული ხასიათის მქონე პიროვნება, რომელმაც კულტურის მინისტრად მუშაობისას (1960-65) იდეოლოგიური კონცეფციის ხელმძღვანელთან უთანხმოებისა და შეუგუებლობის გამო კომუნისტური რეჟიმის ბატონობის დროისათვის მანამდე გაუგო-

---

* უკვე მაინცდამაინც თავს აღარ იწუხებდნენ კავშირის სახელწოდებაში სიტყვა „საბჭოთას“ მოხსენიებისთვის

ნარ პროტესტს მიმართა – თანამდებობიდან გადადგა – ეს იყო პირველი გადადგომა (ოთარ ჭინჭლაძესთან ერთად).

ასეთი ძლიერი პიროვნება რომ მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს გვერდში ამოუყენეს, გრ. აბაშიძე ამაში უთუოდ თავისი უფლებების ერთგვარად შეზღუდვას დაინახავდა.

სამწუხაროდ, თავმჯდომარესა (გრიგოლ აბაშიძე) და პირველ მდივანს (თენგიზ ბუაჩიძე) შორის უსიამოვნება, წყენა მართლაც ჩამოვარდა – საქმე ეხებოდა მოსკოვში, საკავშირო მწერალთა კავშირში მწერალთა რაღაც სიის თავმჯდომარესთან შეუთანხმებლად გაგზავნას.

თენგიზი ის პიროვნება არ იყო მწერალთა კავშირის საზიანო, არასაკადრისი რამე ჩაედინა. ამავე დროს არც ისეთი იყო, რაც აუცილებლად სამდივნოს, ან პრეზიდიუმის გადაწყვეტილებას თუ არ ითხოვდა, იმის დამოუკიდებლად გაკეთებაზე უარი ეთქვა.

თ. ბუაჩიძის დამოუკიდებელმა ნაბიჯებმა გრ. აბაშიძეს განუმტკიცა იმის შიში, რომ თენგიზის მწერალთა კავშირში პირველ მდივნად მოსვლა მას მიანიშნებდა: მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის (რაც მართალია – კარგი ხელმძღვანელობის) ორი ვადის გასვლის დროისთვის, იქნებ მანამდეც გაშვებას მიპირებენო.

მაგრამ გრ. აბაშიძემ ორი ვადის გასვლის შემდეგაც მოახერხა დარჩენა და მესამე ვადის მიწურულსაც ეძნელებოდა თავმჯდომარეობის დათმობა...

გრიგოლსა და თენგიზს შორის შელაპარაკება მოხდა. თენგიზმა იცოდა თავისი ფასი, ამაყი იყო, (მაგრამ არა უშნოდ მედიდური) და გრიგოლთან მუშაობა აღარ ისურვა, გაეცალა – საავადმყოფოში დაწვა, მწერალთა კავშირში აღარ დაბრუნებულა...

1976 წლის შემოდგომაზე **თენგიზ ბუაჩიძის** მომავალი მოღვაწეობის ადგილი გაირკვა (უცხო ენათა ინსტიტუტის რექტორად დაინიშნა) და ცოტა მოგვიანებით, 1977 წლის

25 მარტს გამგეობამ გააფორმა მისი წასვლა მწერალთა კავშირის პირველი მდივნის თანამდებობიდან.

1975 წელს ის აირჩიეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

მოგვიანებით რედაქტორობდა მწერალთა კავშირის ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ (1982 – 1986). 1984 წ. მიიღო მწერალთა კავშირის ყოველწლიური პრემია.

მწერალთა 1986 წლის საკავშირო ყრილობის წინ გახმაურდა მის ჟურნალში (№2) დაბეჭდილი **ლევან ჭელიძის** რომანი, რომელმაც სომეხი მკითხველის წყენა გამოიწვია. ამის გამო მწერალთა კავშირის სამდივნომ, ცხადია, ზემდგომი პარტიული ხელმძღვანელობის კარნახით, აღნიშნა: ეს ნაწარმოები ხელს არ უწყობს ხალხთა ძმობის განმტკიცების საქმესო და თანამდებობიდან განთავისუფლდა მთავარი რედაქტორი თ. ბუაჩიძე და პმგ მდივანი ნ. ყარაშვილი, თუმცა მსგავსი მასალის გამოქვეყნებისთვის სომხეთში შენიშვნაც კი არავისთვის მიუციათ.

თენგიზ ბუაჩიძე, როგორც რუსულ-ქართული ლიტერატურულ-კულტურულ ურთიერთობათა მკვლევარი, ავტორია მრავალი ნაშრომისა, მათ შორისაა „ძველი რუსული მწერლობა“ ორ ტომად.

მან ასევე დაგვიტოვა ბელეტრისტული ნაწარმოებები „მოლოდინი“, „გზა ბავშვობისაკენ“, „მცირე პროზა ანუ ესეისტური ჩანაწერები“, „აღსარება ანუ პროფესორი სორდია“.

თენგიზი დიდხანს ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრეს და მისი ალმანახის მომზადებას.

ვინაიდან ეს წიგნი (მით უმეტეს, „XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრება“) მწერლური ხელობის სიძნელესა და სირთულეზე მოგვითხრობს, აქ არ შეიძლება მწერლობის მოსურნე ახალგაზრდების საყურადღებოდ არ მოვიყვანოთ თენგიზ ბუაჩიძის ერთი მშვენიერი ესსე:

„მწერლის მომხიბლაობა

რა მომხიბლავია, როგორი მიმზიდველია, რა იოლი და დალხინებულია მწერლის ცხოვრება!

ხომ გსმენიათ, — სულ ვარდ-ყვავილები, სულ ტაში, სულ აღტაცება, სულ დიდება!

სულ პატივისცემა, სიყვარული და კეთილდღეობა!

ამიტომ ხომ არ ისწრაფვით აქეთ, ყმაწვილებო?

და ვერც კი წარმოიდგენთ, რომ მწერლის შრომა ჯოჯოხეთურად რთულია, სიზიფისებრ უსრულოა და წისქვილის ქვებივით მძიმეა?!

ქვებზე გამახსენდა:

ქვის კოდვა სჯობია სიტყვის კოდვასო, ნათქვამია.

ქვას ახლა იშვიათად თუ კოდავს ვინმე, ყველაფრის მექანიზაცია ხდება.

მწერლის შრომის შემსუბუქებას ვერავითარი მექანიზაცია და ავტომატიზაცია ვერ შეძლებს.

მისი არსი, როგორც იყო ორი, ხუთი, თორმეტი, ოცი, ორმოცი საუკუნის წინათ, ისევეა ახლაც:

ხარ შენ და შენი იარაღი კალამი, ფანქარი, ფრთა, ფუნჯი, ტილო, საბეჭდი მანქანა (პრინციპში არავითარი განსხვავება არ არის);

წინ გიდევს პაპირუსი, პერგამენტი, თიხის ფილა, ბრინჯაოს ფილა, ქსოვილი, ქაღალდი (პრინციპში არავითარი განსხვავება არ არის);

ხარ შენ და სულ მოცემული გაქვს ოცდაცამეტი ასო, ენის სისტემით განპირობებული მათი აღურიცხველი კომბინაციის შესაძლებლობა, უდიადესი ბუნების მარადცვალებადი სახე, ადამიანთა მოდგმა, მათ რიცხვზე გამრავლებული სხვადასხვა ბედთა, ფსიქოლოგიურ წყობათა, ადამიანურ ხასიათთა, ცხოვრებისეულ სიტუაციათა, დროისა და ადგილის თავისებურებათა მრავალმილიარდიანი და ნაირსახოვანი ჯამი და ხარ მარტოსული შენ ამ გონებისწამღები სტიქიონის წინაშე...

ხარ შენ და არის სამყარო, რომელმაც შენს გულსა და ტვინში უნდა გაიაროს, დატოვოს მძიმე ნაფეხურები, განიცადოს გამოუთქმელი სახეცვლილება და უნდა მოხდეს სასწაული – შენი სულის ჯოჯოხეთიდან იშვას სხვათა სულის სალხინებელი. რა მომხიბლავია, მიმზიდველია, იოლი და დალხინებულია მწერლის ცხოვრება?!“

თენგიზ ბუაჩიძე ჩვენი საზოგადოება „მემორიალის“ დაფუძნების სათავეებთან იდგა და ამ საზოგადოების პირველი თავმჯდომარე გახლდათ (ეს ბუნებრივი იყო იმ კაცისგან, რომელიც 1937 წელმა დააობლა), ამ თანამდებობაზე, აგრეთვე, დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტში ნაყოფიერი მოღვაწეობა ნაადრევმა სიკვდილმა შეაწყვეტინა.

* * *

თუ არ ვცდები, **თენგიზ ბუაჩიძის** მდივნობას დაემთხვა მწერალთა კავშირის აპარატში ახალი თანამშრომლების გამოჩენა.

ერთ-ერთი მათგანი იყო **ზაალ ბოტკოველი.** ამიერიდან მწერალთა კავშირიდან გასაგზავნ წერილებს, მიმართვებს, აგრეთვე სამდივნოს სხდომის ოქმებს, მისალმებებსა და ნეკროლოგებს ზაალი ადგენდა (პრეზიდიუმის სხდომის ოქმების შედგენა, ადრე რომ ხანდახან სტენოგრამირება ხდებოდა, ევალებოდა საოქმო განყოფილებას – **რევაზ კვერენჩხილაძეს**).

ამ ხანებშივე გამოჩნდა მდივან-მემანქანე **მარინე ადეიშვილი.** ეს მუდამ მომღიმარე, მომხიბლავი ქალბატონი თავისი საქმის უზადო ოსტატი იყო. შემდეგ მისი თავი ლიტერატურის ინსტიტუტმა მოგვტაცა... ასევე დაგვენანა კიდევ ერთი კარგი მდივან-მემანქანის **ბელა კალატოზიშვილის** გადასვლა ბავშვთა ფონდში.

ალბათ აქვე უნდა ვახსენოთ ბუღალტერიის თანამშრომელი **ქეთევან დემეტრაშვილი** და მოგვიანებით მოსული მთავარი ბუღალტერი **მანანა ბასილაშვილი,** გამოცდილი მუშაკი და კარგი ადამიანი.



გურამ გერდწითელი, რევაზ გაფარიძე,
არჩილ სულაკაური, ბესიკ ხარანაული



ბიჭო ძალუქაძე, ლაშქარ გაფრინდაშვილი, ნოდარ ლეკიშვილი
არჩილ სულაკაური
ფოტოსურათზე მოგვიწოდა არჩილის შვილიშვილი ჭრის სულაკაური

„საქართველოს მწერალთა კავშირის“ მდივანი (1973-1981) ნოდარ დუმბაძე (1928-1984)

1973 წლის 3 ოქტომბრის გამგეობის სხდომაზე მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს **(გრიგოლ აბაშიძე)** და ორ ძველ მდივანს **(ბესო ჟღენტი, იოსებ ნონეშვილი)** პირველ მდივნად არჩეულ **თენგიზ ბუაჩიძესთან** ერთად მიუმატეს მესამე მდივანი - სამოციანელთა თაობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი **ნოდარ დუმბაძე.**

მან სახელი გაითქვა თავისი ხალასი ნიჭით გაჟღენთილი პირველივე რომანით (1960) „სოფლელი ბიჭით“ (შემდეგში – „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), რომელიც იუმორისტულობის გამო თავიდან ცოტა არასერიოზულად მიიჩნიეს, პეტიტით ანუ მომცრო შრიფტით დაბეჭდეს.

მაგრამ მოხდა საოცრება – კომუნისტური „სერიოზულობით“ შებოჭილ-დამძიმებული სოციალისტური რეალიზმით თავმობეზრებულ ხალხს სწორედ ეს იუმორი მოეწონა.

მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს იყო სწორედ დუმბაძისეული, მისეული იუმორი, რაც კრიტიკამ მაშინვე შენიშნა:

ნოდარ ჩხეიძე – „ნოდარ დუმბაძის იუმორი, ზოგიერთი მისი კოლეგისაგან განსხვავებით, მთლიანად უშუალო და ემოციურია. არც ერთ მის იუმორისტულ სიტუაციას, დიალოგს, აღწერას, სახეს არა აქვს ინტელექტუალური საფუძველი. ეს არის ხალასი, უშუალო, გადამდები და დამათრობელი იუმორი, რომლის მიღწევა წარმოუდგენელია ტვინის ჭყლეტითა და იუმორის თუნდაც ყველა კანონზომიერების ცოდნით (ასეთ ექსპერიმენტებს კი, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად ვხვდებით). ამ აზრით, მე არ მეგულება ახალგაზრდებს შორის არავინ, რომელიც ნოდარ დუმბაძეს შეედრებოდეს.“

ნოდარ დუმბაძე სამდივნოში სწორედ იუმორისტული ნიჭის გამო ჟურნალ „ნიანგის“ რედაქტორად ნამოღვაწარი, იქ 1965-1973 წლებში რედაქციის ხელმძღვანელობაში გამოცდილება მიღებული მოვიდა.

ამ გამოცდილებას ემატებოდა ადამიანებთან ურთიერთობის დამყარებაში ბატონი ნოდარის პიროვნული უნარი.

არჩილ სულაკაურის უბის წიგნაკიდან:

„ნოდარ დუმბაძე პირველ შეხვედრისთანავე ადამიანებთან ამყარებდა ისეთ კონტაქტს, რაც დიდი ხნის ნაცნობობისა და მეგობრობის სრულ ილუზიას გიქმნიდა. ადამიანებთან ურთიერთდამოკიდებულების ასეთი უნარი მისი თანდაყოლილი თვისება იყო, მისი მრავალმხრივი და ელვარე ნიჭის ერთ-ერთი თვისება. მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ თავის მხრივ, ამ ურთიერთობასაც მკვეთრად გამოკვეთილი ხასიათი ჰქონდა. ყოველთვის სიხარულს განიჭებდა, სიხარულის კმაყოფილებით გავსებდა.“

ჩვენ ვიცით ხელმძღვანელები საერთოდ და კერძოდ მწერალთა კავშირისა, რომელნიც ჩაჯდებიან თუ არა თავმჯდომარის ან მდივნის სავარძელში, ივიწყებენ რომ მწერლებმა აირჩიეს მწერლებისა და მწერლობის გასაძღოლად და მსახურად და არა ბატონად, მეგობარ მწერალს რომ სალამსაც დაუგვიანებს, თვალებზე სიცივესა და დაუნახაობას აიფარებს....

მით უფრო სასიამოვნოა მოისმინო მწერლის ნათქვამი ეს თბილი სიტყვები:

მედეა კახიძე – „მისი ყოვლისდამტევი შემოხედვა, შორსგამზირალი თვალები, ალერსგამჯდარი ხმა და სულის სისავსე ყველას თავისკენ ეზიდებოდა. შემოვიდოდა, ისეთ ხალისს და სიცოცხლეს შემოიდევნებდა, ღრუბლით შეფენილი სახე ერთბაშად გაგისინათლდებოდა და პირი, საცინლად, თავისით გაგეღებოდა...

გარეგნულად, მუდმივად ნაღველგადაყრილს, სევდიანზე სევდიანი თვალები ჰქონდა, თუმცა, ჯანგატეხილი იყო, მო-

წუწუნე არ მახსოვს. მხოლოდ ერთადერთხელ ვნახე ღრმად დამწუხრებული, როცა ათას ცხრაას ოცდაჩვიდმეტ წელში რეპრესირებულთა რეაბილიტაცია გამოცხადდა...

იმხანად ნოდარ დუმბაძე მწერალთა კავშირის მდივანი იყო. ეს იყო პერიოდი, როცა ეკლესიებში არა თუ ლოცვა, შესვლაც მკაცრად იყო აღკვეთილი. მაგრამ მე და ნოდარი ქაშუეთის ეკლესიაში მაინც შევედით სანთლების დასანთებად. მამა თუ გახსოვსო, მკითხა. მხოლოდ მისი ღიმილი მახსოვს-მეთქი, არ ვიცი, სიზმრებიდან თუ სურათებიდან – ჩურჩულით ვუპასუხე. მე არ დამვიწყებიაო" („თბილისი", 2003.11 –12.08).

ეს თანაგრძნობა ნოდარ დუმბაძისაგან მეც განმიცდია მისი მდივნობისა და შემდეგ თავმჯდომარეობისას. ალბათ, იმისთვისაც, რომ იცოდა (თანამშრომლებმა გააგებინეს) მამა 1937-ში დახვრეტილი მყავდა, დედაჩემი კი დედამისთან ერთად გადასახლებაში იყო აკმოლინსკის (ყაზახეთი) ბანაკში.

ზემოთ სამართლიანად წინ წამოვწიეთ ნოდარის იუმორისტული ნიჭი, მაგრამ კრიტიკა მის ნაწარმოებთა გამბედაობასაც საგანგებოდ აღნიშნავდა:

„გავიხსენოთ, რომ გურამ რჩეულიშვილის, ნოდარ დუმბაძის, მუხრან მაჭავარიანის, არჩილ სულაკაურის, ოთარ ჭილაძის, რეზო ჭეიშვილის და სხვებისაც, თითქმის ყოველი ახალი ნაწარმოები უმალ რისხვას იწვევდა ზოგიერთებში" (გურამ გვერდწითელი).

როცა საბჭოთა კომპარტიის ხელმძღვანელობამ მიიღო დადგენილება „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ" („ლს", 1976, №43), ეს ღონისძიება მწერლობაში მუშა ახალგაზრდობის ადრინდელ გაიოლებულ გაწვევას რომ არ დამსგავსებოდა, სიტყვის სხვა ოსტატებთან ერთად მწერალთა კავშირის მდივანმა, კავშირში მიმღები კომისიის თავმჯდომარემ ნ. დუმბაძემ იმთავითვე გააფრთხილა დამწყები მწერლები:

„იქნებ ვინმეს ეს დადგენილება ხელოვანთა რიგებში ახალგაზრდობის გაწვევად მოეჩვენა. შემცდარია ვინც ასე ფიქრობს, რადგან ხელოვნება, ალბათ, ერთადერთი დარგია,სადაც ხალხის, და მით უმეტეს ახალგაზრდობის გაწვევა არ შეიძლება. დადგენილებაში მხოლოდ იმედის მომცემი, პერსპექტიული და ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობაზეა ლაპარაკი“.

ნოდარი 1978 წელს ქართული ენის დასაცავად აბობოქრებულ სტუდენტობას წინ მიუძღვებოდა, მათ შეჰფიცა: მენდეთ, ჩვენ რომ გვინდოდა, ისე გადაწყდება ქართული ენის ბედი, თუ არა და თავს მოვიკლავ – იარაღი აგერ ჯიბეში მიდევსო...

მწერალთა კავშირის მდივნობის პერიოდში (1973-1981) ნოდარ დუმბაძეს 1975 წელს საქართველოს უმაღლესი ლიტერატურული ჯილდო – რუსთაველის პრემია მიანიჭეს რომან „თეთრი ბაირაღების“ და მოთხრობებისთვის, 1980 წელს კი რომან „მარადისობის კანონისთვის“ ლენინური პრემია მიიღო. ორჯერ აირჩიეს (1971,1975) საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ხოლო შემდეგ ასევე ორჯერ (1979,1984) სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ნ. დუმბაძეზე საუბარი ჯერ კიდევ წინ არის.



სოსო პაიჭაძე, ჟურნალისტი, გიორგი გიგაური, ელდარ კერძევაძე.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„ხომ არიან ო. ჩხეიძე, ა. ბაქრაძე, ო. ჭილაძე, ანა კალანდაძე, თ. ჩხენკელი, ბ. ხარანაული, ჯ. ფხოველი, გ. პეტრიაშვილი, რამდენიმე სხვაც – არ წერდნენ ამ ხოტბა-დიდებას, როგორღაც სხვაფრივ ჩალიჩობენ და გააქვთ თავი“.

გიორგი (იური) ბაქანიძე
„ცისკარი“, 1997. №4

* * *

ამავე ხანებში, 1976 წლის 18 ოქტომბერს გარდაიცვალა მწერალთა კავშირში მრავალი წლის განმავლობაში მდივნად ნამოღვაწარი კრიტიკოსი **ბესო ჟღენტი.**

საჭირო იყო როგორც **თენგიზ ბუაჩიძის** მაგიერი ორგმდივნის მოყვანა, ასევე **ბესო ჟღენტის** შემცვლელი კრიტიკოსის გამონახვა.

მაგრამ ადვილი არ იყო მათი, განსაკუთრებით ბესოს, სრულფასოვან შემცვლელთა პოვნა...

„საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი“ (1977-1981)
გიორგი ჟორჟოლიანი (1930-2009)



გამგეობამ 1977 წლის 25 მარტს, თენგიზ ბუაჩიძის მაგივრად, მაგრამ არა პირველ მდივნად (ცხადია, გრიგოლ აბაშიძე ყოველმხრივ ეცდებოდა გვერდზე პირველი მდივანი არ ჰყოლოდა), არამედ მდივნის შტატზე აირჩია **გიორგი ჟორჟოლიანი,** 30-იანი წლების შემდეგ პირველად ისევ არამწერლური წრიდან შერჩეული კანდიდატი. მაგრამ მას (ისევე როგორც მის შემდეგ პარტიის ცეკადან მოსულ ორგმდივნებს **რომან მიმინოშვილსა** და **ვალერი ასათიანს**) მწერლებისთვის არ უგრძნობინებიათ ცეკას წარმომადგენლები ვართო.

მწერალთა კავშირის მდივნობისას, 1980 წელს, გიორგი ჟორჟოლიანი საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

გიორგი ჟორჟოლიანმა მდივნის თანამდებობაზე 1981 წლის ყრილობამდე იმუშავა. მან თავი კარგ ორგანიზატორად დაგვამახსოვრა.

„საქართველოს მწერალთა კავშირის“ მდივანი (1977-1985)
გიორგი ცინცაძვილი (1922-2005)

გამოკლებული ბესო ჟღენტი ზემოხსენებული გამგეობის სხდომაზე (1977.25.03) გერცელ ბააზოვზე (1964), ჭოლა ლომთათიძეზე (1966), შალვა დადიანზე (1974) მონოგრაფი-

ებისა და ომის თემაზე საინტერესო ნოველების წიგნის „სიყვარული სისხლის წვიმების დროს“, 1975) შემქმნელი კრიტიკოსითვე – ლიტერატურისმცოდნე **გიორგი ციციშვილით** შეცვალეს.

ეს შენაცვლება წარმატებული გამოდგა, აქედან დაწყებული გიორგი ციციშვილმა, რომელსაც 1981 წლის 31 მარტს ყრილობაზე ახალარჩეულმა გამგეობამ მდივნის უფლებამოსილება გაუგრძელა, ახალგაზრდული ენერგიით შეუდგა მწერალთა კავშირისა და საერთოდ ლიტერატურული ცხოვრების გაძღოლას და მდივნად იმუშავა 1985 წლის 18 ივნისამდე – ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორად დანიშვნამდე. თუმცა მას კიდევ ელოდა მწერალთა კავშირში დაბრუნება...

გ. ციციშვილს აქამდე, გარდა კრიტიკოსისა და ბელეტრისტისა, გავლილი ჰქონდა მწერალთა კავშირის ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ რედაქტორობის გზა (1969-1977). სწორედ იქიდან მოიყვანეს იგი მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში.

მწერალთა კავშირის მდივნად მუშაობის პერიოდში 1984 წელს გიორგი საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

„საქართველოს მწერალთა კავშირის“ მდივანი (1977-1988)

ჯანსულ ჩარკვიანი. (დ. 1931)

კიდევ ცოტა ხანში, „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“ 1976 წლის დადგენილების საპასუხოდ, იმ წლის 17 ოქტომბერს შეიქმნა „ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანება“ („ლს“. №44), ხოლო 1977 წლის პირველ დეკემბერს ბ-ნი ჯანსული მწერალთა კავშირის მდივნად ისევ

დააბრუნეს ახლა უკვე მწერალთა ახალი თაობის პრობლემების მისახედავად.

როცა ჯ. ჩარკვიანს ამ მიზნით აბრუნებდნენ, გაითვალისწინეს მისი, როგორც ახალგაზრდული „ცისკრის“ რედაქტორის, გაბედულება მწერალთა შემოქმედებითი ინტერესის დაცვის საქმეში.

ჯერ თავად პოეტს მოვუსმინოთ: **„მე პირადად „ცისკარში“ ავიდგი ფეხი. დავამთავრე თუ არა უნივერსიტეტი, „ცისკარში“ დავიწყე მუშაობა. კორექტორად მიმიღეს... ჩემი კორექტორობის დროს გაიპარა თავზარდამცემი შეცდომა და „პირსისხლიანი მენშევიკების“ ნაცვლად „პირსისხლიანი ბოლშევიკები“ დაიბეჭდა. ჟურნალ „ცისკრის“ მაშინდელი მთავარი რედაქტორი, ბატონი ვახტანგ ჭელიძე, იძულებული გახდა კორექტურისთვის ჩამოვეშორებინე და ლიტმუშაკად დავეწინაურებინე. ცეკაშიც დაუმტკიცა მავანთ, რომ კორექტურა გაიპარა და იმათაც დაიჯერეს“.**

„მე ვახტანგ ჭელიძის ხელში გავიზარდე, როგორც რედაქციის მუშაკი და, როცა „ცისკრის“ მთავარი რედაქტორი გავხდი, „ცისკრის“ ყოფილი რედაქტორების გზებიდან მე ვახტანგ ჭელიძის გზა ავირჩიე“... („ცისკრის“ საიუბილეო ნომერი, 1997 წ. გვ. 35).

ახლა „ცისკარში“ დაბეჭდილი რომანებით შევაფასოთ ჯ. ჩარკვიანის რედაქტორობა.

უდავოდ სიმამაცე გამოიჩინა **გურამ ფანჯიკიძის** მამხილებელი რომანის „ოქროს თევზის“ დაბეჭდვაში (სხვათა შორის, ეს სათაურიც ჯანსუღის რჩევით მიუცია ავტორს) — ჯანსუღმა იცოდა აუხირდებოდნენ, ამიტომ შინაგან საქმეთა მინისტრს **ედუარდ შევარდნაძეს** თხოვა წაკითხვა და გზის ჩვენება. იმან ურჩია ჟურნალის მეთორმეტე ნომერში დაიწყე ბეჭდვა — საახალწლო სამზადისში ყურადღებას არ მიიპყრობს, პირველ ნომერშიც „პახმელიაზე“ ამისთვის არ ეცლებათო.

ჯანსულიც ასე მოიქცა, მაგრამ... **„მარტში კომპარტიის ყრილობა იყო. ამ ყრილობაზე მე და ფანჯიკიძე კედელთან მიგვაყენეს. აქაც თავისი სიტყვა თქვა ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ: რას ერჩით, ზნეკეთილი ახალგაზრდობა უზნეობას ებრძვისო“.**

კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო ჯანსულის, როგორც რედაქტორის, როლი საუკუნის რომანის „დათა თუთაშხიას“ გამოქვეყნების, თანაც დროულად გამოქვეყნების საქმეში. აი, როგორ იხსენებს ამას რომანის ავტორი: **„ცისკრის“ რედაქტორის ჯანსულ ჩარკვიანის „თავდადება და რისკი რომ არა, რა ბედი ეწეოდა ამ რომანს, ვერ გეტყვით“ (ჭაბუა ამირეჯიბის საუბრიდან მწერალ მიხო მოსულიშვილთან, „ცისკარი“.....)**

და ეს მაშინ, როცა საბჭოურ-კომუნისტურ ქვეყანას ბევრი ლაქია ქვეშევრდომი ფხიზლად იცავდა:

„როდესაც „დათა თუთაშხია“ დაიბეჭდა „ცისკარში“, ხოლო შემდეგ წიგნად გამოვიდა, ბევრი საჩივარიც მოჰყვა ცეკაში და ამას თუ ვიხსენებ, მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო მეტი წერილი მხარდაჭერისა და თანადგომისა იყო“ (ედუარდ შევარდნაძე).

ყოველივე ამით ჩვენს წინაშე წარმოსდგა, „ცისკრის“ საიუბილეო ნომრის (2008) რედაქციის სიტყვით რომ ვთქვათ, **„ერთ-ერთ საუკეთესო რედაქტორად ქცეული ჯანსულ ჩარკვიანი, რომლის დროსაც ჟურნალმა თავის მწვერვალს მიაღწია და ტირაჟი 75000-მდე გაზარდა“.**

ისიც უნდა ითქვას, 1977 წელს მდივნად მეორედ მოსვლის წინ, პირველ აპრილს ჯანსულ ჩარკვიანმა თავი აარიდა და არ დაესწრო პრეზიდიუმის იმ სხდომას, რომელზეც მწერალთა კავშირიდან გარიცხეს ზვიად გამსახურდია.

1989 წლის აპრილში მან ხელი არ აუწია მომიტინგეთა დარბევას..

ჯანსულ ჩარკვიანი იყო 1922 წელს დაარსებული საერთაშორისო გაერთიანება პენ-კლუბის* საქართველოს განყოფილების პირველი პრეზიდენტი 80-იან წლებში (მეორე პრეზიდენტი – დავით მაღრაძე).

კიდევ ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას მწერალთა კავშირის ხელმძღვანელთა ადამიანურ სახეზე.

ჯანსული ცნობილია თავისი მოსწრებული სიტყვით:

ჯერ თავად მას მოვუსმინოთ:

„ურნალ „დილადან“ უნდა გადამიყვანონ „ცისკარში“, მუავანაძე მეკითხება:

რას იზამ, ორი სიტყვით მითხარიო.

ორი სიტყვა მე არ შემეშლებოდა და ვუთხარი: ადრე თუ დილაზე ვდგებოდი, ახლა ცისკარზე ავდგები-მეთქი“ (ინტერვიუდან, „თბილისელები“, 2006, №5).

როცა საქართველოში მიტინგები და ფრონტები მომრავლდა, ჯანსულმა მაზვილგონივრულად გამოხატა თავისი დამოკიდებულება: **საქართველო ავადაა, მიტინგიტი და ფრონტიტი** სჭირსო, ბევრი გონივრული წერილიც დაბეჭდა ამ ორი ავადმყოფობის წინააღმდეგ – უბედურებას მოგვიტანს, დაფიქრდით რა გზას უნდა დავადგეთო, უგუნურობას ფუნაგორიებით თუ **„კალცლექსებით“** და **„ლექსპრომტებითაც“** ებრძოდა და ებრძვის.

არც ამბიციურია, სხვისი ნიჭის დაფასება იცის:

ჯ. ჩარკვიანი: „ჩვენ გალაკტიონისა და გოგლა ლეონიძის სიახლოვეს ვტრიალებდით. ისინი იყვნენ ჩვენი პირველი შემფასებლები. ამით ნამდვილად გაგვანებივრა განგებამ: სხვისი ნიჭის დანახვის, შეფასების უნარი შეგვძინეს.

---

* პენ – პოემები-ესეები-ნოველები poem-essay-nouel (Лит.энц. ტ.5, გვ. 646-647).

ღმერთმა ნუ ქნას, ვინმეს მხოლოდ თავისი შვილი და შვილიშვილი მოსწონდეს“ (მუდმივი კავშირის სამყარო, 2006, №3).

ისევე როგორც ჩემთვის ძვირფას პოეტებსა და ადამიანებს ტარიელ ჭანტურიას, გივი გეგეჭკორსა და ემზარ კვიტაიშვილს, ისევე როგორც ნოდარ დუმბაძეს (ამის შესახებ იხილეთ მასზე საუბრისას ორიოდე გვერდის შემდეგ) და სხვა მწერლებს, ჯანსულ ჩარკვიანს განსაკუთრებით უყვარს მწერალთა ბიბლიოთეკა.

ამ წლებში ჯანსულ ჩარკვიანმა ჯერ გალაკტიონ ტაბიძის პრემია მიიღო (1978), შემდეგ კი რუსთაველის პრემიის ლაურეატი გახდა (1985), საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ორი მოწვევის (1980, 1984) დეპუტატადაც მოღვაწეობდა.

როდესაც ტრაგედია დატრიალდა – აფსუა-აფხაზები, რუსები და მათ დასახმარებლად რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ დუმილით თანხმობამიცემული ავაზაკები, კაზაკები და ჩრდილო კავკასიელი „ბოევიკები“ სოხუმს უტევდნენ, ჩვენი მეომრების გასამხნევებლად ფრონტის ხაზზე გასულთა შორის ჯანსულ ჩარკვიანიც იყო. მას შემდეგაც, მძიმე წლებში იგი მუდამ მტკიცე ეროვნულ ნიადაგზე დგას როგორც პოეტი და როგორც მოქალაქე.

ზოგიერთნი აყვედრიან: ყველა მთავრობის კაცი იყო, ყველა მთავრობას მოერგოო.

მიხეილ სააკაშვილის გუნდი საქართველოს ხელისუფლებაში **მამუკა ჩარკვიანის** სიმღერის გუგუნით მკვიდრდებოდა, მაგრამ ამ სიმღერის სიტყვების „თავისუფლება ლომთა ხვედრია“ ავტორი, მამუკას მამა, **ჯანსულ ჩარკვიანი**, ისევე როგორც მისი თაობისა და ნამდვილი ეროვნული რწმენის პოეტები ამ მთავრობას გულზე რომ არ ეხატება, ეს საქვეყნოდ ცნობილია. არც ჯანსულს მოფერებია.

მოდი ახლა და ამტკიცე – ჯანსულ ჩარკვიანი ყველა მთავრობის კაცი იყოო!!

ჯანსული, ადამიანიც და პოეტიც, ისევე როგორც ზემოხსენებული მისი თაობის მწერლები, ოღონდ ნაღდი შემოქმედნი და ნაღდი მოქალაქენი, მხოლოდ საქართველოს გუნდში იყვნენ და არიან!

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„ქართველი მწერლობა არასოდეს არ ყოფილა გულგრილი ეროვნული განსაცდელის მიმართ და, თუ ამას საქმე მოითხოვდა, მისი ღირსეული წარმომადგენლები უბრალო „დღიურ-მუშის“ მძიმე ტვირთსაც არ თაკილობდნენ.


დღეს ჩვენი საზოგადოების წინაშე ასეთი გადაუდებელი ამოცანა დგას და არ არსებობს სხვა მიზანი, სხვა საქმე, რომელიც ამ საზრუნავზე უარის თქმას ან ოდნავ დაუდევრობას ამართლებდეს.

არ არსებობს გამართლება, რომლის გამო ჩვენ ეს სამარცხვინო გულგრილობა გვეპატიოს!“

გურამ ასათიანი, 1969წ.

* * *

„საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარე (1981-1984) ნოდარ დუმბაძე (1928-1984)



1981 წლის 30-31 მარტს ჩატარებული ყრილობის შექმნილმა გამგეობამ შეცვალა (31.03) თავმჯდომარე, თუმცა მას, გრიგოლ აბაშიძეს, არც ახლა ეთმობოდა პოზიციები, მაგრამ უნდა ითქვას, ღირსეულად ეჭირა თავი.

მადლობით გასტუმრებული გრიგოლის ნაცვლად მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ აირჩიეს 60-იანი წლების ქართული მწერლობის ერთ-ერთი ღირსეული წარმომადგენელი **ნოდარ დუმბაძე**, რომელიც ამ დროისათვის თავისი სამწერლო დიდების უმაღლეს საფეხურზე იყო ასული, საქართველოს უმაღლესი ლიტერატურული ჯილდოს – რუსთაველის პრემიის შემდეგ (1975) თავმჯდომარედ მოსვლის ცოტა ხნის წინ (1980) რომან „მარადისობის კანონისთვის“ ლენინური პრემია ჰქონდა მიღებული.

მან თავმჯდომარის თანამდებობაზე მოიტანა საკმაოდ ხანგრძლივად (1973-1981) გამგეობის მდივნად მუშაობით მიღებული გამოცდილება, ჩვეული ღიმილი და იუმორის გრძნობა.

ავადმყოფობის მიუხედავად მან, გარდა მწერალთა შემოქმედებითი ცხოვრების მესვეურობისა, მწერალთა კავშირის აპარატის მუშაობის წვრილმანებიც კი იცოდა, მწერალთა სასახლის ოთხივე სართულის (სარდაფისა და სხვენის სართუ-

ლების ჩათვლით) ყოველი ოთახისა და კუთხე-კუნჭულის მდგომარეობა-გასაჭირიც ესმოდა ზოგიერთი ხელმძღვანელისაგან განსხვავებით, რომლებსაც თავიანთი კაბინეტის იქით მაინცდამაინც არაფერი აინტერესებდათ.

მახსოვს, დიდი რემონტის (1979-1981) შემდეგაც მწერალთა სასახლეში კარგა ხანს გრძელდებოდა შემკეთებელ ოსტატთა ტრიალი. ნოდარს მათთვის ბევრჯერ გამოუგზავნია სახლიდან ღვინო და პურ-მარილი.

ერთ წელიწადს მწერალთა სასახლის ბაღს ყვავები შემოესია. როგორღაც მწერალთა კავშირის ქონებაში გეკოს თოფი ირიცხებოდა. ესროლა ყვავს მწერალთა კლუბის გამგემ, ნაფრონტალმა **ლადო სულაბერიძემ** და... ააცილა. ესროლა ნოდარმა და ყვავმა კედრის კენწეროდან მიწაზე ზღართანი მოადინა.

არ მახსოვს, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებს (იგულისხმებიან მდივნებიც) დიდი ინტერესი გამოეჩინოთ მწერალთა ორგანიზაციის წარსულისადმი, ხოლო როდესაც ნოდარ დუმბაძემ ჩემი თანამშრომელი ბიბლიოთეკარების — დოდო ჩიკვაიძისა და ლაურა დათიაშვილისგან გაიგო — რევაზ კვერენჩხილაძეს ამაზე წიგნი აქვს გამოსაცემიო, უთქვამს: ჩემს წინ ვინ იყო თავმჯდომარე — ვიცი, იმის წინ ირაკლი იყო, პირველი თავმჯდომარე რომ კოტე მაყაშვილი იყო, ესეც გამიგია, მაგრამ ბევრი სხვა რამეც ხომ უნდა ვიცოდეთ ჩვენს კავშირზეო.

ამის შემდეგ ხშირად მეკითხებოდა, რას შვება შენი წიგნიო, გამომცემლობა „მერანსაც“ შეუცაცხანა, ისე ინტერესდებოდა, მე თვითონ უხერხულობაში ვვარდებოდი...

დაბეჭდვის იმედს რომ ვერ ვხედავდი, წიგნის მეორე, კომუნისტური ცენზურით ისედაც გაღარიბებულ, გამომშრალ ნაწილზე ცოტა უგულოდ ვიმუშავე (ეს, რა თქმა უნდა, არ მეპატიება) და აი, ერთხელ, ქვიშხეთიდან დაბრუნებულს, სექტემბერში თავზე დამადგნენ **ნიკა აგიაშვილი** (ქვიშხეთში

ხელნაწერში გაეცნო წიგნის პირველ ნახევარს, მომიწონა და წამაქეზა) და მწერალთა კავშირის საქმეთა მმართველი **ირო-დიონ ქავჭარაძე**. ნიკამ მითხრა (მაშინ ის „მერანში“ მუშაობდა): ნოდარმა 15 დღე მისცა გამომცემლობას და წიგნი სასწრაფოდ უნდა გაამზადოო. ასე გამოვიდა 1983 წელს წიგნი „საქართველოს მწერალთა კავშირი 1917- 1982“...

ბევრ საზრუნავს შორის ნოდარ დუმბაძის მთავარი საფიქრალი იყო ჩვენი ერის უკვდავება, რომლის ხელშესაწყობად ის, როგორც თავმჯდომარე, მწერლებისთვის დაკვეთის მიცემასაც დასაშვებად თვლიდა. აი, რას ამბობდა იგი ერთერთი საუბრისას:

„საქართველოში... ახლა ერთ-ერთი აქტუალურია დემოგრაფია. „მნათობში“, „ცისკარში“, გაზეთებში, თუ ვადევნებთ თვალს, ხშირად იბეჭდება ამგვარი ხასიათის წერილები. ეს არ არის რაღაც სოციალური დაკვეთა და ასე რომც იყოს, რა არის ამაში სამარცხვინო, პირიქით ეს ეროვნული და პატრიოტული საქმეა. როცა მე ვთხოვე მწერლებს ამ თემაზე ემუშავათ, ყველა დიდი სიამოვნებით გამომეხმაურა და აი, სისტემატურად იბეჭდება კიდეც, ამას თითქოს სასურველი შედეგიც მოჰყვა...“[33]

ეს ინტერვიუ ნოდარს ლენინის დაბადების დღესთან დაკავშირებით თხოვეს. თქვენ ხედავთ, მწერალი, უფრო მეტიც, მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ამ თარიღსაც ეროვნულ სატკივარზე სასაუბროდ იყენებს. ასე ჩვენი სხვა მწერლებიც იქცეოდნენ.

ნ. დუმბაძე ხუმრობითაც ქართულ საქმეს ემსახურებოდა. ამის თაობაზე მოვუსმინოთ **ჯ. ჩარკვიანს:**

„ერთხელ ერთი სომეხი მეცნიერი დიდი მონდომებით ამტკიცებდა, რომ შოთა რუსთაველი სომეხიაო, ნოდარ დუმბაძემ მაშინ ხუმრობით თქვა: „დიახ, ბატონებო, შოთა რუსთაველი სომეხია, მაგრამ „ვეფხისტყაოსანი“ ამჯობინა ქართულ ენაზე დაეწერაო“.[34]

ახლაც, ნოდარ დუმბაძეზე თხრობაც, მწერალთა კავშირის თანამშრომლებთან ურთიერთობის კიდევ ერთი მაგალითით უნდა დავასრულო:

ჯერ კიდევ მწერალთა კავშირში გამგეობის მდივნებად მოსვლიდან ჯანსულ ჩარკვიანმა (1967 წლიდან) და ნოდარ დუმბაძემ (1973 წლიდან) თანამშრომლებთანაც უფრო თბილი, ადამიანური დამოკიდებულება მოიტანეს. მანამდე ეს ნაკლებ იგრძნობოდა.

ბიბლიოთეკარი ლაურა დათიაშვილი დილით ცოტა აგვიანებდა. ნოდარი ყოველთვის ბიბლიოთეკაში შემოივლიდა და მაინცდამაინც ლაურას სკამზე დაჯდებოდა. გამოჩნდებოდა ლაურა და მომღიმარი ნოდარი ეტყოდა: წაგართმევ ამ ადგილს და უმუშევარი დარჩებიო...

ნოდარი წასვლისასაც აუცილებლად შემოიხედავდა ბიბლიოთეკაში.

ზამთარში ძალიან ცივა სასახლეში (სამაგიეროდ, ზაფხულში სიცხეს ვერ იგრძნობ!). ნოდარს ბიბლიოთეკარებისთვის უკითხავს: ამ საყინულეში როგორ ძლებთ, ელექტროღუმელი ჩართული რატომ არ გაქვთო.

— ჩვენ ლიტფონდის შტატში ვართ, ბატონი ამირან გაბესკირია გვეუბნება ამის ფული არ გვაქვსო.

მეორე დღეს ლიტფონდის მძღოლმა, არეულ დროს, 1991 თუ 1992 წელს მანქანის ჩამოსაყვანად რუსეთში წასულმა და იქ გამქრალ-ჩაკლულმა ალბერტ გლაზოვმა, საუკეთესო მოქართულე სომეხმა და საუცხოო ადამიანმა, ორი ახალი ელექტროღუმელი მოიტანა — ნოდარს უთქვამს ამირანისთვის: როგორც გინდა ისე შეიძინე ღუმელი და ბიბლიოთეკა გაათბეო.

ასევე ბიბლიოთეკართა მწირ ხელფასზე ლიტფონდს დანამატები გააკეთებინა, მაგრამ როგორც კი ნოდარი გარდაიცვალა, მეორე დღეს მოსპეს ეს სიკეთე...

სამწუხაროდ, ნოდარ დუმბაძე ნაადრევმა სიკვდილმა (1984.14.09) ჩამოაშორა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის საპატიო მოვალეობას.

* * *

ზოგიერთ ხელმძღვანელს ბიბლიოთეკასთან ურთიერთობა მხოლოდ პირადი მდივნის მეშვეობით ჰქონდა. ალბათ ვერ გაამტყუნებ. მაგალითად, ირაკლი აბაშიძეს მხრებზე აწვა მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობა, მრავალი საზოგადოებრივი საქმე, მოგვიანებით — ქსე-ს მთავარი რედაქტორობა, ბოლოს ურთიერთობა ამა ქვეყნის ძლიერებთან, რაც მწერალთა და სხვა შემოქმედებითი კავშირების, საერთოდ კულტურის და საქვეყნო საქმეების საკეთილდღეოდ წარმართვის საშუალებას იძლეოდა...

ბიბლიოთეკასთან ნოდარ დუმბაძის დამოკიდებულებაზე უკვე ვისაუბრეთ.

შოთა ნიშნიანიძეც ხშირად შემოდიოდა, უფრო ფილოსოფიურ წიგნებს ითხოვდა...

გივი გეგეჭკორსა და ემზარ კვიტაიშვილს მუდამ წიგნზე ეჭირათ თვალი, ეძებდნენ, იქექებოდნენ და იქექებოდნენ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებში...

ზოგი მწერალი, კავშირის ხელმძღვანელებზე გამწყრალი, მხოლოდ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში ყოფნით (აქ სიმშვიდეს ვპოულობთო...) იწყებდა და ამთავრებდა თავის სტუმრობას მწერალთა სასახლეში...

ერთხანს ბატონმა გიორგი ციციშვილმა ბიბლიოთეკას დაადგა თვალი, თითქოს ასეთი დიდებული დარბაზი არ ემეტებოდა ვიღაც ბიბლიოთეკარებისთვის, რომლებზეც ერთმა ცნობილმა ენატანიამ ჩააგონა ბიბლიოთეკარები რაღაც-რაღაცებს ლაპარაკობენო...

ალბათ ამიტომაც შემოიღო დავით სარაჯიშვილის ყოფილი სასადილო გასაშლელ ძვირფას მაგიდის წითელი მაუ-

დით „დამშვენება“, ზედ საგანგებოდ დაკვეთილ-შეძენილი მუქლურჯყდიანი, პრეზიდიუმის წევრთა გვარებწარწერილი საქაღალდეების დალაგება და იქ სხდომების გამართვა.

ასეთი ხმაც კი გავრცელდა: ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზის ვიღაცის კაბინეტად ქცევას აპირებენო...

ჩვენ ვინ ვიყავით, მაგრამ ეტყობა ხმები მიუვიდათ თუ იგრძნეს — ამას ის მწერლები არ დაანებებდნენ, რომლებიც ბიბლიოთეკის დიდი ქომაგები იყვნენ, ვინაიდან იქ ყოველთვის სითბო და სიმშვიდე, კეთილგანწყობა და პატივისცემა ხვდებოდათ.

* * *

ნოდარ დუმბაძეს მისი მდივნობისას, განსაკუთრებით კი თავმჯდომარეობის პერიოდში, იცოდნენ რა მისი ავადმყოფობა, მუშაობაში ხაზგასმული გულისხმიერებით და სიყვარულით ხელს უწყობდა თანამშრომელთა ახალი თაობის გუნდი, რომელთაგან უნდა მოვიხსენიოთ **თამილა მუსერიძე, მაია წერეთელი** (თავმჯდომარის მდივანი, რომელსაც შვებულების დროს კავშირის ხელმძღვანელის დავალებათა მასავით ერთგულად შემსრულებელი **თამარ ჯამასპიშვილი** ცვლიდა), **ირინე კალმახელიძე, ციცინო ცერცვაძე...**

ამ გუნდში შედიოდა იმ ხანებში შექმნილი უცხოეთის განყოფილებაში მომუშავე ორი სიმპათიური ახალგაზრდა: **დავით კახაბერი** (უცხო ენებიდან რომანების თარგმნის ოსტატი) და **ირაკლი თოფურია** (უცხო ენების საუკეთესო მცოდნე).

გავიდა ხანი, ნოდარ დუმბაძე, რომელიც მაგნიტივით კრავდა, ამჭიდროებდა ამ გუნდს, ჩვენდა სამწუხაროდ, ნაადრევად გარდაიცვალა, ეს გუნდიც ნელ-ნელა გაიფანტა, ყველამ თავ-თავისი გზა მონახა... მათაც გაიყოლიეს სევდა და ჩვენც ყოველივე ამის გახსენება კაეშანს გვგვრის...

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

მარჯანიშვილის თეატრში მზად იყო „თეთრი ბაირაღების“ პრემიერა. მოვიდა კომპარტიის ცეკას მდივნის **ვიქტორია სირაძის** განკარგულება – არ დაიდგასო.

თეატრის დირექტორმა **აკაკი ბაქრაძემ** წყნარად, მაგრამ შეუვალად ბრძანა: შეუძლებელია – პრემიერა გამოცხადებულია, ბილეთები გაყიდულიაო...

მოითხოვეს გასინჯვა. დაესწრო პირველი მდივანი **ედუარდ შევარდნაძე**. დამთავრდა წარმოდგენა და ყველა თავს იკავებს. დაუკრა ტაში ედუარდმა და ყველა აჰყვა. შევარდნაძეს უთქვამს: მოსკოვმაც ნახოს საქართველოში როგორი სპექტაკლები იდგმებაო.

* * *

ნოდარ დუმბაძის თავმჯდომარედ არჩევასთან ერთად მწერალთა 1981 წლის ყრილობის ბოლო დღეს (31.03) ახალარჩეულმა გამგეობამ ძველ მდივნებს (**გიორგი ციციშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი**) შემატა ადრე (1971-1973) მდივნად ნამუშევარი **თამაზ ჭილაძე** და ორი ახალი მდივანი: **რომან მიმინოშვილი** და **შოთა ნიშნიანიძე**.

„საქართველოს მწერალთა კავშირის“ მდივანი (1981-1988) თამაზ ჭილაძე (დ. 1931).

1981 წელს მდივნად ხელმეორედ არჩეული, საოცარი შრომისმოყვარეობით დაჯილდოებული ეს შემოქმედი გარდა სიტყვაკაზმულ მწერლობაში, კერძოდ პოეზიაში, ბელეტრისტიკაში, დრამატურგიაში, ესეისტიკაში ფრიად ნაყოფიერი მოღვაწეობისა, რაც მწერალთა კავშირის ოთხი (1977, 1979, 1986, 1996) ყოველწლიური პრემიითაც დაფასდა, გა-

მორჩეულად იცავდა ქართულ მწერლობას როგორც გარეშე მტრების შემოტევებისაგან (1981 წელს მწერალთა საკავშირო ყრილობაზე, მოსკოვში, მოითხოვა ეროვნული მწერლობებისადმი სერიოზული მიდგომა და მათი შესწავლა, სასტიკად გააკრიტიკა საქმის არმცოდნე ავტორის აზრი ქართული პროზის შესახებ), ასევე შინაურ უგუნურთა ხელყოფა-დამცრებისაგან – 2004 წელს, მწერლის დაბადების დღესთან დაკავშირებით, გაზეთმა „გენერალისიმუსმა“ (№9) საქვეყნოდ გამოიტანა **თამაზ ჭილაძის** ბრძნული სიტყვები:

„ერთ-ერთი ყველაზე დიადი და მნიშვნელოვანი, რაც კი ჩვენმა ხალხმა თავისი ისტორიის მანძილზე შექმნა, ქართული მწერლობაა, რომელიც ქართველებს რელიგიის სიმაღლეზე ჰყავდათ მუდამ აყვანილი. დაუშვებელია ამჟამინდელი ნიჰილისტური განწყობა ქართული მწერლობის მიმართ. ჩვენ ამის უფლება არ გვაქვს.“

აუცილებლად უნდა დაფასდეს, ბევრი ჩვენი გამორჩეული მწერლის მსგავსად, თამაზ ჭილაძის, როგორც 1973 წლიდან ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მთავარი რედაქტორის, ზრუნვა ჩვენი მწერლობის ახალ თაობებზე, კერძოდ დრამატურგიაზე საერთოდ და განსაკუთრებით ახალგაზრდა დრამატურგებზე, რაც შემდეგ, 1981 წლიდან დაგვირგვინდა მისი თაოსნობით ქ. სოხუმში დაწყებულ, შემდგომში მისი ხელმძღვანელობით ტრადიციად ქცეულ ახალგაზრდა დრამატურგთა ბიჭვინთის (მოგვიანებით ბიჭვინთა-ქობულეთის) სემინარებით.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ქართულ მწერლობაზე თამაზ ჭილაძის ზრუნვის კიდევ ერთი, კერძო გამოხატულება. ესაა მისი, როგორც შემოქმედის, საოცარი და სათუთი ხელშეწყობა მეორე შემოქმედისთვის, XX საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწის, მისი ძმის **ოთარ ჭილაძისთვის...** ძმობაც ასეთი უნდა!

1986 წელს საქართველოს მწერალთა ყრილობა მდივნად მოღვაწეობის რწმუნებას გაუგრძელებს თამაზ ჭილაძეს.



ელდარ შენგელაია, გიორგი ციციშვილი, ვახტანგ ბერიძე, როინ მეტრეველი, მუხრან მაჭავარიანი, მარიკა ლორთქიფანიძე, გრიგოლ აბაშიძე.



ლიდა სტვილია, ცირა ქიტიაშვილი, კლავდია დევდარიანი, ნაზი კილასონია, ზინა სოლომნიშვილი, ქეთევან ჭილაშვილი, დოდო ვადაჭკორია. მწერალთა სასახლე. ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზი

ახლა გავეცნოთ 1981 წელს მწერალთა ხელმძღვანელობაში ახალმოსულ ორ მდივანს: 1. „საქართველოს მწერალთა კავშირის“ მდივანი (1981-1986) რომან მიმინოშვილი (1928-1998)



საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნად (ორგანიზაციულ საკითხებში, გიორგი ჟორჟოლიანის მაგივრად) 1981 წლის ყრილობის ბოლო დღეს, 31 მარტს, ახალშექმნილმა გამგეობამ აირჩია ლიტერატურისმცოდნე, ქართულ-ბერძნული კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობების მკვლევარი, ძველბერძნულიდან და ლათინურიდან მთარგმნელი (კრებული „ელადის მუზა“, 1963; ვერგილიუსის „ენეიდა“ 1976; ჰომეროსის „ილიადა“,1979), ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი (1968) **რომან მიმინოშვილი.**

ამ მთარგმნელობითი მოღვაწეობისთვის მას მოგვიანებით, 1994 წელს ივანე მაჩაბლის პრემია მიენიჭა. მანამდე მიღებული ჰქონდა „ხუთწლედის მატიანის“ პრემია (1988).

თავისი სიდინჯით გამორჩეული რომანი მეცნიერული სიზუსტითა და სიღრმით უძღვებოდა მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის საქმეს.

იგი ჩემი თანაკურსელი იყო, უფრო მეტიც, ჩვენ, რამდენიმე თანაკურსელი (რომანი, ოთარ ბაქანიძე, ლევან ქაჯაია, რევაზ დოლონაძე და მე) გამოცდებისათვის ყოველთვის მის კაბინეტში ვემზადებოდით (ის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იყო). მაგრამ მიუხედავად ამ ახლობლობისა, მე ეს არასოდეს გამომიყენებია ფამილარული ურთიერთობისთვის არც მისი მდივნობისა და არც

მისი კომპარტიის ცკ-ის კულტურის განყოფილების ლიტერატურის სექტორის ხელმძღვანელობისას, საიდანაც ის მწერალთა კავშირში მოვიდა.

რომანმა მწერალთა კავშირში მდივნად იმუშავა 1986 წლის მწერალთა ყრილობამდე, როდესაც საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანმა გურამ ენუქიძემ მოულოდნელად გამოაცხადა რომანის წასვლა ისე, რომ ამ უკანასკნელმა არ იცოდა სად გადაჰყავდათ.

ცოტა ხანში, იმავე 1986 წელს მას „ლიტერატურნაია გრუზიას" მთავარ რედაქტორად ნიშნავენ, დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტშიც ღირსეულად და გამორჩეულად მოღვაწეობდა, ვიდრე, სამწუხაროდ, 1998 წელს ნაადრევი სიკვდილი არ წამოეწია.

ბოლო წლებში რომანმა ხმა აღიმაღლა **„იმ სიმართლეზე, რომელიც არ ათქმევინეს მწერლებს თავის დროზე, კერძოდ ის, რომ არცერთმა ქართულმა გაზეთმა ხმა არ ამოიღო 40-იან წლებში ქ. ორჯონიკიძეში გამოცემულ ვიღაც ხეთაგუროვის პოემაზე „გოცი", რომელშიც ნათქვამი იყო: ერეკლე მეორეს რომ გაუჭირდა, ძველი ქართველების ნაცად ხერხს მიმართა – ოსებს შეუთვალა – გვიშველეთო. გოცი გამოეხმაურა, მაგრამ მას უთხრეს: რატომ გინდა დაეხმარო უმადურ ქართველებს, სოსლანმა თამარის ეშხით საქართველოს უძველესი სამეფო შეუქმნა, ქართველებმა კი იმით გადაუხადეს, რომ მთელი რიონის ხეობა წაგვართვესო," ეს პოემა ორჯერ გამოიცაო.!**

დიახ, ბევრ ქართულ საქმეს ჩვენ თვითონ ვაკლებდით ზრუნვას.

ესეცაა – მოვლას იმპერია არ გვანებებდა...

მაგრამ მაინც ბევრ რამეს ასე თუ ისე სათანადოდ ვერ ვპატრონობდით.

ეს გულის ტკივილით აღუნიშნავს ბევრ ქართველ მოღვაწეს და **რომან მიმინოშვილმაც** ეს შეგვახსენა და გვიანდერძა.

2. „საქართველოს მწერალთა კავშირის“ მდივანი (1981-1984)

შოთა ნიშნიანიძე (1929-1999)

1981 წლის ყრილობაზე შექმნილმა გამგეობამ ყრილობის მუშაობის დამთავრების დღესვე (31.03) გამართულ სხდომაზე მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში მეორე ახალი სახე წარმოაჩინა – გამგეობის მდივნად აირჩია თსუ დამთავრებული (1953), მოსკოვის ლიტერატურული კურსებგავლილი, გამომცემლობასა (1969-74) და მწერალთა კავშირში (ლიტერატურის კონსულტანტი, 1974-77) ნამოღვაწარი, დიდად წარმატებული პოეტი, საქართველოს უმაღლესი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელი – რუსთაველისა (1975) და გალაკტიონის (1976) პრემიების ლაურეატი, მაშინ მწერალთა კავშირის სქელტანიანი ჟურნალის „საუნჯის“ მთავარი რედაქტორი (1978-1982) **შოთა ნიშნიანიძე**.

იმ დღიდან მწერალთა სასახლის ტალანებში ყოველდღე ნახავდით დინჯად, თავისი ღირსების, წონის შეგნებით მძიმე-მძიმედ, უმთავრესად მდუმარედ მოსიარულე, ცოტა კუშტად გამომზირალ, სალამის ზარმაცად თავის დაქნევით გამმეტებელ ამ პოეტს.

მაგრამ ბევრმა არ იცოდა, რომ ამის შიგნით შინაგანი კეთილშობილება იმალებოდა...

ამ დროისთვის საზოგადოება მასზე ცოტა გულნატკენი იყო იმის გამო, რომ 70-იანი წლების დასაწყისში შოთამ უცებ თავისი ძირითადი შემოქმედებითი მრწამსიდან ამოვარდნილი ლექსი „კომუნისტი“ გამოაქვეყნა...

რად უნდოდა?!

„საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარე (1984-1986)

შოთა ნიშნიანიძე (1929-1999)



და, აი, როცა **ნოდარ დუმბაძე** 1984 წლის 14 სექტემბერს გარდაიცვალა, მომდევნო თვეში საქართველოს კომპარტიის ცკ-ამ მწერალთა კავშირის მთავარი ხელმძღვანელის კანდიდატურა სამდივნოს წრეშივე შეარჩია (ესეცაა, თავად შოთაც არ იყო წინააღმდეგი).

10 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე გაიმართა გამგეობის სხდომა. ესწრებოდნენ: გამგეობის 50 წევრი, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე **ენვერ ნიჟარაძე** და რამდენიმე წევრი (თუმცა მოწვეული მხოლოდ თავმჯდომარე იყო). ნიშნიანიძემაც განაცხადა: ვინც მოვა, შემოუშვით მერე კუდს გამოაბამენო. კომპარტიის ცეკას მდივანმა გურამ ენუქიძემ გამგეობას თავმჯდომარის თანამდებობაზე წარუდგინა პოეტი **შოთა ნიშნიანიძე** და ის გახდა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე (წინააღმდეგი იყო ერთი – მურმან ლებანიძე).

სწორედ ამ წელს მიიღო მან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია...

თქმა არ უნდა, შოთა ნიშნიანიძე ნიჭიერი პოეტი იყო, მრავალი პოეტური კრებულის ავტორი, მაგრამ ეს არ უნდა გაგვიკვირდეს პოეზიით მდიდარ საქართველოში და არ უნდა იფიქრო, რომ მხოლოდ შენ და კიდევ ორი-სამი მწერალი ქმნით თანამედროვე ქართულ მწერლობას.

საზოგადოებას კი მიეცა საფუძველი გასჩენოდა ეჭვი, რომ ასე ფიქრობდა შ. ნიშნიანიძე, როცა ჯერ კიდევ მწე-

რალთა კავშირის მდივნობისას „ცისკარში“ (1984, №2) გამოქვეყნებული წერილი ასე დაასათაურა „ლიტერატურას ერთეულები ქმნიან“. მწერლებმა და საერთოდ მკითხველებმა აღნიშნეს: ცოტა საჩოთიროა, მწერალთა ერთ-ერთი ხელმძღვანელი ამას ამტკიცებდესო.

უფრო მეტი უხერხულობა შეიქმნა, როცა მწერალთა კავშირის მთავარ ხელმძღვანელად მოსვლის შემდეგ შ. ნიშნიანიძემ ამას კვლავ გაუსვა ხაზი.

მწერლებმაც და სხვებმაც თქვეს: თუ ეს ასეა, რაღა საჭიროა 500-კაციანი მწერალთა ორგანიზაცია, თუ არაფრის მაქნისი ვართ, რაღას იკავებდა ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის სავარძელსო.

მწერლობას მხოლოდ გენიოსები რომ არ ქმნიან, ეს ბევრჯერ თქმულა, მაგრამ აქ მხოლოდ შოთა ნიშნიანიძის ორი თანამოკალმის აზრს გაგახსენებთ ამაზე:

ოთარ ჩხეიძემ საგანგებო წერილი მიუძღვნა „გამორჩენილ“ მწერლებს, მაგალითად, **პარმენ ლორიას...**

არჩილ სულაკაური კი წერდა:

„ცნობილია, არსად და არასოდეს ლიტერატურა ერთ მწერალს არ შეუქმნია, თუნდაც ის გენიოსი ყოფილიყო“.

სამწუხაროდ, შ. ნიშნიანიძემ თავმჯდომარის თანამდებობაზე დაიწყო გადაწყვეტილებათა ერთპიროვნული მიღება მწერალთა კავშირის სხვა ხელმძღვანელების აზრის საწინააღმდეგოდ...

მწერლების გაღიზიანება იმანაც გამოიწვია, რომ შოთა ნიშნიანიძემ შემოქმედებითი ანგარიში — „კომუნისტი მწერლის კრედო“ ჩააბარა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს („ლს“, 1985, №5). კრებაზე **იზა ორჯონიკიძემ** და **კობა იმედაშვილმა** უკიჟინეს — ვკობს ანგარიში მწერლებს ჩააბაროო. სამწუხაროდ, თავმჯდომარემ აკრძალული ილეთი გამოიყენა — არასაკადრისად მოიხსენია კრიტიკოსის წარმომავლობა.

ამასთან მწერლებსა და საზოგადოების სხვა წევრებს არც „კომუნისტი მწერლის“ სახელწოდებით თავის მოწონება ესიამოვნათ.

გამგეობის ერთ-ერთ სხდომაზე (1985.09.09) პოეტმა **იზა ორჯონიკიძემ** მისთვის დამახასიათებელი პირდაპირობით თქვა: **„თავმჯდომარე ერთპიროვნულად წყვეტს ყველაფერს. ეს არ ეკადრება ბატონ შოთას, რომელიც არის „კომუნისტის“ ავტორი და თვითონ კი სრულიად საწინააღმდეგოდ მოქმედებს“.**

ცოტა ხნის შემდეგ 1986 წელს ე.წ. საბჭოთა მწერლების მორიგ მეათე (საერთო ათვლით XVII ყრილობაზე) **მურმან ლებანიძემაც** არანაკლებ მოურიდებლად განაცხადა:

„პირდაპირ და გადაჭრით უნდა ვაღიაროთ, „გენიოსები“ არ გვჭირდება ჩვენ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებად.

აგერ, ჩვენ თვალწინ, სარგებლობდა რა სრული ნდობითა და თავისუფლებით, ერთ მშვენიერ დღეს მწერალთა ამასწინდელმა მესვეურმა პრემია მიანიჭა — ვის და რაში, თუ მიხვდებით?! კრიტიკოსს წერილისათვის, რომელშიც თვით თავმჯდომარე გაბლდათ ცაში აყვანილი. ამაზე მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი არაფერს ეუბნება თავმჯდომარეს...“

არც ის აპატიეს, რომ სამდივნოსთან შეუთანხმებლად, იმის მიუხედავად, რომ სამდივნოს გადაწყვეტილებით ყრილობამდე პრეზიდიუმში არავინ არ უნდა შეეყვანათ, თავმჯდომარემ გამგეობის სხდომაზე დღის წესრიგის გვერდის ავლით, „კოოპტაციის წესით“ (მისი სიტყვებია) პრეზიდიუმში ახალი წევრი ისე შეიყვანა, ქვორუმი არ იყო — 84 წევრიდან ესწრებოდა 19. ამასთან ის მწერალი გამგეობაშიც არ შედიოდა (სამდივნოს ოქმი № 1, 1986.10.01).

ამან უარყოფითად იმოქმედა სამდივნოს მუშაობაზე, მწერალთა კავშირში შექმნა ნერვული ატმოსფერო. გადიოდა ხანი და მდგომარეობა სულ უფრო მწვავდებოდა...

მწერლებს არც ის დარჩათ შეუნიშნავი, რომ თავმჯდომარეობისას შოთა ნიშნიანიძემ ძალზე სქელტანიანი წიგნი გამოსცა. ამის გამო ასე გაკენწლა **ზაურ ბოლქვაძემ: „მზე გიბრწყინავს შუბის ტარზე და მერანი შენი მიჰქრის, მიკვირს რად არ გამოეცი, შოთა, უფრო სქელი წიგნი“.**

ყველაფერმა ამან ის გამოიწვია, რომ შოთა ნიშნიანიძემ პარტიის ცკ-ში თავმჯდომარეობიდან გადადგომის განცხადება შეიტანა.

ამის საფუძველზე 1986 წ. 5 თებერვალს პარტიის ცეკას მდივნის **გურამ ენუქიძის** თანდასწრებით დააკმაყოფილეს შ. ნიშნიანიძის თხოვნა – თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლეს, მაგრამ მდივნად დატოვეს და სამი თვით შემოქმედებით მივლინებაში გაუშვეს.

შოთა ნიშნიანიძის სასახელოდ უნდა ითქვას, მას ეყო ნებისყოფა და ლექსებით მოინანია თავისი შეცდომები: **„შაშვი ვიყავ მგალობელი, სხვა წყალობა რად მინდოდა; მე კერს როგორ დავუკრავდი კარისკაცთა რაინდობას, რა ხუმარა მე ვიყავი – ამალაში რა მინდოდა“.**

„საქართველოს მწერალთა კავშირის“ მდივანი (1984-1985)
ვალერი ასათიანი



შოთა ნიშნიანიძის თავმჯდომარედ არჩევასთან ერთად გამგეობამ 1984 წლის 10 ოქტომბერს მდივნად (ორგანიზაციულ საკითხებში) დაამტკიცა კომპარტიის ცეკას მიერ წარმოდგენილი ცნობილი მკვლევარ-ფილოლოგის, სამეცნიერო შრომების ავტორის **ვალერი ასათიანის** კანდიდატურა.

ბატონ ვალერის ორგანიზატორული ნიჭის დამსახურება იყო, რომ მაშინ საგრძნობლად გამოცოცხლდა შემოქმედებითი სექციების და საერთოდ მთელი კავშირის მუშაობა.

სამწუხაროდ, მწერალთა კავშირში მისი მოღვაწეობა მხოლოდ ერთ წელიწადს გაგრძელდა.

ვალერი ასათიანის მოსვლასთან ერთად ადგილზე დარჩა პარტიის ცკ-ის სკოლაგამოვლილი ორგმდივანი რომან მიმინოშვილი. რას მოასწავებდა ეს ახალი დანიშვნა? იქნებ რ. მიმინოშვილის მუშაობით უკმაყოფილო იყვნენ? მაშინ რატომ არ გადაიყვანეს სადმე ვ. ასათიანის მოსვლასთან ერთად?

ანდა იქნებ მწერალთა კავშირში მდივნად ის მოკლევადიანი ყოფნა ერთგვარი ტრამპლინი უნდა ყოფილიყო ბატონ ვალერის კულტურის მინისტრის საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დასანიშნავად!

ასე იყო თუ ისე, ვინაიდან ამ ახალგაზრდა მდივანმა მწერალთა კავშირის მუშაობაში მოიტანა მეცნიერული გეგმიანობა, წესრიგი და სიზუსტე, ადამიანური თავმდაბლობა და სამართლიანობა, 1985 წლის 9 სექტემბერს გამგეობამაც და თანამშრომლებმაც გზა დაულოცეს რამდენიმე თვით ადრე (1985.09.04) კულტურის მინისტრად დანიშნულ **ვალერი ასათიანს.**

„საქართველოს მწერალთა კავშირის“ მდივანი (1985-1988) რევაზ ინანიშვილი (1926-1991)



1985 წლის 18 ივნისს, ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორად დანიშვნასთან დაკავშირებით გიორგი ციციშვილის მდივნობიდან განთავისუფლებასთან ერთად, მდივნად აირჩიეს უკვე აღიარებული ბელეტრისტი, მოკლე მოთხრობების ოსტატი, „პროზაიკოს პოეტად“ წოდებული მწერალი, ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ლიტერატურული ჯილდოს მფლობელი — შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1977), 1966 წლიდან კინოსტუდია „ქართული ფილმის“ სასცენარო განყოფილებაში მოღვაწე კინოდრამატურგი, 1980 წელს კინოფილმის „ქვიშანი დარჩებიან“ სცენარისათვის „ხუთწლედის მატიანის“ პრემიით დაჯილდოებული **რევაზ ინანიშვილი**.

დინჯი და მშვიდი რ. ინანიშვილი ამ თანამდებობაზე მუშაობდა 1988 წლის მწერალთა საერთო კრებამდე.

ის მწერალთა კავშირის მდივნად ყოფნის დროსაც უფრო მოკლე მოთხრობების მწერალი იყო, ვიდრე მდივანი. სწორედ მის ამ მთავარ ღირსებას გაუსვა ხაზი პოეტმა **ოთარ მამფორიამ** თავის მამფორიზმში: **„მოკლედ წერ და ბევრს კი ამბობ, ალბათ დაგყვა ღმერთის რიდიც, დიდ ხიდებზე არ სეირნობ, გიყვარს შენი ბეწვის ხიდი“.**

რევაზ ინანიშვილის მდივნობისას სამდივნოში გვარიანი ხალხმრავლობა იყო — ზოგიერთთა ამბიციების ჩასაცხრობად მდივნების რიცხვი გაზარდეს, თუმცა საქმე მაინცდამაინც არაფერი ჰქონდათ.

რეზოს კი უქმად ყოფნა არ შეეძლო და აი, ერთხელ შეწუხებულმა, კინოსტუდიაში შემოქმედებითი ჯგუფის წევ-

რობისას და ჟურნალ „დილას“ მთავარი რედაქტორობის დროს ნამდვილ შემოქმედებით-რედაქტორულ და ორგანიზატორულ მუშაობას მიჩვეულმა მწერალმა თქვა: კინოსტუდიაში ვიცოდი რა უნდა მეკეთებინა, რედაქტორობის დროსაც ვიცოდი, აქ კი ვერ გამიგია, რა უნდა ვაკეთოო.

1947 წლიდან თბილისის უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსი ერთად გავიარეთ. იგი მშვიდად იჯდა, ჩვეული ღიმილნარევი გამომეტყველებით ლექციასაც უსმენდა და ხატვასაც ახერხებდა.

სამხედრო საქმეს გვასწავლიდა პოლკოვნიკი მამარდაშვილი, ფილოსოფოს მერაბ მამარდაშვილის მამა. ყმაწვილობისას ჯარში გაწვეულს და რუსეთში გადაკარგულს რუსული ვითომ კი შეესწავლა, მაგრამ ქართული თუ რამე ახსოვდა, იმასაც იმერულად უქცევდა.

ერთხელ თქვა: თოფი სვრისო. ამაზე ყველანი შევიშმუშნეთ, რეზო კი გაგიჟდა.

სხვა დროს, როცა პოლკოვნიკმა თქვა: საგუშაგოზე მდგომი ჯარისკაცი არ უნდა გაინძრეს, თუნდაც ხიშტზე ჩიტი დაუჯდესო, რეზომ ისეთი კვიმატი შეკითხვა მისცა (სამწუხაროდ, მთლად ზუსტად აღარ მახსოვს), ერთი აყალ-მაყალი გამოიწვია...

მეორე კურსიდან ჩვენი გზები გაიყარა — ოჯახური პირობების გამო რეზომ აკადემიური შვებულება აიღო და სამგორის არხის მშენებლობაზე წავიდა, თან მუშაობდა, თანაც „ცხოვრებას სწავლობდა“ (როგორც მაშინ კომუნისტები მწერლებს უჩიჩინებდნენ).

შემდეგ უნივერსიტეტის რექტორმა **ნიკო კეცხოველმა,** რომელმაც რეზოს ადრევე მიაქცია ყურადღება, მოძებნა და დააბრუნა.


მწერალთა კავშირში მუშაობის ბოლო ხანებში რეზოს ავადმყოფობა დაეტყო... სახეზე თითქოს ჩვეულებრივი ღიმი-

ლი ეფინა, მაგრამ თვალებში ნაღველი ჩადგომოდა და ცრემლის მორევაც კი მოგეჩვენებოდა...

ის მდივნად 1988 წლის მწერალთა საერთო კრებამდე მუშაობდა.

სამწუხაროდ, ამ სუფთა კაცს და უნიჭიერეს მწერალს დიდხანს აღარ უცოცხლია.

კიდევ უფრო სამწუხარო ისაა, ისეთ არეულ, თბილისელების ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირების დროს, 1991 წლის მიწურულს გარდაიცვალა, რომ ბევრი დამფასებელი და პატივისმცემელი დააკლდა მის გასვენებას.



შადიმან შამანაძე, მერაბ თავაძე, გიორგი ციციშვილი, მელქისედექ წერეთელი, ლაშა თაბუკაშვილი, რევაზ ინანიშვილი, ნოდარ გურეშიძე.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„მწერალი მოვალეა, ვალდებულია ღვთისგანაც და ერისგანაც სიმართლით აღემატოს ხელისუფლების წარმომადგენლებს“

როსტომ ჩხეიძე

* * *

„საქართველოს მწერალთა კავშირის“ მდივანი (1985-1986) რევაზ ამაშუკელი (დ.1936)



ვალერი ასათიანის კულტურის მინისტრად დანიშვნის გამო (1985.09.04) გამგეობამ 1985 წლის 9 სექტემბერს გამგეობის მდივნობიდან მის განთავისუფლებასთან ერთად მდივნად აირჩია პოეტი **რევაზ ამაშუკელი.**

აქამდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრებიდან (1960) „ცისკრის“ რედაქციაში განყოფილებას ხელმძღვანელობდა (1961-1964), ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწედ (1964-1971), „მნათობის“ პმგ მდივნად (1973-1982) მოღვაწეობდა. იყო ახალგაზრდობის საერთაშორისო კლუბის პრეზიდენტი (1969).

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში მოსვლის დროისათვის რევაზ ამაშუკელს მოპოვებული ჰქონდა საკუთარი ხმის მქონე პოეტის სახელი, საქართველოს კომკავშირისა (1968) და გალაკტიონ ტაბიძის (1982) პრემიები.

მდივნობისას საქმეს ღირსეულად, თანამშრომლებთან ნდობასა და დაფასებაზე დაფუძნებული ურთიერთობით უძღვებოდა.

სამწუხაროდ მის კარგად აწყობილ მუშაობას მწერალთა კავშირში მოულოდნელად ხელი შეუშალა 1986 წლის ზაფხულში თბილისში გამართულმა ქეიფმა, რომელიც სავალალოდ, ტრაგიკულად დამთავრდა. რეზო მხოლოდ ესწრებოდა ამ ქეიფს, მაგრამ ეს დასწრებაც არ აპატიეს.

როგორც გაზ. „ლიტერატურული საქართველო" იუწყებოდა (1986, №33), მწერალთა კავშირის სამდივნომ, რა თქმა უნდა, ზემდგომი ორგანოების დავალებით, მკაცრად იმსჯელა მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი მუშაკის **„შეუფერებელი საქციელის შესახებ, რაც გამოიხატა საბჭოური ეთიკური ნორმების დამრღვევ წრეგადასულ ღრეობაში მონაწილეობაში. რ. ამაშუკელმა გულწრფელად მოინანია თავისი დაუფიქრებელი მოქმედება. საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნომ გაათავისუფლა იგი გამგეობის მდივნის მოვალეობისაგან, საკუთარი განცხადების საფუძველზე".**

ამის შემდეგ რევაზ ამაშუკელი იმავე 1986 წლის ოქტომბრიდან მწერალთა კავშირის ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას" რედაქტორის მოადგილედ დანიშნეს.

დამოუკიდებელ საქართველოში იყო საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე, საქართველოს მოქალაქეთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე; მიანიჭეს ალბერტ შვეიცერის მედალი, ბოლოს კი, 2003 წელს, მისი მოღვაწეობა დაგვირგვინდა ჩვენი ქვეყნის უმაღლესი ლიტერატურული ჯილდოს მოპოვებით – შოთა რუსთაველის პრემიით.

ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის წლებში გამჟღავნდა რევაზ ამაშუკელის, პოეტისა და მოქალაქის მრწამსი: **„მოდი, შეუდექ ერთგულების უღელს ქვეყნისას"** და ამ მრწამსისთვის არასოდეს უღალატია, რა ერთგულებითაც ემსახურებოდა ქართულ საქმეს, XXI საუკუნეშიც ისევ ისე აგრძელებს ეროვნულ პოზიციაზე მტკიცედ დგომას.

* * *


მწერლური ცხოვრებიდან:

80-იან წლებში ხელისუფლება რომ გონს მოეგო, დაცარიელებული მთის დასახლება დაიწყო და **მურმან ლებანიძემ** შვებით შესძახა: **„აღსრულდა, ახდა-აგორდა გუნდა!“** – ამას იმ მწერლებმაც მისცეს ბანი – მთას დაუბრუნდა მთიელიო, რომლებიც ცოტა ხნის წინ მხატვრული კინოსურათითაც კი **(„ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“)** მხარს უბამდნენ ხელისუფლების არაგონივრულ გადაწყვეტილებას – მთიელთა ბარში ჩამოსახლებას.

ახლა ისევ ვიმეორებთ ძველ შეცდომას...

* * *

„საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარე (1986-1988) გიორგი ცინცაძე (1922-2005)



შოთა ნიშნიანიძის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობიდან გადადგომის გამო მისი განთავისუფლების გაფორმებიდან (1986.05.02) ერთი თვის შემდეგ (1986.05.03) გამგეობამ, ცხადია საქართველოს კომპარტიის ცკ-ის რჩევით (რაც ბრძანებას უდრიდა) – თავმჯდომარის ახალი კანდიდატის ძიებას, რომელიც ამ „გარდაქმნისა და საჯაროობის“ საკმაოდ რთულ

დროში ვინ იცის, საით გაუტეხსო, მწერალთა კავშირში მუშაობით გამოცდილი, შეჩვეული ხელმძღვანელი ამჯობინა და ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორს **გიორგი ციციშვილს** შეთავსებით მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეობაც დააკისრა.

სულ მალე, იმავე 1986 წლის 17 მაისს საქართველოს მწერალთა X (საერთო ათვლით XVII) ყრილობამ, რა თქმა უნდა, გიორგი ციციშვილს გაუხანგრძლივა თავმჯდომარეობის მანდატი.*

გიორგი ციციშვილს მწერალთა გაძღოლა მოუწია იმ დროს, როდესაც საბჭოთა კავშირში დაწყებულმა ე.წ. გარდაქმნისა და საჯაროობის წლებმა დასაბამი მისცა სიმართლისა და თავისუფლებისკენ სწრაფვის მატებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თანდათან გაძლიერებას.

ასეთ ვითარებაში რთული გამოდგა გზის გაგნება გარდაქმნა-საჯაროობისთვის, ეროვნული მოძრაობისთვის ხელშეწყობასა და მეორე მხრივ, საბჭოურ-კომუნისტური ხელისუფლების და მისი უშიშროების თვალთვალსა და შურისძიებას შორის...

ამიტომ მიმტევებლობა გამოვიჩინოთ, თუ რომელიმე ნაბიჯი გაუბედავი მოგვეჩვენება.

---

* მიუხედავად იმისა, რომ ამ ყრილობაზე ჩამოსულმა საკავშირო მწერალთა კავშირის წარმომადგენელმა ოური სუროვცევმა გიორგი ციციშვილს ურჩია ყრილობას ერთ დღეში ნუ დაამთავრებთ, მწერლებს მსჯელობის საშუალება მიეცითო, ეს ყრილობა დილის 10 საათზე დაიწყეს და ღამის ორის ნახევარზე დაამთავრეს! დამავალეს: ტიხონოვი ვახშამზე დაპატიჟეო... განა არ ვიფიქრე — ღრმა ძილში იქნება-მეთქი? მაგრამ რა მეშნა... წავედი სასტუმროში, მივუკაკუნე: ნიკოლაი მამათქვენოვიჩ, სუფრასთან გთხოვენ, პატივცემულო!

— ეშმაკსაც წაულიღართ თქვენც და თქვენი ვახშამიცო, მომესმა ნამძინარევი ხმა...

დღემდე ვერ მომინელებია ეს სისულელე, სხვისიც და ჩემიც.

გიორგი ციციშვილის თავმჯდომარეობისას მოხდა ერთი აღმაშფოთებელი ამბავი, ჟურნალ „ნაშ სოვრემენნიკში“ (1986, №5) დაიბეჭდა **ვიქტორ ასტაფიევის** მოთხრობა, რომელშიც ავტორმა გააქილიკა მწერალ **ოტია იოსელიანის** მიერ ამ რუსი მწერლისთვის გაწეული გულწრფელი მასპინძლობა. ეს ჩვენში სამართლიანად აღქმული იქნა ქართველი ხალხის შეურაცხყოფად.

მალე გამართული მწერალთა საკავშირო მერვე ყრილობის (მოსკოვი, 1986, 25-28.06) ერთ-ერთ სხდომაზე სსრკ მწერალთა კავშირის ერთმა ხელმძღვანელმა, **სერგეი მიხალკოვმა** გვარიანად მოიბოდიშა – **„ნუ დამბრახავს შენი სანიშნავი რუსი პროზაიკოსი ვიქტორ ასტაფიევი, თუ ვიტყვი, რომ ჟურნალ „ნაშ სოვრემენნიკში“ გამოქვეყნებულმა მისმა მოთხრობამ „ციმორების ჭერა საქართველოში“ გულსატკენად და უტაქტოდ შეურაცხყო მოძმე ხალხის ეროვნული გრძნობები“.**[35]

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ **გიორგი ციციშვილმაც** მკაცრად ილაპარაკა ვიქტორ ასტაფიევის მიერ ქართველი ერის შეურაცხყოფაზე – მეორე ცნობილმა რუსმა პროზაიკოსმა **ვალენტინ რასპუტინმა** საჭიროდ ჩათვალა გამოქომაგებოდა ვიქტორ ასტაფიევს და ცეცხლზე ნავთი დაასხა: ქართველები დაავადებულები ხართ, დაავადებულს კი მკურნალობა ესაჭიროებაო. **„სწორედ იმიტომ, რომ ერთ სახლში და ერთ ოჯახში ვცხოვრობთ, თითოეული ჩვენთაგანის ნაკლოვანებებისაგანაც ერთად ვიტანჯებით. არავითარი შეურაცხყოფა არ იყო ქართველი ხალხის მიმართ, პატივცემულო ქართველო ამხანაგებო, ასტაფიევის მოთხრობაში, გულდასმით წაიკითხეთ და შესძელით ტკივილის გარჩევა აბუჩად აგდებისაგან და სიმართლისა სიცრუისაგან“.**

ამით უკიდურესად გაღიზიანებულმა საქართველოს მწერალთა კავშირის დელეგატთა და სტუმრად მიწვეული

ქართველი მწერლების უმრავლესობამ პროტესტის ნიშნად ყრილობის დარბაზი დატოვა. მათ ფოიეშიც შეუერთდნენ ზოგიერთნი, ვინც იმ დროს დარბაზში არ იყო.

სამწუხაროდ, მთლად ზუსტად ვერ მოხერხდა იმის დადგენა, ვინ გამოვიდა და ვინ დარჩა. თუმცა მე მწერალთა ორგანიზაციული საკითხების მოსაგვარებლად იმ დროს მოსკოვში გახლდით მივლინებული, ჩვენმა ხელმძღვანელობამ საჭიროდ არ ჩათვალა ჩემთვის ყრილობის სხდომაზე დასასწრები მოსაწვევი ბარათი მოეცა. მაგრამ ზუსტად რაც ვიცი, ეს ის გახლავთ, **რომ ირაკლი და გრიგოლ აბაშიძეები, გიორგი ციციშვილი** ვერ გამოვიდნენ, რადგან ყრილობის პრეზიდიუმში ისხდნენ, ალბათ ჩათვალეს, რომ მათ მიერ სხდომის დატოვება ხიდების საბოლოოდ ჩატეხად ჩაითვლებოდა, რაც მაშინ საშიში იყო...

შემიძლია წარმოგიდგინოთ ჩემს მიერ მაშინვე ჩაწერილი **რ. ინანიშვილის** ვარიანტი — ვინ გამოვიდა დარბაზიდან:

დელეგატები:
რევაზ ამაშუკელი,
ჭაბუა ამირეჯიბი,
ხუტა ბერულავა,
ხუტა გაგუა,
რეზო ინანიშვილი,
ანა კალანდაძე,
მურმან ლებანიძე,
კონსტანტინე ლორთქიფანიძე,
რომან მიმინოშვილი,
ოთარ ნოდია,
არჩილ სულაკაური,
მორის ფოცხიშვილი,
ჯანსულ ჩარკვიანი,
თამაზ ჭილაძე,
ოთარ ჭილაძე,
ფრიდონ ხალვაში,
რევაზ ჯაფარიძე.

სტუმრად მიწვეულნი:
ნოდარ გურეშიძე,
მაკა ჯოხაძე,
ნაფი ჯუსოითი.

რეზო და **ლაშა თაბუკაშვილები** დარბაზში არ იყვნენ და ფოიეში შეუერთდნენ გამოსულებს.

იმ დღეებში რამდენიმე დელეგატმა მითხრა: განცალკევებით მჯდარ **შ. ნიშნიანიძეს** რომ ჩამოვუარეთ, ვკითხეთ —

არ გამოდიხარ?.. ყურადღება არ მოგვაქციაო... აფსუა-ფხაზები კი ისედაც ცალკე ისხდნენო...

ყრილობაზე საერთოდ არ გამგზავრებულან **თენგიზ ბუაჩიძე** (თავმჯდომარესთან დაპირისპირების გამო კავშირიდან წასული, საავადმყოფოში ნამყოფი იყო...), **გურამ ფანჯიკიძე, რეზო ჭეიშვილი.**

სხვები — არ ვიცი...

მოგვიანებით, 15 სექტემბერს, გამგეობის სხდომაზე **იზა ორჯონიკიძემ** მისთვის ჩვეული პირდაპირობით განაცხადა:

„იმ მწერლებმა, რომლებმაც მონაწილეობა არ მიიღეს დარბაზის დატოვებაში, ძალიან ცუდი ქნეს და ისინი ძალიან ცუდად უნდა გრძნობდნენ თავს“ (სტენოგრამა).

დარბაზიდან გამოსულებმა ფოიეში საპროტესტო წერილი შეადგინეს და მოითხოვეს ვ. ასტაფიევმა საჯაროდ ბოდიში მოიხადოსო...

ამის შემდეგ მართლაც მოიხადა ბოდიში... ცნობილმა რუსმა მწერალმა **გავრილ ტროეპოლსკიმ.**

ჯერ კიდევ ყრილობაზე წასვლამდე, პრეზიდიუმის სხდომაზე, 11 ივნისს იმსჯელეს მწერლებმა **(არჩილ სულაკაური, ტარიელ ჭანტურია, რევაზ ჯაფარიძე...)** და მოითხოვეს: ვ. ასტაფიევს პასუხი წერილობით გავცეთო.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარე გიორგი ციციშვილი ირწმუნებოდა: პასუხი ცეკას დონეზე მზადდება, აქაც და იქაც გამოქვეყნდებაო. მაგრამ სამი ფრიად საპატიო მწერლის **(ი. აბაშიძე, ჭ. ამირეჯიბი, ო. ჭილაძე)** მოკლე პასუხმა საზოგადოება ვერ დააკმაყოფილა.

არც ყრილობის შემდეგ ულონია რაიმე მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას.

ნუ მიწყენენ ჩვენი ძვირფასი მწერლები, მით უმეტეს, მწერალთა კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელები, მაგრამ მაშინ ქართველების შეურაცხმყოფელებს ყველასგან გამორჩე-

ული საკადრისი პასუხი თავისი უზადო რუსულით დაწერილი ბრწყინვალე პუბლიცისტური წიგნით მშვენივრად გასცა დრამატურგმა **კიტა ბუაჩიძემ**, იმ მწერალმა, რომელსაც მწერალთა კავშირი, განსაკუთრებით მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი არაფრად აგდებდა და რომელსაც, რაც უფრო სამარცხვინოა, ამ წიგნის გამოქვეყნებისთვისაც არ უთხრეს მადლობა, ერთი პატარა რეცენზიითაც არ გაახარეს...

მხოლოდ გვიან, როდის, როდის, თითქოს სხვის მაგივრად ბოდიშს იხდისო, ქალბატონმა **ეთერ გუგუშვილმა** დაბეჭდა გულთბილი წერილი კიტა ბუაჩიძის ამ ყოველმხრივ გამორჩეულ წიგნზე «Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьеву».

კიდევ ერთი სამწუხარო ამბავი:

1986 წელს ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ“-ის მთავარმა რედაქტორმა, ცნობილმა მწერალმა **სერგეი ბარუზდინმა** ოფიციალურად მიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს — ჩვენი რედაქციის თანამშრომელი მწერალთა რეპრესირების თემას ამუშავებს და გთხოვთ ცნობები მოგვაწოდოთო.

ბატონმა გიორგიმ პასუხის მომზადება მიანდო მწერალთა კავშირის არქივის გამგეს.

არქივის გამგე მტკიცე კომუნისტი გახლდათ და თავმჯდომარეს სიფრთხილის გამოჩენა ურჩია:

„გიორგი შალვოვიჩ, კაკბი ჩეგო ნე ვიშლო, უშიშროების კომიტეტს მიმართონ...“

ვაი, სირცხვილო, რას ვისმენდით მწერალთა სასახლეში! ამას ჯერ კიდევ როდის დასცინოდნენ — კარტულში რომ რუსულს ურევენ, წერეტ ნე მაგუო...

არქივის გამგის ნანა კანდელაკის შედგენილ ასეთ პასუხს მოაწერა ხელი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ.

გავიდა ხანი, იმ რუს მწერალს ინტერვიუ ჩამოართვა მოსკოვის მრავალმილიონიანმა გაზეთმა „კნიჟნოე ობოზრენიე“ და იმანაც, სხვათა შორის, ესეც თქვა: მე, რა თქმა უნდა, ეს მასალები მოვიპოვე, მაგრამ მიკვირს, საქართველოს მწერალთა ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ქართველი მწერლების პოლიტიკური რეპრესირების რამდენიმე მაგალითი მაინც რატომ არ იცისო...

მიხვდა ბატონი გიორგი, რომ მთელ საბჭოთა კავშირში თავი მოეჭრა, იმ დღეებში მწერალთა ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში შემოვიდა, ცდილობდა არაფერი შემჩნეოდა, ისე იკითხა ის გაზეთი, შეატრიალ-შემოატრიალა, ამას გადავხედავ და ხვალ დაგიბრუნებთო, წაილო და წაილო... მაგრამ თბილისის სხვა ბიბლიოთეკებში ხომ იდო?..

გიორგიმ 1987 წლის 5 მაისს მწერალთა კავშირში მიმღები კომისიის სხდომაზე განაცხადა: **„ჩემი თაობის ხალხი და კიდევ უფრო აქეთ უფრო ახლოს ვიყავით უფროს მწერლებთან — რევაზ ჯაფარიძე მეგობრობდა კონსტანტინე გამსახურდიას, არჩილ სულაკაური — გოგლას და სიმონ ჩიქოვანს, ასევე ოთარი** (ჩხეიძე რ.კ.) **და ა.შ. დღეს ეს უკვე არ არის, ეს კავშირები დარღვეულია, არც იმათ ვაინტერესებთ და არც ჩვენ გვაინტერესებს.“**

გასაგები და მოსაწონი იყო ბატონ გიორგის ეს გულისტკივილი, მაგრამ ამაზე, როგორც თავადაც თქვა, თავმჯდომარეებსა და მდივნებსაც უნდა ეზრუნათ...

როდესაც საქართველოში ეროვნული მოძრაობა აზვირთდა, გ. ციციშვილის დიდი მცდელობით გაიმართა ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის აღსანიშნავი იუბილე, რომელთანაც დაკავშირებით ქართული ეკლესიის წმინდა სინოდმა ჩვენი ეს უდიდესი მწერალი, მოაზროვნე და მოღვაწე წმინდანად შერაცხა და უწოდა **„წმინდა ილია მართალი“.**

ამ იუბილეს დაუკავშირდა საერთაშორისო კონფერენცია. ზოგიერთებს ეს არ მოეწონათ. მაგრამ ზოგიც თვლიდა:

მთავარი ის კი არაა, რა დაერქმევა ღონისძიებას, არამედ ის, რამდენად ემსახურება ქართული მწერლობის, კულტურის გაცნობას სხვა ხალხებისთვისო;

ეროვნული მოძრაობის აზვირთების დაწყება ვახსენე. ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ ვინ რა პოზიციაზე დგას. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ დროს მმართველი კომპარტიის და მისი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი ჯერ კიდევ მაგრად და მყარად იდგა. თუმცა ხალხიც აღარ ხუმრობდა და მისი ნების გაუთვალისწინებლობა აღარ შეიძლებოდა.

1987 წელს უნდა განხილულიყო **გრიგოლ რობაქიძის** რომანები („ლს", 1967, №38), მაგრამ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელმა უკან დაიხია... ალბათ ვერ გაამტყუნებ, თუმცა ვერც მოუწონებ!

იმავე 1987 წელს მწერალთა კავშირში, რომელსაც ქართველი ხალხი ეროვნულობის ცენტრად მიიჩნევდა და არცთუ უსაფუძვლოდ, ტრანსკავკასიის რკინიგზის გაყვანის მიზანშეწონილობის შესახებ გამართულ დისკუსიაზე მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ მთავარი ყურადღება იმაზე გადაიტანა, მთავრობის არმოსაწონი არაფერი ითქვასო, იმაზე კი არ იზრუნა დისკუსია სტენოგრაფიულად ჩაწერილიყო. ასე რომ, თუ ვინმე დამსწრემ (მგონი იზა ორჯონიკიძემ) მაგნიტოფირზე არ ჩაიწერა, სამუდამოდ დაკარგულია ამ მნიშვნელოვან ღონისძიებაზე ვინ რა თქვა;

1988 წლის 14 ივნისს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის არჩეული კომისიის (ჭაბუა ამირეჯიბი, თენგიზ ბუაჩიძე, გურამ გვერდწითელი, მურმან ლებანიძე, ელგუჯა მაღრაძე, რომან მიმინოშვილი, გურამ ფანჯიკიძე, ელიზბარ ჯაველიძე, რევაზ ჯაფარიძე) შედგენილი მიმართვა (წუხილი საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობაზე, რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შესახებ...) **შესწორებული სახით** გაეგზავნა XIX საკავშირო პარტიულ კონფერენციას მოსკოვში.

მიმართვის ტექსტი უნდა დაბეჭდილიყო „ლიტერატურულ საქართველოში“, არც ეს დაპირება შესრულდა...

1988 წლის 26 ოქტომბერს მწერალთა კავშირში გაიმართა კრება საქართველოს ეროვნული ფრონტის შესაქმნელად. როცა გიორგი ციციშვილმა გაიგო კრების მოწყობას აპირებენო, შეშფოთდა, ერთ-ერთ ინიციატორს **ტაგუ მებურიშვილს** ჩემი თანდასწრებით ტელეფონით ელაპარაკა. ტაგუმ უთხრა: თქვენს მხარდასაჭერად ვმართავთ, ახალგაზრდებმა რომ გაგლანძღესო. გიორგიმ — სამდივნომ ერთი დღით ადრე მაინც არ უნდა იცოდესო?..

ამის შემდეგ ბატონი გიორგი ელაპარაკა პარტიის ცკის მდივანს **ნუგზარ ფოფხაძეს,** რომელმაც უთხრა: უნდა ჩაატაროთო.

კრების გახსნისას, როცა გიორგიმ მოინდომა სადავეების ხელში აღება, უთხრეს — არა, ბატონო, კრების თავმჯდომარეს ჩვენ ავირჩევთო.

აირჩიეს **რევაზ ჯაფარიძე.**

მაშინ გიორგიმ ბრძანა: ჩვენ ვტოვებთ ამ სხდომასო და მიდიოდა, მაგრამ **იზა ორჯონიკიძემ** მითხრა: მე ჩავულაპარაკე — რას შვრებითო... და პრეზიდიუმიდან ჩამოსული დარბაზში, პირველ რიგში დავჯდა. მას ჩამოყვნენ **ხუტა ბერულავა და რევაზ ინანიშვილი,** პრეზიდიუმში ბოლომდე დარჩნენ **ჯანსულ ჩარკვიანი და თამაზ ჭილაძე.** მერე სიტყვით გამოსულმა **რ. გომართელმა რ. ინანიშვილს** გაუხსენა: თქვენი პატივისმცემელი ვარ იმთავითვე... და გამიკვირდა, თქვენც რომ მიგვატოვეთ და პრეზიდიუმიდან ჩახვედითო...

აქვე უნდა ითქვას, კრებამ აირჩია „ეროვნული ფრონტის საკოორდინაციო საბჭო“: **აკაკი ბაქრაძე, ზვიად გამსახურდია, გურამ მამულია, მუხრან მაჭავარიანი.**

სხვათა შორის, ამ კრებაზე **ლუიზა შაკაშვილმაც** გაუხსენა გიორგი ციციშვილს — მოსკოვს როგორ შეუთვალეთ

1937-ის მსხვერპლი მწერლები არ ვიცი, სათანადო ორგანოებს შეეკითხეთო...

ზემოხსენებული პრეზიდიუმის სხდომას (1988.14.06), რომელსაც უნდა მიეღო XIX საკავშირო პარტიული კონფერენციისათვის გასაგზავნი საქართველოს დემოგრაფიულ მდგომარეობით და ა.შ. შეშფოთებული მიმართვა, ვერ დაესწრებოდნენ ამ საკითხებით ძალზე დაინტერესებული ახალგაზრდები, ძირითადად მწერლები, რადგან კავშირის წევრები არ იყვნენ. მათ მოინდომეს პარალელურად შეკრებილიყვნენ სხდომათა დარბაზში.

გიორგი ციციშვილი ჭოჭმანობდა, სიფრთხილეს იჩენდა, **ჯანსულ ჩარკვიანმა** თავმჯდომარეს უთხრა: ამაში არაფერი ცუდი არაა, 1978 წელსაც გვეგონა ახალგაზრდები ცდებიანო, მაგრამ სწორი აღმოჩნდნენო... და გ. ციციშვილი დათანხმდა – ახალგაზრდების შეკრება გაიმართა.

მიუხედავად ზოგჯერ ასეთი სიფრთხილისა და ჭოჭმანის გამოჩენისა (ახლა იოლია ამაზე მსჯელობა, მაშინ კი, კომუნისტური რეჟიმის დროს ადვილი იყო თავიც წაგეგო და ქვეყნის საქმეც წაგეხდინა!), ბატონმა **გიორგი ციციშვილმა** ჭეშმარიტი მამულიშვილის, საქართველოსა და ქართველი მწერლობის ერთგული მოღვაწის და ერთ-ერთი გამოჩენილი მესვეურის სახელი დატოვა. მისი ერთი ადამიანური თვისებაც არაა დასავიწყებელი: თუმცა მას მეორე მსოფლიო ომის მძიმე ფრონტული გზები ჰქონდა გავლილი, დაჭრილსა და კონტუზიაგადატანილს ერთხანს მხედველობაც კი დაუკარგავს, ამის თაობაზე ბოლო დრომდე არაფერი არ ვიცოდით, თავისი, ოფიცრის წარმატებულ–დრამატული გზა არასოდეს გამოუყენებია კარიერისთვის, გამხელითაც მხოლოდ კამათის დროს შექმნილ გარემოებათა გამო გაამხილა.



მანანა ღარიბაშვილი, გივი ჩაჭნაზარი, ლია სტურუა, დავით წერედიანი. ქვიშხეთი. მწერალთა შემოქმედებით-დასასვენებელი სახლი, მწერალთა კორპუსის ვერანდა. 2009 წ.



როსტომ ჩხეიძე, დავით წერედიანი.
„ომეგას“ („ჩვენი მწერლობის“) რედაქციაში. 2011.03.V.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

სია*

იმ მწერლებისა, რომლებმაც 1988 წლის 10 თებერვალს ხელი მოაწერეს ტრანსკავკასიის რკინიგზის გაყვანის წინააღმდეგ

აბულაშვილი ანზორ
ადეიშვილი ნოდარ
ალიმონაკი ლერი
ბეროშვილი ლეილა
ბექიშვილი თედო
ბრეგვაძე ბაჩანა
ბრეგვაძე ლალი
გაბრიჩიძე ნელი
გეწაძე აკაკი
გიგიტაშვილი ა.
გონაშვილი მაყვალა
დონჟაშვილი თინა
ელიოზიშვილი მერაბ
ერისთავი თამარ
თორია ზურაბ
კალანდაძე ანა
კაპანაძე გიორგი
კორინთელი კამილა
ლებანიძე მურმან
მარკოზია გიორგი
მაჭავარიანი მუხრან
მილორავა ლევან
მინდიაშვილი აკაკი
მრელაშვილი ლადო
ნარმანია ზაურ
ნიშნიანიძე შოთა
სანიკიძე ლევან
სიხარულიძე ვლადიმერ
ტოგონიძე გუგული
ფორჩხიძე შალვა
ფოცხიშვილი მორის
შალვაშვილი ბელა
შამანაძე ნოდარ
შამანაძე შადიმან
ჩორდელი ვაჟა
წერედიანი დავით
წულეისკირი ნოდარ
ჭანტურია ტარიელ
ჭიჭინაძე გივი
ხაინდრავა ლევან
ხარანაული ბესიკ
ხარჩილავა ვახტანგ
ხოდაშნელი შოთა
ჯაჭვაძე იზა
ჯოხაძე მაკა


* * *

1987 წელს საქართველოში გამოიცა: 120 პოეტური წიგნი, 110- პროზაული, 5-დრამატურგიული, 5-თარგმნილი.

* * *

---

* ვიცი მწერლები, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ ამ რკინიგზის მშენებლობისა. მაგალითად, თამაზ ჭილაძე, ჯანსულ ჩარკვიანი... ეტყობა, მათი ხელმოწერები რომელიღაც სხვა ფურცელზეა.



რევაზ კვერენჩხილაძე,
კიტა ბუაჩიძე.



ლაურა დათიაშვილი,
ტარიელ ჭანტურია,
ჯანსულ ჩარკვიანი,
დოდო ჩიკვაიძე.



I რიგი: ხოზე ადეიშვილი, რეზო ჭეიშვილი, რევაზ კვერენჩხილაძე. II რიგი: მანანა ბასილაშვილი, დავით მჭედლური, ლაურა დათიაშვილი, თამილა შარიქაძე, გურამ გვერდწითელი, დოდო ჩიკვაიძე, რევაზ ართილაყვა. 1995.02.06.



ლაურა დათიაშვილი, თამაზ წივწივაძე, დოდო ჩიკვაიძე.



ნათია ამირეჯიბი-კაკაბაძე, ჭაბუა ამირეჯიბი, მანანა ასათიანი.



... ელდინო სალარაძე, დავით მჭედლური, ჯემალ აჯიაშვილი, რევაზ ართილაყვა... 1997.07.06.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

სამწუხაროდ, მწერლებიც ბერდებიან

„კონსტანტინე გამსახურდია ახალნაავადმყოფარი იყო, ბესოს (ჟღენტს) შეხვდა და უთხრა, მირანდა მომიკითხეო...

ასევე დემნა შენგელაიამ, ნაავადმყოფარმა, ბესოს მიმართა: ქეთო როგორ გყავსო.

ორივემ ბესოს ცოლის ნაცვლად თავიანთი ცოლები დაასახელეს. ბესო გაოგნებული დარჩა, ორივენი ასე რამ გამოატვინაო.“

ნიკა აგიაშვილის ჩანაწერებიდან

* * *

კვლავ დავუბრუნდეთ ქართველ მწერალთა 1986 წლის 17 მაისის ყრილობას.

მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა, ალბათ პარტიული ხელმძღვანელობის რჩევით, ისევ დაადგა თანამდებობათა დარიგებით ამბიციური და ოპოზიციონერი მწერლების დაშოშმინების ძველ გზას და ხელახლა არჩეულ თავმჯდომარესთან **(გიორგი ციციშვილი)** შეიქმნა ათკაციანი სამდივნო, რომელშიც შედიოდნენ:

ადრინდელი სამდივნოს ხელახლა არჩეული მდივნები:

1. ჯანსულ ჩარკვიანი (დ. 1931)

ადრე (1971-1973) მდივნად ნამოღვაწარი, 1977 წლიდან ისევ სამდივნოში დაბრუნებული პოეტი ცვლიდა თავმჯდომარეს მისი არყოფნის შემთხვევაში, იყო გამსახკომის კოლეგიისა და „სოვეტსკი პისატელის“ საგამომცემლო საბჭოს წევრი, განაგებდა წიგნების გამოცემის საკითხებს, რე-

დაქტორობდა მწერალთა კავშირის ყოველწლიურ ალმანახ „პოეზიის დღეს“, მეურვეობდა პოეზიის სექციას, ჟურნალ „მნათობს“, ქუთაისის განყოფილებას და ჟურნალ „განთიადს“, ურთიერთობას სახტელერადიოსთან;

მოგაწვდით ერთ მაგალითს, რაც ახასიათებს მის მწერლურ თუ მოქალაქეობრივ ინტერესებს მდივნობის ამ წლებში:

აი, რას წერდა ის „ლიტერატურულ საქართველოში“ (1987, №14): **„იმდენად გაგვიტაცა ვიღაცათა თვალის ასახვევად გამართულმა სრულიად არასერიოზულმა ზეიმებმა, რომ წარსულს ჩავაბარეთ დიდი რუსთაველის დღე, ის ჭეშმარიტი დღესასწაული, რომელზეც უნდა აღმოცენებულიყო ყველა დანარჩენი ეროვნული ნამდვილი და საჭირო ზეიმი.**

1977 წელს მდივნად მეორეჯერ მიწვეული **ჯანსულ ჩარკვიანი** ამ თანამდებობაზე 1988 წლის მწერალთა საერთო კრებამდე მუშაობდა.

შემდეგ, 1991 წლიდან იყო პენ-კლუბის საქართველოს განყოფილების თავმჯდომარე.

ნაყოფიერ პოეტურ მოღვაწეობასთან ერთად ჯანსული შემდგომშიც გულმოდგინე მონაწილეობას იღებდა შემოქმედებითი ორგანიზაციის ცხოვრებასა და ღონისძიებებში.

ყოველივე ამის გათვალისწინებით 2010 წლის 7 მაისს, „პოეზიის დღის“ განახლებულ ზეიმზე **ჯანსულ ჩარკვიანს** „პოეზიის რაინდის“ საპატიო წოდება მიანიჭეს.

2. თამაზ ჭილაძე (დ. 1931)

1971-1973 წლებში მდივნად ნამოღვაწარ, შემდეგ, 1981 წელს ამ თანამდებობაზე მეორეჯერ მიწვეულ, ახლა კი, 1986 წელს მანდატგაგრძელებულ ამ მწერალს ევალებოდა მხატვრული თარგმანის მთავარი სარედაქციო კოლეგიის, ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიის მიმნიჭებელი კომისიის, დრამატურგთა სექციის, ახალგაზრდა დრამატურგთა ბიჭვინ-

თის თათბირ-სემინარის მეურვეობა, ურთიერთობის კოორდინაცია თეატრალურ საზოგადოებასთან და კულტურის სამინისტროსთან, რომლის კოლეგიის წევრიც იყო.

ცნობილია თავისი უხმაურო, მაგრამ მტკიცე პოზიციით. როცა 1987 წელს ერთი ამბავი ატყდა – გამგეობის ზოგიერთმა წევრმა როგორ მოაწერა ხელი კოლექტიურ წერილს ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობის შეჩერების თაობაზეო, თამაზ ჭილაძე იძულებული შეიქნა მწერალთა კავშირის სამდივნოზე ძალზე მღელვარედ დაეცვა (1987.03.03) მწერალთა უფლება – თავიანთი თვალსაზრისი გამოთქვან და ხელი მოაწერონ სინდისის კარნახითო!

ასეთი მტკიცე პოზიციის დაკავებასთან ერთად თამაზ ჭილაძემ თავი თავისი ბელეტრისტიკითაც და დრამატურგიითაც გამოიჩინა, რაც ცოტა ხნის შემდეგ, 1992 წელს საქართველოს უმაღლესი ლიტერატურული ჯილდოთი – რუსთაველის პრემიით დააფასეს, ხოლო ორჯერ – 1993 წელს „ლაბირინთისთვის“ და 1997 წელს პიესების კრებულისათვის „სიზმრების ახსნა“ საქართველოს სახელმწიფო პრემიით (ყოფილი „ხუთწლედის მატიანე“), პიესისთვის „როცა შუქი ქრება“ კი გიორგი შარვაშიძის – აფხაზეთის სახელმწიფო პრემიითაც დააჯილდოვეს.

თამაზ ჭილაძე ოცდამეერთე საუკუნეშიც ჩვეული ენერგიით მონაწილეობს სამწერლო ცხოვრებაში, რაც 2010 წელს „პოეზიის დღის“ ზეიმზე „პოეზიის რაინდის“ საპატიო წოდების მინიჭებით დაგვირგვინდა.

3. შოთა ნიშნიანიძე (1929-1999)

ადრე მდივნად (1981-1984) და თავმჯდომარედ (1984-1986) ნამოღვაწარ, 1986 წლიდან ისევ მდივნად გადაყვანილ პოეტს ევალებოდა კრიტიკა–ლიტერატურათმცოდნეობისა და მთარგმნელთა სექციების, აფხაზეთის მწერალთა ორგანიზა-

ციის მეურვეობა, ჩრდილოეთ კავკასიის სამწერლო ორგანიზაციებთან ურთიერთობა.

ამ წლებში შოთას ისევ გაუხსენეს ძველი ამბავი – **კობა იმედაშვილი** გაზეთ „თბილისში“ (1988.10.06) წერდა: „ორი-სამი წლის წინ ჩვენი კავშირის მაშინდელმა თავმჯდომარემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს, როგორც კომუნისტმა და როგორც შემოქმედმა, ჩააბარა ანგარიში, მაგრამ მერე, რაც მისივე საპროგრამო წერილი და ის ანგარიშიც კავშირის პლენუმზე გააკრიტიკეს, შეთქმულებად ჩათვალა ეს ყოველივე. იგი მართლა რომ კავშირის გამგეობის მიერ ყოფილიყო არჩეული, როგორც თავმჯდომარე, გამგეობასაც ჩააბარებდა ანგარიშს, შენიშვნასაც ყურადღებით მოისმენდა და იქნებ ზოგი რამ ყურად ელო კიდეც!“



შოთა ნიშნიანიძე, ლადო გუდიაშვილი.

ერთი ამბავი 1988 წელსაც შეეხება: როცა 25 თებერვალს პრეზიდიუმის სხდომაზე მწერალთა კავშირის ერთი წევრი (გივი კარბელაშვილი) **გრიგოლ აბაშიძემ, გურამ გვერდწითელმა, რომან მიმინოშვილმა, სარგის ცაიშვილმა, ტარიელ ჭანტურიამ, ელიზბარ ჯაველიძემ და რევაზ ჯაფარიძემ** დაახასიათეს, როგორც ქართველი ერის მოსკოვში სისტემატურად დამბეზღებელი, „ჩირქის მომცხები“, „ზნედაცემული“ და კავშირიდან მის გარიცხვას ხმა მისცეს, წინააღმდეგ მხოლოდ ერთმა, **შოთა ნიშნიანიძემ** ასწია ხელი.

მიუხედავად დროდადრო ასე წაბორძიკებისა, შოთა ნიშნიანიძე ზეცით მომადლებული პოეტური ნიჭით დაჯილდოებული შემოქმედი იყო.

შემთხვევით არ მომხდარა, რომ შოთამ სწორედ „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“ კომპარტიის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ („ლს“. 1976.№43) წამოიწყო კამათი თავისუფალი ლექსის ირგვლივ, რადგან არამარტო მას ეჩვენებოდა, რომ ქართულ პოეზიას მოეძალა ლექსის იოლად მწერალთა არმია. ამ შიშმა მას იქნებ მეტისმეტად კატეგორიულად ათქმევინა:

„ვერცერთ ქართულ თავისუფალ ლექსს ვერ დავასახელებ, რომელიც კარგ რითმიან ლექსს ჯობნიდეს, შედევრებზე აღარაფერს ვამბობ“.

მდივნობის ვადის დამთავრების შემდეგ შოთა ისევ „საუნჯეში“ დააბრუნეს მთ. რედაქტორად (1988-1999).

4. რევაზ ინანიშვილი (1926-1991)

1985 წლიდან მდივნად მოღვაწე ბელეტრისტს ევალებოდა პროზისა და პუბლიცისტიკის სექციების, ჟურნალ „ცისკრის“, აჭარის სამწერლო ორგანიზაციისა და ჟურნალ „ჭოროხის“, მხატვრული ლიტერატურის პროპაგანდის მეურ-

ვეობა, აზერბაიჯანისა და სომხეთის მწერალთა კავშირებთან ურთიერთობა.

რეზოს არ შეეძლო ლიტერატურის დეპარტამენტის მოხელესავით სექციის ხელმძღვანელთათვის, რედაქტორებისთვის და ა.შ. ზოგიერთი მდივანივით რაიმე მითითებანი ეძლია, კაცი, რომელსაც უქმად ყოფნა ეძნელებოდა, ახლაც წუხდა– არ ვიცი, აქ რა უნდა ვაკეთოო. უსაქმურობისთვის კი მდივნის რანგში ყოფნაც ეუხერხულებოდა და ხელფასიც თითებს უსუსხავდა...

5. რევაზ ამაშუკელი (დ. 1936)

1985-1986 წლებში მდივნად ნამოღვაწარ პოეტს ორგმდივნობასთან ერთად შტატის მეურვეობა ევალებოდა.


მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, არ დასცალდა კარგ ურთიერთობებზე აწყობილი მუშაობის გაგრძელება და იმავე 1986 წლის ოქტომბრიდან მოღვაწეობა „ლიტერატურნაია გრუზიას“ მთავარი რედაქტორის მოადგილის რანგში განაგრძო...

თანამდებობათა მიხედვით არჩეულნი:

1. ფრიდონ ხალვაში (1925-2010)

საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის განყოფილების პმგ მდივანი (ადრე, 1971-73წ.წ. სამდივნოს წევრი), რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1979) პოეტი ხელახლა შეიყვანეს სამდივნოში.

ფრიდონი, განსაკუთრებით საქართველოს გარეთ, წინდახედულად ხაზს უსვამდა – ქართველი მწერალი ვარო.



შოთა როყვა, ლადო სულაბერიძე, ფრიდონ ხალვაში, ოთარ შალამბერიძე, ზურაბ გორგილაძე, რევაზ ართილაყვა ქობულეთის რაიონული გაზეთის თანამშრომლებთან.

ამით სურდა თავიდან აეცილებინა ისეთი შეცდომა, აჭარაში მცხოვრები ერთი ქართველი პოეტის წიგნს მოსკოვში რომ დააწერეს: თარგმანი აჭარულიდანო.

სწორედ ასეთ შემთხვევას აგვიწერს პოეტი გულწრფელობით გამორჩეულ ავტობიოგრაფიულ წიგნში „ომრი“ (გვ. 209-210):

„ლვოვის ტელევიზიაში საუბრისას ვთქვი: მეც თქვენსავით საუკუნეობით მშობელ ქვეყანას მოწყვეტილი კუთხის შვილი, დღეს ისევ ჩემს მშობლიურ ენაზე, ქართულად წავიკითხავ ლექსს-მეთქი.

...რომ გამოვედით, სტუდიის წინ ერთი ლვოველი პოეტი მოიჭრა ჩემთან და დიდი მადლობა მითხრა — რამხელა შეცდომას ამაცდინეო. შენი ლექსების ჩემეული თარგმანი ხვალის გაზეთში გადის. იქ, როგორც აჭარის ავტონომიური

რესპუბლიკის წარმომადგენლის ლექსს, აჭარული ენიდან თარგმნილი მივაწერეო... გავიქეცი სტამბაში“...

მწერალთა სასახლეზე რომ ჭიდაობა ატყდა, მწერალთა კავშირმა რომ დაიჩემა მაინცდამაინც მარტო ჩემი უნდა იყოსო (და საქმე გამოგდებამდე მიიყვანა), ფრიდონმა მაშინაც სწორი პოზიცია დაიჭირა – მოვითხოვთ იყოს ე.წ. ლიტერატორთა სახლი, თუნდაც მწერალთა სახლი. ჰყავდეს (მორიგეობით) გამგე, ბიბლიოთეკარი. მოეწყოს ახალდაწერილი წიგნების კითხვა-განხილვა, ან აღიარებულ წიგნებზე მსჯელობა, პრეზენტაციებიო.

2010წლის 7 მაისს, „პოეზიის დღის“ ზეიმზე გამოცხადდა წინა, 2009 წელს აბუსერიძე ტბელის პრემიით დაჯილდოებული ფრიდონისთვის „პოეზიის რაინდის“ წოდების მინიჭება.

ამავე თვის 17 რიცხვში მოსაწვევმა ბარათმა, რომლის ერთ მხარეს ტრიბუნასთან ლამაზად მოხუცებული დაფიქრებული პოეტი იდგა, მეორე მხარეს კი ამკობდა მგოსნის მოკრძალებულობის გამომხატველი წარწერა – „მე არ ვარ დიდი, არ ვარ პატარა, მე პოეტი ვარ, განა არ კმარა?!“ – რუსთაველის თეატრში გვეპატიჟებოდა პოეტის 85 წლისათვის აღსანიშნავ საღამოზე.

ეს იუბილე, ისევე როგორც **ჭაბუა ამირეჯიბის** საიუბილეო საღამო ოპერის თეატრში, სცენაზე **ჯანსულ ღვინჯილიას** უეცარმა უსულოდ წაქცევამ დაგვიმწუხრა – **მუხრან მაჭავარიანის** უეცარმა სიკვდილმა იუბილარიც და ჩვენც შეგვაშფოთა.

ივლისში კი თვით იუბილე ჩაშხამებული პოეტის სიცოცხლე შეწყდა...

2. ალექსი ჯონუა

საქართველოს მწერალთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების პმგ მდივანი, დ. გულიას პრემიის ლაურეატი (1984).

3. ისიდორ ქოზაევი

საქართველოს მწერალთა კავშირის ე.წ. სამხრეთ-ოსეთის განყოფილების პმგ მდივანი.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„...იყვნენ თვითონ ზურაბი (კიკნაძე. რ. კ.), ქალბატონი ლამარა (ზურაბის მეულლე რ.კ.), რამაზ პატარიძე, გიგლა სარიშვილი, ერლომ ახვლედიანი, დავით წერედიანი. ლაპარაკობდნენ ქართული ანბანის საკითხებზე, მხატვრული თარგმანის განვითარების გზებზე, ამა თუ იმ უცხო მწერალზე (თ. მანი, ჰაქსლი, აკუტაგავა, ფ. ვიიონი – რაც გავიხსენე), ბრუნავს მაინც აზრი, არის ცოდნაც, პატიოსნებაც. ღმერთმა გვიმრავლოს ამნაირი კაცები“.

გიორგი (იური) ბაქანიძე

* * *

ახალარჩეული მდივნები:
1. საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი (1986-1988)
ხუტა ბერულავა (1924-2004)



ჯერ კიდევ სიჭაბუკეში, 1941 წლის აგვისტოში გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდილი ლექსით „ამხანაგო მიშაკოვ, ძმაო შალამბერიძე!“ პოპულარობამოხვეჭილ **ხუტა ბერულავას** არც ყურადღება მოკლებია და არც თანამდებობანი. ამან ცოტა გაათამამა და ზედმეტად პრეტენზიულიც კი გახადა – ცნობილია მისი დაპირისპირება მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან, ირაკლი აბაშიძესთან.

აი, რა მიამბო თავად ხუტამ:

მე რედაქტორი ვიყავი („ცისკრისა“ რ.კ.) და 1967 წელს მწერალთა საკავშირო ყრილობაზე არაფერში არ ამირჩიეს. დემენტიევმა (პარტიის ცეკას მუშაკი. რ.კ.) მითხრა: შენი თავი ირაკლიმ ამომაშლევინაო.

აი, ეს „არ ამირჩიეს“ სიცოცხლის ბოლომდე აწვალებდა ხუტასაც და ზოგიერთ სხვასაც... სხვებთან ურთიერთობის გამწვავების მიზეზიც ეს იყო.

ამისთვის უნდა დაეკარგა დრო შემოქმედს?!

მოსკოვში მოხდა შელაპარაკება ირაკლისთან, ამბობდნენ – ხუტამ კიდეც წაიწიაო...

ეს უსიამოვნო ამბავი ელგუჯა მაღრაძის მდივნობაზე საუბრისას გაგაცანით და ამაზე მეტი დაწვრილებით საუბარი არ ღირს.

გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორად მუშაობისას (1958-1965) ხუტა ბერულავას ძალისხმევით გამოიცა ქართული მწერლობის რჩეულის ოცტომეული „ჩვენი საუნჯე“.

ხ. ბერულავა – „ნაკადულში“ შვიდწლიანი ჩემთვის მეტად საინტერესო მოღვაწეობის შემდეგ ცისკარში მუშაობა არ გამძნელებია“ („ცისკარი“, საიუბილეო ნომერი, 1997).

1965-1967 წლებში „ცისკრის“ რედაქტორობის შემდეგ ხუტა იყო გამომცემლობა „განათლების“ დირექტორი.

ითვლებოდა, რომ იგი განსაკუთრებით წარმატებული იყო როგორც გამომცემლობის ხელმძღვანელი, საგამომცემლო საქმის ორგანიზატორი.

და, აი, 1986 წლის ყრილობაზე შექმნილმა, სასაცილომდე მრავალრიცხოვანმა – 119-კაციანმა (!) გამგეობამ შექმნა 11-კაციანი ასევე ღიმილის მომგვრელი სამდივნო, რომელშიც პოეტი ხუტა ბერულავაც შევიდა. ის მწერალთა კავშირში მოვიდა ნაბევარ შტატზე – 1979 წლიდან ჟურნალ „დროშაში“ მომუშავე, იქ მთავარ რედაქტორად დატოვებით.

სამდივნოში ხუტა ბერულავა იყო უცხოეთის კომისიისა და საქლიტფონდის გამგეობის თავმჯდომარე, უძღვებოდა ურთიერთობას საკავშირო ლიტფონდთან (იყო მათი ბიუროს წევრი), მოსკოვის ლიტერატორთა ცენტრალურ სახლთან, მეურვეობდა საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის სექციას, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“.

ეს ცოტა არ იყო.

შეიძლება ხუტას თავმჯდომარის შემდეგ პირველი ადგილიც შეჰპირდნენ, მაგრამ რ. ამაშუკელის მდივნობიდან წასვლისას (1986) ორგმდივნის თანამდებობა გააუქმეს, შემდეგ კი თავმჯდომარემ **(გიორგი ციციშვილი)** გამოაცხადა: ჩემი არყოფნის დროს ჩემს მაგივრობას **ჯანსულ ჩარკვიანი** გასწევსო. ცოტა ხანში პარტიის ცეკას ბიუროზე მოულოდ-

ნელად გადაწყვიტეს სამდივნოში ხუტას შტატის გამთელება და „დროშიდან“ მისი გათავისუფლება.

ხ. ბერულავა მიხვდა, რომ მდივნობაში არ უნდა გაეცვალა „დროშა“, სადაც ის მთავარი ხელმძღვანელი იყო.

ჯერ კიდევ თავის „დროშაში“ (1984, №2) ფსევდონიმს (ზაზა ბექაური) ამოფარებულმა ხუტამ შემდგენლებს დააბრალა: კრებულებსა და ანთოლოგიებს არაობიექტურად ადგენთო.

შემდგენლები კი (**გივი გეგეჭკორი, ემზარ კვიტაიშვილი, ტარიელ ჭანტურია**) მცირე გასამრჯელოს ფასად დიდ შრომას ეწეოდნენ, კარგ საქმეს ფაქიზი გემოვნებით და ობიექტურობით აკეთებდნენ.

მალე გამოჩნდა, რომ ამ საქმეში სწორედ ხუტა იქცეოდა არაობიექტურად, როდესაც 1981 წელს საქართველოს მინისტრთა საბჭომ მოითხოვა ქართული ლიტერატურის სწავლების პროგრამის საჯარო განხილვა, ხ. ბერულავა ეცადა ეს საკითხი საბავშვო ლიტერატურის სექციის ბიუროს სხდომაზე განხილულიყო და არა სექციის საერთო კრებაზე. ხოლო როცა ეს პროექტი პრესაში, კერძოდ, „ლიტერატურულ საქართველოში“, განიხილეს და ხ. ბერულავას მიუთითეს – დაუშვებელია ანთოლოგიებსა და სახელმძღვანელოებში თქვენი ლექსების ასე უხვად შეტანაო.[36] - თავისი გულისწყრომა თავზე დაატეხა „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორის მოადგილეს **თამაზ ბიბილურს** (გაზეთს ხელს ის აწერდა, რადგან მთავარი რედაქტორი შვებულებაში იყო) და პიროვნულ შეურაცხყოფასაც არ მოერიდა (იხ. რეპლიკა „დროშაში“, 1986).

ამით აღშფოთებული **ჯანსუღ ჩარკვიანი და რევაზ ინანიშვილი** სამდივნოს სხდომაზე მედგრად დაუდგნენ: ბიბილური ჩვენი სკოლის ამხანაგია, მწერლობაში ჩვენი კოლეგაა და ჟურნალში საჯაროდ და აქაც, სამდივნოზე მის შეურაცხყოფას ვერ მოვითმენთო. ისიც უთხრეს, მურმან ლებანიძის

ლექსში მაინცდამაინც შენი თავი რატომ დაინახე, ან რატომ ამბობ: „მწერლების მწყემსში“ ლებანიძე მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს გულისხმობსო. თვით თავმჯდომარე თავის თავს არ ხედავს და შენ რატომ გინდა ერთმანეთს წაჰკიდოო.

ისიც უნდა ითქვას, ხუტას თავისი თავის გადაჭარბებულად შეფასებაში გარემოცვასაც მიუძღოდა ბრალი. თავად განსაჯეთ, საბავშვო ლიტერატურის სექციის ბიუროს სხდომაზე, არც მეტი, არც ნაკლები, ითქვა: წელს (1987წ.) საქართველოში ორი დიდი უბედურება მოხდა — ერთი — სტიქიით მოტანილი ნგრევა, მეორე — ხუტა ბერულავას რუსთაველის პრემია არ მისცესო.

მადლობა ღმერთს, **ზურაბ ჭუმბურიძემ** იყვირა: კაცო, რაზე ლაპარაკობთ, რას ადარებთ ერთმანეთს, აქ საქმისთვის მოვედით თუ ამის სალაპარაკოდო და სხდომა მიატოვა.

ჟურნალ „კრიტიკის“ მთავარი რედაქტორი **რევაზ მიშველაძეც** ჩიოდა პრეზიდიუმის სხდომაზე (1987.03.07) — მდივანი ხ. ბერულავა ზედმეტად დაინტერესდა: რატომ არ ბეჭდავ მურმან ლებანიძის განმაქიქებელ წერილსო (გ. პაპუაშვილისა), აგრეთვე, რატომ წაიღო უკან თავისი წერილი ზვიად გამსახურდიამო; **„მე მეჩვენება, რომ როცა ჟურნალის შესახებ რაიმე დგინდება, მე შემხვდება მისი** (ხუტას რ.კ.) **მრისხანედ ანთებული თვალები — როგორ, შენ მ. ლებანიძის მეგობარი ხარ, სადაც მე რუსთაველის პრემია ვერ მივიღეო.“**

ყოველივე ამის გამო, მწერალთა წრეში ასე ამბობდნენ: ახლა, როცა ეროვნული მოძრაობის აზვირთება იწყება, ჩვენი ქვეყნის ბედზე უნდა ვწუხდეთ, ხ. ბერულავა კი ინტრიგებს ხლართავს, თანაც თავის არცთუ სანაქებო პოემა „რუსული გულის“ გაგრძელებას წერსო...

ეს ის პოემაა, რომელშიც ბატონი ხუტა ირწმუნებოდა — მწამს, რუსი კაცის მართალი გული დედამიწაზე უფრო

დიდიაო; დიდება რუსის უებრო ძმობას, არ დამარცხდება, ვინც იმას ენდოო („ლხ“. 1950. 17.XII)...

ეს ის პოემაა, რომელიც ფუნაგორიაში მოხვდა:

ყველას თავზე გადაახტა
ყაზილარი, აი, ხუტა...
ქორთუებში არვის ენდო,
რუსი გულში ჩაიხუტა

მერე, მის სადიდებლად ერთი გრძელი და მოსაწყენი პოემა არ იკმარა, უსაშველო გაგრძელება რომ მოაყოლა – ამის მერე, მის სიცოცხლეშივე, იმ რუსულმა გულმა რუსის ჯარს აფხაზეთში ქართველების სისხლის ღვრა რომ არ დაუშალა, ხუტა პოეტმა ხმა რატომ არ ამოიღო?...

რუსთაველის პრემიის პრეტენზიის მქონე შემოქმედს გამორჩეულ ნაწარმოებთან ერთად სათანადო პიროვნული ღირსებაც უნდა ამშვენებდეს. ამის ერთ მაგალითზე ახლა გვქონდა საუბარი და როგორ არ გავიხსენოთ **იზა ორჯონიკიძის** ნათქვამი კაცურად მოქცევაზე:

„ჯანსულს (საუბარია ჩარკვიანზე. რ.კ.) **ვუთხარი: ჯერ მურმანმა უნდა მიიღოს პრემია, მერე შენ-მეთქი.**

არ დამიმახსოვრა, გულში არ ჩაიდვა... გაჭირვებისას ხელი გამომიწოდა...

ასეთივე ხასიათისა იყო ნონეშვილი, მეორე ჯანსული“ (ლაპარაკია ჯ. ღვინჯილიაზე, რ.კ.).

კაცი უნდა ცდილობდეს ასეთ ჩამონათვალში მოხვდეს!..

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„მწერალიც, უპირველეს ყოვლისა, ჩვეულებრივი ადამიანია და არც მისთვისაა უცხო ადამიანური მანკიერებანი. ასე რომ, არა მარტო გარდასულ ეპოქებში, დღესაც მრავლად არიან ხელისუფლების მიერ „არჩეული“ და „დანიშნული“ მწერლები, რომლებმაც კოლეგებზე უკეთ იციან, როგორ მოიქცენ, ვის შეასხან ხოტბა, რას დაუკრან ტაში, რა დააბრალონ სხვებს და რა დაიბრალონ თავად“

ოთარ ჭილაძე, ცა მიწიდან იწყება. ჩანაწერები.

* * *

2. საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი (1986-1988)

ლაშა თაბუკაშვილი (დ. 1950)



მაშინ უკვე ცნობილი დრამატურგი, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი (1985) იყო 36 წლის **ლაშა თაბუკაშვილი,** მწერალთა კავშირის მდივნად რომ აირჩიეს. სამდივნოში ის მეურვეობას უწევდა ყველა ჟანრის ლიტერატურულ-შემოქმედებით ახალგაზრდობას, ჟურნალ „ცისკარსა“ და მის დამატება „ნობათს“, მისი თაოსნობით შექმნილ ჟურნალ „სათავეს“ (რომელიც, სამწუხაროდ მალე დახურეს), სსრკ მწერალთა კავშირისა და რესპუბლიკათა მწერლების კავშირებთან ურთიერთობას.

თავი ღირსეულად და დინჯად ეჭირა, ისე, როგორც მის ოჯახიშვილობას ეკადრებოდა...

მდივნობის ვადის ამოწურვის შემდეგ ასევე სანაქებოდ განაგრძო მოღვაწეობა დრამატურგიაში, რაც 2006 წელს საქართველოს უმაღლესი ლიტერატურული ჯილდოთი – რუსთაველის პრემიით დააგვირგვინა.

* * *

1986-1988 წლის სამდივნო, ისე როგორც წინა, 1971-1973 წლებისა, იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ თავმჯდომარეს კარგად არც კი ახსოვდა სამდივნოს წევრები თუ იყვნენ, განსაკუთრებით, თანამდებობათა გამო სამდივნოში შეყვანილი მწერალთა კავშირის განყოფილებათა ხელმძღვანელები.

ერთხელ, როცა სამდივნოს სხდომის დროს, ბათუმიდან, ალბათ, სხვა საქმეზე ჩამოსულმა **ფრიდონ ხალვაშმა** (სამდივნოზე დასასწრებად რაღაც განსაკუთრებულ შემთხვევაში თუ გამოიძახებდნენ), რუსთაველის პრემიის ლაურეატმა და აჭარის მწერალთა განყოფილების პმგ მდივანმა თავმჯდომარის კაბინეტის კარი შემოაღო, მოწმე გავხდი (იქ ოქმის შესადგენად ვიყავი) გიორგი ციციშვილმა როგორ გახედა და საქმიანად უთხრა: გეთაყვა, სამდივნოს სხდომა გვაქვსო (ისეთი გახედვა და ნათქვამი იყო, იგულისხმებოდა – მუშაობა გვაცალეო). ფრიდონი მორჩილად გაბრუნდა. არ ვიცი მოერიდა ეთქვა – მე ხომ სამდივნოს წევრი ვარო, თუ მასაც არ ახსოვდა, სამდივნოში რომ შეიყვანეს...

ამრიგად, „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ (1932-1988) ხელმძღვანელები იყვნენ:

ა) მთავარი ხელმძღვანელები

(სხვადასხვა დროს იწოდებოდნენ სხვადასხვანაირად: თავმჯდომარეები, პასუხისმგებელი მდივნები, პირველი მდივნები)

თავმჯდომარეები

მალაქია ტოროშელიძე 1932.1.07–1935.13.03

აკაკი თათარიშვილი 1935.13.03–1937.14.04

პასუხისმგებელი მდივნები

კანდიდ ჩარკვიანი 1937.26.09-1938.31.08

ალიო მაშაშვილი (მირცხულავა) 1938.31.08-1939.29.09

ირაკლი აბაშიძე 1939.29.09-1944.24.03

თავმჯდომარეები

სიმონ ჩიქოვანი 1944.24.03-1951.23.02

გიორგი ლეონიძე 1951.23.02-1953.22.06

პირველი მდივანი

ირაკლი აბაშიძე 1953.22.06-1964.24.12

თავმჯდომარე

ირაკლი აბაშიძე 1964.24.12-1967.17.11

პირველი მდივანი

გრიგოლ აბაშიძე 1967.17.11-1973.03.10

თავმჯდომარეები

გრიგოლ აბაშიძე 1973.03.10-1981.31.03

ნოდარ დუმბაძე 1981.31.03-1984.14.09, გარდაცვალებამდე

შოთა ნიშნიანიძე 1984.....10.-1986.05.02
გიორგი ციციშვილი 1986.05.03-1988.26.10

ბ) მთავარ ხელმძღვანელთა მოადგილეები
ნიკოლო მიწიშვილი 1932.01.07-1933.08.04
სანდრო ეული (ქურიძე) 1932.01.07-1933.08.04
პავლე საყვარელიძე 1933.08.04-1933.05.10

გ) გამგეობის მდივნები
ზოგჯერ პმგ მდივანიც, პირველი მდივანიც ერქვათ

ბესო ჟღენტი 1932.01.07 1937.26.09
1958.29.04-1976.18.10
ნიკოლო მიწიშვილი 1933.05.10-1934.19.09
(1934.05.09-დან პმგ მდივნის მოადგილე)

პანტელეიმონ ჩხიკვაძე 1933.05.09-1934.19.09
დავით დემეტრაძე 1933.05.10-1937.26.09
(1934.19.09-დან პირველი მდივანი)
სანდრო ეული 1934.19.09-1939.29.09
ვალერიან გაფრინდაშვილი 1934.19.09-1939.29.09
კონსტანტინე ლორთქიფანიძე 1937.14.04-1937.09.06
გიორგი ჯიბლაძე 1944.24.03-1946.13.09
ალექსანდრე გომიაშვილი 1946.13.09-1950.07.06
ოთარ ჩხეიძე 1950.07.06-1951.23.02
სერგი ჭილაია 1951.23.02-1953.22.06 (პმგ მდივანი
1953.22.06-1973.03.10)
გიორგი ლეონიძე 1953.22.06-1957.06.12
იოსებ ნონეშვილი 1964.24.12-1980.06.10, გარდაცვალებამდე
ელგუჯა მაღრაძე 1967.19.06-1967.17.11
ნოდარ გურეშიძე 1971.29.04-1973.03.10
გაფეზი (თედორე გაგლოითი) 1971.29.04-1973.03.10
ივანე თარბა 1971.29.04-1973.03.10

მუხრან მაჭავარიანი 1971.29.04-1973.03.10
ფრიდონ ხალვაში 1971.29.04-1973.03.10;
1986.17.05-1988.26.10
რევაზ ჯაფარიძე 1971.29.04-1973.03.10
ჯანსულ ჩარკვიანი 1971.29.04-1973.03.10;
1977.01.12-1988.26.10
თამაზ ჭილაძე 1971.29.04-1973.03.10;
1981.31.03-1988.26.10
თენგიზ ბუაჩიძე 1973.03.10-1977.25.03 (I მდივანი)
ნოდარ დუმბაძე 1973.03.10-1981.31.03
გიორგი ციციშვილი 1977.25.03-1985.18.06
გიორგი ჟორჟოლიანი 1977.25.03-1981.31.03
შოთა ნიშნიანიძე 1981.31.03-1984.....10;
1986.05.02-1988.26.10
რომან მიმინოშვილი 1981.31.03-1986.17.05
ვალერი ასათიანი 1984.....10-1985.09.04 (წასვლა გაფორმდა)
რევაზ ინანიშვილი 1985.18.06-1988.26.10
რევაზ ამაშუკელი 1985.09.09-1986 ოქტომბერი
ხუტა ბერულავა 1986.17.05-1988.26.10
ლაშა თაბუკაშვილი 1986.17.05-1988.26.10
ისიდორ ქოზაევი -„- -„-
ალექსი ჯონუა -„- -„-

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„ქართველმა ხალხმა ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად გადაარჩინა არა მხოლოდ საკუთარი სხეული, მან ამ ბრძოლითვე შეინარჩუნა და დღემდე მოიტანა თავისი შინაგანი სახე, თავისი სულიერი რაობა.

იმ დიდ წარღვნებს გადარჩენილი საუნჯის დღევანდელ პირობებში დათმობა, სხვა რომ არ იყოს, სრული ბედოვლათობა იქნებოდა“.

გურამ ასათიანი

იქნებოდა კი არა, ამ ბედოვლათობას უკვე ვიჩენთ, ჩვენდა სამარცხვინოდ და სამწუხაროდ!

* * *



მურმან ლებანიძე, ანა კალანდაძე, მანანა ასათიანი სტუმრად ლადო ასათიანის ქანდაკებათა ავტორთან – გიორგი შხვაცაბაიასთან.




ირინა კალმახელიძე, მალვინა ბახტაძე, ვალერი ასათიანი, მაია წერეთელი, ირინა ალულიშვილი.



ჯუმბერ თითმერია, ვახტანგ ჯავახაძე




ჯუმბერ თითმერია, ზინაიდა კვერენჩხილაძე



რევაზ მარგიანი, კონსტანტინე გამსახურდია, გურამ ფანჯიკიძე, ჯუმბერ თითმერია

თავი V. გარდამავალი წლების საქართველოს მწერალთა კავშირი (1988-1992), მისი მესვეურები და მოღვაწეობა

„საქართველოს მწერალთა კავშირის“ თავმჯდომარე (1988-1992) მუხრან მაჭავარიანი (1929-2010)



1926 წლიდან პირველად „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ ისტორიაში არა დელეგატებმა (ჩვეულებრივ 3 მწერალს ყრილობაზე წარმოადგენდა ერთი დელეგატი), ან არა ამ დელეგატების მიერ შექმნილმა გამგეობამ, ხან კი, უფლებრივი უპირატესობის დარღვევით – პრეზიდიუმმა, არამედ მწერალთა **საერთო კრებამ** აირჩია მწერალთა კავშირის ხელმძღვანელები. ეს მოხდა 1988 წლის 26 ოქტომბერს.

ეს იყო ცდა ხალხის თავისუფალი ნების დემონსტრირებისა, 1917 წელს შექმნილი საქართველოს მწერალთა კავშირის ყრილობების (1917-1923) შემდეგ თავიანთი ორგანიზაციის თავკაცების პირველი ნამდვილად და მხოლოდ მწერლების მიერ არჩევისა (თუმცა კომპარტიის ფუნქციონერები აქაც ერეოდნენ თავიანთი „კეთილი“ რჩევებით).

აზვირთებული ეროვნული მოძრაობის მხარდაჭერა იყო ის, რომ მწერლებმა თავიანთ თავმჯდომარედ აირჩიეს ეროვნულობით გამორჩეული შემოქმედი **მუხრან მაჭავარიანი**, როგორც ავტორი ამ გრძნობით გამსჭვალული მქუხარე ლექსებისა „საბა“, „შენ, სისხლო ჩემო“... რომლებსაც ასეთივე

მჭექარე ხმით კითხულობდა და რომელთათვისაც და მამულის სიყვარულით ნათელმოსილი მთელი მისი პოეზიისთვის 1989 წელს მიენიჭა საქართველოს უმაღლესი ლიტერატურული ჯილდო – რუსთაველის პრემია, შემდეგ – მემედ აბაშიძის სახელობის პრემია, ხოლო მოგვიანებით, დაბადების 80 წლისთავზე „ძეი ქუხილისა“ უწოდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

მაგრამ მანამდე ერთ-ერთი ასეთი შედეგისთვის კომპარტიის ცეკაში უთხრეს – არ უნდა დაგეწერაო, მწერალთა კავშირში დაამუშავეს, უნივერსიტეტიდან კი გარიცხეს, სადაც მოგვიანებით მწერალთა შუამდგომლობამ აღადგინა – კეთილმოსაგონარ რექტორს, ნიკო კეცხოველს მიუყვანეს და ურჩიეს: ნიჭიერი პოეტის გარიცხვა არ ივარგებსო...

ხელისუფლებას შემუშავებული ჰქონდა მეთოდები, რომლითაც ცდილობდა გაენელებინა თავისი ინტერნაციონალიზმის მოწინააღმდეგე ეროვნულ მოღვაწეთა გავლენა.

მაგალითად, როცა მუხრანის პატრიოტულმა ლექსებმა ხელისუფლებას ძილი დაუფრთხო, გადაწყვიტეს თავიანთი სიმშვიდის დამრღვევი პოეტი ერთხანს ისე მოეშორებინათ, რომ მის დაფასებად აღქმულიყო – ასე დასდეს მას „პატივი“ და 60-იან წლებში ბულგარეთში მიავლინეს ერთგვარ ლიტერატურულ დესპანად.

ამან მუხრანს ხელი ვერ შეუშალა საქართველის ბედზე ზრუნვით გამსჭვალული ლექსების შექმნაში, დამატებით კი პოეტმა ქართულ ენაზე თარგმნილი ბულგარული პოეზიის ანთოლოგია მოგვართვა.

როცა მუხრანის შედგენილ-გამოცემულ საყმაწვილო კალენდარში სახალხო გმირის არსენას ნამდვილი მკვლელი – რუსი ჯარისკაცი დასახელდა, ამასთან მთელი ერთი გვერდი წმინდა ნინოს სურათს დაეთმო – კალენდრის მთელი ტირაჟი ამოიღეს.

თავისუფალ საქართველოშიც კი, რომლის დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მოწერის პატივი ერგო მუხრან მაჭავარიანს, როცა სამოქალაქო ომი გავაჩაღეთ და ერთმანეთს დავერიეთ, პოეტმა ზოგიერთი მეგობრისგან ზურგის შექცევის ტკივილიც განიცადა...

მუხრანს მწერალთა კავშირის გაძღოლა მოუწია ბობოქარ დროში.

ადრე, 1971-1973 წლებშიც მოუხდა მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში ყოფნა — გამგეობის მდივნობა, მაგრამ მაშინ, შეიძლება ითქვას, ისიც და სხვა რამდენიმე მწერალიც უფრო სიმბოლურად იყვნენ მდივნები.

1978 წელს მუხრანმა მწერალთა კავშირში უყოყმანოდ დაუჭირა მხარი **აკაკი ბაქრაძის** მოთხოვნას კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო ენად ჩაწერის თაობაზე.

შემდეგ 1983-1988 წლებში მწერალთა კავშირის სქელტანიანი ჟურნალ „საუნჯის“ რედაქტორი გახლდათ (და სწორედ იქიდან მოვიდა მწერალთა კავშირში).

ფრიად საპასუხისმგებლოა მთავარი რედაქტორობა, მაგრამ სულ სხვა იყო თავმჯდომარეობა, როგორც მოვალეობის ტვირთის სიმძიმითა და პასუხისმგებლობით, ასევე თანამდებობის ღირსების აღმატებულობითაც.

აი, რამდენიმე მოვლენა, რაც მოხდა მუხრან მაჭავარიანის თავმჯდომარეობისას:

მწერალთა სასახლის ბაღში დაიდგა ამ სახლის ამშენებლისა და მფლობელის, დიდი მეწარმის, მეცენატისა და საზოგადო მოღვაწის **დავით სარაჯიშვილის** ბიუსტი (შორიდან ცოტა ლენინს რომ ჩამოჰგავს),

არ უნდა ვიფიქროთ, რომ მწერალთა კავშირის წინა ხელმძღვანელობა არ აფასებდა ამ დიდ მოღვაწეს, რომლის მეუღლემაც განსვენებული დავითის ნება-სურვილის გათვალისწინებით, ეს სასახლე თავის დროზე სწორედ რაიმე

კულტურული დაწესებულებისთვის უანდერძა ქ. თბილისის თვითმმართველობას.

სწორედ იმის მოშველიებით, რომ ამ სასახლეში ბინა რაიმე კულტურულ ორგანიზაციას უნდა დაედო, მიიღეს ეს სასახლე ქართველმა მწერლებმა, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, ქართველი ბოლშევიკებისა და მათი მორჩილი ხელისუფლებისგან — რევოლუციური კომიტეტისგან 1921 წელს, თებერვლის მიწურულს.

რაც შეეხება წინაპრის ღვაწლის დაფიწყებას, დაუფასებლობა კი არ იყო, კომუნისტები, როგორც ყველა მდიდარს, ისე არ წყალობდნენ დავით სარაჯიშვილს და არათუ მის გახსენებასა და მისთვის პატივის მიგებას მოითმენდნენ, დიდუბის პანთეონში საფლავიც კი გაუუქმეს...

აზვირთებადაწყებული ეროვნული მოძრაობის წინამძოლებმა სწორედ მწერალთა კავშირს მიაშურეს და იქ შექმნეს **„ეროვნული ფრონტის საკოორდინაციო საბჭო“**, მასში მუხრანიც შეიყვანეს.

მაგრამ 1990 წლის 15 თებერვალს კომუნისტური პარტიიდან გადიან (იხ. პარტბიუროს სხდომის ოქმი): **თედო ბეჭიშვილი, აკაკი გეწაძე, დილარ ივარდავა, გიორგი პაპუაშვილი.**

გასვლის განცხადება შეაქვთ: **ჯუმბერ თითმერიას, ლაშა ნადარეიშვილს, თამაზ წივწივაძეს, რეზო ჭეიშვილს.**

პარტბილეთებს დებენ: **რევაზ ართილაყვა, აკაკი ბრეგაძე, თინა დონჟაშვილი, დავით მჭედლური, სოსო პაიჭაძე, ჯემალ ქირია, თენგიზ ჩალაური, როდამ ჩაჩანიძე, მიხეილ ჩაჩუა, ვანო ჩხიკვაძე, ნოდარ წულეისკირი, ნოდარ ჯალაღონია, რევაზ ჯაფარიძე, გრიგოლ ჯულუხიძე.**

ასეთ ვითარებაში 1990 წლის 7 მარტს პრეზიდიუმმა მუხრან მაჭავარიანის თავმჯდომარეობით ჩათვალა, რომ მწერალთა შემოქმედებითი ორგანიზაცია უშუალოდ არ უნდა ერეოდეს პოლიტიკაში და მწერალთა კავშირის კომუნისტუ-

რი პარტიული ორგანიზაციაც გააუქმა და „საქართველოს სახალხო ფრონტის მწერალთა კავშირის ფილიალიც“.

ცხადია, მუხრანი აღფრთოვანებით შეხვდა საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, მალე ატეხილმა სამოქალაქო დაპირისპირებამ ბევრი საქმე უკუღმა წაიყვანა.

როდესაც ერთ-ერთ მიტინგზე მთავრობის სასახლის წინ გამოსვლისას მუხრან მაჭავარიანმა **პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია** დაიცვა, ორივეს (მუხრანისა და პრეზიდენტის) მოწინააღმდეგე მწერლებმა თავიანთ სასახლეში შეკრება და მათი გადადგომის გამოცხადება განიზრახეს. საპასუხოდ მწერალთა სასახლე დაკეტეს.

ოპოზიციონერებმა სასახლის წინ, ქუჩაში ჩაატარეს კრება (1991.02.10) და გააკეთეს შემდეგი განცხადება:

„მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა, რომელმაც მწერალთა კავშირში შესასვლელი გადაგვირაზა, არ გამოხატავს ქართული მწერლობის საერთო განწყობილებასა და აზრს და, ამდენად, აღარ არის უფლებამოსილი გამოდიოდეს და ლაპარაკობდეს ქართველი მწერლების სახელით“.

ამ მიმართვის ხელის მომწერლები გააქილიკა **„მიმომხილველმა“** (სიმართლე ეგრეთწოდებული მწერალთა კრების ირგვლივ, „ლს“, 1991.04.10), რომელსაც მოგვიანებით, ოპოზიციის სახელით, პასუხი გასცა მწერალთა კავშირის მდივანმა **გურამ ფანჯიკიძემ** („დაგიფასდებათ, უეჭველად დაგიფასდებათ“, „ლს“, 1991.29.11) – ეს წერილი დასმენააო.

ამ დაძაბულობის ფონზე ოპოზიციამ მოითხოვა ყრილობის გამართვა – მით უმეტეს, წინა ყრილობიდან ოთხი წელი გასულიაო.

1992 წლის 10 იანვარს თავმჯდომარის გარეშე შეკრებილმა პრეზიდიუმმა დაადგინა: 1) გადაყენებულ იქნეს საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნო, ვინაიდან 1991 წლის მაისში ამოეწურა რწმუნების ვადა; 2) არჩეულ იქნეს

მწერალთა ყრილობის საორგანიზაციო კომისია: **თენგიზ ბუაჩიძე, ელგუჯა მაღრაძე, რევაზ მიშველაძე, დავით მჭედლური, შოთა ნიშნიანიძე, გურამ ფანჯიკიძე, ჯანსულ ჩარკვიანი, თამაზ წივწივაძე, რეზო ჭეიშვილი, თამაზ ჭილაძე, რევაზ ჯაფარიძე.**

ამავე სხდომაზე „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორობიდან გაათავისუფლეს **სოსო სიგუა** და ამ თანამდებობაზე დანიშნეს **თამაზ წივწივაძე.**

1992 წლის 25 მარტს მწერალთა ყრილობაზე **მუხრან მაჭავარიანის, ნოდარ წულეისკირის, ენვერ ნიჟარაძის** ხელმოწერილი განცხადებით ოპოზიციას ბრალი დასდეს: 1921 წლის 25 თებერვლის მსგავსი სამხედრო გადატრიალებით კანონიერი პრეზიდენტის განდევნის შედეგად მოსული სამხედრო საბჭოს მხარდამჭერი ხართო.

მუხრან მაჭავარიანის მიერ გახმიანებული მეორე განცხადება მწერლებს მოუწოდებდა:

„ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ვემიჯნებით მათ საგანგებო კომისიას და ვინარჩუნებთ ტრადიციულ კავშირს, სწორედ ტრადიციულ მწერალთა კავშირს. ვისაც არ გსურთ იყოთ წევრები თვითმარქვია კავშირისა, ადექით და ჩვენთან ერთად დატოვეთ დარბაზი, ეს უკანონოდ მიჩნეული ყრილობა.“

გავიდნენ **მუხრან მაჭავარიანი, ხუტა ბერულავა, ენვერ ნიჟარაძე....** სულ 29 კაცი (აქედან ხუთი მწერალთა კავშირის წევრი არ იყო).

ასე მიეცა დასაბამი მწერალთა კავშირის დაშლის მცდელობას...

მემძიმება, მაგრამ ნათქვამს, მით უფრო დაბეჭდილს ვერ დამალავ.

და, აი, დადგა დრო და მუხრანს გაუხსენეს, როგორც კეთილმოსაგონარმა **გიორგი ბაქანიძემ** ჩვენთვის დატოვებულ ჩანაწერებში გვითხრა, არა იმდენად „უმწიფრობის ჟამს“,

არამედ სახელმოხვეჭილობის პერიოდში შექმნილი ზოგიერთი ნაწარმოები:

1979 წლის აპრილში „ახალგაზრდა კომუნისტში“ დაბეჭდილი ლექსი „კომკავშირი“;

და მეორე, „მჟავანაძის დროს“ რომელიღაც თავყრილობაზე წარმოთქმული ლექსი: „პარტიაზე ჯერ არ მქონია არცერთი ლექსი, დღეს ვწერ პირველად, არ ვჩქარობ, ვწერ დაკვირვებით.“

და აქო პარტია, ურომლისოდაც —„ველოსიპედსაც ვერ შექმნიდა საკუთარს“ საქართველოო.

ზოგი ამ ნათქვამს ნაღდი ლექსების გასატანად ჩაბმულ ორთქლმავლად („პარავოზად“) თვლიდა, ზოგიც თანამდებობისთვის დათმობაზე წასვლად. მე პირველისკენ ვიხრები. ისე კი, რად უნდოდა ის მისი ლექსების პატრონს!

მაგრამ დრო, წლები მკაცრად აწონ-დაწონის მთავარსა და წვრილმანს – 2009 წელს **მუხრან მაჭავარიანს** პოეტ-აკადემიკოსის გამორჩეულ წოდებას მიანიჭებენ.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„მე ვებრძვი თავისუფალ ლექსად შემოჩეჩებულ პროზას და პწკარედს. თავისუფალი ლექსი შეიძლება თავისუფალი იყოს ვერსიფიკაციული პირობითობებისაგან, რითმა იქნება ეს, რიტმი თუ მეტრი, მაგრამ არა აზრისგან და გრძნობისგან. ასეთი ვერლიბრის ნიმუშები ამ ტევადი ფორმის გაყალბებაა და დაკნინება“.

შოთა ნიშნიანიძე,
„ლს“, 1980.

* * *

„საქართველოს მწერალთა კავშირის“ მდივნები მ. მაჭავარიანის თავმჯდომარეობის დროს (1988-1992):

მწერალთა საერთო კრებამ 1988 წლის 26 ოქტომბერს თავმჯდომარესთან (**მუხრან მაჭავარიანი**) ერთად სამი მდივანიც აირჩია. ესენი იყვნენ: **ხუტა ბერულავა, ენვერ ნიჟარაძე** და **გურამ ფანჯიკიძე**.

ა) საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი (1988-1992) ხუტა ბერულავა (1924-2004)

ხუტა ბერულავა ადრეც, 1986 წლის 17 მაისს, საბჭოთა მწერლების მეათე (საერთო ათვლით XVII) ყრილობაზე შექმნილმა გამგეობამაც აირჩია მდივნად და ამ თანამდებობაზე 1988 წლის საერთო კრებამდე მუშაობდა.

მაგრამ, ბევრი გაოცდა, – საბჭოურ-კომუნისტური დიქტატის გარეშე ჩატარებული ამ თავისუფალი არჩევნების დროსაც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში როგორ მოხვდა მრავალ ინტრიგაში გახვეული „რუსული გულის“ ავტორიო.

ერთი კია, როგორც მაშინვე ითქვა, აქ გადამწყვეტი აღმოჩნდა არა ქართველი მწერლების, არამედ ოსების ხმა – ყრილობა გვიანობამდე ვერ დამთავრდებოდა, მათ კი წასვლა ეჩქარებოდათ, ამის გამო უფლება მისცეს ხმა ადრე მიეცათ. ხუტამ ისინი დაპირებებით აავსო, იმათაც არ ედარდებოდათ, ვის შეიყვანდნენ სამდივნოში.

ხუტა ბერულავა, როგორც საქლიტფონდის გამგეობის თავმჯდომარე, საერთაშორისო ლიტერატურული ფონდის (მოსკოვი) პრეზიდიუმში შეიყვანეს.

1988 წელს ხუტა აფუძნებს და გარდაცვალებამდე ხელმძღვანელობს საქართველოს **საბავშვო ფონდს**. როგორც გამომცემლობათა დირექტორობისას, აქაც ავლენს ორგანიზა-

ტორობის ნიჭს. მოგვიანებით ის საბავშვო ფონდების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს.

მაგრამ ისიც ფაქტი იყო, რომ წინა სამდივნოში მას კონფლიქტი ჰქონდა მდივნებთან, რამაც სამწუხაროდ, ახლაც იჩინა თავი, როგორც მწერლებმა აღნიშნეს (მაგალითად **კობა იმედაშვილი,** შემოქმედებითი კავშირები დემოკრატიის სკოლა, გაზ. „თბილისი", 1988.10.06), ამ სამდივნოშიც თანამშრომლობის ნაცვლად ისევ დაპირისპირება მოიტანა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ მწერალთა კავშირის მდივანმა **გურამ ფანჯიკიძემ** 1990 წლის 27 აპრილს პრეზიდიუმის სხდომაზე განაცხადა: **„მან** (ხუტა ბერულავამ, რ.კ.) **მწერალთა კავშირის სამდივნოს ავტორიტეტი ნულზე დაიყვანა. თუ ის დარჩება, მე უნდა წავიდე..."**

ხუტას ალმანახ „ქართული მწერლობის" (ყოფილი „კრიტიკა") მთავარი რედაქტორის დანიშვნისას და ბინების განაწილებისას გამოჩენილ მიკერძოებაში დასდეს ბრალი. ამიტომ უფლებები შეუზღუდეს, ალმანახის თანამშრომლებმა კი მწერალთა სასახლეში მის კაბინეტთან საპროტესტო აქციები მოაწყვეს...

ამას ისიც დაემატა, რომ ყოველგვარი გამოცემის ნებართვის, ქაღალდის ლიმიტის გარეშე **ოთარ ჩხეიძის** მიერ გორში დაარსებული და საზოგადოებრივ საწყისებზე გამომავალი ალმანახ „ლიახვის" (ადრე „ცისკარი", შემდეგ — „მერანი") რედაქტორად ერთპიროვნულად დანიშნა **მერაბ ელიოზიშვილი,** უსაფუძვლოდ ჩათვალა რა ეს ალმანახი მწერალთა კავშირის გორის განყოფილების ლიტერატურულ ორგანოდ.

ეს ხუტამ, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, გააკეთა „სრულიად საქართველოს სადიდებლად" (მისი ინტერვიუ „კომუნისტში" 1990). მაგრამ გამოვიდა, რომ უსამართლოდ მოექცა ოთარ ჩხეიძეს და მერაბ ელიოზიშვილიც უხერხულობაში ჩააგდო.

ბუნებრივია, განაწყენებულმა ოთარმა წერილებში გამოხატა გულისტკივილი – ადგილზე ლიტერატურული გაერთიანებები უნდა აღმოცენდეს და არა მწერალთა კავშირის (ნაწევრად მთავრობის ორგანიზაციის) სტრუქტურები და განყოფილებებიო.[1]

მდივნის თანამდებობაზე ხუტა ბერულავა მუშაობდა 1992 წლის 10 იანვრამდე, როდესაც პრეზიდიუმმა უფლებამოსილება შეუწყვიტა 1988 წელს არჩეულ ხელმძღვანელობას.

ყრილობის დროს მწერალთა კავშირიდან გასული ხუტა, ამავე წლის პირველ მაისს აფუძნებს **„ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელ კავშირს“** და მის თავმჯდომარედ მუშაობდა გარდაცვალებამდე (2004).

1988 წელს ხ. ბერულავას მიაკუთვნეს შიო მღვიმელის, ხოლო 1989 წელს – საქართველოს მინისტრთა საბჭოს პრემია „ხუთწლედის მატიანე“.

ცალკე სინდისი, ცალკე ნაღდი პოეტის, კარგი ადამიანის და მრავალი წლის განმავლობაში მწერალთა კლუბის გამგის, ჩვენი კეთილი უფროსის (ბიბლიოთეკა კლუბში შედიოდა) **ლადო სულაბერიძის** ხსოვნა არ მომასვენებს, ერთი ამბავი რომ არ გავიხსენო:

ხუტა ბერულავასთან შესულ ლადოს კაბინეტის პატრონი აგდებულად ეუბნება:

– როგორ იყო, ფაშისტური გერმანიის საქებარ ლექსებს რომ ბეჭდავდი ტყვეობაში?..

მას მხედველობაში ჰქონდა მეორე მსოფლიო ომის დროს ბერლინში ტყვეებისთვის ქართულ ენაზე გამომავალ გაზეთში დაბეჭდილი ლექსები, რომლებშიც გერმანიის ხოტბა კი არა, მშობლიური საქართველოს გახსენება, მის ბედზე დაფიქრება იყო გამოხატული...

ლადო – მე ამისთვის გადასახლებაში ვიყავი...

ხუტა – ტყეობაში თავი რომ გადაგერჩინა?..

ლადო – მე სასჯელი მოვიხადე...

ხუტა – დაწერე აწი განცხადება და წადი კლუბიდან...

ვის, ვის და პოეტს არ ეკადრებოდა შინსახკომის გამომძიებელივით აგდებული საუბარი თანამოკალმესთან.

ის ადგილი კი, როგორც ამბობდნენ, თავისი კაცისთვის უნდოდაო ხუტას.

მუდამ მიკვირდა, მაგრამ ვუგებდი – კაცი, რომელსაც მამა დაუხვრიტეს, კომუნისტების ბატონობისას იძულებული იყო ისინი ექო და ედიდებინა.

მხოლოდ ესაა, ქებასაც აქვს საზღვარი.

მხოლოდ ზღვარდაუდებელი ქება მიკვირდა ხუტასგან და ასევე მამადახვრეტილი პოეტის **თეიმურაზ ჯანგულაშვილისგან.**

იქნებ წვრილმანია, მაგრამ ერთ მაგალითზეც უნდა მოგახსენოთ.

1989, 21 თებერვალი, მწერალთა სასახლე. წიგნების კიოსკის გამყიდველმა შესჩივლა ხ. ბერულავას: უკანა კედლიდან წყალმა გამოჟონა, წიგნები დასველდაო.

- ასე მოგიხდება, მაფია რომ გაქვს შექმნილი, მე წიგნებს მიმალავ...

რამდენჯერ ვუთხარი – ჩამობრძანდით, წიგნები შეარჩიეთ-მეთქი... – ამბობდა წიგნების გამყიდველი და ეს მართლაც ასე იყო.

ჩვენს ბიბლიოთაკარებსაც უთქვამთ: ჩვენთანაც არის გასაყიდი წიგნები (დეფიციტურ წიგნებს გვარგუნებენ გასაყიდად), ჩამობრძანდით, შეარჩიეთო...

ეტყობა, ელოდა კაბინეტში მომართმევენო.

განა რამენაირად შეილახა იმ ხელმძღვანელთა ავტორიტეტი, ბიბლიოთეკაში ან კიოსკში რომ ჩამოდიოდნენ წიგნების შესარჩევად?

ან ის რაღა იყო, კომუნისტების ბატონობის რღვევის დაწყების წლებში რომ ისედაც ქებამოჭარბებული „რუსული გულის“ მეორე ნაწილის წერა წამოიწყო, ანდა დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ რომ ფრთხილობდა?..

აქ ჩვენს ფრიდონ ხალვაშსაც ეთქმის სიტყვა:

„რუსულ გულს“ რა გულით და აზრითაც წერდა კი ვიცოდი, თუმცა მეგობრებმა ამაზე ძალიან გვიან უთხრეს. ის მე მუდამ აჭარელ მწერლად, ესე იგი ერთ კუთხელად, არა მთლიან საქართველოელად მთვლიდა“ (ომრი“, გვ. 293).

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„ორმოცდაათიანი წლების ბოლოს მისმა ნოველებმა გამოჩენილი ბორის პასტერნაკიც კი აღაფრთოვანა და აალაპარაკა, რაც შეეხება გენიალურ „დაჩის ზღაპრებს“, მათი ავტორი, ჩემი თვალსაწიერით, მთელს გამოჩენილ მეზღაპრეთა თანავარსკვლავედში მოჩანს. პიესა „სანამ ურემი გადაბრუნდება“ მსოფლიოს 140 თეატრში დაიდგა. დასანანია, რომ ამ შედევრების ავტორს დღეს რუსთაველის პრემიის გარეშე მივაბარებთ მიწას. ესეც ქართული სინდრომი! 2000 წელს სახელმწიფო პრემიების კომიტეტის წევრებმა შავი კენჭები ჩაუყარეს, მაშინ მეც გახლდით კომიტეტის წევრი და კარგად მახსოვს ეს სამზარეულო. კენჭისყრის შედეგები დადებულმა ანზორ ერქომაიშვილმა, თამაზ წივწივაძემ და მე გავაპროტესტეთ“.

შოთა ზოიძე,
„თეატრი და ცხოვრება“, 2011, №3-4

* * *

ბ) „საქართველოს მწერალთა კავშირის“ მდივანი (1988-1992) ენვერ ნიშარაძე (დ. 1946)



1988 წლის 26 ოქტომბერს საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნად აირჩიეს საქართველოს კომკავშირის პრემიის (1980, კრებულისთვის „მარადიული დღესასწაული“, „მაღალი აფრა“ და ციკლისთვის „გმადლობ სიცოცხლევ“) და ვ. მაიაკოვსკის სახელობის პრემიის პირველი მფლობელი (1981, პოემისთვის „ვით შენს ღირსებას ეკადრება“) პოეტი **ენვერ ნიშარაძე.**

იგი უფრო ორგანიზაციულ საკითხებს განაგებდა.

აქაც არ შემიძლია ერთი ამბავი არ გავიხსენო, არა იმიტომ, რომ მე მეხება, არამედ მწერალთა ორგანიზაციის ისტორიასთან არის დაკავშირებული.

ამ დროისთვის უკვე გადამუშავებულ-გადაფასებული და შევსებული მქონდა მწერალთა კავშირის ისტორიაზე 1983 წელს გამოცემული წიგნი, მასში შეტანილი იყო ბევრი ის მასალა, რომლის დაბეჭდვასაც კომუნისტური ცენზურა არ დამანებებდა.

მაგრამ ნაშრომი კიდევ ითხოვდა ზოგიერთი მასალის მოძიებას.

ვთხოვე ჩვენს ენვერს: კვირაში ერთ ნებისმიერ სამუშაო დღეს არქივში ვიმუშავებ, დღის ბოლოს აქ გამოვივლი-მეთქი.

რას ამბობ, აქ ხარ საჭიროო და ა.შ. თითქოს მე, როგორც ბიბლიოთეკის მუშაკს, ვერ შემცვლიდნენ ჩემი თანამშრომლები **დოდო ჩიკვაიძე** და **ლაურა დათიაშვილი.** თანაც არაფერი უსაშველო საქმეები მაშინ მწერალთა კავშირში არ კეთდებოდა...

ცოტა ხანში მოულოდნელად გამოჩნდა კიდევ ერთი საშური საქმე.

მე რომ მაშინ ენვერისთვის ყური დამეგდო, 3 თვეს ყოველ სამუშაო დღესა და საათს ვერ დავამუშავებდი კომუნისტური რეპრესიების მსხვერპლი მწერლების 50 საგამოძიებო ტომს, რისი საშუალებაც მაშინდელი (1991წ.) თავმჯდომარის **მუხრან მაჭავარიანის** დაუყოვნებლივ მოცემულმა შუამდგომლობამ, ლიტერატურული მუზეუმის დირექტორის **იზა ორჯონიკიძის** ჩემდამი გამოცხადებულმა ნდობამ, ყოველმხრივ ხელშეწყობამ, მუზეუმის თანამშრომელთა კეთილგანწყობილმა დახმარებამ მომცა.

ცოტა რომ დამგვიანებოდა, პირში ჩალაგამოვლებული დავრჩებოდი — უკანასკნელი საქმე დავამუშავე და სულ მალე პრეზიდენტ **ზვიად გამსახურდიას** განკარგულებით ის 50 ტომი მის კანცელარიაში წაიღეს, მას შემდეგ არავის უნახავს ის მასალა, რომელიც უშიშროებას იზამ გამოგლიჯა (მხოლოდ ამ მებრძოლ ქალბატონს შეეძლო ამის გაკეთება! ისე იქაც აღმოჩნდა ერთ-ერთი კარგი ქართველი, ხელი რომ შემიწყოო!)

ჩვენმა უშიშროებამ მხოლოდ 16 წლის შემდეგ ატეხა განგაში — ვის არ ეცა, ვის არ ჰკითხა, ჩემამდე ვერ მოაღწიეს, მაგრამ... ის გაიგო, რაც დიდი ხანია ცნობილი იყო.

ისიც უნდა ვთქვა, ხელი იმანაც შემიწყო, რომ ჩვენი ენვერი უცებ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ გადაიყვანეს.

ერთი სიტყვით, საქმეც გაკეთდა და მწერალთა კავშირის მუშაობასაც არაფერი დაჰკლებია.

* * *

ე. ნიჟარაძის თუ დავუბრუნდებით, მდივნად არჩევამდე, 1978 წელს მეტეხის ახალგაზრდულმა თეატრმა-სტუდიამ დადგა მისი პიესა „არქეოლოგები“. ეკუთვნის პიესა „ელოდე ვარსკვლავთცვენას“ (1981), კრებულები „ვარსკვლავები ქალაქის თავზე“ (1984), „ხსოვნის ზარები“ (1982).

გ) „საქართველოს მწერალთა კავშირის“ მდივანი (1988-1992) გურამ ფანჯიკიძე (1993-1997)

მწერალთა საერთო კრებამ 1988 წ. 26 ოქტომბერს მწერალთა კავშირის მდივნად აირჩია მწერლობაში თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ (1956) მოსული **გურამ ფანჯიკიძე.**

ამ თანამდებობაზე მოსვლამდე გ. ფანჯიკიძემ სოლიდური გზა გაიარა, კერძოდ:

რედაქტორობდა მწერალთა კავშირის ჟურნალ „განთიადს“ (1975-1977; პირველი რედაქტორი).

იგონებს (2003; №1-2) „განთიადის“ რედაქტორი ავთანდილ ჯურაშვილი:

„როცა ყოველი ახალი ბეჭდვითი ორგანოს დაარსება მხოლოდ პარტიის საკავშირო ცენტრალური კომიტეტის ბიუროს დადგენილების ნიადაგზე ხდებოდა, ხოლო იმ ხანებში ამ ბიუროს დასტურით მზადდებოდა სსრკ-ის ახალი კონსტიტუცია, სადაც ერთადერთ სახელმწიფო ენად სსრკ-ის მთელ ტერიტორიაზე მხოლოდ რუსული ენა უნდა გამოცხადებულიყო, ასეთ ვითარებაში კი ახალი ჟურნალის შექმნა და ისიც არა რუსულ ენაზე უდიდეს გაბედულებას, თავგანწირვას და გმირობას მოითხოვდა იმ ადამიანების მხრიდან, ვინც ამ დიდი ეროვნული საქმის კეთებას ედგა სათავეში, ხორცს ასხამდა და ამკვიდრებდა.“

ეს ჟურნალი გახლდათ „განთიადი“ — „ოციანი წლების შემდეგ ქუთაისში გამოვიდა პირველი სამწერლო-სალიტერატურო ჟურნალი, „მნათობისა“ და „ცისკრის“ შემდეგ მესამე ჟურნალი... თბილისგარეთ არსებული რესპუბლიკური მნიშვნელობის პირველი სალიტერატურო ჟურნალი.“

ეს ადამიანები კი იყვნენ **„ქუთაისის მაშინდელი საქალაქო პარტიული კომიტეტის პირველი კაცი, გურამის მეგობარი, ქართული კულტურის მოამაგე და ტრფიალი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანი სოლიკო ხაბეიშვილი, სა-**

ქართველოს რესპუბლიკის სათავეში მდგომი მაშინდელი უმაღლესი ხელმძღვანელი ედუარდ შევარდნაძე, გურამ ფანჯიკიძე და სხვ.;

„განთიადის“ შემდეგ გ. ფანჯიკიძე რედაქტორობდა „ცისკარს“ (1978-1979), სადაც 1962-1967 წლებში პმგ მდივნად მუშაობისას მიღებული ჰქონდა დიდი გამოცდილება.

1978 წლის 11 აპრილს მწერალთა კავშირის კრებაზე მხარი დაუჭირა კონსტიტუციაში ჩვენი ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებას;

წარმატებით ხელმძღვანელობდა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“.

შემოქმედებაშიც არანაკლები მიღწევები ჰქონდა გურამ ფანჯიკიძეს: იყო საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატი (1976), განსაკუთრებით კი მოსახსენიებელია როგორც ავტორი მკითხველებისა და კრიტიკის მიერ აღიარებული მამხილებელი რომანებისა: „მეშვიდე ცა“ (1967), „თვალი პატიოსანი“ (1972), რომლის დაბეჭდვისათვის 6 თვე შინაპატიმრობაში ამყოფეს.

მერე, როგორც რედაქტორმა, პირველი საყვედური **ტარიელ ჭანტურიას** ლექსის „სტუარდესას“ დაბეჭდვისათვის მიიღო;

მერაბ მიქელაძის წერილის გამოქვეყნებისთვის კი კომპარტიის ცეკამ სასტიკი საყვედური გამოუცხადა პირად საქმეში შეტანით;

როგორც გამომცემლობის დირექტორს ბევრი ახსნა-განმარტება აწერინეს რუსული წიგნების გამოცემის აკრძალვისათვის;

მწერლის მორიგი რომანი იყო „აქტიური მზის წელიწადი“, რისთვისაც 1981 წელს მიეკუთვნა საქართველოს უმაღლესი ლიტერატურული ჯილდო – რუსთაველის პრემია. მიღებული ჰქონდა აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო პრემია „საქართველოს სსრ წითელი წიგნისთვის“, საქართვე-

ლოს მინისტრთა საბჭოს პრემია „ხუთწლედის მატიანე“ (1989) – პუბლიცისტიკისთვის;

ეროვნული ინტერესების დაცვაშიც საკმაო წვლილი ჰქონდა შეტანილი. ერთ-ერთ ასეთ საქმეზე თავად გვიამბო: **„1973 წელს, პირველად რომ დადგა ქართული ენის ხელყოფის საკითხი (ჩემი გამოსვლის ტექსტი ინახება მწერალთა კავშირში, აგრეთვე პარტიის ცენტრალურ კომიტეტში), მის დასაცავად სხვებთან ერთად გამოვედი“.**[2]

მეორეზე მოგვითხრობს **თემურ ამყოლაძე: „მახსოვს, ამ ოცდაშვიდი წლის წინათ, ქუთაისის პედინსტიტუტში საჯარო შეხვედრისას განაცხადა, საქართველოში აგიტაცია-პროპაგანდის საქმე ვერასოდეს მოგვარდება, სანამ ეს ორი კაცი უხელმძღვანელებსო და ორი მაშინდელი ჩინოსანი დაასახელა, ჩვენს „იდეოლოგიურ ფრონტს“ რომ უძღვებოდნენ. მივიხედ-მოვიხედე, ხომ არ მომესმა-მეთქი, ჩვენთვის საარაკო იყო მაშინ ამგვარი გამბედაობა“.**[3]

1989 წელს, დავით აღმაშენებლის 1000 წლისთავზე, რაც ქართველმა მწერლებმაც აღნიშნეს („ლს“, 1989 „№6), მისი მონაწილეობით შეიქმნა „დავით აღმაშენებლის სახელობის საქველმოქმედო საზოგადოება“, რომლის პირველი თავმჯდომარეობის პატივი, აგრეთვე ამ საზოგადოების გაზეთ „შარავანდის“ რედაქტორობა წილად ხვდა გურამ ფანჯიკიძეს.

ზემოხსენებულმა საზოგადოებამ მისი თავმჯდომარის დიდი მცდელობით მრავალი სასიკეთო საქმე გააკეთა. კერძოდ, ნარიყალაზე მიწით დაფარული წმინდა ნიკოლოზის ეკლესია ფაქტიურად თავიდან აშენდა; აჭარაში მიწისძვრით დაზარალებულებს, აგრეთვე მრავალშვილიან ქართველ დედებს საგრძნობი დახმარება გაეწია, სტიპენდიები დაენიშნა ნიჭიერ ქართველ ახალგაზრდებს (მაგალითად, მომღერალ **ლადო ათანელიშვილს).**

რაც შეეხება 1988 წელს ყრილობის მიერ არჩეულ სამდივნოს, თავიდანვე იგრძნობოდა, რომ იქ თანხმობა ვერ იქნებოდა.

მართლაც, იმ გარდამავალი წლების განმავლობაში (1988-1992) **გ. ფანჯიკიძე** დაუპირისპირდა **ხ. ბერულავას,** რომელიც, როგორც მიაჩნდათ, მეტი გავლენის მოსაპოვებლად წესების გარეშე იბრძოდა: რედაქტორებს კარნახობდა რა უნდა დაებეჭდათ და რა – არა, ბინების განაწილებაშიც მიკერძოებას იჩენდაო და ა.შ.

საქმე იქამდე მივიდა, რომ სამდივნოს ერთ სხდომაზე (1990წ.) გურამმა განაცხადა (უნდა გავიმეორო): ხ. ბერულავამ სამდივნოს ავტორიტეტი ისე დასცა, თუ ის დარჩება, მე უნდა წავიდეო...

მეორე მხრივ, ქვეყნისა და მწერალთა კავშირის საზიანოდ პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას მომხრე მწერალთა ჯგუფი პოლიტიკურ ნიადაგზე უმრავლესობას დაუპირისპირდა.

ამ მეტოქეობაში გ. ფანჯიკიძე თანდათან უმრავლესობის ლიდერად ჩამოყალიბდა.

ასე მივიდა იგი მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის 1992 წლის 10 იანვრის სხდომამდე.

* * *

ამრიგად, გარდამავალი პერიოდის „საქართველოს მწერალთა კავშირის“ (1988-1992) ხელმძღვანელები იყვნენ:

თავმჯდომარე
მუხრან მაჭავარიანი 1988.26.10-1992.10.01

მდივნები
ხუტა ბერულავა 1988.26.10-1992.10.01
ენვერ ნიჟარაძე 1988.26.10-1992.10.01
გურამ ფანჯიკიძე 1988.26.10-1992.10.01

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

2004 წლის 22 ივლისს, პაოლო იაშვილის თვით-მკვლელობის დღეს, მწერალთა სასახლის სხდომათა დარბაზ-ში ჭერი ჩამოინგრა.

„აბა, თ. ჩხენკელი, ბ. ბრეგვაძე, ზ. კიკნაძე, ვ. კოტე-ტიშვილი, ო. ჭილაძე, გ. გეგეშიძე და თითო-ოროლა მარ-თლაც ნაღდი შვილი თავისი ბედკრული ქვეყნისა, ამათთან შედარებით ბევრად უფრო საქვეყნოდ და სამამულიშვილოდ გულშემატკივარნი და ცოდნითაც მეტნი თუ გამომდგარან ოდესმე სამთავრობო ტრიბუნაზე და მზა-მზა რეცეპტები თუ ურიგებიათ!“

გიორგი (იური) ბაქანიძე
„ცისკარი“, 1997, №4

ამავე დროს იმის მოწმენიც ხომ ვართ, აღარავის ახ-სოვს **„ხელოვნურ სუნთქვაზე დაყენებული და ხელოვნურად შეთხზული ცრუ კლასიკოსები“** (ტარიელ ჭანტურია).


* * *



სიმონ შამფრიანი, გივი ჯობაძე, ნიკა ავიაშვილი, გიორგი გივაური. 1978.



ვახტანგ გორგანელი, მალვინა ბახტაძე, ციცინო ცერცვაძე, მაია წერეთელი, თამარ ჯამასპიშვილი, ანდრო ბედუკაძე, ირინა კალმახელიძე. 1985.



ტარიელ ჭანტურია, გივი გეგეჭკორი, ჯანსულ ჩარკვიანი.



ვლადიმერ (ვოვა) სიხარულიძე, ნიკა სიხარულიძე, ირინა კალმახელიძე. მწერალთა სასახლე, ტერასა.



მაია წერეთელი, გურამ გეგეშიძე, ლაურა დათიაშვილი, დოდო ჩიკვაიძე. მწერალთა სასახლე.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„ხშირად ყოველგვარი უჩვეულო სიტყვათკავშირი პოეზია ჰგონიათ, არადა, ხელთ არაფრისმთქმელი შესიტყვებები, ბუნდოვანი ფრაზები, მიზანსაცდენილი სიტყვები შერჩებათ ხოლმე“

„ოთხმოცდაათიანი წლების ყველაზე მძიმე პერიოდშიც კი, როცა, ფაქტობრივად, ლუკმაპურისთვის ბრძოლამ და იმავე დროს ღრმა სულიერმა შეჭირვებამ აპოგეას მიაღწია, ჩვენში ითხზვებოდა და იბეჭდებოდა ისეთი „უდრტვინველი“ ლექსები და მოთხრობები, რომლებიც ოდნავადაც არ გამოხატავდა ქვეყანაში არსებულ კრიზისს. ამ ნაწარმოებებს, სხვათაშორის, საკმაოდ აღიარებული ქართველი მწერლები თხზავდნენ და არა ახალბედა კალმოსნები.

საიდან გაჩნდა ეს მავნე ტენდენცია, ყველაზე უფრო მტკივნეულ სინამდვილეზე თვალის დახუჭვისა?“

ანდრო ბუაჩიძე, პოეზიაზე ფიქრის ფრაგმენტები „ილუზიების მსხვრევა“, თბ., 2006, გვ. 50, ნათელი წერტილი ღამეში, გვ. 196

ავთანდილ ხარაიშვილისთვის ენციკლოპედიის რედაქციაში **ირაკლი აბაშიძის** ნათქვამი:

„მე, სულელი ირაკლი აბაშიძე, სულელ თავს ვიჭკვიანებდი, ჭკვიანი გალაკტიონი – ისულელებდა!“

* * *

თავი VI. დამოუკიდებელი საქართველოს მწერალთა კავშირი (1992 წლიდან), მისი მესვეურები და მოღვაწეობა

მოკლედ უნდა შეგახსენოთ **მუხრან ნაჭავარიანის** თავმჯდომარეობის დასასრულზე საუბრისას თქმული:

1992 წლის 10 იანვარს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა, რწმუნების ვადის გასვლის მოტივით, უფლებამოსილება შეუწყვიტა 1988 წლის 26 ოქტომბერს ყრილობის მიერ არჩეულ სამდივნოს **მუხრან მაჭავარიანის** თავმჯდომარეობით (**ხუტა ბერულავას, ენვერ ნიჟარაძისა და გურამ ფანჯიკიძის** შემადგენლობით) და აირჩია მწერალთა მორიგი ყრილობის მომწვევი კომისია **გურამ ფანჯიკიძის** ხელმძღვანელობით.

ამ კომისიამ პირველსავე სხდომაზე მწერალთა კავშირის გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორად დანიშნა უკომპრომისობითა და მხატვრული გემოვნების უტყუარობით ცნობილი კრიტიკოსი **თამაზ წივწივაძე.**

კომისიამ ორთვენახევრის განმავლობაში ჩატარებული მოსამზადებელი მუშაობის შემდეგ, 1992 წლის 25 მარტს, ჭადრაკის სასახლეში, მოიწვია მწერალთა ყრილობა, რომელიც, სავალალოდ, ქართველების ერთმანეთთან პოლიტიკურ ნიადაგზე წარმოქმნილ დაპირისპირებათა ფონზე მიმდინარეობდა, რაც ცოტა ხნის წინ განდევნილი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შემდეგ მოსული ხელისუფლების მომხრეებად ჩათვლილი მწერლების ე.წ. „ხუნტის“ მეხოტბეებად მიჩნეულ შემოქმედთა წიგნების დაწვაშიც კი გამოიხატა...

1992 წლის 25 მარტს გამართული ყრილობა „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ ათი ყრილობის გაგრძელებად — მეთერთმეტედ ჩათვალეს. თანაც ფრჩხილებში ჩასვეს: საერთო ათვლით — მე-18.

ასეთ ნაჩქარევ ნაბიჯებს არცთუ იშვიათად დგამდა მწერალთა კავშირის ზოგიერთი ხელმძღვანელი, რომელსაც თა-

ვისი ყოვლისმცოდნეობის რწმენა ღირსების შელახვად, თავის დამცირებად უთვლიდა საქმის მცოდნე თანამშრომლებისთვის რჩევის კითხვას, რაც შემდეგ ბევრ უხერხულობასა და თავსატეხსაც აჩენდა.

გონივრული კი იქნებოდა გამოსწორებულიყო წინა შეცდომები:

1. ყრილობათა ათვლაში შესულიყო თავის დროზე გამოტოვებული 1988 წლის მწერალთა საერთო კრება, იგი ხომ არსებითად ყრილობა იყო!

2. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გამართული ყრილობა უნდა აღრიცხულიყო მხოლოდ საერთო ათვლის ჩვენებით (ფრჩხილებში აღრინდელი ათვლის მითითების, თანაც მცდარად მითითების გარეშე);

3. შედეგად დადგინდებოდა საქართველოს სამწერლო ორგანიზაციის ყრილობათა ზუსტი რიგითობა:

ა. „ქართველ მწერალთა კავშირის“ (1920 წლიდან – „საქართველოს მწერალთა კავშირის“) 5 ყრილობა – 1917, 1920, 1921, 1923. 12-13. IV; 1923,27-28. X.

ბ. „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის“ 1 ყრილობა – 1926;

გ. „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის“ 1 ყრილობა – 1928;

დ. „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ 10 ყრილობა – 1932, 1939, 1946, 1954, 1959, 1966, 1971, 1976, 1981, 1986;

ე. გარდამავალი პერიოდის მწერალთა კავშირის 1 ყრილობა (საერთო კრება) – 1988;

ვ. დამოუკიდებელი საქართველოს მწერალთა კავშირის ყრილობები: XIX–1992, XX – 1995, XXI – 2000, XXII – 2004, XXIII – 2006, XXIV – 2009.

სამწუხაროდ ათვლა ასე არ წარიმართა.

დამოუკიდებელი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე (1992-1997)

გურამ ფანჯიკიძე (1933-1997)



მწერალთა XI-დ ჩათვლილმა (საერთო ათვლით XVIII) ყრილობამ 1992 წლის 25 მარტს აირჩია, ხოლო მორიგმა XII (საერთო ათვლით XIX) ყრილობამ 1995 წლის 17-18 მაისს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ ხელახლა დაამტკიცა ადრე (1988-1992 წლებში) გარდამავალი პერიოდის მწერალთა კავშირის მდივნად ნამოღვაწარი **გურამ ფანჯიკიძე.**

მას იმ დროს მოუწია ხელმძღვანელობა, როდესაც საქართველოს უძველესი კუთხის წასაგლეჯად რუსეთმა და მის მიერ წაქეზებულმა აფსუებმა ქართველების სისხლის სმას მიჰყვეს ხელი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც და გურამ ფანჯიკიძე, როგორც ქართველი მწერალი და მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, სოხუმში მთავრობის სასახლის დაცვაში მონაწილეობდა მისი დაცემის დღეს.

გურამს იმ დროს ერგო მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობა, როცა ქვეყნის ეკონომიკური დონის დაქვეითების გამო მწერლებს ძალიან გაუჭირდათ — წიგნი აღარ იბეჭდებოდა, ჰონორარი თანდათან გაქრა...

ასეთ პირობებში თავმჯდომარის უმთავრეს საქმედ იქცა მწერლების ფიზიკურ გადარჩენაზე ზრუნვა.

ამასთან ახალი დრო მწერალთა კავშირის რეფორმის ჩატარებას ითხოვდა. ერთი მხრივ, თუ სურდა შემოქმედების თავისუფლება, მწერალი მთავრობაზე დამოკიდებული არ უნდა ყოფილიყო; მეორე მხრივ, უჰონორარო მწერალი უარს ვერ

ამბობდა მთავრობის მიერ გამეტებულ ლუკმაზე, მაგრამ სახელმწიფოსაც სულ უფრო უჭირდა ხუთასწევრიანი მწერალთა კავშირის შენახვა.

დღის წესრიგში დადგა მწერალთა კავშირის წევრთა რაოდენობის შემცირება. იყო აზრი ლიტერატურისმცოდნეთათვის ეთქვათ – მწერალთა კავშირს ჩამოეხსენით, უნივერსიტეტსა და ლიტერატურის ინსტიტუტში მუშაობით დაკმაყოფილდითო, ხოლო მთარგმნელებისთვის შეეთავაზებინათ – თქვენი ასოციაცია შექმენით, „ხომლს“ მიეკედლეთო.

მწერალთა კავშირში უნდა დარჩენილიყვნენ მხოლოდ სიტყვაკაზმული მწერლობის შემქმნელნი: პოეტები, პროზაიკოსები, დრამატურგები და მწერლობის თანამედროვე პროცესებზე მომუშავე კრიტიკოსები, რასაც უნდა შეედგინა 120-მდე წევრი.

1995 წელს რეორგანიზაციის კომისიაც კი შეიქმნა, რომელშიც შედიოდნენ **გურამ ფანჯიკიძე, ელგუჯა მაღრაძე, რეზო ჭეიშვილი, ტარიელ ჭანტურია, დავით მჭედლური...**

მეორე სხდომაზე მარჩიელობაც დაიწყეს: ეს დარჩეს, ეს გავუშვათო და მე (როგორც კომისიის ოქმის შემდგენს) დასარჩენთა გვარებს მაწერინებდნენ. მაგრამ კომისიის ზოგიერთმა წევრმა (**რევაზ მიშველაძე**...) იყვირა: 70 წლის მწერალს როგორ უნდა ვუთხრათ: გუშინ მწერალთა კავშირის წევრი იყავი, დღეიდან კი აღარ ხარო!..

კომისიის ყველა წევრის მხარეს სიმართლის ნაწილიც იყო და უსამართლობისაც. ბოლო, მესამე სხდომაზე აღიარეს: ასეთი შოკური მეთოდი არ ივარგებსო...

ასეთ რთულ პირობებში მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს რეფორმის გატარების აუცილებლობაც ესმოდა და მწერალთა სავალალო ეკონომიკური მდგომარეობაც

მძიმე ტვირთად აწვებოდა მხრებზე, ამიტომ ფრთხილობდა!..

მაშინ ის მაინც გადაწყდა – მომავალ ყრილობამდე ახალი წევრები არ მივიღოთო.

ეს გონივრული იყო – თუ გინდოდა მწერალთა კავშირის წევრთა რიცხვის შემცირება – მიღება უნდა შეგეზღუდა, ამას მოყვებოდა ბუნებრივი გამოკლება და აღარ დაგჭირდებოდა ლიტერატურისმცოდნეთა და მთარგმნელთათვის გეთქვა: დღეიდან აღარ ხართ კავშირის წევრი, ცალკე ასოციაცია შექმენითო. იშვიათი მიღების დროს კი მხოლოდ სიტყვაკაზმული მწერლობის (პოეზია, ბელეტრისტიკა, დრამატურგია) ღირსეული შემქმნელები მიგეღო.

მაგრამ ეს ვერ ქნეს, პირიქით, მიღება გააიოლეს, ბოლო დროს კი თითქმის გაამასხრეს...

სამწუხაროდ, მთლად სიზუსტეს ვერ დავიჩემებ, რადგან დიდ სიძნელეებს გვიქმნის ის, რომ მწერალთა კავშირის ყოფილ და აწ „მწერალთა სასახლედ“ წოდებულ შენობაში ჩაკეტილ-ჩარაზულია ჩვენი ოქმები, გაზეთები და ა. შ.

მაგრამ სარეფორმო გზების ძიებისას ხდებოდა ის, რასაც ახლა მოგახსენებთ:

ანა კალანდაძემ, ოთარ ჩხეიძემ და ოთარ ჭილაძემ უარი განაცხადეს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრობაზე.

ჯემალ ქარჩხაძემ წამოაყენა წინადადება: მწერალთა კავშირმა თვითლიკვიდაცია გამოაცხადოსო.

იყო სხვა წინადადებაც: მწერალთა კავშირის ჟურნალ-გაზეთებსა და გამომცემლობას დამოუკიდებლობის სტატუსი მიენიჭოსო.

ყრილობის უმრავლესობამ ეს წინადადება არ მიიღო...

როცა, ასე ვთქვათ, ზევიდან, მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობიდან წამოწყებული რეფორმა შეფერხდა, 1996 წლის 3 მაისს გაზეთმა „ლიტერატურულმა საქართველომ“ და მასთან არსებულმა ფირმა „ოტარიდმა“ ჩამოაყალიბა ლი-

ტერატურული გაერთიანება „ოტარიდი“ (უმაღლესი ორგანოს – საერთო კრებისგან შექმნილი სამკაციანი საბჭოს მიერ ერთი წლის ვადით არჩეული ხელმძღვანელით), რომელშიც შედიოდა იმდროინდელი ჩვენი სამწერლო ელიტა: ჭაბუა ამირეჯიბი, ბაჩანა ბრეგვაძე, გურამ გეგეშიძე, გივი გეგეჭკორი, გურამ დოჩანაშვილი, ანა კალანდაძე, ემზარ კვიტაიშვილი, მურმან ლებანიძე, შოთა ნიშნიანიძე, ლია სტურუა, არჩილ სულაკაური, ნუგზარ შატაიძე, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, დავით წერედიანი, თამაზ წივწივაძე, ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჭელიძე, თამაზ ჭილაძე, ოთარ ჭილაძე, ბესიკ ხარანაული, ვახტანგ ჯავახაძე.

ცოტა ხნის შემდეგ მწერალთა კავშირის რეორგანიზაციისთვის გზის გასაკვალავად ჩაფიქრებული ამ ლიტერატურული გაერთიანების პრეზიდენტს ძნელად გასათვალისწინებელმა გარემოებამ მწერალთა კავშირის მთავარი ხელმძღვანელობა დააკისრა და... რეფორმის ჩატარების „ოტარიდისეული“ მოდელი შეფერხდა, ბოლოს კი – შეწყდა, რასაც ზემოხსენებულ ფირმაში შექმნილმა სიძნელეებმაც შეუწყო ხელი.[1]

ასევე არ მიიღეს ცოტა მოგვიანებით გამოთქმული ოთარ ჩხეიძის მოთხოვნები („ლს“, 1996, 4.X): მწერალთა კავშირის თავმჯდომარის, მისი მოადგილისა და მდივნების შტატები, პრეზიდიუმი, გამგეობა, პლენუმები გაუქმდეს და მათ ნაცვლად თანასწორუფლებიანი მწერალთა კლუბები დაარსდესო.

მწერალთა კავშირის რეფორმის ჩასატარებლად ლიტერატურულ კლუბის „ომეგას“ საინიციატივო ჯგუფის ძალისხმევის პასუხად მწერალთა კავშირის ახალმა ხელმძღვანელობამ განაცხადა:

ასეთ გარდაქმნათა განსახორციელებლად მწერალთა კავშირმა საკოორდინაციო საბჭო ჯერ კიდევ 1998 წელს შექმნაო („ლს“, 1998. №17) და ასოციაციებისა და რეგიო-

ნალურ ორგანიზაციათა საკოორდიანციო საბჭოს და მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან არსებული მრჩეველთა საბჭოს შემადგენლობები ხელმეორედ გააცნო საზოგადოებას („ლს“, 2004, 20-26. თებერვალი).

მაგრამ აქედან ბევრი რამ ქაღალდზე დაწერილად დარჩა...

ახლა ისევ **გურამ ფანჯიკიძეს** დავუბრუნდეთ.

მწერალთა კავშირის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის **(რეზო ჭეიშვილი)** მთელი დრო და ენერგია სწორედ ზემოხსენებულ ორ მთავარ საზრუნავზე ფიქრსა და ძალისხმევას უნდებოდა.

ყოველივე ამის გამო მწერალთა კავშირში ლიტერატურულ ცხოვრებას ყურადღება მოაკლდა, ვეღარ ტარდებოდა საუბრები ლიტერატურულ პროცესებზე, განხილვა-დისკუსიები, შემოქმედებითი საღამოები...

(სხვათა შორის სწორედ ამან უბიძგა მწერალთა კავშირის ერთ-ერთ უძველეს თანამშრომელსა და კავშირის წევრს – შემოელო „ლიტერატურული ორშაბათობები“ და ესაუბრა XX საუკუნის სამწერლო გაერთიანება-ორგანიზაციათა წარსულსა და აწმყოზე, კომუნისტური რეპრესიების მსხვერპლ ქართველ მწერლებზე...)

შემოქმედებითი საკითხებისადმი ყურადღების მოკლებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ გააუქმეს შემოქმედებითი სექციები, რომლებიც მიიჩნიეს კომუნისტების დროინდელ დასაგმობ გადმონაშთად.

მწერალთა კავშირს, კერძოდ მის თავმჯდომარეს, როგორც პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულს, ამასთან მეტალურგთა ცხოვრებაზე რომანის ავტორს, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელობამ (რომელთა შორის მისი თანაკურსელი მეგობრებიც იყვნენ)

დახმარება გაუწია, რითაც მან მოახერხა მწერალთა სასახლის რკინაბეტონის ბალიშზე დასმა და შენობის დაწევის შეჩერება, რაც არ გაკეთებულა მაშინ, როცა ცემენტი და სხვა მასალა კაპიკები ღირდა...

1993 წელს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობამ უყოყმანოდ შეიფარა აფხაზეთის მწერალთა კავშირის მესვეურები და თანამშრომლები – თავმჯდომარემ მათ მწერალთა სასახლეში ოთახები დაუთმო და ჩვენც, თანამშრომლები, ვცდილობდით გულთბილი მოპყრობით სოხუმელ თანამოკალმეთა ბედი შეგვემსუბუქებინა.

მიუხედავად ამდენი საზრუნავისა გურამ ფანჯიკიძე ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობასაც ახერხებდა: 1995 წელს მას რომანისათვის „ეშმაკის ბორბალი“ აჭარაში მემედ აბაშიძის პრემია მიაკუთვნეს.

ცალკე აღსანიშნავია გ. ფანჯიკიძის პუბლიცისტიკა. ბევრ სხვა საზრუნავთა შორის მისი მთავარი საფიქრალი იყო „საქართველოს უკვდავება“.

გურამ ფანჯიკიძის, როგორც მწერალთა კავშირის ხელმძღვანელის დასახასიათებლად მომყავს **თემურ ამყოლაძის** სიტყვები:

„მწერალთა კავშირის წევრობის წიგნაკი რომ მომცა, კაბინეტში დამტოვა (ეს ჩვენი პირველი შეხვედრა იყო პირისპირ), შეუმჩნევლად გამიშინაურა...

ჩემი იქ ყოფნის ჟამს უამრავი მთხოვნელი მიიღო, ყველას თავისას მიაგებდა და მთავარი რა იყო, იცით? თავი იმ მთხოვნელებთანაც მასპინძლად, სამეგობროს წევრად მაგრძნობინა.

ყველას არ შეუძლია ეგ...“[1ა]

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „მწვერვალ გალაკტიონზე“ პირველები მწერლები – **გურამ ფანჯიკიძე** და **თამაზ წივწივაძე** ავიდნენ“.[2]

სამწუხაროდ, ტრაგიკულმა შემთხვევამ გურამ ფანჯიკიძეს ნაადრევად შეაწყვეტინა მწერალთა კავშირის ენერგიული და ნაყოფიერი ხელმძღვანელობა – 1997 წლის 27 აგვისტოს ქობულეთში ზღვამ შეიწირა...

გურამ ფანჯიკიძესთან ერთად მისი თავმჯდომარეობისას (1992-1997) მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებად მოღვაწეობდნენ:

1. მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეებად:
ა) რეზო ჭეიშვილი (1992-1995)
ბ) ელგუჯა მაღრაძე (1995-1999)

2. მწერალთა კავშირის მდივნებად:
ა) რეზო ჭეიშვილი (1995-2000)
ბ) დავით მჭედლური (1992-2000)

დამოუკიდებელი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე (1992-1995) რეზო ჭეიშვილი (1933)



1992 წლის 25 მარტს მწერალთა ყრილობამ კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია გამოჩენილი ბელეტრისტი **რეზო ჭეიშვილი**, საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი (1985) – ჯერ ისევ საბჭოური კომუნისტური რეჟიმის ზეობისას, უსამართლობისა და სისასტიკის გამო გაბზარულობამდე და გულგამოჭმულობამდე მისული საბჭოთა სახელმწიფოს ხუხულად ქცევის უბადლოდ ამსახ-

ველი და მისი უთუო ნგრევის მაუწყებელი, დღეს უკვე კლასიკურად ქცეული კინოფილმის „ცისფერი მთების“ სცენარისათვის.

ის ამ თანამდებობაზე მოვიდა ჟურნალ „განთიადის“ მთავარ რედაქტორად შვიდ წელიწადს მუშაობის შემდეგ (1986-1992).

ამ ჟურნალისა და მისი რედაქტორის ობიექტურობას, მართალი სიტყვის და საქმის დამცველობას კარგად გვიდასტურებს ის გადაწყვეტილება, რაც **აკაკი ბაქრაძეს მიუღია:** მე არსად არ დავბეჭდავ ჩემს ნარკვევებს და წერილებს გარდა „განთიადისაო“.

ამავე დროს, რეზო ჭეიშვილი 1987 წელს ქუთაისში აფუძნებს და როგორც მთავარი რედაქტორი ხელმძღვანელობს პირველ მრავალგვერდიან გაზეთს — „მოწამეთას“.

პარალელურად ბატონი რეზო 30 წელი კინოსტუდიაში მოღვაწეობდა, კოლეგიისა და სცენარისტთა შემოქმედებითი ჯგუფის წევრი იყო. ამასთან ერთად მუშაობდა „ცისკარსა“ (1974-75) და „საუნჯეში“.

მოგვიანებით ქუთაისში იყო ქუთაისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, საქართველოს პარლამენტის წევრი.

რეზო ჭეიშვილს, როგორც თავმჯდომარის მოადგილეს, ევალებოდა „საქლიტფონდის“ კურატორობა, მაგრამ თავად ბატონმა რეზომ ბრძანა: როგორ ვიკადრებდი რამე მესწავლებინა **ელგუჯა მაღრაძისთვისო** (იმ დროს საქართველოს ლიტერატურული ფონდის დირექტორი).

მწერალთა კავშირში თავმჯდომარესთან ერთად მისი მოადგილის, რეზო ჭეიშვილის მთავარი საზრუნავი იყო უჭონორარობისა და გაუსაძლისი საყოფაცხოვრებო პირობების დროს მწერლების ფიზიკური გადარჩენა.

შემდეგ ბატონი რეზო პარალელურად, „ლიტერატორთა სახლის“ პრეზიდენტად აირჩიეს, თუმცა საქართველოს პრე-

ზიდენტის ზვიად გამსახურდიას მიერ მწერლებისთვის ნაჩუქარ-გადაცემული (ყოფილი ბერიას საცხოვრებელი, შემდეგ საქართველოს კომკავშირის ცეკას შენობა) იმთავითვე სადაო გახდა — ხან ვინ შეუშვეს, ხან — ვინ...

ბატონი რეზო ჭეიშვილი მაინც, უპირველეს ყოვლისა, მწერალი არის და, შეიძლება ითქვას, ცოდვა იყო მისი პრაქტიკული ყოფაცხოვრებისეული საქმეებით მოცდენა.

დიახ, ის ღვთით ბოძებული ნიჭით დაჯილდოებული მწერალია, რომლის ორიგინალური ნიჭიერება ჯერ კიდევ ადრეულ პერიოდში ასე დაახასიათა ახალგაზრდა კრიტიკოსმა **ნოდარ ჩხეიძემ: „ყველაზე მეტად კოლორიტული, თავის თავში დასრულებული, თავის პოზიციასა და ხასიათში სრულქმნილი“ მწერალი.**[3]

მოგვიანებით ასევე უკომპრომისო და უტყუარი მხატვრული გემოვნების მქონე მეორე კრიტიკოსიც, **თამაზ წივწივაძე** ასე შეაფასებს რეზო ჭეიშვილს:

„ის, თვით ქართულ მწერლობაშიც კი, არავის ჰგავს და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც იმ დიდებულ დავით კლდიაშვილს, რომელსაც სხვაზე ხშირად და სხვაზე მეტად ამსგავსებენ.“

„დადის ამქვეყნად არავის მიმსგავსებული მწერალი რეზო ჭეიშვილი და ქმნის მხოლოდ საკუთარ დამღიან ნაწარმოებებს, რომელთაგან ბევრი ქართული მწერლობის შედევრია!“

თქმა არ უნდა, რომ მას, პირველს, საკმაებით დამსახურებულად მიენიჭა სწორედ დავით კლდიაშვილის პრემია.

ათეული წლების შემდეგაც არ გახუნებულა ეს შეფასებანი, ახალი თაობის ქართველებიც, მათ შორის, კაზმული სიტყვის ოსტატებიც, ასეთივე მაღალ შეფასებას აძლევენ რეზო ჭეიშვილის მწერლურ ნიჭს. კერძოდ, ასეთია **აკა მორჩილაძის** აზრი მასზე:

„ჩემს გონებაში ქუთაისი, როგორც სისტემა, დაიწყო რეზო ჭეიშვილის მოთხრობით, სადაც წყალტუბოს არქივში მომუშავე მწერლის ცხოვრება იყო აღწერილი და სადაც მოთხრობილი იყო მოკრივე ბაჭიას სიკვდილზე ავტოკატასტროფაში.

არ ვიცი რატომ, მაგრამ ამ მოთხრობამ ჩემზე სრულიად განუმეორებელი შთაბეჭდილება მოახდინა.

მერე წავიკითხე მისივე „მუსიკა ქარში“, ჩემი ჭკუით, ეს არის უბრწყინვალესი ქართული წიგნი ბოლო ას წელიწადში. ჩემთვის ისევ და ისევ, თორემ სხვისთვის რა ვიცი. ამ წიგნის ტონი სრულიად უცხოა ჩვენებური წიგნებისთვის“.[4]

რეზო ჭეიშვილის ოდნავ ბუნდოვანებით დანისლული თხრობით მომავლის განჭვრეტას ორაკულურ წინასწარმეტყველებას ადარებენ (ლევან ბრეგაძე), ეზოპესნაირი მეიგავეობისთვის „რეზოპეს“ უწოდებენ (შარლოტა კვანტალიანი), მოსწონთ მისი დეტალების ოსტატობა, ბუნებრივი უბრალოება და უბრალო ბუნებრიობა, იმასაც უქებენ, რომ 60 წელი საბჭოეთში ცხოვრობდა, მაგრამ საბჭოთა მწერალი წუთითაც არ ყოფილა...

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„უმწერლოდ ცხოვრება დაიკარგებოდა, ცხოვრების ისტორია არავის ეცოდინებოდა, კაცთა ვნებას ვერავინ ჩასწვდებოდა და სიცოცხლის აზრს ვერავინ გაიგებდა“.

ოთარ ჩხეიძე

* * *



გივი შაპნაზარი და ზურაბ ჭუმბურიძე



ანდრო ბუაჩიძე
და თამაზ ჩხენკელი



ჯანსულ ჩარკვიანი, ბესიკ ხარანაული,
კახა ქორიძე და როსტომ ჩხეიძე



ემზარ კვიტაიშვილი,
ოთარ ჟორდანია და დოდო ხიმშიაშვილი



ტარიელ ჭანტურია



თეა თვალავაძე, ლია გუსევა, ნატო სეიფიშვილი და რევაზ კვერენჭილაძე



ლია გუსევა, ციალა კიკვიძე, თამარ ლეჟავა და მაკა ჯოხაძე

ჩვენი მწერლობა №14(115)

დამოუკიდებელი საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი (1995-2000)
რეზო ჭეიშვილი

მორიგმა, მცდარად XII–დ ჩათვლილმა (საერთო ათვლით ასევე მცდარად, XIX-დ მიჩნეულმა) ყრილობამ 1995 წლის 17-18 მაისს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ ისევ არჩეულ **გურამ ფანჯიკიძესთან** ერთად, კავშირის მდივნად, აქამდე (1992-1995) თავმჯდომარის მოადგილედ ნამოღვაწარი, **რეზო ჭეიშვილი** ისურვა.

მოგვიანებით, ელგუჯა მაღრაძის გარდაცვალების შემდეგ (1999.24.06) რ. ჭეიშვილი, რომელსაც როგორც მწერალთა კავშირის მდივანს, დავალებული ჰქონდა ლიტფონდის კურატორობა – დანიშნეს, სამწუხაროდ თანდათან გაღარიბებულ, ბოლოს მთლად უსახსროდ დარჩენილი „საქლიტფონდის“ დირექტორად (ამ ფონდის სახსრები ხომ საბჭოთა სახელმწიფოს დადგენილებით მწერალთა წიგნების ღირებულების 10 პროცენტის ჩარიცხვით იქმნებოდა, 90-იანი წლებიდან კი დამოუკიდებელ საქართველოში წიგნების გამოცემა ძალზე შემცირდა, თანაც საკუთარი სახსრებით დასტამბული წიგნების ავტორებს, ცხადია, ფონდში ფულის ჩარიცხვა უძნელდებოდათ).


1995 წელს რეზო ჭეიშვილმა მიიღო საქართველოს უმაღლესი ლიტერატურული ჯილდო – შოთა რუსთაველის სახელობის პრემია მთელი მისი შემოქმედების გათვალისწინებით („ჩემი მეგობარი ნოდარი“ ანუ გადამუშავებულად – „ქალაქში დინოზავრები დადიან“, „დალი“, მოთხრობები...), კონკრეტულად კი მოთხრობებისთვის „კუდიანი ვარსკვლავი“, „რკინის სახკომი“, „ხიბარო“ და სხვა, რომლებშიც ასახულია კომუნისტური ტოტალიტარული რეჟიმის უმსგავსობანი და სისასტიკე, იმ რეჟიმისა, რომელსაც ახალგაზრდა მწერალი კინაღამ შეეწირა 1956 წლის მარტში, ესაა რომ დაკავებით გადარჩა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომმა რუსეთმა იმპერიულ-საბჭოური ზრახვები რომ არ მოიშალა, დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ ადრინდელ სივერაგეთა და მუხანათობაზე მეტი სიმუხთლისა და დაუნდობლობის გამოჩენა განაგრძო – მაშინ მწერალმა ის ძველი კომუნისტური პრემია უკან დაუბრუნა მოსკოვს.

1999 წელს რ. ჭეიშვილი ქუთაისში აფუძნებს და როგორც მთავარი რედაქტორი ხელმძღვანელობს ჟურნალ „მწვანეყვავილას“

1995 წლის 17-18 მაისის ყრილობის დავალებით მწერალთა კავშირის მდივნის რანგში დაწყებული მოღვაწეობა 2000 წლის ყრილობამდე გააგრძელა.

2002 წელს რ. ჭეიშვილის სამწერლო მოღვაწეობა კიდევ ერთი ჯილდოთი დაფასდა – მას საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა.



რეზო ჭეიშვილი, მზია ხალვაში, ფრიდონ ხალვაში. სოფ. გეგელიძეები. პოეტის სახლი. 2000 წ.

დამოუკიდებელი საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი (1992-2000) დავით მჭედლური (1947-2005)



1992 წლის 25 მარტის ყრილობის მიერ არჩეულმა გამგეობამ 26 ივნისს მდივნად დანიშნა 1985 წელს ვლ. მაიაკოვსკის პრემიით დაჯილდოებული პოეტი **დავით მჭედლური.**

ყრილობის მონაწილე ბევრ მწერალს გაუკვირდა:

უფრო კანონიერი ხომ არ იქნებოდა ის, ისევე როგორც გ. ფანჯიკიძე – თავმჯდომარედ, რ. ჭეიშვილი კი – თავმჯდომარის მოადგილედ, იმავე ყრილობაზე აგვერჩიაო?

ხელმძღვანელობამ ყურად იღო ეს შენიშვნა და მორიგ ჯერზე სწორედ ყრილობაზე (1995.7-18.05) მოხდა დ. მჭედლურის მდივნად არჩევა.

პოეტი და პროზაიკოსი დავით მჭედლური, ქართველ მწერალთა 70-იანი წლების თაობის ერთ-ერთი გამოკვეთილი წარმომადგენელი იყო (პირველი ლექსები 1966 წელს გამოაქვეყნა, პირველი პოეტური კრებული – 1975. 1985 წელს მიიღო ვლ. მაიაკოვსკის პრემია, 1989-1991 წლებში მუშაობდა „ცისკრის“ რედაქციაში, 1991-92წ.წ –რედაქტორობდა „კრიტიკას“, 2000 წელს მიაკუთვნეს საქართველოს სახელმწიფო პრემია).

დავით მჭედლური გამოირჩეოდა მწერალთა კავშირის სამართლებრივი მხარის კარგი ცოდნით, იყო ერთ-ერთი მთავარი შემდგენელი მწერალთა ორგანიზაციის განახლებული წესდებისა, რეფორმების ჩატარების გეგმისა.

დავითი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც მწერალთა კავშირის გადარჩენის შესაძლებლობას მისი წევრების რიცხვის შემცირებაში ხედავდა.

მას და მის თანამოაზრეებს მიაჩნდათ, რომ კავშირში გაერთიანებული უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ სიტყვაკაზმული მწერლობის მსახურნი: პოეტები, ბელეტრისტები და დრამატურგები.

მაგრამ მაშინ, როგორც გ. ფანჯიკიძის დახასიათებისას ითქვა, ძნელი შეიქნა ამ რეფორმის ერთი ხელის მოსმით გატარება.

რეფორმის კომისიამ თავი შეიკავა, განცხადებაც კი გამოქვეყნდა.

ეს კი ქნეს, ყრილობამდე კავშირში მიღება შეწყვიტეს, მაგრამ მერე, როგორც უკვე ვთქვი, ნაცვლად ასე გაგრძელებისა, მიუშვეს და მიუშვეს...

მწერალთა კავშირის ამ გაუფასურებამ ღირსეულ მწერალთა გულისტკივილი გამოიწვია:

უცნობ გვარებით შეავსეს,
მისცეს გამსვლელი ქულა,
ხუთასკაციან სიაში
ასი მწერალი თუა
ფუჭ სიტყვებს არვინ არც მალავს,
არის ლექსების ცვენა,
ამბობენ, ჩვენ ვართ, რაცა ვართ,
ვის დაკარგვიხარ შენა?

მარი აბრამიშვილი, დღეს მწერალთა სასახლეში, განთიადის მოლოდინი, თბ. 2007.

დავითი აქტიურად მონაწილეობდა დისკუსიებში სამწერლო ღონისძიებათა და დღესასწაულთა გაუფასურების შესახებ:

„როგორც ყველა კამპანიური წამოწყება, „პოეზიის დღის“ ზეიმიც თანდათან გაუფერულდა, გამკრთალდა და სადაცაა, ლამის ჩაქრეს“ – წერდა ბატონი დავითი 1987 წელს.

დავით მჭედლურს ასევე აწუხებდა მწერალთა კავშირის მომავალი, მისი ზრუნვის საგანი იყო მწერლობის ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში:

„ნელ-ნელა გადავაბრუნეთ ის სკამი, ოდესღაც რომის სენატში რომ იდგა და მასზე მჯდარი კაცი სახალხოდ შეუძახებდა განრისხებულ კეისარს – გახსოვდეს, შენც ადამიანი ხარო. ეს სკამი ჩვენს დროში მწერლობას უნდა სჭეროდა, ეჭირა კიდეც, მაგრამ მძიმე სკამი იყო და ბევრს სიცოცხლის ფასად, ცრემლად და წამებად დაუჯდა, „კეისრებს“ არ სურდათ მიწაზე დაბრუნება“.[5]

ამავე დროს დავითმა ეპოქას პროზითაც აუბა მხარი: დაწერა რომანი-პამფლეტი „პირველი“, რომელშიც აისახა კომუნისტური პარტიის ბიუროკრატიული უსულგულობა (რასაც ის ახლოს გაეცნო თავის ადრინდელ სამსახურში), 1996 წელს კი გამოსცა ქრონიკა „თავისუფლების სახელით“, რომელშიც გასული საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლების დასაწყისის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტრაგიკული ამბები აღნუსხა, როგორც იმდროინდელი მოვლენების შუაგულში მდგომმა, მონაწილემ და დამსწრემ და ამით გვარიანი სამსახური გაუწია ისტორიას.

დავით მჭედლური მწერალთა კავშირის მდივნად მუშაობდა 2000 წლის ყრილობამდე.

დამოუკიდებელი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე (1995-1999) ელგუჯა მაღრაძე (1927-1999)

1995 წელს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელის ბრძანებით („ლს“, 1995, №21) თავმჯდომარის მოადგილედ „საერთო საკითხებში“ დაინიშნა **ელგუჯა მაღრაძე** (ჩვეულებრივ ეს ყრილობის, გამგეობის პრეროგატივას განეკუთ-

ვნებოდა), ამ დროისათვის მონოგრაფიებისა და ბიოგრაფიული რომანების ეს ავტორი, საქართველოს ლიტერატურული ფონდის (1991 წლამდე „სსრკ ლიტერატურული ფონდის საქართველოს განყოფილება“) – „საქლიტფონდის“ დირექტორი იყო. სწორედ ამ თანამდებობამ განაპირობა მისი დანიშვნა. ლიტფონდი ამ დროისთვის უსახსროდ დარჩა, დირექტორის ხელფასის გადახდაც არ შეეძლო, ამის გამო მწერალთა კავშირმა იგი თავის სტრუქტურაში შეიყვანა.

თავისთავად ამ კეთილმა ნაბიჯმა შემდეგ წარმოქმნა დავა – მწერალთა კავშირის ახალ ხელმძღვანელებს გაუჩნდათ პრეტენზიები – ლიტფონდის ქონება (სადღა იყო?) ჩვენიაო...

60-იან წლებში ცოტა ხანს „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის“ მდივნად ნამყოფმა და, როგორც ვთქვი, ხელმძღვანელობაში წარმოქმნილი ინტრიგის გამო თანამდებობიდან გაშვებულმა, მოსაბოდიშებლად „მნათობის“ რედაქტორად დანიშნულმა ელგუჯამ იქ 1968-1973 წლებში იმოღვაწა, თანაც ნაყოფიერი შემოქმედებითი გზა გაიარა, კერძოდ, 1971 წელს ნაშრომისათვის გრიგოლ ორბელიანის შესახებ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიაკუთვნეს, ბიოგრაფიული რომანების წერასთან ერთად ის მნიშვნელოვან მთარგმნელობით მუშაობასაც ეწეოდა და მწერალთა კავშირთანაც მუდამ მჭიდრო კავშირს ინარჩუნებდა...

ბატონი ელგუჯა პირდაპირი და სამართლიანი ადამიანი და მუშაკი იყო. მიუხედავად ამისა კომუნისტურ ხანაში ძნელი იყო თავი აგერიდებინა საჩოთირო ნაბიჯებისათვის. სწორედ ეს გაუხსენეს მას გასული საუკუნის 80-იანი წლების დამლევს, როცა პუბლიცისტიკის სექციის კრებაზე **კობა იმედაშვილმა** ქათინაურად ჩაუთვალა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ბრეჟნევის წიგნისათვის ქების შესხმა...

„მნათობიდან“ გათავისუფლების შემდეგ ელგუჯა მაღრაძე 1973 წელს ისევ „საბჭოთა საქართველოს“ დაუბრუნდა, შემდეგ კი გამომცემლობათა სახელმწიფო კომიტეტის (გამსახკომის) თავმჯდომარე გახდა. იმ წლებში მის ეროვნულ ნიადაგზე დგომას ასურათებს ორი მაგალითი:

ერთზე თავად ე. მაღრაძე მოგვითხრობს:

„... 1978 წლის 13 აპრილს, როცა მწერალთა კავშირის მაშინდელმა ხელმძღვანელმა გ. აბაშიძემ პრეზიდიუმის რამდენიმე წევრი (რ.ჯაფარიძე, შ. ნიშნიანიძე, მე) შეგვკრიბა თავის კაბინეტში, შესანიშნავად ჩამოაყალიბა ის, რის თქმასაც აპირებდა საქართველოს კპ ცკ-ის პირველ მდივანთან კონსტიტუციაში ქართული ენის შეტანის თაობაზე. შემდეგ ცეკას, შევარდნაძესთან კიდევ უფრო კარგად ილაპარაკა – ქართველი მწერლები ამ საკითხში ქართულ სტუდენტებთან ვდგავართო. ჯაფარიძემაც და მეც ეს პოზიცია დავიჭირეთ...“[6]

როგორც 1985 წლის 5 დეკემბერს მწერალთა კავშირის გამგეობის სხდომაზე აღნიშნა: გამსახკომმა (რომლის თავმჯდომარე ე. მაღრაძე გახლდათ) შეძლო თავის უწყებაში რუსი კლასიკოსების რუსულ ენაზე გამოცემის თავიდან აცილება იმის დაპირებით, რომ რუსულ ენაზე ქართული მწერლობის ნიმუშები, ქართული საბავშვო წიგნიც „მერანმა“ უნდა გამოსცეს, რადგანაც რუსულ ენაზე გამოცემათა რედაქცია იქ არისო.

გამსახკომის თავმჯდომარის ამ წინადადებებს მხარი დაუჭირეს მწერლებმა **ჯანსულ ჩარკვიანმა, რევაზ ინანიშვილმა და გურამ გვერდწითელმა.**

„საქლიტფონდის“ ხელმძღვანელად მუშაობა ელგუჯას მოუწია ცუდ დროს, როდესაც სახელმწიფო გამომცემლობებში არ გამოდიოდა წიგნები, რომელთაგან მიღებული ანარიცხებიდან შედგებოდა ლიტფონდის სახსრები, ხოლო საკუთარი სახსრებით გამოცემული წიგნების ავტორებს,

ზოგჯერ ამ წიგნების გასაღებით მიღებული თანხა გამოცემის ხარჯების ასანაზღაურებლად რომ არ ჰყოფნით, ლიტფონდისთვის პროცენტების შეტანას ვერ მოთხოვ და ამის მარეგულირებელი კანონიც არ არსებობს.

რაც შეეხება სამწერლო მოღვაწეობას, ელგუჯა ამ წლებშიც ნაყოფიერად მუშაობდა (ბიოგრაფიული რომანები „გოდება“ დავით გურამიშვილზე, „სრბოლა სიცოცხლისა“ ლევან გოთუაზე...) და 1997 წელს მას მწერალთა კავშირის ილია ჭავჭავაძის პრემია მიაკუთვნეს ილიაზე დაწერილი მონოგრაფიისათვის.

ელგუჯა მაღრაძე მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ მუშაობდა უდროოდ გარდაცვალებამდე – 1999 წლის 24 ივნისამდე.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

1982 წელს მწერალთა კავშირში 523 წევრი იყო, 1988 წლის 22 მარტისთვის ირიცხებოდა – 532, 2000 წლის 16 აგვისტოსათვის – 410 წევრი.

* * *

დამოუკიდებელი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე (1997-2004)
თამაზ წივწივაძე (დ. 1941)



გურამ ფანჯიკიძის დაღუპვის (1997.27.08) მეორე დღეს მწერალთა კავშირის მდივანს **რეზო ჭეიშვილს** დაუნახავს „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციისკენ მიმავალი კავშირის თავმჯდომარის მოადგილე **ელგუჯა მაღრაძე** და კავშირის მდივანი **დავით მჭედლური.**

მიხვდა ბატონი რეზო რისთვისაც მიდიოდნენ მთავარ რედაქტორთან, თამაზ წივწივაძესთან და თავადაც დაურეკა მას: ვუერთდები ელგუჯასა და დავითის წინადადებას – შენ უნდა უხელმძღვანელო მწერლებსო...

ორმოცი დღის შემდეგ (1997.03.10) თამაზს უკვე მწერალთა კავშირის მთელმა პრეზიდიუმმა (ერთი თუ ორი წევრის გამოკლებითო, შემისწორეს) თამაზს თხოვნით მიმართა – ცხოვრების მძიმე ეკონომიკურ-სოციალური, პოლიტიკური პირობების და უჰონორარობის დროს მწერალთა კავშირის ხუთასამდე წევრის გაძღოლა, მათი თავმჯდომარეობის მძიმე ტვირთი და პასუხისმგებლობა ეკისრა პირდაპირობით, მოუსყიდველობითა და უტყუარი მხატვრული გემოვნებით სახელმოხვეჭილ ამ კრიტიკოსს, რომლის ლიტერატურულ-სატირული, ბევრწილად ფრთიან ფრაზებად ქცეული სათაურებიანი წერილების ზოგჯერ სისასტიკემდე მისულ სიმწვავეს ის ამართლებდა, რომ ეს კეთდებოდა მხოლოდ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისა და ამ მწერლების თუ პირადად მისი სალოცავი ხატის – საქართველოს ინტერესების დასაცავად!

როგორც თ. წივწივაძის დაბადების 60 წლისთავზე საქართველოს მწერალთა კავშირის მისალმებაშიც ითქვა, ქვეყნის გადარჩენისათვის გამართული ეს ბრძოლა „თავგანწირვა თუ თავდადება სრულად აისახა ისეთ წიგნებში, როგორიცაა „მართალს ვიტყვი“, „ფრთხილად, წინ მკითხველია“, „ლოზუნგების ქვეყანა“, „ერთ საშუალებას კიდევ ვცდი“, „აიღე შენთვის, შენც ხომ შევარდნაძე არა ხარ!“, „ახლა თქვენი დროა“.

ამ თავისი მწარე, მაგრამ სამართლიანი სიტყვით იგი, ჩვენი მწერლობის მიღწევების სიამაყით წარმოჩენასთან და ამ მწერლობის დამაკნინებელი მაგალითების აღმოსაფხვრელად ძალისხმევასთან ერთად, ერის ცხოვრებაში გადამწყვეტ პერიოდში საქართველოს სწორი გზით წაყვანის ხელშემშლელთა წინააღმდეგ სასტიკ, ზოგჯერ „უცენზურო“ სიტყვებსაც არ ერიდებოდა (ამდენად ვერ დავეთანხმები იმათ, ვინც მას საყვედურობდა – „ლიტერატურულ საქართველოში“ მწერლობის ნაცვლად პოლიტიკური ჭიდილი გააჩაღაო. მწერლობისა და პოლიტიკური ჭიდილის უმაღლესი მიზანი ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობისთვის გარჯაა, ეს კი დანაშაულად არაფრით არ ჩაითვლება!)

იმათაც სავსებით სწორი პასუხი გასცა, ვინც საქართველოსა და ათეული საუკუნის წინ ლიტერატურულ ენად ჩამოყალიბებული ქართულისა და ქვეყნის ერთიანობის საზიანო ნაბიჯი გადადგა („ვეფხისტყაოსანი“ მეგრულად თარგმნა) და იმათაც – ვინც ეს ნაბიჯი დაიცვა და მოიწონა.

ამ წერილებმა მას ბევრი მომხრე, მაგრამ ბევრი მტერიც შესძინა.

კეთილი ინებონ და დღევანდელი გადასახედიდან შეაფასონ იმ ქართველებმა, გამართლდა თუ არა თამაზ წივწივაძის გაფრთხილება – არაქართული ძალა მოდის, ყოველივე ქართულს საფრთხე ემუქრებაო.

ედავეთ ახლა – ეს სიტყვა ცოტა ბილწიაო. ეს იმას ჰგავს, ვილაცას თავს აცლიდნენ და ქოჩორს მისტიროდაო...

თამაზ წივწივაძის თანხმობის შემდეგ პრეზიდიუმმა დაადგინა მისი მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ არჩევა.

ამავე დროს მან განაგრძო 1992 წლის 10 იანვრიდან დაწყებული მოღვაწეობა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარ რედაქტორად.

თამაზ წივწივაძემ ადრიდანვეც, მაგრამ ახლა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი უკომპრომისო და თანმიმდევრული მხატვრული პუბლიცისტიკის, უფრო სწორად, **„სატირული პროზის“** (როგორც რეზო ჭეიშვილმა უწოდა) ან **„კრიტიკული ბელეტრისტიკის“** (როგორც მურმან ჯგუბურიამ განსაზღვრა) შექმნით.

ახლა კი თავად თამაზს მოვუსმინოთ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ არჩევის თაობაზე:

„წესად მქონდა: თუ ძალიან არ მთხოვდნენ, არავითარ თანამდებობას არ ვიკავებდი!

ჟურნალ „განთიადის“ პასუხისმგებელ მდივნად გურამ ფანჯიკიძემ თითქმის ხელჩაკიდულმა მიმიყვანა!

ასევე ჯანსულ ჩარკვიანმა „ცისკრის“ დამატება – „ნობათის“ რედაქტორად!*

მუხრან მაჭავარიანმაც „თავისი ფეხით მომაკითხა“ (ამას რატომღაც, ბატონი მუხრანი ყოველთვის უსვამდა ხაზს და მეც ძალიან მომწონდა!), მისი რედაქტორობით გამომავალ „საუნჯეში“ ერთ-ერთი „მალალი“ თანამდებობა რომ დამეკავებინა!

ვიდრე მთელმა პრეზიდიუმმა არ მთხოვა, ცალ-ცალკე ვერცერთმა მისმა წევრმა ვერ დამიყოლია „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორის პოსტზე!

---

* 1977-1979წწ. რ.კ.

ხოლო მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ ჩემს მოსვლასთან დაკავშირებით ათასი ჭორი თქმულა, სინამდვილეში კი ასე იყო: თავმჯდომარის პოსტზე მოსვლა ჯერ სამდივნომ (რეზო ჭეიშვილი, ელგუჯა მაღრაძე, დავით მჭედლური) მთხოვა, შემდეგ მთელმა პრეზიდიუმმა, ბოლოს კი, ორივემ ერთად!..“

მისი დროინდელი მწერალთა კავშირის შეფასებაში თამაზ წივწივაძე მისთვის ჩვეულ თავმდაბლობას იჩენს: **„ჩემს დრომდე არსებული მწერალთა კავშირი ჩემს დროინდელს ნამდვილად სჯობდა!“**

წინა თავმჯდომარის ტრაგიკული აღსასრულის შემდეგ მოსულ თავმჯდომარეს მემკვიდრეობად ერგო ყველა ის საზრუნავი, მათ შორის ერთ-ერთი უმთავრესი — მწერლების ფიზიკური გადარჩენა, რის მოგვარებასაც ძალ-ღონეს არ აკლებდა გურამ ფანჯიკიძე, და ამასთან ერთად სხვა მოვალეობანიც და ტვირთიც დააწვა მხრებზე.

ამის გათვალისწინებით თამაზ წივწივაძე აქვეყნებს მომავალი მუშაობა-მოღვაწეობის პროგრამას — „გადარჩენისათვის!“ („ლს“, 1997,№38).

1997 წელს თავმჯდომარედ არჩევიდან მწერალთა 2000 წლის ყრილობამდე ბატონი თამაზი მუშაობდა მოადგილესთან — **ელგუჯა მაღრაძესთან** (გარდაცვალებამდე 1999წ.) და ორ მდივანთან — **რეზო ჭეიშვილთან** და **დავით მჭედლურთან** ერთად, ხოლო ამ ყრილობაზე, 2000 წლის 21 ოქტომბერს, თავმჯდომარედ ხელახლა არჩეულმა თამაზ წივწივაძემ მწერალთა კავშირის უსახსრობასთან ერთად გაითვალისწინა მმართველი აპარატის შემცირების საერთო ტენდენცია და ერთი მოადგილით **გურამ ბენაშვილით** დაკმაყოფილდა.

ბედმა თამაზ წივწივაძეს მწერალთა თავმჯდომარეობა იმ დროს არგუნა, როცა ჰონორარები მთლად გაქრა, მწერალთა ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა.

მისი მთელი დრო და ენერგია, ისევე როგორც წინა თავმჯდომარისა, ამ ორ საზრუნავს ხმარდებოდა.

მაგრამ ამას ემატებოდა მწერალთა კავშირის, უფრო მართებული იქნება, მწერლობის წინააღმდეგ აღძრულთა, ეროვნულ ფასეულობათა დამცირების მოსურნეთათვის პასუხის გაცემა.

ისე კი, ზოგიერთი მწერალი იმასაც ამბობდა, მწერალთა კავშირის დაშლის ერთ-ერთი ხელშემწყობი თამაზ წივწივაძის თაოსნობით, მისი თავმჯდომარედ მოსვლამდე, 1996 წელს ასოციაცია „ოტარიდის“ დაარსება იყოო[7].

იქნებ „ოტარიდით“ თ. წივწივაძემ ის გზა გვიჩვენა, რომელსაც მწერლებიც უნდა გადაერჩინა და მათი მწერლობაც.

ასეთი გაერთიანებანი მართლაც მრავლად ჩამოაყალიბეს, მაგრამ მათ მატერიალური ბაზა არ ჰქონდა. მწერალთა კავშირს კი რაც გააჩნდა, ისიც წაართვეს — ეს ის დრო იყო, როცა პარლამენტში ზოგიერთი პოლიტიკური მოღვაწე აცხადებდა: სახელმწიფო მწერლებს რატომ უნდა დაეხმაროს, როცა ისინი მატერიალურ პროდუქციას არ ქმნიანო.

ასეთ დროს, ვინაიდან უკვე ნებადართული იყო, შეეძლოთ შეექმნათ პატარა გამომცემლობები, წიგნებისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიები, სხვადასხვა ფირმები, რათა იქიდან შემოსული თანხებით ეარსებათ, საჭირო იყო ბიზნესმენური ფხის გამოჩენა, რაც ყველა მწერალს არ შეუძლია. ასეთ შემთხვევაში იქნებ ასეთი ნიჭით დაჯილდოებულთ შეამხანაგებოდნენ, მხოლოდ ყველაფერი ეს პატიოსნებაზე უნდა ყოფილიყო დაფუძნებული.

სამწუხაროდ, ვერც ერთი შესძლეს, ვერც მეორე...

ისე თამაზ წივწივაძე თავად გარკვევით ამბობდა თუ რისთვის მოვიდა მწერალთა ორგანიზაციაში:

„მოვედი, არა მწერალთა კავშირთან არსებული მართვის სტრუქტურების გადასარჩენად, არამედ ამ ორგანიზაციაში

გაერთიანებული მწერლების შემოქმედებითი და მატერიალური პირობების გასაუმჯობესებლად“ (მწერალთა კავშირის გამგეობას – კავშირის ყველა წევრს!, „ლს“, 2004, №4).

საჭირო იყო რეფორმირება. მის დროს გაუქმდა პრეზიდიუმი, გამგეობაც, სექციები...

შეიძლება რაღაცაში შეცდომაც იქნა დაშვებული, მაგრამ რეფორმის ჩატარება რომ აუცილებელი იყო, ეს სადაო არაა.

მთელ მსოფლიოში ცდილობენ მმართველობის აპარატის შემცირებას. როგორც უკვე ითქვა, თამაზ წივწივაძეც 2000 წლის ყრილობაზე ერთი მოადგილით დაკმაყოფილდა (ცოტა ხანში იმის გაშვებაც მოუხდა).

შეადარეთ ამას 2004 წლის თებერვლის ყრილობა, როდესაც თავმჯდომარესთან სამი მოადგილე აირჩიეს. ეს დინების საწინააღმდეგო სვლას დაემსგავსა.

რაც შეეხება მწერალთა კავშირში მოსვლის მიზნის მეორე ნაწილს – მწერლების შემოქმედებითი და მატერიალური პირობების გაუმჯობესებას, თამაზ წივწივაძის დროს მწერლებს დაენიშნათ სტიპენდია დასაწყისში 50, შემდეგ კი 22 ლარის ოდენობით და ეს უჰონორარო მწერლებისათვის დიდზე დიდი შეღავათი იყო.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„მე არ ვიცი რა გზას დაადგება ქართული პოეზია, ძნელია ამის წინასწარ განჭვრეტა და, ალბათ, არც არის აუცილებელი, მაგრამ არსებობს რაღაც ნიშნები, რომლის მიხედვითაც შეიძლება არსებული მდგომარეობის დაფიქსირება. დღეს ძალიან ხშირად იწერება ლექსები, რომელთა აღსაქმელად სრულებითაც არ არის საჭირო მეექვსე გრძნობა. უფრო მეტის თქმა შეიძლება – საერთოდ გრძნობა არ არის საჭირო და არც გაგება, ვინაიდან არაფერია ამ ლექსებში არც საგრძნობი და არც გასაგები. აქ არაფერ შუაშია არც იმპერსონალურობა, არც ინტერტექსტუალობა. საქმე გვაქვს ჩვეულებრივ პრეტენზიულ გრაფომანობასთან“.

ანდრო ბუაჩიძე, მეექვსე გრძნობა, „ლს“. 1998

„ერთხელ ანასთვის რძალს უთქვამს:

– რას წუწუნებ, ხომ არაფერი გაკლიაო.

მას კი უპასუხია:

– პირველი ლექსების გამოქვეყნების შემდეგ ბედნიერი აღარ ვყოფილვარო“

ვახტანგ ჯავახაძე,
„ქართული მწერლობა“, 2011, №19

* * *

დამოუკიდებელი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე (2000-2003)

გურამ ბენაშვილი (დ. 1931)



საქართველოს მწერალთა XII (საერთო ათვლით XX) ყრილობამ (2000.21.10) ხელახლა არჩეულ თავმჯდომარესთან **(თამაზ წივწივაძე)** ერთად თავმჯდომარის მოადგილედ დაასახელა **გურამ ბენაშვილი,** იმის გათვალისწინებით, რომ ცნობილი კრიტიკოსისა და ლიტერატურათმცოდნის **დიმიტრი ბენაშვილის** ვაჟი, ასევე ცნობილი კრიტიკოსი და ლიტერატურისმცოდნე, კათედრის გამგე სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი ათი წლის განმავლობაში, მწერალთა კავშირში უმთავრესად უხელმძღვანელებდა ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლებას.

სამწუხაროდ, ეს იმედი არ გამართლდა.

პრობლემები სხვა მხრივაც შეიქმნა.

წლების განმავლობაში ერთი სალდაფონი, უზრდელი დარაჯი ვერ მოვიშორეთ. ბოლოს, თავმჯდომარის თანხმობით, გადაწყდა მისი მებაღედ გადაყვანა, რათა ჩამოგვეცილებინა მწერლებთან ურთიერთობისგან. მაგრამ ბატონი გურამი ბრძანებას არა და არ აწერდა ხელს – თავმჯდომარე ყველა საჭოჭმანო საქმეს მე რატომ მანდობსო, როცა უთხრეს: ალბათ იმიტომ, რომ თქვენ შტატის მეურვეც ხართო. როგორ? მარტო შტატისო! – წამოიძახა და ისე წავიდა მწერალთა კავშირიდან, ის გაუთლელი მორიგე არ მოგვაცილა.

იმ ერთმა უხიაგი ხასიათის მქონე ტექნიკურმა მუშაკმა კი ბევრ მწერალს მოუშალა ნერვები (ალარაფერს ვამბობ თანამშრომლებზე).

ამ ფონზე როგორ არ მოვიხსენიოთ ბოლო წლებში მწერალთა კავშირში გამოჩენილი ბეჯითი და ერთგული თანამშრომლები: ერთხანს მბეჭდავ-მემანქანე, შემდეგ კი — თავმჯდომარის მდივანი **ინგა კვანტალიანი,** ანდა **მანანა გორგიშვილი.** ეს მშვენიერი ქალბატონები ლამაზად და უხმაუროდ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას.

რაც შეეხება ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლებას, იმ მძიმე წლებში მწერალთა კავშირის ხელმძღვანელთა მთავარ საქმედ იქცა მწერლების ფიზიკური გადარჩენა და ამის გამო ლიტერატურულ ღონისძიებათა გამართვა თითქმის შეწყდა. ვიმეორებ, როცა კავშირის ერთმა თანამშრომელმა ნახა — ამ სფეროს მიმხედავი არავინ იყო, იფიქრა, რატომ არ გავმართო საღამოები იმაზე, რასაც ათეული წლებია ვიკვლევო?

და, აი, 2001 წლის აპრილიდან დაიწყო განხორციელება თავმჯდომარის მიერ გზადალოცვილი, ბატონ გურამთან შეთანხმებული ამ პროგრამისა.

როცა 4 გვერდზე გადაბეჭდილი ამ პროგრამის გაცნობისას (რასაც პოეტი **ემზარ კვიტაიშვილი** და კავშირის თანამშრომელი **ზაალ ბოტკოველი** ესწრებოდნენ) პირველი 15-ოდე მოხსენების დასახელება წაიკითხა, გურამმა იკითხა: ამ მოხსენებებს ყველას თქვენ დაწერთო?

ის მოხსენებები (და გაცილებით, გაცილებით მეტი) იმ თანამშრომელს დასაწერი რომ ჰქონოდა, პროექტის განხორციელების დაწყებას როგორ გაბედავდა.

მეორეც, ცალკეული ფაქტები და ამბები კი, მაგრამ უმრავლესობამ არ იცოდა მწერალთა კავშირისა და მწერალთა პოლიტიკური რეპრესირების ნამდვილი და სრული ისტორია...

ისე კი, თუ ვინმე გამოჩენილა ამ პროგრამით გათვალისწინებული საკითხების მცოდნე, სიამოვნებით იწვევდნენ მომხსენებლად...

დიახ, 2001 წლიდან ტარდებოდა „ლიტერატურული ორშაბათობები“, მაგრამ დარბაზში შემოხედვას ვინ ჩივის, ბატონ გურამს ერთხელაც კი არ უკითხავს იქაური ამბავი, ისე წავიდა. იქნებ მწერალთა კავშირს ლანძღავდნენ, ან ამბოხებას აწყობდნენ?!

* * *

ასე მიიწურა XX საუკუნე..

ვფიქრობ, სამართლიანი იქნება თუ ამ წიგნს მოვიყვანთ, საქართველოს მწერალთა მთავარი შემოქმედებითი ორგანიზაციის შექმნის 90 წლისთავის აღნიშვნამდე.

მაგრამ ვიდრე, ამ დამამთავრებელ ნაწილზე გადავალთ, სამართლიანობა მოითხოვს ჩვენი ქვეყნის პროვინციების ლიტერატურული ცხოვრების წინამძღოლებიც არ დავივიწყოთ.

ქუთაისის სამწერლო ორგანიზაციის ხელმძღვანელები

აქ პირველი ადგილი უდავოდ ქუთაისს უჭირავს – ჩვენ ხომ ვიცით, რა ძალუმად ჩქეფდა იქ კულტურული, ლიტერატურულ-შემოქმედებითი ცხოვრება!

განა სწორედ ქუთაისში არ ჩამოყალიბდა XX საუკუნის ქართული მწერლობის უპირველესი და უბრწყინვალესი ლიტერატურული სკოლა ცისფერყანწელებისა?!


განა 1917 წლის ოქტომბერში „ქართველ მწერალთა კავშირის“ შექმნისა და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების კვალდაკვალ ქართველ მწერალთა დედამდინარე თბილისში გადმოსულმა ქუთაისელ მწერალთა შენაკადმა არ გაამძლავრა და გაალაღა?!

ყველაფერ ამას სევდა მოუგვრია ერთი ქუთაისელი ქალბატონის, **მზია ორბელისთვის,** რომელმაც მწერლებისგან მიტოვებულ ქუთაისს „გამოტირებული ქალაქი“ უწოდა:

„ ქუთაისი პოეტთა მექაა. აქ დაიბადა საქართველოს ახალი პოეზია და აყვავდა, სანამ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ბევრი აქაური პოეტი მაჰმადივით ტფილისს – მედინას არ გაიქცა... მაგრამ პოეზია ქუთაისს არ მოშორდება და პოეტები მას ვერ დაივიწყებენ.

... და იღვენთება ქუთაისი...“[8]

1926-1937 წლებში ქუთაისის ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებას თავკაცობდა, ქუთაისში სტუმრად ჩამოსულ მწერლებს ღირსეულად მასპინძლობდა, **კოლაუ ნადირაძის** შეფასებით, ცისფერყანწელთა საძმოს წევრობის ღირსი ბელეტრისტი და პიროვნება **დია ჩიანელი (დავით ჩხეიძე),** ვიდრე ის, ჩვენდა სამწუხაროდ, კომუნისტურმა რეჟიმმა პოლიტიკურ ნიადაგზე არ დააპატიმრა და დახვრიტა.



დია ჩიანელი (დავით ჩხეიძე), რეზიკო ჩხეიძე (მომავალი კინორეჟისორი), ვიქტორ გაბესკირია.

მომდევნო წლებში საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებას ხელმძღვანელობდნენ პასუხისმგებელი მდივნები, პოეტები **დიმიტრი კვირკველია** (1937-1944,

გარდაცვალებამდე), **გიასელის** ფსევდონიმით ცნობილი **გიორგი სამხარაძე** (1944-1956) და **არჩილ გურჯიძე** (1956-1958).

1958 წლიდან ქუთაისის სამწერლო და კულტურულ სფეროში დადგა პროზაიკოს **დავით კვიცარიძის** ხელმძღვანელობის ხანგრძლივი პერიოდი...

დღეს კარგა ხანია ქუთაისელი მწერლობის წინამძღოლია **თემურ ლანჩავა.**

პოეტ **ილია ხოშტარიას** მიხედვით 1934 წლის შემოდგომისთვის ქუთაისის განყოფილებაში მწერალთა კავშირის 13 წევრი ირიცხებოდა.[9]

აჭარის სამწერლო ორგანიზაციის ხელმძღვანელები

1932-1952 წლებში აჭარის სამწერლო ორგანიზაციას, როგორც პასუხისმგებელი მდივანი, ხელმძღვანელობდა იმ დროს დიდად პოპულარული რომანების „დელი მურადისა“ და „ჩაის“ ავტორი **პარმენ ლორია.** ეგაა რომ 1932-1945 წლებში მასა და მის განყოფილებას, აჭარელ მწერლებს კომპარტიამ თავმჯდომარედ (შეთავსებით) და სწორი პარტიული გეზის მისაცემად მიუჩინა თავისი ნდობით აღჭურვილი პიროვნება, გაზ. „საბჭოთა აჭარისტანის“ რედაქტორი **დავით დუმბაძე.**

მათი მოღვაწეობის დასაწყისში, 1933 წლის ნოემბრისათვის აჭარის განყოფილებაში მწერალთა კავშირის 24 წევრი ირიცხებოდა.



ზურაბ გორგილაძე, გიორგი სალუქვაძე, რევაზ ართილაყვა (დგას), ნესტორ მალაზონია, ბორის მეტრეველი. ბათუმის საქალაქო ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან.

განყოფილებას ჯერ სარდაფი ეჭირა მასწავლებელთა სახლის ეზოში, შემდეგ – ერთი ოთახი თვით იმ სახლში (ყოფილი სტალინის ქუჩაზე).

მახსოვს ერთხელ, იქნებოდა 1945-1947 წელი, მე, სკოლის ბოლო კლასების მოსწავლე, გურიიდან როგორ ჩავედი ჯალათი კომუნისტებისგან წართმეულ ჩემი ბავშობის ქალაქში, ბათუმში და ჩემი ლექსის გასასინჯად (საქართველოში ვინ არ წერს ლექსს!) როგორ მივედი იმ ოთახში და რა გულისხმიერად მიმიღო, დამარიგა ბატონმა პარმენ ლორიამ...


შემდეგში მწერალთა ხელმძღვანელად ბათუმში ცოტა-ცოტა ხანს მოღვაწეობდნენ პოეტი **ანდრო თევზაძე** (1952-1953) და პროზაიკოსი, ძველი ბათუმელი პოეტის **პარმენ რურუას** ვაჟი **ილია რურუა** (1953-1957).

1957 წლიდან დადგა პოეტ **ფრიდონ ხალვაშის** მესვეურობის ეპოქა – ის ათეული წლების განმავლობაში უძღვებოდა ბათუმის, მთელი აჭარის ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებას.

ფრიდონი თავის მეტად ხანგრძლივ ხელმძღვანელობაზე თავადვე ხუმრობს: 36 წელიწადი მწერალთა ბრიგადირი ვიყავიო...

ამას მოჰყვა პოეტ **შოთა ზოიძის** მცირეხნიანი (1993-1994) ხელმძღვანელობა (შემდეგ, 2009 წელს მას მიენიჭა მემედ აბაშიძის პრემია).

1994 წლის 22 დეკემბრიდან აჭარის ლიტერატურულ-კულტურული ცხოვრების მესვეურობა დაეკისრა ბელეტრისტს, პოეტსა და მეცნიერს **ჯემალ ჯაყელს – მემედ აბაშიძის პრემიის ლაურეატს**.



შოთა როყვა, გიორგი მოისწრაფიშვილი, რევაზ ართილაყვა, ჯემალ ჯაყელი გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის“ თანამშრომლებთან. 1969.

შემდეგ კვლავ ცოტა ხანს აჭარაში სამწერლო საქმეს უძღვებოდა ძველი ბათუმელი **ვახტანგ ღლონტი** (აქვე უნდა ითქვას – მისი პოეტური მოღვაწეობა ტიციან ტაბიძის პრემიით დაფასდა).

დღეს კი საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციას, როგორც თავმჯდომარე, უძღვება საქართველოს მწერალთა კავშირის ილია ჭავჭავაძის სახელობის

(2009) და აჭარის მემედ აბაშიძის პრემიების ლაურეატი, პოეტი **დავით თედორაძე,** რომელმაც მანამდე, გამომცემლობა „აჭარის“ დირექტორობის დროს, საქმის გაძღოლის კარგი გამოცდილება მიიღო.

„არეულობის დროს იგი სათავეში ჩაუდგა გამომცემლობა „აჭარას“ და კომერციულ მუხტზე გადართულ საზოგადოებას მნიშვნელოვანი წიგნები შესთავაზა. ამან აჭარის მკვიდრთ კიდევ ერთხელ შეახსენა, რომ ამ უძველესი კუთხის მონაწილეობის გარეშე ერთიანი ქართული კულტურა სრულყოფილი ვერ იქნება“ (იკა ქადაგიძე, ჩვენი აჭარელი თანამოქალაქე)

აფხაზეთის სამწერლო ორგანიზაციის ხელმძღვანელი

აფხაზეთში ხაზგასმულად სეპარატისტული გადაწყვეტილებით საქართველოს მწერალთა კავშირის განყოფილების ნაცვლად, აფხაზეთის მწერალთა კავშირი შექმნეს, 1977 წელს მოწყალება გაიღეს და მის ხელმძღვანელობაში მდივნად ერთი ქართველი მწერალი შეიყვანეს. ეს გახლდათ ახალგაზრდა პოეტი **გენო კალანდია.**

როდესაც აფხაზეთის ქართველი მწერლები 1989 წელს იძულებული გახდნენ აფხაზეთის ქართველ მწერალთა კავშირი შეექმნათ, ამ კავშირს ისევ ბატონი გენო ხელმძღვანელობს, ჯერ როგორც პმგ მდივანი, შემდეგ კი – თავმჯდომარე – საქართველოს მწერალთა კავშირის ილია ჭავჭავაძის სახელობის პრემიის ლაურეატი.



აფხაზი პოეტები სტუმრად ქ. ქუთაისში. ეს შეხვედრა გადსცეს საქართველოს ტელევიზიით, სალაპარაკოდ უძღვებოდა ტელედიქტორი, პოეტი ირმა გურიელი. სხედან: ირმა გურიელი, ივანე თარბა, ლილი ნუცუბიძე, ბაგრატ შინკუბა, ნელი თარბა, დგანან: ალექსი ჯონუა, გიორგი გუბლია, შოთა ჭკადუა, ბორის გურგულია, როდამ ჩაჩანიძე, შოთა აკობია. 1973. მაისი.

გორის განყოფილება

ზემოხსენებულ ძველ, ძირითად განყოფილებებს მრავალი წლის შემდეგ შეემატა გორი. იქაურ ლიტერატურულ ცხოვრებას რომ ახალგაზრდა **ოთარ ჩხეიძე** ხელმძღვანელობდა, თანაც საზოგადოებრივ საწყისებზე უძღვებოდა, ამაზე უკვე შედარებით დაწვრილებით მოგახსენეთ მისი მწერალთა კავშირის გამგეობის პმგ მდივნად მუშაობაზე საუბრის დროს.

ოთარ ჩხეიძის შემდეგ მრავალი ათეული წელია გორის ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებას ღირსეულად უძღვება პოეტი **ჯემალ ინჯია.**

შემდგომში მომრავლებულ განყოფილებებს შეძლებისდაგვარად ხელმძღვანელობდნენ და ლიტერატურულ ცხოვრებას უძღვებოდნენ.

რუსთავსა და ქვემო ქართლში – **კარპე მუმლაძე, მერი შალვაშვილი, ია სულაბერიძე, მურად ჭოლოკავა** (ძიძიგური), **მარინე ცხვედიაშვილი** (2010 წ. მიენიჭა საქართველოს მწერალთა კავშირის ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია); ზუგდიდში – **ჯემალ ქირია, შუკო ჯიქია;** თელავში – **ლადო მრელაშვილი** (იქაური მწერლები კეთილ საქმეებს უფრო ხელმძღვანელობის გარეშე აკეთებდნენ), **ფარნაოზ რაინაული.** მცხეთა-მთიანეთში – **ბაღათერ არაბული;** ოზურგეთში – **გიზო ჭელიძე,** სამცხე-ჯავახეთში – **დურმიშხან ბერიძე,** სიღნაღში – **თამაზ ხმალაძე,** ცხინვალის განყოფილებაში – **ნელი ჩალაური.**

ამ უკანასკნელთაგან დღეისთვის (2012) უფრო თელავი ამართლებს განყოფილების წოდებას და კიდევ სამცხე-ჯავახეთში გამოიყურებიან ღირსეულად...

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„XXI საუკუნეში ალბათ ობიექტურად უნდა შეფასდეს წინა ასწლეულში მოღვაწე მწერლების და მეცნიერების ღვაწლი. რუსიფიკაციის და ბოლშევიზმის სასტიკ წნეხს მხოლოდ მათი თავისუფალი აზრისკენ სწრაფვა და საერთოდ, სულიერ-ზნეობრივი ღირებულების დაფუძნება უპირისპირდებოდა. ამაზე მძლავრი იარაღი არ არსებობდა. ამიტომაც გაანადგურეს ან განდევნეს ეს ადამიანები“

ანდრო ბუაჩიძე

* * *

* * *

დავუბრუნდეთ სრულიად საქართველოს მწერალთა ორგანიზაციას და მის ხელმძღვანელებს.

როცა ხელისუფლებაში ის ძალა მოვიდა, რომლის არაეროვნულობას თ. წივწივაძე იმთავითვე ამხელდა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე, ბატონ თამაზს გაუჩნდა ეჭვი – ჩემს გამო მწერალთა კავშირს ბიუჯეტიდან იმ მცირე დაფინანსებასაც არ შეუნარჩუნებენ, აითვალწუნებენო და გამოაქვეყნა („ლს“, 2004. №6) 4 თებერვალს დაწერილი განცხადება გადადგომის თაობაზე. გამგეობამ მხარი არ დაუჭირა, მაგრამ 4 თებერვალსვე დაადგინა ყრილობის მოწვევა 27 თებერვალს.

თამაზ წივწივაძის გადადგომის შემდეგ, ვინაიდან ისედაც დამდგარი იყო მორიგი ყრილობისა და არჩევნების ჩატარების ვადა, 2004 წლის 27 თებერვალს გამართულ (ბევრისგან დარღვევებით ჩატარებულად ჩათვლილ) ყრილობაზე 2 წლის ვადით გამოცხადდა ახალი ხელმძღვანელის არჩევა:

დამოუკიდებელი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე (2004 წლიდან)
მაყვალა გონაშვილი (დ.1959)



პირველად მწერალთა კავშირის ისტორიაში, 2004 წლის 27 თებერვალს ყრილობაზე ხელმძღვანელად – უფრო მეტი – თავმჯდომარედ მოვიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის (ჟურნალისტიკის განხრით) კურსდამთავრებული (1981), მანამდე ერთ-ერთი პირველი სამწერლო ასოციაცია „გულანისა“ და მწე-

რალთა კავშირში თბილისის ლიტერატურულ ურთიერთობათა და ინფორმაციის ცენტრის ხელმძღვანელად ნამოღვაწარი (ბრძ. №1, 2001წ.) ქალბატონი – პოეტი **მაყვალა გონაშვილი**, ის თავმჯდომარეობისას გახდა გალაკტიონის პრემიის ლაურეატი (2004 წლიდან).


„მერანში“ გამოცემულ ლექსების პირველ კრებულს (1985) მოჰყვა იქვე (რამდენიმე), აგრეთვე „გულანში“ (2000) და „ეროვნულ მწერლობაში“ (2005) დაბეჭდილი წიგნები

მწერალთა კავშირისა და ხელოვანთა კავშირებისათვის მძიმე დრო იდგა, ხელისუფლებამ და, მისი წამხედურობით, საზოგადოების ერთმა ნაწილმა მწერალთა ორგანიზაციის ცალკეული ხელმძღვანელების მიუღებლობა მთელ მწერალთა კავშირზე გადაიტანა. მათ არ ესმოდათ მწერლობის დიდი მნიშვნელობა ჩვენი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ჩამოყალიბებაში, მისი ეროვნული ინტერესების დაცვაში.

როცა ყოველივე ამან, ნიჭისა და უნიჭოების განურჩევლობამ მწერლებისა და ხელოვანთა სხვა კავშირების ხელმძღვანელები, მათდამი რწმუნებული კავშირების ინტერესების დაცვის საკოორდინაციოდ შემოქმედებითი კავშირების გაერთიანებული საბჭოს შექმნამდე მიიყვანა – ამ საბჭოს თავმჯდომარედ, საქართველოში ტრადიციულად მწერლობის ყველაზე გავლენიან ძალად მიჩნევის გამო, სწორედ მწერალთა კავშირის თავმჯდომარე **მაყვალა გონაშვილი** აირჩიეს.

შემდეგ წლებში მ. გონაშვილის ჯილდოებს შეემატა ანა კალანდაძისა (2008) და ილია ჭავჭავაძის (2009) სახელობის პრემიები.

დამოუკიდებელი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე (2004-2006)
რეზო ჭეიშვილი (დ. 1933)



2004 წლის 27 თებერვალს გამართულმა მწერალთა ყრილობამ მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ არჩეულად ჩათვალა რუსთაველის პრემიის ლაურეატი, ბელეტრისტი **რეზო ჭეიშვილი,** რომელიც წინასწარი შეთანხმებით თავმჯდომარედ იყო განზრახული.

ამბობდნენ ზოგიერთებმა შეთანხმება დაარღვიეს, სიტყვა გატეხესო: თავმჯდომარის კანდიდატებს კენჭი ცალკე უნდა ეყარათ, მაგრამ ხელმძღვანელობის პრეტენზიის მქონე მწერლებმა მოულოდნელად გადაწყვიტეს — კენჭი ყველამ ერთად ვიყაროთ, ვინც მეტ ხმას მიიღებს, თავმჯდომარე ის გახდება, დანარჩენები მოადგილეებიო...

ამ საჭოჭმანო გადაწყვეტილების განხორციელებას, როგორც მწერლები თვლიან, ხელი დიდად შეუწყო ყრილობის თავმჯდომარედ არჩეულმა გურამ გოგიაშვილმა (ამ დამსახურებისათვის ის 2009 წელსაც მოიხმეს ყრილობის გასაძღოლად).

ვფიქრობ, ბატონმა რეზომაც დაუშვა შეცდომა წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებაში... თუ შეიძლება შეცდომად ჩაითვალოს სიმართლის პირდაპირ თქმა.

შედეგმა მწერალთა გარკვეული წრეების უკმაყოფილება გამოიწვია, ბევრმა მათგანმა კავშირი დატოვა. მათ საყურადღებოდაც უნდა ვთქვა: თუ ძალთა ასეთი თანაფარდობა არ უნდოდათ, კეთილი ენებათ და თავანთი ძვირფასი შემოქმედებითი დროიდან ერთი დღე გაემეტებინათ, ყრილობას დასწრებოდნენ, კენჭისყრაში მონაწილეობა მიეღოთ..

უსამართლოდ აღქმულმა არჩევნებმა ხელმძღვანელობაში დაძაბულობა შექმნა.

მთელი ამ ხნის განმავლობაში რეზოსა (რომელიც ლიტფონდის დირექტორიც გახლდათ) და კავშირის დანარჩენ ხელმძღვანელებს შორის იყო დავა – ლიტფონდი, რომელიც მუდამ დამოუკიდებელი, მაგრამ ყოველთვის მწერალთა კავშირის შემწე და ერთგული ორგანიზაცია იყო, აუცილებლად მწერალთა კავშირის სტრუქტურაში უნდა შემოვიდესო.

მაგრამ ლიტერატურული ფონდი არა მარტო დღევანდელი მწერალთა კავშირის წევრთა, არამედ დღეს მწერალთა კავშირიდან გასული ბევრი ჩვენი გამოჩენილი, ცნობილი მწერლის წიგნების გაყიდვიდან შემოსული თანხის 10%-ით ივსებოდა და რამდენად სწორი იქნებოდა ლიტფონდი მაინცდამაინც და მარტო მწერალთა კავშირს მიკუთვნებოდა?

ამას დაემატა სხვა არაერთი უთანხმოება.


ერთ მხარეს აღმოჩნდა რეზო ჭეიშვილი, მეორეს – დანარჩენები, თუმცა ამათ შორისაც არ იყო სიამტკბილობა (ცოტა ხანში კიდევაც დაერევიან ერთმანეთს!) ამიტომ მოულოდნელი არ იყო, რომ რეზო ჭეიშვილმა მორიგ, 2006 წლის არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო.

ბოლო წლებში, მიუხედავად სიძნელეებისა, უგემოვნებო გაზეთების მომრავლებისა და მეორე მხრივ, საუკეთესო გაზეთების გამოცემის შეწყვეტის ფონზე ბატონი რეზო გამოსცემდა საუცხოო გაზეთს „მწერლურ ცხოვრებას“.

ეს გამოცემა, ჩვენდა სამწუხაროდ, მალე შეწყდა, მაგრამ ცოტა ხნის გავლის შემდგომ მწერალმა დაიწყო და უკვე რამდენიმე წელია (2007, 2008, 2009, 2010, 2011...) ჩვენი ქვეყნის გაერთიანება-განმტკიცების სიმბოლოდ ქცეული ტაძრის აღდგენის საქმეს ემსახურება, როგორც მრავალგვერდიანი ერთდროული (ყოველწლიური) გაზეთ „ბაგრატის“ რედაქტორ-გამომცემელი.

დამოუკიდებელი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე (2004 წლიდან) რევაზ მიშველაძე (დ. 1940)

მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ 2004 წლის 27 თებერვლის ყრილობაზე აირჩიეს რუსთაველის პრემიის ლაურეატი (1998) პროზაიკოსი (ნოველისტი) და კრიტიკოსი **რევაზ მიშველაძე.**



ბატონი რეზო არის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მრავალი წლის განმავლობაში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, იყო უახლესი ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე, **ბესო ჟღენტისა** და **ტარიელ კვანჭილაშვილის** შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის ხელმძღვანელი, ჟურნალების „კრიტიკისა“ (1987-1989) და „ნუგეშის“ მთ. რედაქტორი, საქართველოს პარლამენტის წევრი; არის „მწერლის გაზეთის“ სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე.

ჩვენი მთავარი ლიტერატურული ჯილდოს გარდა მინიჭებული აქვს „ხუთწლედის მატიანის“ (1986, 1989), მემედ აბაშიძის, მწერალთა კავშირის აკაკი წერეთლისა (1993) და ილია ჭავჭავაძის (2008) პრემიები და წოდება „ქართული პროზის რაინდი“.

მან 1963 წელს დაასრულა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტი.

სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო როგორც კრიტიკოსმა, შემდეგ ჩამოყალიბდა თანამედროვე თემებზე შექმნილი მწარე

ირონიული ელფერის ნოველების ოსტატად, რომელთა კრებულებიდან უმთავრესია „რჩეული ნოველები“ (2001) „ტირილი სავალდებულო არაა“ (2003), „ჩემი ცრემლები“ (2004), „ნოველები“, (2005), „დოკუმენტური ნოველები“ (2007).

მურმან ჯგუბურიას დახასიათებით **„რევაზ მიშველაძე მთელი წლის განმავლობაში ბეჭდავდა ერთ-ერთ გაზეთში ნოველებს, ყოველ კვირეულად, თითო ნოველას.**

საიდან ამდენი დრო?

პარლამენტარი იყო, კათედრის გამგეა, დღე-მუდამ ლექციებს კითხულობს, მწერალთა კავშირის მდივანია, ოჯახის თავია, უზარმაზარი ტრაგედიის მატარებელი – მამა.

ნოველა კი ნოველას მოსდევს, წიგნი – წიგნს“.

ასე დაგროვდა ნაშრომ-ნაღვაწი 500 ნოველა! ათვლა კი გრძელდება.

დამოუკიდებელი საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე (2004 წლიდან)
ვაჟა ოთარაშვილი (დ. 1955)



მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ 2004 წლის 27 თებერვალს გამართულ ყრილობაზე დაასახელეს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტდამთავრებული (1977) პოეტი **ვაჟა ოთარაშვილი.**

მას მიენდო მწერალთა კავშირის გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ დირექტორობა, არის

დამფუძნებელ-გამომცემელი გაზეთისა (2005) და ჟურნალის (2006) – „ლიტერატურა და ხელოვნებისა“.

სამწერლო ასპარეზზე 80-იან წლებში გამოვიდა, ავტორია მრავალი პოეტური კრებულისა, მწერალთა კავშირის წევრია 1991 წლიდან.

იყო საქართველოს პარლამენტის წევრი, მინიჭებული აქვს მწერალთა კავშირის პრემიები: გალაკტიონ ტაბიძის (2004) და ილია ჭავჭავაძის (2010) სახელობის, მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებისა – ლადო ასათიანის სახელობის (2008).

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„ტრაგედია ჩვენი ჯერაც არ დამთავრებულა, რაღა თქმა უნდა, არც ვინ უწყის თუ როდის დამთავრდება. და ამიტომ და სწორედ ამიტომაა, – ქართული თეატრის ნიშნულ ჟანრად ტრაგედია გადაიქცევა. სხვა გზა არ არის, თუ უნდა რო ქართული იყოს, ეროვნული იყოს, ერის ბედისწერა უნდა გამოჰხატოს... სხვა გზა არ არის, თუ ერისა ხარ, ერისა უნდა იყო...“

ოთარ ჩხეიძე

* * *

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

ანას ლექსებით გადარჩენილნი

გასული საუკუნის 80-იან წლებში ბორჯომის პოლიციის უფროსის მოადგილედ დანიშნეს იურისტი რობიზონ ალბუთაშვილი, უაღრესად განათლებული, პატიოსნებით გამორჩეული, სიტყვაძვირი, პოეზიის მოყვარული.

ბატონი რობიზონი ანას პოეზიით განსაკუთრებით ყოფილა გატაცებული. მის სამუშაო ოთახში პოეტი ქალის თითქმის ყველა გამოცემას ნახავდით. ბევრი ლექსი იცოდა თურმე ზეპირად და კარგადაც კითხულობდა. მას ერთი საოცარი თვისება ჰქონდა: როცა მილიციაში არასრულწლოვანს ან ახალგაზრდა დამნაშავეს მიიყვანდნენ, შევიდოდა მათთან, მამაშვილურად დაელაპარაკებოდა და როცა დარწმუნდებოდა, რომ ის კრიმინალი, საშიში დანაშაულის ჩამდენი არ იყო, ანას კრებულს შეუტანდა, ასაკის მიხედვით რამდენიმე ლექსს შეურჩევდა და დაუბარებდა: ხვალ დილამდე თუ ამ ლექსებს ზეპირად დაისწავლი და ჩამაბარებ, გაგათავისუფლებო...

ვინ მოსთვლის, ანას ლექსებმა რამდენი ახალგაზრდა გადაარჩინა, რამდენი ცხოვრების მრუდ გზას ააცდინა...

კიდევ ერთი გასაოცარი, არაჩვეულებრივი ამბავი ისევ ანაზე. ეს თბილისელ ვიცე-პოლკოვნიკ თემურ მირველაშვილს შეეხება, ბატონი თემური აღიარებული თამადა ყოფილა. კაცი, რომელსაც ძალიან უყვარდა ლიტერატურა, გამორჩევით კი — ანას ლექსები...

თანამშრომლები იგონებდნენ: მუშაობის პროცესში თუ მანქანის საჭესთან ანას ლექსებს ღიღინებდა. თამადობისას ანას ლექსებით გაჯერებულ, გულში ჩამწვდომ სადღეგრძელოებს ამბობდაო. მის ნაცნობ-მეგობრებთან სუფრასთან შეხვედრა, ქეიფი ანას პოეზიის საღამოდ გადაიქცეოდა ხოლმე.

თემურ მირველაშვილს სიცოცხლის ბოლო წლებში პოლიციის ავტოინსპექციაში მოუხდა მუშაობა. მძღოლები უფროსის გულის მოსაგებად ანას ლექსებს იზეპირებდნენ. დასაჯარიმებლად მიყვანილნი კი, იცოდნენ რა ბატონი თემურის „სისუსტე“, „ჯარიმას“ ანას ლექსებით იხდიდნენ.

ეთერ გულდამაშვილი, „სრ“, 2008, 13.XII, №233

* * *

2006 წლის 21 ოქტომბრის ყრილობაზე **მაყვალა გონაშვილმა** თავმჯდომარეობის, ხოლო **რევაზ მიშველაძემ** და **ვაჟა ოთარაშვილმა** მოადგილეების მანდატი შეინარჩუნეს, ამჯერად 3 წლის ვადით.

თავიდანვე უნდა განვაცხადო: ამ სამდივნოში იმ მოჩვენებითი თანხმობის ნატამალიც გაქრა, რაც თითქოს არსებობდა მის წევრებს შორის – ორჯერ შეესწრებივარ გამგეობის სხდომასა და თავმჯდომარის კაბინეტში მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ერთი მოადგილე მეორისაკენ როგორ მიიწევდა მუქარითა და შეძახილით:

შე ნაძირალა, შე ნაძირალა!...

პატივცემულო მკითხველებო, ნუ დამძრახავთ თუ ახლანდელი ხელმძღვანელობის მოღვაწეობის სრულ ასახვასა და შეფასებას თავს ვარიდებ, არ მინდა წამომცდეს იმ კეთილი დამრიგებლის სახელი, რომელმაც „ორშაბათობათა“ ორგანიზატორი ასე დააკვალიანა: რასაც მე ვამბობ, ორშაბათობაზე ის უნდა თქვაო (იმ ცოდვილ მომხსენებელს კი ეგონა მხოლოდ სიმართლე უნდა ელაპარაკა), მერე ისიც დააყოლა: ვის რად უნდა შენი ორშაბათობებიო!..

არადა ამ ორშაბათობებზე საუბარი იყო მწერალთა ორგანიზაცია-გაერთიანებათა და მწერლების საბჭოურ-კომუნის-

ტურ რეპრესიების ისტორიებზე, წარმოდგენილი იყო უამრავი ისეთი ფაქტი და საბუთი, რომელიც არც იმ ხელმძღვანელმა იცის და არც მწერლების უმრავლესობამ.

პროლეტმწერალთა, ისიც მათი მემარცხენე პოზიციაზე მდგომი ვიწრო წრის ბატონობის შემდეგ ასეთი მბრძანებლობა მწერალთა კავშირში აღარ გამოუჩენიათ.

ჩვენი მწერლების საუკეთესო უმრავლესობას, ისევე როგორც მის ერთ-ერთ ღირსეულ წევრს **არჩილ სულაკაურს**, როგორც ამას პოეტი **თამაზ ჩხენკელი** მოწმობს, **„მიაჩნდა და ახლაც მიაჩნია, რომ მწერლურ დაწესებულებაში სრულიად დაუშვებელია რამენაირი სახის ადმინისტრირება. ამ თვალსაზრისზე იდგა „მნათობში“ მოღვაწეობისას და ეს მაშინ, როცა „ცეკაში“ პირველი მდივნის თანდასწრებით ერთმა მაღალი თანამდებობის მქონე ლიტერატორმა თავმოთნედ განაცხადა (ჩემი ყურით მოსმენილი ეს ფრაზა მომყავს ზედმიწევნით სიზუსტით): გამომცემლობის ყველა დირექტორმა და გაზეთის ყველა რედაქტორმა პროკურორის მანტია უნდა მოისხასო...**[10]

ეს იყო კომუნისტების მბრძანებლობისას, მაგრამ თავისუფალ საქართველოში რა ღმერთი გაგვიწყრა?!

ამ ბოლო ხელმძღვანელთა მოღვაწეობაზე საუბარს იმიტომაც ვარიდებ თავს, რომ იმის დასახელებაც მომიხდებოდა, ვინც ყოფილი თავმჯდომარის **თამაზ წივწივაძის** წინააღმდეგ მწერალთა კავშირში პროკურატურა მიიწვია...

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მომაქვს მცირე ამონარიდი ერთი ინტერვიუდან:

„— თქვენ რა წვლილი მიგიძღვით პროკურატურის მოწვევაში?

— ვფიცავ ჩემს ერთადერთ ომში დაღუპულ შვილს — აჩიკოს, რომ არავითარი. პროკურატურის შემოსვლის მესამე თუ მეოთხე დღეს მითხრეს, აქ არიან და ოთახიც გამოუყავითო. თამაზ წივწივაძემ ალბათ იცის, ვინ მოიწვია პროკუ-

რატურა. მე, პირადად, მწერლის დაჭერა-დაპატიმრების კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი და ვარ. სხვათა შორის, ბოლო თვეების მანძილზე მწერალთა კავშირიდან გასული რამდენიმე მწერალი ახლაც მეუბნება: დავბრუნდები მხოლოდ მაშინ, როცა მანდ „ახალი თაობის“ ის წარმომადგენელი არ იქნება, ვინც მწერლის დაჭერის განცხადებებით გამოდისო“ (რევაზ მიშველაძის ინტერვიუ, „მწერლის გაზეთი“, 2004. 18).

ქალბატონი თავმჯდომარეც აცხადებს: მე ამ მოწვევას ხელი არ მოვაწერე, დავხიე და იმავე დღეს ეს **თამაზ წივწივაძის** დას, ქალბატონ **დოდო წივწივაძეს** ვაცნობეო.

კარგად მოქცეულა, თუმცა ისიც ფაქტია, რომ მწერალთა სასახლეში კომისია მრავალი დღის განმავლობაში ქექავდა ქაღალდებს, მაგრამ **თამაზ წივწივაძის** მიერ ინდოეთამდე გათხრილი გვირაბი ვერ აღმოაჩინა.

ერთი თანამშრომელი კი თავს იკლავდა — სასახლეში პროკურატურა არ შემოსულაო. ვის დავუჯეროთ — მას თუ მის ხელმძღვანელებს?

სხვათაშორის, მეც მინახავს ის პროკურატურის მუშაკები იმ ოთახში როგორ ამოწმებდნენ საბუთებს...

მუშაობის ისეთი სტილიც აღიზიანებდა მწერლებს, რომლის ორ მაგალითს ახლა მოგახსენებთ:

2006 წელს გამოცემული „მწერალთა კავშირის ცნობარის“ საბოლოო ტექსტის დადგენის შემდეგ სიაში შემდგენლებისა და რედაქტორის უკითხავად მწერალთა კავშირიდან გასული **მუხრან მაჭავარიანი** და **რეზო ამაშუკელი** აღმოჩნდა.

პირველი ამ უზუსტობას არ გამოეკიდა — იმ ასაკში ვარ სიხარულსაც ვერიდები და წყენასაცო.

მეორემ „ლიტერატურული საქართველოს“ უახლოეს ნომერში უარყო წევრობა, მისი ეს ნაგვიანევი განცხადებაც ამას ადასტურებს:

„ჩემთვის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე დღესაც თამაზ წივწივაძეა! სხვა მწერალთა კავშირი და თავმჯდომარე ჩემთვის არ არსებობს!“ („ასავალ-დასავალი“ 2009. №24).

სამწერლო საზოგადოებას არც ის მიაჩნია სამართლიანად, მწერალთა კავშირის სახელობითი პრემიების გამანაწილებელ კომისიაში 7 წევრიდან 4 რომ ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი იყო და პრემიებსაც თავის თავს აკუთვნებენო: მ. გონაშვილი: გალაკტიონისა (2006) და ილიას (2009) პრემიები; რ. მიშველაძე: ილიას პრემია (2008); ვ. ოთარაშვილი: გალაკტიონის პრემია (2004); დ. შემოქმედელი: მაჩაბლისა (2008) და გალაკტიონის (2009) პრემიები.

დამატებაში ნახავთ: ხელმძღვანელობა არც შემდგომ წლებში იკლებდა ჯილდოებს.

კიდევ ბევრ რამეზე მომიწევდა არასასიამოვნო საუბარი, მე კი გულს უფრო მიხარებს ჩვენი საუკეთესო მწერლების დიდებული მოღვაწეობის გამომზეურება.

ამიტომ ახლანდელი ხელმძღვანელობის მოღვაწეობის ყოველმხრივი განსჯა მწერალთა კავშირის სხვა ისტორიკოსისთვის მიმინდვია.

მაგრამ არ მინდა ეს წიგნი დავამთავრო თავის დროზე საშვილიშვილო მიზნებისათვის შექმნილი, დიდებულ მწერალთა და მოღვაწეთა კავშირის იმ დაკნინებაზე საუბრით, რაშიც ბრალი მწერლებსაც, მათ ხელმძღვანელებსაც და ხელისუფლებასაც მიუძღვის. ამიტომ, რადგან არ შემიძლია ვინმეს თუნდაც მცირე სიკეთის ქმნა დავუვიწყო, თუმცა „XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაში“ ამის თაობაზე უკვე ვისაუბრე, აქაც უნდა გავიმეორო.

ესაა, რომ მანამდე ცოტა უკან დახევა მომიწევს (იქნებ ვინმეს ასე დაწვრილებით საუბარი ზედმეტად მოეჩვენოს, მაგრამ აქ საქმე მწერალთა კავშირის ისტორიისა და მწერლების პოლიტიკური რეპრესირების ტრაგიკულ ამბებს და მასთან ზოგიერთი ხელმძღვანელის დამოკიდებულებას ეხება):

მაგალითი პირველი.

გამომცემლობა „მერანში“ იდო და იდო ჯერ კიდევ 1994 წელს რედაქტირებული „წამების გზის“ მეორე წიგნი. იმის მიუხედავად, რომ ბატონმა **თამაზ წივწივაძემ** გამომცემლობას მისწერა: გთხოვთ ამ წიგნის შინაარსი გაითვალისწინოთ და მწერალთა კავშირის კუთვნილი დივიდენდების ანგარიშში გამოსცეთო, არა და არ ბეჭდავდნენ – მთ. რედაქტორმა ბატონმა **გივი ალხაზიშვილმა** მითხრა: შენ დიდმა მწერლებმა გაჯობესო.

არა მგონია რომელიმე დიდი მწერალი იკადრებდა ეთქვა: დახვრეტილი, გადასახლებაში გატანჯული ჩვენი საუკეთესო მწერლების წამების წიგნი მოითმენს, ჯერ ჩემი წიგნი გამოეცითო... მაგრამ ჩვენი გივი ასე იმართლებდა თავს, ბოლოს, „მერანის“ გაუქმებისას, ამ წიგნის გამოცემა „ეროვნულ მწერლობას“ გადაულოცა...

და, აი, 2003 წელს, ქვიშხეთში, მწერალთა შემოქმედებით დასასვენებელ სახლში მოხსენების კითხვისას (იქაც არ ვისვენებ!) **მაყვალა გონაშვილმა** (და **შარლოტა კვანტალიანმა**) წამოიძახა: რეზო, ამას კითხვა კი არა, დაბეჭდვა უნდა! ბოლო წლებში პირველად შექმნილი გამომცემლობის გეგმის შემდგენი კომისიის თავმჯდომარე ვარ, სექტემბერში შემახსენე ეგ წიგნიო.

მართლაც პირველ ნომრად ჩასვა „წამების გზის“ II წიგნი „ეროვნული მწერლობის“ 2004 წლის გეგმაში – როგორ შეიძლება ასეთი სიკეთის დავიწყება?! გამომცემლობაში კი წიგნის შემოკლებას მთხოვდნენ. ვისი ხსოვნა, ვისი სული გავწირო-მეთქი! წიგნი როგორც იქნა 2005 წელს გამოვიდა.

მეორე მაგალითი ასეთია – იმის მიუხედავად, რომ ერთ დროს, მწერალთა კავშირის სასტიკად გამათრახებისას, რევაზ მიშველაძემ, თამაზ წივწივაძის გაკრიტიკებასთან ერთად, მეც მწარედ გადამკრა მათრახი – წივწივაძის კაცი ხარო (გამოთქმა შევარბილე), – 2004 წელს თავმჯდომარის მოად-

გილედ არჩეულმა, მხოლოდ მან დააფასა „ლიტერატურული ორშაბათობები“ – მწერალთა კავშირში სწორედ ლიტერატურაზე, კავშირის, მისი წევრების წარსულსა და აწმყოზე უნდა იყოს საუბარიო და საღამოებს შესავალი სიტყვით ხსნიდა...

ეს უნდა მეთქვა.. ახლა კი ნამდვილად შეიძლება ამ წიგნის დასრულება.

P.S. ძალიან მინდოდა ეს ასე დამთავრებულიყო, მაგრამ წიგნის გამოცემა არც ისე იოლი საქმეა, მით უმეტეს, როცა მწერალთა კავშირი და მისი გამომცემლობა თავისი ისტორიის არც წინა წიგნით დაინტერესდა და არც ამ მეორეთი.

ამ წიგნის დამთავრება დაემთხვა საქართველოს მწერალთა კავშირის წევრთა 23-ედ ჩათვლილ ყრილობას (2009.15.VI).

დაწყებული 1954 წლიდან მწერალთა ყველა ყრილობას დავსწრებივარ და მის მუშაობაში მონაწილეობა მიმიღია. გულწრფელი არ ვიქნები თუ არ ვიტყვი, რომ უკანასკნელი სამი ყრილობა ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. საქმე მხოლოდ ის არაა, რომ ყველაფერი ღია კენჭისყრით ხდებოდა. მთავარი ის იყო, რომ ეს კენჭისყრაც წესების დარღვევით ტარდებოდა.

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლება, მაგრამ გავიმეორებ იმას, რაც წინა წიგნშიც ვთქვი:

2004 წლის ყრილობაზე იმ ბობოლა მწერლებს, რომლებიც მაშინ მწერალთა კავშირში ირიცხებოდნენ, კეთილი უნდა ენებათ და თავიანთი შემოქმედების ძვირფასი დროიდან ერთი დღე გაემეტებინათ, ყრილობას დასწრებოდნენ, კენჭისყრაში მონაწილეობა მიეღოთ თუ უნდოდათ ხელმძღვანელობაში ძალთა თანაფარდობა სხვანაირი ყოფილიყო.

ასე, რომ არ მოიქცნენ, დიდი შეცდომა დაუშვეს. შეცდომის გამოსწორება კი რა ძნელია, ორმა შემდეგმა ყრილობამ (2006, 2009) დაადასტურა. განაწყენებულმა კავშირი რომ მიატოვეთ, ამას ჰქონდა ერთგვარი გამართლება – საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო – უთქვამს ბრძენკაცს.

მაგრამ ისიც დაუბარებიათ: ალიფაშამ გვიღალატა, ჩვენ ჩაგვყარა რუსის ხელშიო.

ობიექტურობა რომ დავიცვათ, ორი დაინტერესებული მხარის აზრსაც მოვუსმინოთ:

ერთი ქალბატონი მწერალი 2009 წელს, ნაყრილობევს სახეგაბადრული მამართავს ორ მანდილოსანს, მწერალთა კავშირის წევრებს, აგრეთვე თანამშრომელ ქალბატონს: მადლობა ღმერთს, ყველაფერი კარგად ჩატარდა, მშვიდად შეგვიძლია მუშაობა გავაგრძელოთო.

ოპოზიციური „საერთო გაზეთის“ (მთ. რედაქტორი – **ვახტანგ ხარჩილავა,** 2009.17.VI) რედაქციის აზრი კი ასეთია:

„15 ივნისს ქართული მწერლობის ნადირაძეებმა და ბექაურებმა, ქართული მწერლობის ლევან თარხნიშვილის, გურამ გოგიაშვილის რეჟისორობით სამარცხვინო სპექტაკლი დადგეს...“

ამავე გაზეთში გამოქვეყნდა პოეტ **ზაურ კალანდიას** შთაბეჭდილება:

„რაც ყრილობაზე იყო, არჩევნებს ვერ ვუწოდებ, რა არჩევნები და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელთა ანგარიშია, ოთხი-ხუთი კაცი გამოვიდა, თქვა სადღეგრძელოს მსგავსი სიტყვა და საარჩევნო ურნა (არჩევნების მთავარი - ატრიბუტი) საერთოდ არ გვინახავს. თავიდანვე ვიცოდი, ასეც მოხდებოდა, როცა ყრილობის თავმჯდომარედ გურამ გოგიაშვილი დაასახელეს... რაც ბატონმა გოგიაშვილმა გააკეთა, ბატონ თარხნიშვილს არ უკადრია...“

ყრილობის შედეგი კი „მწერლის გაზეთის“ (2009, №10) მიხედვით ასეთია:

„საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მაყვალა გონაშვილი.

მოადგილეებად: რავაზ მიშველაძე (პირველ მოადგილედ), ვაჟა ოთარაშვილი, ბაღათერ არაბული.

ყრილობამ ცნობად მიიღო მაყვალა გონაშვილის ბრძანება დავით შემოქმედელის (ტაკიძე) კავშირის ორგმდივნად დანიშვნის შესახებ“

ამასთან **ბაღათერ არაბული** ხელმძღვანელობაში შეყვანილი ახალი წევრია, ხოლო **დავით შემოქმედელის** ბრძანებით დანიშვნა ყრილობამ ოდნავ სახეშეცვლილად — ორგმდივნად მიიღო ცნობად, ხელმძღვანელობამ კი პასუხისმგებელ მდივნად გააფორმა.

ახლა სწორედ მათ წარმოგიდგენთ:

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„მწერალთა კავშირის ხელმძღვანელი აპარატის გაიგივება არ შეიძლება ზოგადად ქართულ მწერლობასთან — ეს ორი სხვადასხვა ცნებაა“

ოთარ ჭილაძე, ბედნიერი ტანჯული, 1988

* * *

საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე (2009 წლიდან)
ბაღათერ არაბული (დ. 1948)



მწერალთა ყრილობამ 2009 წლის 15 ივნისს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილედ აირჩია პოეტი **ბაღათერ არაბული.**

მან თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტის პარალელურად დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი (1973).

სამწერლო მოღვაწეობას ეწევა 1983 წლიდან. ამავე ხნიდან დღემდე ჟურნალ „ცისკარის“ თანამშრომელია, არის ჟურნალ „ნობათის“ მთავარი რედაქტორი, ქართველ მწერალთა ლიტერატურული ფონდის დირექტორის მოადგილე.

მის პირველ წიგნს (1977) მოჰყვა რამდენიმე კრებული, ბ. არაბულის პოეზიის „რჩეული“ კი ბათუმში გამოიცა (2003).

პოეტური მოღვაწეობისათვის მინიჭებული აქვს ვლადიმერ მაიაკოვსკის სახელობის (1983), საქართველოს პროფკავშირების (1989), ქუთაისის სამწერლო ორგანიზაციის ტიციან ტაბიძის პრემიები; მონაწილეობდა ევროპის ქვეყნების პოეზიის ფესტივალში (ესპანეთი, 2002), 2010 წლის 7 მაისს, „პოეზიის დღის“ ზეიმის დროს **ბაღათერ არაბულს** მიეკუთვნა ყოველი პოეტის საოცნებო ჯილდო – გალაკტიონ ტაბიძის პრემია.

საქართველოს მწერალთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი (2008 წლიდან)
დავით შემოქმედელი (ტაკიძე) (დ. 1953)



ფოტო დემიკო ლოლაძისა

მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მაყვალა გონაშვილის 2008 წლის 1-ლი ნოემბრის №1 ბრძანებით **დავით შემოქმედელი** დაინიშნა მწერალთა კავშირის მდივნად. გალაკტიონ ტაბიძისა (2009) და ივანე მაჩაბლის (2008) პრემიების ლაურეატი დავით შემოქმედელი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა გასული საუკუნის 70-იან წლებში. მწერალთა კავშირის წევრია 1983 წლიდან, პირველი წიგნი „სიმაღლე“ ბათუმში გამოსცა 1984 წელს. მისი მთავარი კრებულებია: „ჩემი დიდი ცა“ (1986), „ტაძართან“ (ერთტომეული, 1990), „სიტყვების მალამო“ (ერთტომეული, 2000), „რატომ ტირიან ჩიტები ზამთარში“ (2008, ტ.I პროზა, ტ. II – პოეზია). ბოლო წლებში დავითი მწერალთა კავშირში ლიტერატურის კონსულტანტად მუშაობდა. 2009 წლის 15 ივნისს საქართველოს მწერალთა ყრილობამ ცნობად მიიღო დავით შემოქმედელის (ტაკიძე) მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში შეყვანა, 2010 წლიდან კი იგი რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტია.

ამრიგად, 1992 წლიდან დამოუკიდებელი საქართველოს მწერალთა კავშირის (ერთხანს „საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავშირის“) ხელმძღვანელები იყვნენ:

ა) თავმჯდომარეები

გურამ ფანჯიკიძე 1992-26.03-1997.27.08 (გარდაცვალებამდე)

თამაზ წივწივაძე 1997.03.10-2004.27.II(გადადგომამდე)

მაყვალა გონაშვილი 2004.27.02-2006.21.10;

2006.21.10-დან

ბ) თავმჯდომარის მოადგილეები

რეზო ჭეიშვილი 1992.26.03-1995.18.05;

2004.27.02-2006.21.10

ელგუჯა მაღრაძე 1995.05-1999.24.06 (გარდაცვალებამდე)

გურამ ბენაშვილი 2000.21.10 – 2003

რევაზ მიშველაძე 2004.27.02-2006.21.10.

2006.21.10-დან

ვაჟა ოთარაშვილი 2004.27.02-2006.21.10;

2006.21.10-დან

ბაღათერ არაბული 2009-დან

გ) გამგეობის მდივნები

დავით მჭედლური 1992.26.06-2000.21.10

რეზო ჭეიშვილი 1995.18.05-2000.21.10

დავით შემოქმედელი (ტაკიძე) 2008.1.XI-დან

* * *

მადლობა ღმერთს, ამჯერად მართლა გავასრულე ეს წიგნი!

ის იყო ასე გავიფიქრე და თავისუფლად ამოვისუნთქე, რომ მოხდა ის, რაც მოსალოდნელი იყო.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის სისხლიან 30-იან წლებში **ნიკოლო მიწიშვილმა** თავისი და მის პოზიციებზე მდგომი მწერლების აზრი ასე გამოთქვა ვითომ არჩეულ, სინამდვილეში კომპარტიის ცეკას მიერ დანიშნულ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაზე: სავარძელში რომ ჩაჯდებიან, თავი ყველაფრის უფლების მქონედ არ უნდა მიიჩნიონო.

ამას მაშინ გვარიანი გამბედაობა უნდოდა, მით უმეტეს, რომ პოეტმა ეს საქართველოს მაშინდელ ერთპიროვნულ მმართველს **ლ. ბერიას** მისწერა 1934 წლის 14 სექტემბერს:

„ლიტერატურა მემკვიდრეობა არ არის და ... ამ კოლექტივის ადამიანების ხელმძღვანელი არ უნდა ამცირებდეს მათ...

...ნურავინ იფიქრებს, თითქოს ჩვენ, მწერლები, დაკოდილი ცხვრების ფარა ვიყოთ და თავმჯდომარეს უფლება ჰქონდეს თავისი სურვილის მიხედვით დაკლას, ვინც სურს და როცა სურს“ („საარქივო მოამბე“, №10, 2011, გვ. 116).

შემდეგაც, შედარებით მშვიდობიან წლებშიც, აწუხებდა მწერლებს ეს საკითხები, კერძოდ, მდივნების ყოველგვარ ზღვარს გადაცილებული ჯდომა ხელმძღვანელთა სავარძლებში და ეს კიდევაც გამოხატა ახალგაზრდა **მურმან ლებანიძემ** მწერალთა ფორუმზე 1971 წლის აპრილში:

„ლიტერატურული აზრის, ლიტერატურის გაცოცხლებისა და პროგრესისთვის აუცილებელია მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის დროული შეცვლა-გადახალისება“.

მანამდე და შემდეგაც იყო შემთხვევები (რაზეც ამ წიგნშიც გვქონდა საუბარი), როცა ხელმძღვანელის სავარძელში ჩამჯდარ პოეტს თავი უკვე **გალაკტიონი** ეგონა, პროზაიკოსი

კი **მიხეილ ჯავახიშვილსა** და **კონსტანტინე გამსახურდიას** ეზომებოდა, თანამოკალმეებს და თანამშრომლებს ცოტა ზემოდან დასცქეროდა.

ამ შედარებით ზოგადი ჩივილის შემდეგ მწერალთა კავშირის ბოლოდროინდელ რეალობას მივხედოთ.

მწერალთა კავშირის ბოლო (2004-დან) ხელმძღვანელობის უარის თქმამ **ნოდარ გრიგალაშვილის** გონივრულ პროექტზე – „მწერალთა კავშირის სასახლე“ „მწერალთა სასახლედ“ ვაქციოთ, რომლითაც ახალ პირობებში წარმოქმნილი ყველა სამწერლო გაერთიანება ისარგებლებსო, ამ ხელმძღვანელთა დაჩემებამ სასახლე მხოლოდ მწერალთა კავშირის უნდა იყოსო – მწერალთა გარეთ არსებული სამწერლო ძალებიც, მათ შორის, მწერალთა კავშირიდან გასულნიც გააღიზიანა და ხელისუფლებაც. ეს გაღიზიანება სასახლიდან მწერალთა ხელმძღვანელობის უცერემონიო გამოძევებით დასრულდა...

ახლა, 2011 წელს, მრავალი წლის შემდეგ ისევ ადრინდელი პროექტი ხორციელდება.

რა გამოვიდა? 4 წელი უბინაობაში გაგვიცდა და იმ პირობებში ვბრუნდებით (ვბრუნდებით კი?.. ეს ეჭვიც გვიღრნის გულს), სადაც ჯიუტად არ გვინდოდა ყოფნა...

მაგრამ იმან, რაც ამ ბოლო წლებში მოხდა, ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა.

მე გაკვრით მოგახსენეთ მწერალთა კავშირის გამომცემლობაში გამეფებულ თავნებობაზე. მოსალოდნელი იყო ეს რამე დროს იფეთქებდა.

ასეც მოხდა და მე არ მაპატიებენ, ამაზე რომ ხმა არ ამოვიღო.

მაგრამ უფრო სამართლიანად მივიჩნიე ამ უსიამოვნო ამბავზე მე კი არ ვისაუბრო, არამედ ამ წიგნის დამატებაში ასპარეზი დავუთმო იმათ, ვინც წლების განმავლობაში ამცირეს და ავიწროეს.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

ა) „ახალი თაობის მოაზროვნე ნაწილს თავისუფლად შეუძლია იკითხოს, როგორც მოახერხა თბილისმა და როგორ გადაუმალა საქართველოს ბრწყინვალე პოეტები ესმა ონიანი, დავით წერედიანი, ანდა ისეთი ფანტასტიკური მწერალი, ერთადერთი წიგნის („ზღაპარში მოხვედრილი ბიჭის ამბავი") ავტორი ლევან ბოლქვაძე, დიდებული მწერალი ნიკოლოზ გაბაონი"...

მაკა ჯობაძე, თაობის ინსტინქტი, „ჩვენი მწერლობა", 2011. №14.

ბ) მწერალთა გამომცემლობა

საქართველოს გასაბჭოებისთანავე განათლების სახალხო კომისარიატთან დაარსდა **„სახელოვნო კომიტეტი"** (თავმჯდომარე – **გრიგოლ რობაქიძე,** ლიტერატურის განყოფილების გამგე – **აკაკი პაპავა**)

ამ „ლიტერატურის განყოფილებიდან", როგორც ბატონმა **პავლე ინგოროყვამ** ბრძანა (ჟურნ. „ქართული მწერლობა", 1923.№1), მალე შეიქმნა გამომცემლობა **„ქართული წიგნი"** (რომელსაც, სხვათა შორის, საერთოდ ვერ იპოვით ქსე-ში).

როგორც 1925 წელს გაზ. „კომუნისტი" იუწყებოდა (1925.17.IX. №213): „გამომცემლობა „ქართული წიგნი" გამოსცემს პირველ წიგნს – **გერონტი ქიქოძის** თარგმნილ ბედიეს „ტრისტან და იზოლდას".

ამავე წლიდან საფუძველი ჩაეყარა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა 10-ტომეულის გამოცემას.

ამრიგად, არსებობას იწყებს მწერლების **„ბეჭდვითი სიტყვის საპაიო ამხანაგობის“** გამომცემლობა – **ქართული წიგნი“** – 1925-1931.

ფედერაციების ხანაში („ამიერკავკასიის ფედერაცია“, 1922-1936; „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია“, 1928-1932) პროლეტარული მწერლობის ხელმძღვანელობამ კომუნისტების ჩვეულ ხერხს მიმართა – ჯერ პრეზიდიუმმა (1931.9.IV), შემდეგ – სამდივნომ (1931.31.X) დაადგინა და **„ბეჭდვითი სიტყვის საპაიო ამხანაგობას“** ჩამოართვა გამომცემლობა **„ქართული წიგნი“** (ლხცსა, 8-1-239-10).

პროლეტმწერალთა ლიდერმა **ბენიტო ბუაჩიძემ** ნიშნიც მოუგო ძველ მფლობელებს: „ჩვენი მუშაობის დადებით შედეგებს უნდა მივაწეროთ გამომცემლობა „ქართული წიგნის“ „აკადემიკოსთა“ საკუთრებიდან გამორიცხვა. „ქართული წიგნი“ აკადემიკოსებისათვის* მოქმედი აგიტპროპი იყო“ (ბ. ბუაჩიძისა და ა. მაშაშვილის კრებული „მწერლობის მიმდინარე საკითხები“, 1931. გვ.21).

ამგვარად მოპოვებული გამომცემლობა მწერალთა სასახლეში მოათავსეს ახალი სახელწოდებით – **„ფედერაცია“** – 1931-1942.

1935 წელს ლიკვიდირებული **„ყოფილ კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების“** საქართველოს განყოფილების გამგეობის გამომცემლობა **„პოლიტკატორღელი“** და სტამბა ამ საზოგადოების ყოფილი თავმჯდომარის, მწერალთა კავშირის გამომცემლობის ახალდანიშნული დირექტორის, რომანისტ **პავლე საყვარელიძის** თაოსნობით და საქართველოს ცაკის 1935 წლის დადგენილებით გადაეცა გამომცემლობა „ფედერაციას“, რომელიც გადავიდა ახალშემოერთებული გამომცემლობისა და მისი სტამბის მისამართზე – გ. პლეხანოვის (ახლა – დავით აღმაშენებლის) გამზირზე, №181.

---

* იგულისხმება აკადემიური მწერლები

ფედერაციების მოდიდან გამოსვლისა (1937-38 წლებში სახელწოდების შეცვლა ვის ახსოვდა) და გერმანიასთან ომში მომხდარი საბჭოეთის სასარგებლო გარდატეხის შემდგომ მოიცილეს ძველი სახელწოდება და მწერალთა გამომცემლობას უწოდეს – **„საბჭოთა მწერალი“**, 1943-1963.

1957 წელს მწერალთა კავშირს გადაეცა გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“ (დირექტორი – **მარკ ზლატკინი**, მთ. რედაქტორი – **დემნა შენგელაია**).

როცა სახელმწიფომ ყველაფრის ცენტრალიზება გადაწყვიტა, საუწყებო გამომცემლობაც თავის გამგებლობაში გადაიყვანა: **„საბჭოთა მწერალი“** შეუერთა **„ხელოვნებას“**, ასე შეიქმნა და ამ უკანასკნელთან (გ. პლეხანოვის გამზ. 179) დაბინავდა გამსხვილებული გამომცემლობა – **„ლიტერატურა და ხელოვნება“**, 1963-1968.

როდესაც მწერალთა კავშირმა დიდი ძალისხმევით მოახერხა გამომცემლობის ნაწილობრივ დაბრუნება, 1968 წელს, **ნიკოლოზ ბარათაშვილის** დიდ იუბილესთან დაკავშირებით, გამომცემლობა „ხელოვნების“ ისევ ცალკე გამოყოფით და მწერალთა კავშირისთვის 25%-ის მიკუთვნებით რეორგანიზებული გამომცემლობა ახალ მისამართზე – რუსთაველის გამზ. 42, გაზეთისა და გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ შენობაში დააბინავა ახალი სახელწოდებით – **„მერანი“**, 1968-2007.

2004 წელს, „მერანის“ პრივატიზაციის შემდეგ, მისგან კუთვნილი წილის (25%) გამოყოფით იმავე შენობაში შეიქმნა საქართველოს მწერალთა კავშირის გამომცემლობა – **„ეროვნული მწერლობა“**, 2004-2011.

2007 წელს ყოფილი „ზარია ვოსტოკას“ („მერანის“) შენობის გაყიდვასთან დაკავშირებით „ეროვნული მწერლობა“ გადავიდა ახალ მისამართზე – მხატვრის ქ., **„მერანმა“ კი არსებობა შეწყვიტა.**

„ეროვნული მწერლობის“ ახალ მესვეურებს სურთ „მერანის“ ნეკნიდან შექმნილი, ძველი ხელმძღვანელის მიერ ჯაგლაგ ცხენად გადაქცეული გამომცემლობა ისევ ადრინდელ მფრინავ რაშად აქციონ. სწორედ ამ მიზნით აღუდგინეს ძველი სახელწოდება – „მერანი“ – 2011.

გ) „მას აქეთ, რაც წიგნის გამოცემა გაიოლდა, მწერლობა მოდურ საქმიანობად იქცა“.

„რატომ გამოდგა თავისუფლება ასეთი მწარე და გაუსაძლისი? ხომ არ ვგავართ იმ ფრთებმოკვეცილ ფრინველს, რომელსაც გალიაში ხანგრძლივმა ჯდომამ ფრენა დაავიწყა?“

ანდრო ბუაჩიძე

* * *

თავი VII.
საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი ორგანიზაციის ხელმძღვანელები 1917 წლიდან დღემდე

I მთავარი ხელმძღვანელები

(სხვადასხვა დროს ერქვათ სხვადსხვა სახელი: თავმჯდომარე, პასუხისმგებელი მდივანი, პირველი მდივანი)

თავმჯდომარეები

1. **„ქართველ მწერალთა კავშირი“** (1917-1920), **„საქართველოს მწერალთა კავშირი“** (1920-1926)

კოტე მაყაშვილი – 1917.22.X–1926.24.II

2. **„სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი“** (1926-1928)

სილიბისტრო თოდრია – 1926.24.II–1928.14.III

3. **„საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია“** (1928-1932)

სილიბისტრო თოდრია – 1928.14.III–1932.16.V

4. **„საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი“** (1932-1988)

მალაქია ტოროშელიძე – 1932.1.VII–1935.13.III

აკაკი თათარიშვილი – 1935.13.III–1937.14.IV

პასუხისმგებელი მდივნები

კანდიდ ჩარკვიანი – 1937.26.IX–1938.31.VIII

ალიო მაშაშვილი – 1938.31.VIII – 1939.29.IX

(მირცხულავა)

ირაკლი აბაშიძე – 1939.29.IX–1944.24.III

თავმჯდომარეები

სიმონ ჩიქოვანი – 1944.24.III–1951.23.II

გიორგი ლეონიძე – 1951.23.II–1953.22.VI

პირველი მდივანი
ირაკლი აბაშიძე – 1953.22.VI–1964.24.XII

თავმჯდომარე
ირაკლი აბაშიძე – 1964.24.XII–1967.17.II

პირველი მდივანი
გრიგოლ აბაშიძე – 1967.17.II–1973.3.X

თავმჯდომარეები
გრიგოლ აბაშიძე – 1973.3.X–1981.31.III
ნოდარ დუმბაძე – 1981.31.III–1984.14.IX
შოთა ნიშნიანიძე – 1984 ოქტ.–1986.5.II
გიორგი ციციშვილი – 1986.5.III–1988.26.X

5. გარდამავალი წლების (1988-1992) საქართველოს მწერალთა კავშირი

თავმჯდომარე
მუხრან მაჭავარიანი – 1988.26.X–1992.10.I

6. დამოუკიდებელი საქართველოს მწერალთა კავშირი (1992-დან)

თავმჯდომარეები
გურამ ფანჯიკიძე – 1992.26.III–1997.27.VIII
თამაზ წივწივაძე – 1997.3.X–2004.27.II
მაყვალა გონაშვილი – 2004.27.II-დან

II მოადგილეები

1. „ქართველ მწერალთა კავშირი“, „საქართველოს მწერალთა კავშირი“

შალვა დადიანი – 1917.22.X–1920.4-6.IV
აკაკი პაპავა – 1920.9.IV–1921.9.IV
ტიციან ტაბიძე – 1920.9.IV–1921.23.X
ალექსანდრე აბაშელი – 1921.9.IV–1921.9-12.X
ვახტანგ კოტეტიშვილი – 1921.9.IV–1921.9-12.X
ლეო ქიაჩელი – 1921.23.X–1922.29.XII
იოსებ გრიშაშვილი – 1921.23.X–1923.15.IV
სოლომონ თავაძე – 1922.29.XII–1923.15.IV
ნიკო შიუკაშვილი – 1923.12-13.IV–1923.27-28.X
ალექსანდრე აბაშელი – 1923.29.X–1926.24.II

2. „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი“

გრიგოლ რობაქიძე – 1926.24.II – 1928.14.III
ალექსანდრე აბაშელი – 1926.24.II – 1928.14.III

3. „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია“

გრიგოლ რობაქიძე – 1928.14.III–1930.15.XI

4. „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი“

ნიკოლო მიწიშვილი – 1932.01.07–1933.08.04
სანდრო ეული (ქურიძე) – 1932.01.07–1933.08.04
პაველ საყვარელიძე – 1933.08.04–1933.05.X

5. დამოუკიდებელი საქართველოს მწერალთა კავშირი

რეზო ჭეიშვილი – 1992.26.III–1995.18.V;
2004.27.II–2006.21.X
ელგუჯა მაღრაძე – 1995. მაისი –1999.24.VI
ვაჟა ოთარაშვილი – 2004.27.II–დან
რევაზ მიშველაძე – 2004.27.II–დან

ბაღათერ არაბული – 2009.15.VI–დან

III საბჭოს, გამგეობის მდივნები

1. „ქართველ მწერალთა კავშირი“, „საქართველოს მწერალთა კავშირი“

იოსებ გრიშაშვილი – 1923.29.X–1926.24.II

2. „სრ. საქართველოს მწერალთა კავშირი“

ჟანგო (ივანე) ლოლობერიძე – 1926.22.III – 1927. აპრილი

კონსტანტინე ლორთქიფანიძე – 1927. ოქტ. – 1928.18.III

3. „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია“

ალიო მაშაშვილი – 1928.18.III–1928.11.VII
1930.15.XI–1932.16.V

შალვა რადიანი – 1928.11.VII–1930.15.XI
1930.13.XII–1931.14.IX

პანტელეიმონ ჩხიკვაძე – 1930.15.XI–1930.13.XII
1932.13.I–1932.16.V

სიმონ წვერავა – 1931.14.IX–1931.19.XII

ტიციან ტაბიძე – 1930.15.XI–1932.16.V

სიმონ ჩიქოვანი – 1930.15.XI–1932.16.V

არისტო ჭუმბაძე – 1930.15.XI–1932.16.V

4. „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი“

(გამგეობის მდივნებს ზოგჯერ პმგ მდივანიც, პირველი მდივანიც ერქვათ)

ბესო ჟღენტი – 1932.01.07–1937.26.09;
1958.29.04–1976.18.10

ნიკოლო მიწიშვილი – 1933.05.10–1934.19.09
(1934.05.09-დან–პმგ მდივანი)
პანტელეიმონ ჩხიკვაძე – 1933.05.09–1934.19.09
დავით დემეტრაძე – 1933.05.10–1937.26.09
(1934.19.09-დან – I მდივანი)
სანდრო ეული – 1934.19.09–1939.29.09
ვალერიან გაფრინდაშვილი – 1934.19.09–1939.29.09
კონსტ. ლორთქიფანიძე – 1937.14.04–1937.09.06
გიორგი ჯიბლაძე – 1944.24.03–1946.13.09
ალ. გომიაშვილი – 1946.13.09–1950.07.06
ოთარ ჩხეიძე – 1950.07.06–1951.23.02
სერგი ჭილაია – 1951.23.02–1953.22.06
(პმგ მდივანი),
1953.22.06–1973.03.10
გიორგი ლეონიძე – 1953.22.06–1957.06.12
იოსებ ნონეშვილი – 1964.24.12–1980.06.10
(გარდაცვალებამდე)
ელგუჯა მაღრაძე – 1967.19.06–1967.17.11
ნოდარ გურეშიძე – 1971.29.04–1973.03.10
გაფეზი (თედორე გაგლოითი) – 1971.29.04–1973.03.10
ივანე თარბა – 1971.29.04–1973.03.10
მუხრან მაჭავარიანი – 1971.29.04–1973.03.10
რევაზ ჯაფარიძე – 1971.29.04–1973.03.10
ფრიდონ ხალვაში – 1971.29.04–1973.03.10; 1986.17.05–1988.26.10
ჯანსუღ ჩარკვიანი – 1971.29.04–1973.03.10
1977.01.12–1988.26.10
თამაზ ჭილაძე – 1971.29.04–1973.03.10;
1981.31.03–1988.26.10

თენგიზ ბუაჩიძე – 1973.03.10–1977.25.03(I მდივანი)
ნოდარ დუმბაძე – 1973.03.10–1981.31.03
გიორგი ციციშვილი – 1977.25.03–1985.18.06
გ. ჟორჟოლიანი – 1977.25.03–1981.31.03
შოთა ნიშნიანიძე – 1981.31.03–1984.ოქტ
1986.05.02–1988.26.10
რომან მიმინოშვილი – 1981.31.03–1986.17.05
ვალერი ასათიანი – 1984. ოქტ–1985.09.09
რევაზ ინანიშვილი – 1985.18/.06–1988. 26.10
რევაზ ამაშუკელი – 1985.09.09–1986 ოქტ
ხუტა ბერულავა – 1986.17.05–1988.26.10
ლაშა თაბუკაშვილი – 1986.17.05–1988.26.10
ისიდორ ქოზაევი – 1986.17.05–1988.26.10
ალექსი ჯონუა – 1986.17.05–1988.26.10

4. გარდამავალი წლების საქართველოს მწერალთა კავშირი

ხუტა ბერულავა – 1988.26.X–1992.10.I
ენვერ ნიჟარაძე – 1988.26.X–1992.10.I
გურამ ფანჯიკიძე – 1988.26.X–1992.10.I

6. დამოუკიდებელი საქართველოს მწერალთა კავშირი

დავით მჭედლური – 1992.26.VI–2000.21.X
რეზო ჭეიშვილი – 1995.18.V–2000.21.X
დავით შემოქმედელი – 2008.1.XI – დან
(ტაკიძე)

ყველაზე ხანგრძლივად საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელებად მუშაობდნენ:

მთავარი ხელმძღვანელები

ირაკლი აბაშიძე — 18 წელიწადს სხვადასხვა დროს
გრიგოლ აბაშიძე — 14 განუწყვეტლად
კოტე მაყაშვილი — 9 განუწყვეტლად

მდივანი და თავმჯდომარე

ნოდარ დუმბაძე — 13 განუწყვეტლად

თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი

რეზო ჭეიშვილი — 10 წელიწადს

გამგეობის მდივნები

ბესო ჟღენტი — 23 სხვადასხვა დროს
სერგი ჭილაია — 22 განუწყვეტლად
იოსებ ნონეშვილი — 16 განუწყვეტლად
ჯანსულ ჩარკვიანი — 13-ნახევარი სხვადასხვა დროს
თამაზ ჭილაძე — 10 წელიწადს სხვადასხვა დროს

ყველაზე ცოტა ხანს მუშაობდნენ:

მთავარი ხელმძღვანელები

კანდიდ ჩარკვიანი — 11 თვეს
ალიო მაშაშვილი — 14 თვეს

თავმჯდომარის მოადგილე

პავლე საყვარელიძე — 5 თვეს

გამგეობის მდივნები

სოლომონ თავაძე — 4 თვეს („საქართველოს მწერალთა კავშირი“)

კ. ლორთქიფანიძე — 6 თვეს (სრ. საქ. მწერალთა და საბჭ. მწერლების კავშირები)

ნიკო შიუკაშვილი — 6 თვეს („საქართველოს მწერალთა კავშირი“)

ოთარ ჩხეიძე — 8 თვეს („საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი“)

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„1969-70 წლებში, ქართველებს სცალიათ წიგნისთვის, სცალიათ ქართული მწერლობისთვის

სუფრაზე პოლიტიკის ნაცვლად ლიტერატურაზეა საუბარი და თითქოს ცა ჩამოიქცაო და ბევრს აღმოხდა — მოვიდა! დაბრუნდა საპყრობილედან გამოსული, ერთ ღამეში გაჭაღარავებული ახალგაზრდა კაცი — ვოვა სიხარულიძე, მოვიდა მოთხრობებით: „მაცგი“, „უხამსი“ და მეოცე საუკუნის ქართული მწერლობის ერთ-ერთი შედევრით „მეათე მოწმე“. მოვიდა და ერთ დღეს გახდა ჩვენთვის, მათთვის, ვინც პირველად შეჰბედეს კალამს, სენსეი!...

ახლა, როცა ვოვაზე უფროსი ვარ, მისი მოწაფეობის შეგრძნება არ გამნელებია“.

ლაშა თაბუკაშვილი

* * *



როსტომ ჩხეიძე, დავით წერედიანი, ვახტანგ ჯავახაძე.
„ჩვენი მწერლობის“ რედაქცია, 2011, მაისი.

* * *

მწერლური ცხოვრებიდან:

„კითხვის ნიშნის ქვეშ მოექცა მწერალთა კავშირის არსებობის საჭიროება...“

მეორე მხრივ

„...მთავარი ერთ სასახლეში მეზობელ ოთახებში შეკედლებული და ხელახლა მოსაპოვებელი პრივილეგიების გადანაწილება როდია. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და ღირსეული XXI საუკუნის ქართული მწერლობის მომავალია, რომელსაც ეროვნული ღერძიდან ამოვარდნა საბედისწერო საფრთხეს უქმნის“

იკა ქადაგიძე, ვის მივყიდით ქართულ მწერლობას?!
ჟურნ. „თავისუფალი თემა“, 2004 წ.

* * *



მანანა გორგიშვილი, მარინე ცხვედიაშვილი, ვანო ცინცაძე, რევაზ კვერენჩხილაძე, გივი შაჰნაზარი, მურმან თავდიშვილი, ლიდა სტვილია, ანზორ აბულაშვილი, ზეზვა მედულაშვილი, ბადრი ქუთათელაძე, რეზო ადამია, ზაალ ბოტკოველი, დავით შემოქმედელი, ვლადიმერ სარიშვილი.

საბელობითი ლიტერატურული პრემიებით დაჯილდოება „ქართული ენის დღისადმი“ მიძღვნილ ზეიმზე, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, 2012, 12 აპრილი. ფოტო ლევან გორგიჯანიძისა.

დამატება

I. XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების (თბ. 2008) შესავსებად

შესაძლებლობა მეძლევა დამატებაში გამოვასწორო „XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურულ ცხოვრებაში“ დაშვებული უზუსტობანი, აგრეთვე მოვიხსენიო ძირითადად უკანასკნელი წლების პრემირებული და წოდებამინიჭებული მწერლები.

1. გამორჩენილ-დასამატებელი

უნდა ყოფილიყო:

90-იანი წლების ლიტერატურაზე საუბრისას — **თამარ ერისთავის** გამოკვლევა „აქა ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანევი“ ანუ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის მეორე განზომილება“

გვ. 118 და 246 **გურამ დოჩანაშვილის** „კაცი რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, გვ. 290 — „ორნი აქა-იქა“

გვ. 312 — მამა-შვილ მწერალთა სიაში — **აკობიები — შოთა — მზია აკობია-ძაძამია**

გვ. 342 — **ეკა ბაქრაძე** (მისი პირველი წიგნის გამო)

გვ. 375 — გაზ. „ათინათთან“ — რედ. — **აკაკი დაუშვილი**

ჟურნალ გაზეთებში — სოხუმის ალმანახი — რედ. — **შოთა აკობია**

გვ. 384 — გ. ტაბიძის პრემიის სიაში — **ჯემალ ინჯია** (2007)

გვ. 386 — შიო მღვიმელის პრემიის სიაში — **ლიდა სტვილია**

იმედია დაზარალებულები სულგრძელად მაპატიებენ.

2009-2012 წლების პრემიები და წოდებები

2009 წლის პრემიები

საქართველოს სახელმწიფო პრემია **რუსთაველის** სახელობისა — **იზა ორჯონიკიძეს**

საქართველოს სახელმწიფო პრემია — **ნათან ბააზოვს**

საქართველოს მწერალთა კავშირის პრემიები:

2009 წლის

ილია ჭავჭავაძისა — მაყვალა გონაშვილს, დავით თედორაძეს, ზაურ კალანდიას*

აკაკი წერეთლისა — ბაგრატ ბადიდს

გალაკტიონ ტაბიძისა — დავით შემოქმედელს (ტაკიძე), ნოდარ ტაბიძეს, ნათან ბააზოვს, რაულ ჩილაჩავას

ივანე მაჩაბლისა — სოსო სიგუას, ალექსანდრე ებანოიძეს, დავით კახაბერს, თამილა ცინცაძეს

ნიკო ნიკოლაძისა — სიმონ არველაძეს, ბადრი ქუთათელაძეს, გურამ გოგიაშვილს, ია ბაგრატიონ-მუხრანელს**

მარიკა ბარათაშვილისა — ბიეტა აბშილავას, ბელა ქებურიას

2010 წლის პრემიები და წოდებები

7 მაისი, „პოეზიის დღე“

პრემიები

ილია ჭავჭავაძისა — გენო კალანდიას, ვაჟა ოთარაშვილს

აკაკი წერეთლისა — ნოდარ ადეიშვილს, გრიგოლ ჯულუხიძეს

ვაჟა-ფშაველასი — მეუფე თადეოზს (მირიან იორამაშვილს), მარინე ცხვედიაშვილს, მოგვიანებით — კობა არაბულს

გალაკტიონ ტაბიძისა — ბაღათერ არაბულს, თემურ ჩალაბაშვილს მოგვიანებით თეიმურაზ აბულაძეს („მწერლის გაზეთი“), 2010, №2.

ივანე მაჩაბლისა — ნომადი ბართაიას, ლილი მჭედლიშვილს, მოგვიანებით —ბონდო არველაძეს).

საპატიო წოდებები

ქართული პროზის რაინდისა — ჭაბუა ამირეჯიბს, ოტია იოსელიანს, რევაზ მიშველაძეს

---

* ზაურ კალანდიამ მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობას დაუბრუნა ეს პრემია.

** მხოლოდ ჩემი მეგობრის, სიმონის 2011 წელს ნაჩუქარი წიგნიდან გავიგე და არა მწერალთა კავშირიდან ან მისი ქუთაისის ორგანიზაციიდან.

ქართული პოეზიის რაინდისა — ანზორ აბულაშვილს, მუხრან მაჭავარიანს, ჯანსულ ჩარკვიანს, თამაზ ჭილაძეს, ტარიელ ჭანტურიას, ფრიდონ ხალვაშს

ქართული კულტურის ამაგდარისა — რევაზ ართილაყვას, ზაალ ბოტკოველს, აკაკი ბრეგაძეს, ვასო გვეტაძეს, რევაზ კვერენჩხილაძეს, ზეზვა მედულაშვილს, ჯემალ ქირიას, ვახტანგ ღლონტს, მზია ჩხეტიანს, ნუგზარ წერეთელს

ქართული კულტურის დესპანისა — გალინა მოსკალეცს (პაგუტია) (უკრაინა), ანა ყურშავიშვილს (საბერძნეთი), ანაიდა ბოსტანჯიანს (ჟურნ. „ხიდის“ რედაქტორი, ქართულ-სომხური ურთიერთობანი)

2011 წლის პრემიები

ვაჟა-ფშაველასი — შოთა ხოდაშნელს,

ივანე მაჩაბლისა — თამარ ჩიჯავაძეს, ბელა შალვაშვილს, ზაალ ბოტკოველს

ნიკო ნიკოლაძისა — იური ბიბილეიშვილს, მურმან თავდიშვილს, ვალერიან მამუკელაშვილს

შიო მღვიმელისა — ალექსანდრე დიდებაშვილს

გალაკტიონ ტაბიძისა — დილარ ივარდავას.

2012 წლის პრემიები და წოდება

ილია ჭავჭავაძისა — ანზორ აბულაშვილს

ვაჟა-ფშაველასი — რეზო ადამიას, შოთა ტოგონიძეს

ივანე მაჩაბელისა — თამარ ერისთავს, ვლადიმერ სარიშვილს

ნიკო ნიკოლაძისა — რევაზ კვერენჩხილაძეს

გალაკტიონ ტაბიძისა — გივი შაჰნაზარს

გიორგი ლეონიძისა — მარინე ცხვედიაშვილს

მარიკა ბარათაშვილისა — მანანა გორგიშვილს, ლიდა სტვილიას

მაყვალა მრევლიშვილისა — გუგული ტოგონიძეს

ანა კალანდაძისა — ცირა ქიტიაშვილს, თამარ ჯავახიშვილს

ნოდარ დუმბაძისა — ვანო ცინცაძეს

მედალი „ქართული კულტურის დესპანი“ — ზეზვა მედულაშვილს.

პრემიები და წოდებები, რომლებიც მიენიჭათ
უკანასკნელ წლებში

შიო მღვიმელისა — ვლადიმერ ასლამაზიშვილს

გიორგი ლეონიძისა — მედეა კახიძეს

მაყვალა მრევლიშვილისა — ზოია ვაშაკიძეს, ავთანდილ მეგრელიშვილს, ლიდა სტვილიას, ცირა ქიტიაშვილის, მზია ჩხეტიანს, ვანო ჩხიკვაძეს, მარიამ წიკლაურს, მზია ხეთაგურს, შოთა ხოდაშნელს, ლალი ჯაფარაშვილს

მარიკა ბარათაშვილისა — ირმა მებურიშვილს

წოდება „ქართული კულტურის ამაგდარი" — ნინო ბეზარაშვილს, თამარ ერისთავს, ნუნუ კერესელიძეს, ემზარ კვიტაიშვილს, ფარნაოზ რაინაულს, ქეთევან ქუჩუკაშვილს, ქეთევან ჭილაშვილს, ტარიელ ხავთასს, დოდო ხიმშიაშვილ — ვადაჭკორიას

მწერალთა კავშირის დიპლომი — თენგიზ სვანიძეს, ედუარდ უგულავას, ნანა წითელაშვილს.

მწერალთა კავშირის განყოფილებათა პრემიები:

ა) ქუთაისისა*

დავით კლდიაშვილისა — რეზო ჭეიშვილს

ტიციან ტაბიძისა — ბაღათერ არაბულს (2008), ვახტანგ ღლონტს

ტერენტი გრანელისა — გიზო თავაძეს

ნოდარ დუმბაძისა — გიზო თავაძეს, გია ხოფერიას

ოთარ მამფორიასი — მაცაცო სულაბერიძეს

ბ) აჭარისა

ადრე, 1995 წლიდან არსებულ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მემედ აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ნუსხაში უნდა ყოფილიყო — დილარ ივარდავა.

---

* ქუთაისის ორგანიზაციიდან ვერც პირადი თხოვნით, ვერც 2009 წლის ყრილობისთვის ვერ მოხერხდა ცნობის მიღება

2007 წლიდან საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაცია გასცემს ბიზნესმენების მიერ დაფინანსებულ სამ პრემიას:

ეს პრემიები მიეკუთვნათ:

აბუსერისძე ტბელისა (პროზაში) — **ვახტანგ ახვლედიანს, ხათუნა თავდგირიძეს** (2007); **ფრიდონ ხალვაშს** (2009)

ზურაბ გორგილაძისა (პოეზიაში) — **ნუგზარ ჯაფარიძეს, მაცაცო სულაბერიძეს** (2007); **გენო კალანდიას, გენრიეტა ქუთათელაძეს, მერაბ კვიცარიძეს** (2009)

მემედ აბაშიძისა (პუბლიცისტიკაში) — **თეიმურაზ კომახიძეს** (2007), **შოთა ზოიძეს, ელგუჯა თავბერიძეს** (2009).

გ) აფხაზეთისა

გიორგი შარვაშიძისა — შოთა აკობიას, ომარ შამათავას.

დიმიტრი გულიასი — შოთა აკობიას (სიკვდილის შემდეგ).

დ) ასოციაცია „ლიტერატურული კახეთისა“

2008 წლის პრემიები

გიორგი ლეონიძისა (პოეზიაში) — **ფრიდონ ხალვაშს, დავით წერედიანს**

გურამ რჩეულიშვილისა (პროზაში) — **თამაზ ხმალაძეს**

ქართველ მწერალთა და ლიტერატურისმცოდნეთა დამოუკიდებელი კავშირის პრემიები (კავშირის რეგისტრაცია — 1992.28.XI)

ვაჟა-ფშაველას სახელ. პრემია —გიორგი ნატროშვილს, ალექსანდრე სიგუას, ნოდარ ტაბიძეს, ზურაბ ჭუმბურიძეს

გიორგი ლეონიძის პრემია — ლერი ბუიღლიშვილს, დავით გოგოჭურს

ტერენტი გრანელის პრემია — ელიზბარ უბილავას

ამასთან ისევ უნდა აღინიშნოს მწერალთა კავშირში პრემიების გაცემისას წესდების დარღვევები (მაგ. გალაკტიონის პრემია უნდა მიკუთვნებოდათ წლის საუკეთესო ლექსისთვის, რასაც გვერდი კარგა ხნის წინ აუარეს), პრემიების გაცემის (თუ სხვა) ზუს-

ტი და სრული სიების მოძიების სიძნელენი, განყოფილებებთან კოორდინაციის სისუსტე, რისი ერთი გამოხატულება ის გახლავთ, რომ არსებობს ერთნაირი დასახელების პრემიები (მაგ. **დავით კლდიაშვილისა** და **ნიკო ნიკოლაძისა** – თბილისსა და ქუთაისში), ისიც სათქმელია, თავად განყოფილებები თბილისს არ აწვდიან ცნობებს პრემიების გაცემის თაობაზე, რამაც სიძნელე შეუქმნა ამ წიგნის ავტორს.

2. დაპირისპირება მწერალთა კავშირში 2004-2011 წლებში

მხოლოდ ჩემი შეფასებით რომ არ შემოვიფარგლო, წარმოგიდგენთ ამ წლების ამბების სხვა უშუალო მოწმეთა აზრსაც:

ა) შარლოტა კვანტალიანი

„მწერალთა კავშირში არსებულ პრობლემებზე მე ერთ-ერთმა პირველმა დავწერე ჯერ კიდევ 2004 წელს, გაზეთ „ლიტერატურულ ქრონომეტრში", რიგგარეშე ყრილობის ჩატარებისთანავე. მე თუ მკითხავთ, სწორედ იმ ყრილობიდან დაიწყო ყოველგვარი უკუღმართობა" – ამბობს პოეტი და რედაქტორი შარლოტა კვანტალიანი იმ ყრილობიდან 6 წლის გასვლის შემდეგ, 2011 წელს ვახტანგ ხარჩილავას „საერთო გაზეთის" ორ ნომერში (6 და 7) გამოქვეყნებულ ვრცელ ინტერვიუში **„ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოყოლილი დოკუმენტური ამბები მწერალთა კავშირში წლების განმავლობაში მიმდინარე უმსგავსობების შესახებ"** და კიდევ ერთხელ გვიხატავს ნამდვილ სურათს:

„იმ ყრილობაზე ყველაფერი თავდაყირა დადგა: მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ რეზო ჭეიშვილი იყრიდა კენჭს, თავმჯდომარის სკამზე კი მაყვალა გონაშვილი დაჯდა, რომელიც მოადგილედ იყრიდა კენჭს".

„...კრება მიჰყავდა ავადსახსენებელ გურამ გოგიაშვილს... გვერდით კი ოთარაშვილი ედგა და კარნახობდა, რა დროს რა ეთქვა... ოთარაშვილი ლაპარაკს არ აცლიდა, ბოლოს გოგიაშვილმა უთხრა – ან შენ ილაპარაკე ან მე მათქმევინეო, მაგრამ, ეტყობა, ასე არ იყვნენ შეთანხმებული და გოგიაშვილმა დაუთმო, კარგი, ორივემ წავიყვანოთო ყრილობა (?). აქედან დაიწყო ყველაფერი, დასახელდნენ კანდიდატები, ოთარაშვილმა გამოაცხადა, მართალია

თავმჯდომარეს და მოადგილეებს ცალ-ცალკე ბიულეტენებით უნდა მისცეთ ხმა, მაგრამ მოდით ქაღალდი დავზოგოთ, ერთ ფურცელზე ჩამოვწეროთ ყველა, თავში ჩავწეროთ თავმჯდომარე, ქვეშ დანარჩენები. ვირჩევთ ერთ თავმჯდომარეს და სამ მოადგილესო. ე. ი. უნდა მოგეხაზა რეზო ჭეიშვილი და სამი მოადგილე. ყრილობას ესწრებოდა 202 დელეგატი... რეზო ჭეიშვილს 102 ხმა სჭირდებოდა, რომ თავმჯდომარე გამხდარიყო. შემდეგ ცალ-ცალკე უნდა დაგეთვალა მოადგილეების ხმები და სამი შეგეკრიბა. ბატონმა რეზო ჭეიშვილმა 202-დან 170-მდე ხმა მიიღო, ის უკვე თავმჯდომარე იყო“.

„რეზო ჭეიშვილმა როგორც თავმჯდომარემ მიიღო 170 ხმა, მაყვალამ, როგორც მოადგილემ – 180, თუ ყრილობას 202 დელეგატი ესწრებოდა, რატომ უდრის 170+180 350-ს და არა 202-ს“.

ანუ ორივეს თავმჯდომარეობაზე რომ ეყარა კენჭი, მათი ხმების საერთო რაოდენობა არ უნდა გადასცილებოდა 202-ს და რადგანაც რეზო ჭეიშვილმა 170 ხმა მიიღო, ცხადია, მასზე მეტ ხმას ვერავინ ვერ მიიღებდა.

ეს ინტერვიუ ყველაზე სანდო საბუთია, რადგან ქალბატონი შარლოტა იმ მოვლენათა უშუალო და ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი იყო („მე **ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარედ დამასახელეს, თუმცა მდივნად დავრჩი**“).

მიუხედავად დიდი სურვილისა, წინამდებარე წიგნის დამატებაში არ ხერხდება ამ მეტად ვრცელი ინტერვიუს მთლიანად დაბეჭდვა. აქ, ისიც შემოკლებით, მწერალთა კავშირში მომხდარი ბოლოდროინდელი სამარცხვინო დაპირისპირების უშუალო მოწმეთა ორი წერილის გაცნობას შესძლებთ.

ერთხელ უკვე ვთქვი: თვით უკანონო გზებით 2004 წელს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობაში მოსული „გუნდის“ წევრებშიც არ იყო დიდი სიამტკბილობა და ამას არ შეეძლო დროთა განმავლობაში განსხეთქილება არ გამოეწვია.

და აი, 2010 წლის მიწურულს საზიზღრად დაერივნენ ერთმანეთს...

სწორედ ამაზეა საუბარი ამ ორ წერილში:

ბ) ზურაბ თორია

საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული გამომცემლობა „ეროვნული მწერლობის“ დირექტორს ვაჟა ოთარაშვილს

იმის გამო, რომ ამეტებთ თქვენთვის მინდობილ ყველა უფლებას, თავი წარმოიდგინეთ გამომცემლობის ერთადერთ მფლობელად, ხმამაღლა აცხადებთ: „ჩემი გამომცემლობა“, „ჩემი ანთოლოგია“, „ჩემი ჟურნალი“ (ეს ჟურნალი – „ლიტერატურა და ხელოვნება“ მართლაც ოთარაშვილის საკუთრებაა, გამომცემლობის ბაზაზე ფუნქციონირებს და მისი ამბიციების დაკმაყოფილებასღა ემსახურება) და ა.შ.;

იმის გამო, რომ თანამშრომლებს, მწერლებით დაწყებული, სტამბის რიგითი მუშაკებით დამთავრებული, ეჰყრობით როგორც მარიონეტებს, ფეხქვეშ თელავთ მათ ღირებულებებს, არ გაინტერესებთ მათი სიმართლე, მათში არ ხედავთ პიროვნებებს, ექცევით სასტიკად, ათავისუფლებთ სუბიექტური მოსაზრებით, უხეშად მოძღვრავთ, რომ ნებისმიერ მომენტში ყოველი მათგანის ჩანაცვლება შეგიძლიათ უმუშევართა არმიიდან ისე, რომ გამომცემლობის მუშაობის დონეზე მათი დანაკლისი არ აისახება და თქვენი, როგორც შეუცვლელი გამომცემლის „იმიჯი“, ამით არ შეილახება;

იმის გამო, რომ ამა თუ იმ საკითხში რაც უნდა არაკომპეტენტური იყოთ, თავგამოდებით ცდილობთ, რომ მხოლოდ თქვენი აზრი დაამკვიდროთ; პირდაპირ იერიში მიგაქვთ კოლეგების თავმოყვარეობაზე, ცდილობთ დათრგუნოთ ისინი; მიზერული თანხის ფასად ამუშავებთ თანამშრომლებს, განსაკუთრებით სტამბის მუშებს, რომლებსაც ჯამაგირი ხშირად გზის ხარჯადაც არ ჰყოფნით. მათთან ყოველ თეთრზე კამათობთ, წიგნის მაღალ ხარისხს კი ითხოვთ;

არ ტყუით, როცა გამომცემლობაზე ამბობთ, ჩემიაო, თქვენს ჯილა ქალბატონ ვერა ზამთარაძესთან ერთად იქ იმდენად შინაურულად გრძნობთ თავს, როგორც კი ვინმე გამოჩნდება, ეს იქნება მწერალი თუ ნებისმიერი მოქალაქე და თქვენს მყუდროებას დაარღვევს, მაშინვე ხასიათი გიფუჭდებათ და იწყებთ ზღვარგადასულ ღრიალს. ელემენტარული, ქართული სტუმართმოყვარეობის დაუწერელი კოდექსი კი გვიკარნახებს, რომ სტუმრის თანდასწრებით

უტაქტო გამოხდომები მის არასასურველობას ნიშნავს ალბათ, ეს თქვენ შესანიშნავად მოგეხსენებათ, მაგრამ სწორედ სტუმართა დასაფრთხობად იყენებთ ამ გამოხდომებს, შედეგად კი – გამომცემლობა დაამსგავსეთ მკვდარ სახლს, სადაც მოსვლას და თქვენთან საქმიანი კონტაქტის დამყარებას ყველა უფრთხის და იმდენს იზამთ, გამომცემლობას მხოლოდ თქვენ და ვერა ზამთარაძელა შერჩებით, თუმცა იქნებ ამას გამიზნულად აკეთებთ, რომ თქვენს „ძალლთასაშენში“ თქვენს გემოზე იპარპაშოთ;

იმის გამო, რომ მეტად ზერელედ იცნობთ მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს და, როგორც ჩანს, არც გაინტერესებთ, რადგან გამჭოლ ქარებს გამოდევნებულს არც დრო და არც სურვილი გრჩებათ ჩაულრმავდეთ მათ;

იმის გამო, რომ არ გიყვართ სიმართლე, სიცრუის ბადეში ხართ გახვეული. იტყუებით ყველგან, სადაც კი დაგჭირდებათ. ამ სიცრუეს სიმართლედ ასაღებთ, ხშირად ტყუილ-მართალი ერთმანეთში გერევათ და თავის გასამართლებლად გადაბრალებებს მიმართავთ;

იმის გამო, რომ თქვენთვის მონდობილი პოეზიის ანთოლოგიის გამოცემაზე მომუშავე შემდგენელთა ჯგუფი მხოლოდ მასალების შეგროვებითა და კორექტორობით შემოფარგლეთ და მათი პირდაპირი მოვალეობა ფიქციად გადააქციეთ, ანთოლოგიის ფურცლებზე კი ისინი შემდგენლებად მოიხსენიეთ, რათა თქვენი და ლიტერატურულ ღირებულებებში გაურკვეველი პროფანის, ვინმე ვერა ზამთარაძის თავნებობა მათ შეახოცოთ და კოლეგების წყრომა ამ განტევების ვაცებზე მიმართოთ;

იმის გამო, რომ დროს ჩამორჩით და ვერ ითვალისწინებთ, რომ უმნიშვნელო რამის გამო მაგიდაზე მუშტების ბრაგაბრუგი და ისტერიული გამოხდომები თანამშრომელთა დასაბნევად და მათ დასამცირებლად გამიზნული, წარსულს ჩაბარდა და ეს დამთრგუნველი მეთოდები დღეს, მით უმეტეს, პოეტად სახელდებული პირისგან ანაქრონიზმად ჩანს, ხოლო თქვენი უადგილო ყვირილისა და უმსგავსო გამოხდომების წყალობით დათრგუნული თანამშრომლები ხანგრძლივ ფსიქოლოგიურ რეაბილიტაციას საჭიროებენ;

იმის გამო, რომ საგამომცემლო სამუშაოს (კომპიუტერულს) თქვენი თავნებობის წყალობით ძირითადად არაპროფესიონალები

ასრულებენ და წიგნების უმრავლესობა უხარისხოდ გამოიცემა, როგორც კი ამ სფეროში რომელიმე თანამშრომელი სასურველ დონეს მიაღწევს, თქვენი შეუცვლელი მრჩეველისა და ჯუფთის – ვერა ზამთარაძის ხუშტურ-მოთხოვნით სამსახურიდან აგდებთ ისე, რომ არ ითვალისწინებთ არც იმის მატერიალურ და არც ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. „თქვენი“ გამომცემლობის მიერ გამოშვებული წიგნები, როგორც წესი, გარეგნულად ერთფეროვანი და უღიმღამოა, რადგან ამ სფეროში თითქოს განგებ თქვენს მორჩილ არაპროფესიონალებს მოუყარეთ თავი;

იმის გამო, რომ საგამომცემლო კომისიის მიერ წიგნების გამოსაცემად დადგენილ სიას თქვენი სურვილისამებრ გადააკეთებდით, ხოლო როცა ავტორი კანონიერად იკითხავდა, გეგმიდან ვინ ამოაგდოო, კოორდინატორსა და საბჭოს წევრებზე უთითებდით, გამომცემლობაში რაც კი თქვენი და ვერა ზამთარაძის გაუაზრებელ მოქმედებათა გამო ფუჭდებოდა, უსათუოდ რომელიმე თანამშრომელს ბრალდებოდა. თქვენ ორივენი გადაბრალების ისეთი დიდოსტატები ბრძანდებით, მეძნელება, ანალოგი მოგიძებნოთ. რამდენჯერ გითქვამთ, თუ ავტორებთან საკამათო საკითხი წამოიჭრა, პასუხისმგებლობა თქვენს თავზე აიღეთ, რათა უსიამოვნებები ამაცილოთო. სულაც არ გადარდებთ ის, რომ თქვენს გაუაზრებელ მოქმედებათა გამო, შესაძლოა, თქვენი თანამშრომელი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდეს. სისტემატურად იყენებთ მავანთა ავტორიტეტს ფარად, რათა თვითონ უმწიკვლო პიროვნებად წარმოჩინდეთ, სხვების ღირსებაზე კი არ ზრუნავთ, რადგან ეგოიზმითა და ამპარტავნობით სულით-ხორცამდე გაჟღენთილს, თქვენზე აღმატებული არავინ გგონიათ;

იმის გამო, რომ გამომცემლობის თანამშრომელი მწერლები აქციეთ მტვირთავებად, აიძულებთ, სართულიდან-სართულზე ზიდონ ტონობით საბეჭდი ქაღალდი, ვითომდაც ორმოცდაათი-ასი ლარის დაზოგვის მიზნით, თავს იმით იმართლებთ, რომ თვითონაც ეზიდებით ამ ქაღალდს, მაგრამ თუ მტვირთავობა თქვენი მოწოდებაა, კეთილი ინებეთ და რამდენი გენებოთ იმდენი ზიდეთ, სხვების ექსპლუატაციას კი თავი დაანებეთ;

იმის გამო, რომ არ ერკვევით ან განზრახ დაიჭირეთ ისეთი პოზა, თითქოს არ იცოდეთ, რომ მხატვრული ლიტერატურის დია-

ლოგებში დასაშვებია კუთხური და უცხოური სიტყვების ჩართვა. როგორც ოდითგანვე ცნობილია, ყოველი ავტორი თავისი კუთხის სურათ-ხატებით აზროვნებს და ამ სურათ-ხატებს თავისივე კუთხის ლექსიკით აცოცხლებს (რა თქმა უნდა, ზომიერების ფარგლებში), რაც ნაწარმოებს განუმეორებელ ხიბლს ანიჭებს. თქვენ მიერ შემოთავაზებული რეცეპტით რომ ვიხელმძღვანელოთ, მაშინ ლიტერატურიდან უნდა განვდევნოთ იმერული, ქართლ-კახური, მოხევური, ფშავური თუ სხვა კილოების ნიმუშები, მაგრამ თქვენ მიადექით მაინცდამაინც მეგრულს და იჩემებდით, რომ „თქვენს“ ანთოლოგიაში, ვითომ ქართული ენის სიწმინდის დაცვის მიზნით, ერთ მეგრულ სიტყვას რა გააჭაჭანებდით (ამ მიზნით ანთოლოგიიდან ამოიღეთ კიდეც მნიშვნელოვანი მოთხრობები), რაც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. თქვენი ასეთი საქციელი კი გადაბრალეთ ისეთ მოღვაწეებს, როგორიც ჭაბუა ამირეჯიბი და თამაზ ჭილაძეა, მაგრამ ამას არ იტყოდით, თუ გეცოდინებოდათ, რომ ჭაბუა ამირეჯიბის რომანის „დათა თუთაშხიას“ დიდი ნაწილი მეგრულ სინტაქსზეა დაფუძნებული, რაც ამ კუთხის კოლორიტს ცოცხლად წარმოაჩენს, ხოლო თამაზ ჭილაძის დონის ლიტერატორი ამგვარ აბსურდულ რჩევას არასოდეს მოგცემდათ, თუმცა ასეთი სიცრუის ვიღაცებისთვის გადაბრალება თქვენი ჩვეული ხერხია და აშკარაა, რომ ქვეცნობიერი გალაპარაკებთ და არა გულშემატკივრობა და სიყვარული. არადა თქვენივე თქმით, სწორედ ამ კუთხის წარმომადგენლები გყავთ უახლოესი ნათესავები და მეგობრები და, როგორც ჩანს, არც ამ ხალხთან ხართ პირნათელი;

იმის გამო, რომ ანთოლოგიის შედგენის პროცესში ჩვენ, პროზაიკოსებს, თქვენი აზრით, სილა გაგვაწანით, გადმოგვკარით კიდეც, რომ თითქოს „საქართველოში პროზა ნულს უსწორდება“, - მეტიც. „პროზა ოთარ ჭილაძესთან ერთად მოკვდა...“ და ეს მკრეხელური აზრი მაშინ გამოთქვით, როცა „თქვენს“ ანთოლოგიაში შეგყავდათ თანამედროვე პროზის არაერთი გამოჩენილი ცოცხალი წარმომადგენელი. თუ პროზა მკვდარია, მაშ რისთვის ადგენთ ანთოლოგიას, შეგეტანათ ერთი ავტორი და ამ საქმეს ამით მორჩებოდით. ამ „სიბრძნით“ შეურაცხყავით თვით ოთარ ჭილაძე, რომელიც მაგალითია უჩინო თუ გამოჩენილი კოლეგების მიმართ

ღრმა მოწიწებისა და სიყვარულისა, და ეს მისი გარდაცვალების შემდეგ დასტამბულ ჩანაწერების კრებულში საოცარი უშუალობითაა გადმოცემული.

ყოველივე ზემოჩამოთვლილის გამო პროტესტის ნიშნად ვტოვებ ე.წ. „თქვენს“ გამომცემლობას და ვბრუნდებით იქ, საიდანაც მოვედი და საითკენაც თქვენ თავპირისმტვრევით მიისწრაფვით, რადგან გგონიათ, რომ ყოველი ჩადენილი უმსგავსობის წილ უფლისადმი აღვლენილი ლოცვა მოგიხსნით იმ ცოდვებს, რაც წლების განმავლობაში დაგიგროვდათ თანამშრომლებისა და მწერლების აბუჩად აგდებისა და შეურაცხყოფის შედეგად... მაგრამ უნდა შეგახსენოთ, რომ ამისთვის მხოლოდ კვაჭობა და თქვენთვის ჩვეული ჩაწყობები არ კმარა. უნდა დაფიქრდეთ და იცხოვროთ სწორად, სიმართლით, ჭეშმარიტი ქრისტიანის კვალობაზე და არა შარაგზის ყაჩაღივით (თქვენს წელზე „სამარიაელად“ გაჩრილი რეოლვერი მართლაც ამაზრზენი სანახავია!).

გეშინოდეთ უფლის სიმართლისა. არ შეიძლება სიკეთის სახელით მოქმედებდეთ და იქვე ყოველივე წმინდა და სუფთა შეურაცხყოთ.

თქვენსავე სასიკეთოდ მინდა დაგარწმუნოთ, რომ წმიდა ხატების წინ სანთლებისა და თქვენი სიმაღლის კელაპტრების დანთებით ცოდვებს ვერ გამოისყიდით, რადგან ჭეშმარიტება ერთადერთია, ფარისეველთა და იქედნეთა ბედი კი – სამწუხარო.

„საქართველოს რესპუბლიკა“, 27 ნოემბერი, 2010, №221

გ) გულო კობიაშვილი
მწერალთა გამომცემლობა კი არა, ოთარაშვილის ბიზნეს-კანტორა!

როცა მწერალთა კავშირის წევრი ვაჟა ოთარაშვილი შეუპოვრად გამოდიოდა მიტინგებზე ქვეყნის მმართველი, მართლაც რომ ქვეყნის დამღუპველი „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ და ამავე დროს დაუღალავად იბრძოდა მათ წინააღმდეგ. ვინც მწერალთა კავშირის გამომცემლობა „მერანის“ შენობა მიითვისა და მოითხოვდა, დაჩაგრულ და შეურაცხყოფილ ქართველ მწერალთათვის გამომცემლობის ნაწილის დაბრუნებას მაინც, - მე და ჩემი რამდენიმე მეგობარი მწერალი ერთგულად ვედექით მხარში სამშობლოსა და მწერლობისთვის თავდადებულ ჩვენს თბილ, ტკბილ და ვაჟკაც მეგობარს, ხოლო იმ მწერლებს, ვინც ჩვენგან განსხვავებით ზედმიწევნით კარგად იცნობდა ოთარაშვილს და დაგვცინოდა, - მალე ნახავთ, როგორი პატრიოტიცაა, რა პოეტიცაა და როგორ ენაღვლება ქართველი მწერლებიც, - მთელი ეს მოქმედებები საბოლოოდ მის მხოლოდ ერთ მიზანს — საკუთარი ჯიბის გასქელებას ემსახურებაო, - შავ დღეს ვაყრიდით!

ბოდიშს ვუხდი დღეს მათ იმისათვის, რომ არ დავუჯერე, ბოდიშს ვუხდი ჭეშმარიტ ქართველ მწერლებს იმისათვის, რომ ხელი, თანაც ორივე და თანაც ორჯერ ავუწიე ვ. ოთარაშვილის მწერალთა კავშირის გამდივნებას და მწერალთა კავშირის გამომცემლობაში გადირექტორებას! — მის შემოქმედებას კი საფუძვლიანად მხოლოდ მას შემდეგ გავეცანი (ჩემდა სამწუხაროდ), „როცა ურემი გადაბრუნდა!“

ჩვენმა „თბილმა“, „ტკბილმა“, „ვაჟკაცმა“, „პატრიოტმა“, „მწერალთა ქომაგმა“, „თანამებრძოლმა“ მიზანს მიაღწია თუ არა (გამდივნდ-გადირექტორდა!), ქამელეონივით ნელ-ნელა იწყო ფერისცვალებაც: „სენი წირიმე“ ტკბილი ჯაყოდან ჯერ დოინჯშემოყრილ „ასე ვიცის!“ ჯაყოდ მოგვევლინა და მწერალთა გამომცემლობაც თავის მარგოდ აქცია (შესაბამისად, იქ კაპიკებზე მომუშავე თანამშრომლებიც, რაღა თქმა უნდა, საკუთრი შვილებისა და ერთი „ძვირფასი ქალბატონის“ გარდა — ყმა-გლეხებად და ლანძღვა-გინებით მათ ყოველდღიურ დაწოკებასაც მიჰყო ხელი! პატრიოტიზმსაც რაღა თქმა უნდა, ჩაილულის წყალი დაალევინა, როგორც

კი მთავრობისა და მერიის ყურადღება და პატივისცემა დაიმსახურა (ქალაქდზე ისევ „მამულიშვილობს“ რაღა თქმა უნდა)... და ბოლოს, ქართველ მწერლებსაც (ზოგიერთის, მისთვის საჭიროს გამოკლებით!) მიუჩინა სათანადო, - თეიმურაზ – ბრინკას ადგილი!

დღეს ე.წ. მწერალთა კავშირის გამომცემლობა:

ა)წარმოადგენს, უპირველეს ყოვლისა, ქართველ მწერალთა უპრეცედენტო დამცირებისა და შეურაცხყოფის ცენტრს! იგულისხმებიან არა მხოლოდ გამომცემლობაში მომუშავე ან საქმეზე მისული და ოთარაშვილისგან ხშირად ნაგინებ-ნალანძღი მწერლები, არამედ, მთელი ქართული მწერლობის გაუგონარი შეურაცხყოფაა ის ე.წ. ანთოლოგიებიც, რომელთა გამოცემაც ოთარაშვილის არა ლიტერატურისადმი, არამედ თბილისის მერიიდან გადმორიცხული საკმაოდ სოლიდური თანხისადმი დიდმა სიყვარულმა განაპირობა, და რომელშიც ქართველი მწერლები გასასყიდად აჩეხილი და დახარისხებული საქონლის ხორცივით არიან გვერდების მიხედვით წარმოდგენილნი.

ამ „ანთოლოგიების“ შემდგენელნი, ფაქტობრივად, ორნი არიან, - ფაქტობრივად – ორივე დელეტანტი და ასევე ფაქტობრივად ორივე ანგარებიანი – გამომცემლობის დირექტორი ვ. ოთარაშვილი და მისი... (მოდით, ასე ვთქვათ, ცოტა არ იყოს კორექტულიც რომ ვიყო!) ინტიმური თანადირექტორი, ვინმე ვერა (მოფერებით ვერო) ზამთარაძე, სადმე სამართალი თუ არის, ამ ანთოლოგიებს სახელად „ვერონთოლოგიები“ უნდა ერქვას, რადგან დირექტორი მხოლოდ მაშინ ერთვებოდა საქმეში (პოეზიის ანთოლოგიის შედგენისას ასე იყო და დარწმუნებული ვარ, ალბათ, პროზის ანთოლოგიაც ასეთივე პრინციპით შეადგინეს!), როცა თანადირექტორი მოათავებდა ხოლმე ამ ე.წ. ანთოლოგიების დაკომპლექტებას რა თავისი საკუთარი და რა თავისი სადაქალო და საძმაკაცო „პოეტების“ თუ „პროზაიკოსების“ „შედევრებით“... დირექტორის ნათესავ-ნაცნობი „შემოქმედნიც“ რომ ჰპოვებდნენ საუკუნო, პოეტურ თუ პროზაულ სავანეს, აი, მას შემდეგ იწყებოდა უკვე ნამდვილ პოეტთა თუ პროზაიკოსთა შეყვანაც ვერონთოლოგიებში – დირექტორისა და თანადირექტორის ურთიერთშეთანხმებით, - არა ჭეშმარიტი კრიტერიუმებით, - არამედ, ვისი სახელგვარიც გაუგონიათ უფრო

ხშირად, ვინ უფრო საშიშია, ვინ უფრო საჭიროა... და ა.შ. რიცხოვნობის სიმრავლეს ითვალისწინებდნენ, ასევე, რაღა თქმა უნდა, - ფულს ხომ ფული უნდა მოეგო, ერთგვერდიან „უხარისხოსაც“ ისევე უნდა ეყიდა ვერონთოლოგია, როგორც ოთხგვერდიან „უმაღლესხარისხიანს“ თუ მათ შორის განთავსებულთ!

ხაზგასმით ვაცხადებ, რომ სამარცხვინო ე.წ. პოეზიის ანთოლოგიას ვ. ზამთარაძის გარდა, ყველა შემდგენლის გვარი ტყუილად აწერია - „ჩვენ დანარჩენ „შემდგენლებს“ მხოლოდ მასალების შეგროვება და რედაქცია გვევალებოდა, რადგან „უფროსებს“ არც ჩვენი აზრები და არც ჩვენი თვალსაზრისი ხაზგასმით არ აინტერესებდათ და არც ითვალისწინებდნენ – არასოდეს! მით უმეტეს, საერთოდ, გაუგებარია, რატომაა პროზის ე.წ. ანთოლოგიაში ჩემი და ზურაბ თორიას გვარები სარედაქციო კოლეგიაში მოხსენიებული, - ჩვენ ხომ პროზის შერჩევაში მონაწილეობა არც მიგვიღია.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულისა და პლუს ოთარაშვილისაგან მეგრული ენის შეურაცხყოფის გამო („ჩემი გამომცემლობის პროდუქციაში სიტყვასაც არ გავაჭაჭანებ მეგრულს!“ – ყველა მწერალს აქვს გამოყენებული თავის ნაწარმოებებში თავისი კუთხის სიტყვები, რომლებიც შემდეგ სქოლიოებშია განმარტებული. ის, რაც იცის ნებისმიერმა მკითხველმაც კი, არათუ ნებისმიერმა მწერალმა, არ იცის... გამომცემლობის დირექტორმა!), პროტესტის ნიშნად დავტოვეთ ის საზარელი დაწესებულება პროზის ანთოლოგიის შედგენის დასაწყისშივე! (ჩვენამდე გაცილებით დიდი ხნით ადრე გამომცემლობა ასევე, საკუთარი ნებით დატოვეს თვალსაჩინო პოეტებმა – მანანა ჩიტიშვილმა და ტარიელ ხარხელაურმა!).

ბ) წარმოადგენს სახელად მწერლებისას, სახრავად მწერლებისას – ფაქტობრივად იგი უკვე **ოთარაშვილის პირადი ბიზნეს-კანტორაა,** სადაც „ქართველი გაჭირვებული მწერლებისათვის“ უწყვეტ ნაკადად შეედინება თანხები – რა უამრავი კერძო წიგნის გამოცემიდან, რა მერიიდან, რა მწერლებზე გულაჩუყებულ ბიზნესმენთაგან თუ სხვადასხვა რამე-რუმეებიდან (გამომცემლობისთვის შენობის ყიდვის შემდეგ დარჩენილ კოლოსალურ თანხას სულაც რომ თავი დავანებოთ!), და გასაგებადაც არ არის ძნელი, პირდაპირ ვის ჯიბეშიც ჩაედინება, - აბა, მაშ, „პოეტი ღმერთთან მოლა-

პარაკე“, რომელსაც „მოძმის წყლული უჩანს წყლულად“, თავის ოჯახსა თუ თავის ინტიმურ ინტერეს-საგანს ხომ არ მიართმევს მთელ შედინებულ-ჩადინებულს. გამოძიებასაც ტყუილად შეეცდება ვინმე – კაცს ასიათასობით ფურცელი აქვს გადაშავებული ე.წ. ლექსებით და როგორ ფიქრობთ, ასეთ ნავარჯიშევს, დოკუმენტაციის სათავისოდ შედგენ-გადათეთრება-გათეთრება შეეშლებოდა?!“

გ) წარმოადგენს უკულტურობისა და უზნეობის ბუდეს! (ამის შესახებ იცის თითქმის ყველამ – არა აქვს მნიშვნელობა – გამომცემლობისა კი არა, სინამდვილეში ოთარაშვილების ცადაწვდილი ციხესიმაგრისა და **ძაღლთაშენის** მეზობელია იგი მხატვრის ქუჩაზე, გეგმიური წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით **საბრალოდ** მისული თუ უბრალოდ საქმეზე მისული მწერალი, მხატვარი, ხელოვნებათმცოდნე, თეოლოგი, ჟურნალისტი, მუსიკოსი, მოცეკვავე, კომპოზიტორი, კერძო ავტორი და ა.შ. თქვენ წარმოიდგინეთ და, როგორც ხმა გავრცელდა – სცოდნია თვით თბილისის მერიასაც კი!).

ახლა კი „მოვიდეთ პირველსავე სიტყვასა ზედა!“

საქართველოს მწერალთა კავშირს რომ ჰყავდეს **ჭეშმარიტი და თანაც ვაჟკაცი კრიტიკოსები...**

საქართველოს მწერალთა კავშირში მიღება რომ ხდებოდეს მხოლოდ და მხოლოდ მკაცრი, ჭეშმარიტი კრიტერიუმებით...

და ჩვენ, მწერლები, ერთმანეთის ნაწარმოებებს ვკითხულობდეთ...

იქნებოდა დღეს ამდენი ჭეშმარიტი მწერალი შშიერი და ასე შეურაცხყოფილი, ხოლო ერთი **სუროგატი, ფსევდო-პოეტი** – მწერლების ხარჯზე ასე გამდიდრებული და გათავხედებული?!

ურემი როცა გადაბრუნდა, ანუ, როცა ოთარაშვილმა თავი საბოლოოდ გაამჟღავნა და მეც პროტესტის ნიშნად დავტოვე **ოთარაშვილების ბიზნეს-კანტორა,** გადავშალე მისი ძვირფას ყდაში ჩასმული, ასევე ძვირფას ქაღალდზე დაბეჭდილი „ერთტომეული“ და... ვაი, დედა... (ახლა კი, მაგრამ რაღა დროსია!), ეს ვისთვის მიმიცია ხმა და ვის გასამდივნებელ-გასადირექტორებლად ამიწევია ორივე ხელი! (ახია ჩემზე, ორივე საშინლად რომ მტკივა ახლა და ისიც ახია, საუკუნო სირცხვილად რომ შერჩება ქართული ლიტერატურის ისტორიას „მწერლის გაზეთის“ მეშვეობით ჩემი მოსაჭ-

რელი ხელები!) მოკლედ, როგორც რომელიმე ლიტერატორი იტყოდა, - გავეცნოთ „დიდი პოეტის“ სულიერ სამყაროს:

„ისე დავთვერი,
არყის ჭიქაში,
ჩავყარე თეთრი
ფულები ხურდა,
მერე სიმდიდრის
სადღეგრძელო
ნელა დავლიე...
მე ფულის სიტკბოს...
გაგება მსურდა...“

ეეხ, თქვე ჩემსავით უაზროდ ხელაწეულებო, ეეხ, თქვე ჩემსავით დამნაშავეებო, - არ შეგვიგდია სიმდიდრეზე დაგეშილ-გაცოფებული მშიერი მგელი მწყემსად უპატრონო ცხვრის ფარაში?! სხვებს რას ვერჩოდით, თორემ ჩვენზე კია ნამდვილად, ახი!

რადგან თითქმის ყველა ლექსი საშუალო ან საშუალოზე დაბალი, ოღრო-ჩოღროა, ამჯერადაც მხოლოდ მისი „ბრძნული აზრების“ დემონსტრირებას მოვახდენ, ოღონდ წინა „ლექსივით“ მთლიანად კი არა, ფრაგმენტულად:

„იყო კი თამარ მეფე,
ანდა ის ოქროს ვერძი?“

დამერწმუნებით, ასეთი კითხვა წერა-კითხვის უცოდინარ, წმინდა ქართული გენეტიკის მქონე კაცსაც კი (სიმდიდრის სადღეგრძელოს შესმისა და ჭიქაში ჩაყრილი ფულის სიტკბოს გაგებისა არ იყოს!), არ დაებადება, არა თუ წმინდა ქართული სისხლის მქონე პოეტს – ეს მხოლოდ ჩვენი სათაყვანო მეფე წმინდანისა და საუკუნეთა სიღრმიდან მანათობელი უდიდესი ეზოთერული ცოდნის (ოქროს საწმისის) მარტო უარყოფი კი არა, - მთელი ერის შეურაცხყოფაა!

„იჭნება ღმერთსაც უყვარდა ევა,
არ აპატია იჭნებ ღალატი...
იჭნება წარღვნა უფლის ცრემლია
ევას გულისთვის წვიმად დაღვრილი...“

მაპატიოს ღმერთმა ამ მკრეხელობის გამეორება! ხომ მეთანხმებით, რომ ამაზე კომენტარიც კი ზედმეტია და რომ ასეთი რამ

მხოლოდ და მხოლოდ სექსუალურ მანიაკს შეიძლებოდა მოსვლოდა თავში?

„მე არ მინახავს შიშველი მეფე,
მე დედოფალი ვნახე შიშველი!“

თუ ოთარაშვილმა არ იცის, რაც იცის ნებისმიერმა გონიერმა და მცირედ ნაკითხმა კაცმაც კი, რა იგულისხმება მეფის სიშიშვლეში, - გამოდის, რომ იგი წუხს, ტიტველა მეფე რომ ვერ ნახა, თავს კი იმით იმშვიდებს, ჯანდაბას, დედოფალი ხომ მაინც ჩავიგდე ტიტველიო... თუ შიშველი მეფის გადატანითი მნიშვნელობა მოესსენება, მაშინ რა შუაშია იმ პირველ, სრულიად სხვა დატვირთვის მქონე სტრიქონთან ეს მეორე – სრულიად ჩვეულებრივი, ყოფითი, ფიზიოლოგიური დატვირთვის სტრიქონი?! და კიდევ ერთი კითხვა პოეზიის საღამოებით (თავისივე მოწყობილით თუ ჩაწყობილით, საკუთარი ხელით თავზე წამოკოსებული პოეტის გვირგვინისა არ იყოს!) განებივრებულ „დიდ შემოქმედს“ – თუკი მართლაც იცი მეფის სიშიშვლის მნიშვნელობა – ყოჩაღ! ისტორიას თავი რომ დავანებოთ, რაც ამ „პერესტროიკის“ შემდეგ ჩვენ შიშველ მეფეებს ვუყურებთ, შენ ერთიც თუ არ დაგინახავს, გინესის წიგნში ყოფილხარ შესაყვანი. ისე, თვითონ შენ ვინ ხარ შპს გამომცემლობის მეფუკა-დირექტორო? – შიშველი მეფე! და ამას ხედავს მწერალთა კავშირის წევრთა სულ მცირე, ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი მაინც (ჰა და ჰა, ერთი პროცენტი შეიძლება იყოს მხოლოდ ჯერ კიდევ ბრმა!) მთელი ეს წერილიც საზოგადოებისთვის შენს უნიღბოდ ანუ ჭეშმარიტი სახით წარდგენას არ ემსახურება? აი, ასეთ დროს ამბობენ ხოლმე, მეფე შიშველიაო, თორემ ისე ჩემმა მტერმა გნახათ ტიტვლები გინდ ხელისუფლებასა და გინდ ლიტერატურა-ხელოვნებას ბზიკებივით შესეული დიდი თუ მცირე მეფუკები!

გულის სიღრმეში ძალიან კარგად მოგეხსენება შენი „მტერო - მტვერი“„ლექსები“ რა „პოეზიაცაა“ და ქვეცნობიერიც კარგად გყიდის როცა ღმერთს ეხვეწები: „ერთი ლექსი მაპოვნინე ნამდვილი, გეეჯერები უფალო!“

ტყუილად ეხვეწები! შენგან ყველანაირად შეურაცხყოფილი უფლისთვის არაფერს ნიშნავს (პირიქით!) შენგან დანთებული არც

უამრავი სანთელი და არც ხალხის დასანახად ქუდზე გამოსახული ჯვარი!

პოეზია კაცობრიობისთვის უფლისგან ნაჩუქარი ყველაფერზე აღმატებული, უმშვენიერესი სულის უმშვენიერესი მუსიკაა და მას მხოლოდ კეთილი, მართალი და ნათელი ადამიანები ქმნიან!

ფსევდო და ფარისეველ, ამბიციურ სუბიექტთა სულის მუსიკა კი ფულის შრიალი და ფულის ჩხრიალია მხოლოდ!

პირველი მეორეს გამორიცხავს!

მეორე ტყუილად ეპოტინება პირველს!

„ფული ხელის ჭუჭყიაო!“ ბრძენი ქართველი ბრძანებს!

ასეცაა, უფალმა ჩვენზე უკეთ უწყის ეს და ამიტომაცაა, მართალნი მის მარჯვნივ რომ ივანებენ კაშკაშა ვარსკვლავებად, ხელჭუჭყიანნი კი – იქნებიან ეს ე.წ. პატრიოტები, ე.წ. ხელოვანნი თუ მწერალ-პოეტნი (ამ „თანამდებობებზე“ რა საკუთარი თავის მიერ, რა მთავრობისგან დანიშნულნი) ჭუჭყიან ლაქებად რჩებიან ქვეყნისა თუ ხელოვნება-ლიტერატურის ისტორიაში.

ისტორიამდე კი ერთი რამეც უდავოდ გელოდებათ წინ – ბუნების გარდაუვალი კანონზომიერება – ქარის მოტანილს ქარიშხალი რომ წაგართმევთ, როცა იქნება!

საქმრეში გარჭობილი მაუზერით, თვალთა მრისხანე ბრიალითა თუ განუწყვეტელი დედის გინებით იმ „პოეტებსა“ და „მწერლებს“ ჰგავხარ (ვარსკვლავიღა გაკლია ქუდზე) ჭეშმარიტ ქართველ მწერლებს რომ ასამარებდნენ სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით.

მწარედ შეცდი, როცა შეურაცხყოფა მიაყენე არა მხოლოდ მეგრულს, არამედ თანამედროვე, ცოცხალ ჭეშმარიტ პროზაიკოსებსაც!

მწარედ შეცდი, ოთარაშვილო, მაშინაც, როცა გამომცემლობის ნახევრადცარიელ მაცივარში (40 გრადუსიანი სიცხის დროს!) გასაცივებლად შედგმული წყლით სავსე ბოთლები რამდენჯერმე გარეთ გამოგვიყარე თანამშრომლებს (კერძო მესაკუთრის საზარელი ინსტინქტი!) და გვაიძულე შინიდან გვეტარებინა გაყინული წყალი სამსახურში სულის მოსაბრუნებლად! (მსოფლიოში ერთი ადამიანიც კი არ მეგულება ამისი გამკეთებელი შენს გარდა, დიდო „პოეტო“!).

...ვიდრე ოთარაშვილების კანტორას პროტესტის ნიშნად დავტოვებდით, უამრავ შეურაცხყოფას, როგორც ყოველთვის, ხეპრული ღრიალით კიდევ ერთიც დაამატე – მეორე სართულიდან, მესამე სართულზე მომუშავე მწერლებს, მუქარით ამოგვძახე - „მორჩით ლაქლაქს, მანდ არ ამომიყვანოთ, თორემ!...“

შენ როგორ გაკადრებდი ზემოთ ამოსვლას „პოეზიის მეფე ბატონო“- აი, ხომ ხედავ, მე თვითონ „ჩამოვლაბორანტდი“, ჩამოვედი შენს საბრძანებელში და ამ წერილით, ისეთი სილა გტკიცე, როგორიც გეკადრებოდა!

გტკიცე ჩემგან დამონებულ-დამცირებული, სამსახურიდან შენგან გაგდებული, იძულების გამო თავისივე ნებით წასული თუ ახლაც მანდ მომუშავე არაჩვეულებრივი ადამიანების სახელითა, რომელთაც ისედაც გაუსაძლის ყოფიერებაში პლუს შენც მოევლინე მონსტრად!

გტკიცე ნამდვილი მწერლობის, ნამდვილი ლიტერატურის ყველაფერ ნათელის, ყველაფერ ლამაზის და ქრისტიანულის შეურაცხყოფისათვის... უკულტურობისა და უზრდელობისათვის!..

მარტო რევოლვერი კი არა, ყორჩიბაშის ხმალიც რომ დაიკიდო და ატომური ბომბითაც შეიარაღდე, ერთი რამ კარგად დაიმახსოვრე „მგოსანო“ ოთარაშვილო კაცობრიობას მართალ სიტყვასა და კალამზე მძლავრი იარაღი არ მოუგონია ჯერ!

გულო კობიაშვილი

„საქართველოს რესპუბლიკა“, 4 დეკემბერი, 2010, №226

დ) მწერალთა კავშირი 2004-2011 წლების პრესაში

XXI საუკუნის საქართველოს მწერალთა კავშირში ხელმძღვანელების მხარდამჭერთა გაიოლებულად მიღებით გაბერილმა უმრავლესობამ, მათდა სამარცხვინოდ, ღირსებასა და სამართლიანობას არა და არ გაამარჯვებინა.

ეს მასალა იმ იმედით აღინუსხა, რომ მომავალ თაობებს მაინც შევუწყოთ ხელი იმის განსჯაში – ვინ იყო მართალი და ვინ ტყუოდა უსირცხვილოდ.

2004 წ

შ. კვანტალიანი „ლიტერატურული ქრონომეტრი“

ნ. კობერიძე – „ლს“, თებ.-მარტი

2006 წ.

ნ. კობერიძე – „ლს“, ოქტომბერი, მწერალთა კავშირის ყრილობა თუ კომპარტიის აქტივის კრება.

2008 წ.

ნ. კობერიძე – „მწერლის გაზეთი“, №3, ფილმი – მიზანმიმართული მცდელობა ქართველი მწერლების დისკრედიტაციისა.

მ. ჩხეტიანი – „კალმასობა“, №1, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის ზნეობრივი მარცხი.

2009 წ.

„საერთო გაზეთი“

ყრილობის წინ

№23 – მწერლები მწერალთა კავშირში შექმნილი საგანგაშო მდგომარეობის წინ.

ინტერვიუში მონაწილეობდნენ: **ბ. არაბული, კ. არაბული, ლ. ბრეგვაძე-კახიანი, ზ. კალანდია, შ. კვანტალიანი, ი. ქადაგიძე, ნ. ქუთათელაძე, ვ. ხარჩილავა, თ. ხმალაძე.**

ყრილობის შემდეგ

№25 (24.VI)

ა) **ა. აბულაშვილი** – („ხალხმა რეაგირებაც ვერ მოასწრო, ისე გამოაცხადა გოგიაშვილმა მაყვალა გონაშვილი თავმჯდომარედ... გოგიაშვილმა უზნეობა ჩაიდინა"... „ბევრ ყრილობას მოვესწარი, მაგრამ მსგავსი არ მინახავს „პირდაპირ ვუთხარი თავმჯდომარეს სირცხვილი ხარ-მეთქი. უმრავლესობა ამ ხელმძღვანელობის არჩევის წინააღმდეგი იყო. მათი ბნელი საქმეები უკვე მწერლობის უმრავლესობისთვის გახდა ცნობილი. თანამდებობის გამოყენებით აგლეჯვას, რაც არ გეკუთვნის და მიითვისებ, ამას განა ქურდობა არ ჰქვია?"

ბ) **ლ. ბრეგვაძე-კახიანი** – ბარაბას გზა ღმერთთან არ მიდის (ღია წერილი საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის არალეგიტიმურ თავმჯდომარეს მაყვალა გონაშვილს)

გ) **ლ. ჯაფარაშვილი** – რატომ ვერ შეელია სამეული სკამებს („ამ ეგრეთ წოდებულმა სამეულმა, ხელის აწევით ჩატარებულმა „არჩევნებმა" და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელების საქმიანობის შესახებ გამოთქმული პრეტენზიების მიფუჩეჩებამ, მათ მიმართ ეჭვი და უნდობლობა გააძლიერა").

№26 (1.VIII) –

ა) **ზ. კალანდია** – ღია წერილი მაყვალა გონაშვილს...

ბ) **ბ. შალვაშვილი** („16 ივნისს ჩატარებული მწერალთა ყრილობა კომუნისტების დროინდელ კოლექტივის საერთო კრებას ჰგავდა")

„ასავალ-დასავალი"

№25 (22-28.VI) – რა მოხდა 15 ივნისს საქართველოს მწერალთა ყრილობაზე

ა) **ლ. ბრეგვაძე-კახიანი** – „ყრილობაზე მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ მაყვალა გონაშვილმა და მისმა მოადგილემ ვაჟა ოთარაშვილმა ქართველ მწერლებს თვალში ნაცარი შეაყარა და მესამე ვადით მოაკვარახჭინეს მესვეურობის უზურპაცია"

ბ) **მზია ჩხეტიანი** – „არ შეიძლება ადამიანს მწერალი ერქვას და ქართულ მწერლობას ღირსება აყაროს"

„გუმბათი"

№27 (19.VII) – **ზ. კალანდია** „სად წაიღო მაყვალა გონაშვილმა მილიონნახევარი დოლარი, რომელიც „მერანიდან" აიღო".

„კალმასობა“

№1 – მ. ჩხეტიანი – „ქრისტეს საცოლის“ ანუ „წმიდა მაყვალას“ ცდომილებანი.

2010 წ.

„რეზონანსი“ №347 (24.XII)

ა) **ვ. ოთარაშვილი** – მოძულეთა და მაჭირვებელთა ჩემთა (წერილში წამოყენებულია მომაკვდინებელი ბრალდებები)

ბ) **მ. გონაშვილი** – სამწუხაროდ ოთარაშვილი ძალიან ცუდი გზით წავიდა.

გაზეთის კორესპონდენტის კითხვაზე – როგორ თვლით, რა მოყვება ამ ამბებს, მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ასეთი პასუხი გასცა: „ერთადერთი გამოსავალი რიგგარეშე ყრილობაა“.

როგორც ვიცით, რიგგარეშე ყრილობა არ გამართულა...

2011 წ.

„საერთო გაზეთი“

№4 – რუბრიკით „ცოდვები, მონანიება, შერიგება“:

ა) **რ. ამაშუკელი ზ. კალანდია, ე. საღლიანი, ვ. ხორნაული** – მოკლე ინტერვიუები.

ბ) **კ. არაბული** – რა ხდება ბოლო ფაზაში პატრიარქთან, რას არკვევენ „გახლეჩილი“ მწერლები.

გ) **ნ. კობერიძე** – წინამასწარა

№6 და 7 – **შ. კვანტალიანი** – ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოყოლილი დოკუმენტური ამბები მწერალთა კავშირში წლების განმავლობაში მიმდინარე უმსგავსობების შესახებ.

№8 – **მ. ჩხეტიანი,** „ქუცი, ქუცი, კუდქიცინა მურია“

№13 – **ნ. კობერიძე,** ეს ის ზაზა ბურჭულაძე არ არის, ბენ ლადენისგან შვილი უნდა გავაჩინოო რომ ამბობდა?

II. „ქართველ მწერალთა კავშირის“ დამფუძნებელ ყრილობაზე (1917 წ.) მიწვეულ მწერალთა სია

„ქართული სიტყვა კაზმული მწერლობის საზოგადოების საბჭოსა და მწერალთა საგანგებო კომისიისაგან შემდგარი ბიურო კვირას 9 ივლისს (1917წ.) იწვევს ქართულ კაზმულ-ლიტერატურის მწერლების ყრილობას ქ. ტფილისში ახალი კლუბის დარბაზში დღის 12 საათისათვის*. ყრილობაზე დასწრების უფლება აქვთ მგოსნებს, ბელეტრისტებს, კრიტიკოსებს, დრამატურგებს და მთარგმნელებს. ბიურო მოუწოდებს ქვემო მოხსნებულ პირთ წინასწარ მიიღონ ბიუროსაგან ყრილობაზე დასასწრები ბარათები.

ა
აბაშიძე კიტა
აბაშიძე მემედ
აბაშიძე ჰაიდარ
აბაშიძე ვასილ
აბაშელი ს. (ჩოჩია ალექსანდრე)
აბაშისპირელი კ. (გამსახურდია კონსტანტინე)
აბრამიშვილი მიხ. (ეილ)
აფხაზი ივ.(ანე)
აგლაძე ილია
ადამაშვილი მ. (ჯავახიშვილი მიხეილ)
ავალიშვილი ნიკ. (ოლოზ)
აზიანი (დონდაროვა ნატალია)
ამირეჯიბი შალვა
ანდრონიკაშვილი ილია
ანტონოვსკისა ელ. (ბროძელი ელენე)
არაგვისპირელი (დედაბრიშვილი შიო)
ახალციხელი გ. (სალარიძე გიორგი)
ახვლედიანისა დარია
ახნაზაროვი ა.(რტემ)
ახოსპირელი (აღამოვი ბეგლარ)

---

* როგორც ცნობილია, ყრილობა გაიმართა მოგვიანებით – ოქტომბერში.

აზობაძე ლ.(ადო)

ბ

ბარველი ვანო (მგელაძე ვანო)
ბარნოვი ვას.(ილ)
ბაქრაძე ვლ.(ადიმერ)
ბებიაშვილი რ.(ომანოზ)
ბაჩანა (რაზიკაშვილი ნიკო)
ბოჭორიშვილი მ.(იზეილ)

გ

გოგოლაძე ს.
გაბაშვილისა ეკატ.(ერინე)
განდეგილი (ერისთავი-მდივანი დომინიკა)
გარდელი (ვკავკანაშვილი არჩილ)
გარიყული მარ. (თათეიშვილი მარიამ)
გელეიშვილი პეტრე
გარრიკი ვ. (ვაჩნაძე ვახტანგ)
გაფრინდაშვილი (ვალერიან)
გედევანიშვილი ი.(ოსებ)
გელა (გელაზანია ბარნაბ)
გერასიმიძე ალ. (რუხაძე ალექსანდრე)
გვაზავა გ.(იორგი)
გლახაშვილი (ტარუაშვილი სოფრომ)
გოგია ილია
გომართელი ივ.(ანე)
გორგაძე ს.(ერგი)
გორგაძე ვ.(ასილ)
გრიშაშვილი ი.(ოსებ)
გულისაშვილი იერ.(ემია)
გუნია ვალ.(ერიან)

დ

დადვაძე პ.(ავლე)
დადიანი შოთა

დადიანი სამსონ
დადიანი შალვა
დავითაშვილი შიო
დავითაშვილი გ.(იორგი)
დეკანოზიშვილი ანდრ(ია)
დიასამიძე გიგო
დოდაშვილი კოტე

ე
ედილი ზ.(ედილაშვილი ზაქარია)
ეკალაძე ია (ცინცაძე იაკობ)
ელეფთერიძე ი.(ზურაბიშვილი ილია)
ერისთავ-ხოშტარია (ანასტასია)
ერისთავი დიმიტრი
ერისთავი კოწია
ეგნატაშვილი ვ.(ასილ)
ერთაწმინდელი ს.(ბატკუაშვილი სეზმან)
ეშმაკი (კალანდაძე ნესტორ)

ვ
ვარდოშვილი ხ.(ნიკოლაიშვილი ხარიტონ)
ვართაგავა იპ.(ოლიტე)
ვერმიცანაშვილი (წულაძე ლავრენტი)
ვეშაპელი გ. (ვეშაპიძე გრიგოლ)

ზ
ზომლეთელი (ქურიძე ნოე)
ზურაბაშვილი ივ.(ანე)
ზანგი (რცხილაძე გრიგოლ)

თ
თავისუფალი სვანი (ნიჟარაძე ბესარიონ)
თომაშვილი დ.(ოყრეშიძე დომენტი)
თუმანიშვილი გ.(იორგი)
თუმანიშვილი-წერეთლისა ანასტასია

თურდოსპირელი დ. (ჩხეიძე დავით)

ი
იასამანი (კინწურაშვილი მიხეილ)
იაშვილი პ.(აოლო)
ინბანი (ბაქრაძე იაზონ)
ინგოროყვა პ.(ავლე)
ირეთელი (კალანდაძე პოლიევქტოს)

კ
კასრაძე დ.(ავით)
კლდიაშვილი დ.(ავით)
კონსტან-ანდრონი (ანდრონიკაშვილი კონსტანტინე)
კოტეტიშვილი ვ(ახტანგ)
კურდღელაშვილი ს.(იკო)

ლ
ლალიონი (მამულაიშვილი არსენ)
ლეგატუს (ფალავანდიშვილი დიმიტრი)
ლეჩხუმელი რ.(ყიფიანი რუბენ)
ლეონიძე გ.(იორგი)
ლიხელი დ.(სულიაშვილი დავით)
ლორთქიფანიძე ნ.(იკო)

მ
მალაქიაშვილი ვ.(ხუროძე ვარლამ)
მარიჯან (ტყემალაძე მარიამ)
მაყაშვილი კ.(ოტე)
მაჭავარიანი ივ.(ანე)
მგალობლიშვილი ს(ოფრომ)
მეგრელი დუტუ (ხოშტარია დიმიტრი)
მეველე (მიქელაძე დავით)
მელანია (ნათიძე ნიკოლოზ)
მესხი დავ.(ით)
მესხი ეფ.(ემია)

მეუნარგია იონა
მეტრეველი ლ.(ევან)
მეჩონგურე დ.(ქარცივაძე დავით)
მირიანაშვილი პ.(ეტრე)
მიქელაძე კატო მწ.(ერალი)
მირიანაშვილი ალ.(ექსი)
მუმლაძე გ.(იორგი)
მღვიმელი შიო (ქუჩუკაშვილი შიო)
მჭედლიშვილი ი.(ოსებ)

ნ
ნადირაძე ნ.(იკოლოზ/კოლაუ)
ნაკაშიძე ნინო
ნათაძე ლეო
ნაკაშიძე ილია
ნასიძე მიხ.(ეილ)
ნახუცრიშვილი დავ(ით)
ნიკიტინი ალ.(ექსანდრე)
ნიკოლაიშვილი იას(ონ)
ნიკოლაძე ნიკო

ო
ობოლი მუშა (თავაძე სოლომონ)
ოლბეჟ (ბეჟანიშვილი ოლღა)
ორბელიანი ნინო
ორბელიანი ელის.(აბედ)

პ
პაპავა აკ.(აკი)
პოლუმორდვინოვი ივ.(ანე)
პონტელი ილია (ჩიქოვანი ილია)

ჟ
ჟურული გიორგი

რ

რაჭველი იასე (მეხუზლა იასე)
რაზიკაშვილი თედო
რამიშვილი ტ.(რიფონ)
რემონიძე ს. (თავართქილაძე სილიბისტრო)
რობაქიძე გ.(რიგოლ)
რუხაძე ილია
რაჭველი ქრისტ. (რაჭველიშვილი ქრისტეფორე)
რუს-იმერელი (იურკევიჩი ვიქტორ)
რუშაველი ფ. (მგელაძე ფილიპე)
რუხაძე ვარ.(ლამ)

ს

სანგანიძე (გრძელიშვილი ალექსანდრე)
საჯავახოელი რ. (ხუნდაძე რაჟდენ)
სახოკია თ. (ედო)
სევდიანი (ლეჟავა პლატონ)
სევდია (გოგოლაძე ნინო)
სიხარულიძე ი.(ლია)

ტ

ტატიშვილი ი.(იოსებ)
ტაბიძე გალაქტიონ
ტაბიძე ტიტე

ფ

ფავლენიშვილი რევ(აზ)
ფანცხავა იაკ.(ობ)
ფაღავა აკ.(აკი)
ფაშალიშვილი ს.(იკო)
ფერაძე ილია
ფოცხვერაშვილი კ.(ოტე)

ქ

ქავთარაძე პეტრე

ქართველიშვილი შალვა
ქვარიანი ს.(იმონ)
ქიაჩელი ლეო (შენგელაია ლეო)
ქიქოძე გერ.(ონტი)
ქნარი (გვანცელაძე იოსებ)
ქუჩიშვილი გ. (ჩხეიძე გიორგი)

ყ
ყანჩელი ალ.(ექსანდრე)
ყიფიანი ვას.(ილ)
ყიფიანი პალიკო
ყიფიანი ქაიხ. (ოსრო) (ქოჩო)
ყიფიანი ნინო
ყიფიანი კოტე
ყიფიანი პეტრე
ყიფიანი სამსონ
ყიფშიძე გრ.(იგოლ)

შ
შალიკაშვილი ვ.(ალერიან)
შანშიაშვილი ალ.(ექსანდრე/სანდრო)
შარაშიძე შალვა
შარვაშიძე გიორგი
შიუკაშვილი ნ.(იკო)

ჩ
ჩიანელი დია (ჩხეიძე დავით)
ჩხიკვაძე ნ.(ოე)

ც
ცახელი (თვალჭრელიძე პარმენ)
ცვარნამი (მებუკე დავით)
ცირეკიძე (ალექსანდრე/სანდრო)
ცქვიტი (ხახუტაშვილი ანა)

წ
წეველი (გაჩეჩილაძე სიმონ)
წერეთელი ალ.(ექსანდრე)
წერეთელი ელ.(ენე)
წუთისოფლელი კირ. (ჯავახია კირილე)
წულაძე აპ.(ოლონ)

ჭ
ჭანტურიშვილი ს.(იო)
ჭიჭინაძე კ.(ონსტანტინე)
ჭუმბაძე არისტოს
ჭუმბურიძე გ.(იორგი)
ჭყონია ილია

ხ
ხეჩუაშვილი (გიგო)
ხომლელი (ფანცხავა რომანოზ)
ხუნდაძე (სილოვან)
ხუსკივაძე (თეოფილე)

ჯ
ჯავახიშვილი ივანე (პროფ)
ჯაბადარი გიორგი
ჯაფარიძე ლელი (ლევან)
ჯიბილა რ. (რაფიელ ჯიბლაძე)
ჯორჯიკია ჯაჯუ

შენიშვნა: ეს სია სრული არ არის (ვინაიდან სწორი ცნობები არ არსებობდა), ამისთვის ბიურო სთხოვს იმ მწერლებს, რომელნიც არ მოხვდნენ (სიაში) რაში სცდებიან ეს ბიუროს (მოახსენონ) ივლისამდის პირადი მოლაპარაკება შეიძლება: ბიუროს თავმჯდომარე კოტე მაყაშვილთან, ვარლამ რუხაძესთან, ლეო ქიაჩელთან, კონსტანტინე გამსახურდიასთან, შალვა დადიანთან, წერილობით მიმართონ ბიუროს მდივანს: ტფილისი ფოსტის ყუთი 190. კონსტანტ.(ინე) გამსახურდიას.

ყრილობის მომწვევი ბიურო: თავმჯდომარე კოტე მაყაშვილი, მდივანი: კონსტან.(ტინე) გამსახურდია. წევრები: შალვა დადიანი, ვარლამ რუხაძე, ლეო ქიაჩელი, დ.ლიხელი (დავით სულიაშვილი) და სიტყვა კაზმული მწერლობის საზოგადოების საბჭო.
ტფილისი 1917წ. 15 იენისი

სია მოიძია და „ლს“-ში (2007.2.XI) გამოაქვეყნა
ზეინაბ ლომჯარიამ

III. სხვა ლიტერატურული პრემიები

1. „საბა“

ყოველწლიური ლიტერატურული პრემია „საბა“ თიბისი ბანკმა 2003 წელს დააფუძნა, ქართულ პენ-კლუბთან და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-თან ერთად.

დაფუძნებიდან სამიოდე წლის თავზე „საბა“ გახდა ყველაზე პრესტიჟული და ავტორიტეტული ლიტერატურული პრემია საქართველოში, ხოლო „საბას“ დაჯილდოება – წლის ყველაზე მთავარი ლიტერატურული მოვლენა.

ამ ყოველწლიური ლიტერატურული პრემიის მიზანია გასული 1 წლის საუკეთესო წიგნებისა და ავტორების გამოვლენა.

პრემია „საბა“-ზე განიხილება გასულ წელს წიგნად გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები (რომანი, პროზაული კრებული, პოეტური კრებული, პიესა), უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი, ასევე ლიტერატურული კრიტიკის და დოკუმენტური პროზის ნიმუშები, შემდეგი ნომინაციების მიხედვით:

1. წლის საუკეთესო პროზაული კრებული
2. წლის საუკეთესო რომანი
3. წლის საუკეთესო პოეტური კრებული
4. წლის საუკეთესო თარგმანი
5. წლის საუკეთესო პიესა

6. წლის საუკეთესო კრიტიკა, ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა

7. წლის საუკეთესო დებიუტი

8. პრემია ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის

თიბისი ბანკი ამ მასშტაბური პროექტის უშუალო ორგანიზატორი და სრული დამფინანსებელია. დაჯილდოების გრანდიოზული ცერემონიალი, რომელიც ამ პროექტის დასკვნითი კულმინაციური ნაწილია, პირდაპირ ეთერში გადაიცემა ქვეყნის ყველაზე რეიტინგული ტელეარხის – „რუსთავი 2“-ის მიერ და მას თითქმის მთელი მოსახლეობა უყურებს.

გამარჯვებულ ავტორებს, სპეციალურ პრიზთან ერთად, გადაეცემათ ფულადი პრემიები. საპრემიო ფონდი შეადგენს 36 ათას ლარს, რომელსაც გამარჯვებულ ავტორებს თიბისი ბანკი გადასცემს.

ჟიურის შემადგენლობა მუდმივი არ არის. მასში შედიან ის მწერლები და ლიტერატორები, რომელთა ნაწარმოებიც ამ წელს საკონკურსოდ არ განიხილება.

სულ, დაფუძნების დღიდან 2010 წლის ჩათვლით, „საბას“ პრემიით დაჯილდოვდა 56 წიგნი/ავტორი, ხოლო პრემიის სახით გაცემულია 200 ათასი ლარი.

2003 წელი:

1. წლის საუკეთესო დებიუტისათვის – სოფიო კირვალიძე

2. წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა – ლევან ბრეგაძეს

3. წლის საუკეთესო პროზაული კრებული – ბესო ხვედელიძე, „ჯადო“

4. წლის საუკეთესო პოეტური კრებული – გაგა ნახუცრიშვილი, „გამგზავრება და მოლოდინი“

5. წლის საუკეთესო თარგმანი – ვახუშტი კოტეტიშვილი, „აღმოსავლურ-დასავლური დივანი“

6. წლის საუკეთესო პიესა – დათო ტურაშვილი, „ორი კუნძული შავ ზღვაში“

7. წლის საუკეთესო რომანი – აკა მორჩილაძე, „შენი თავგადასავალი“

8. ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის – ვახტანგ ჭელიძე.

2004 წელი:

1. წლის საუკეთესო დებიუტი – თამარ ფხაკაძე, „სანამ დაგვიძახებენ“

2. წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა – თეიმურაზ დოიაშვილი, „დაბრუნება“

3. წლის საუკეთესო პროზაული კრებული – გიორგი ცოცანიძე, „ნაწერი ხანჯლის წვერითა“

4. წლის საუკეთესო პოეტური კრებული – ბესიკ ხარანაული, „წიგნი ამბა ბესარიონისა“

5. წლის საუკეთესო თარგმანი – ზეზვა მედულაშვილი, „ქოროღლი“ (აზერბაიჯანული ეპოსი)

6. წლის საუკეთესო რომანი – ოთარ ჭილაძე, „გოდორი“

7. წლის საუკეთესო პიესა – ლაშა ბუღაძე, „ნუგზარი და მეფისტოფელი“

8. ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის – ბაჩანა ბრეგვაძე.

2005 წელი:

1. წლის საუკეთესო დებიუტი – გელა ჩქვანავა, „კოლორიტები“

2. წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა – ზაზა შათირიშვილი, „გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა“

3. წლის საუკეთესო პროზაული კრებული – ნუგზარ შატაიძე, „ნოემბრის წვიმა“

4. წლის საუკეთესო პოეტური კრებული – ანდრო ბუაჩიძე, „ელნათურები“

5. წლის საუკეთესო თარგმანი – ჯემალ აჯიაშვილი, „ვარსკვლავთა ჩრდილში მაღალთა თანა“

6. წლის საუკეთესო რომანი – აკა მორჩილაძე, „სანტა ესპერანსა“

7. წლის საუკეთესო პიესა – ირაკლი სამსონაძე, „ბებო მარიამი“

8. ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის – ოთარ ჩხეიძე

2006 წელი:

1. წლის საუკეთესო დებიუტი – თეონა დოლენჯაშვილი, „იანვრის მდინარე“

2. წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკის, ესსეისტიკისა და დოკუმენტური პროზისათვის – აგი აბაშიძე, „ილია ჭავჭავაძე“

3. წლის საუკეთესო პროზაული კრებული – ვანო ჩხიკვაძე, „ზამთრის წიგნი“

4. წლის საუკეთესო პოეტური კრებული – რატი ამაღლობელი, „წრე“

5. წლის საუკეთესო თარგმანი – ლევან რამიშვილი, „ბჰაგავადგიტა“

6. წლის საუკეთესო რომანი – აკა მორჩილაძე, „ვენერა სიზმარში“

7. წლის საუკეთესო პიესა – ბასა ჯანიკაშვილის პიესების კრებული

8. ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის – ანა კალანდაძე.

2007 წელი:

1. წლის საუკეთესო რომანი – ლაშა ბუღაძე, „ვიდრე მთავარ გმირს ეძინა“

2. წლის საუკეთესო პროზაული კრებული – ლაშა იმედაშვილი, „სამი მკვლელობა ძველ თბილისში“

3. წლის საუკეთესო პოეტური კრებული – შოთა იათაშვილი, „სანამ დროა“

4. წლის საუკეთესო თარგმანი – ბაჩანა ბრეგვაძე, „ახალი თარგმანები“

5. წლის საუკეთესო დებიუტი – ქეთი ქანთარია, დი ბი სი პიერის „ვერნონ გენიოს ლითლი“ (თარგმანი)“

6. წლის საუკეთესო კრიტიკა, ესსეისტიკისა და დოკუმენტური პროზა — მალხაზ ხარბედია, „პირადი ბიბლიოთეკა“

7. პრემია ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის— თამაზ ჩხენკელი.

2008 წელი:

1. წლის საუკეთესო რომანი — აკა მორჩილაძე „Maid in Tiflis“

2. წლის საუკეთესო პროზაული კრებული — დათო ქართველიშვილი, „ოთხი მოთხრობა“

3. წლის საუკეთესო პოეტური კრებული — მაია სარიშვილი, „მიკროსკოპი“

4. წლის საუკეთესო თარგმანი — გიორგი ლობჟანიძე, „ყურანი“

5. წლის საუკეთესო დებიუტი — ბაჩო კვირტია, „მატარებლის მოსვლამდე“

6. წლის საუკეთესო კრიტიკა, ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა — ამირან არაბული და ეთერ თათარაიძე, „შენდობით მომიხსენიეთ“

7. პრემია ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის — ვახუშტი კოტეტიშვილი.

2009 წელი:

1. წლის საუკეთესო დებიუტი — დიანა ამფიმიადი, „შოკოლადი“ და გიორგი კეკელიძის „ოდები“ (გამომცემლობა „სიესტა“).

2. წლის საუკეთესო კრიტიკა, ესეისტიკა და დოკუმენტური პროზა — ლევან ბრეგაძე, „მოთხრობები ლიტერატურაზე“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

3. წლის საუკეთესო თარგმანი — გიორგი ეკიზაშვილი, დანიელ პენაკის „ძაღლი, ძაღლი“ („აგორა“)

4. წლის საუკეთესო პიესა — ლაშა ბუღაძე, „ნაფტალინი“ (წიგნის სახელოსნო).

5. წლის საუკეთესო პროზაული კრებული — გიგი სულაკაური „თამაში რევოლვერით“ (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა)

6. წლის საუკეთესო პოეტური კრებული –ბათუ დანელია, MIRABILIS VITA („ინოვაცია“)

7. წლის საუკეთესო რომანი – თეონა დოლენჯაშვილი, „მემფისი“ (გამომცემლობა „სიესტა“)

8. პრემია ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის – ჭაბუა ამირეჯიბი

2010 წელი:

1. წლის საუკეთესო რომანი – ნაირა გელაშვილი, „პირველი 2 წრე“

2. წლის საუკეთესო პროზაული კრებული – კოტე ჯანდიერი, „კონკიას ღამე“

3. წლის საუკეთესო პოეტური კრებული – ზვიად რატიანი, „ნეგატივი“

4. წლის საუკეთესო თარგმანი – მანანა ლარიბაშვილი, გაიუს ვალერიუს კატულუსის „ლექსების წიგნი“

5. წლის საუკეთესო დებიუტი – მაკა ლდოკონენი, „ქიშმიშიანი ამბები“

6. წლის საუკეთესო პიესა – თამარ ბართაია, „მთავარი როლი“.

7. წლის საუკეთესო კრიტიკა, ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა – ზურაბ ქარუმიძე, „ჯაზის ცხოვრება“.

8. პრემია ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის – გურამ დოჩანაშვილი.

2011 წელი:

1. წლის საუკეთესო დებიუტი – თამთა მელაშვილი, „გათვლა“ (დიოგენე)

2. წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკა – ნუგზარ მუზაშვილი, „გაქცევა ისტორიიდან“ (დიოგენე) და შოთა იათაშვილი „დალაგება“ (საუნჯე)

3. წლის საუკეთესო ესსეისტიკა და დოკუმენტური პროზა – პაატა ჭურდაძე, „ფსიქოდელიური ქრონიკა“ (სიესტა)

4. წლის საუკეთესო თარგმანი – გიორგი ლობჟანიძე, საადი შირაზელის „გოლისთანი“ (კავკასიური სახლი)

5. საუკეთესო პიესა – თამაზ ექვთიმიშვილი, „პუანტები“

6. წლის საუკეთესო პროზაული კრებული – მაკა მიქელაძე, „მე და ჩემი კუსტურიცა“ (სიესტა).

7. საუკეთესო პოეტური კრებული – გივი ალხაზიშვილი, „ჩაბრუნებული მზერა“ (საუნჯე)

8. წლის საუკეთესო რომანი – ერლომ ახვლედიანი, „კოღო ქალაქში“ (სიესტა)

პრემია ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის – ვახტანგ ჯავახაძე.

2. დავით ალმაშენებლის სახელობის სრულიად საქართველოს ისტორიულ-ლიტერატურულ კონკურსში გამარჯვებული მწერლები

2010

კონკურსის პირველი პრემიის ლაურეატები
რევაზ ამაშუკელი
ნოდარ წულეისკირი
ელიზბარ ჯაველიძე

კონკურსის ნომინაციებში გამარჯვებულნი
დავით ტაკიძე (შემოქმედელი)
ირაკლი (ლაშა) სამსონაძე

კონკურსის სპეციალური პრიზის მფლობელები
კობა არაბული
თამარ შაიშმელაშვილი

2011

კონკურსის პირველი ხარისხის პრემიის ლაურეატები
რეზო (ემელიან) ადამია
მანანა ჩიტიშვილი

კონკურსის ნომინაციებში გამარჯვებულები
ლინა ბარათაშვილი
შოთა ზოიძე

სოსო სიგუა
ნუნუ ძამუკაშვილი

კონკურსის ჟურნალისტური პრემია „თანამოკალმე“
თემურ ქორიძე

2012
2012
კონკურსის პირველი ხარისხის პრემიის ლაურეატები
ბალათერ არაბული
ნოდარ ტაბიძე

კონკურსის ლაურეატები
მურმან თავდიშვილი
დემიკო ლოლაძე
გია ლომაძე
გივი სომხიშვილი

კონკურსის ჟურნალისტური პრემია „თანამოკალმე“
ნუნუ დალაქიშვილი

კონკურსის სპეციალური პროზის მფლობელები
ციცინო ბუკია
დილარ ივარდავა
ბეჟან ნამიჭეიშვილი
ირაკლი შამათავა

პირთა საძიებელი*

აბაკელია თამარ 77
აბაშელი ალექსანდრე (ჩოჩია ისაკ)50, 54, 66, 67, 72, 73, 74, 85, 88, 90, 104, 106, 110, 149, 239, 266, 306, 478
აბაშელი მედეა 85
აბაშისპირელი იხ. გამსახურდია კ.
აბაშიძე გრიგოლ 33, 69, 111, 237, 245, 265, 278, 273-274, 278, 281, 291-296, 288-300, 303, 313-315, 319, 324, 331, 339, 357, 372, 384, 432, 477, 482
აბაშიძე ილია 89
აბაშიძე ირაკლი 22, 75, 76, 111, 117, 146, 147, 170, 195, 202, 203, 204, 205, 207, 208, 209, 212, 225, 246, 252, 255, 259-263, 256-258, 266, 267, 270, 273, 284-287, 290, 300, 302, 335, 356, 357, 377, 384,411, 476, 477, 481
აბაშიძე კიტა 11
აბაშიძე მემედ 32, 107, 186, 191, 390, 419, 447, 455
აბაშიძე ჩინო (დავით) 291
აბაშიძე ჰაიდარ 32
აბზიანიძე ზაზა 136
აბრამიშვილი მარი 429
აბულაშვილი ანზორ 485
აბულაძე ბიძინა 91
აბუსერისძე ტბელი 375
აბშილავა ამირან 310
აბშილავა ბიეტა 485
აგარელი გობრონ 172
აგიაშვილი ნიკა (ნიკოლოზ) 52, 63, 75, 125, 130, 140, 156, 190, 221, 231, 252, 277, 280, 332, 368, 408
აგლაძე ილია 160
ადამაშვილი მ. იხ. ჯავახიშვილი მიხ.
ადამია ალიო 190

* საძიებელში დამატება არ შედის

ადამია რეზო 485
ადეიშვილი მარინე 315
ადეიშვილი ნოდარ 24, 485
ადეიშვილი ხოზე 366
ავალიანი ლადო 156, 214
ავალიანი ლალი 242
ავსაჯანიშვილი მირანგულ
ათანელიშვილი ლადო (მომღერ.) 406
აკობია შოთა 449, 484
აკობია-ძაძამია მზია 484
აკუტაგავა 376
ალბუთაშვილი რობიზონ (პოლიც.) 458
ალექსი – მესხიშვილი ვლადიმერ 11
ალიმონაკი ლერი
ალულიშვილი ირინე 388
ალხაზიშვილი გივი 463
ალხაზიშვილი შალვა 91
ამაღლობელი სერგო 135, 136
ამაშუკელი რევაზ 351, 352, 356, 373, 378, 386, 461, 481
ამირეჯიბი ნათია-კაკაბაძისა 367
ამირეჯიბი ჭაბუა 21, 325, 356, 357, 360, 375, 417, 485,
ამირხანაშვილი ვანო 118
ამისულაშვილი შალვა 225
ამყოლაძე თემურ 406, 419
ანდრონიკაშვილი კ. 11
ანტოკოლსკი პაველ46
აპოლონი 56
არაბული ბაღათერ 450, 466, 479. 485, 469
არაბული კობა 485
არაგვისპირელი (დედაბრიშვილი) შიო 10
არაზი 141
არაყიშვილი დიმიტრი 45, 96
ართილაყვა რევაზ 5, 366, 367, 374, 393, 446
არსენა 390
არსენიშვილი ალი 12, 207

ასათიანი გურამ 13, 218,219, 250, 330, 387
ასათიანი ვალერი324, 347, 351, 386, 388, 481
ასათიანი ლადო 21, 156, 206, 214, 264, 458
ასათიანი ლევან 192, 242, 245
ასათიანი მამია 224, 264
ასათიანი მანანა 367, 387
ასკურავა დავით 25
ასტაფიევი ვიკტორ 355
ასტვაცატუროვი ე. — იხ. ქარელიშვილი
აფხაზი კოტე (გენ.) 14, 15, 27
აღნიაშვილი პეტრე 134
აფხაიძე შალვა 12, 176, 184, 250, 266
აჩიკო (მიშველაძე) 460
ახვლედიანი გ. 231
ახვლედიანი ერლომ 376
ახმატოვა ანა 227
ახმეტელი სანდრო 100, 119, 176, 191, 198
ახობაძე დომენტი
ახოსპირელი ბეგლარ 73
აჯიაშვილი ჯემალ 367

ბააზოვი გერცელ 180, 191
ბაგრატიონ-მუხრანელი ია 485
ბადიდი ბაგრატ 485
ბაიაძე ვასო 265
ბალზაკი ონორე 33, 127
ბალიაური ლადო 197
ბალტრუშაიტისი 133
ბანძელაძე ალექსანდრე 253
ბარათაშვილი იოსებ 11
ბარათაშვილი მარიკა 485
ბარათაშვილი ნიკოლოზ 146, 215, 272, 292, 474
ბარამიძე ალექსანდრე 146
ბარამიძე დოდო (არქივ.) 58
ბარამიძე ილია 24

ბართაია ნომადი 485
ბარნოვი ვასილ 28, 77
ბარუზდინი სერგეი 358
ბასილაშვილი მანანა 318, 366
ბაქანიძე გიორგი (იური) 295, 323, 376, 395, 408
ბაქანიძე ოთარ 340
ბაქრაძე აკაკი 22, 109, 293, 312, 323, 337, 362, 421, 484
ბახტაძე ვალია 104
ბახტაძე მალვინა 388, 409
ბედია ერმილე (ერიკ)135, 176
ბედიე 472
ბედნი დემიან 95
ბედოშვილი ლია 25
ბედუკაძე ანდრო 409
ბელი ანდრეი 103, 210
ბელიაშვილი აკაკი 91, 92, 136, 236
ბენაშვილი გურამ 437, 441-444, 469
ბენაშვილი დიმიტრი 52, 130
ბერდიაევი ნიკოლაი 103
ბერია ლავრენტი 61, 76, 116,117, 134, 135, 142, 147, 148, 155, 166, 168, 174, 251, 297, 422
ბერიძე დურმიშხან 450
ბერიძე ვახტანგ 339
ბერულავა გუია 223
ბერულავა ხუტა (ბექაური ზაზა)225, 285, 361, 377, 378, 379, 380, 386, 395, 397, 398, 399, 407, 412, 481
ბერძენიშვილი ლევან 297
ბერძენიშვილი ნიკო 219
ბესიკი (გაბაშვილი ბესარიონ) 10
ბექიშვილი თედო 393
ბიბილური თამაზ 21, 237, 379
ბიბინეიშვილი ბარონ (ბართლომე) 89, 176
ბობოხიძე კალე 265
ბოგდატიევი 45, 150
ბოლქვაძე ზაურ 237, 252, 318, 346

ბოლქვაძე ლეო 472
ბორისოვი აკაკი 83
ბოტკოველი ზაალ 317, 442, 485
ბრეგაძე აკაკი 393
ბრეგაძე ლევან 423
ბრეგვაძე ბაჩანა408, 417
ბრეჟნევი ლეონიდ (პარტ.) 431
ბრიუსოვი ვალერი 119
ბრიხნიჩოვი 45, 100
ბუაჩიძე ანდრო 411, 424, 450
ბუაჩიძე ბენიტო (მირიან) 45, 48, 126, 130, 141, 142, 180-182, 186, 473, 475
ბუაჩიძე თენგიზ 324, 357, 360, 386, 395, 313, 314, 315, 318
ბუაჩიძე კიტა (ნიკიტა) 21, 294, 358, 365
ბუმერანგი ა. — იხ. მირცხულავა ა.
ბუხარინი 176
ბუხნიკაშვილი გრიგოლ (გუგული) 127, 130, 164, 201

გაბაონი ნიკოლოზ (ვალერიან გაბაშვილი) 472
გაბაშვილი ეკატერინე 28
გაბესკირია ალექსანდრე 91
გაბესკირია ამირან 334
გაბესკირია ვიქტორ 172, 250, 444
გაბრიჩიძე ნელი 22
გაგუა ხუტა 356
გამსახურდია ზვიად 293, 362, 380, 394, 403, 407, 412, 422
გამსახურდია იპოლიტე 277
გამსახურდია კონსტანტინე 8, 21, 31, 44, 57, 66, 67, 73, 85-88, 90, 94, 111, 132, 149, 153, 165, 183, 184, 204, 206, 220, 226, 227, 234, 239, 249, 273, 274, 359, 368, 389
გარიკ-ვაჩნაძე ვახტანგ 107
გარიყული მარიამ 99
გასვიანი ლიდა 134, 176
გაფეზი (გაგლოითი თედორე) 298, 299, 309, 385, 480

გაფრინდაული ვეფხია იხ. კალაძე კარლო
გაფრინდაშვილი ვალერიან 11, 65, 77, 82, 83, 112, 117, 141, 168, 172, 173, 179, 181, 190, 194, 198, 201, 385, 480
გაჩეჩილაძე დავით 91
გაწერელია აკაკი 112, 172, 205
გეგეშიძე გურამ 21, 408, 410, 417
გეგეჭკორი გივი 266, 276, 329, 335, 379, 409, 417
გედევანიშვილი იოსებ 73, 93, 94
გელოვანი მირზა 156
გენწაძე აკაკი 393
გვაზავა-სანაძე ლამარა 297
გვასალია მოსე 107, 166
გვერდწითელი გურამ 318, 321, 360, 372, 432
გვეტაძე რაჟდენ 12, 74, 98, 116, 164, 182, 201, 216
გიასელი – იხ. სამხარაძე გ.
გიგაური გიორგი312, 322, 408
გიპიუსი ზინაიდა 103
გლაზოვი ალბერტ 334
გლახაშვილი (ტარუაშვილი) სოფრომ 32
გოგებაშვილი იაკობ 229
გოგიაშვილი გურამ 453, 465, 485
გოგიაშვილი ნაზი 223
გოგიბერიძე მოსე 104
გოგიჩაიშვილი (ცკ-ს მდივანი) 301
გოგიჩაიშვილი გივი 224, 265
გოგიჩაძე ნადია 170
გოგოლაძე თენგიზ 265
გოთუა ლევან 21, 269, 433
გომართელი ივანე 41, 58
გომართელი რ.361
გომიაშვილი ალექსანდრე 52, 75, 225, 229, 230, 231, 274, 385, 480
გონაშვილი მაყვალა 451,452, 459, 462, 463, 468, 469, 477, 485
გორგანელი ვახტანგ 229, 246, 265, 311, 409
გორგაძე ვასო 39, 172

გორგილაძე ზურაბ 373, 445
გორგიშვილი მანანა 442, 485
გორგიჯანიძე ლევან (ფოტო.) 485
გორდელაძე კარლო (პარტ.)
გორდელაძე კოტე 176
გორკი მაქსიმ 270, 283
გრანელი ტერენტი 21, 172
გრიგალაშვილი ნოდარ 81, 471
გრიშაშვილი იოსებ 10, 20, 42, 58, 60, 61, 62, 66-71, 76, 81, 84, 141, 149, 227, 273, 478, 479
გუბლია გიორგი 449
გუგუშვილი ეთერ 358
გუდიაშვილი ლადო 371
გულდამაშვილი ეთერ 459
გულია დიმიტრი 309, 376
გუნია ვალერიან 59, 90
გურამიშვილი დავით 433
გურგულია ბორის 449
გურეშიძე ნოდარ 298, 299, 300, 350, 356, 385, 480
გურიელი ირმა 304, 449
გურჯიძე არჩილ 445
გუსევა ლია 425

დადიანი გრიგოლ 64
დადიანი სამსონ 31
დადიანი შალვა 8, 11,20, 31, 36, 38-40, 62, 84, 90, 118, 187, 208, 478
დავით აღმაშენებელი 406, 473
დათიაშვილი ლაურა 223, 332, 334, 365, 366, 402, 410
დაისელი ვანლერ (ბაბუაძე ივანე) 124
დანტე ალიგიერი 244, 245
დაუშვილი აკაკი 484
დევდარიანი კლავდია 275, 339
დემენტიევი (სსრკ ცკ) 377
დემეტრაშვილი ქეთევან 317

დემეტრაძე დავით 135, 147, 164, 165, 172, 173, 179, 181, 184-189, 385, 480
დემეტრაძე კონსტანტინე 135
დიონისე 56
დოლიძე ნინო 275
დონაძე გრიგოლ 123, 124
დონაძე ზინა 123
დონჟაშვილი თინა 216, 293, 393
დოღონაძე რევაზ 340
დოჩანაშვილი გურამ 21, 417, 484
დუდუჩავა ალექსანდრე (შურა) 186
დუმბაძე დავით 445
დუმბაძე ნოდარ 22, 134, 254, 260, 272, 313, 318-321, 331-337, 343, 384, 384, 386, 477, 481, 482
დუტუ მეგრელი (ხოშტარია) 28, 73

ებანოიძე ალექსანდრე 485
ეგნატაშვილი ვასო 160
ევდოშვილი (ხოსიტაშვილი) ირონდიონ 9, 10, 73
ევტუშენკო ევგენი 281, 282
ეზოპე 423
ეკალაძე ია (ცინცაძე იაკობ) 73
ელიავა ზურაბ 212
ელიავა შალვა 100
ელიავა-ჩიქოვანი მარიკა 212, 224
ელიოზიშვილი მერაბ 398
ელისაბედაშვილი ქეთევანი 275
ელიუტინი (განათლ. მინისტრი) 302
ენუქიძე გურამ (პარტ.) 341, 343, 346
ეჟოვი ნიკალაი 6
ერეკლე II 341
ერთაწმინდელი (ბატკუაშვილი) სეზმან 41
ერისთავი თამარ 484
ერისთავი მზია 91
ერისთავი ნიკოლოზ (თავადი) 64

ერისთავი რაფიელ 108
ერქომაიშვილი ანზორ 401
ესენინი სერგეი 132
ესქილე 176
ეული (ჭურიძე) სანდრო 45, 48, 141, 154, 158, 159, 160, 162, 163, 168, 173, 179, 181, 184, 189, 190, 199, 201, 208, 385, 480

ვადაჭკორია დოდო 275, 339, 424
ვაკელი (მეგრელიძე) იონა 141
ვაჟა-ფშაველა 9,10, 100, 105, 130, 131, 117, 118, 147, 191, 192, 217, 228, 241, 259, 272, 450, 485
ვარდოშვილი (ნიკოლაიშვილი) ხარიტონ 73, 74
ვართაგავა იპოლიტე 38
ვასაძე აკაკი (მსახ.) 102, 197
ვაჩნაძე ანიკო 156
ვერმიშევი 287
ვეფხვია გაფრინდაული – იხ. კალაძე კ.
ვიიონი ფრანსუა 376
ვოლსკი (ბელორუს.) 187

ზანდუკელი მიხეილ 138, 147
ზარნაძე გიზო 194
ზდანევიჩი ილია 77
ზედგინიძე ელიზბარ 140, 201, 310
ზლატკინი მარკ 474
ზოიძე შოთა 401, 447
ზოლა ემილ 33
ზომლეთელი (ჭურიძე) ნოე 48, 61
ზოშჩენკო მიხაილ 225
ზუბალაშვილი მედეა 311

თაბუკაშვილი ლაშა 350, 356, 386, 481, 483, 485
თაბუკაშვილი რევაზ 21, 356
თავაძე გიზო 24

თავაძე ილია (პარტ.) 199, 204, 244, 350, 478, 483
თავაძე მერაბ 350
თავაძე სოლომონ (ობოლი მუშა) 66, 68-71, 73, 74, 84
თავდიშვილი მურმან 485
თათარიშვილი აკაკი (პარტ.) 140, 166, 179, 180, 185, 188, 384, 476
თალაკვაძე სევასტი 176
თამარ მეფე 96
თარბა ივანე 298, 299, 309, 385, 449, 480
თარბანელი ნელი 449
თარხნიშვილი ლევან 465
თაყაიშვილი ექვთიმე 9
თედორაძე დავით 448, 485
თევზაძე ანდრო 99, 197, 265, 446
თემურ ლენგი 294
თვალავაძე თეა 425
თვარაძე რამაზ 254
თითმერია ჯუმბერ 22, 293, 388, 389, 393
თოდრია სილიბისტრო 35, 48, 96, 97, 99, 106, 108, 110, 113, 114, 121, 125, 129, 138, 140, 181, 476,
თომაშვილი (ოყრეშიძე) დომენტი 32, 73
თომაძე მაგლო 275
თორდუა ვლადიმერ 265
თორია ზურაბ 364
თუფურია ირაკლი 336
თოფჩიშვილი ნინო 232, 233

იაშვილი პაოლო 8, 12, 21, 31, 32, 34, 46, 56, 71, 77, 90, 117, 118, 134, 136, 141, 148, 149, 166, 171, 185, 186, 187, 195, 211, 242, 244, 257, 259, 408
ივანიშვილი ბიძინა 81
ივარდავა დილარ 393
იმედაშვილი გაიოზ 172
იმედაშვილი იოსებ 11
იმედაშვილი კობა 371, 398, 431, 342

ინანიშვილი რევაზ 348, 349, 350, 356, 361, 372, 379, 386, 481, 432
ინგოროყვა პავლე 8, 21, 31, 43, 44, 65-67, 71, 85, 86, 88, 98, 106, 127, 132, 138, 147, 273, 274, 284, 472
ინჯია ჯემალ 449
იოსელიანი ოტია 21, 185, 294, 355, 485, 484, 449
ირემაძე ქეთევან 122, 178
იუშკოვი ირინე 99
იუშკოვი ნიკოლოზ 99

კაზანძაკისი ნიკოს 116, 118
კაზო ივ 33
კაკაბაძე ზურაბ 23, 254
კაკაბაძე მანანა 221
კაკაბაძე პოლიკარპე 20, 104, 228, 285, 289
კაკაშვილი მეგონა 277
კალანდაძე ანა 21, 33, 214, 323, 356, 387, 416, 417, 440, 452, 458
კალანდაძე გიორგი 277
კალანდაძე ლავროსი 266
კალანდაძე (ირეთელი) პოლიო 11
კალანდია გენო 24, 448, 485
კალანდია ზაურ 465, 485
კალანდია რენე 277
კალატოზიშვილი ბელა 317
კალაძე კარლო 140, 141, 221, 228, 236, 252, 273, 274, 280, 297
კალაძე რაჟდენ 147, 176
კალმახელიძე ირინე 336, 388, 409, 410
კანდელაკი დავით 94
კანდელაკი ნანა 232, 238, 275, 359
კარბელაშვილი გივი 372
კარმელი (გოგიაშვილი) შალვა 12, 74, 90
კაშმაძე შალვა 223
კაჭახიძე გიორგი 75
კახაბერი დავით 336, 485

კახიანი მიხეილ 94, 196
კახიანი სიმონ (ბულ.) 221, 222
კახიძე მედეა 275, 320
კედია სპირიდონ 152
კერძევაძე ელდარ 322
კეშელავა გიგი 170
კეშელავა პლატონ (თომაზ ბორელი) 170, 172
კეცხოველი ლადო (რევ.) 148
კეცხოველი ნიკო 349, 390
კვანტალიანი ინგა 442
კვანტალიანი შარლოტა 423, 463
კვანჭილაშვილი ტარიელ 455
კვაჭაძე ალიოშა 223
კვაჭაძე ლეო 156
კვერენჩხილაძე ზინაიდა 389
კვერენჩხილაძე რევაზ 155, 485, 275, 297, 310, 311, 317, 330, 365, 366, 425
კვირიკაშვილი მიხეილ (ფოტოგრ.) 40, 249
კვირკველია დიმიტრი 444
კვირტია ედემ 277
კვიტაიშვილი ემზარ 23, 218, 266, 329, 335, 379, 417, 424, 442
კვიცარიძე დავით 445
კიკვიძე ციალა 425
კიკნაძე ზურაბ 296, 386, 408
კალასონია ნაზი 275, 339
კლდიაშვილი დავით 28, 422
კლდიაშვილი ნინო 170
კლდიაშვილი სერგო 12, 83
კობიძე დავით 172
კოვალსკი (ბელორუს) 187
კოკელაძე გალაქტიონ (ბულ) 223
კორინთელი კამილა 364
კოროშინაძე ია 275

კოტეტიშვილი ვახტანგ 49, 54, 55, 56, 66, 71, 84, 85, 86, 88-90, 107, 112, 135, 138, 191, 478
კოტეტიშვილი ვახუშტი 55, 56, 296, 408
კრეიტანი გიორგი 141
კრინიცკი ალ. 11
კუპრაშვილი ბაჭუა (სამუელ)176
კუპრეიშვილი ნონა 212
კუჭუხიძე ილია (მინდია ლაშაური) 96, 110

ლალიაშვილი მზექალა 170, 297
ლამარა (გვარამაძე) ზ. კიკნაძის მეუღლე 376
ლანჩავა თეიმურაზ 445
ლასხიშვილი გიორგი 11
ლაშაური მინდია — იხ. კუჭუხიძე ი.
ლაშქარაშვილი თამარ 302
ლებანიძე მურმან 22, 293, 295, 298, 342, 345, 352, 356, 360, 379, 387, 417, 470
ლენინი ვლადიმერ 47, 129, 143, 147, 174, 196, 205, 269, 283, 333, 392
ლეონიძე გიორგი 12, 46, 77, 90, 149, 166, 205, 228, 233, 240-245, 247-250, 256, 266, 267, 273, 274, 300, 328, 259, 384, 477, 480
ლეონიძე ლევან 244
ლეჟავა თამარ 425
ლერმონტოვი მიხაილ 230
ლიხელი — იხ. სულიაშვილი დ.
ლომინაძე ბესო 134
ლომიძე გიორგი 22, 130, 190, 270
ლომჯარია ზეინაბ 28, 49
ლონდონი ჯეკ 69
ლორთქიფანიძე გიგა 123
ლორთქიფანიძე ზურაბ 23, 223, 289
ლორთქიფანიძე კონსტანტინე 108, 109, 110, 126, 140, 141, 144, 164, 181-185, 201, 206, 227, 256, 265, 356, 385, 479, 480, 483

ლორთქიფანიძე მარიკა 339
ლორთქიფანიძე ნიკო 20, 148, 165
ლორთქიფანიძე-ჭუთათელი მერი 224
ლორია პარმენ 342, 445
ლუარსამიძე ვალერიან 182

მაგაროტო ლუიჯი 311
მაიაკოვსკი ვლადიმირ 91, 136, 283, 402, 428, 467
მაისურაძე ელიზბარ 265, 311
მალაზონია ნესტორ 446
მამარდაშვილი (პოლკოვნ.) 349
მამარდაშვილი მერაბ 349
მამასახლისი ზაირა 223
მამულაშვილი მიხეილ (მეყვავ.) 44
მამულაძე დავით 307
მამულია გურამ 362
მამულია სერგო 39, 117, 196
მამფორია ოთარ 265, 279, 348
მანდელშტამი ოსიპ 46
მანი თომას 376
მარგველაშვილი გიორგი (გია) 22, 218, 236, 237, 246, 270
მარგიანი რევაზ 156, 197, 265, 389
მარი ნიკო 273
მარიჯანი (მარიამ ალექსიძე) 66, 266, 270, 275
მარკოზია გიორგი 364
მარტინი ი. 141
მარქსი კარლ 96
მარჯანიშვილი კოტე 90, 102, 337
მაღრაძე დავით 328, 420
მაღრაძე ელგუჯა 252, 258, 279, 280, 284-287, 293, 360, 377, 385, 395, 421, 426, 430-433, 437, 478, 480
მაყაშვილი კონსტანტინე (კოტე) 8, 10, 27, 29-33, 35, 42, 49, 66, 68, 71-73, 78, 84, 89, 93, 94, 105, 131, 170, 242, 476, 482
მაყაშვილი მარო 49

მაშაშვილი ა. — იხ. მირცხულავა
მაჩაბელი ივანე 104, 295, 340, 369, 462, 468, 485
მაჭავარიანი ვლადიმერ 265, 301
მაჭავარიანი მუხრან 21, 22, 23, 293, 298, 299, 304, 339, 362, 375, 386, 390-395, 397, 403, 407, 412, 436, 461, 477, 480
მახარაძე ფილიპე (საბჭ.) 95, 129, 196, 220
მაჰმადი 444
მგალობლიშვილი სოფრომ 28
მგელაძე აკაკი (პარტ.) 38, 245
მგელაძე დიმიტრი 231
მდივანი გიორგი 130
მდივანი ბუდუ (პოლიკარპე) 100
მებუკე 83
მებურიშვილი ტაგუ 360
მეგრელიძე იოსებ 104
მედულაშვილი ზეზვა 485
მელანია (ნათიძე ნიკოლოზ) 28
მელაძე კარლო 182
მერკვილაძე გიორგი 111, 265
მეტრეველი ბორის 445
მეტრეველი როინ 339
მეუფე თადეოზი (მირიან იორამაშვილი) 485
მთვარაძე სიმონ 221
მიკულიჩი (ბელორუს.) 187
მილორავა ლევან 364
მიმინოშვილი რომან 324, 337, 340, 344, 356, 360, 372, 386, 481
მირველაშვილი თემურ (პოლიც) 458
მინდიაშვილი აკაკი 364
მირცხულავა ალიო (ბუმერანგი, მაშაშვილი) 111, 119, 120, 129, 130, 138, 139, 140, 164, 199, 200, 201, 202, 204, 206, 215, 226, 256, 265, 384, 473, 476, 479, 482
მირცხულავა ალიოშა (პარტ.) 245, 256

მიქელაძე ევგენი 191
მიქელაძე ეკატერინე (კატო) 99
მიქელაძე მერაბ 405
მიშველაძე რევაზ 380, 395, 415, 455, 456, 459, 461-463, 466, 469, 479, 485
მიცკევიჩი ადამ 174, 194, 211, 470
მიწიშვილი ილამაზ 74, 83
მიწიშვილი ნიკოლო(ზ) 12, 33, 74, 82, 83, 89, 90, 93, 106, 107, 117, 119, 148, 150, 151, 153, 154, 155, 157, 162, 163, 166-168, 186, 187, 191, 385, 478, 480
მიხალკოვი სერგეი 355
მოისწრაფიშვილი გიორგი 448
მორიაკი ფრანსუა 33
მორჩილაძე აკა 422
მოსაშვილი ილო 183, 208. 256
მოსულიშვილი მიხო 325
მჟავანაძე ვასილ (პარტ.) 257, 285-288, 290, 328
მრევლიშვილი მიხეილ 111, 216
მრელაშვილი ლადო 364, 450
მუმლაძე კარპე 450
მუსერიძე თამილა 336
მუსოლინი ბენიტო 119
მუშიშვილი (ხოფერია) გრიგოლ 117
მღვიმელი (ქუჩუკაშვილი) შიო 73, 399
მჭედლური დავით 366, 367, 393, 395, 415, 420, 428, 429, 430, 434, 437, 469, 481

ნადარეიშვილი ლაშა 393
ნადირაძე კოლაუ (ნიკოლოზ) 12, 21, 189, 190, 215, 226, 306, 444
ნავთლუღელი შაქრო 141
ნამიჭეიშვილი ბეჟან 185
ნაროუშვილი ფრიდონ 61, 130, 133
ნატროშვილი გიორგი 52, 130, 133, 265
ნიკოლაიშვილი იასონ 32

ნიკოლაძე იაკობ 34, 77
ნიკოლაძე ნიკო 29, 485
ნიჟარაძე ენვერ 342, 395, 397, 402, 403, 251, 407, 412, 481
ნიშნიანიძე შოთა 267, 356, 218, 260, 335, 342-347, 357, 370-372, 385, 386, 395, 396, 417, 432, 477, 481
ნიცშე ფრიდრიხ 103
ნოდია ოთარ 296, 356, 359
ნოზაძე ვიქტორ 106
ნოზაძე პავლე 91, 106, 107
ნონეშვილი იოსებ 197, 265, 274, 278-282, 298, 299, 313, 319, 385, 480, 482
ნუცუბიძე ლილი 449

ოთარაშვილი ვაჟა 456, 459, 466, 462-469, 478
ოკუჯავა მიხეილ 94
ონიანი ესმა 472
ონიაშვილი დავით 155
ორაგველიძე გრიგოლ 91
ორაგველიძე კარლო (პარტ.) 144, 186
ორახელაშვილი მამია (პარტ.) 100, 196
ორბელი მზია 443
ორბელიანი გრიგოლ 431
ორბელიანი სულხან-საბა 441
ორჯონიკიძე იზა 22, 294, 342, 345, 357, 360, 361, 403, 484,
ორჯონიკიძე სერგო (საბჭ.) 15, 53
ოჩიაური ირაკლი 49

პაიჭაძე სოსო 322, 393
პაპავა აკაკი 31, 42, 43, 44, 47, 84, 100, 472, 478
პაპავა თამარ 45
პაპუაშვილი გიორგი 380, 393
პარხომენკო ე. 219
პასტერნაკი ბორის 210, 401
პატარიძე მიქელ 23
პატარიძე რამაზ 376

პეტრიაშვილი გურამ 323
პლეხანოვი გიორგი 473
პლიევი (გენერ.) 230
პუშკინი ალექსანდრ 230

ჟვანია (ფოტოგრ.) 86
ჟიდი ანდრე 134
ჟორდანია ნოე 99
ჟორდანია ოთარ 424
ჟორჟოლიანი გიორგი 324, 340, 386, 481
ჟურული ვარლამ 82
ჟღენტი ბესარიონ (ბესო) 22, 91, 112, 141, 147, 148, 162-164, 167, 172, 173, 179, 181, 190, 193-196, 205, 207, 215, 217, 227, 235-237, 266, 267-270, 278, 285, 298, 299, 313, 319, 323, 324, 368, 385, 455, 479, 482
რადიანი მერი 177
რადიანი (შეწირული) შალვა 48, 112, 120-124, 126, 129, 138, 139, 141, 147, 153, 164, 178, 201, 205, 208, 245, 265, 479
რაინაული ფარნაოზ 450
რასპუტინი ვალენტინ 355
რაჭველიშვილი ქრისტეფორე 66, 89, 107, 191, 239
რილკე ე. მ. 56
რობაქიძე გრიგოლ 8, 14, 15, 27, 31, 44, 65, 66, 76,98, 99-103, 106, 115-119, 134, 139, 141, 155, 234, 301, 360, 472, 478, 484
რომანიშვილი იოსებ 11
რონსარი პიერ 295
როყვა შოთა 374, 447
რურუა ილია 445
რურუა პარმენ 445
რუსიძე კაპიტონ 265
რუხაძე ვარლამ 28, 34, 66, 73, 89, 112, 168
რჩეულიშვილი გურამ 269, 321

რცხილაძე გრიგოლ 9, 10

სალუქვაძე გიორგი 446
სამადაშვილი ნიკო 178
სამსონიძე (ქუთათელაძე) პეტრე 141, 182
სამუილენკო 187
სამხარაძე გიორგი (გიასელი) 445
სამხარძეჯღამაძე ეთერი 310
სანაძე იროდიონ 83
სარაჯიშვილი დავით 49, 168, 335, 392, 393
სარიშვილი გიგლა 376
სარიშვილი ვლადიმერ 485
საღარაძე ელდინო 367
საყვარელიძე მიხეილ 160
საყვარელიძე პავლე 160, 161, 163, 176, 385, 473, 478, 482
საყვარელიძე ტარიელ (მსახ.)
საჯაია ალექსანდრე 197
სეიდიშვილი ნატო 425
სიგუა სოსო 115, 395, 485
სირაძე ვიქტორია 337
სიხარულიძე ვლადიმერ (ვოვა) 410, 483
სიხარულიძე ნიკა 410
სოლომნიშვილი ზინა 275, 339
სოსელია გურამ 2
სოსლანი შალვა 341
სტალინი (ჯუღაშვილი) იოსებ 15, 38, 53, 61, 107, 135, 143, 147, 148, 154, 155, 174-176, 180, 189, 191, 192, 199, 200, 205, 216, 217, 221, 244, 251, 258, 270, 284, 292
სტეინბეკი ჯონ 257
სტვილია ლიდა 275, 339, 484, 485
სტურუა დევი (პარტ.) 288
სტურუა ლია 288, 363, 417
სულაბერიძე ია 450
სულაბერიძე ლადო 197, 214, 224, 225, 265, 332, 374, 399

სულავა ალექსანდრე (ალკა) 112, 182
სულაკაური არჩილ 21, 103, 213, 214, 218, 219, 220, 238, 245, 318, 320, 321, 342, 356, 357, 359, 417, 460
სულაკაური მერი 318
სულიაშვილი (ლიხელი) დავით 28, 31, 89
სუროვცევი იური 354
სუხიშვილი 134

ტაბიძე გალაკტიონ 13, 15, 21, 45, 82, 112, 141, 149, 172, 178, 207, 246, 249, 251, 260, 273, 274, 282, 293, 329, 351, 411, 419, 452, 457, 462, 468, 485
ტაბიძე ნინო 46, 134
ტაბიძე ნიტა 131
ტაბიძე ნოდარ 485
ტაბიძე ტიციან 7, 8, 12, 16, 18, 19, 21, 27, 31, 34, 46, 47, 49, 53, 66, 77, 84, 89, 90, 107, 117, 118, 131-135, 148, 149, 164, 166, 167, 187, 190, 191, 211, 257, 447, 467, 478, 479
ტაკიძე (შემოქმედელი) დავით 462, 466, 468, 469, 481, 485
ტატიშვილი ერეკლე 20
ტატიშვილი იოსებ 39
ტატიშვილი ნიკო 197
ტიხონოვი ნიკოლაი 354
ტოგონიძე გუგული 364
ტოლსტოი ლევ 230, 283
ტოროშელიძე მალაქია 133, 140, 143-145, 147-149, 159, 162, 163, 166, 167, 173-176, 185, 186, 199, 384, 476
ტოფაძე ირაკლი 89
ტროეპოლსკი გავრილ 357
უბილავა ელიზბარ 265
უბილავა ვლადიმერ 197
უკრაინკა ლესია 270, 271
ურუშაძე ვენერა 275, 276
ურჯუმელაშვილი ვანო 256, 265

ფადეევი ალექსანდრ 199, 202
ფალავანდიშვილი მირანდა 239, 368
ფანჯიკიძე გურამ 21, 304, 325, 327, 357, 360, 389, 394, 397, 398, 404-407. 412, 414, 415, 418, 419, 420, 428, 429, 469, 477, 481, 304, 426, 436, 437
ფაღავა აკაკი 89
ფაშალიშვილი სიკო 73
ფედინი კონსტანტინ 283
ფიროსმანი 131
ფირცხალავა არჩილ 277
ფლობერი გუსტავ 138
ფოფხაძე თამარ 223
ფოფხაძე ნუგზარ (პარტ.) 360
ფოცხვერაშვილი კოტე 89
ფოცხიშვილი მორის 5, 265, 356
ფხაკაძე ნიკოლოზ 177
ფხოველი ჯარჯი 323

ქადაგიძე იკა 297, 448, 484
ქავთარაძე გიორგი 77, 219, 225, 275, 310
ქავთარაძე გიორგი (ისტორიკ.) 77
ქავთარაძე პეტრე 39
ქავჭარაძე იროდიონ 35, 168, 169, 170, 172, 333
ქარელიშვილი ერემია 52, 165, 190, 205, 220, 265
ქარჩხაძე ჯემალ 21, 416
ქაჯაია ლევან 340
ქებურია ბელა 485
ქელბაქიანი აპოლონ (გენო) 172
ქვლივიძე მიხეილ 219, 224, 296
ქიაჩელი (შენგელაია) ლეო 8, 28, 34, 61-64, 71, 89, 164, 184, 185, 205, 232,273, 478
ქირია ჯემალ 393, 450
ქიტიაშვილი ცირა 275, 339
ქიქოძე გერონტი 39, 65, 132, 146, 147, 192, 206, 306, 472

ქიქოძე პლატონ 130, 133, 142
ქობულოვი ბახჩო 135
ქოზაევი ისიდორ 376, 386, 481
ქუთათელაძე ბადრი 485
ქუთათელაძე თინათინ 135, 212
ქუთათელი (ქუთათელაძე) ალექსანდრე 111, 205, 224, 249, 283, 289
ქურდიანი ემელიან 265
ქურხული ავთანდილ 107, 244
ქუჩიშვილი (ჩხეიძე) გიორგი 112, 141
ქუჩუკაშვილი ქეთევან 275

ღარიბაშვილი მანანა 363
ღვინჯილია ჯანსულ 21, 260, 375
ღლონტი ვახტანგ 447
ღოღობერიძე ბაბი 171
ღოღობერიძე ლევან 196
ღოღობერიძე ნიკო 64
ღოღობერიძე ჟანგო (ივანე) 91, 106-109, 479

ყაზბეგი ალექსანდრე 9
ყარაშვილი ნ. 404
ყაუხჩიშვილი სიმონ 83, 111
ყიფიანი ედიშერ 254, 318
ყიფიანი ტერენტი (ურდოელი ვახტანგ) 117
ყურულაშვილი (ყურულოვი) გიორგი 144, 155, 164

შადური როსტომ (პარტ.) 233
შავგულიძე შალვა 130
შავლოხაშვილი იპოლიტე 288
შაკიაშვილი ლუიზა 362
შალამბერიძე ოთარ 265, 374
შალვაშვილი ბელა 364
შალვაშვილი მერი 450
შამანაძე შადიმან 350

შამფრიანი სიმონ 408
შანიძე ალექსანდრე (ალიო) 172
შანშიაშვილი სანდრო 39, 141, 155, 168, 174, 187, 228, 242, 245
შარაშიძე შალვა („თაგუნა“) 132
შარვაშიძე გიორგი 369
შარია პეტრე (პარტ.) 227
შარიქაძე თამილა 366
შატაიძე ნუგზარ 417
შატბერაშვილი გიორგი 149, 186, 215, 225, 226, 266
შაჰ-აბასი 294
შაჰნაზარი გივი 363, 424, 485
შევარდნაძე დიმიტრი (დიტო) 191, 294
შევარდნაძე ედუარდ (პრეზიდენტი) 405, 435, 325, 327, 337
შემოქმედელი — იხ. ტაკიძე დ.
შენგელაია დემნა 73, 111, 112, 127, 141, 201, 205, 206, 237, 474
შენგელაია ელდარ 339
შენგელაია ნიკოლოზ 91
შენგელია ალეკო 107, 111, 265,
შერაზადიშვილი ზაქარია 265
შვეიცერი ალბერტ 351
შველიძე ნიკო
შინქუბა ბაგრატ 449
შიუკაშვილი ნიკო 70, 72, 84, 478, 483
შოთა რუსთაველი 99, 105, 133, 146, 174, 167, 176, 193, 211,259, 272, 303, 329, 331, 333, 342, 348, 352, 364, 370, 373, 380, 383, 390, 401, 405, 426, 455, 468, 474
შოლოხოვი მიხაილ 138
შხვაცაბაია გიორგი 387

ჩალაბაშვილი თემურ
ჩალაური თენგიზ 393
ჩალაური ნელი 450
ჩარკვიანი კანდიდ (პარტ.) 140, 186, 190, 191, 192, 198, 201, 217
ჩარკვიანი მამუკა (მომღერ.) 329

ჩარკვიანი ჯანსულ 22, 260, 265, 294, 298, 299, 304, 305, 325-330, 333, 334, 337, 356, 361, 362, 365, 368, 369, 378, 379, 384, 386, 395, 409, 424, 432, 436, 476, 482
ჩაჩავა ნიკოლოზ 91, 92, 136, 224
ჩაჩანიძე როდამ 265, 393, 449
ჩაჩიბაია არჩილ 52, 265
ჩაჩიბაია მარიამ 52
ჩაჩუა მიხეილ 393
ჩიანელი დია (ჩხეიძე დავით) 32, 83, 444
ჩიკვაიძე დარო 272
ჩიკვაიძე დოდო (თამარ) 223, 262, 263, 272, 275, 297, 332, 365, 366, 410
ჩიკვაიძე ელენე (ლენა) 271, 311
ჩილაჩავა რაულ 485
ჩიტიშვილი მანანა 24
ჩიქოვანი ნიკა 212, 213, 224,
ჩიქოვანი სიმონ 91, 92, 116, 136, 137, 139, 141, 164, 205, 208-221, 224-228, 231-233, 236, 241, 359, 76
ჩხეიძე ბორის 75, 225, 265
ჩხეიზე ნატა 275
ჩხეიძე ნოდარ 63, 68, 319, 422
ჩხეიძე ოთარ 21, 218, 219, 231-238, 250, 269, 289, 297, 323, 342, 359, 385, 398, 399, 416-418, 424, 423
ჩხეიძე რევაზ (რეჟის.) 444
ჩხეიძე როსტომ 297, 351, 363, 484,
ჩხენკელი თამაზ 116, 276, 238, 323, 408, 417, 424, 460
ჩხეტიანი მზია
ჩხიკვაძე ვანო 24, 264, 393, 479, 480
ჩხიკვაძე ნოე 33
ჩხიკვაძე პანტელეიმონ 48, 121, 127-130, 139, 140, 144, 163, 164, 201, 385
ჩხიკვიშვილი დავით 302

ცაიშვილი სარგის 372
ცერცვაძე მამუკა 31
ცერცვაძე ციცინო 336, 409
ცეცხლაძე გრიგოლ 112, 207
ცეცხლაძე მამუკა 199, 203
ცვაიგი სტეფან 7, 136
ცინცაძე ვანო 485
ცინცაძე კოტე (შინსახკ.) 6
ცირეკიძე სანდრო 12, 82, 83, 173
ციციშვილი გიორგი 22, 111, 270, 335, 337, 339, 348, 353-359, 361, 362, 368, 378, 383, 385, 386, 477, 481
ცხაკაია მიხა (პარტ.) 129
ცხვედიაშვილი მარინე 485, 450, 485

ძიგვაშვილი გიორგი 21, 197
ძიძიგური შოთა 237

წერედიანი დავით 276, 363, 376, 417, 472, 484
წერეთელი აკაკი 8-12, 27, 37, 104, 105, 130, 147, 192, 217, 240, 272, 455, 485
წერეთელი ალექსანდრე 172
წერეთელი გიორგი 9
წერეთელი გრიგოლ 56, 191
წერეთელი მელქისედექ 350, 409
წერეთელი მაია 336
წეროძე ლილი 311
წვერავა სიმონ 126, 127, 129, 139, 182, 221, 265, 479
წივწივაძე დოდო 461
წივწივაძე თამაზ 366, 393, 395, 401, 417, 419, 422, 434-439, 441, 451, 460-463, 469, 476
წიკლაური მარიამ 24
წულაძე აპოლონ 39
წულეისკირი ნოდარ 22, 294, 393, 395
წულუკიძე ვანო 141

ჭავჭავაძე ილია 8, 30, 105, 122, 130, 146, 148, 167, 170, 177, 194, 211, 217, 220, 240, 251, 272, 359, 360, 433, 447, 457, 462, 472, 485
ჭანტურია ტარიელ 5, 23, 329, 357, 365, 372, 379, 405, 408, 409, 415, 417, 424
ჭანტურიშვილი სიო 11
ჭანტურიშვილი რუსუდან 11
ჭეიშვილი რეზო 288, 321, 257, 366, 393, 395, 415, 418, 420-423, 426, 427, 431, 434, 436, 437, 453, 469, 478, 481, 482
ჭელიძე გიზო 450
ჭელიძე ვახტანგ 111, 236, 237, 253, 257, 325, 417
ჭელიძე ლევან 315
ჭელიძე ოთარ 111
ჭილაია სერგო 111, 165, 243, 245, 243, 246, 250, 251, 252, 255, 256, 266, 284, 285, 286, 298, 299, 300, 301, 313, 385, 482
ჭილაშვილი ქეთევან 275, 339
ჭილაძე თამაზ 260, 294, 298, 299, 306, 307, 337, 356, 361, 370, 386, 395, 417, 480, 482
ჭილაძე ოთარ 21, 321, 323, 338, 356, 357, 408, 416, 417, 466
ჭიჭინაძე კონსტანტინე 39, 66, 174, 211, 306
ჭკადუა შოთა 449
ჭოლოკავა – ძიძიგური მურად 450
ჭუმბაძე არისტო 66, 67, 112, 137, 141, 144, 479
ჭუმბურიძე ზურაბ 265, 380, 424
ჭყონია აკაკი 187

ხაბეიშვილი სოლიკო 404
ხალვაში მზია 427
ხალვაში ფრიდონ 281, 282, 287, 298, 299, 307, 356, 373, 374, 375, 380, 386, 401, 427, 446, 480
ხარაიშვილი ავთანდილ 411
ხარანაული ბესიკ 318, 323, 417, 424
ხარჩილავა ვახტანგ 465

ხეთაგუროვი კოსტა 309, 341
ხეთაგუროვი (პოემა „გოცის“ ავტ.)
ხვედოროვიჩი (ბელორუს.) 187
ხიმშიაშვილი კოტე 2, 197
ხმალაძე თამაზ 450
ხორგუაშვილი გიორგი 21
ხორნაული გივი 100
ხოფერია ნინო 124
ხოშტარია აკაკი 170
ხოშტარია ილია 265, 445
ხრუშჩოვი ნიკიტა 22
ხუნდაძე ნოდარ 223
ხუნდაძე ნონა 223

ჯაბუშანური გაბრიელ 197, 310
ჯავახაძე ვახტანგ 484, 388, 418, 440
ჯავახიშვილი გივი (საბჭ.) 230
ჯავახიშვილი ივანე 56
ჯავახიშვილი მიხეილ 20, 39, 75, 82, 88, 98, 104, 107, 119, 122, 124, 141, 148, 150, 152, 161, 164, 180, 186, 191, 194, 211, 257
ჯავახიშვილი რუსუდან 122
ჯაველიძე ელიზბარ 360, 372
ჯალაღონია ნოდარ 22, 294, 393
ჯამასპიშვილი თამარ 336, 409
ჯანგულაშვილი თეიმურაზ 224, 265, 289, 400
ჯანელიძე ჯანო 24
ჯაფარიძე ივანე 130
ჯაფარიძე რევაზ 22, 218, 236, 237, 287, 298, 299, 301, 303, 356, 357, 359-361, 372, 386, 393, 432, 480
ჯაყელი ჯემალ 447
ჯაჯანაშვილი არჩილ71
ჯგუბურია მურმან 436, 456
ჯიბლაძე გიორგი 190, 211, 215, 216, 219, 225-229, 231, 245, 385, 480

ჯინჭარაძე ანეტა 171, 232,
ჯიქია ვეჩე 89
ჯიქია ვლადიმერ 176
ჯიქია შუკო 450
ჯონუა ალექსი 376, 386, 449, 481
ჯორჯაძე არჩილ 9
ჯოხაძე გივი 408
ჯოხაძე მაკა 356, 425, 472
ჯულუხიძე გრიგოლ 393, 395, 485
ჯუსოითი ნაფი 356

ჰაინე ჰენრიხ 211
ჰაქსლი 376
ჰაჯი მურატი 153
ჰიტლერი ადოლფ 119
ჰიუგო ვიქტორ 33

წყაროები და ლიტერატურა

თავი I. ქართველ მწერალთა კავშირი, 1920-დან საქართველოს მწერალთა კავშირი

1. „საქართველო“, 1916. №82
2. „სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოების“ დაარსების ცნობა, წესდება – სსლმ 5788-ხ; „ამირანი“, 1908. №148; ა. ჯორჯაძე, ურწმუნო მწერლებს, იქვე №153; ი. ევდოშვილის მისალმება, იქვე, №170; იპ. ვართაგავა (მოგონებები, 1962. ტ.2. გვ. 350) და ივ. ენიკოლოფოვი (დიდუბის პანთეონი, რუს. ენაზე. 1957. გვ. 189) მცდარად მიუთითებენ ამ საზოგადოების შექმნის წლად 1911-1912 წ.წ.; იპ. ვართაგავა ცდება გამგეობის წევრთა ჩამოთვლაშიც.
3. ციტირებულია გ. საითიძის წიგნიდან „სწამდა სამშობლოს აღორძინება“, 1997. გვ.83
4. გრ. რობაქიძე, კრებული „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია“, 1996. გვ. 207
5. ზ. ლომჯარია, „საქართველოს მწერალთა კავშირი – 90“, „ლს“. 2007. 2.XI
6. კ. მაყაშვილის სიტყვა, სსლმ 5292-ხ
7. ყრილობის მისალმება, „ალიონი“, 1917. №53

7ა. მ. ცეცხლაძე, „ლგ“. 2004. 13-19. II

8. კ. მაყაშვილი, ხელოვანთა სასახლის შესახებ, სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში, თბ., 1926
9. შ. დადიანი, თხზ. ტ.8, 1962. გვ. 149

9ა. ცაკ-ის დადგენილება „სგ“, 1934. №11

10. აკ. პაპავა, მცირე უწყება გრიგოლ რობაქიძისათვის, „კავკასიონი“, პარიზი, 1964, IX. გვ. 29; დ. ვაშაძე, კნინ რამ აკაკი პაპავაზე, იქვე, X, გვ. 31
11. ი. მეგრელიძე, „მნათობი“, 1959, №7

12. „ქართული მწერლობა“, 1926. №1
13. აკ. პაპავას, ფიქრები მშობლიურ ხელოვნებაზე, „სახალხო ფურცელი“, 1916; აგრეთვე, „ცისარტყელა“, 1920;
14. ტ. ტაბიძე, მოგზაური ჭონტოლი, „რუბიკონი“, 1923. №4
15. ზ. ლომჯარია, დასახ. ნაშრომი
16. ვახტანგ კოტეტიშვილი, „სოციალისტ-ფედერალისტი“, 1920, 20.V; „სახალხო საქმე“, 1920. №892; „სოციალისტ-ფედერალისტი“ 1921.19.VII; სრულიად საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში, 1926
17. ვახუშტი კოტეტიშვილი, ჩემი წუთისოფელი, წ. I, გვ. 208; 197-198
18. ი. გრიშაშვილის არჩევა, ლბცსა, 8-1-10-1
19. ლ. ქიაჩელის არჩევა. ლბცსა, 8-1-10-1
20. ნ. ჩხეიძე, გახსენება, 1998. გვ. 15-16
21. ნ. აგიაშვილი, ლეო ქიაჩელის გახსენება, „ლიახვი“, 1982, გვ. 118
22. მწერალთა კავშირის განცხადება, „ტრიბუნა“, 1921. №31
23. ნ. ჩხეიძის დასახლ. ნაშრომი
24. ს. თავაძის ლექსი გვარდიაზე, „ლომისი“, 1922.1.X
25. ს. თავაძე, ღამე ლანდებით, გაზ. „ლომისი“, 1922, 1.X. №5.
25ა. ს. თავაძე, „პოეზიის დღე“, 1923. №4
26. ს. თავაძე, ლბცსა, 5-1-23-7
27. ირ. აბაშიძე, ზარები ოცდაათიანი წლებიდან, 2003
28. ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკაზე „ლგ“., 1958, №7
29. მ. აბაშელის მოგონება, „ჩვენი მწერლობა“, 2008.15.IX

თავი II. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირი

1. მწერალთა ყრილობის მოწვევა, ოქმი №8, 1926.9.II. საქართველოს პრეზიდენტის (ყოფილი პარტიული) არქივი, 14-1-10-5
2. ფ. მახარაძის სიტყვა სრ. საქართველოს მწერალთა პირველი ყრილობა. სტენოგრაფიული ანგარიში. 1926
3. ი. კუჭუხიძე, ახალი ქართული თეატრი, „კრიტერიუმი“, 2001. №4, გვ. 125
4. ლ. გაფრინდაშვილი, „ცხელი შოკოლადი“, 2009. №50; ლ. ავალიანი, 1921 წლიდან 1937 წლამდე, „ლიტერატურული პალიტრა“, 2007. №12
5. აკ. პაპავა, მცირე უწყება გრიგოლ რობაქიძისათვის, „კავკასიონი“,პარიზი, 1964.IX. გვ.29-30
6. აკ. ვასაძე, ქართული – უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, „ლს“. 1987. №40; გრ. რობაქიძე, „ლონდა“, „რუბიკონი“, 1923, №№5,7
7. გრ. რობაქიძის „წერილი ჟენევიდან ი. აბაშიძისადმი“, „ლს“, 1987. №42; „ქართული მწერლობა“, 2008.
8. ა. სულაკაური, უბის წიგნაკი, 1998. გვ. 35; ა. ბუაჩიძე, ლირიკის აპოთეოზი, „არილი“, 2001 – წიგნიდან „ილუზიების მსხვრევა“, 2006. გვ. 9
9. ჟ. ღოღობერიძის შესახებ, საქ. პრეზიდენტის არქივი, 14-3-14-163
10. კ. ლორთქიფანიძე, „ლს“, 1978. №41
11. ი. კუჭუხიძე, კრებულში „დაპყრობის 60 წლისთავი“, პარიზი, 1981. გვ. 47

თავი III. საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია

1. ს. სიგუა, ტალანტი და თავისუფლებისკენ სწრაფვა
2. ლხცსა, 8-2-1ს
3. თ. ჩხენკელი, მწვანე ბივრიტი, წიგნში „მოგონებები სიმონ ჩიქოვანზე“, 2009. გვ. 89
4. გრ. რობაქიძე, „გულნადები“, არალეგალური ჟ. „ოქროს საწმისი“, 1971. №4.
5. ირ. აბაშიძე, ზარები... გვ. 61
6. რუსთაველის კრებული, 1934; ლხცსა, 8-2 დიდხანს გასაიდუმლოებული საქმეები 1, 15, 20; გრ. რობაქიძის წერილი ჟენევიდან ი. აბაშიძისადმი, „ლს“, 1987. №42; რ. კვერენჩხილაძე, XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრება, 2008
7. ა. მირცხულავა, მშობლიური კომკავშირი, „ლს“, 1968, №43
8. კ. ლორთქიფანიძე, გამოსვლა 1937.5-11.V
9. პ. ინგოროყვა, „სგ“, 1931. №1
10. კოლექტიური წერილი, „ახკომი“, 1932.9.III. №27
11. ტ. ტაბიძე, ილაიალი, „ქართული მწერლობა“, 1926. №4-5
12. ტ. ტაბიძის წინადადება ლიტ. მუზეუმის შექმნაზე, „ახკომი“, 1930. №138
13. ტ. ტაბიძის საგამოძიებო საქმე №10817, ფ. 6-14
14. საქმე №7982, ტ. 2. ფურც. 374; რ. კვერენჩხილაძე, წამების გზა, წ. I. გვ. 178-179
15. ტ. ტაბიძის საქმე-ფორმულა №968-51
16. ზ. აბზიანიძე, მეშჩანისთვის გაწნული სილა, „ცისკარი“, 1976, №6

თავი IV. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი.

1. ირ. აბაშიძე, ჩვენი პირველი ყრილობა, „მნათობი“, 1984. №9; ა. ბარამიძე, ახლო წარსულიდან, 1983; ბ. ჟღენტი, დიდი ერთიანობის ყრილობა, „ლს“, 1974, №№35,36
2. შინსახკომის საგამოძიებო საქმე №8329, ფურც, 92-93
3. ლხცსა, 8-1-383
4. ბესო ჟღენტი თანამედროვეთა მოგონებებში, 1984
5. ს. ჭილაია, ქრონიკები, 1984, გვ. 136
6. ე. ქარელიშვილი, „ლიახვი“, 1985, გვ. 121
7. მ. ტოროშელიძის დამუშავება, „ლს“, 1937

7ა. პრეზიდენტის სხდომის სტენოგრამა, ლხცსა, 8-2-31 საიდუმლო საქმე

8. დ. დემეტრაძე, დაკარგული იმედები, „კომუნისტი“, 1934. №177; მ. ტოროშელიძე. კ. ორაგველიძე, ნამდვილი ანტისაბჭოთა კულაკურ-ფაშისტური ხასიათის ლექსები, „ლგ“, 1935; „ახკომი“, 1935, №33
9. დ. დემეტრაძის მოთხოვნა, ლხცსა, 8-2-35ს
10. კ. ჩარკვიანი, საჭირო განმარტება, „ლს“, 1989, №5
11. ლევან ასათიანი, ლიტერატურის მატიანე, 1992
12. კ. ჩარკვიანი, ლხცსა, 8-1-600-16
13. ბ. ჟღენტის სიტყვა, ლხცსა, 8-1-1800 ფურც. 27-29
14. მ. ცეცხლაძე, „ლგ“, 2004, 13-19. II
15. მ. ცეცხლაძე, იქვე
16. ირ. აბაშიძე, მოსკოვი, 1942, „ლს“ 1982. №3
17. ირ. აბაშიძე, ლხცსა, 8-1-810
18. ს. ჩიქოვანის უცნობი ლექსიდან, ნ. ჩიქოვანისა და ც. გენძეხაძის პუბლიკაცია, „კალმასობა“ 2005. №2; ნ. კუპრეიშვილი, წიგნში „მოგონებები სიმონ ჩიქოვანზე“, თბ, 2009. გვ. 177.

19. ა. სულაკაური, სიმონ ჩიქოვანის გახსენება, „ლს“, 1988. №7; ლადო ავალიანი წიგნში „მოგონებები სიმონ ჩიქოვანზე“, 2009. გვ. 151
20. ბ. ჟღენტი, ლხცსა, 8-1-1800ფ. 30-31
21. ე. კვიტაიშვილი, მასწავლებელი, მოძღვარი, წიგნში „მოგონებები სიმონ ჩიქოვანზე“, გვ. 105
22. გ. ასათიანი, დიდი მოლოდინი, „ლს“ №№15,16,17
23. პ. შარია, ლხცსა, 8-1-1047-22
24. ო. ჩხეიძე, ტაში კარლო... ტუში კარლო, „ლს“. 1992.8.V
25. თ. ბიბილური, „ლს“. 1990. №47
26. ვ. ჭელიძე, „ლს“. 1995. №48
27. თ. ჩხენკელი, „ლს“, 1997, №7
28. ს. ჭილაია, „ეგნატე ნინოშვილი“, „ახალგაზრდა მწერალი“, 1934, №4-5. გვ. 34
28ა. ირ. აბაშიძე, ზარები... 2003, გვ. 34
29. ირ. აბაშიძე, წიგნში „ბესო ჟღენტი თანამედროვეთა მოგონებებში“, 184. გვ. 17-18
30. ბ. ჟღენტი, ლხცსა. 8-1-1800 ფურც.33-34
31. ნ. დუმბაძე, წიგნში „ბესო ჟღენტი თანამედროვეთა მოგონებებში“, 1984
32. ფრ. ხალვაში, ომრი, გვ. 227; 229
33. ნ. დუმბაძე, უკვდავება, „სოფლის ცხოვრება“, 1984. №94
34. ჯ. ჩარკვიანი, მორიდებული პასუხი ბატონ ოთარ ჭითანავას, „სრ“. 1999.5.VI
35. ს. მიხალკოვი, „ლიტერატურნაია გაზეტა“, 1986. №27
36. საუბარი ანთოლოგიის პრობლემებზე, „ლს“. 1986.12.XII

თავი V. გარდამავალი წლების მწერალთა კავშირი

1. ო. ჩხეიძე. „გამარჯვება“, 1990.15.VIII; „კომუნისტი“, 1990.16.VIII; „საქართველო“. 1990.13.V
2. გ. ფანჯიკიძე, დაგიფასდებათ, უეჭველად დაგიფასდებათ, „ლს“, 1991.29.XI
3. თ. ამყოლაძე, „განთიადი“, 2003. №1-2

თავი VI. დამოუკიდებელი საქართველოს მწერალთა კავშირი

1. რ. ჩხეიძე, „ოტარიდი“, გაზ. „ლომისი“, 1999;
   ი. ქადაგიძე, „ოტარიდი“, გაზ. „7 დღე“, 2000, №59; აგრეთვე მის წიგნში „ვის მივყიდით ქართულ მწერლობას?!“ თბ., 2009. გვ. 23.

1ა. თ. ამყოლაძე, „განთიადი“, 2003. №1-2
2. ლ. ახვლედიანი, „განთიადი“, 2003, №1-2
3. ნ. ჩხეიძე, გახსენება. გვ. 21
4. აკა მორჩილაძე, ქუთაისი, ზღვისპირი, „ცხელი შოკოლადი“, 2009. №8. გვ. 103
5. დ. მჭედლური, ცოტა რამ პოეზიის შესახებ, „ლს“. 1989. №38
6. ე. მაღრაძე, პრეზიდიუმის სხდომაზე გამოსვლიდან, 1978.13.IV
7. „ოტარიდის“ დაარსება, „ლს“. 1996. №18; მანიფესტი, იქვე, №25 და 28
8. მ. ორბელი, გამოტირებული ქალაქი, „უშბა“, 1926 მარტი, №4
9. ი. ხოშტარია, მოგონება ლადო ასათიანის შესახებ, „ქუთაისი“, 1977.24.XII
10. თ. ჩხენკელი „ლს“, 1997. №7

სარჩევი

წინათქმა 3-5
შემოკლებანი 6

თავი I. XX საუკუნის საქართველოს მთავარი სამწერლო ორგანიზაციის – „ქართველ მწერალთა კავშირის“ დაფუძნება (1917), მისი გარდაქმნა „საქართველოს მწერალთა კავშირად“ (1920), მისი მესვეურები და მოღვაწეობა (1917-1926) 7-92
დაფუძნების წინ 7-8
სიტყვაკაზმული მწერლობის საზოგადოება 8-10
ცისფერყანწელები 12-13
პროლეტარული მწერლები 47-48
ახალი მწერლობის კავშირი 65-66
აკადემიური მწერლები 66-67
ფუტურისტ-მემარცხენე ფრონტელები 91-92

თავი II. „საქართველოს მწერალთა კავშირის“ გარდაქმნა „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირად“, მისი მესვეურები და მოღვაწეობა (1926-1928); არიფიონი 93-112

თავი III. „სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის“ გარდაქმნა „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციად“, მისი მესვეურები და მოღვაწეობა (1928-1932) 113-141

თავი IV. „საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაციის“ გარდაქმნა „საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირად“, მისი მესვეურები და მოღვაწეობა (1932-1988) 142-389

თავი V. გარდამავალი წლების საქართველოს მწერალთა კავშირი, მისი მესვეურები და მოღვაწეობა (1988-1992) 390-411

თავი VI. დამოუკიდებელი საქართველოს მწერალთა კავშირი, მისი მესვეურები და მოღვაწეობა (1992 წლიდან) 412-475

თავი VII. საქართველოს მწერალთა კავშირის მესვეურები 1917 წლიდან დღემდე 476-485

დამატება

I. „XX საუკუნის საქართველოს ლიტერატურული ცხოვრების“ (თბ. 2008) შესავსებად 486-508

1. გამორჩენილ-დასამატებელი 486-491

2. მწერალთა კავშირი 2004-2011 წლებში 491

ა) შ. კვანტალიანი 491-492

ბ) ზ. თორია, საზოგადოებრივი გამომცემლობა თუ 493-497

გ) გ. კობიაშვილი, მწერალთა კავშირის გამომცემლობა. 498-505

დ) მწერალთა კავშირი 2004-2011 წლების პრესაში 506-508

II. „ქართველ მწერალთა კავშირის“ დამფუძნებელ ყრილობაზე (1917წ.) მიწვეულ მწერალთა სია 509-517

III. სხვა ლიტერატურული პრემიები 518-525

1. „საბა“ 518-524

2. „დავით აღმაშენებელი“ 524-525

პირთა საძიებელი 526-553

წყაროები და ლიტერატურა 554-561

კორექტორი ანა (ზაირა) პაქსაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა ნინო ნინიაშვილი

ავტორის საკონტაქტო ტელეფონი
237 10 91; 599 105 346



გამომცემლობა „უნივერსალი"
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 222 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge